

780
1992 / 2

ISSN 0134-9848

საქართველო

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

1992/5-6

საბჭოთაობა — დემოკრატია



საშუაშე

1972/5-6
 სპეციალური
 პერიოდული
 ზეგამოცემები
 (107)



შინაარსი

კრეზა და კოეზია

მარიტ ბენედეტი, სულის მოთქმა, რომანი, ესპანურიდან თარგმნა ელზა ახელედიაძმა	8
იღბარ ალან კო. ლექსები, თარგმნა ვაჟა შიუკაშვილმა	101
ლუდვიგ უვაროვა, წყვილიანი შუადღის შემდეგ, მოთხრობა, თარგმნა ქილა გორდაძემ	106
მიხაილ ლერმონტოვი, თოვლოვ ტიუტჩევი, ლექსები, თარგმნა გივი თათეშვილმა	143
ალექს კონსტანტინოვი, ბაი ბანიშ, ბულგარულიდან თარგმნა რევაზ ორჭონიკიძემ	146

წერილები

ალექსანდრ ბლოკი, წერილები, თარგმნა ეკა ხუციშვილმა	244
სემიონ ფრანკი, ღმერთის არსებობის მონტოლოგიური დასაბუთება, თარგმნა ავთანდილ ქობაძემ	259
თომას მანი, იოსები და ძმანი მისნი, გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა	278
შილიამ შაკნაშარა, კრისტიანობის მისტიური ტრადიციები, გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა	288
მარი-ელენ კამიუ, ხატვა სიტყვების გოლო წუთამდე, ფრანგულიდან თარგმნა როენა ეენიამ	319

6

W 5-6

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1992 № 5-6
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ



შთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

ამირი კვიციანი
(შთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნანა ბარბაქაძე
(საგარეო ურთიერთობების მდივანი)

სადასრულო კოლეგია:
კარგალი აკიანაშვილი
მედიკი ბაქრაძე
ბაჩანია ბრეგვაძე
ბურაკი ბოგიაშვილი
ნოდარ ბურკუშიძე
მანანდი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რეზო კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დავით შანგიჩიძე
ნოდარ შიანაშვილი
დავით ფარადიანი

შთავარი ავტორი: შოთა ნიშნიანიძე. ტექნიკური რედაქტორი: ნანა ბარბაქაძე.

გარეკანზე: შოთა ნიშნიანიძე. მარჯვნივ: ნიშნიანიძე.

მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: შთავარი რედაქტორის - 93-38-10, რედაქციის - 99-73-41.

კვანძ. წარ. 11. 11. 92 წ. კვანძი. დასაბეჭდად 6. 12. 93 წ. ქილაღის ზომა 70X108¹/₁₆
სააღრ. სა. 2551. სსსტ. თ. 28. ტარ. 3000. შეკვ. № 2005.

ფასი 20 მან.

საქართველოს გერბულ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კობახიძის 14.

მარიო ბენედეტი

სულის მოთქმა



რომანი

ესპანურიდან თარგმნა მალზა ახვლედიანი

20121

* თანამედროვე ლათინურ ამერიკულ ლიტერატურაში მოძალებული შითოლოგიური პროზის, მაგიური რეალიზმის, უსაზღვრო ფანტასტიკისა და ინტელექტუალური პარაბოლების ფონზე ურუგვაელი მწერლის მარიო ბენედეტის (დ. 1920 წ.) პროზა მკითხველს შეიძლება შეტისმეტად უოფითი და გამიზნულად ანტირომანტიკულიც კი მოეჩვენოს თავისი ჩვეულებრივი ამბებისა და ძველმოდური ფსიქოლოგიზმით გამსჭვალული გმირების გამო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითა ჩანს ასე: ბენედეტის შემოქმედება ღრმად რეალისტურია, წინაპლანზეა წამოწეული მძაფრი სოციალურ-ზნეობრივი პრობლემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორიგინალური ხერხი სიუჟეტის განვითარებისა, რომელიც მოელი სიგრაძე-სიგანიტ წარმოაჩენს თავისი გმირების სულიერ სამყაროს. ბენედეტი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე რეალიზმის „დიდი“ რომანის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი და ერთ-ერთი ყველაზე საკითხავი მწერალია.

წინამდებარე რომანში (1959 წ.) აღწერილია ერთი მონტვედიეოელი შუახნის ქვრივი მამაკაცის — სანტომეს ცხოვრების ის პატარა მონაკვეთი, როცა მის წამდვილი სიყვარული ესტუმრება, მაგრამ ეს აღმთქმენა ხანმოკლე გამოდგება, სანტომეს მხოლოდ ცოტა ხნით მოაღწინდებს ბედნიერებას, მხოლოდ ცოტა ხნით მოათქმევინებს სულს. ცხოვრება მას კიდევ ერთხელ — და იღბათ უკანასკნელად — მოატყუებს.

ორშაბათი, 11 თებერვალი

ექვსი თვე და ოცდაოთხი დღეა დამრჩა პენსიაზე გასვლამდე. ხუთი წელიწადი იქნება, რაც ამ დღიურსა ვწერ — ასე უთქვამთ. ვაწარმოებ ჩემი ცხოვრების შემოსავალ-გასავლის დავთარს. ისე მინდა კი დასვენება? „შენ დასვენება არ გინდა, — ვეუბნები საკუთარ თავს. — შენ გინდა, გქონდეს დრო და საშუალება რათა საყვარელი საქმე აკეთო“. მაინც რა საქმე? მიწა ვთოხნო? კი ბატონო! წამდვილად სასიამოვნო საქმიანობაა, როგორც ამბობენ ხოლმე. აქტიური დასვენებაა, მაგრამ მიწის თოხნა კარგია კვირაობით. მთელი კვირის ჯდომის შემდეგ ცოტა წელში რომ გაიმართო და (არ დაემაღლავ) სულ ახლო მომავალში მოსალოდნელი ართრიტიც რომ თავიდან აიცილო. ყოველდღე თოხნა-ბარვა კი ვას გაუგონია? იქნებ გიტარაზე დაკვრა მესწავლა? არ არის ცუდი საქმე, მაგრამ ორმოცდაცხრა წლის კაცისთვის აღბათ მოსაწყენი იქნება სოლფეჯიოში კირკიტა. იქნებ მწერლობისთვის მომეკიდა ხელი? ჩემი აზრით, ურიგო მწერალი არ ვიქნებოდი, აკი ყველას მოსწონს ჩემი წერილები! მაგრამ რომ წარმოვიდგენ ჩემს წიგნზე გამომცემლობის მიერ წამდვარებულ ანოტაციას „ავტორის განსაკუთრებული ღირსებების თაობაზე, ავტორისა, რომელიც მალე აღნიშნავს თავის ორ-

სამარტველოს
ს. მ. ხვლედილი

მოცდაშეათე წელს“ — ლამის აული ამერიოს მე დღემდე მოძვედა გულბურჯვი-
 ლობა და უშუალობა (ე. ი. გამაჩნია ახალგაზრდობისათვის დაძახასიათებელი
 ყველა უარყოფითი თვისება და არ გამაჩნია მისი თითქმის არც ერთი პირსება).
 ეს კი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ მაძლევს უფლებას, ყველას თანაბრად გა-
 მოვამბეურო იგი, ერთი ბიძაშვილი მყავდა — შინაბერა, გამოაცხიდა გემრიელ
 ნამცხვარს და მერე ნაღვლიანად და ბავშვურად გაღიმებულნი წაქეზებდა
 ამ თავის ნახელავს: ეს ღიმილი მას ჯერ კიდევ იმ დროიდან შემოიჩვენებდა, თავის
 საქმროს — ერთ მოტიმსობილელს რომ ეკვლეუცებოდა. ეს კაცი ერთ ჩვე-
 ნს „სასიკვდილო სერპანტინზე“ დაიძვრა მერე. ჩემს ბიძაშვილს მუდამ ზომა-
 ერად, ასაკის შესაფერისად ეცვა. ჩაცმის საკითხში და სხვაფრივაც გონებადამჯ-
 დარი და თავშეკავებული ქალი იყო. აი, ღიმილი კი ნამდვილად შეუფერებელი
 ჰქონდა თავისი გარეგნობისათვის — ასეთი ღიმილი უხდება ოცი წლის ყმაწვილ-
 ქალს. ქორფა ტუჩ-პირი, ვარდისფერი ღაწვები და ღონიერი ფეხები რომ აქვს.
 და არა ორმოცდაცამეტი წლის ქალს. მაგრამ ჩემი ბიძაშვილი სულაც არ გაზ-
 ლდათ სასაცილო ქალი: ღიმილთან ერთად სიკეთეს ეზატა სახეზე და სწორედ ამ-
 ის გამო ჩანდა მეტისმეტად მგრძნობიარეც. რამდენი ვილაპარაკე, არადა, მარ-
 ტო იმის თქმა მინდოდა, რომ არ მიყვარს საკუთარი გრძნობების გამომბეულება.

პარასკევი, 15 თებერვალი

კანტორაში როგორმე უნდა გავძლო. ამიტომ ვცდილობ არ ვიფიქრო მოახ-
 ლოებულ თავისუფლებაზე. ვიცი, თუ ვიფიქრებ, მაშინვე თითები მიმტყუნებენ
 და მრგვალი ასობის ნაცვლად — რითაც ძირითადი რუბრიკების სათაურები
 უნდა გამოვიყვანო. — ბატიფეხური ნაწერი გამომივა. მრგვალი კალიგრაფია
 ერთ-ერთი საჩინო ღირსება გახლავთ ჩემი, როგორც მოხელისა. თანაც უნდა
 გამოვტყდე, ზოგიერთი ასოს გამოყვანა მართლაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს და
 თავს უფლებას ვაძლევ, პატარ-პატარა ორიგინალობა გამოვიჩინო ხოლმე ამ
 დროს. ჩემი სამუშაო მექანიკურია და ერთფეროვანი. მაგრამ მისი შესრულება
 არც ისე მიმძიმს; რაც კი მევალება — ხელშეკრულებების გაფორმება, ბალან-
 სის გამოყვანა-შეჯერება თუ კიდევ რაღაც-რაღაცები — ყველაფერი წესრიგში
 მაქვს. შეცდომას ძნელად მიპოვის ეინმე — ასეთი სამუშაო სულაც არა მღლის,
 რადგან ამ დროს შემიძლია სხვა რამეზეც ვიფიქრო და (რა დასამაღია) ვიოც-
 ნებო კიდევ. თითქოს ორ ნაწილად ვიყოფი ასეთ წუთებში: თითქოს ერთმანეთი-
 საგან სრულიად განსხვავებული ორი ადამიანი ვხვდები: ერთია ნამდვილი კანცე-
 ლარიის მოხელე, რომელმაც ძირისძირობამდე იცის თავისი საქმის ავიც და კა-
 რგიც, და მეორე, მართალია, ნამდვილი მეოცნებე, გულმბურჯალე, მიუსაფარი
 და ცხოვრებაში ხელმოცარული კაცია. მაგრამ სამაგიეროდ ეს ის კაცია, ვინც
 მუდამ ისწრაფოდა და ისწრაფის ბედნიერებისაკენ. ზის მოხელე, ფიქრობს თა-
 ვის საფიქრალს და ვერც კი ამჩნევს, როგორ დარბის და დაწრიპინებს ქაღალდ-
 ზე მისი კალამი.

ჩემი სამუშაო, მართალია, ერთფეროვანია, მაგრამ არც ისე ცუდია. ცუდია
 მხოლოდ მაშინ, როცა ახალს, თანაც სასწრაფო დავალებას გვახვევს ხოლმე
 თავს ჩვენი არაფრის მაქნისი უფროსობა: ეს წლიური ანგარიშებით, ის განკარ-
 გულებებით თუ საშობაო პრემიებით. აი, მაშინ კი მერღვევა ჩვეული რიტმი.
 მაშინ კი ჩემს ორივე ნახევარს ერთი საქმის კეთება უწევს და საფიქრელად, სა-
 ოცნებოდ არც ერთს აღარ სცალია ასეთ დროს ძალიან ვიღლები, მხრები მიმძი-
 მდება და კეფაზეც რაღაცა ისე მიჭერს, თითქოს ერთმანეთზე ჰაიპარად შეწე-

ბებული ნაწილების გახლეჩა უნდაო. ნეტავი მე რაში შეკითხება, რამდენი თანხაა შემოსული წინასწარგარიშო პერიოდის მეორე კვარტალში და საერთოდ ნეტა რა უნდა ჩავწერო იმ გრაფაში რომელსაც „ჭანჭიკები და ღვეშები“ ჰქვია? ნეტა მე ვინ შეკითხავს საერთო ხარჯების შემცირებისათვის საჭირო ვაშქრის ზომების მიღებას?

დღეს კარგი დღე იყო: რუტინა სუფევდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 18 თებერვალი

არც ერთი შვილი მე არა მგავს. სამივენი ჩემზე უფრო ენერგიულები და თამაშები არიან. ყოყმანი და იჭვეი არ სჩვევიათ ესტებანი ბრაზიანია, არ ვიცი ვისზე ბრაზობს, მაგრამ ყოველთვის რომ ბრაზობს. ეს კი ნამდვილად ვიცი მეჩვენება, რომ პატივისცემით მეკიდება. თუმცა რა ვიცი, იქნებ ვცდები. ხაიმე მე მგონი, ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ ყოველთვის როდი გვესმის ერთმანეთისა, კეთილი და ჭკვიანი ყმაწვილია, ოღონდ მთლად პატიოსანი არ უნდა იყოს. ისე მგონია მე. ჩვენ შორის კედელია აღმართული. ხაიმეს ხან თითქოს ვებულვარ, ხან მეტიმეტად ვუყვარვარ. რაც შეეხება ბლანკას, ის ერთი რამით მაინცა მე ავს მე: ჩემსავით ხელმოცარულია და ჩემსავით ისიც ბედნიერებისაკენ ილტვის. სხვაფრივ კი ჯიუტად და ერთგულად დარაჯობს თავის პირად ცხოვრებას. გულს არასოდეს გადამიშლის. სიტყვასაც არ დასძრავს. ხოლმე თავის სატკივარზე ბლანკა უმეტესად სახლშია, ჩვენ გამო დიდი ჯაფა აწევს მხრებზე — სადილაოსარეცხიო, დალაგებაო. ძმებთან კამათისას გაკაბასდება ხოლმე, მაგრამ შეუძლია თავიც მოთოკოს და ძმებიც დააშოშმინოს. შესაძლოა და-ძმებს სადღაც სულის სიღრმეში უყვართ კიდევ ერთმანეთი, მაგრამ ამ სიყვარულს ჩვეულებისამებრ რაღაც ურთიერთგამაღიზიანებელიც ახლავს თან. არა, სულაც არა მგვანან ჩემი შვილები, გარეგნულადაც კი არა მგვანან. ესტებანს და ბლანკას ისაბელის თვალები აქვთ, ხაიმეს — ისაბელის შუბლი და ტურ-პირი. ნეტავ რას იტყოდა ისაბელი, ახლა რომ თავისი შვილები დაენახა — ასეთი ფიქრიანი, დაქალებულ-დაკაცებული შვილები? ისე, ერთი საჩოთირო შეკითხვაცა მაქვს: რას ვიტყვოდი მე, ახლა რომ ისაბელი დამენახა? სიკვდილი საშინელებაა იმათთვის ვინც ამქვეყნად დარჩა, მართლაც საშინელებაა სიკვდილი ცოცხლებისათვის. მე მგონი, შემძლია ვიამაყო — ქვრივმა კაცმა მარტოვამ აღვზარდე სამი შვილი და კარგადაც გავართვი თავი ამ საქმეს. მაგრამ არ ვამაყო. მე დავიღალე. ოცი ან ოცდაათი წლისა ხომ არა ვარ, ვიამაყო! მოვალე ვიყავი გამერთვა თავი ამ საქმისთვის. სხვაფრივ არ ამცდებოდა ის უღმობელი ზიზღი, რომელიც ადამიანებს აქვთ ხოლმე საგანგებოდ შემონახული უსულგულო მამების მიმართ. სხვა გზა არცა მქონდა, პოდა. მეც გავართვი თავი. მაგრამ ბევრი რამ ჩემზეც არ იყო დამოკიდებული, ამიტომაც არ ვამაყო.

სამშაბათი, 19 თებერვალი.

ოთხი საათისთვის გაუსაძლისი სიცარიელე ვიგრძენი. სამუშაო პიჯაკი გავიხადე. კადრების განყოფილებაში შევედი და დავიბარე, ბანკში მივდივარ საქმეზე-მეთქი, რა თქმა უნდა, ვიცრუე; ყელში ამომივიდა ჩემი საწერი მაგიდის მოპირდაპირე კედლის ცქერა, საშინელი კედელია. თითქმის მთლიანადაა დაფარული გოიასადმი მიძღვნილი თებერვლისთვის კალენდრით, როგორი წარმოსადგენია, გოია და ჩვენი ძველი, ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების საიმპორ-

ტი კანტორა?! არ ვიცი, რა მომივიდოდა, ბანკში წასვლა რომ არ მომემიზებებინა, ალბათ ავაფრენდი, ყვირილს ავტეხდი, ან შესაძლოა ალერგიული შეტევა მომსვლოდა და ცემინებით ამეკლო აქაურობა. მაგრამ მე ხომ ვიცი, არაფერს ამდაგვარს არ ჩავიდენდი, ავდგებოდი და შემოსავალ-გასავლის დაკითხვას ჩავუჯდებოდი; გამოცდილი მაქვს: უკიდურესი ნერვული დაძაბულობის შემთხვევაში როდი იწვევს უკიდურესობას. ძალიან ხშირად ასეთ მდგომარეობებში მისვლას ბანალური მორჩილება: იცი, სხვა გზა არ გაქვს, ბედს ურიგდები და უსიტყვოდ იტან მრავალნაირ ჩაგვრას. და მაინც სიამოვნებას გგვრის, როცა საკუთარ თავს ვამშვიდებ: არ არის საჭირო უკიდურესობა. უნდა გაუძლო, ზედმეტი აღელვება კარგს არაფერს მოგიტანს-მეთქი. პოდა, აი, სწორედ ასეთ წუთებში, დღევანდელივით. კანტორიდან გავრბივარ შლევგიანივით, სუფთა პაერი, სივრცე და ღმერთმა იცის, კიდევ რა მინდა. ერთი სიტყვით, სულაც არ დავფრინავ ღრუბლებში. პირიქით, მიწაზეც ცოტა მყოფნის: შევდივარ კაფეში, ვჯდები ფანჯარასთან და თვალს ვაყოლებ ქუჩაში გამვლელ ფეხებჩამოქნილ ქალებს.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სამუშაო საათებში ქალაქი სულ სხვანაირია. საკუთარი ხუთი თითივით ვიცი იმ მოხელეთა მონტევიდოს, რომელთა ცხოვრებაც ერთი, დაკანონებული განრიგით მიედინება: მოხელეები ცხრის ნახევარზე შედიან თავ-თავიანთ დაწესებულებებში, თორმეტზე გამოდიან, სამის ნახევარზე კვლავ შედიან და დღის ბოლოს, შვიდ საათზე მიდიან სახლებში. მებევრჯერ შევხვედრივარ ამ მოხელეებს ქუჩებში და კარგადაც ვცნობ მათ სახეზე — დაღრეჯილთ, გაოფლილთ, ბარბაცით მიმავალთ. არსებობს სხვა მონტევიდოც: ნამუადღევის ქალაქს მშვენიერა ქალები ავსებენ. დაბანილ-დავარცხნილები, ამპარტავნები, თვითდაჯერებულნი და უზრუნველნი კეთილსურნელებას აფრქვევენ ირგვლივ; „დედიკოს შვილიკოებიც“ — შუადღემდე რომ ნებივრობენ სწოლებში — საღამოს ექვს საათზე მოედებიან ხოლმე ქალაქს უცხოურ ყურყურებულა ძაღლებივით გასლექილები. მოხუცები დარიბული მოგზაურობით იხალისებენ გულს: ბოლო გაჩერებამდე, საბაჟომდე მიდიან, იმავე ავტობუსებით ბრუნდებიან უკან და წარსულზე მოგონებებით სევდანამდგარი თვალებით შესცქერიან „ძველ ქალაქს“. ახალგაზრდა დედები, რაკი საღამოობით ვერ იცლიან, დამნაშავეებით შედიან კინოში ოთხისნახევრიან სუანსზე. და ვიდრე ძიძები თავ-თავიანთ ქალბატონებს აქიაქებენ, პატარები ლამის შეჭამონ ბუზებმა, და ბოლოს პენსიონერები და სხვა მათსავით მოწყენილი ადამიანები მოედანზე პურის ნამცეცებით უმასპინძლებინ მტრედებს სამოთხეში მოხვედრის იმედით. ამ ხალხს კარგად არ ვიცი. ვოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ასეა თუ ისე, ამათ ცხოვრება მოწყობილი აქვთ უკვე, მე კი ლამის ჭკუაზე შემშალოს გოიასადმი მიძღვნილი თებერვლის კალენდრის ცქერამ.

სუმოზაბათი, 21 თებერვალი

დღისით კანტორიდან გამოსულს, ქუჩაში მთვრალი კაცი ამეკიდა; არც მთავრობას აგინებდა, არც ძმობას მეფიცებოდა, საერთოდ, არაფერი უთქვამს ისეთი, მთვრალეს რომ სჩვევიათ. უცნაური კაცი იყო, თვალებიც უცნაურად უბრწყინავდა. მკლავში ხელი გამომდო, მხარზე მხრით მომეყრდნო და წამჩურჩულა: „გინდა გითხრა, რაცა გჭირს?“. შენ არსად არ მიდიხარ“. ვიდაც გამვლელმა მხიარული თანაგრძნობით შემომხედა, თვალიც კი ჩამიკრა გამგებინად. ოთხი საათია ვერ დავმშვიდებულვარ, მგონი, მართლაც არსად არ მივდივარ. მხოლოდ ახლა მივხვდი ამას.

შაბათი, 22 თებერვალი

მეზობლები რომ გავალ, ალბათ დღიურის წერას მოვეშვები. რაღა მექნება დი-
ნაწერი კაცი რომ დაცარიელებულად იგრძნობს თავს და თანაც ამის თაობაზე
წერხლოდით საბუთსაც დატოვებს. სწორედაც რომ საბავლობაა ჩემი ასობის
მჯობებს. შესიონურმა უხაქმურობას, ერთგვარ უძრაობასა და თვლემან მისკეს
თავით რათა სელხელა დაესუსტდეს სერვები, მოეშვას კუნთები, დასრულდეს
და ამრიგად მოეშვადოს, სიკვდილისათვის... მაგრამ არა! არის წუთები, როცა იმ-
ედით ვიქნები და შევრა, რომ ჩემი შესიონურული ცხოვრება სისხლსავსე და
მსჭყფარე იქნება, თვითგამორკვევის, საკუთარი თავის პოვნის უკანასკნელი შანსი
იქნება, და თუ ასეა, მაშინ რატომ უნდა მოვეშვა დღიურის წერას?

შაბათი, 23 თებერვალი

დღეს მარტოკამ ვინადილე ქალაქის ცენტრში, ნასადილევს მერსედესის
ქუჩაზე, მაგაბიჯებდი, რომ უცებ ვიდ-ც ყავისფერკოსტუმიანი კაცი მომვარდა-
რღაღის მელულლულულებოდა. მე მგონი მესალმებოდა. ცნობისწადილმა შემიპყ-
რა, შეეხერდი, დაეკვირდი, კაცმა გუბებდავად გამომიწოდა ხელი, თითქოს მე-
ცნო ვიღაცის კარიკატურას მივამსგავსე და, რაც მთავარია, ამ ვიღაცას, მგონი-
წინათ ვიცნობდი. გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი, მოუბოდიშე, ვერ გაგიხსენეი-
მეთქი. „მარტინ სანტომე ხომ ხართ თქვენ?“ — გამიღიმა, მეჩხერი კბილები გა-
მომიჩანა. კი, ნამდვილად მარტინ სანტომე ვარ-მეთქი. ვუპასუხე, ჯერ კიდევ და-
ბნეულმა „ბრანდსენის ქუჩა გახსოვს?“ ბუნდოვნად მახსოვს. ხუმრობა საქ-
მე ხომ არ არის, იცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, თანაც მეხსიერებითაც ვერ
დავიტრიაბახეს. ცოლის შერთვამდე რომ ამ ქუჩაზე ვცხოვრობდი, ეს მახსოვს,
მაგრამ ჯობითაც რომ ვეცემე ვინმეს, ვერ ვიტყვოდი, როგორი იყო ჩემი სახლი,
რამდენი აივანი მქონდა, მუზობლები ვინ იყვნენ. „კაფეც არ გახსოვს ჯეფენსის
ქუჩაზე?“ აი, ახლა კი მგონი, ცოტა ვაიფანტა ბურუსი. თვალწინ გამიელვა გა-
ლფისიელი ალვარესის უხარმაზარმა დიპმა, მისმა ფართოზე ფართო ქამარმა
„მახსოვს, მახსოვს!“ — შევევირე ერთიანად გაბრწყინებულმა. „ჰოდა მე მართი
ვიგნალე ვარ“ ვაიმე, მართი ვიგნალე? რომ არ მახსოვს? მაგრამ არ ვინდა უთ-
ხნი? კაცი ისეა გახარებული ამ შეხვედრით. რა თქმა უნდა, მახსოვხართ-მეთქი,
უთხარი მაპატყუო. სახეებს ცუდად ვამახსოვრებ, ამას წინათ ალალი ბიძამ-
კული შემხვდა და ვერ ვიციანი-მეთქი (ტყუილი!). რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის
ფასანამსხავად თითო ფინჯანი ყავა დალიეთ, ასე რომ, შაბათის სიესტა ჩამეფუ-
მა, ღორ საათზე შეტხანს ვილაპარაკეი იგი ისე წვრილად ყვებოდა ძველ ამბებს,
თითქოს რაღაცას მაბადლებოდა, თითქოს სურდა გაეხსენებინა ჩემთვის, რაღაც პა-
ტარა წლილი მეც მიმიძღვის შენს ცხოვრებაშიო: „მახსოვს, დედაშენი რა გემ-
რიელ ერბოკვერცხს წვაავდა მაშხთან ერთად. თითებს ჩაატანდი. სულ ვცდილო-
ბდი, თერთმეტის ნახევარზე თქვენთან ვყოფილიყავი, რათა საუზმეზე მიგეპატი-
ყუო“, — და ხმამაღლა ვადიხარხარა „ყოველთვის?“ — ვკითხე მე ჯერ კიდევ
უნდობლად. მან დაიმორცხვა: „ალბათ სამჯერ, ოთხჯერ“. ნუთუ მართაღს აბ-
ხობს? „დღედაშენი როგორ არის?“ „ოთხთმეტი წელიწადია, მოკვდა“. „რას შეუ-
ბნებია? შამაშენი?“ „ორი წლის წინ მოკვდა ტაკუარემბოში. მაშიდა ლეონორთან
ცხოვრობდა“. „ალბათ მოხუცდა“. რა თქმა უნდა, მოხუცდა. ღმერთო ჩემო, არ
დამტანჯა?! ბოლოს, როგორც იქნა, ცოტა გონივრული რამ შემეკითხა: „რა ჰქე-
ნი მაშინ, ისაბელი შეირა?“ „შევირთე, სამი შვილი მყავს“. ვცდილობდი საუ-

ბარი შემემოკლებინა. მას თურმე ხუთი შვილი ჰყავს. რა ბედნიერებაა! „ისაბელი როგორ არის. ისევ ლამაზია?“ „ისაბელი მოკვდა“, — ვუთხარი რაც შემემძლო უსულგულოდ. სიტყვა „მოკვდა“ თოფის გასროლასავით გაისმა ვიგნალე დაინა. რაც ცუდი თვისება არ უნდა იყოს, ჩემი აზრით. სასწრაფოდ დადიო ყავა და ასევე სასწრაფოდ დახედა საათს. პირობითი რეფლექსივითაა ეს — საკმარისია ვინმეს სიკვდილი ახსენო, რომ მოსაუბრე უმალ საათზე იხედება.

კვირა, 24 თებერვალი

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვიგნალესთან შეხვედრამ მტანჯველი ფიქრი ამიშალა ისაბელზე. სულაც არ მინდა მისი სახე აღვადგინო ოჯახური სასაცილო ამბების, ძველი ფოტოსურათების და ესტებანსა და ბლანკასთან მსგავსების დახმარებით. ისაბელზე ყველაფერი ვიცი, არავისი დახმარება არ მჭირდება. მე თვითონ, გარეშეთა ჩაურევლად მინდა გავიხსენო მისი ნაკვთები და დაეინახო იგი ისე ცხადლივ, როგორც საკუთარ სახეს ვხედავ ახლა სარკეში. არაფერი გამომდის ვიცი, რომ ისაბელს მწვანე თვალები აქვს. მაგრამ რატომღაც ვერა ვგრძნობ მის მხერას.

ორშაბათი, 25 თებერვალი

შვილებს იშვიათად ვხედავ. ჩვენი დასვენების საათები და დღეები ერთმანეთს არ ემთხვევა, ასევე არ ემთხვევა ერთმანეთს ჩვენი გეგმები და შეხედულებები. შვილები პატივისცემით მეპყრობიან, მაგრამ მეტიმეტად გულჩახვეულები არიან მე მგონი. მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გამო მეპყრობიან პატივისცემით. ესტებანი, მაგალითად, ცდილობს თავი შეიკავოს და არ შემეკამათოს. იქნებ ასაკობრივი სხვაობის ბრალია, ან იქნებ სჯობდა მე თვითონ გამომენახა მათთან საერთო ენა? ისე კი, ჩემი აზრით, ისინი ცხოვრებას არ ეპუებიან, უფრო სწორად, არ სჯერათ მისი, თანაც უფრო მიზანდასახულნი არიან, ვიდრე მე ვიყავი მათი ხნისა.

დღეს ყველამ ერთად ვივახშმეთ. კარგა ხანია, ლამის ორი თვე იქნება, თავი არ მოგვიყრია ოჯახურ სუფრასთან ვიხუმრე, დღეს რამე დღესასწაული ხომ არ არის-მეთქი, არავის უპასუხნია. მხოლოდ ბლანკამ შემომხედა ღიმილით და მაგრძნობინა, მიგიხვდი, რისი თქმაც გინდაო. ჩემი დაკვირვებით, სანთიმოდუმილი მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ დაირღვა. ხაიმემ თქვა წვნიანს მარილი აკლიაო. „მარილი მანდვეა, შენი მარჯვენა ხელიდან ათ სანტიმეტრზე, — უპასუხა ბლანკამ და თან გესლიანად დაუმატა: — ხომ არ მოგაწოდო?“ წვნიანს მართლა აკლდა მარილი, მაგრამ ვანა ამაზე ღირს ლაპარაკი? ესტებანმა გამოგვიცხადა, მომავალი კვარტლიდან ბინის ქირა თვრამეტი პესოთი გაძვირდებაო. ბინის ქირას ყველანი ერთად ვიხდით, ასე რომ, საგანგაშო აქ არაფერია. ხაიმემ გაზეთი გაშალა. როცა კაცი თავისიანებთან ერთად უზის სუფრას და გაზეთს კითხულობს, ის ამ თავის საქციელით შეურაცყოფს ყველას. ასეც ვუთხარი. ხაიმემ გაზეთი გადადო, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, უცხოსაყით იჯდა. მე ვიგნალესთან შეხვედრის ამბის მოყოლა წამოვიწყე, თან ვცდილობდი სასაცილოდ მომეყოლა, იქნებ ვახშამი ცოტათი მაინც გამოვაცოცხლო-მეთქი. ხაიმემ მკითხა: „რომელ ვიგნალეზე ლაპარაკობ?“ „მარიო ვიგნალეზე“. „ულვაშა და მელოტი კაცი რომ არის?“ „სწორედ ეგა“. „ვიცნობ მე მაგას. კარგი ჩიტია, ფერეირას მეგობარია, დიდი წამგლეჯი ვინმეა“. გუნებაში გამეხარდა, ვიგნალე რომ ასეთი კაცი გამოდგა, მაშასადამე, შემიძლია სინდისის უქენჯნელად ჩამოვშორდე. მა-

გრამ უცებ ბლანკამ იკითხა: „მაგან რა დედა გაიხსენა?“ მე მგონი, ხაიმეს რაღაცის თქმა უნდოდა, პირიც კი დააღო სათქმელად, მაგრამ არაფერი თქვა, „ბედნიერი კაცი — თქვა ბლანკამ. — მე კი სულ არ მახსოვს დედაჩემი“. „მე მახსოვს“, — თქვა ესტებანმა. ნეტავ როგორ ახსოვს როგორც მე მახსოვს, მაგალითად, სხვისი მოგონებების დახმარებით, თუ, უბრალოდ, ხედავს მას ისე, როგორც ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავს სარკეში? ნუთუ ესტებანი ხედავს დედას? შეუძლებელია, იგი ხომ მაშინ ოთხი წლისა იყო მხოლოდ; მე კი, ვისაც ამდენი ღამე, ამდენი ღამე, ამდენი ღამე მახსოვს, ვერა ვხედავ მას! მე და ისაბელს სიბნელეში გვიყვარდა ერთმანეთი. შეიძლება სწორედ ამიტომაც ვერ ვხედავ მის სახეს, კი, რა თქმა უნდა, ასეა, ჩემს ხელებს ახსოვთ ის ღამეები, ახსოვთ მისი სხეული. კი მაგრამ, დღისით? დღისით ხომ არ ბნელოდა? შინ დაღლილი, გულდამძიმებული და შეიძლება გაბორბოტებულიც ვბრუნდებოდი ცუდად და უფერულად ჩაყვლილი დღებისა და თვეების გამო.

მუდამ ხარჯებს ვანგარიშობდით. ფული არასოდეს გვექონია საკმარისი. იქნებ სულაც დიდხანს რომ ჩავცქეროდით ამ ციფრებს — ეს შემოსავალიო, ეს გასავალიო, — იმიტომაც არა გვეცალოდა, ერთმანეთისათვის ჩაკვებდა თვალებში. ნეტავ სადაც არის ისაბელი. — თუკი არის სადმე — როგორ მიხსენებს? ანდა, ბოლოს და ბოლოს, განა ასე აუცილებელია, კაცი გაიხსენო? „ზოგჯერ ვგრძნობ, უბედური ვარ იმისა გამო, რომ თვითონ არ ვიცი, რა მინდა“, — ჩაილაპარაკა ბლანკამ და შაქრის სიროფში ჩაწყობილი ატმები ჩამოგვირიგა. სამნახევარ-სამნახევარი გვერგო ყველას.

ოთხშაბათი, 27 თებერვალი

დღეს კანტორაში შეიდი ახალი თანამშრომელი მივიღეთ: ოთხი კაცი და სამი ქალი. შეშინებულები მოკრძალებული შურით შემოგვეცქეროდნენ. ჩემთან გაამწესეს ორი პირზე რძეშეუმშრალი ბიჭი (ერთი თვრამეტი წლისა, მეორე ოცდაორისა) და ერთიც ქალიშვილი, ოცდაოთხი წლისა. ასე რომ, მე ახლა ნამდვილი შეფი ვარ. ჯერჯერობით ექვსი კაცი მყავს განყოფილებაში და მათ შორის ქალი — პირველად! ციფრებზე მუშაობას მათ ვერ ვანდობ. არის კიდევ ერთი უხერხულობაც. ციკლური შეუძლობის დღეებში, და ამ დღეებამდე ცოტა ადრეც, ჭკვიანი ქალები შერევილები ხდებიან, ხოლო შერევილი ქალები მთლად გამოშტერდებიან ხოლმე. ახალი თანამშრომლები ცუდი ახალგაზრდები არა ჩანან. თვრამეტი წლისა რომ არის, ის ბიჭი ნაკლებად მომწონს; სახე ქალური და ნაზი აქვს, გამოხედვა მლიქვნელური და გაფაციცებული. მეორეს, თმანეჩილ ახალგაზრდას სასიამოვნო სახე აქვს და ეტყობა, რომ მას — ყოველ შემთხვევაში ახლა — მუშაობა სწადია. ქალიშვილი, ჩემი აზრით, დიდად არ იკლავს თავს მუშაობისათვის, მაგრამ მოსმენით მაინც მოისმენს, თუკი რამეს აუეხსნი. მას ფართო შუბლი და დიდი ტურ-პირი აქვს, მე კი ასეთი სახეები მომწონს. ახალ თანამშრომლებს აღფრედო სანტინის და როდოლფო სიერას სასაქონლო კატალოგებს ჩაუბარებ, ლაურა აველიანუდას კი რეალიზაციის ანგარიშისას დავიხმარ.

სუთშაბათი, 28 თებერვალი

დღეს საღამოს ბლანკას ველაპარაკე და თითქოს პირველად გაუიცანი საკუთარი ქალიშვილი. ნაუახშმევს მარტონი დავრჩით. მე ვაზეთს ჩავუჯექი, მან პასიანსი გაშალა. უცებ კარტიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა, ერთ წერტილს

მიმტერებულ თვალებში ნაღველი და დანხეულობა ჩაუდგა. ცოტა ხნის მანა-
 ქირე, ძერე ავითბე, რაზე ფიქრობ-მეთქი, ბლანკა გამოერედა, მისი თვალები
 აიფარა სახეზე ხელები და ატიარდა. ატიარებულ ქალს ვინ ვიხილავთ? ვინ
 არ ვიცი, რა გავაკეთო, რით ვუშველო, ამჯერად მაშობროს, თანხლები ამჯერ
 შალა, წამოუდგე, მიუეახლოვდი და უნეტოდ მივეცი. **ქრისტეშვილი**
ბინძურიცაა
 გადაუხევი ხელი. ბლანკა ხელ-ხელა დაწარდა, მისი ხელები ხელ-
 ხელებაც ჩამოიშორა სახიდან. ჩემი ცხვირსახოციც შევეშვარაღე. თვალები
 მოქწმინდე ცხვირი, ახლა ბლანკა სულ არ ჰგავდა იცოდასამო წლის ქალიშვილს.
 ჩემ წინ იჯდა თავისი დიდი სადარდებლო გულდასიძებული პატარა, უწყვე
 გოგო, რომელსაც საყვარელი თოჯინა შენაატყდა ხელში ან სულაც ზოიპარკში
 არ წაიყვანეს. ვითბე: „ცუდადა ხარ?“ „ხო“, — მიპასუხა. „რატიმ?“ — ვა
 თბე მე: „არ ვიცი“. „აღბათ არის რაღაცა, ადამიანები უმხეზოდ არა ტირობს“
 და მაშინ ბლანკა აღაპარაკდა; ლაპარაკობდა არეულად, ერთბაშად მოვარდნილა
 სურვილით ატაცებული — ვინმესთვის ვადაეშალა გული. „შემინია, დრო სწრა-
 ვად გარბის, მე კი ვერაფერს ვაკეთებ, ანც არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში,
 არაფერი შადედეებს. ესტებასხა და ხაიმეს რომ ვუყვარებ, ვგრძნობ, უბედურება
 არიან. სუ გამოწვრები და ზოგჯერ შენც რომ ვიყურებ, ვფიქრობ: სულაც არ
 მინდა ორმოცდაათ წლამდე მივადწიო, თუკი მამახემიციო მძვიდი და ბუღალე-
 ვებული ვიქნები-მეთქი. გესმის, მამა, ჩემთვის შენ ერთი საწყალი, უძლეუ
 კაცი ხარ. მე კი ვგრძნობ, ძალა მაქვს, მაგრამ არ ვიცი, ეს ძალა რაში მიუხარ-
 ჯო, სად გამოვიყენო. შენ ბედს დამორო ღდი, მამა რაღაცხაირი უფრო მე
 გაბდი და სწორედ ეს მზარავს მე, რადგან ვიცი, ბუნებით არა ხარ უფერული,
 ყოველ შემთხვევაში, არ იყავი უფერულ“. მე ვუთხარი (სხვა რამის თქმა კი
 შემეძლია განა?): „შენ მართალი ხარ. წადი ამ სახლიდან, დავეთოვა ბედი და
 აქაურობას. სიზარული მომგვარა შენმა კვირილმა, პროტესტმა. ასე შეიძინა,
 საკუთარი ხმა მესმის შორეული წარსულიდან“. ბლანკამ გამოიღმა, რა კარგა
 ხარი, და უწინდელივით კისურზე შემოიკვია ხელეც. ნამდვილად პატარა
 გოგოა ჯერ...

პარასკევი, 1 მარტი

მმართველმა ხუთივე განყოფილების კომპე გამოკვიდახა თავისიდან და მიუ-
 ლი ორმოცდახუთი წუთი გველაპარაკა თანამშრომელთა „შრომის ნაყოფიერ-
 რების დაბალ დონეზე“. მეო, დირექციამ დამავალათ, თვალთ ვიდევნო თანამშ-
 რომელთა მუშაობასი და სულაც არ მინდა თქვენი დაუდეურობის გამო (რე-
 სიამოვნებითა და ხაზგასმით წარმოთქვა „ტყუა „დაუდეურობა“) შევირცხვირო
 სახელით. ასე და ამგვარადო, დღეიდანო... და ასე შემდეგ

ნეტავ ვის გულისხმობს, როცა „შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეზე“
 ლაპარაკობს? ყოველ შემთხვევაში, მე შემეძლია დაბეჯითებით კოქეა: ჩემი გან-
 ყოფილება მუშაობს. თანაც მარტო ახლე კი არა, სკელებიც რა თქმა უნდა
 მენდებს რომელიმე დეტექტური რომანი მიხერხებულად უდევს ხოლმე საწერი
 მაგიდის შუა უჯრაში და ჩუმად კითხულობს, ამავე დროს მარჯვენა ხელში
 მუდამ აქვს მომარჯკებული კალამი, აქა და, უფრო სიბიდან იუ ვანზე შემო-
 ვა, ვითომ ვმუშაობო. ეს ასეა. მუნიოს საყოველო განყოფილებაში რომ ვავსა-
 ნით, დროს იხელთებს და ერთი ოციოდე წუთით ღუაჩანაში შეირბენს ხოლმე
 კობა ღუდის დასალეველ და სულის მოსათქმელად. ესეც ასეა, რომელიმე მუ-
 დამდე ზუსტად თერთმეტის თხუთმეტ წუთზე ვადის ხოლმე საპირფარეოში,

რათა უბეში ღამალული რომელიმე ილუსტრირებულ ჟურნალს ან სპორტულ გაზეთს გადაეცალოს თვალი. ესეც ასეა. მაგრამ რაც მართალია, სამუშაოს მუდამ ჯერონად ვასრულებთ. როცა სასწრაფო საქმეა გასაკეთებული ან პნევმატიკური ფოსტა შეუსვენებელივ გვაწვდის საბანკო საბუთებს, სპორტული გუნდით ყველანი თავდადებით და მეგობრულად ვმუშაობთ. ყველამ კარგად იცის თავისი საქმე. მე მათ ვენდობი და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი იქვე კეთდება უფროს ვორც საჭიროა.

ძალიან კარგად ვხვდები, მმართველი ვისაც გულისხმობს. ექსპედიციის განყოფილება ზანტად მუშაობს, თავის მოვალეობას ვერ ართმევს თავს. მმართველის ქადაგება სუარესისადმი იყო მიმართული, მაგრამ ნეტავ რაში სჭირდებოდა ყველას გამოძახება? რატომ უნდა გავიღანძლოთ ყველანი, თუკი მარტოს ერთია დამნაშავე? მაგრამ რას ვიზამთ. მმართველმა და ჩვენც ყველამ ვიცით, რომ სუარესი გენერალური დირექტორის ქალიშვილის კურთა. ღამაში გოგოა ღიღია ვალვერდე.

შაბათი, 2 მარტი

ოცდაათი წლის შემდეგ ღამით კვლავ დაძვსიზმრნენ ისინი — კაპიუშონიანი არსებები. ოთხი წლისა ვიყავი, იქნებ უფრო პატარაც, დატანჯული მყავდა თურმე მთელი ოჯახი — კარტოფილის პიურეს არ ეჭამდი. ჰოდა, ერთხელაც ამდგარა ბებიაჩემი და მე რომ ერთი-ორი კოვზი პიურე გადამეყლაპა, ორიგინალური რამ მოუგონია: გაიკეთებდა შავ სათვალეს, ჩაიცვამდა ბიძაჩემის ჩაფართხუნებულ ლაბადას, თავზე გადმოიხურაუდა კაპიუშონს, გარედან მოადგებოდა ფანჯარას და აკაკუნებდა. ამ დროს მოახლე, დედარჩემი და დეიდაჩემი ერთხმად აყვირდებოდნენ ხოლმე: „ღონ პოლიკარპი მოვიდა!“ ასე ეძახდნენ იმ ურჩხულს, რომელიც უჭმელ ბაუშვებს იტაცებდა. შიშისაგან დარეტიანებული ვიკრებდი ძალას, წარმოუდგენელი სისწრაფით გამოძრავებდი ყბებს და ინდაურივით ყვლაპავდი საძულველ პიურეს. ბებიას ეს ხერხი ყველას მოსწონდა: ახსენებ ღონ პოლიკარპის სახელს და თითქოს ჯადოსნური კვერთხი მოიქნისო... ბოლოს და ბოლოს ეს ხერხი უფროსების საყოველთაო გასართობად იქცა. თუ ვინმე ქალი გვესტუმრებოდა, საგანგებოდ შემოჰყავდათ ჩემს ოთახში, ნახეთ, ღონ პოლიკარპის ხსენებაზე როგორ კანკალებს, ხომ სასაცილოაო? საკვირველია პირდაპირ, ისე მკაცრნი არიან ადამიანები, რომ თვითონაც ვერ ამჩნევენ. მე ხომ მხოლოდ იმ წუთებში არ მიპყრობდა შიში? ხომ იყო კიდევ მღუმარე, უცნაური და საზარელი კაპიუშონიანი არსებებით აფუთფუთებული გრძელი ღამეებიც? მე მათ ყოველთვის ჩემკენ ზურგშექცეულებს ვხედავდი, ერთი მეორის მიყოლებით ამოდითდნენ ისინი სქელი ბურუსიდან და ცალ-ცალკე, რივრივობით იკავებდნენ ადგილს ჩემს შიშში. მღუმარედ, მძიმედ და დაუსრულებელივ მოქანაობდნენ და ბიძაჩემის ლაბადასავით ნაცრისფერ ლაბალებს მოაფართხუნებდნენ. საკულისხმოა: სიზმარში ნაკლებ მეძინოდა მათი, ვიდრე ცხადში. გადიოდა წლები და ეს შიშიც თანდათანობით იძენდა რაღაც უცნაური ტკბობის სურნელს, დაპიპნობებულივით თვალდახუჭული შევცქეროდი ამ მომნუსხავ მსვლელობას. როცა სხვა სიზმარს ვხედავდი, მაშინაც კი ვგრძნობდი, რომ მათი ნახვა მიწოდდა. ერთხელაც გამომეცხადნენ ისინი უკანასკნელად. ჩაიარეს ჩვეულებისამებრ ერთი მეორის მიყოლებით, მღუმარედ, ქანავ-ქანაობით. და... გაქრნენ. მას შემდეგ არაერთ წელიწადს დარდისა და მოლოდინის რაღაცნაირად ავადმყოფური შეგრძნება მტანჯავდა ხოლმე ძილში. ბევრჯერ უცადე

კვლავ შენახა ისინი სიზმარში, მაგრამ სქელი ბურუსი ფარავდა ყველაფერს. ასე რომ, შიში თანდათან მტოვებდა და ძალაც ეცლებოდა. მათთან შეხვედრის ყოველგვარი იმედი რომ გადამეწურა, როგორღაც თავისთავად, ჩემმა შეუმჩნევლად დავიწყე ამ ჩემი არცთუ რთული სიზმრის მოყოლა ნაცნობებთან, ბოლოს კი აღარც გამხსენებია... ამ ღამემდე. ამ ღამით კი სიზმარს უფრო უხამსი ეთქმოდა ამ სიზმარს, ვიდრე ცოდვიანი... შუა სიზმარში რომ უცებ გაქრა. ბურუსმა დაფარა ყოველივე, მაგრამ ძალე ბურუსიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ ისინი. შიშმა და აუწერულმა სიამოვნებამ შემიპყრო. ვიცი, ცოტა რომ მოვიხდომი, შეიძლება ახლაც ვიგრძნო ის შიში, ძლიერი თუ არა, სუსტი მაინც. მოდიოდნენ და მოქანაობდნენ ისინი, მარადიულნი და უცვლელნი, კაპიუშონიან ლაბალებში, მოდიოდნენ და მოქანაობდნენ ჩემი ბავშვობიდან და... უცებ უჩვეულო რამ მოხდა: სულ რაღაც ერთი წამით შემობრუნდნენ ყველანი ჩემკენ და მე დავინახე, რომ ყველას ბებიჩემის სახე ჰქონდა.

სამუშაბათი, 12 პარტი

კარგია, როცა გონიერი თანამშრომელი გყავს. დღეს გადავწყვიტე, აველიანედასთვის გამოცლა ჩამეტარებინა. ჯერ ავეხსენი, რისი გაკეთებაც ევალებოდა. მე ვლაპარაკობდი, ის კი იწერდა. როცა ახსნა დავამთავრე, მითხრა: „იცით, რა, სენიორ, მე მგონი, ძირითადად გავიგე, მაგრამ რაღაც-რაღაცებში გარკვევა მაინც მჭირდება“. რაღაც-რაღაცებში!... მენდესი განაგებდა ამ საქმეებს და მთელი ოთხი წელიწადი მოანდომა გარკვევას, ეს კი — „რაღაც-რაღაცებში“... აველიანედა ჩემი მაგიდის მარჯვნივ რომ მაგიდა დგას, იქ დავსვი. დროდადრო გავხედავდი, ფეხები ლამაზი ჰქონდა. მექანიკურად ჯერ ვერ მუშაობს, ამიტომაც იღლება, თანაც დეღავს და ნერვიულობს. ეტყობა, ცოტაც რცხვენია, რომ მე მისი უფროსი ვარ. „სენიორ სანტომეო“ მომმართავს და ამასთან ხშირ-ხშირად აფაზულებს თვალებს. ლამაზი არ ეთქმის, მაგრამ ღიმილი კი მართლაც ლამაზი აქვს.

ოთხშაბათი, 13 პარტი

დღისით ცენტრიდან შინ რომ დავბრუნდი, ხაიმე და ესტებანი ჩხუბობდნენ სამზარეულოში. მომესმა, ესტებანმა ვიღაც „მყრალი მეგობრები“ უხსენა ხაიმეს. ჩემი ფეხის ხმა რომ გაიგონეს, მაშინვე გაჩუმდნენ, ვითომც არაფერიყო, მაგრამ ესტებანს ჯერაც უელავდა თვალები, ხაიმე კი ტუნებს იკვნეტდა. „რამ მოხდა?“ — ვიკითხე მე. ხაიმემ მხრები აიჩენა, ესტებანმა კი მომახალა: „შენი საქმე არ არის!“ როგორ მიხდოდა, ერთი მაგრად ჩამეცხო კბილებში! ნუთუ ეს ჩემი შვილია? ღმერთო, რა მკაცრი სახე აქვს, ნეტავ თუ არის ვინმე ან რაიმე, მისი მორბილება რომ შეეძლოს. შენი საქმე არ არისო... მაცივრიდან რძე და კარაქი გამოვიღე. თავს დამცირებულად და უსუსურად ვგრძნობდი. შეუძლებელია, შეუძლებელია! ეს რა გამიბედა შეილმა, შენი საქმე არ არისო. მე კი არაფერი ვუბასუხე, არაფერი მოვიმოქმდე, მშვიდად გადავყლაპე შეურაცხყოფა, ჭიქა ავივსე. რატომ, რატომ უნდა მიყვიროს ასე, მე უნდა ვუყვიროდე მას ასე, მაგრამ არ ვუყვირი. შენი საქმე არ არისო ყოველ ყლუბზე საფეთქლებს გუგუნნი გაუდიოდათ. უცებ მოვბრუნდი და ხელში ხელი წაგავლე: „არ გაბედო, მამას ასე ელაპარაკო, გესმის? არ გაბედო!“ ეს მაშინვე უნდა მეოქვა, იმ წუთს, ახლა კი, რა თქმა უნდა, სულელურად გამომივიდა. ესტებანს რკინასავით ხელი აქვს, არა, ტყვიასავით. კეფაში თითქოს რაღაც მძიმეს შირახუნებდნენ, მაგრამ მაინც

ფეწიე თავი და შვილს თვალებში შევხედე. ეს იყო ყველაფერი, რისი ვაკეთებაც მე შემეძლო საერთოდ. ესტებანს წარბა არ შეუხრია, ჩემი ხელი მოიძორა და ხესტოები დაბერა: „ბოლოს და ბოლოს როდის უნდა მოხვიდე შკურაზე?“ — და გავიდა, კარი გააჯახუნა. ხაიმეს მივუბრუნდი. აღბათ მოლაღ მშობდად არ გამოვიფურებოდი. ხაიმეს ფეხი არ მოუცვლია, კვლავ კედელს მიყრდნობოდა. უცებ გაიღიმა: „ავი ხარ, მოხუცო, ავი“, — და მორჩა. ^{ქვეყნის მთელი} არ უნდა იყოს, სიფიცხე საღდაც ვამიქრა. „არც შენი ძმაა...“ — ^{განმარტობის} გამოვიღულღულე გაუბედავად. „მოეშვი ესტებანს, — მათხრა ხაიმემ. — სულერთია, ვერაფერს უშუკელით!“

პარასკევი, 15 მარტი

კანტორაში მართო ვიგნალე გამოძეცხადა, იქითა კვირაში თავის სახლში მიმიპატიფა, მითხრა, ჩვენი ძველი სურათები ამოგქექეო. თუ ამოქექა, აქ ვერ მოიტანა ამ შტერმა? ეტყობა, სურათებს მთავაზობს ჯილდოდ, თუკი მიპატიფებაზე თანხმობას ვეტყვი. მეც დავპირდი, მოვალ-მეთქი. ვის არ იზიდავს საკუთარი წარსული?

შაბათი, 16 მარტი

დღეს დილით ახალმა თანამშრომელმა სანტინიმ მოინდომა გული გადაეშალა ჩემთვის. ეტყობა, რაღაც ისეთი მაწერია სახეზე, რომელიც კაცს განაწყობს ჩემთან სასაუბროდ. პირველი შემთხვევა როდია ეს ჩემთვის. შემომხედვენ, გამიღიებენ ან პირიქით, ცოტაც და აქვითინდებიან და... სწორედ ამის შემდეგ იწყება გულითადი საუბარი, მაგრამ ყველას როდი მოუკიდებივარ გულიხშიერებით. ადამიანები ზოგჯერ ისეთი სიამოვნებით, ისეთი უსირცხვილობით გადმოიბრუნებენ ხოლმე სულს, ისეთი იდუმალებით ყვებიან და შიშვლდებიან, რომ არც დაიჯერებს კაცს.

„იცით, მე ობოლი ვარ, სენიორ“, — პირველად ეს მაჯახა სანტინიმ, აქაოდა, გულს ავუნვილებო. „ძალზე სასიამოვნოა, მე კი ქვრივი ვარ“, — მოუჭერი იმ იმედით, იქნებ ძირშივე ჩაუფუშო-მეთქი თავხედური ჩანაფიქრი. მაგრამ ჩემმა ქვრივობამ მისი ობლობა ვერ დაჩრდილა.

„იცით, მე და მფავს“, — სანტინი ჩემს მაგიდასთან იღვა და თავის თხელ თითებს უკაკუნებდა შემოსავალ-გასავლის დავთარს. „მოეშვით მაგ დავთარს!“ — დავეუფირო აე. სანტინიმ კაკუნი შეწყვიტა და სახეზე უწყინარი ღიმილი გადაიფინა, მაჯაზე შედალიოსიანი ძუნკვი უბრჭყვიალებდა. „იცით, ჩემი და ჩვიდმეტწი წლისაა“. ეს „იცით“ ნერვიული ტიკივითა აქვს. „რას მუუბნებთ? ლამაზია?“ მე ყოველნაირად ვიცავდი თავს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, სანტინი სადაცა ჩამოიხსნიდა ზრდილობის ნიღაბს, კამხალი გაირღვეოდა და მეც ჩავიხრჩობოდი მისი პირადი ცხოვრების წვრილმანებში. „თქვენ არა გსურთ, სერიოზულად შელაპარაკოთ“, — სანტინიმ ტუჩები დამანჭა და განაწყენებული წავიდა თავისი მაგიდასაკენ. კარგად ვერ მუშაობს, თებერვლის ანგარიში კარგა ხანს აეოდვიდა.

კვირა, 17 მარტი

თუ ოდესმე მოვიკლავ თავს, კვირა დღეს მოვიკლავ. ეს არის ყველაზე უფერული და საძაგელი დღე. იმის მაგიურად, რომ ცხრა, ათ საათამდე იძინო გემრიელად, შევადარე სახვეარზე გელვიძება და მერე უკვე ძილიც ვიტყვება. ვაფიქ-

რებაც კი არ მინდა იმ დროზე, როცა ჩემი ცხოვრება ერთ დიდ, გრძელ კვარად გადაიქცევა. თუმცა რა ვიცი, იქნებ მიუკერძოებლად ამ ყოფას, დილის ათ საათზე გაღვიძებას. რაკილა ჩემი შვილები თავ-თავიანთ ამხანაგებთან ჩავიდ-წამოვიდნენ, მეც ავდექი და ცენტრისკენ გავეშურე საჭმელად. არაფერი სურვილი არ მქონდა. ოფიციალურად გამება ოპარაკი სიცხეზე და ტურისტებზე. ჩემგან ორი მაგიდის იქით ჩემსავით მარტოსული კაცი იჯდა. მისი მკერდზე შევხედე. სულ რაღაც ერთი წამით შეეფეთნენ ჩვენი თვალები ერთმანეთს და შემის თვალებში ზიზღი ამოვიკითხე. ნეტავ იმან რა ამოიკითხა ჩემს თვალებში? ალბათ ასე უნდა იყოს, მარტოსულებს არ გვიყვარს ერთმანეთის. ან იქნებ მართლაც გულშიუსვლელები ვართ ორივენი?

შინ დაებრუნდი, ცოტა ხნით წამოვწექი დასასვენებლად, ავდექი კი თავ-დამძიმებულად და გულდამძიმებულად. ერთი-ორი ჭიქა მატე¹ დავლიე, გავბრაზდი, მწარე რატომ არის-მეთქი. ჩავიცვი და კვლავ ცენტრისკენ გავვეშურე. ამჯერად კაფეში შევედი. ფანჯარასთან მივუჯექი მაგიდას, საათზე ცოტა მეტხანს ვიჯექი და ამ ხნის განმავლობაში ზუსტად ოცდათხუთმეტმა გამორჩეულად კარგმა ქალმა ჩაიარა ფანჯრის წინ. საქმე არაფერი მქონდა და გადავწყვიტე, უჩვეულო ანგარიშით გამერთო თავი, სახელდობრ, დამეთვალა, ყველაზე მეტად რა მომეწონა ამ ქალებისა... ქალაღდის ხელსახოცზე ჩამოწერილი რიცხვები დავიანგარაშე და საბოლოოდ ასეთი შედეგი მივიღე: სახე — ორი, თმა — ოთხი, მკერდი — ექვსი, ფეხები — რვა, უკანალი — თხუთმეტი მაშასადამე, უკანალი გახდა აბსოლუტური ჩემპიონი.

ორშაბათი, 18 მარტი

წუხელ ესტებანი თორმეტ საათზე მოვიდა სახლში. ხაიმე — პირველის ნახევარზე, ბლანკა — პირველზე. თვითუღლის მოსვლა გავიგე. მესმოდა მათი ნაბიჯების ხმა, ჩურჩული, მარიშური — მე მგონი, ხაიმე ცოტა შემთვრალიც იყო. აბა, კარადას რამ დააჯახა? აბაზანაშიც ღამის ნახევარი საათი ჩხრიალებდა წყალი. აი, ესტებანი კი ნამდვილად გარყვნილად ცხოვრობს, სასმელს კი არასოდეს არ ეტანება! ესტებანმა ბლანკას რაღაცა გამოსძახა თავისი ოთახიდან. ბლანკას პასუხი გავიგონე, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფო. მერე სიჩუმემ დაისადგურა, სამი საათის სიჩუმემ. წყეული უძილობა მაინცდამაინც შაბათ-კვირას მტანჯავს. ნეტავ პენსიაზე რომ გავალ, სულ ვადავეჩვევი მიღს?

დილით მხოლოდ ბლანკას ველაპარაკე. არ მომწონს, ასე გვიან რომ შემოდინხარ სახლში-მეთქი. თუ ვინმე ოჯახში კრძალვით შექცევა, — ბლანკაა და არ იყო ახლა საჭირო ეს საყვედური, მაგრამ ეს ხომ ჩემი მოვალეობაა, მე ხომ მამაც ვარ მისი და დედაც... თუმცა, მგონი, არც ერთიც არა ვარ. თვითონვე ვიგრძენი, ზედმეტი მომივიდა, როცა საკუთარი ხმა და დამრივებლური კილო მომესმა: „რა? აკეთებდი, სად იყავი ამდენხანს?“ ის კი კარაქს ისვამს პურზე და მშვიდად მეუბნება: „რატომ ვინდა მაინცდამაინც მკაცრი მამის როლი ითამაშო? მე და შენ ხომ კარგად ვიცით, გვიყვარს ერთმანეთი და რომ მე ცუდს არაფერს ვაკეთებ?“ პირდაპირ მიწასთან გამახსორა, მაგრამ ოდნავ მაინც რომ გადამერჩინა საკუთარი ღირსება, ვუთხარი: „გააჩნია, რას გულისხმობ შენ ცუდში, რა მიგაჩნია შენ ცუდ საქმედ?“

¹ ლათინურ ამერიკაში გავრცელებული მატონიზებული სასმელი.

სამშაბათი, 19 მარტი

მთელი დღე აველიანედასთან ერთად ვიძუშავე. საბოლოო ბალანსს ვამოწმებდით, მოსაწყენზე მოსაწყენი საქმეა, ორი შეცდომა უკიდურესად საბოლოო აველიანედა, ჯერ კიდევ ვერ შევეთვისა ამ საქმეს. ერთხანად დღის მეორე ნახევარი სამუშაოც და ის სამუშაოც, რომელსაც დაიბნეოდა და სუსტი პასიონები სჭირდება. მე კი ისე შევეჩვიე საბოლოო ბალანსის შედგენას, რომ ვიგრძნო ეს სამუშაო მინსევნია სხვას... ვიდრე აველიანედა ცდილობს წამღერებულად წარმოთქვამდა და მე ჩემს დავთარში ვინამნაუდა, თან ერთობოდი კიდევ: ქალიშვილის მარცხენა ხელზე ხალებს ვითვლიდა. არს ორი ხალები აქვს — ხუთი პაწია წერტილივით და სამაც მოზრდილი, აქედან ერთი ამობურცულია როდესაც აველიანედამ ნოემბრის თვის ბალანსი ჩამდგინა — უფრო იმიტომ, რომ მაინტერესდა, რას იზამდა, — ეუთხარი: „ეს ხალი უნდა მოიწვათ, დიდად საშიში არ არის, მაგრამ ათასში ერთხელ მაინც შეიძლება წარმოიქმნას საშიშროება“. იგი გაწითლდა, არ იცოდა, ხელი ხად წაეღო, უძაღლობო, სენიორ“, — და შეტისმეტად დარცხვენილმა განაგრძო კარნახი. თან ერთი თვემდე რომ მივედით, ახლა მე შევენაცვლე კითხვაში, ის კი ინამნაუდა დავთარში... და უცვ-ვიგრძენი, რაღაც უცნაური ხდებოდა ჩემს თავს. თავი გეწიე. ის ჩემს ხელს დასცქეროდა. ხალებს ხომ არ ეძებდა? აღბაი. ვაუღლია, მან ახლა უფრო დაიმორცხვა. საბრალო აველიანედამ რა იცის, რომ შეიძლება ხეკეთილი კაცი ვარ და თავს უფლებას არ მივცემ, თანამშრომელ ქალს ვაუღლაბუცო.

სამშაბათი, 21 მარტი

ვიგნალესთან მივედი ვაზშამზე. ბინა ბნელია, მთავრობილი. სასტუმრო ოთახში სტანდარტული, ორი უსახური სავარძელი და ბანჯკელიან ჯუჯებს ჰგვანან. ერთ-ერთ სავარძელში მოვიკადათე. ღამის ხუთამდე მომწვდა სითბო. პირველი შემომხვდა პატარა ძაღლი, რომელსაც უნაბერას სახე ჰქონდა, არ დაუყნოსივარ, მხოლოდ შემომხვდა, მერე ფეხებზე წაიღო ხაჯა და გაცრეცილი ხალიჩა კლასიკური დინამიკით დაამშვენა. ღაქა პირდაპირ ფარშევანგის — უგემოვნო ნახატის vedett'-იას თავზე გაიბიდლაბნა. მოკლედ, ხალიჩაზე იმდენი ღაქა იყო, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ორნამენტად მიეჩნია კაცს.

ვიგნალეს ოჯახი მრავალრიცხოვანი და წარმოუდგენლად ბმაურიანი აღმოჩნდა: ცოლი, სიდდერი, სიმამრი, ცილის ძმა, რძალი და ხუთი ბავშვი. ამ ბავშვებისათვის შეიძლებოდა მხეცები გვეწოდა, თუმცა მთამდვილში მხეცებზე უარეხები იყვნენ. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი ბავშვები არიან, ჯანმრთელნი, ლოყებლაყლაყები, ჰემი აზრიო, ხედმეტო დაუღაყებიც, მაგრამ სასწაულებრივად აბუნრები. უფროსი ცამეტი წლისაა (ვიგნალე გვიან დაქორწინდა), უმცროსი — ექვსისა. დაჭენაობენ სახლში, დრალეებენ და ემიძგილაკებიან ერთმანეთს. ზიხარ და ყოველწამს ელოდები, ან ან უნა შეგასხდებიან მხრებზე, ყურებში თითებს შეგარტობენ, თმას დავაწიწქნიან და ან ახლა. ეს რა თქმა უნდა, არ ხდება, მაგრამ შიშის გრძნობა ერთ-ერთსაც არ გტოვებს და ასე გგონია, ვიდრე აქა ხარ, ამ ყაჩაღების კლასიკურად უფროსად გაექცევი. ოჯახის უფროსი წევრები შესაშური გულგრილობით იტყვენ თავს: თავიანთ ანგელოზებს კაი-კაი მუშტებს სთავაზობენ ცხვირ-პირში თვალში, სადაც მოხ-

¹ მთავარი ფიგურა (ფრანგ.).

ვდება. დედას ორიგინალური მეთოდი აქვს დამუშავებული: სადაც არ უნდა შემ-
 ძვრალიყო ბავშვი, რა ოინიც არ უნდა ჩაედინა, როგორც არ უნდა ეწვალეობან-
 ვინმე და მათ შორის, სტუმარიც, — ხმას არ იღებდა, მაგრამ თუკი ბავშვი პი-
 რადად მას მიმართავდა უზრდელად, ან რაიმეს დაუშავებდა, მაშინვე მაგარ-
 მაგრებს უთავაზებდა. ყველაზე ეფექტური სანახაობა თურმე ჩაქვრებს: კდროს
 მელოდა. ერთ-ერთმა ბიჭმა საქვეყნოდ გამოაცხადა, ბრინჯის ~~ფაფა~~ ~~ჩქვრის~~ ~~მისი-~~
 მივიდაო, და ამის საბუთად აიღო და მთელი თეფში ფაფა თავის უმცროს ძმას
 შარვალზე დაატყეპა. ამ გმირულ საქციელს ყველანი აღფრთოვანებული ყიფა-
 ნით შეხვდნენ, მაგრამ დაზარალებულის ყვირილმა ყოველგვარ მოლოდინს გა-
 დააჭარბა. ნაკანშმევს ბავშვები მიიმალნენ, ან დასაძინებლად წაიყვანეს ანდა
 სახვალიოდ შინაურებისათვის შხამიან კოქტიელს ამზადებენ სადღაც ჩუმად.
 „რა არის ბავშვობა! — თქვა ვიგნალეს სიდედრმა. — თვით სიცოცხლე თამა-
 შობს მათ არსებაში“. „თვით ბავშვობაა სიცოცხლე“, — ღრმა აზრი გამოთქვა
 ცოლის ძმამ, ხოლო მისმა ცოლმა რაკი დაინახა, მე ჩუმად ვიყავი, უცებ შამც-
 ნო: „ჩვენ შვილი არ გყავს“. „თუმცა შვიდი წლის ცოლ-ქმარი ვართ“, — და-
 უმატა მისმა ქმარმა და, როგორც მომეჩვენა, ნაძალადევად გადაიხარხარა. „მე
 უარს როდი ვამბობ, — დააზუსტა ცოლმა. — მაგას თვითონ არ უნდა, ასედაც
 კარგად ვგრძნობ თავსო“. ვიგნალემ მიხსნა ცოლ-ქმრის ამ ლამის ვინუკოლოგი-
 ური საუბრისაკან: მთავარი სანახაობა შემომთავაზა — ფოტოსურათების დათვა-
 ლიერება, რომლებიც მწვანე კონვერტში ეწყო. კონვერტზე ეწერა: „მარტინ
 სანტომეს სურათები“. მაშინვე შევამჩნიე, კონვერტი ძველი იყო, წარწერა-
 — ახალი. პირველ სურათზე აღბეჭდილი იყო სახლი ბრანდსენის ქუჩაზე. სახ-
 ლის წინ ოთხნი იდგნენ. სულაც არ დამჭირვებია ვიგნალეს ახსნა-განმარტებები:
 გაყვითლებული სურათის დანახვაზევე თითქოს რაღაცამ მიბიძგაო, მეხსიერება
 გამინათდა და ყველანიც ვიცანი. სახლის წინ ვიდექით დედაჩემი, ჩვენი მეზო-
 ბელი ქალი, რომელიც შემდეგში ესპანეთში წავიდა, მამაჩემი და მე. „ღმერთო,
 რა მოუქნელი და სასაცილო ვარ სურათში. შენ გადაიღე?“ — ვკითხე ვიგნალეს.
 „ცხოვრებაში არ მომიკიდეა ხელი ფოტოაპარატისა და რევილვერისათვის. ფა-
 ლერომ გადაგიღოთ. არ გახსოვს ფალერო?“ ბუნდოვნად მახსოვს. მგონი, წიგ-
 ნების მალაზია კქონდა მამამისს. ფალეროს იქიდან მოჰქონდა პორნოგრაფიუ-
 ლი ჟურნალები და ჩვენ გვირიგებდა. ასე გვათვითცნობიერებდა იგი ფრანგუ-
 ლი კულტურის ერთ-ერთ ძირითად სახეობაში. „აბა, ახლა ეს ნახე“, — სული
 არ უთმენდა ვიგნალეს. ამ სურათზეც მე ვიყავი, გვერდი „ბოთე“ მედგა. „ბო-
 თე“ (ეს კი მართლა კარგად მახსოვს) მართლა ბოთე იყო, ყველგან თან დაგ-
 ვდევედა, ყველაფერზე იცინიოდა და მეტიხმეტად გვაბეზრებდა თავს.

ბოთეს ნამდვილი სახელი დამავიწყდა, მაგრამ ცნობით კი მაშინვე ვიცანი
 მისი ეშმაკური სახე, დონდლო სხეული და გადასლექილი თმა. გულიანად გამე-
 ცინა. რამდენი ხანია, ასე გემრიელად არ გამიცინია. „რა გაცინებს?“ — მკითხა
 ვიგნალემ. „რაღა, ბოთე ვიცანი, ნახე ერთი, რა სიფათი აქვს“. ვიგნალემ დაბ-
 ნეულმა შეხედა ყველას — ცოლს, სიდედრს, სიმამრს, ცოლისძმას, რძალს და
 ბოლოს ბრინწიანად თქვა: „მეგონა, აღარ გემახსოვრებოდა ჩემი ზედმეტი სა-
 ხელი. არასოდეს არ მსიამოვნებდა, ასე რომ მეძახდნენ“. თავზარი დამეცა. რა
 ეთქვა? როგორ მოვიქცე? მაშასადამე, მარიო ვიგნალე ყოფილა ის ბოთე. შევ-
 ხედე ჩემს მასპინძელს ერთხელ, ორჯერ და დავრწმუნდი, რომ კვლავ ისეთივე
 ბოთე, აბეზარი და ბაჭია დარჩენილიყო. არა, ისეთივე კი არა, სხვანაირი, სულ

სხვანაირი. თითქოს ის არის, მაგრამ მთლად არც არის, ახლა მისი ხასიათი და თვისებები თითქოს სამუდამოდ გაქვავებულანო. მე მგონი, ვლუღლუღები რაღაცას: „ჩვენ ხომ ხუმრობით გეძახდით ასე. პრადო ხომ გახსოვს, იმის ხომ შევარქვით ბაჭია“. „მერჩივნა, ჩემთვისაც ბაჭია შეგერქვათ“, — ნაღვლიანად თქვა ბოთემ და ჩვენც მეტი აღარ დაგვითვალთქვია სურათები.

სიმბლიქოსება

პარასკევი, 22 მარტი

ოციოდე მეტრი გავიზინე და ცხენივით აქოშინებული ავეარდი ავტობუსში. დავექეპი, სულს ძლივს ვითქვამდი. პიჯაკი გავიხადე, პერანგის საყელო შევიხსენი და უფრო მოხერხებულად დავექეპი. ერთი-ორჯერ შემოხვევით შევახვი იდაყვი გვერდით მჯდომი ქალის მკლავს, რომელიც საკმაოდ თბილი და ძლიერი მომეჩვენა. ვიგრძენი ხაკერდისებური ბუსუსის მსუბუქი ქროლვა, ოღონდ ვერ გავარკვიე, ჩემი იყო თუ მისი, იქნებ ჩემიც იყო და მისიც. გაზეთი გავშალე და კითხვა დავიწყე. ისიც კითხულობდა ტურისტებისთვის განკუთვნილ ავსტრიულ ბროშურას — გზის მაჩვენებელს. როგორც იქნა, სული მოვიოქეპი, თუმცა გული ისევ მიბაგუნებდა მკერდში. ქალმა რამდენჯერმე შეარხია მკლავი, მაგრამ გაწევა თითქოს არც უცდია. დროდადრო მსუბუქად ძეხებოდა ხელზე. ფანჯრისკენ გავიხედე ერთი-ორჯერ და მალულად შევათვალთქვე ქალი. გამბლარი სახე, თხელი ტუჩები, გრძელი თმა და დიდი, არც ისე ლამაზი ხელები ჰქონდა. სახეზე თითქმის არაფერი ეცხო. უცებ წიგნი გაუვარდა ხელიდან. ავიღე, მივაწოდე, დახრისას ფეხებიც შევათვალთქვე. არა უშავდა. კოჭზე პლასტიკი ჰქონდა მიკრული. მადლობა არ უთქვამს. სიერას რომ ვუახლოვდებოდით, წიგნი ჩანთაში ჩადო, თმა შეისწორა, ადგა და მოხოვა. გამატარეთო. „მეც ჩავდივარ“, — ვუთხარი უბრალოდ. ქალი სწრაფად გაუყვა ქუჩას, მაგრამ მეც სწრაფადვე დავეწიე და თითქმის ორი კვარტალი გვერდი-გვერდ ვიარეთ. მე ჯერ კიდევ თავს ვიტეხდი, როგორ მოვიქცე, პირველად რა უუთხრა-მეთქი, რომ ქალი უცებ მომიტრიალდა: „თუ ჩემთან ლაპარაკი გსურთ, დაიწყეთ, რაღას უცდით“.

კვირა, 24 მარტი

უცნაური ამბავი შემემთხვა პარასკევს. არც მე და არც იმ ქალს არაფერი გვიკითხავს ერთმანეთისთვის, არც სახელი, არც ტელეფონის ნომერი, საერთოდაც, არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ არ იყო ქუჩის ქალი. უფრო აფორიაქებულს ჰგავდა, რაღაცნაირი გახელეობით დამნებდა, თითქოს რაღაცის ჯავრს იყრისო. ასეთი იოლი გამარჯვება პირველად მოვიპოვე ცხოვრებაში: მხოლოდ იდაყვის შეხება დამჭირდა და მეტი არაფერი. პირველად შევხვდი ქალს, რომელმაც პანსიონის ნომერში შესვლისთანავე და თანაც სინათლეზე გაიხადა ტანთ. რაღაცნაირი გააფთრებული ურცხვობით შევარდა ლოგინში. ნეტავ რა იმალებოდა ამ საქციელის მიღმა? იქნებ სულაც პირველად გაშიშვლდა მამაკაცის თვალწინ? მაგრამ არა. საკმაოდ გამოცდილი აღმოჩნდა. მიუხედავად მისი სერიოზული სახისა, ფერგამკრთალი ტუჩებისა და ულამაზო ხელებისა, ქალმა მოახერხა, ყველაფერი ისე გაეკეთებია, რომ ორივენი კმაყოფილნი დავრჩენილიყავით. მერე უცებ შესაფერისი დრო შეარჩია და მოხოვა, შეიგინეო. თუმცა ამ საქმეში დიდად გამოცდილი არ ვიყავი, მაგრამ, ეფიქრობ, არც ახლა დარჩენილა ქალი უკმაყოფილო.

2012

სამართველოს

ორშაბათი, 25 მარტი

ესტებანმა მუშაობა დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებაში კლუბის მეგობრები დაეხმარნენ. არ ვიცი, გამეხარდეს თუ არა მისი ძალადობრივობა. მოვიდა ვილაცა გარედან, დაიკავა ადგილი, ესე იგი, იმ ხალხს გადაახტა თავზე ხვალ რომ მისი ხელქვეითი გახდებიან. წარმომიღვენია, ღმერთო! ჩააგდებენ ისინი ესტებანს. და მართალნიც იქნებიან!

ოთხშაბათი, 27 მარტი

ჩვენი მმართველის მორიგი ხუშტურის გამო დღეს კანტორაში ღამის თერთმეტ საათამდე მომხწია დარჩენა: შვიდის თხუთმეტ წუთზე გამომიძახა და მთხოვა, ეს სისამაგლე ხვალ დილისთვის მჭირდებაო. სამი კაცის სამუშაო მომცა. აველიანუდამ თვითონ შემომთავაზა, დავრჩები და მოგეხმარებითო, მაგრამ შეშეცოდა და არ დავტოვე.

საექსპედიციოდანაც სამნი დარჩნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, სულაც მათი გასაკეთებელი იყო ის საქმე და კიდევ უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ მმართველი ვალკურდეს საყვარელს ზედმეტ საათებში მარტოს ხომ არ დატოვებდა, ადგა და მისთვის რომ ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა სასჯელი, ის ხალხიც დატოვა; ვინც არაფერ შუაში იყო, დაზარალებულებში აღმოვჩნდი მეც. ცოტა კიდევ უნდა მოვითმინოთ. იმედია, ეს მზეჭაბუკი ძალე მოყირჭდება ღიღია ვალკურდეს.

ზეგანაკვეთური სამუშაო მეტიმეტად მიმძიმს. კანტორაში სიჩუმეა, კაცი არ ჭაჭანებს მტვრიან მაგიდებზე უამრავი საქალაღდეა დახვავებული, ნაგავი გვეგონება და ახლა ამ სიჩუმესა და ნახევრად სიბნელეში სამი კაცი აქ მუშაობს, სამი - იქ, მუშაობენ ზანტად, უნდილად, წინა რვა საათით არაქათგაცლილება.

რობლედო და სანტინი ციფრებს მკარნახობდნენ. მე საწერ მანქანას ვაკაკუნებდი. რვა საათისთვის მარცხენა ბეჭი ამტკივდა. ცხრისთვის ტკივილს ყურადღებას აღარ ვაქცევდი, ვბეჭდავდი და ვბეჭდავდი, ისინი კი მკარნახობდნენ ხმაჩაბრინწულები. როგორც იქნა, დავამთავრეთ - ხმა არავის ამოგვიღია. საექსპედიციოს ხალხი უკვე წავიდა. ჩვენც გავემურეთ მოედნისკენ, სოროკაბანაში. იქ მათ ყავით გავუმასპინძლდი და მერე - ჩაო. მგონი, ბიჭები ცოტათი განაწყენებული არიან, მაინცდამაინც ისინი რომ დავტოვე.

ხუთშაბათი, 28 მარტი

ესტებანს დიდხანს ველაპარაკე. გულახდილად ვუთხარი, მთლად სამართლიანი არ მეჩვენება მაგ თანამდებობაზე შენი დანიშვნა-მეთქი. რასაკვირველია, მე იმას კი არ მოვითხოვ, ჩემს ვაჟს გინდა თუ არა უარი ეთქვა ამ სამსახურზე - მე ხომ ვიცი, ახლა ასე არავინ აკეთებს - უბრალოდ, გამეხარდებოდა, თუ ჩემი შვილი იტყოდა, უხერხულობას ვგრძნობო. გაგიგონიათ? „ნეტავი ერთი შენც მოხუციო, შენ ისევ გასულ საუკუნეში ცხოვრობ, - აი, ასე მიპასუხა, - ახლა აღარავის სწყინს, თუ ვინმე უფრო მოხერხებული მოვა და წინ გაუსწრებს, და იცი, რატომ არ სწყინს? იმიტომ, რომ იცის, თვითონაც, ისე მოიქცეოდა, შემთხვევა რომ ჩავარდნოდა ხელთ. დარწმუნებული ვარ, წყენით არავის ეწყინება ჩემი დანიშვნა, აი, შურით კი ნამდვილად შეშურდებათ. ასეა ეს“.

მაშინ კი ავდექი და ვუთხარი... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რა ვუთხარი!

პარასკევი, 29 მარტი

სამაგელი ქარი ქრას. ნამდვილი გმირი ვარ, სიუდადელეს ქუჩით „კოლონი-
იდან“ მოედნამდე რომ შევძელი მისვლა, ქარმა ერთ ყმაწვილ ქალს კაბა წაგრი-
ალა, მღვდელს — ანაფორა. ღმერთო ჩემო, როგორ არა ჰგავს ერთმანეთს/ეს
ორი სურათი! რამდენჯერ მიფიქრია, რა მოხდებოდა, მღვდელი ~~ქრისტე~~ ~~გამოეცა~~
ლიყავი-მეთქი. ალბათ არც არაფერი, ერთი ფრაზა მაქვს ამოჩემებულზე, წყვი-
წადში ერთი ხუთჯერ მაინც მაწევს მისი წარმოთქმა: „არის ორი პროფესია,
რომელთა მიმართაც სულ პაწია მიდრეკილებაც კი არ გამაჩნია. ეს არის სამხედ-
რო და სასულიერო სამსახურები“. მაგრამ მე მგონი, მთლად ასეც არ უნდა
იყოს. თვითონაც არ მჯერა, რომ ეს მართლაც ასეა.

შინ მთლად გაბურძენილ-გასაცოდავებული მივედი. ყელი მიბურდა, თვა-
ლები სილით მქონდა ამოვსებული. დავიბანე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და
ფანჯარასთან დავჯექი. ოთახში სიმყუდროვე იყო. ღმერთო, ნამდვილი ეგოის-
ტი ვარ. ქუჩაში ქალები, კაცები, მოხუცები, ბავშვები ქარსა და წვიმას ებრძ-
ვიან, მე კი ვზივარ ფანჯარასთან, მატეს ვსვამ, შევყურებ მათ და აზრადაც არ
მომდის, გავალო კარი და ერთი მაინც შევიფარო სახლში, ცხელი ჩაით გავუ-
მასპინძლდე. თუმცა არა, აზრად კი მომივიდა, მაგრამ წინასწარვე წარმოვიდგი-
ნე მათი გაოცებული თვალები ამ ქარსა და წვიმაში და მივხვდი, ვილაცის გიჟი
ვეგონებოდი.

ნეტავ როგორ ვიქნებოდი დღეს, ვთქვათ, ოცი-ოცდაათი წლის წინათ მღვდე-
ლი რომ გაემხდარიყავი? ერთი რამ ნაღდად ვიცი: ქარი ანაფორას ამიფრია-
ლებდა და ყველა დაინახავდას რა დაკუჭული შარვალიც მეცვა. კარგი, ვთქვათ,
შარვალი შარვალია, მაგრამ სხვაფრივ მოვიგებდი თუ წავაგებდი ცხოვრებაში?
შვილები არ მეყოლებოდა (ნამდვილად თავით ფეხამდე პატიოსანი, უცოდველი
მღვდელი ვიქნებოდი), არც კანტორა, არც პენსია არ იქნებოდა მაშინ. სამაკუ-
როდ იქნებოდა ღმერთი, რწმენა, — ეს ნაღდია. აბა, ახლა რა გამოდის, უღმერ-
თო და ურწმუნო ვარ? თვითონ ვერ გავრკვეულვარ, მწამს თუ არა ღმერთი. მე
ასე მგონია, თუ არსებობს, ჩემი იჭყნეული ყოყმანი საწყენად არ უნდა მიიღოს.
არსებითად ხომ ის ყველაფერი, რაც მან (ან მან?) დაგეანათლა: ჭკუა, გრძნობა,
თუ ინტუიცია — სულაც არ არის საკმარისი, ვირწმუნოთ მისი არსებობა ან არ-
არსებობა. აღმაფრენას წუთებში შემიძლია ვირწმუნო ღმერთი და მართალიც
ვიქნები, დაეჭვების ყამსაც მართალი ვიქნები. მაშ, როგორ მოვიქცე? იქნებ
ღმერთი მხოლოდ კრუპიეა, მე კი საწყალი ხელმოცარული კაცი, რომელიც
ირჩევს წითელ ფერს და ხუდება შავი, ან პირიქით?

შაბათი, 20 მარტი

რობლედო ჯერაც ვაბერილია. იმ დღეს გვიანობამდე რომ დავტოვე კან-
ტორაში სამუშაოდ. საბრალო ყმაწვილი! მუნიოსმა დილით მითხრა: რობლედოს
მეტისმეტად ეჭვიანი საცოლე ჰყავს, იმ დღეს საღამოს რუა საათზე უნდა შეზ-
ვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ როგორ შეზვედებოდნენ, თქვენ ხომ გვიანობამდე
დატოვეთ კანტორაში სამუშაოდ. რობლედომ დაურეკა საცოლეს, ასე და ასეაო,
მაგრამ ვინ დაუჯერა? ასე უპასუხა თურმე, დღეიდან ჩვენ ერთმანეთს აღარ ვიც-
ნობთო. მე კი დავამშვიდე რობლედო, კიდევ კარგი რომ ასე მოხდა და გაიგე
მისი ხასიათი, თორემ რა გეშველებოდა, ცოლქმრობას დროს რომ დაეწყო ასე-
თი ხუმტურები-მეთქი, მაგრამ არაფრის გავიხება არ სურსო, — დაამთავრა
მუნიოსმა რობლედოს ამბავი. ავდექი და გამოვიძახე რობლედო, არ ვიცოდი, თუ

პაემანი გქონდა იმ დღეს, რატომ არ მოთხარი-მეთქი? რობლელომ თვალეზანთე-ბულმა შემომხედა და ჩაიღრინა: ძალიანაც კარგად იცოდით ყველაფერი, გულს მირევს ასეთი ხუმრობათ, და უცებ დააცემინა, ეტყობა, ნერვიულობისაგან. მერე კანტორას მოავლო თვალი და ზიზღით თქვა: ეს გოიძუბა რომ დამცინიან, ეს კიდეე გასაგებია, მაგრამ თქვენ, ასეთი ხერიოზული, საქმიანი კაცი რომ მათ აძუევიო, მართალი ვითხრაო, ძალიან მკვირს. ახრი შემეცვალა თქვენზე მართალია, პირისპირ არასოდეს გვილაპარაკნია, მაგრამ კარგი ახრისა ვიყავი თქვენზეო... რა ექნა ახლა მე? გინდა თუ არა, ვიდაცო კარგი ახრისა, რომ იყოს ჩემზე, ვერ მოვიკლავ თავს ამის გულისხამვის, ვერ ვიბრძოლებ, ამიტომ მეც ასე ყოველგვარი ირონიის გარეშე უუთხარი რობლელოს: გინდა—დამიჯერე, არ გინდა — შენი საქმეა, მე როგორმე გადავიტან ამას. ვითხარი, არაფერი ვიცოდი-მეთქი, მორჩა და გათავდა! ახლა კი წადი და იმუშავე, თუ გინდა რომ მეც არ შემეცვალოს ახრი შენზე!”

კვირა, 31 მარტი

დღეს საღამოს გამოვდივარ „კალიფორნიიდან“ და უცებ ვხედავ, აგერ არ მოდის ჩემი „ავტობუსში იდიფვის შეხებით გაცნობილი ქალი“? ხელკავით მოკვება ვიდაც სპორტული აღნაგობის ბრგე ყმაწვილკაცს, რომელსაც მეტისმეტად დაბალი, ალბათ ორი თითისდადებამუბლი ჰქონდა. ვაჟმა გაიცინა და მაშინვე ჩემდა უნებურად გავიფიქრე, რა უნაპიროა ადამიანთა სიბრიყვე-მეთქი. ქალის იცინოდა, თავგადასწეული ცელქად ეხუტებოდა ვაჟს, გვერდით რომ ჩამიარეს, ქალმა დამინახა და... ვითომც არაფერიო, კვლავ გაიცინა. იქნებ ვერც მიცნო გავიგონებ, ნახად რომ უთხრა თავის ფორვარდს: „ოჰ, ძვირფასო“, — და კვალუცად, ნებიერად შიადო თავი ვირაფებით მოხატულ კალსტუხზე, ეზიდოზე შეუხვიეს. ნეტავ რა აქვს საურთო ამ ქალს იმ ქალთან, რეკორდული სისწრაფით რომ გაშიშვლდა ჩემ წინ?

ორშაბათი, 1 აპრილი

ერთ კორაელ კაცთან ხელაპარაკე და გათამაშეს ეს კაცი დარის და სამსახურს თხოველობს. თითქმის ორ-სამ დღეში ერთხელ გვაკითხავს. მმართველმა არ იცის, როგორ მოთხაროს თავიდაც, ებრაელი ორმოცდაათი წლისა იქნება, ხანდაჭორფლილი კაცია. ესპანურად ცუდად ლაპარაკობს, წერილთა ალბათ უფრო ცუდად წერს. ერთსა და იმავეს იმეორებს გახეკიარებულივით: შემოძლია კორესპონდენციის წარმოება სამ და ოთხ ენაზე, ვიცო მანქანაზე ბეჭდვა გერმანულად, ვიცო დამბეზრათ, თან ჯაბიდან იღებს ვაცრეცილ ქალიდს, სადაც ბოლივის ქალაქ და პასას რომელიღაც დაწესებულების კადრების განყოფილების უფროსის დამოწმებით. ბატონი ფრანსე მუხრის ეოლფი თურმე გამოირჩეოდა დამაკმაყ უიღებელი მუშაობით და სამსახურიდან განთავისუფლებულია საკუთარი განცხადების საფუძველზე. საკუთარიითა თუ არა საკუთარით, არ ვიცი, მაგრამ არაფრის მაქსისი რომ იქნება, ხელვე ეტყობა. მისი მანჭვა, ლაპარაკი, ლაქუცი კარგა ხანია ყელში ამოძვიდა ყოველ მოსვლაზე ჯიუტად გვთხოვს, გამოხატულად რაიმე სამუშაო მომეცითო, ვაბეჭდინებთ წერილს, მაგრამ ბეჭდავს ძალიან ცუდად, კუხვამთ სპეციალურ შეკითხვებს, დუმს. ვერაფრით ვერ გამოვიცა, რითი უდვას სურს. ძალზე ღარიბულად, მაგრამ სუფთად აცვია ეტყობა, წინასწარვე იცის, რომ ჩაფლავდება, იცის, რომ სულ მცირე წარმატების იმედიც კი არ უნდა ჰქონდეს, იცის, რომ ყოველ მოსვლაზე უარით გაის-

ტუმრებენ, მაგრამ მაინც მოდის, თავის მოვალეობად მიიჩნევს ხშირ-ხშირად მოგვაკითხოს. ვერ ვიტყვი, ჩვენი მასთან შეხვედრები და საუბრები გულთბილი, საძაგელი ან ამაღლებული იყო თუ არა, მაგრამ დავიწყებია, როგორ არასოდეს დამავიწყდება ამ კაცის სახე (მშვიდი? შეურაცხყოფილი?) და დამავიწყდება, ყოველი უარის მერე როგორ გადიოდა კანტორიდან: გესვენებდა თუ თავის დაკვრით გვემშვიდობებოდა. ერთი-ორჯერ ქუჩაშიც გვხვდნენ, მხსნელა მიაბიჯებდა, ხანაც იდგა და ფიქრიანი თვალებით შესცქეროდა გამკვლეულ-გამომკვლელთ. მე მგონია, ეს კაცი სამუდამოდ გადაუჩვია დიმილს, ვერ გაიგებ როგორი გამოხედვა აქვს, ბრიყვული თუ ჭკვიანური. იქნებ სულაც მათხოვრის გამოხედვა აქვს ან წვალელებისა? ერთი რამ ნამდვილად ვიცი: როცა კი ამ კაცს ვხედავ, ცუდად ვხდები, თითქოს ჩემი ბრალი იყოს, ის რომ ამ დღეშია, და რაც მთავარია, ასე მგონია, იმანაც იცის, რომ სწორედ ჩემი ბრალია, ის რომ ამ ყოფაშია. რა თქმა უნდა, ეს სისულელეა. განა მე შემიძლია, ჩვენს კანტორაში ვინმე მივიღო სამუშაოდ? თანაც რაიმეს მაქნისი მაინც იყოს!

მაშინ აბა, რა ხდება? მგონია, ყველასათვის ცნობილია, რომ მოყვასს სხვანაირადაც შეიძლება დაეხმარო. მაინც როგორ? კეთილი რჩევა-დარიგებით? რომ წარმოვიდგენ, როგორ მოუსმენდა ეს ებრაელი კაცი ჩემს რჩევა-დარიგებას, შიშით ვიზაფრები, დღეს ერთი ათჯერ მაინც ვუთხარი, არ გამოგვადგებით-მეთქი, როგორი სათქმელი იყო ეს? სიბრაღულით ლამის დავიხვრჩი, ყელში ბურთივით გამეჩხირა რაღაც; მერე გავბედე, ასპესოიანი გავუწოდე და... ასეც დავრჩი ხელგაწედილი. დაკვირვებით შემომხედა (რამდენ რაღაცას გამოხატვდნენ მისი თვალები, მაგრამ მე მგონია, სიბრაღული უფრო სჭარბობდა — სიბრაღული ჩემდამი) და უსიამოდ მუღერ ხმაზე მითხრა: „თქვენ ვერაფერი ვაი-ვეთ“. რა თქმა უნდა, ეს კი მართალი თქვა მე ვერაფერი გავიგე. ჯანდაბას, ასე იყოს, აღარ მსურს ამაზე ფიქრი!

სამუშაოთი, 2 აპრილი

შვილებს იშვიათად ვხვდები, განსაკუთრებით — ხაიმეს, არადა, სწორედ მისი ნახვა მინდა ხოლმე ყველაზე მეტად. მხოლოდ მას გააჩნია იუმორის გრძნობა. არ ვიცი, მშობლებსა და შვილებს შორის აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა სიმპათიას, მაგრამ ხაიმე რომ სხვებზე მეტად მესიმპათიურება, ეს ნამდვილად ვიცი. არადა, სწორედ ის არის ყველაზე გულჩახვეული. დღეს ქუჩაში დავინახე იმას არ დავუნახივარ. უცნაური შთაბეჭდილება შემექმნა. ის იყო მუნიოსმა კონვენსიონისა და კოლონიის ქუჩების გადაკვეთამდე მიმაცილა და დავემშვიდობეთ კიდევ ერთმანეთს, რომ უცბად ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ხაიმე დავინახე ორ ბიჭთან ერთად. რაღაც უსიამო ჰქონდათ ამ ბიჭებს, სიარული თუ ტანსაცმელი, ახლა არ მახსოვს, რადგან ხაიმეს მივშტერებოდი. ხაიმე რაღაცას ყვებოდა, მისი მეგობრები კი ხმამაღლა იცინოდნენ და იმანჭებოდნენ. თვითონ ხაიმე არ იცინოდა, მაგრამ კმაყოფილი გამომეტყველება კი ჰქონდა, თუმცა არა, ისეთი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, დარწმუნებული რომ არის თავის უპირატესობაში.

საღამოს ხაიმეს ვუთხარი, დღეს ქუჩაში დავინახე ვიღაც ორ ახალგაზრდასთან-მეთქი. გაწითლდა, ან იქნებ მომეჩვენა, რომ გაწითლდა. „ერთი ჩვენს კანტორაში მუშაობს, მეორე კი მისი ბიძაშვილია“, — მიპასუხა მან. „ტყუობა, რაღაც სასაცილოს ჰყვებოდი“. „გგენი ყველაფერზე იცინიან“.

და უცებ ზაიმე, პირველად თავის სიცოცხლეში, ჩემი ამბებით დაინტერესდა, როგორ ვცხოვრობ, რას ვაკეთებ. „ჰოო... პენსიას მალე მოგცემენ?“ ზაიმემ მკითხა, პენსიას როდის მოგცემენო! მე ვუთხარი, ესტებანმა სთხოვა ერთ თავის ნაცნობს, დამიჩქარონ ეგ საქმე, მაგრამ ჯერ ორმოცდაათისა უნდა გავხდეთქი. „ისე ხომ ხარ კარგად?“ — მკითხა მან. გამეცინა და მხლები ავიჩიე. არაფერი ვუპასუხე ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ჯერაც არ ვიცი როგორ ვიცხოვრებ პენსიაზე, მეორეც — გული ამიჩუყდა, რადგან არ ველოდი ასეთ ყურადღებას. დღეს კარგი დღეა.

სუთმაბათი, 4 აკრილი

დღესაც მომიწია სამუშაო საათების მერე კანტორაში დარჩენა. ამჯერად ჩვენა ვართ დამნაშავენი, ბალანსში შეცდომა გაგვეპარა და უნდა ვიპოვოთ. ვინ დავტოვო? საწყალი რობლელო გამომცდელად მიყურებს, არ დავტოვე, დაე ეგონოს, რომ მან გაიმარჯვა. სანტინის დაბადების დღე აქვს. მუნიოსს ფრჩხილი მოსძვრა და მთელ ქვეყნიერებაზეა შემომწყრალი. სიერა ორი დღეა სამსახურში არ მოსულა, შემომრჩნენ მხოლოდ მენდესი და აველიანედა, რვას აკლდა თხუთმეტი წუთი, რომ მენდესი აწრიალდა, მერე, თითქოს საიდუმლოს მანდობსო, ჩუმად მკითხა, რომელ საათამდე მოგვიწევს კიდევ დარჩენაო. მე ვუთხარი, ალბათ ცხრამდე-მეთქი. მერე უფრო დაუდაბლა ხმას აველიანედამ არ გაიგონოსო, და გამანდო, ცხრა საათზე პაემანი მაქვს დანიშნული, მანამდე კი შინ უნდა მივირბინო დავიბანო, პირი გავიპარსო, ტანსაცმელი გამოვიცვალო და ასე შემდეგ. მე მაშინვე არ დავუეთანხმე, ცოტა ვაწვალე. ვკითხე: „კარგი გოგოა?“ „ზღაპარია, შეფ“. ჩემმა თანამშრომლებმა მშვენივრად იციან, რითი მომიქონონ თავი — გულაზდილობით! ჰოდა, მეც ვაუშვი.

საბრალო აველიანედა! დაურჩით მარტონი ამოდენა შენობაში. ჩვეულებრივზე მეტად დელაგდა, შევამჩნიე, რაღაც ფურცელი რომ მომაწოდა, ხელა უკანკალებდა. „ნუთუ ასეთი საფრთხობელა ვარ? ჩემი ნუ გეშინიათ, აველიანედა“. გაიცინა და მშვიდად განაგრძო მუშაობა. რატომღაც მიძნელდება მასთან ურთიერთობა: ხან მეტისმეტად ოფიციალურად მიჭირავს თავი, ხან — მეტისმეტად უბრალოდ. მალულ თვალთვალში კარგად შევისწავლე. კარგი გოგო ჩანს. ღია, მეტყველი სახე აქვს. მუშაობის დროს თუ რაღაც ვერ გაიგო, თმას იბურძგნის, ზის მერე ასე თმააბურძგნული და ძალიანაც უხდება. ათის ათ წუთზე, როგორც იქნა, მივაგენით შეცდომას. აველიანედას შევთავაზე, სახლამდე მიგაცილებთ-მეთქი. არა, რას ბრძანებთ, სენიორ სანტომეო. მოედნამდე ერთად მივედით, სამსახურის საქმეებზე ვსაუბრობდით, ყავაზეც უარი მითხრა. ვკითხე, სად ცხოვრობთ და ვისთან ერთად-მეთქი, დედ-მამასთანო. საქმრო არა ვყავთ-მეთქი? კანტორის გარეთ, ეტყობა, ნაკლებ ეშინოდა ჩემი, მშვიდად მიპასუხა, მყავსო. „აბა, ქორწილში მალე გვიქეიფია!“ — ვთქვი მე, როგორც ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში. „ო, ჯერ მხოლოდ ერთი წელიწადია დანიშნულები ვართ“. საქმროზე ლაპარაკმა სითამამე შემატა. შევამჩნიე, ჩემი შეკითხვები მამაშვილურ გულისხმიერებად მიიჩნია. ახლა მე მკითხა, რამდენი შვილი გყავთო. რომ გაიგო, ქვრივი ვიყავი, უცებ გაჩუმდა, აღარ იცოდა, როგორ მოტყუულიყო, სხვა რამეზე წამოეწყო საუბარი თუ ოცი წლის მერე გაეზიარებინა ჩემი მწუხარება ახლობელი ადამიანის გარდაცვალების გამო. მაგრამ იმარჯვა და კვლავ თავის საქმროზე მოჰყვა ლაპარაკს. მხოლოდ იმის გაგება მოვასწარი, რომ მისი საქმრო მუნიციპალიტეტში მუშაობს — ამასობაში ტროლეიბუსიც

მოვიდა, ქალიშვილმა ხელი ჩამომართვა, მითხრა, რაც საჭირო იყო ასეთ დროს და... საწყენია!

პარასკევა, 5 აპრილი

ანიბალას კრილი მივიღე: სან-პაბლოში მომეწყინა და თვის ბეჭდს მანდ ვიქნები. კარგი მეგობრები ცოტა მყავს. ანიბალი ყველაზე გულბეღელყუფუფუ მიაჩნია ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, ეს არის ერთადერთი კაცი, ვისაც შემიძლია გული ვაღუშალო და არ დამცინოს. თითქოს გასაკვირი უნდა იყოს ჩვენი მეგობრობა: ის კათოლიკეა, მე – ურწმუნო, ის სულ რაღაცას ეძებს, მე ცოტაც მეოფნის, ის მოუსვენარი, დაუდეგარი, შემოქმედებითი სულის კაცია, მე გაუბედავი ვარ, ცოცხლებებისა შეშინია; მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე: თუკი ანიბალი თავის სიჯიტიუტითა და ჩიჩინით ბევრჯერ დამხმარებია, რომელიმე ნაბიჯის გადადგმაში, სამაგიეროდ მეც ჩემი ყოყმანითა და იჭვნეულობით არაერთხელ დამიმუხრუჭებია იგი, დამიცხრია მისი ენებათაღელვანი. აგვისტოში თხუთმეტი წელსწადი ვახდება, რაც დედა გარდამეცვალა. მისმა სიკვდილმა მთლად გამანადგურა, გაბოროტებული ვიყავი ღმერთზეც, ნათესავეებზეც და საერთოდ, ყველაზე და ყველაფერზე, რომ გამახსენდება კუბოსთან ვატარებული გრძელი დამეება, ლამის გული ამერიოს. პანაშვილებზე მოსული ხალხი ორ კატეგორიად მყავდა დაყოფილი: ერთნი შემოსვლისთანავე იწყებდნენ ტირილს, მოდიოდნენ ჩემთან და მეხვეოდნენ; მეორენი მოკალეობას იხდიდნენ მხოლოდ, ვითომ დამწუხრებულნი მართმევდნენ ხელს და... ათი წუთის შემდეგ უკვე ახეკლოტებს ჰყვებოდნენ უკვე. ანიბალიც მოვიდა მაშინ. ხელი არც ჩამოურთმევია ჩემთვის. სამიბა საუბარი ჩემზე, თავის თავზე, ოჯახზე, დედაჩემზეც. მისმა ბუნებრიობამ წამში მომგვარა სიმშვიდე, გულზეც მომეშვა. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ანიბალმა გამოხატა პატივისცემა არა მართლ დედაჩემის ხსოვნის მიმართ, არამედ ჩემ მიმართაც, ჩემი დედაშვილური სიყვარულის მიმართაც. ვანა არ ვიცი, რომ არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებია, ჩვეულებრივად მოიქცა, მაგრამ სწორედ ეს ჩვეულებრივობა ნიშნავს ბევრს დამწუხრებული ადამიანისათვის.

შაბათი, 6 აპრილი

უცნაური სახმარი ვნახე: პიყამოჩაცმული მივაბიჯებ ვითომ დელოს ალიადორის პარკში და უცბად მდიდრული ორსართულიანი სახლის წინ ვხვდავ აველიანედას, უცხოვანოდ მივეუახლოვდი. უბრალო კაბა ჩაცვა პირდაპირ შიშველ ტანზე, არც ქაშირი ეკეთა, არც სამკაულები, იჯდა ევკალიპტის ძირში სამზარეულოს სკამზე და კარტოფილს თლიდა. ამასობაში ვითომ დაღამდა და მე ვთქვი: „რა საამო სურხელი დგას მინდვრისა“. თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, აველიანედა უყოყმანოდ დამხებდა.

დილით სათაასურში მოსულ აველიანედას უბრალო კაბა ეცვა, არც ქაშირი ეკეთა, არც რამ სამკაული. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი: „რა საამო სურხელი დგას მინდვრისა“. ქალიშვილს შიში გამოეხატა სახეზე, ალბათ იფიქრა, ეს კაცი ან ვაგი და ან მთვრალიაო. დავიწყე ზღაპრები, ჩემთვის ვთქვი-მეთქი რაღაცა, და სულ გაეფუჭე, მგონი, საქმე. არ დამიჯერა და შესვენებაზე რომ გადიოდა, კვლავ შეშინებული გამოაპარებდა ხოლმე ჩემკენ თვალს. ა, ბატონო, საბუთი იმისა, რომ ჩვენს სიტყვებს სიზმარში უფრო მეტი დამაჯერებლობა აქვთ, ვიდრე ცხადს.

კვირა, 7 აპრილი

თითქმის ყოველ კვირა დღეს მარტოკა ესადილობ და ვვახშობ. ასეთ წუთებში უნებურად მიპყრობს ხოლმე ნაღველი. როგორ ჩაიარა ჩემი ცხოვრება? ამ კითხვაზე მაგონდება გარდელი¹ „ჩანართი ქალებისათვის“ ან რაიმე Reader's Digest-იდან², რას იზამ! დღეს კვირაა, ერთნების კუნებაზე სულაც არა ვარ და შემიძლია თავს ასეთი შეკითხვა დავუყუდო უხელოებაში არა მქონია არც ერთი უბედური და მოულოდნელი შემთხვევა. ყველაზე მოულოდნელი იყო ისაბელის სიკვდილი. იქნებ სწორედ ეს არის ნამდვილი მიზეზი — როგორც მე ვამბობ ხოლმე — ჩემი ცხოვრებისეული კრაზისა? არა მგონია, რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ისაბელის სიკვდილი იყო ხელსაყრელი უბედურება, თუ შეიძლება ასე ვთქვა (ღმერთო, რა საძაგლობაა, თავი მეზიზღება). ისე კი, აი რისი თქმა მინდა: ისაბელი რომ მოკვდა, მე ოცდარვა წლისა ვიყავი, ის კი — ოცდახუთისა. ეს ის ასაკია, როცა კაცი გრძნობებით ხარ პირთამდე სავსე. ალბათ არც ერთ ქალს არ აღუძრავს ჩემში ასეთი მბორგავი, სულის ამაფორიაქებელი სურვილი, როგორც ისაბელს. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ვერ ვიხსენებ ისაბელის სახეს (სადღაც სულის სიღრმეში მაინც ხომ უნდა მახსოვდეს იგი სურათებისა და ვიღაც-ვიღაცების მოგონებათა მოგონებების გარეშე?), სამაგიეროდ ჩემს ხელებს ყოველთვის ახსენდებათ (თუკი მოვისურვებ) მისი თქმობები, მუცელი, ფეხები, ძუძუები, რატომ შემორჩათ მისი ხსოვნა მხოლოდ ჩემს ხელებს და არა მე, პირადად? პასუხი თავისთავად იკვეთება: ისაბელს ხანდაზმულობამდე რომ ეცოცხლა, მის სხეულსაც დაეტყობოდა ხანი და ჭკნობა (არადა, უმთავრესი მისი ხიბლი მისივე მკვრივი, თითქმის პირთამდე დატენილი სხეული და აბრეშუმით ნაზი კანი იყო!), ასევე შეეპარებოდა ჭკნობა მისადმი ჩემს ლტოლვასაც და მერე კაცმა არ იცის, რა მოუვიდოდა ჩვენს სანაქებო ცოლქმრობას, რამეთუ ჩვენი თანხმიერი ცხოვრება — ეს კი ნამდვილად ასე იყო — დამოკიდებული იყო ჩვენს სარეცელზე. იმის თქმა როდი მინდა, დღისით ძაღლსა და კატასავით ვიყავით-მეთქი, პირიქით, ყოველდღიურ ურთიერთობაშიც ზომიერად ვექცეოდით ერთმანეთს. რატომ ვიკავებდით თავს და რატომ არ ვიხუბობდით? ვერ დავმაღავე — დამეუღლ სიამეთა გამო, სწორედ ღამის სიამენი გვიცავდნენ დღის უსიამობისაგან. ურთიერთსიძულვილი გვეტანჯავდა ორივეს, მაგრამ დამეუღლ ურთიერთობას რომ წარვიდგენდით, სინაზის ტალღა გვეხლებოდა და წუთის წინ ჩასახული სიძულვილის ნაპერწკალს აქრობდა. ამრიგად, ცუდი არ ეთქმოდა ჩვენს ცოლქმრულ წლებს.

სხვაფრივ როგორი იყო ჩემი ცხოვრება? ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ საკუთარ თავზე ისეთი შეხედულებისა ვარ, თავდაჯერებულობასთან რომ საერთო არაფერი აქვს. მე ვლაპარაკობ ნამდვილ შეხედულებაზე, რომელსაც ვერ გაუუმხელდი იმ სარკესაც კი, რომლის წინაც წევრს ვიპარსავ: მახსენდება: იყო დრო, — ასე, თექვსმეტი-ოცი წლის ასაკში — როცა კარგი წარმოდგენა, შეიძლება ითქვას, დიდი წარმოდგენაც მქონდა საკუთარ თავზე. მინდოდა „რადაც დიადი“ გამეკეთებინა, ადამიანებისთვის სარგებელი მომეტანა, უსამართლობა აღმომეფხვრა. ერთი სიტყვით, არც სულელი ვიყავი და არც ეგოისტი. მომწონ-

¹ გარდოს გარდელი (1890—1937) — არგენტინელი კინოსა და თეატრის მსახიობი, ცნობილი მომღერალი, „ტანგის მეფე“.
² ამერიკული პოპულარული ჟურნალი, სადაც იბეჭდება გამორჩეული ლიტერატურის ნაწარმოებთა მოკლე შინაარსი.

და, როცა მაქებდნენ, ტაშს მიკრავდნენ, მაგრამ იმასაც ვცდილობდი, ხალხს გამოვდგომოდი მე და არა ხალხი გამოვდგომოდა მე. ისე, ჭეშმარიტი ქრისტიანული გულმონწყალებით არასოდეს გამოვირჩეოდი. რამდენადაც მაზსოვს არც ვისწრაფოდი მისკენ. არ ვისწრაფოდი დავხმარებოდი უპოვართა და სხიხართ (უაზროდ და ჰაიპარად დახარჯული გულმონწყალებისა ნაკლებად მჯერებდა) ჩემი მიზანი უფრო მარტივი იყო: გამოვდგომოდი ახლობელს, გამოვდგომოდი მე, ვისაც პირადად მე ვჭირდებოდი.

მაგრამ გავიდა ხანი და, სიმართლე რომ ვთქვა, რწმენა შემერყა. ახლა მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, ზოგჯერ უმწეოც კი. ალბათ უფრო შევეგუებოდი ჩემს ახლანდელ ყოფას, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ სადღაც საშუალოზე მეტი ვარ. ვიცი, ახლაც შემიძლია და წინათაც შემეძლო მიმეღწია რაღაც უფრო დიდისთვის, ისიც ვიცი, რომ მე უფრო მეტის ღირსი ვარ, ვიდრე ეს დამღლედი, ერთფეროვანი სამსახურია, რომ მე ღირსი ვარ არა ასეთი უფერული, უსიხარულო ცხოვრებისა, არამედ უკეთესისა, ადამიანებთან სხვანაირი ურთიერთობისა და რაკილა ეს ყველაფერი მშვენივრად ვუწყვი, რა თქმა უნდა, ვშფოთავ და მტკივნეულად განვიცდი ცხოვრებისეულ მარცხს, განვიცდი საკუთარ უნიათობას და უღონობას ცხოვრების წინაშე. არადა, ცუდი არაფერი შემხვედრია ცხოვრებაში (რა თქმა უნდა, ისაბელის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა ჩემზე, მაგრამ, რომ ვთქვა, სული შემიძრა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ბოლოს და ბოლოს ყველანი სიკვდილის შვილები ვართ!), არაფერს შეუშლია ჩემთვის ხელი მიზნის მიღწევასა და წინსვლაში, არავის უკვრია ხელი, არავის ჩავუგდივარ მომქანცველი ყოველდღიურობის უფსკრულში. ეს უფსკრული მე თვითონ შევქმენი და თანაც შევმქენი ძალზე იოლად: შევეჩვიე. ისე მტკიცედ მწამდა, მეტის გაკეთება შემეძლო, რომ მეგონა, დღეს თუ არა ხვალ მაინც მივაღწევდი მიზანს და ეს დღეხვალიობა დამღუპველი აღმოჩნდა ჩემთვის. ვერც კი ვამჩნევდი, ისე ვეფლობოდი რუტინაში, ვფიქრობდი, დროებითი იყო ეს ფლობა, ჯერ პირველ საფეხურზე ვდგავარ, უნდა მოვითმინო-მეთქი, ხოლო ჩემი აზრით ამ აუცილებელ შესამზადებელ საფეხურს რომ გავცდები, აი, მაშინ კი ჩავებმევი ბრძოლაში და პირდაპირ რქებით დავითრევ ჩემს ბედ-ილბაღს-მეთქი. რა სისულელეა! თითქოს დიდი არაფერი ნაკლი მაქვს სიგარეტს ცოტას ვეწევი, სასმელს იშვიათად ვეტანები, ისიც დარდიან გულზე, მაგრამ არა, ერთი დიდი და განუკურნებელი სენი მაინც მჭირს: სულ არა ვცდილობ უფსკრულს თავი დავაღწიო, სახვალიოდ ვღებ და ვღებ. ახლა, ამ წუთას რომ ავდგე და ფიცით დავდო პირობა: „უსათუოდ გავხდები ის, რაც მინდა“, — ტყუილი ქადილი იქნება. ჯერ ერთი, ძალა აღარ მეყოფა ცხოვრების ნირის შესაცვლელად, მეორეც — ის, რაც ყმაწვილკაცობაში მწამდა და მაწვალებდა, ახლა აღარ მწამს. ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, უდროოდ ჩავეხუტო სიბერეს, საკუთარ სურვილებს დღეს ისე აღარ ვეცები, როგორც ოცდაათი წლის წინათ, რაც მთავარია, ისე მგზნებარედ აღარ ვისწრაფვი, აღვასრულო ეს სურვილები. პენსიაზე გასვლაც სწრაფვია, მაგრამ ეს უკვე ისეთი სწრაფვია, რომელიც სადღაც მთის ძირისკენ მიგაქანებს. ვიცი, პენსია თავისთავად მოვა, ხელის განძრევა არ დამჭირდება. ასე უფრო იოლია ცხოვრება, მე ფარ-ხმალი დავყარე და სურვილებიც ამ ყოფის შესაფერისი მაქვს.

სამუშაბათი, 9 აპრილი

დილით ბოთე ვიგნალემ დამირეკა სამსახურში. თანამშრომლები გაფრთხი-

ლებული მყავდნენ, უთხარით, არ მოსულა-თქო, მაგრამ შუაღამს დარეკა და სხვა გზა აღარ მქონდა, დაველაპარაკე. ასეთ შემთხვევაში საკუთარი თავის მიმართ მეტი სმეტად მკაცრი ვარ: თუ ასეთი ამხანაგი გყავს (როგორც „თქო მაინც ვერ ვამბობ“), მაშასადამე, ასეთის ღირსი ხარ.



ვიგნალებს სურს მინახულოს. „რალაც უნდა გითხრა, ქვეყნულ ლეფონში არ ითქმის. ვერც შინ მიგიპატიებ“.

ოთხშაბათი, 10 აპრილი

აველიანედა რალაციით მიზიდავს. ნამდვილად ასეა, მაგრამ რით?

ხუთშაბათი, 11 აპრილი

ნახევარი საათიც და ვივახშმებო. ვიგნალებს მოვა. სახლში მარტო მე და ბლანკა ვართ. ბიჭებმა რომ გაიგეს, ვიგნალებს მოდიხარ, მაშინვე გეკრძავენ. არც ვამტყუნებ, მეც სიამოვნებით ვუშველიდი თავს.

ბლანკა ძალიან გამოიცვალა. ვარდისფერი დაედო სახე. ლებავის ბრალი არ არის, დაბანის მერეც ვარდისფერია. ზოგჯერ ავიწყდება რომ მეც შინა ვარ და მღერის, სუსტი ხმა აქვს, მაგრამ კარგად მღერის, გემოვნებით, სასიამოვნოდ. ნეტავ რაზე ფიქრობენ ჩემი შვილები? იქნებ ჯერ კიდევ იმ ასაკში არიან, მთები რომ ეძახით მალლა და მალლა?

პარასკევი, 12 აპრილი

ვიგნალებს წუხელ თერთმეტ საათზე მოვიდა და ღამის ორ საათზე წავიდა. მისი საიდუმლო ერთობ უბრალო გამოდგა: რძალს შეპყვარებია. ნამდვილად ღირს დღიურში ჩაეწეროს, თუნდაც მოკლედ, პირადად მისი ნამბობი: „არ დაგავიწყდეს, ისინი ექვსი წელიწადია ჩვენთან ცხოვრობენ. ექვსი წელიწადი ოთხი დღე ხომ არ არის? აქამდე ელვირასათვის არც მიმიტყვევია ყურადღება. ალბათ შეამჩნიე, საკმაოდ ლამაზი ქალია, საბანაო კოსტუმში რომ ნახო, შეირყევი. მაგრამ ხომ იცი, ერთია — შეხედვა, ხოლო სულ სხვა რამაა ცოდვის ჩადენა. როგორ გითხრა? ჩემი დედაკაცი ცოტა გაიტყლაპნა, ეს ოჯახური საქმეებით, ეს ბავშვებით, დაიღალა ქალი. თხუთმეტი წელიწადია კარგ-ქმარი ვართ და ვერ ვიტყვი, ცოლის დანახვაზე ენების ცეცხლი მეკიდება-მეკრები. ის ამბავიც ორი კვირა უგრძელდება ხოლმე, ასე რომ, ძნელია იმკითხაო, თუ რა რომ მოვიხდება, იმას შეუძლია თუ არა. პოდა, გამოდის რომ მძივრი უკვლავი ელვირას თვლებით ვჭამ, ფეხებზე ხომ მივშტერებივარ და მივშტერებივარ, თანაც, თითქოს ჯიბრზეო, სახლში შორტები აცვია. ელვირა თვალთვალისათვის ერთი-ორჯერ გამიბრაზდა. მართლაც, ვერ არის კარგი საქმე. მართალი გითხრა, რომ მცოდნობა, ელვირას შეუყვარდებოდი, სულ არ გავიხედავდი მისკენ, საკუთარ ოჯახში გარყვნილების მომხრე სულაც არა ვარ. ოჯახი ჩემთვის წმიდობაშია. ადვილია. ჯერ თვალს მადევნებდა, მე კი ყვეეჩივით ვდუმდი: ერთხელაც დაჯდა ჩემ პირდაპირ, შორტები აცვია, ფეხი ფეხზე გადაიდო — რა გინდა რომ ქნა? ვუთხარი: „ცოტა ფრთხილად“. მან კი: „არ მინდა ფრთხილად“ — და წავიდა. მერე მითხრა, ბრმა ხარ, ვერა ხედავ, მომწონხარო, ასეო და ისეო? თუმცა ვიცოდი, ამოდ ვეუბნებოდი, მაინც შევახსენე ქმარი, ესე იგი, ჩემი ცოლის ძმა. იმან კი იცი, რა მიპასუხა? „ვისზე ამბობ, ჩემს უმაქნის ქმარზე?“ მთელი უბედურება ის არის, რომ მართლაც ამბობდა: ფრანსისკო მართლაც უმაქნისი კაცია. ამი-

ტომაც არა მქენჯნის სინდისი ისე მაგრად. შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადვილზე?”

მე მის ადვილზე სულ უბრალოდ მოვიქცეოდი: ჯერ ერთი, არ ვართხვდი ისეთ შტერ ქალს, როგორც მისი ცოლია, მეორეც — მე ვერ მომხსენებდა რომელიმე ქალბატონის ყავლგასული ხიბლი. ამიტომაც არაფერი მქმედებდა ერთი-ორი უხამსობის გარდა, მერე გავაფრთხილე: „ჭკვიანად შეგეძლება აგეკიდოს და მერე ვეღარც მოიშორებ. თუ ოჯახის დანგრევისა არ გეშინია, შეგიძლია გრძნობებს აჰყვე, მაგრამ თუ ოჯახი გეძვირფასება, მაშინ სჯობს, არ გარისკო!“

ვიგნალე გულდამძიმებული და ჩაფიქრებული წავიდა... და მაინც ფრანსისკოს სულ მალე დაედგმება რქები, — გავიფიქრე მე.

კვირა, 14 აპრილი

დილით ავტობუსით მივედი აგრასიადასა და ცხრაპეტი აპრილის ქუჩების გადაკვეთამდე. დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ. ასე მგონია, უცხო ქალაქში მოვხვდი-მეთქი. მხოლოდ ახლა მივხვდი, უხეობო ქუჩაზე მივეჩვიე ცხოვრებას. მაინც რა საშინლად ცივა ჩვენს ქუჩებში.

ერთი დიდი სიზარული მაქვს ცხოვრებაში, მიყვარს ფოთლებში მოჭიატე მზის სხივების ცქერა.

მშვენიერი დილაა, მაგრამ ნასადილევს მოსასვენებლად რომ წამოვწვი, ოთხი საათი მეძინა და ცუდ გუნებაზე გამოშვდიდა.

სამშაბათი, 16 აპრილი

ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ მიზიდავს აველიანედა. დღეს რალაც-რალაცები აეუხსენი კიდევ. რა მსუბუქად დადის! თმას მოხდენილად ისწორებს, ლოყები შებუსუსებულ ატამს მიუგავს. ნეტავ თავის საქმროსთან რას აკეთებს? უფრო სწორად, მისი საქმრო რას აკეთებს აველიანედასთან? ღირსეული თავშეკავებით ეპყრობიან ერთმანეთს თუ, პირიქით, ვნების ცეცხლით იწვიან, როგორც სჩვევიათ ასეთ დროს? ლაქიასავით შემბყრო ცნობისწადილმა. იქნებ შურმა?

ოთხშაბათი, 17 აპრილი

ესტებანმა მითხრა, თუ ვინდა პენსია წლის ბოლოს მიიღო, ახლავე უნდა დავიწყოთ „ჩალიჩიო“. დაგეხმარები, ხელს წაგაშველებ, მაგრამ მაინც დიდი დრო დასჭირდებაო. ხელის წაშველება, ეტყობა, ვილაცასთან „საქმის ჩაწყობას“ ნიშნავს. საძაგლობაა. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი გაიძვერა და მექრთამე ის ვილაცა მისი მეგობარია, მაგრამ მეც კარგი ვინმე გამოუდივარ, ქრთამის მიმცემიც არ არის წმინდანი. ესტებანი მარწმუნებს, იმ სამყაროს კანონებს უნდა დაემორჩილო, სადაც ცხოვრობო. ის, რაც ერთი სამყაროს კანონით პატიოსნურია, მეორის კანონით — უბრალოდ, სისულელეაო. ესტებანი ალბათ მართალს ამბობს, მაგრამ მისი სიძარტლე როგორღაც გულს ამძიმებს.

ხუთშაბათი, 18 აპრილი

კანტორაში ინსპექტორი გამოგვიგზავნეს, თავაზიანი, უღვაშა კაცი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთი კირკიტა თუ იქნებოდა. ჯერ ბალანსები მოითხოვა, მერე — სრული ანალიტიკური ანგარიში. დილიდან მოყოლებულ დავათრევი აქეთ-იქით ძველ, გაცრეცილ დავთრებს. ინსპექტორი კი არა — ჯანდა-

ბა იყო! იღიმებოდა, ბოდიშობდა, წარამარა მადლობას იხდიდა. ისეთი ხიბლიანი კაცი იყო, ვერ ავწერ. ისემც მაგას რა ვუთხარი! ჯერ ებრაზობდი, თუ რამეს მკითხავდა, პასუხს სისინით ვაძლევდი, გუნებაში კი ნაირ-ნაირ კურთხევას ვუგზავნიდი. მერე რაღაც სხვა გრძნობა დამეუფლა და გაბოროტებაც სადღაც გამოქრა. მივხვდი სიბერე მომეპარა. 1929 წლის ბალანსი ჩემე, ჩემთვის მედგენილი, კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებს სარეგისტრაციო დოკუმენტად მე ვწერდი, სალაროს წიგნებშიც ჩემი აღენიშვნები იყო ფანქრით ვაკეთებული. მაშინ ჯერ უმცროსი კლერკი ვიყავი, მაგრამ მაინც მანდობდნენ ძნელ საქმეებს — ჩემი შეფი ჩუმი სიამაყით მიცქერდა ხოლმე. ზუსტად ასეთივე სიამაყეს განვიცდი ახლა მეც, როცა მენიოსი ან რობლელო ძნელ სამუშაოს აკეთებენ. ჩვენს კანტორაში მე პერიოდულად ვართ — ცოცხალი მემატიაზე. ოცდახუთი წელიწადი, ხუთი ხუთწლეული ანუ საუკუნის მეოთხედი! სათქმელად რა ადვილია — ოცდახუთი წელიწადი! როგორ შემცვლია ხელწერა, 1929 წელს თურმე ბატიფეხურად ვწერდი. თითქოს ქარმა დაუბერაო, ასოები აქეთ-იქით იყო გადაწოლილ-გადმოწოლილი. 1939 წელს ასოები ფონებივით რაღაც-რაღაცებით გამიღამაზებია, სწორი ჩახება უკუღებელყოფილი იყო და ხელწერაშიც არ ჩანდა ხასიათის სიმტკიცე. 1945 წლიდან სათავო ასოების გაფორმებას ვაუტაცოვარ, ძალიან მომწონდა, ეტყობა, თვალში საცემი, მაგრამ უმაქნისი მორთულობანი, ზოგი ასო დიდ-დიდ თბობებს ჰგავდნენ, საკუთარსავე აბლაბუდებში გახლართულებს. ახლა უკვე ვახსოვებ, სწორად, სადად ვწერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე მოხერხებულად ვინიღბები, რადგან სინამდვილეში რთული და ცვალებადი ბუნებისა ვაგხდი, უწესივრო და აფორიაქებული. ინსპექტორმა მთხოვა, მეჩვენებინა 1930 წლის დავთრები. ესეც ჩემი ნაწერი იყო, ოღონდ სრულიად განსაკუთრებულად ნაწერი. იმ წელს ზუსტად ასეთი ხელწერით კვირაში ორჯერ გამოძეადა ქალაქზე: „ძვირფასო ისაბელ“. მაშინ იგი მელოში ცხოვრობდა და ყოველ სამშაბათსა და პარასკევს ვუგზავნიდი წერილებს. მაშასადამე, ასეთი ხელწერა მქონია მაშინ მე — სასიძოს. მოგონებებმოძალეებულს გამედიმა, ინსპექტორსაც ვაედიმა და... კიდევ ერთი დავთარი მომთხოვა — ინვენტარისა.

შაბათი, 20 აპრილი.

ნუთუ მთლად დავიცალე? იმის თქმა მინდა, ნუთუ ძლიერი გრძნობების უნარი აღარ შემწევს-მეთქი?

ორშაბათი, 22 აპრილი

სანტინიმ კვლავ გადამიშალა გული. კვლავ თავის ჩვიდმეტე წლის დაზე მელაპარაკა: როცა მის არავინ არის, ჩახვერად შიშველი შემოდის ჩემს ოთახში და ცეკვავსო. „საბანაო კოსტუმი აცვია, იწყებს ცეკვას, იხდის ლიფს“. „შენ რას აკეთებ ამ დროს?“ „მე... მე ძალიან ვღელავ“. თუ ძალიან ღელავ, საშიშიც არაფერია-მეთქი, ვუთხარი. „კი მაგრამ, სენიორ, ეს ხომ უზნეობაა?“ — შეჰყვირა მან და თავისი მედალიონიანი სამაჯური გააჩხარუნა. „შენს დას არ უთქვამს, რატომ ცეკვავს შიშველი შენ წინაშე?“ „იცით რა, სენიორ, ჩემი და მეუბნება, უნდა განგკურნო, ქალები არ გიყვარსო“, „მერე, მართლა ასეა?“ „ვითქვათ, ასეა... ჩემს დას მაინც არ შეშვენის ასეთი საქციელი... მისთვის ვამბობ, თორემ მე რა...“ აქ მე თავი ვერ შევიკავე და ვკითხე ის, რასაც დიდი ხანია ელოდა: „კაცები გიყვარს?“ სანტინიმ კვლავ გააჩხარუნა სამაჯური: „რას ამბობ? ეს ხომ გარყვნილებაა, სენიორ, — ეშმაკურად და გულისამრევად ჩამიკრა თვა-

ასე? მე იგი ჯერ ჩვენი ბიულეტენის დახმარებით გავცხადებ, მერე კი დაკვირვება და ვეველაზე მოსაწყვები ხამუმაო მიგვიცა. რაფერი უჭირს, დაჯდეს და იმტკროოს თავი ერთი ათი დღე. ჰომოსექსუალობისთვის მაკლდა განყოფილებაში. მძახი და, ბი- დი საზიზღარი ვიღაცაა, ეტყობა.



ქართული
გზიგზიქრობა

ოთხშაბათი, 24 აპრილი

დღეს, როგორც ყოველ 24 აპრილს, მიუღმა იჯახმა მივიყარეთ თავი. ამჯერად მიზნები გვექონდა — ესტუმრის დაბრუნება. სადაც უნდა იქნება, ლობდით, მხიარულად ვყოფილყავათ. აუბილარაც არ გუჯდლებდა, კითხ- თორი სასაცილო ამბავიც კი მოგვეყვა და ვაგვაცურადაც გადაატანა ჩვენი ხვევ- ნა-კოცნა.

საღამოს მშვენება იყო ბლანკას მომზადებული კანშაში რა დასაძლია და, „წიწილა პორტუგალურად“ უფრო განწყობს კაცს ოპტიმისტურად. ვიდრე, ვთქვათ, კარტოფილის დეზელეები სოციოლოგები დიდი ხნის წინათ ენდა მი- მზვდარიყვნენ და მერე ყველახათვის აეხსნათ, როგორ მოქმედებს ჭამა ურუგვა- ულ კულტურაზე, ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. ღმერთო, როგორ ვჭამთ! გვიხარია — ვჭამთ, ვწუხვართ — ვჭამთ, გვეშინია — ვჭამთ, დაბნეულები ვართ — ვჭამთ. ყველა ჩვენი განცდა ჭამასთან არის დაკავშირებული. ჩვენი თანდაყოლი- ლი დემოკრატიზმიც ხომ უპირველესად უძველეს გამოთქმაზეა დაფუძნებული: „ჭამა ყველას უნდა“. ჩვენი მორწმუნენი დიდად არ სწუხან, ღმერთი შეუნდობს თუ არა მათ ცოდვებს, მაგრამ სამაგიეროდ აცრემლებულეები შესთხოვენ, არ დაა- კლოს მათ პური არსობისა. მჯერა, რომ პური არსობისა ადამიანისათვის სა- მბოლო კი არა, სწორედ ის არის, რაც არის სინამდვილეში. კალიგრამიანი ფურ- ნის პური.

ერთი სიტყვით, გემრიელად ვივახშმეთ, შესანიშნავი კლარეტითაც შეე- სვით ესტუმბანის სადღეგრძელო, ნავახშმევს კი, როცა უკვე ყავას მივიართმევ- დით, ბლანკამ უცებ ახალი ამბავი გვაუწყა. საქმრო ძყავისი. ხაიმემ რაღაც უც- ნაურად შეხედა (როგორ მიხდა ვიცოდე, ხაერთოდ, რას წარმოადგენს ხაიმე, ვინ არის იგი რა მიზნები აქვს, რაზე ფიქრობს?), ესტუმბანმა მხიარულად ჰკი- თხა, რა ჰქვია მაგ შენს „თავისმკვლეღსი“. მე ძალიან გამეიარდა ეს ამბავი და არც დამიფარავს — როდის გაგვაცნობ შენს შერევიღს? — ვკითხე. „იცი რა, მამა, დიეგო ის კაცი არ არის, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გვესტუმროს, როგორც არის მიღებული. ხან ცენტრში ვხვდებით ერთმანეთს, ხან მის სახლში, აქაც“. ეტყობა, ყველას შეგვეცვალა სახე ბლანკას ნათქვამ „მის სახლზე“, რადგან სწრაფად დაუმატა: ნუ გეშინიათ, დედასთან ერთად ცხოვრობს“. „დედა რა, სულ სახლში ზის,? — ცოტაც და, ესტუმბანი იფეთქებ- და მომეშვი ერთი, — ბლანკა მე მომიბრუნდა: — შენ ხომ გჯერა ჩემი, მამა? მხოლოდ შენი აზრია ჩემთვის მთავარი. ხომ გჯერა?“ როცა ასე ჯიქურ გეკით- ხებიან, რა თქმა უნდა, „პოს“ უპასუხებ. ბლანკამ ეს იცის. „რასაკვირველია, მჯერა“, ვთქვი მე. ესტუმბანმა ჩაიდუღღუნა, განა ეს დასაჯერებელიაო? ხაიმე ღუმდა.

პარასკევი, 26 აპრილი

მმართველმა კვლავ გამოგვიძახა განყოფილების გამგეები. სუარესი არ იყო მისდა საბედნიეროდ. გრიპი შეჰყროდა. მარტინესმა დრო იხელთა, და რაც სათ- ქმელი ჰქონდა, ყველაფერი თქვა. ყოჩად, ეტყობა, რომ გულთან მიაქვს სამსა-

ხურის საქმეები. მე პირადად სრულებით არ მალელებს არც კანტორა, არც თანამდებობა, არც დაწინაურება და არც მთელი ეს სისულელე. კარიერისკენ არასოდეს ვისწრაფოდი. ჩემი ფარული დევიზია: „რაც უფრო პატარაა თანამდებობა, მით უფრო ნაკლებია დავიდარაბაც“. მართლაც რა საჭიროა მალელო თანამდებობა, უმისოდ უფრო იოლია ცხოვრება. მაგრამ მარტინესი მართლაც ხწორად მოიქცა. წლის ბოლოსთვის თავისუფლდება მმართველის მთავარი მდგომარეობიდან და განყოფილების გამგეებიდან მხოლოდ მე, მარტინესი და სუარესი ვართ ამ დეპარტამენტის პრეზიდენტები. როგორც ძველი და გამოცდილი მუშაკები. მარტინესი მე მეტოქედ არა მთვლის, იცის, პენსიაზე გაედივარ. სამაგიეროდ სუარესისა ეშინია და არცთუ უსაფუძვლოდ: მას შემდეგ, რაც სუარესი ლიდია ვალვერდეს გადაეკიდა, სულ მალლა და მალლა მიიწევს. ჯერ იყო და, მოლარის თანაშემწის თანამდებობიდან შარშან უფროსი კლერკის ადვილზე გადაასკუბეს, მერე იყო და სულ რაღაც ოთხ თვეში საექსპედიციო ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა. მარტინესმა იცის, რომ ერთადერთი გზა სუარესის ჩამოსაშორებლად მისი სრული დისკრედიტაციაა. ამისათვის კი ღილი ტვინის ჭყლეტა არ აირის საჭირო: სუარესი ხომ, როგორც მუშაკი, ნამდვილი უბედურებაა. სუარესმა იცის, ხელს იოლად ვერავინ წამოკრავს, იცის, კანტორაში არ უყვართ, მაგრამ ის, რასაც სინდისი ჰქვია, მას არ გააჩნია და არც აწუხებს უმისობა.

საბრალო მმართველი, რა დღეში ჩავარდა, როცა მარტინესმა პირი მოალო: ისაო, ბატონო უფროსოო, ხომ ვერ გვეტყვი, დირექციის წევრებიდნ კიდეც ვისა ჰყავს ქალიშვილი, ვისაც შეეძლება საყვარლად გაიხადოს რომელიმე განყოფილების გამგეო. მეო აქა ვარ და მზად ვარ ვემსახუროო. მმართველმა ჰკითხა, მაგიო რისი თქმა გსურთ, კანტორიდან წასვლა ხომ არ გადაწყვიტეთო. „არამც და არამც. პირიქით, დაწინაურება მინდა. ახლა უკვე ვიცი, როგორ უნდა დაწინაურდე სამსახურში“. საწყალი მმართველი! იცის, მარტონესი მართალია და ისიც იცის, რომ თვითონ მას არაფერი შეუძლია. სუარესი ხელშეუხებელი პიროვნებაა, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით.

კვირა, 28 აპრილი

ანიბალი ჩამოვიდა. აეროპორტში დავხვდი. გამხდარა, წლები დასტყობია, დაღლილიც გამოიყურება. გამეხარდა მისი დანახვა ცოტა ვილაპარაკეთ, რადგან ანიბალის თავისი სამი დაც დახვდა, მე კი ვერასოდეს ვეწყობოდი ამ თუთიყუშებს. შევთანხმდით, კანტორაში დამირეკავს.

ორშაბათი, 29 აპრილი

დღეს განყოფილებაში სიცარიელე იყო. სამი კაცი გვაკლდა. მუნიოსი საქმეზე წავიდა, რობლედო რეალიზაციის განყოფილებაში ამოწმებდა სტატისტიკურ მონაცემებს. კიდეც კარგი, რომ ამ დროს სამუშაო არც ისე ბევრია. ჩვეულებრივ სასწრაფო საქმეები უფრო თვის დასაწყისში იყრის თავს. მე და აველიანედა მარტონი დავრჩით. სამუშაო ცოტა გექონდა და გავესაუბრე. ეს ერთი ხანია ვამჩვენ, რაღაც ვერ არის გუნებაზე. იქნებ უჭირს რამე. კი, კი, ნამდვილად უჭირს, სახის ნაკეთები წაუმახვილდა, თვალეში ნალველი ჩაუდგა და უფრო ახალგაზრდა ჩანს. მე მომწონს აველიანედა, მგონი, ერთხელ უკვე ჩავწერე დღიურში. კვითხე, რა მოგივიდათ-მეთქი. ჩემს მაგიდასთან მოვიდა, გაიღიმა (რა კარგი ღიმილი აქვს!), დუმს. „ვამჩნევთ, რაღაც გაწუხებთ, – იმასვე ვამბობდი, რასაც ვფიქრობდი წუთის წინ. – კი, კი, ნამდვილად გიჭირთ რა-

დაც". აველიანედამ, ეტყობა. ცარიელ ლაყბობად არ ჩამითვალა საუბრის წამოწყება და ნაღვლიან თვალებში სხივი ჩაუდგა: „თქვენ კეთილი კაცი ხართ, სენიორ სანტომე“. ოპ, ვის უნდა ეს „სენიორ სანტომე“. რა მშვენივრად იტყობა და წინადადების პირველი ნაწილი! ამ „სენიორ სანტომემ“ შეუბრძოლებლად მაგრძნობინა, რომ ორმოცდაცხრა წლისა ვიყავი და მეც მაშინვე ჩამოვყვედი მთელი მედიდურობა, ძალა მოვიკრიბე, რათა მოჩვენებით მამაშვილად მქეციოხა: „საქმროს ხომ არ მოვიდა რამე? საბრალო ქალს ცრემლით აუვსო თვალები, თავი დამიქნია, მგონი დასტურის ნიშნად, მერე ერთი ჩაისლუკუნა, მაპატიეთო, და საპირფარეშოში გავარდა. დაერჩი მარტო ჩემს ქაღალდებთან, არ ვიცოდი, რა შექნა, მგონი, გულიც ამიჩუყდა. კარგა ხანია ასეთი მღვლვარება არ მიგრძენია, რაღაც სხვანაირი გრძნობა დამეუფლა, უსიამო, მაგრამ წამიერი, ისეთი, როგორსაც განიცდის ხოლმე კაცი ატირებული ქალის დანახვაზე. სულის სიღრმემდე ვიყავი შეძრული, თურმე ჯერ არ დამიკარგავს მგრძნობელობა, თურმე ჯერ კიდევ არ დავცლილვარ მთლად. აველიანედა ოღნავ შემცბარი დაბრუნდა, აღარ ტიროდა. მე კი ნამდვილი ეგოისტი, ვიჯექი და ვტკბებოდი საკუთარი აღმოჩენით: არ დავცლილვარ, არ დავცლილვარ! ქალიშვილს მადლიერებით შევხედე, მაგრამ ამ დროს მუნიოსი და რობლელო დაბრუნდნენ და ჩვენც შეთქმულებივით ჩავრგეთ თავი სამუშაოში.

სამუშაოთი, 30 აპრილი

დროა გავერკვე, რა ხდება ჩემს თავს. მთელი დღე ერთს და დამავეს ვიმეორებ: „მაშასადამე, საქმროს წაეჩხუბა“ და მიხარია, სუნთქვა მიმსუბუქდება. სამაგიეროდ მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე, მთლად არ დავცლილვარ-მეთქი, რაღაცნაირი მშფოთვარება დამეუფლა იმის გამო, რომ ვგრძნობ, ეგოისტი ვარ. იყოს ასე, სულ ერთია, მე მგონი, ასე უკეთესია.

ოთხშაბათი, 1 მაისი

დღეს მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დამღლეული დღეა — მშრომელთა საერთაშორისო დღე — თანაც ნაცრისფერი და წვიმიანი. ქუჩები და ცარიელებულია, კაცის ჭაჭანება არ არის, არც აუტობუსები ჩანან. ვწევარ ეულად ფართო ცოლქმრულ სარეცელზე, რომელსაც ვერაფრით ვერ ვთმობ. მარტო ვარ ბნელ დამთრგუნველ ღამის მღუმარებაში. ნეტავ მალე გათენდებოდეს, რომ დილის ცხრა საათზე ჩემს მაგიდას მიუუჯდენ კანტორაში და დროდადრო მალულად გავხედო ჩემ მარცხნივ მჯდომ უსუსურსა და ნაღვლიან არსებას.

სუთშაბათი, 2 მაისი

აველიანედას აწაფერს კეტყვი. ჯერ ერთი, არ მინდა დავაფრთხო, მეორეც, მართლაც არ ვიცი, რა ვუთხრა. ჯერ თავად უნდა გავერკვე საკუთარ თავში როგორ შეიძლება ჩემი ასაკის კაცს მოეწონოს ქალიშვილი — თანაც არც ისე ღამაში, თუ დააკვირდები — და ეს ქალიშვილი გახდეს მისი არსებობის საყრდენი მართალია, ყმაწვილივით ვღელავ, მაგრამ რომ გამახსენდება ჩემი მოშვებული კანი, თვალებთან მიყრილი ნაოჭები, ფეხებზე დაბერილი მარღვები და ყოველივე ამასთან დილ-დილაობით ბებრული ხველება (თუ არ ამოიხველე, მთელი დღე გაწამდები, ფილტვები არ დაგანებებენ სუნთქვას), მაშინ ადვილი მისახვედრია, რა ყმაწვილიც მე ვარ; ყმაწვილი კი არა, ნამდვილად სასაცილო ბერიკაცი ვარ.

გრძნობები ოცი წლის წინათ დამიჩლუნგდა, ისაბელი რომ მოკვდა, მაშინ პირველ ხანებში ტკივილი მტანჯავდა, მერე სულერთი იყო ჩემთვის ყველაფერი, ცოტა ხნის მერე თავისუფლების სუნთქვა შევიგრძენი, ბოლოს კი ცხოვრებისადმი ზიზღი დამეუფლა, ყრუ, გაწეღილი, ერთფეროვანი ზიზღი... და მთელი ეს ხანი ქალებს არ ვიკლებდი, დროებითი, წამიეროვანი ურთიერთობა მქონდა მათთან. დღეს ავტობუსში გაცნობილ ქალთან ვეყავი, მისი განყოფილების შესამოწმებლად გამოგზავნილ ინსპექტორ ქალთან. ზეგ „ა.ო. ედგარდო ლამას“ ფირმის მოლარესთან და ასე უწყვეტლევ. ორჯერ არც ერთთან არ მივსულვარ რაღაც გაუცნობიერებელი მიზანი მქონდა თითქოს დასახული, პასუხისმგებელი და მოვალე არ ვყოფილიყავი ვინმეს წინაშე, ზოიგერთებივით არ ჩავეჭირე რომელიმე ქალს. რატომ ვიქცეოდი ასე? რისა მეშინოდა? რას ვუფრთხილდებოდი, ისაბელის ხსოვნას? არა მგონია. სულაც არ გახლავართ ტრალიკული გმირი, ფიცის ერთგული კაცი, მით უმეტეს რომ არც არასოდეს მიმიცია ვინმესთვის ფიცი. თავისუფლების დაკარგვისა მეშინოდა? ვინ იცის, იქნებ თავისუფლება ჩემი ინერტულობის მეორე სახელია? დღეს ერთთან ვარ, ხვალ — მეორესთან და ყოველგვარი საზრუნავიც თავისთავად მოხსნილია. უბრალოდ რომ ვთქვა, კვირაში ერთხელ იკმაყოფილებ მოთხოვნილებას, მეტი არაფერი. ეს იგივეა, რომ გშია და ჭამ, გწყურია და სვამ, იბან, კუჭს ინთავი სუფლებ. ისაბელი სხვა იყო, ჩვენ ერთმანეთს ვგრძნობდით, ჩვენი სხეულები ერთ არსებად იქცეოდა, ისაბელი უშეცდომოდ და მეყსეულად ითავისებდა ჩემს გზნებას — მეც და ისიც. თითქოს მუდამ ერთ ქალთან მიწევდაო ცეკვა. ქალი ჯერ ყველა ჩემს მოძრაობას ადევნებს თვალს, მერე კი ჩემს ჩანაფიქრს ხვდება და მომყვება. ცეკვას მე წარუმართავ, პას კი ორივენი ვასრულებთ, ის და მე ერთად.

შაბათი, 4 მაისი

ანიბალმა დამირეკა, ხვალ შევხვდეთო. ხაიმემ ფული მოთხოვა, არასოდეს არ უთხოვია. ვკითხე, რად გინდა-მეთქი. მიპასუხა: ვერც გეტყვი და არც გეტყვიო, თუ მაძლევ, მომეცი, თუ არადა, როგორც გინდა, ჩემთვის სულერთიაო, „სულერთია?“ ჰო, სულერთია. შენ გინდა მევახშესავით სარგებლით დაგიბრუუდეს ვალი. გინდა გული გადაგიშალო, ჩაგიკაკლო, როგორ ვცხოვრობ, რას ვაკეთებ, რაზე ვფიქრობ. არა სჯობს, წავიდე და იმას ვესესხო, ვინც ვალის სარგებლით დაბრუნებას არ მომთხოვს?“ რა თქმა უნდა, ფული მივეცი, მაგრამ საიდანა აქვს ასეთი გაბოროტება? ნუთუ უბრალო შეკითხვა მევახშის სარგებლიან ვალს ნიშნავს? გულდასაწყვეტია, მე ხომ ისე, უბრალოდ ვკითხე, სულაც არ ვცდილობ, ვინმეს პირად ცხოვრებაში ჩავეო ცხვირი, მით უმეტეს საკუთარი შეილებების ცხოვრებაში ხომ კარგა ხანია აღარც ვერევი. და მაინც ხაიმე და ესტებანი მუდამ კრიჭაში მიდგანან, სიტყვა ვერ მითქვამს, მაშინვე ფიცხობენ. ფიცხობენ და იყვანენ ასე, როგორც უნდათ, ისე მიხედონ თავს.

კვირა, 5 მაისი

ანიბალი გვარიანად შეცვლილა. რატომღაც მეგონა, სიკვდილამდე ახალგაზრდა დარჩებოდა. ჩანს, სიკვდილი ახლოსაა, რადგან ანიბალი აღარ გამოიყურება ახალგაზრდულად. დაბერებულა (გამხდარა, ცარიელი ძვალი და ტყავია, პიჯაკი ნათხოვარივით ადგას ტანზე, უღვაშიც შეთხელებია), მაგრამ მთავარი ეს როდია — ანიბალს ხმაც ჩაქრობია. არ მახსოვს, ასეთ ხმაზე ელაპარაკოს

როდისმე ერთიანად მოშვეებულია კაცი, თვალები პირველად დაღლილი მომეჩვენა, მაგრამ მერე მივხვდი, გამოცარიელებული ჰქონდა წინათ ანიბალი მახვილსიტყვაობის ცეცხლს ანთებდა, ახლა ისეთი უფერული და უხალისი გამხდარა. ერთი სიტყვით, აშკარად ჩანს: ანიბალმა ცხოვრების გემო დაკარგა.

საკუთარ თავზე თითქმის არაფერი უთქვამს, უფრო სწორად, თქვა, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ: ცოტა ფული დავაგროვეო, მინდა ვაქტივობა ვაჩვენო, რაიმე საქმეს მოვკიდო ხელი, პოლიტიკა ძველებურად მიტაცებდა. ეს კი ნამდვილად ძველი შერჩენოდა.

მე პოლიტიკისა ბევრი არაფერი გამეგება და ეს რომ ასე იყო, უფრო მაშინ მივხვდი, როცა ანიბალმა ერთმანეთზე უარესი და შხამიანი შეკითხვები დამაყარა. ისე შეკითხებოდა, თითქოს თითონ არ იცოდა და ჩემგან ელოდა ახსნას. ახლად მივხვდი, თურმე ბევრ რამეზე — რაზეც ბევრჯერ გვისაუბრია კანტორასა თუ კაფეში, ან გაზეთში ამომიკითხავს საუბრობის დროს — საკუთარი, თუნდაც ერთი ჩამოყალიბებული აზრი არა მქონია. ანიბალმა, რომ იტყვიან კედელთან მიმაყენა და, როცა მის შეკითხვებს ვპასუხობდი, მივხვდი, რა თანმიმდევრულად მიყალიბდებოდა საკუთარი შეხედულებები. ანიბალმა მკითხა, შენი აზრით, დღეს უფრო უკეთესობაა, თუ ამ ხუთი წლის წინათ, როცა მე აქედან წავედიო. „უარესადაა“, — გული ამოვაყოლე ამ სიტყვას. მაგრამ სამაგიეროდ უნდა ამეხსნა, რატომ იყო უარესად აუპ, არ გინდა აუხსნა?

მეჭრთამეობა ყოველთვის არსებობდა, თბილ ადგილებზე ყოველთვის ნაცნობობით ეწყობოდნენ და ბნელ საქმეებსაც ყოველთვის აკეარაზჭინებდნენ. მაშ, რატომღა იყო დღეს უარესად? დიდხანს ვიმტვრევდი თავს და ბოლოს მივხვდი: უარესად იმიტომ იყო, რომ ხალხი შეურიგდა ამ ყოფას, შეეგუა ქელი მოიხარაყოფილი შეამბობხეები ახლა ბუზღუნები გახდნენ, ყოფილი ბუზღუნები კი სამუდამოდ ჩაჩუმდნენ. ჩემი აზრით, ჩვენს დალოცვილ მონტევიდეოში დღესდღეობით ადამიანთა ორი კატეგორიაა „გაფურჩქნული“: ჰომოსექსუალისტები და ქედმობრილნი. თვითუული ირწმუნება: „რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის“. წინათ ქრთამს იძლეოდნენ, როცა უკანონოდ სურდათ რაიმეს ხელში ჩაგდება, ახლა ქრთამს ისიც იძლევა ვასაც კანონით ეკუთვნის რაღაც და საქმეს განგებ უჯანჯლებს. ეს ხომ ნამდვილი უბედურებაა!

მაგრამ შემგუებლობითაც არ დამთავრებულა საქმე. ჯერ შეეგუენ, მერე სინდისი დაივიწყეს და ბოლოს თვითონვე გადავიდნენ დღეცვაზე. ერთმა წამლელეტმა, ყოფილმა ქედმობრილთაგანმა, ერთხელ როგორღაც ერთობ საგულისხმო რამ თქვა: „თუკი ისინი, ძალდა რომ სხედან, ტყუილუბრალოდ იღებენ ქრთამს, მე ვითომ რითა ვარ იმათზე ნაკლები“? და, რასაკვირველია, როცა ადამიანი უსინდისობას სჩადის, ყოველთვის პოულობს გასამართლებელ საბაბს: აბა, თავს ხომ არ დავაჩაგვრინებდიო. მეო, ამბობს ის, მაიძულეს, თამაშში ჩავბმულიყავ, რა მექნა, სად წავსულიყავ. ფულს ძალა ეკარგებაო. მთელი ცხოვრება თან მღვეს შურისძიების გრძნობა მათ მიმართ, ვინც მიბიძგა. ამ მრუდე გზას დავდგომოდიო. ეს ადამიანი სწორედ ახლა ტყუის ყველაზე მეტად, იმიტომ რომ სულაც არა ცდილობს ამ მრუდე გზიდან გადაუხვიოს. ის დიდზე დიდი გაიძვერა და თაღლითია, და მშვენიერად იცის, რომ შეიძლება ამქვეყნად იყო პატიოსანი და არ მოკვდეს, იცის, მაგრამ უსინდისოდ ცხოვრება ურჩევნია.

ეს რა უჩვეულო აზრები დამიტრიალდა თავში! რამდენი ვილაპარაკე! ანიბალი გამთენიისას წავიდა, მე კი ისე აუფორიაქდი, რომ აველიანედაც კი არ გამსხენებია.

სამშაბათი, 7 მაისი

არ ვიცი საიდან მივუღე. ორი ვარიანტი მოვიფიქრე:

1. გულახდილობა — დახლოებით ასე ვუთხრა: „მომწონხართ, მედიო, გაფორკეთ, რა ხდება“. 2. თვალთმაქცობა — დაახლოებით ისე ვუთხრა „გოგონი ცხოვრებაში საკმარისად გამოჯეკილი კაცი ვარ, მაძასავით მიგულვით“. დაუჯერებელია; მაგრამ მეორე ვარიანტი უფრო შემეფერება, ჰქონდა მტისმეტად სარისკო მეჩვენება, თანაც ჯერ ხომ არც არაფერია გასარკვევი. ამ ქალიშვილისათვის მე, ასეა თუ ისე, შეფი ვარ და ძეტი არასერი. მეორე მხრივ, არც ისე ახალგაზრდაა. ბოლოს და ბოლოს ოცდაოთხი წლისაა, თოთხმეტის ხომ არა! მისი ასაკის ქალებს ჭარმაგი მაძაკაცები უფრო მოსწონთ, იქნებ აველიანედასაც ასეთი მოსწონს. საქმრო მაინც მტერი ჰყოლია. რას იზამს, თუკი ასეთი შეხვდა, ხომ შეიძლება აველიანედა ადგეს და სხვასთან გაიქცეს? ჰოდა ეს სხვა მე ვიქნები — მოწიფული კაცი, გამოცდილი, თავშეკავებული, ორმოცდაცხრა წლისა, ჯერჯერობით ჯანმრთელი, კარგი ხელფასიანი. შეიღებს არ ვახსენებ, რა საქირია, ისედაც იცის უკვე, რომ სამი შვილი მყავს.

ამრიგად, როგორია ჩემი ზრახვები? პატიოსანურა? — როგორც იკითხავდ: რომელიმე ჩემი მეზობელი დედაკაცი. გინდა თუ არა, მხოლოდ „სიკვდილს შეუძლია გაგვეყაროს-ოქო“, ამის მტკიცება არ შემიძლია. ვახსენე „სიკვდილი“ და ისაბელიც გამომეცხადა, მაგრამ ისაბელი სხვა იყო აველიანედა, მე მგონი, ფიზიკურად ნაკლებად ძაღვლებს (იქნებ ორმოცდაცხრა წლის მაძაკაცს ფიზიკური ხიბლის აღქმა ნაკლებ შემუძლია, ვიდრე ოცდარვა წლისას, მაგრამ უმისოდ ცხოვრება ნამდვილად ვეღარ წარმომიდგენია. რა თქმა უნდა, აჯობებდა, აველიანედა ხელში ჩამეგდო ყოველგვარი სამომავლო ვალდებულებების გარეშე, მაგრამ ეს მეტისმეტი იქნებოდა ჩემთვის. თუმცა რაც იქნება, იქნება, ვცდი ბედს.

ვიდრე აველიანედას დაველაპარაკები, ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა. მე მხოლოდ საკუთარ თავს ვესაუბრები. ყელში ამომივიდა შეხვედრები სიბნელეში და ნაქირავებ ოთახებში. იქ სული მეხუთება, ყველაფერი წამში ხდება, არც ერთ ქალს არ დაველაპარაკებივარ ხეირიანად. ყველა სულერთი იყო ჩემთვის. მთავარი იყო ჩქარა დავწოლილიყავით. მერე კი ირივეს გვინდოდა ძაღვ და ვშორებოდით ერთმანეთს, დავბრუნებულიყავით შინ, საკუთარ საწოლში, სამუდამოდ დაგვევიწყებინა ერთმანეთი. კარგა ხანია ამ იამაშით ვერთობი, არც ერთხელ არ დაველაპარაკებივარ რომელიმეს გულითადად, არც ერთი თბილი სიტყვა — არც მე და არც იმათ — არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, რომ მერე ოდესმე სადღაც მაინც გამხსენებოდა და ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილი გამოვეფხიზლებინე, მოვემაგრებინე, გაბედული გავეხადე. თუმცა არც ასეა საქმე. ერთხელ როგორღაც ერთ ნაქირავებ ოთახში, რივერას ქუჩაზე, ექვსსი-შვიდი წლის წინათ ერთმა ქალმა შესანიშნავი რამ მითხრა: „ისეთი სახე გაქვს, თითქოს ქალთან კი არა ხარ ლოგინში, — ქალაღლებს კინძავ“.

ოთხშაბათი, 8 მაისი

ვიგნალე ისევე გამოჩნდა. კანტორასთან მელოდებოდა. სხვა გზა არა მქონდა, კაფეში გავყევი ყავის დასალევად. აუცილებელი პროლოგის შემდეგ მთელი საათი მოანდომა აღსარებას.

ვიგნალე მთელი არსებით ბრწყინავდა. ეტყობა, რძლის მხრიდან შეტევები წარმატებით დაგვირგეინდა და ალბათ ყელამდე სიამეშიც ცურავენ. „არ დაიჯერებ, ისე შევუყვარდი“, — ამბობდა ვიგნალე და წამდაუნუმ ისწორებდა ახალ-

გაზრდულ, ლურჯრომბებიან კრემისფერ ჰალსტუხს. სწორედ ჰალსტუხზე ეტყობოდა, როგორ შეცვლილიყო მისი ცხოვრება, რამეთუ წინათ, როცა იგი მხოლოდ თავისი ცოლის ქმარი იყო და თანაც ერთგული ქმარი, მუდამ დატყუებული და გაურკვეველი ფერის ჰალსტუხი ეკეთა. „ქალის ამბავი ხომ იცო, ხომ წარმოვიდგენია, რაც იქნება დაგვიანებული ვნება“.

მე წარმოვიდგინე ვნებამორეული ის ჯანმავარი დედაკაცი, რომელიც წარმოვიდგინე, სულ რაღაც ხუთიოდ თვეში რა სანახაეიც იქნებოდა. მაგრამ ვიგნალე, მაგრამ დღეს იგი ისე ბრწყინავს, ეტყობა, ნამდვილად ძალიან ბედნიერია. ვიგნალეს სჯერა, რომ ელვირა მისმა მამაკაცურმა სილამაზემ მოხიბლა. თუმცა საწყალი ფრანსისკო თავისი მუდამ კმაყოფილი ფიზიონომიით მართლაც ყვერულს ჰგავს, მაინც „დაგვიანებული ვნების“ ძახილი ვიგნალესკენ მხოლოდ იმიტომ იყო მიმართული (ვიგნლე ამას ვერ ხვდება), რომ ჯერ ერთი ამ სახლში მხოლოდ ის ერთი აღმოჩნდა მამაკაცი, ვისაც ორივე ქალის დაკმაყოფილება შეეძლო და მეორეც, აქვე გვერდით ჰყავდა ქალს საყვარელი.

„შენი ცოლი რას ამბობს“? — ისე ვკითხე თითქოს ძალიან შენადვლებოდა მისი ცოლის ამბავი. „მოლბა, იცი, რა მითხრა ამ ცოტა ხნის წინათ? ხასიათი გამოვისწორდაო. მართალიც არის, მგონი, ღვიძლიც აღარ მტკივა“.

სუთხაბათი. 9 მაისი

კანტორაში ვერაფრით ვერ გამოველაპარაკე აველიანუდას. სხვაგან უნდა შევხვდე სადმე. ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალე და გავიგე, სად დადის ხოლმე. ხშირად სადილობს ცენტრში ერთ თავის პუტკუნა მეგობარ ქალთან ერთად. ეს ქალი მუშაობს ფირმაში „ლონდონი-პარიზი“. სადილის მერე აველიანუდა უკვე მარტოკა მიდის კაფეში — ოცდამეოთხე ქუჩის კუთხეში. საქმე ისე უნდა მოვაწყო, ვითომ შემთხვევით შევხვდი იქ. მე მგონი, ასე სჯობს.

პარასკევი 10 მაისი

დიეგო გავიცანი, მომავალი სიბე. პირველივე შეხვედრისთანავე მომეწონა. მტკიცე გამოხედვა აქვს, ცოტა თავდაჯერებული ყმაწვილია, მაგრამ, როგორც მე მომეჩვენა, არცთუ ისე უმიზეზოდ. ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს. პატივისცემით მელაპარაკება, მაგრამ არა პირფერულად. თავი ზომიერად უჭირავს. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიფიქრო, მექლესება-მეთქი. ეტყობა, წინასწარვე კეთილად იყო განწყობილი ჩემდამი. მე ეს შევამჩნიე და მივხვდი კიდევ ბლანკას დამსახურება რომ იყო ეს. ნამდვილად ერთ რამეში მაინც ჩავთვლიდი თავს ბედნიერად, დანამდვილებით რომ ვიცოდე, ჩემი ქალიშვილი კარგი აზრისაა-მეთქი ჩემზე. საგულისხმო ამბავია: ჩემთვის, მაგალითად, სულერთია, ესტებანი როგორ მომექცევა, მაგრამ ხაიმე და ბლანკა რას ფიქრობენ ჩემზე, ამას კი ნამდვილად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მიზეზი შესაძლოა ის არის, რომ თუმცა სამივენი ერთნაირად ძვირფასნი არიან ჩემთვის და წარმოადგენენ ჩემი ალტყინებისა თუ თავშეკავების ანარეკლს, — ესტებანს მაინც ეტყობა რაღაცნაირი იდუმალი მტრობის ნიშნები, სიძულვილისმაგვარი მტრობისა, რაშიც ვერა და ვერ გამოტყდომია საკუთარ თავსაც კი. არ ვიცი, ვისი მხრიდან გამომჟღავნდა ეს მტრობა პირველად, ჩემი თუ მისი მხრიდან, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: იგი ნაკლებად მიყვარს. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ახლოს. სახლში იშვიათადაა. მელაპარაკება მხოლოდ მოვალეობის გამო. სწორედ ესტებანს მიუძღვის ბრალი, ჩვენ ყველანი უცხოვდ რომ ვგრძნობთ თავს „მის ოჯახში“.

„მისი ოჯახი“ კი ეს ესტებანია, მხოლოდ ესტებანი. ხაიმეც არ იკლავს თავს ჩემთან ურთიერთობით, მაგრამ ის შინაგანი მტრობა ნამდვილად არ გააჩნია. ხაიმე უსაზღვროდ მარტოსული ყმაწვილია და ამაში იგი გვადანაშაულებს ჩვენ, ყველას, და მთელ ქვეყანასაც.

დიეგოზე ვლასპარაკობდი. მიხარია, რომ მტკიცე ხასიათის კაცი ჩანს, ბლანკას არაფერს გაუჭირვებს. ერთი წლით უმცროსია ბლანკაზე, მაგრამ უფრო-ხუთი წლით უფროსსა ჰგავს. ბლანკა ახლა თავს აღარა გრძნობს ეულად და ეს არის მთავარი. ბლანკა დიეგოს არ უღალატებს, ბლანკა ერთგულია. მომწონს, ყველგან რომ ერთად დადიან ორნი, უბიძაშვილებოდ და უდაძმებოდ. პირველი მეგობრობა ყველაზე საუცხოო, ერთადერთი და განუმეორებელი გრძნობაა. არასოდეს ვაპატიებ ისაბელის დედას, ყველგან რომ უკან დაგვდევდა დანიშნულებს, თვალს არ გვაშორებდა და ისეთი სიჯიუტითა და იჭვნეულობით გვდარაჯობდა, რომ სხვა ჩემს ადგილას, უპატიოსნესი კაციც კი, თავს მოვალედ ჩათვლიდა აპყოლოდა ცოდვილ ზრახვებს. მაშინაც კი, როცა დედამისი ჩვენ ახლოს არ იყო — და ეს იშვიათად ხდებოდა — მაშინაც კი ვგრძნობდით, რომ მარტონი არ ვიყავით, რომ ვიღაცის თვასაფრიალი აჩრდილი მოგვდევდა ფეხდაფეხ. მე და ისაბელი ვკოცნიდით ერთმანეთს, მაგრამ ყური დაცქვეტილი გვქონდა, უცაბედად არ წამოგვდგომიდა თავზე. არასოდეს არ ვიცოდით, როდის ან საიდან გამოჩნდებოდა და ამიტომაც კოცნა მუდამ ნაჩქარევი, უგრძნობელი და სინაზეს მოკლებული გამოგვდიოდა. ჩემს წამიერ აფეთქებას დამთრგუნველი და დამამცირებელი შიში ახლდა მუდამ. ისაბელის დედა ახლაც ცოცხალია. ერთხელ ქუჩაში დავინახე. სულ არ შეცვლილიყო, თავის უმცროს ქალიშვილს მიჰყვებოდა მტკიცე ნაბიჯებით. ქალიშვილს საქმრო ახლდა და იმ ვაჟს სახვზე ეხატა, რა გატანჯულიც იყო. უბედური პრეტენდენტი ხელკავით როდი მიჰყვებოდა თავის საცოლეს. როგორ გაბედავდა! ჩანს, დედაბერი ჩვეული სიჯიუტით დარაჯობს თავის უსულგულო დევიზს: „ხელკავით უნდა იარო მხოლოდ ერთთან — კანონიერ ცოლთან“.

დიეგომ მითხრა, კანტორაში ვმუშაობ, მაგრამ დროებითო: „ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩავრჩე იმ კანტორაში, იმ ძველ-ძველი დაუთრების მტვერში. უსათუოდ უნდა ვეწიო რაღაცას, ოღონდ რას, ჯერ თვითონაც არ ვიცი რიგიანად. არც ის ვიცი, როგორ წამივა საქმე, კარგად თუ ცუდად, მაგრამ სამსახური რომ უნდა შევიცვალო, ეს ნამდვილად ვიცი“. მეც ასე ვფიქრობდი ერთ დროს, მაგრამ... არა, დიეგო ჩემზე უფრო მტკიცე ხასიათისა ჩანს.

შაბათი, 11 მაისი

ერთხელ აველიანედამ სასხვათაშორისოდ თქვა: შაბათობით თორმეტ საათზე ჩემს ბიძაშვილ ქალს ვხვდები პარაგვაისა და ოცდამერვე ქუჩების შესაყართანო. უსათუოდ უნდა დაველაპარაკო. მთელი საათი ვიდექი იმ კუთხეში, აველიანედა არ გამოჩენილა. არ მინდა პაემანი დაუენიშნო, სჯობს, შემთხვევითი შეხვედრა გავითამაშო.

პვირა, 12 მაისი

აველიანედამ ერთხელ ისიცა თქვა, კვირაობით ბაზრობაზე დავდივარო. უსათუოდ უნდა დაველაპარაკო. წავედი ბაზრობაზე. რამდენჯერმე ვილატას მივამსგავსე იმ ჯგლეუთაში. ზოგს პროფილით, თმით, მხრებით ვამსგავსებდი, ზოგს — სიარულით. მიღის ჩემ წინ ქალი. ვხედავ, აველიანედაა. ზუსტად მა-

სავით დადის, თქმები: თავი სულ აველიანებას აქვს, მაგრამ რომ შემოიბრუნდა, მსგავსება წამში გაქრა, სხვა ქალი აღმოჩნდა, ერთი კია, თვალებით არაეისტვის მიმომსგავსებია, თვალები აველიანებას; ნამდვილად განსაკუთრებული აქვს, არაეისტ არ აქვს ასეთი თვალები დედამიწის ზურგზე, და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს (ახლა აღმოვაჩინე), მე არ ვიცი, როგორი თვალები აქვს აველიანებას, რა ფერის დაღლილი, გაბრუნებული, გაბოროტებული აქვს ბაწამხდარი დავბრუნდი სახლში. ზუსტად რომ ვთქვა: მარტოსული დავბრუნდი.

ორშაბათი, 13 მაისი

აველიანებას მწვანე თვალები აქვს, ზოგჯერ ნაცრისფერიც. ეტყობა, დიდხანს შევცქეროდი, მკითხა: „რა მოხდა, სენიორ“? სასაცილოა, „სენიორობით“ რომ მომმართავს. „რალაც გაცხიათ“, — წავხდი მე, აველიანებას თითი მოისვალოვანზე (ხშირად აკეთებს ასე, ქუთუთო ქვემოთკენ ექაჩება და უშნოა): „ახლაც?“ „ახლა კარგი ხართ“. ცოტა გაკეთამამდი. იგი გაწითლდა, გაკბედე და დავუმატე: „არა, კარგი კი არა, მშვენიერი“. მე მგონი, მიმიხვდა, რალაც იგრძნო ან იქნებ სულაც მამაშვილურად მიიღო ეს შექება? გული მერევა მამაშვილური გრძნობების გაფიქრებაზეც კი.

ოთხშაბათი, 15 მაისი

პირველის ნახვერიდან ორამდე კაფეში ვიჯექი, ოცდამეხუთე ქუჩის კუთხეში ჩავითქვი: „უნდა დაველაპარაკო, მამასადამე, უნდა გამოჩნდეს“. და „ვხედავდი“ კიდევ მას ყველა გამველელ-გამომველელ ქალში, მიუხედავად იმისა ჰგავდნენ თუ არა ისინი აველიანებას. ჩემთვის უკვე ყველა ერთი იყო, მე მხოლოდ მას „ვხედავდი“, თითქოს ვთამაშობდი: დაუაკვირდებოდი რომელიმე ქალს და ძალიან რომ მომიახლოვდებოდა, მაშინვე უკან ვიხევიდი, ვცდილობდი მეტი აღარ შემეხედა. სასურველ ხატებას უსულგულო სინამდვილე ეფარებოდა და სადღაც ქრებოდა. მაგრამ სასწაული მაინც მოხდა. მოსახვევში ქალიშვილი გამოჩნდა, მასშიც აველიანება „დავინახე“ და ის იყო მოახლოებულისთვის ჩვეულებებისამებრ თვალი უნდა ამერიდებინა, რომ — ჰოი, საოცრებავ, — მართლაც აველიანება არ აღმოჩნდა?! ღმერთო, ღამის გული ამომვარდა საგულედან, საფეთქლებიც მისკდებოდა, აველიანება უკვე ჩემს მაგიდასთან იდგა. სრულიად ჩვეულებრივ კილოზე, მგონი, საქმიანადაც კი ვკითხე: „როგორ ხართ, რასა იქმთ“? ოდნავ შემკრთალი ჩანდა; მომერვენა, ესიამოვნა ჩემი დანახვა. ღმერთმა ქნას, ასე იყოს! „აჰ, სენიორ სანტომე, როგორ შემაშინეთ“. ისე, სასხვათაშორისოდ ვანიშნე დამჯდარიყო ვცდილობდი, ალელვება არ დამტყობოდა. „ყავას დალევთ?“ „გმადლობთ, ვწუხვარ, ვერ დავჯდები, მამა მელოდება ბანკში საქმეზე“. უკვე მეორედ მეუბნება უარს ყავაზე. „ვწუხვარო“ რომ არ ვთქვა, ნამდვილად ბოლმისგან ტუჩებს დავიკვნეტდი, ხელისგულებს ფრჩხილებით დავისერავდი, ჭიქას კედელზე მივამსხვრევდი. რა სისულელეებს ვნახავ, არაფერსაც არ ვიზამდი, როგორც ვარ, ასეთივე დავრჩებოდი: ფეხიფეხზე გადადებული, თავხარდაცემული, გაწოფიებული, ტუჩებმოკუმული და ყავის ფინჯანზე ტკივილამდე თვალდაშტერებული. მართლა ასე დავრჩებოდი, მაგრამ მან თქვა „ვწუხვარო“ და თანაც ვიდრე წავიდოდა, ესეც მკითხა: „თქვენ ყოველთვის აქა ხართ ამ დროს“? „ყოველთვის“, — ვიცრუე მე. „მაშინ შემდეგისათვის გადავლოთ ყავა“. „ასე იყოს, ოღონდ არ დაგავიწყდეთ“. აველიანება წავიდა, ორი-სამი წუთის მერე რფიცინანტმა მეორე ფინჯანი ყავა მოიტანა, ფინჯარაში გაიხედა და თქვა:

„კარგი ვინმეა. მარტო შეხედავ და თითქოს ხელმეორედ დაიბადეო; აგამლერებს კაცს“. უცებ გამოვერკვიე და გავიგონე საკუთარი ხმა: ძველ პატყფონზე რომ გაფუჭებული ფირფიტა გულისწამლებად იძუორებს ერთსა და იგივეს, ასე ვლინებლი ძველ ანგარიშმოუცვლად „ჩემი აღმის“ მისამლერს.



ქართულში
გინგლიქოსება

სუთვაბათი, 16 მაისი

„იცი, ვინ შემხვდა“? — მკითხა ვიგნალემ ტელეფონში. ჩემმა ღუმლიმა იგი, რა თქმა უნდა, გაახალისა, მერე ალბათ იფიქრა, აღარ გავაწვალეო. და ხარხეიმით გამომიცხადა: „ესკაიოლა შემხვდა. წარმოვიდგენია“? კი, წარმოვიდგინე. ესკაიოლა! უცნაურად ჟღერს ჩემთვის ახლა ეს თითქმის მივიწყებული სახელი. „მართლა? როგორ არის“? „სპილოსა ჰგავს, თანმოცდათვრამეტი კილოა“. რად უნდა ლაპარაკი, ესკაიოლამ ალბათ უკვე იცის, მე და ვიგნალეოა“. რად უნდა ლაპარაკი, ესკაიოლამ ალბათ უკვე იცის, მე და ვიგნალე რომ ვხვდებით ერთმანეთს, ალბათ იცის, სადილზე რომ მიშინატიჟა თავის სახლში.

ესკაიოლაც ბრანდესის ქუჩიდანაა, იგი მართლაც მახსოვს. გამხდარი, მაღალი ყმაწვილი იყო. ენამოსწრებული სულ ხუმრობდა, გვაციხებდა. ვალისიელ-აღვაროს კაფეს ვარსკვლავი იყო. იტყოდა რაღაცას (არც ისეთ სასაცილოს) და ჩვენ ღამის გაუგუდულიყავით სიცილით. ერთხელ მახსოვს, მუცელზე ხელეშიჭერილები ვგორაობდით მიწაზე. მთელი მისი საიდუმლოება ის იყო, რომ თითონ არ იცინოდა ბესტერ კიტონივით. ნეტავ ახლა როგორია?

პარასკევი, 17 მაისი

აღსრულდა, ბოლოს დაბოლოს, აღსრულდა. კაფეში ვიჯექი ფანჯარასთან. ამჯერად არაფერს ველოდი და არც არავის შევცქეროდი. მგონი, სულაც ჩემს ხარჯებს ვანგარიშობდი, მაისის თვის ბალანსს ვადგენდი. მაისი ყველაზე წყნარი თვეა, ნამდვილ შემოდგომას რომ შეეფერება, ისეთი; სწორედ მაისში ვიფლობი ბოლმე ვალებში... უცებ თავი ავწიე და დავინახე ის, მოჩვენება და მოლანდება კი არა, — ცოცხალი აველიანედა! „მოვედი შეპირებული ყავის დასალევად“, მითხრა მან. წამოვხტი, სკამს წამოვედე, კოვზი გადმოვაგდე მაგიდიდან და თანაც ისეთი ხმაურით დავარდა იატაკზე თითქოს ციცხვი ყოფილიყოს ოფიციანტები პირდია შემოგეცქეროდნენ. აველიანედა დაჯდა. მე კოვზი ავიღე და ის იყო უნდა დავმჯდარიყავი, რომ — ამ ოხერ სკამებს რატომღაც მოუხერხებელი საზურგეები აქვთ — სკამს პიჯაკის კალთით გამოვედე. „მგონი, შეგამინეთ“, — ქალიშვილი გულიანად იცინოდა. „ცოტათი მართლაც შემაშინეთ“, — ვუპასუხე მე და ამან გადამარჩინა: უხერხულობა სადღაც გაქრა. ვილაპარაკეთ კანტორაზე, თანამშრომლებზე, მე ერთი-ორი ძველი სასაცილო ამბავიც გავიხსენე. აველიანედა იცინოდა. თეთრი კოფთა და მუქი მწვანე ჟაკეტი ეცვა. თმა ერთ მხარეს ისე ჰქონდა აწეწილ-დაწეწილი, თითქოს ქარმა დაუბერა და ერთ ადგილას მიჰყარაო. ასეც ვუთხარი. აველიანედამ ჩანთიდან ხარკე ამოიღო, ჩაიხედა და კვლავ სიცილს მოჰყვა. საკუთარ თავზე იცინოდა, მაშასადამე, კარგ გუნებაზე იყო. მეც გავთამამდი: „ალბათ არ იცით, თქვენ გამო რა დიდი კატასტროფის წინაშე ვდგავარ“. „ფინანსური კატასტროფის? — იგი კვლავ იცინოდა. „არა, სულიერი კატასტროფის“. ქალიშვილს სიცილი შეაშრა ბაგეზე. „რას ამბობთ“? — შესძახა და გარუშდა, დაელოდა, კიდევ რას მეტყვისო. მეც ვუთხარი: აველიანედა, რასაც ახლა გაიგონებთ. შეიძლება ბოდეად მოგეჩვენოთ. თუ მართლა ასე მოხდება, აქვე მითხარით გულახდილად და ამით მიარ-

ჩება ყველაფერი. არ არის საჭირო მიკობ-მოვიბვა; მგონი, მიყვარხარო". რამდენიმე წამს მოვიცადე, სიტყვა არ დაუძრავს, თავის ჩანთას დამტყურობდა, ლოყებს ვარდისფრად შეფაცლოდა, იქნებ სიხარულისაგან? ან იქნებ დაბნელობისაგან? არ ვიცი, არც მიცდია გამერკვია. განვაგრძე: - ჩვენს ასაკს აუკაცხესენებო, აღბათ ყველაზე გონივრული იქნებოდა, საერთოდ არაფერი. მაგრამ მე ვფიქრობ, ეს ძღვეთი ყველა შემთხვევაში უნდა მომხდეს. თვის, არაფერს არ ვთხოვო. როცა კი თქვენ მოისურვებთ - დღეს იქნება თუ ხვალ, ანდა, საერთოდ, როდისმე - და მეტყვით „არას“. ხმას აღარ ამოვიღებ, კვლავ ძველებურად ვიშვებობრებით კანტორაზე არ იფიქროთ. არ შეგეძინდეთ და არც უხერხულობა იგრძნოთ იმის გამო, რომ ერთად ვიქნებით სამსახურში. მე არაფერი შემეშლება" კვლავ გაეჩუმდა. ნეტავ რას ფიქრობს? მეტას მოთმენა აღარ შეშეძლო: „რას იტყვიან? - გაღიმება ვცადე, ხუმრობით დავეძაბე (სულაც არ გამომივიდა ხუმრობა, რადგან ხმა მითრთოდა) - რას მომახსენებთ"? აველიანედამ ჩანთას თვალი მოაცილა, სახეში შემომხედა და მეც მაშინვე მივხვდი, საშინელებამ გვერდით რომ ჩამიარა: „ვიცილდი, ამიტომაც მოვედი ყავის დასალევად", - თქვა მან.

შაბათი, 18 მაისი

გუშინდელი დღიური აველიანედას პასუხის მერე აღარც გამიგრძელებია. მინდოდა ეს დღე ამ იმედიათი სიტყვებით დამემთავრებინა. აველიანედას არ უთქვამს „არა“. აველიანედამ თქვა: „ამიტომაც მოვედი ყავის დასალევად". მოხოვა, ერთი დღე ან სულ ცოტა ერთი-ორი საათი მაინც მაცადეთ, დავეფიქრდეთ; „ყველაფერს ვხვდებოდი, ვიცილდი, მაგრამ მაინც დავიბენი. ხომ უნდა მოვევო გონს?" ხვალ, კვირას, ერთად ვისადილებთ ცენტრში. კიდევ რა ვუთხრა? მე კარგა გრძელი და ათასი ახსნა-განმარტებით განმტკიცებული სიტყვა მქონდა მომზადებული, მაგრამ არ მომიწია თქმა. თუმცა სიმართლე რომ უთქვა, არც ვიყავი დარწმუნებული, რომ აუცილებელი იყო ჩემი მოხსენება ის ვარიანტიც უარვეყავი, მამობრივი მზრუნველობა და ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება რომ მიიღოდა შემეთავაზებინა მისთვის... ხოლო როცა თავი ავწიე, უეცრად დაეინახე ის და უაზროდ აფეხაკურდი მაგიდასთან, მივხვდი, რომ თუ მინდა დირსეულად დავაღწიო თავი ამ სულელურ მდგომარეობას, უარი უნდა უთქვა წინასწარ მომზადებულ ახსნა-განმარტებებზე, ეშმაკურ ფანდებზე და უბრალოდ, გულწრფელად ვუთხრა ყველ-ვერი. სულაც არ ვნანობ, რომ ასე გადაწყვიტე. სათქმელი მოკლედ ვუთხარი, რაც მთავარია, უბრალოდ ვუთხარი, უბრალოების ფასი კი, ვფიქრობ, აველიანედამ იცის... მას სურს მოიფიქროს? ძალიან კარგი, მოიფიქროს, მაგრამ ერთი რამ მაოცებს: თუკი იცოდა, რასაც განვიცდიდი მის მიმართ, მაშინ რატომ წინასწარ არ მოამზადა პასუხი, მაშინ რატომღა ყოყმანობს? არ იცის, რა მიპასუხოს? მისი ყოყმანი სხვადასხვანაირად შეიძლება აიხსნას. შესაძლოა აველიანედას უკვე მოფიქრებული აქვს ის საშინელი „არა" მაგრამ არ მახლის პირში იმიტომ, რომ მაინც მერიდება, არ სურს ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, ანდა მან იცის (ამ შემთხვევაში „იცის" „ხვდებას" ნიშნავს), რასაც განვიცდი მის მიმართ, მაგრამ მაინც ჩემგან ვლის, როდის გავბედავ და როდის გამოვხატე ჩემს ამ გრძნობებს საყოველთაოდ მიღებული სიტყვებით. მიუდა, ყოყმანობს. კი მაგრამ, ის ხომ ამიტომაც მოვიდა ყავის დასალევად". რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ სურს, მე ვთქვა ყველაფერი, მაგრამ მან დარწმუნებული არ არის, რომ გავბედავ? ქალებს უყვართ როცა ასეთ რამეს ეუ-

ბნებთან, მით უმეტეს თუ „ქოს“ თქმა აქვთ გადაწყვეტილი. იქნებ აველიანედას სულაც არ სიამოვნებს ან ეუხერხულდება ჩემს გვერდით ყოფნა? იქნებ ამიტომაც მაღაპარაკა მართლმე, რათა შერე ერთხელ და სამუდამოდ დაუსხვი ნერტილი ჩემს ვანზრახვას: მეტყვის „არას“ და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება. გარდა ამისა არსებობს საქმრო-ყოფილი საქმრო. ნეტავ როგორ უნდა იქნებ იმ კაცთან? რა ხდება საერთოდ კი არა (საერთოდ, ყველაფერიდან ჩემს სულს) შეკლები-ან ერთმანეთს), არამედ პირადად აველიანედას ვუღმე? მე ხომ არ მიმიძღვის ბრალი რამეში? იქნებ სულ პატარა ბიძგია საჭირო, რომ მოყოყმანე აველიანედა კვლავ საქმროს დაუბრუნდეს? მე ხომ გვარიანად უფროსი ვარ მასზე, თანაც ქერი-ვი და სამი შვილის ძამა... ესეც არ იყოს, თვითონაც არ ვიცი ჯერ, როგორ უნდა წარვმართო მასთან ურთიერთობა. ეს უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს. ამ დღიურს ჩემ გარდა რომ ჰყავდეს მკითხველი, დღევანდელ ჩანაწერს იმ რომანებივით დავამთავრებდი, გაგრძელებებით რომ იბეჭდება: „თუ გსურთ გაი-გოთ პასუხი ყველა ამ მწველ შეკითხვაზე, წაიკითხეთ ჩვენი მომდევნო ნომერი“.

კვირა, 19 მაისი

აველიანედას მერსედესისა და რიო-ბლანკოს ქუჩების გადაკვეთაზე ველო-დებოდი. მხოლოდ ათი წუთი დააგვიანდა. კვირაობით იცვამს საგანგებოდ შე-კერილ კაბას, რომელიც ძალიან უხდება. შესაძლოა მე განვეწყვე მის შიმართ ასე — დღითი დღე უფრო და უფრო ღამაში მეჩვენება. დღეს იგი აშკარად დე-ლავედა. საგარეო კაბა კეთილი ნიშანია (სურს თავი მომაწონოს), აი, რომ დელავს, ეს კი ცუდი ნიშანია — რა თქმა უნდა, სახე ფერგამკრთალი ექნება, მაგრამ კრემი ფარავს. რესტორანში თვითონ ამოარჩია მაგიდა დარბაზის შორეულ კუთხეში, სხვათა თვალთაგან მოფარებულ ადგილას. ეშინია, ვინმემ არ დაინახოს ჩემთან, ესეც ცუდი ნიშანია. დაჯდა, მაშინვე გახსნა ჩანთა და სარკეში ჩაიხედა. სურს თავი მომაწონოს. ეს კარგი ნიშანია. თითქმის თხუთმეტი წუთი (ვიდრე საუზ-მეულს და დვინოს მოგვიტანდნენ, კარაქწასმულ შავ პურს შევექცეოდით) რაზე აღარ ვილაპარაკეთ. უცებ მან თქვა: „თუ შეიძლება, მოლოდინით სავსე თვალე-ბით ნუ შემომცქერით“. „სხვა თვალები მე არა მაქვს“, — სულელივით ვუპასუ-ხე. „ჩემს პასუხს ელოდებით“, — განაგრძო მან. — მაგრამ თავად მსურს ერთი რამ გკითხოთ“. „მკითხეთ“. „თქვენ მე ვიყვარვართ — როგორ ვავიგო ეს“? არა-სოდეს მომსვლია აზრად, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი შეკითხვა, მაგრამ რა უნდა მექნა. შეკითხვა დასმული იყო და მეც უნდა მეპასუხნა. „თუ ღმერთი გწამთ, აველიანედა, სასაცილო მდგომარეობაში ნუ მავდებით. ნუთუ გინდათ, პა-ტარა ბიჭივით მოვეყვ ახლა ჩემს გრძნობებსა და სიყვარულზე ლაპარაკს?“ „არა, სულაც არა“. „მაშინ რაღას მეკითხებით?“ რა თქმა უნდა, ვთვალთმაქცობდი, თორემ სულის სიღრმეში ძალიანაც კარგად ვუწყობდი, რატომაც მეკითხებოდა. „მაშ ასე, — თქვა მან. — თქვენ არ გსურთ სასაცილო მდგომარეობაში აღმო-ჩნდეთ, სამაგიეროდ მე მიბიძგებთ იქითკენ გესმით, რისი თქმაცა მსურს? „მე თქვენ მიყვარხართ“ — ამ სიტყვებში შეიძლება ათასნაირი აზრი ჩაიდოს, მით უმეტეს, თუ მამაკაცი წარმოთქვამს მას“, „მართალი ხართ ამ შემთხვევაში. ეს სიტყვები შეგიძლიათ მიიღოთ საუკეთესო გაგებით. სწორედ ამის თქმა მიწ-დოდა გუშინ“. ჩვენი საუბარი სულაც არა ჰგავდა შეყვარებულთა დუღუნს. ასე თავდაჭერილად, მშვიდად, აუღელვებლად აღბათ კომერსანტები, პოლიტიკური მოღვაწეები, მასწავლებლები და — არ ვიცი, კიდევ ვინ — ლაპარაკობენ. „დაი-მანსოვრეთ, — ცოტა გავცხარდი მე. — არსებობს რეალობა და არსებობს გარე-

განი ფორმა". „მართლა?" — მის ხმაში ირონია გაკრთა. „მე თქვენ მიყვარხართ, — ეს რეალობაა, მაგრამ როგორც კი გარეგან ფორმაზე დაფიქრდებათ, მაშინ კი წამოტივტივდებიან ხოლმე პრობლემები". „მაინც რა პრობლემა?" — ახლა მგონი, სერიოზულად მკითხა. „ნუ დაიძვლებთ, ხშირად გითხრით, რომ მამად შეგფერით, რომ თქვენ ჩემი ვაჟიშვილის ტოლი ხართ. ნუ დაიძვლებთ, ამ თემაზე გელაპარაკოთ, რადგან სწორედ ეს არის ყველა პრობლემის საფუძველი... მართალი გითხრათ ძალიან მიძძიმს..." ხმა არ ამოუღია. კარგია, რომ დუძის, უფრო სიმშვიდეა, მაგრამ სამაგიეროდ საშინელი ასატანია ლოდინი პასუხისა. „ახლა ხომ გაიგეთ? — ვჩქარობდი, არ მინდოდა იმას ელაპარაკნა. — მე ბედნიერებისაკენ მივისწრაფი, იქითკენ მივისწრაფი. მეტნაკლებად რომ ჰგავს ბედნიერებას და ეს ბუნებრივიცაა. გარდა ამისა, მინდა ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ თქვენ იყოთ ბედნიერი. ეს კი ძნელია. თქვენ გაქვთ ყველაფერი, რითაც შეგიძლიათ გამაბედნიეროთ, მე კი ძალზე ცოტა რამ — თქვენ გასაბედნიერებლად არ იფიქროთ, გეპირფერებოდეთ. სხვა დროს (უფრო სწორად, შესაფერისი ასაკისა რომ ვიყო) ყველაზე გონივრული იქნებოდა დამენიშნეთ, რასაც შემდეგ უსათუოდ ჩვენი ქორწინებაც მოჰყვებოდა, მაგრამ ახლა რომ ეს შემოგთავაზოთ, მეტი სმეტად ეგოისტი უნდა ვიყო, მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვფიქრობდე. მე კი არ მინდა მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდე. მე თქვენზე ვფიქრობ, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ათი წლის მერე მე სამოციან ვიქნები, „არც ისე ბებურია", — იტყვის რომელიმე ოპტიმისტი ან მლიქვნელი, მაგრამ „არც ისე" უკვე განაჩენს ნიშნავს. მე მინდა თქვენს თვალში პატიოსანი კაცი დავრჩე, ამიტომ გეუბნებით: არც ახლა, არც მერე არ მეყოფა ძალა, ცოლობა გთხოვოთ. კი მაგრამ, მაშინ (სად არ გამოეჩინება ხოლმე ეს „მაგრამ, მაშინ"), რაღაზე ელაპარაკობთ? ვიცი, გესმით, რისი თქმაც მსურს, მაგრამ მაინც გეძნელებათ იმ სხვა რაღაცაზე დამეთანხმოთ. და მაინც ის სხვა რაღაც, როგორც ჩანს, შესაძლებელია. იქ არის ადგილი სიყვარულისთვის, მაგრამ ქორწინებისთვის — არა". აველიანედამ თავის აწია, მაგრამ არაფერი უკითხავს. ალბათ უნდოდა ჩემი სახე დაენახა ამ სიტყვების წარმოთქმისას. მე კი, რაკილა ენა ამოვიდგი, ველარ გავჩერდი: „იმ სხვა რაღაცას უბადრუკი, მდაბალი სიტყვებით იხსენიებენ. კავშირიო, უზამსობაო: და სავსებით გასაგებია თქვენი შიშიც. მართალი გითხრათ, მეც მაწევს შიში სიმძიმედ. ვაითუ ფიქრობთ, იმ კავშირს გთავაზობთ. იოტისოდენადაც არა ვცრუობ. გეუბნებით, მინდა, ძალიან მინდა მხოლოდ ერთი რამ — თანხმობა მითხრათ, რათა ჩემი სიყვარული და თქვენი თავისუფლება ერთმანეთს დაუუკავშიროთ. ვიცი, ვიცი, არ გჯერათ ჩემი, თქვენი აზრით, ყველაფერი პირიქითაა: მე მსურს თქვენი სიყვარულიც და ჩემი თავისუფლებაც. სრული უფლება გაქვთ, ასე იფიქროთ, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება მქონდეს იმედი ერთადერთი კარტისა. ეს კარტია სწორედ იმედი თქვენი ჩემდამი ნდობისა". ჩვენ ჩაროხს ველოდებოდით. ოფიციალტმა, როგორც იქნა, გვადირსა ნაირ-ნაირი ნუგბარი და მაშინვე ანგარიშიც მოუთხოვე. აველიანედამ ჭაშის დამთავრებისთანავე ხელსახოცით მოიწმინდა პირი, შემომხედა და გამიღიმა. როცა ის იღიმება, თითქოს პატარ-პატარა სხივები იფრქვევიან მისი ტუჩ-პირიდან. „მომწონხართ", — თქვა მან.

ორშაბათი, 20 მაისი

დავსახეთ შემდგომი ცხოვრების ვეგმა — სრული თავისუფლება. ერთმანეთს ახლოს ვავიცნობთ, ვნახავთ, რა გამოგვივა, დროთა განმავლობაში ყველა-

უფრო გაიარევიკა არავითარი მოკვლეობა, არავითარი პირობა აველიანედა საოცარა კარსეა.

სამსახურის, 21 მაისი

„ეტყობა, ვიშველა მატისისხეებელმა წამლებმა ამ ბოლო ფრეჩეცემულეცხლ-დი. ვახალისდა“. – მითხრა ბლანკამ.



პარასკევი, 24 მაისი

კანტორაში მე და აველიანედა „სამსახურობნას“ ვთამაშობდით: მე შეფი ვარ, ის – ხელქვეითი, ასე გადავწყვიტეთ. ყველაფერი ძველებურად დარჩება – ურთიერთობაც და სამუშაო განრიგიც. დილის ცხრა საათზე სამუშაოს ვუნაწოდებ მუნისოს, რობლელოს, აველიანედას, სანტინის. აველიანედა ჩემი განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელია და მეტი არაფერი. სხვებივით ისიც მოდის ჩემს მაგიდასთან. მიწვდის ხელს და მართმევს ქაღალდს, რომელზეც წინააღმდეგის რეალიზაციის მონაცემებია ჩამოწერილი. მუნისიც მიწვდის თავის გრძელსა და უშნო, კლანჭებიან ხელს. რობლელოს მოკლე, თითქმის ოთხკუთხედი თითები აქვს. სანტინის თხელ თითებზე ბეჭდები წამოუცვამს. აველიანედასაც სანტინივით თხელი თითები აქვს, ოღონდ ნამდვილი ქალური თითები და არა ქალაჩუნა კაცისა. აველიანედას ვუთხარი, ყოველთვის, როცა კი შენ ჩემს მაგიდასთან მოდიხარ და რაიმე ქაღალდს გაწვდი, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეეფერება, გამხდარ თითებზე გკოცნი-მეთქი (რა თქმა უნდა, გუიებში). აველიანედა მეუბნება: ისეთი გაქვავებული სახე გაქვო, რაღაც ვერ გატყობთ ასეთ სურვილსო. ზოგჯერ უნდა რომ გამაცინოს, მაგრამ რას გამაცინებს, ქვა და რკინასაკვით ვარ. ერთ დღეს მუნისომა მითხრა: რაიმე უბედურება ხომ არ შეგემოხვათ, რამდენიმე დღეა გაკვირდებით და მე მგონია, რაღაც უნდა გაწუხებდეთო. „აღბათ წლიური ანგარიში გადარდებთ. ნუ დეღავთ, შეფ, ყველაფერი წესრიგში იქნება. წინა წლებში უფრო ვაგვიანებდით“. რის ანგარიშია, რა ანგარიშია! ცოტაც და, გადავიხარხარებდი, მაგრამ თავი შევიკავე. „მუნისო, თქვენა გგონიათ მოვასწრებთ? ხომ იცით, რა სწრაფ უნდა ჩავაბაროთ ჩვენს მონაცემები საგადასახადო განყოფილებას. უნდა მოვინდომოთ, მუნისოს, ეს ჩემი ბოლო ანგარიშია და თავი არ შევირცხვინოთ. დანარჩენებსაც ასე ეტყვიოთ, კარგიოთ“?

კვირა, 26 მაისი

ვიგჩაღვსა და ესკაიოლასთან ვივახშმე. ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს. არასოდეს ასე მძაფრად არ მაგრძენია დროის უღმობელი სრბილა. ოცდაათი წელიწადია მე და ესკაიოლას ერთმანეთი არ გვინახავს და არც არაფერი ვიცოდით მასზე. სადღაა მალაღი, გამხდარი, მხიარული ყმაწვილი?! ჩემ წინ ზის ზონზროხა, სახეგაუიხულებელი კაცი, კეფაზე ქონის ნაკეცები დაგროვებია, მელლოტი თავი, თითქოს ყავა დაუფრქვევიათო. ყავისფრად აქვს დაწინწკლული, თვალბეჭემ თოფრაკები დაკვიდვია და ყოველ გაციებებაზე უშნოდ უთახთახებს. დიან ესკაიოლა ახლა იციხის, მაშინ არ იციხილა და სწორედ ამაში იყო მისი ობუნჯიობის მოელი ძაღლი. ჩვენ ღამის ვცირაობდით სიცილისაგან, ის კი იდგა გაუცინარ ხელმწიფესაკვით. დღესაც სუფრასთან ესკაიოლა ხუმრობდა, იმ უხამს ანუკლიტებს ყვებოდა, ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან რომ მახსოვდა, არც თავის სმსახურს ივიწყებდა, ბირჟის მაკლერად მუშაობდა და, ეტყობა, იქ მომ-

ხდარი ამბები პიკანტური ვრცეობდა ბოლოს და ბოლოს მე თავშეკავებულად გავიღიმე, ვიგნაღემ კი (ის მართლაც კეთილი კაცია) ისე არაბუნებრივად გადაიხარხარა, რომ მისი სიცილი ყოვანახველის შემოტევას ჰგავდა. თუ ვერ შევიკავე და ესკაიოლას ვუთხარი: „გამოიცივალე, მეტიხმეტად გასუქდი მაგრამ რაც მოთავარია, შენ ახლა იციანი, წინათ კი სასაცილო ამბავს წყვეტე უფლებდი, თვითონ თავ-პირი ჩამოგტერიოდა და ჩვენც ამაზე გვეცინებოდა“. მისი პიკანტული გაბოროტებამ გაიელვა ესკაიოლას თვალეში: „წინათ მართლა ვიხუნჯობდი, თვითონ არასოდეს ვიციინოდი, ეს მართალია: როგორ დაგიმახსოვრებია! ერთხელაც დადგა დღე, როცა აღარ ვიციოდი, რა მომეყოლა. სხივი მონაყოლის გამეორება მე არ მიყვარდა. ხომ გახსოვს, მე დიდი მოხზველიც ვიყავი, ზოგჯერ მოელ სერიებს ვიგონებდი ერთი და იგივე გმირის მონაწილეობით, ზუსტად ისე, როგორც კომიქსებშია. ორ-სამ კვირას ვატანდი მათ გემოს, მერე და მერე მივხვდი, ველარაფერს მოვიგონებდი (არ ვიცი, რა მომივიდა, ტვინი გამომეფიტა ლბათ), დროზე უნდა დამეტოვებინა რინგი კარგ მოკრივესავით. დავიწყე სხვისი ხუმრობების მოყოლა. საუკეთესოებს ვირჩევდი, მალე ისინიც შემომაცვდნენ ხელში. მერე უკვე სულერთი იყო, რასაც მოეყვებოდი. მეგობრები აღარ იციინოდნენ, მართალიც იყვნენ, მაგრამ მე უკან დახევა არ მინდოდა და ახლა თვითონ დავიწყე სიცილი მოყოლის დროს, იქნებ სხვასაც გადავლო-მეთქი სიცილი. პირველად თითქოს გამიმართლა, ჩემთან ერთად სხვებიც იციინოდნენ, მაგრამ მალე მიმიხვდნენ ეშმაკობას და მოეშვნენ მოსმენასაც და სიცილსაც. ახლაც მართალი იყვნენ, მაგრამ მე ველარაფერი მაჩერებდა. თუ გინდა მეგობრებად დაერჩეთ, ნაღვლიანი რამე მიამბე“.

სამშაბათი, 28 მაისი

აველიანედა თითქმის ყოველდღე მოდის ყავის დასალევად. მეგობრულად ვბაასობთ. ჩვენ მეგობრებიც ვართ და მეგობრებზეც ცოტა მეტიც. ამ „ცოტა მეტში“ მე გარკვეული პატარ-პატარა წარმატებები მაქვს. ზოგჯერ ვლაპარაკობთ „ჩვენს ამბავზე“. „ჩვენი ამბავი“ — ეს არის ჩვენი დამაკავშირებელი უზილავი ძაფი და მასზე როგორღაც „გარედან ვლაპარაკობთ ხოლმე. მაგალითად ასე: კანტორაში აქამდე ვერ ხვდებიან „ჩვენს ამბავს“; ან ესა და ეს ამბავი „ჩვენი ამბავის“ დაწყებამდე მოხდა... ბოლოს და ბოლოს რას ნიშნავს ეს „ჩვენი ამბავი“? ჯერჯერობით იგი სხვებისთვის დაფარული ჩვენი კავშირია მხოლოდ, ერთ მხარეს მე და აველიანედა ვდგავართ, მეორე მხარეს — დანარჩენები. „ჩვენი ამბავი“ საერთო საიდუმლოა, იგი არც კავშირია, არც უჩამისი რამ და არც ნიშნობა, და მაინც მე და აველიანედა არა ვართ უბრალო მეგობრები. ყველაზე ცუდი (იქნებ კარგი?) ის არის, რომ ასეთი გაუგებარი ურთიერთობა აველიანედას სულაც არ ანადვლებს. მას სჯერა ჩემი, თბილად და ნაზად მელაპარაკება. ბალზე თავისებური. საკმაოდ ირონიული აზრისაა ადამიანებზე. თანამშრომლების გაქილიკება არ უყვარს. მაგრამ კარგად იცის, ვინ რა არის. ზოგჯერ კაფეში მიიხედ-მიიხედავს და უცბად ისეთ ზუსტ შენიშვნას იტყვის, რომ მიკვირს. დღესაც, გვერდით მაგიდასთან მსხდომ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის ქალებს დაკვირვებით შეხედა და თქვა: „ესენი სანოტარო კანტორაში მუშაობენ. ხომ ასეა? „მართლაც იქიდან არიან, დიდი ხანია ერთი-ორ ქალს ვიციობ. „იციობთ მათ“? — კვითზე აველიანედას. „არა, პირველად ვხედაე“. „მამ, საიდან მიხვდით, რომ სანოტარო კანტორაში მუშაობენ“? „არ ვიცი, მაგრამ გამოცნობა თქვენი შვიდობა ქცევას ვერცობათ. თითქოს დაფაზე წერენო, ტუნებს

მკვეთრი მოძრაობით იღებავენ. განუწყვეტლივ ახველებენ, ეს კი იმის ბრალია, რომ ხშირად უწყვეტ სანოტარო აქტების კიოხვა. ხელჩანთასაც ვერ ვგუებთან, პორტფელებს არიან მიჩვეული, ლაპარაკობენ ფროთხილად, თავმჯდომეებულად, ეშინიათ, რაიმე ვანონსაწინააღმდეგო არ დასცდეთ, სარკეშიც არასოდეს იხედებიან. აგერ იმ ქალს, მარცხნიდან მეორეს, შეხედეთ, რა ნაკუთქაღებულაქვს, თითქოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი იყოს. გვერდით რომ უზუსტესად დაწინააღმდეგებული ვარ, ერბოკვერცხის მომზადებაც კი არ იცის, სახეზე ეტდობა. რომ ვუყურებ, ტანში მზრინავს. თქვენ არა? მე არ მზრინავს (როგორ ვეტყვი და, ადრე ერთ ქალს ვიცნობდი სანოტარო კანტორიდან, ისეთი მშვენიერი მკერდი ჰქონდა, მთელ დედამიწაზე და იმის იქითაც რომ არავის ექნებოდა). მე, უბრალოდ, მახალისებს აველიანედას ლაპარაკი. მიყვარს, როცა აღტყინებული აქიაქებს ვინმეს ან პირიქით, მხურვილედ იცავს. სანოტარო კანტორის ქალები კი — მაკაცებივით მოუხეშავი და დაკუნთული ქალები — თავისთვის ისხდნენ, საუბრობდნენ და ეჭვითაც ვერ ხვდებოდნენ, გვერდით მაგიდასთან რა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ყველანი სათითაოდ.

სუთუაბათი, 30 მაისი

კარგი ვინმე ყოფილა ესტებანის მეგობარი! საბოლოო ანგარიშის ორმოცდაათი პროცენტი მთხოვა, სამაგიეროდ მარწმუნებს, ერთ ზედმეტ დღესაც არ იმუშავებთო. დიდია ცდუნება, უფრო სწორად, იყო დიდი, რამეთუ ისე აღარ შეჩქარება პენსიაზე გასვლა. ორმოც პროცენტზე ჩამოვიდა, მირჩია, სანამ არ გადამიფიქრებია, შევთანხმდეთო, ყველასაგან ორმოცდაათს ვიღებ, ვისაც გინდათ, ჰკითხეთო: „ჩემს სამსახურში ბევრია მექრთამე და გაიძვერა. — მითხრამან, — თქვენ იმიტომ დაგიკელით, რომ ესტებანის მამა ხართ. ძმასავით მიყვარს ის საქაგელი. ოთხი წელიწადია ყოველ საღამოს ვხვდებით ერთმანეთს ბილიარდის სათამაშოდ. ეს კი ძალიან აახლოებს ადამიანებს, მამილო“. გამახსენდა ანიბალთან ჩემი ნათქვამი სიტყვები: „... ახლა ქრთამს ისიც იძლევა, ვისაც კანონით ეკუთვნის რაღაც და ვანგებ უჯანჯლებენ საქმეს. ეს ხომ ნამდვილი უბედურება!“

პარასკევი, 31 მაისი

ოცდათერთმეტი მაისი ისაბელის დაბადების დღეა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ! ერთხელ თოჯინა ვუყიდე, თვალსაც ხუჭავდა და დადიოდა კიდეც. დიდი მუყაოს კოლოფი მაგიდაზე დავდე და ისაბელს ვკითხე: „აბა, თუ მიხვდები, რა არის?“ „თოჯინა“. — მიპასუხა ისაბელმა. აქამდე ვერ მიპატიებია მისთვის ეს პასუხი.

ჩემს შვილებს არ გახსენებიათ ეს დღე ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერი უთქვამთ, ხელ-ხელა დაივიწყეს დედა. მე როგორც მეჩვენება, მხოლოდ ბლანკა დარდობს დედაზე. იხსენებს მშვიდად, აუღელვებლად; იქნებ მე ვარ დამნაშავე? პირველ ხანებში მიმძიმდა და ამიტომაც ისაბელს იშვიათად ვახსენებდი. ახლა მეშინია სხვა, უცხო ქალში არ აუურიო, და ამიტომაც არ ვახსენებ.

ნუთუ აველიანედაც ასე დამივიწყებს? სწორედ ამ კითხვაში იმალება მთავარი: რომ დაგივიწყონ, ჯერ უნდა დაგიმახსოვრონ. ყოველ შემთხვევაში, დაიწყონ მაინცა დამახსოვრება.

კვირა, 2 ივნისი

დრო გარბის. ზოგჯერ ვფიქრობ, უნდა ავჩქარდე, დარჩენილ წლებს რაც შეიძლება მეტი გამოვტაცო. ჯერჯერობით ნაცნობ-მეგობრები ჩემს ნაოჭებს რომ დაითვლიან, თავაზიანად მეუბნებიან: „თქვენ ხომ ჯერ მოხუცი არ ხართ!“ ნეტავ როდემდე გაგრძელდება ეს „ჯერ“? უნდა ავჩქარდე, როგორც გადახსნილი კენიდან სისხლი, ისე სწრაფად მიედინება წლები და ძალა არ შემწეებს შევჩერო ისინი. სიცოცხლე — ეს არის შრომა, ფული, ბედისგამართლება, მეგობრობა, ჯანმრთელობა, ყოველგვარი სიძნელე, მაგრამ (ალბათ ყველა დამეთანხმება) როდესაც ვფიქრობთ სიცოცხლეზე, როდესაც ვამბობთ, მაგალითად, რომ „კვირებით სიცოცხლეს“, ამ სიტყვების მიღმა გვესმის სულ სხვა რამ, უფრო კონკრეტული, მიმზიდველი და ადამიანთათვის ყველაზე მთავარი — ბედნიერება. მე ვფიქრობ ბედნიერებაზე (ყველანაირზე) და მწამს, რომ სწორედ სიცოცხლეა ბედნიერება. და მეც ვჩქარობ ვიცოცხლო, ტკივილამდე ვჩქარობ, რამეთუ ყველა ჩემი ორმოცდაათი წელიწადი კვალში მომდევს. ვიმედოვნებ, წინაც საკმაოდ გასავლელი გზა მელის, იქნება მეგობრობა, ზომიერი ჯანმრთელობა, ათასნაირი საზრუნავები და უკეთესობის იმედებიც. კი მაგრამ, რამდენი დრო რჩება ბედნიერებისათვის? ოცი წლისა ახალგაზრდა ვიყავი, ოცდაათისაც, ორმოცისაც, ახლა ორმოცდაათისა ვარ და „ჯერ კიდევ არც ისე მოხუცი“. „ჯერ“ ხომ დასასრულის დასაწყისს ნიშნავს!

და მაშინ უცბად ამოიზიდება ჩვენი ურთიერთშეთანხმების მთელი უაზრობა: მოთმინებით უნდა ველოდოთ, როგორ შევეგუებით ერთმანეთს და თანაც „მერე ვნახოთ“ დრო კი, გვინდა თუ არ გვინდა, გარბის. აველიანება დღითი დღე მშვენიდება, მიმზიდველობა და ქალურობა ემატება ჩემს თავზე კი პირიქით, ღრუბლები იქუშება, დღითი დღე ძალა მეცლება, იერაშით მოიწევენ სნებები, თანდათან ქრება სიცოცხლის სურვილი — უნდა ვიჩქაროთ ერთმანეთისაკენ, რამეთუ ჩასაფრებული დრო მოგვიმზადებს უცილობელ განშორებას. ყველაფერი, რასაც ის ელოდება, მე უკვე გამოცდილი მაქვს; მე რაც გამოცდილი მაქვს, ის ჯერ კიდევ ელოდება იმას. კაცი, რომელმაც გაუგო ცხოვრებას გემორომელმაც დიდ ხანია დაკარგა გულუბრყვილობა, მაგრამ შეიძინა გამოცდილება. კაცი, რომელსაც საკუთარი თავი საკუთარ ძმრებზე ადგას — ქალებს შეიძლება მოეწონოთ, მაგრამ დიდხანს გაჰყვებათ კი მათ ეს მოწონება? გამოცდილება მაშინ არის კარგი, როცა ძალაც გაქვს. და თუ არა გაქვს ძალა, მაშინ სამუხეუმო რელიქვია ხარ, რომლის ერთ-ერთი ღირებულება ის არის, რომ წარსულს ვავიწროებთ გამოცდილებას და ძალას ცოტა ხანს უწევთ ერთად ყოფნა. სწორედ ამ ცოტა ხნის მონაკვეთში ვიმყოფები ამჟამად მე, მაგრამ შესაშური მაინც არაფერი მაქვს.

სამუშაო, 4 ივნისი

საოცარი ამბავი მოხდა. ვალვერდე თურმე წაჩხუბებია სუარესს და დაშორებია ერთმანეთს. მთელი კანტორა ხანზარებს. მარტინესი ლამის ბრწყინავს. ეს დაშორება მას გზას უხსნის მმართველის მოადგილის სკამისაკენ. სუარესი დღით არ იყო სამსახურში, ნასადილევს გამოცხადდა შუბლჩაღურჯებული და გუნებასამხდარი. მმართველმა გამოიძახა და გვარიანად შეაფუცხუნა. ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ ჭორები არცთუ უსაფუძვლო ყოფილა.

პარასკევი, 7 ივნისი

ორჯერ ვიყავით კინოში, მაგრამ თავი არც ერთხელ არ გამაცილებია. დღეს გავაცილე. მეგობრულად ვუღიზიანებდი მელაპარაკებოდა. შუა ფილმის ჩვენებისას, როცა აღიდა ვალი¹ უსაშველოდ იტანჯებოდა ამ იდიოტ ფარული გრეინჯერისთვის², აველიანედა უცბად ხელში ჩამეჭიდა. მესმის, რომ ეს შეიძლება იყოს უნებური მოძრაობა, მაგრამ საქმე ის არის, აველიანედას ვერც შეუშვია ხელი. მართალია, მე ის ფრთხილი კაცი ვარ, რომელიც არ ცდილობს საქმის მსვლელობა დააჩქაროს, მაგრამ ჩემს არსებაში ხომ მეორე კაციც ზის, რომელიც აგერ უკვე რა ხანია ფიქრობს, რომ საჭიროა აჩქარება.

სამი კვარტალი ფეხით გავიარეთ, გამჭვირვალე სიბნელე იდგა, ნამდივილი ღამის სიბნელე. ფარნები არ ენთო. ძველმა კეთილმა მეგობარმა უტე-მ³ გამიკეთა მე ეს საჩუქარი. აველიანედა თითქმის ერთი მეტრის დაშორებით მომყვებოდა. ქუჩის კუთხემდე ვიყავით მისული (იქ მალაზიის ვიტრინაში სანთლებით განათებული ბილიარდის მაგიდა იდგა), რომ უცებ ვიღაცის ჩრდილი გამოეყო ხეს, მე და აველიანედას შორის ერთმეტრიანი მანძილიც წამში დაპატარავდა და სწრაფად გამოძლი ხელკავი. ჩრდილი ვიღაც მთვრალი კაცი გამოდგა, უწყინარი და უღონო. თავისთვის ბუტბუტებდა: „გაუმარჯოს სულით დატაკო და ერთხელ პარტიას“! აველიანედამ ძლივს შეიკავა სიცილი, ახლა ისე მაგრად აღარ იყო ჩაჭიდებული ჩემს ხელს. მისი სახლის ნომერი იყო სამას სამოცდარვა. ქუჩას ვიღაცის სახელი და გვარი ერქვა, მგონი, რამონ პ. გუტიერესის თუ სულაც ედუარდოს დომინგესისა, აღარ მახსოვს. სახლს პორტალი და აივნები ჰქონდა. კარი დაკეტილი იყო. აველიანედამ მითხრა: შიგნით არის ნიშა, რომელსაც ვიტრაჟიანი ფანჯარა აქვსო. ამბობენ, სახლის პატრონის შეკვეთით გაუკეთებიათ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ვიტრაჟების მიხედვითო. ოღონდ ეს არის, წმ. სებასტიანი, ღმერთმანი, ძალიანა ჰგავს გარდელსო.

აველიანედას მაშინვე არ გაუღია კარი. მიეყრდნო, ბრინჯაოს სახელური ზურგში ერჭობოდა. ნუთუ არ ტკივა? – გავიფიქრე მე. მაგრამ, ეტყობა, არ ტკიოდა. მითხრა: „თქვენ ძალიან კარგი ხართ. წესიერად იქცევით“. თუმცა ვიცი, რანაირი კარგიც ვარ, თავი მოვიკატუნე: „რა თქმა უნდა, კარგი ვარ, ოღონდ რაღაც არა მჯერა, კარგად ვიქცეოდე“. „ნუ იპრანჭებით, თქვენ აღბათ ბავშვობაში გასწავლიდნენ, თუ წესიერად მოიქცევი, ტრაბახა არ არის საჭირო“. დადგა წუთი. რომელსაც ისიც ელოდა: „ბავშვობაში იმასაც მასწავლიდნენ, თუ წესიერად მოიქცევი, საჩუქარს მიიღებო. ნუთუ არა ვარ საჩუქრის ღირსი?“ ღუმილი. მის სახეს ვერ ვხედავდი, წყვეული მუნიციპალიტეტის დარგულ ხეებში მოვარის შუქი არ ატანდა. „ღიახ, ღირსი ხართ“, – სიბნელიდან გამოსრიალდნენ მისი მკლავები და ჩემს მხრებზე დაესვენენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი რამ მან ნახა რომელიმე არგენტინულ ფილმში, მაგრამ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ასეთი კოცნა არ არის და არც ყოფილა არსად არასდროს... რა გემრიელი ტუჩები აქვს. რა სინაზით ეფლობიან ისინი ჩემსაში, რა ვნებით იხსნიებიან, რომ ახლა მე დავიკარგო შიგ. რა თქმა უნდა, პირველი არ არის მისთვის ეს კოცნა. მერე რა მოხდა? ბოლოს და ბოლოს ესეც ბედნიერე-

1. ცობილი იტალიელი კინომსახიობი.

2. ამერიკული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი.

3. კავშირგაბმულობის სახელმწიფო დაწესებულება. მას ევალება აგრეთვე ქუჩების განათება.

ბაა — კოცნო სხვის ტუჩებს, კოცნო ნდომით და ნაზად. არ ვიცინოვოვო მოხდა, ახლა მე აღმოჩნდა კარს მიყუდებული. მთელი ნახევარი საათი ვიდევით ამ კართან. ღმერთო, როგორ გამომართლა! არც ერთს სიტყვა არ ვუთქვამს. მაგრამ ამ ღამით რაღაც მაინც გადაწყდა, რაღაცას მაინც მოეფინა ხათველი. ვეღარ დაეახუსტებ, ახლა დავიღალე ბედნიერი ვარ. მაგრამ მაინც მეშინება და ამიტომ მაღ მთლიად ბილიმდე ვერ ვარ ბოხიერი. მეშინია საკუთარი უფლებიერი ბედისა, მეშინია ამ ერთადერთი რეალური მოძველისა, რასაც „ხვალ“ ქვეა მეშინია — მაძასადაძე, არ ძჯერა.

პირა, 9 ივნისი

ზომიერების მიმართ ნამდვილი ფანატიკოსი ვარ. რა სიძნელეც არ უნდა შემხედეს ცხოვრებაში, უკიდურეს ზომებს არასოდეს მივმართავ ხოლმე. იქნებ სწორედ ეს არის ჩემი ცხოვრებისეული მარცხის მიზეზი? ერთი რამ ცხადია: ვინც უკიდურესი ზომების მოძხრეა და აღსავსეა ძალითა და სიცოცხლის უნარიანობით, მას შეუძლია სხვებიც გაიყოლიოს, ის კი, ვინც არც შამფურს წვავს და არც მწვადს და მუდამ წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს. როგორც წესი, უკმაყოფილოა მუდამვე და ძალზე იშვიათად ჰგავს გმირს. ერთი სიტყვით, წონასწორობის შენარჩუნება რომ შეგეძლოს, ამისათვის დიდი სიძაძაძეა (განსაკუთრებული სიძაძაძე) საჭირო, თუმცა ზოგიერთები მას სიმძდაღედ მიიჩნევენ, თანაც კაცი, ვისთვისაც უცხოა აღშფოთება და მუდამ გაწონასწოებისაკენ ილტვის, მოსაწყეს კაცია, ჩვენს დროში კი ეს თვისება უკიდურესად არასახარბიელო თვისებაა და არავის პატიობენ.

რას მოვაყოლე ეს ყველაფერი? პო, წონასწორობა, რომელსაც მე ვეძებ ახლა, დაკავშირებულია (რატომ რაღა არ არის დღესდღეობით მასთან დაკავშირებული?) აველიანედასთან. მე არ მინდა იგი ცუდად იყოს. არც ის მინდა, მე ვიყო ცუდად (ესეც შეხი წონასწორობა), არ მინდა, ჩვენი სიახლოვე სულელურ შეყვარებულობანად და ქორწინებად გადაიქცეს. არ მინდა ჩვენს ურთიერთობას ვულგარულობის, უბედობის ელფერი მიეცეს (კიდევ წონასწორობა). არ მინდა მოძაველში წილად ჰერგოს საცოდავი სიბერე გაფურჩქვნის ხანაში მყოფი ქალის გვერდით და არ მინდა მოძაველის შიშით უარი ვთქვა აწმყოზე, რომელიც მიხმობს და მიხმობს (მესამე წონასწორობა), არ მინდა (მეოთხე და უკანასკნელი) იაფფასიანი სასტუმროების ნომრებში ვატარო იგი და არ მინდა შევქმნა ოჯახური კერა.

მაშ, როგორ მოვიქცე? სად არის გამოსავალი? პირველი: უნდა ვიქირაო ბინა. რა თქმა უნდა, საკუთარ ოჯახს დავტოვებ. ჯერჯერობით საკმარისია ეს პირველი გამოსავალი, სულერთია, ძეორე მაინც არ არის.

ორშაბათი, 10 ივნისი

ცივა, ქარი ქრის. საძაგელი ამინდია. წარმოუდგენელია, მაგრამ თხუთმეტი წლისა რომ ვიყავი, ზამთარი მიყვარდა. ახლა ცემინებად ვარ გადაქცეული, იმდენს ვაცემინებ, რომ ზოგჯერ მგონია, ცხვირის მაგიერ კამიდლორი მადია-მეთქი — წითელ-წითელი, გასახუეჩად გამზადებული მწიფე კამიდლორი. სამასმეხუთეჯერ რომ დავაცემინებ ხოლმე, ჩემსავით შეურაცხყოფილი და განადგურებული კაცი მეორე არ მეგულება მთელ დედამიწაზე, წმინდანებისა მშურს — რა თხელი და ძძრალი ცხვირები აქვთ, ელ გრეკოს ნახატებში მაინც. მშურს, რადგან წმინდანები აღბათ არასოდეს ცივლებიან და ცხვირებიც არ უსკდებათ ცემინე-

ბისაჯან. რომელიმე მათგანს თუნდაც ოცჯერ ან ოცდაათჯერ რომ დაეცალა ცხვირი ასეთი ბათქით, მიუხედავად თავიანთი წმინდანობისა, ერთი მაგრად შეიკურსიხებოდნენ ხმამაღლად და გუნებაშიც. უბრალო მოკვდავმა კი საკმარისია ერთი პატარა შეივინოს, რომ ზეცის კარიბჭე სამუდამოდ ჩაკეტილია მისთვის.

ქრისტეშუღი
გინგლიჩიშუქა

ნამშაბათი, 11 ივნისი

აველიანუდასთვის არ მითქვამს, ისე დავიწყე ბინის ძებნა. ისეთი იდეალური ბინა, როგორც მინდოდა. სამწუხაროდ, იდეალადვე დარჩა ჩემს წარმოსახვაში. ფული არ მაქვს საკმარისი — იდეალები, საერთოდ, ძვირად ფასობს.

პარასკევი, 14 ივნისი

აღბათ უკეთესია, რაც ხეირიანად არ დავლაპარაკებოვარ ზაიმესა და ესტებანს. შინ გაჩნდებული მოდიან, თავიანთ ოთახებში იკეტებიან, სუფრასთან ხმას არ იღებენ, გახეთს კითხულობენ, შერე სახლიდან გადიან და გამთენიისას ბრუნდებიან. ბლაგა კი პირიქით, აღერსიანი მოსაუბრე გახდა. დიეგოს იშვიათად ვხვდები. მაგრამ ბლანკას ბედნიერებით გაცისკროვნებულ სახეზე კითხულობ, რომ ერთად არიან. დიეგომ გამიმართლა, კარგი ბიჭია. ესტებანს კლუბის ამხანაგი დაეხმარა და სხვა თანამდებობაზე გადავიდა. მაგრამ, მე მგონი, ნანობს, ანკესზე რომ წამოეგო. როცა იქნება, ჩავარდება, ვხედავ მე, და ყველას ჯანდაბაში გაიყოლიებს. მალე მაინც მოხდეს გაება ნამდვილად, თავისი შეხედულებების საწინააღმდეგოდ იქცევა. ცუდია ისიც, რომ ცინიკოსი ხდება, ერთი იმაოგანი ხდება, ვინმეს შენიშვნაზე თავს ასე რომ იმართლებენ: „რას ვიზამთ, თუკი სხვა გზა არ არსებობს დასაწინაურებლად“. რაც შეეხება ზაიმეს, იგი მუშაობს, კარგადაც მუშაობს და სამსახურშიც უყვართ, მგრამ ზაიმეს სხვა რაღაცა ჭარბ, ოღონდ არ ვიცი, რა, და სწორედ ეს არის საშინელება. ყოველთვის რაღაცით არის გაღიზიანებული და უკმაყოფილო. მტკიცე ხასიათი აქვს, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს ხასიათი კი არა. უბრალოდ, ხუმტურია. მისი პეწუნის ამხანაგები არ მომწონან, პოსიტოსში! ცხოვრობენ და აღბათ სადღაც გულის სიღმეში ზაიმეს ზემოდან დასცქერიან. მაგრამ ზაიმე მათ სჭირდებათ, ზაიმე უფრო გონიერია, ოქროს ხელებიც აქვს. ბევრს უკეთებს აღბათ რაღაც-რაღაცებს უფასოდ, რა თქმა უნდა, როგორც მეგობრებში იციან. არც ერთი მისი ამხანაგი არ მუშაობს — მამიკოების კისერზე არიან.

შაბათი, 15 ივნისი

ისეთი ბინა ვიპოვე, მეტნაკლებად რომ ჰგავს იდეალს და თანაც წარმოუდგენლად იაფად. მაგრამ ხარჯების შემცირება მაინც მომიწევს. არა უშავს, როგორმე ვაფუძლებ. ეს ბინა მეოვრამეტე ქუჩისა და ანდესის ქუჩის კუთხიდან ხუთი კვარტლის შერეა. ერთი ღირსებაც აქვს: მისი გაწყობა ავეჯით გროშები მიჯდება ასე ითქმება, თორემ მომიწევს ორი ათას ოთხას სამოცდახუთი დოლარისა და სამოცდა ცხრამეტი ცენტის გამოტანა ხალაროდან.

დღეს აველიანუდას შევხვდები. ჯერჯერობით არაფერს ვეტყვი.

კვირა, 16 ივნისი

და მაინც ვუთხარი. სამი კვარტალი გავიარეთ ფეხით რვა ოქტომბრის ქუ-

1. მონტევიდეოს ფეშენბულური რაიონი.

ჩიდან მის სახლამდე ამჯერად ფარნები ენთო. მგონი, ენა მებმის. მოვაგონე ჩვენი გვემა: ორივენი თავისუფლები ვართ, გავიდეს დრო, ერთმანეთი კარგად გავიცნოთ, მერე უნახოთ-მეთქი. პო, რა თქმა უნდა, ენა მებმის. მთელი გავიდა მას შემდეგ რაც იგი ყავის დასალევად მოვიდა კაფეში. „მინდა რაღაც შემოგთავაზო“, — ვთქვი მე, პარასკევს აქეთ, შეიდი ივნისიდან, შეჩუქებოდა ჩვენი პარაკები. ის — არა მეგონა, მეტყობდა, ვიცო. მაშინ უფრო იოლად მომხდებოდა თავის ამის თქმა, მაგრამ არ მოიხურვა ეს ტვირთი ჩამოეხსნა ჩემი მხრებიდან. ვერ მიხვდა თუ არ მოიხურვა მიმხედარიყო? არასოდეს არ გამომდიოდა შესავალი სიტყვები და ახლაც ვთქვი ის, რისი ართქმაც არ შეიძლებოდა: „ბინა ვიქირავე ჩვენთვის“. ფარნების შუქზე მის შემოხედვას გავუძელი. მგონი, ნაღვლიანად შემომხვდა. არ ვიცო, ვერ იქნა და ვერ ვისწავლე ამოვიცნო, რისი თქმა სურს ქალს, როცა თვალეში ვიცქერის. იქნებ გვეითხება რამეს, ან პირიქით, იქნებ ვპასუხობს? ჩვენ შორის უცებ ღრუბელი ჩაწვა. ამ ღრუბელს ერქვა „ქორწინება“. ორივენი ვხედავდით ღრუბელს, მაგრამ ორივემ ვიცოდით, იგი მალე გაქრება და კვლავ უღრუბლო ზეცა გვექნება თავზე. „არაფერი მკითხეთ და ისე?“ — თქვა მან. მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე, რადგან ბლუკუნ-ბლუკუნით არ მინდოდა მეპასუხნა: ყელში ბურთივით მქონდა რაღაც გაჩხერილი. „სწორადაც მოქცეულხართ, — მან გაღიმება სცადა. — ნამდვილად ღირსი ვარ ასეთი უბოდიშო მოქცევისა: მე არაფერი მკითხოთ“. ჯერ ადრე იყო და მისი სახლის კარი არ ჩაეკეტათ. ყველგან შუქი ენთო. იღუმალი პოეტურობა სადღაც გაქრა. მძიმე სინემე დაგვაწვა მხრებზე. მივხვდი, ჩემმა ახალმა ამბავმა დიდად არ აღაფრთოვანა იგი. ან რა აღფრთოვანებას უნდა ელოდო ორმოცდაათი წლის კაცისაგან! „არა“ ხომ მაინც არ უთქვამს? არ უთქვამს, მაგრამ ვაი ასეთ ართქმას. მიმძიმდა. მტანჯავდა მისი ცქერა. იდგა იგი ჩემ წინ თავის მწვანე ჟაკეტში გახვეული და სახეზე აშკარად ეხატა დიდი განცდა იმისა, რომ ამ წუთიდან მისთვის ბევრი რამ დამთავრდა ცხოვრებაში. გამომშვიდობებისას არ უკოცნია. არც მე მიცდია. სახე მკაცრი მქონდა. და უცებ, თითქოს კაშხალი გაირღვაო — სულ რომ არ მოველოდი ამას — თითქოს ნიღაბი ჩამოიგლიჯაო, თავი კედელს მიაყრდნო, სახე მე მომაპყრო და ატირდა. ეს არ იყო ბედნიერების ცრემლები. ასე ტირის ის, ვინც დარდს ურიგდება. როცა დარდს არ ეგუები, არ გინდა შეურიგდე, მაშინ შეიძლება იტირო აკანკალებულმა და აცახცახებულმა, განსაკუთრებით ხალხში, მაგრამ როდესაც დარდი გაქვს და თანაც ურიგდები ამ დარდს, როდესაც მოსალოდნელი არ არის არც ამბოხი, არც მსხვერპლი და არც ვშირობა, მაშინ ტირი ჩუმად, რამეთუ არავის ძალუმს დაგეხმაროს: გარდა ამისა სადღაც სულის სიდრმეში იცი, რომ ბოლოს და ბოლოს დარდი გაივლის, დაისადგურებს სიმშვიდე და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. სწორედ ასე ტიროდა აველიანედაც. მე არ შემეშლებოდა ეს. „რით შემძლია დაგეხმარო? — მაინც ვკითხე — რა ვავაკეთო, რომ ცოტათი მაინც შეგიმსუბუქო ნალველი?“ რა უაზრო შეკითხვაა? და მაშინ სულის სიდრმიდან წამოიმართა ეჭვი: „რა მოხდა? იქნებ გინდა დავქორწინდეო?“ მაგრამ ეჭვის ღრუბელი თანდათან გაქრა. „არა, — თქვა მან. — ყველაფერზე ერთად ვტირი“. რა სწორად თქვა! ყველაფერზე: იმაზე, რომ ფარნები ანათებენ, რომ მე ორმოცდაათისა ვარ, რომ ის კარგი გოგია, რომ მე სამი შეილის მამა ვარ, რომ მას საქმრო ჰყავდა, რომ ახლა უკვე ოთახი გვაქვს... ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და ცრემლი მოვწმინდე. „გაგიარა, ხომ?“ „პო, გამიარა“. ორივენი ვცრუობდით, მაგრამ ვიცოდით, რომ ახლა ასე იყო საჭირო. „არ გეგონოს, რომ ასეთი სულელი ვარ სა-

ერთოდ", — თვალღებში ცრემლი შეშრობოდა უკვე „არ გეგონოსო“ — კი, კი, ახე თქვა. „არ გეგონოსო“. მან შენობით მომხართა.

სუთხაბათი, 20 ივნისი

ოთხი დღეა არაფერი დამიწერია. ბინის გამო ვერ მოვიცალე. საბუთები გაუაფორმეთ, ხალაროდან ჩემი ორი ათას ოთხას სამოცდახუთას ლამაზად სა- მოცდაცხრამეტა ცენტი გამოვიტანე, ცოტა რაღაც აუჯი ვიყინდე. ცოტას ვლუ- ლავ, ხვალ გასაღებს მომცემენ. შაბათს აუჯსაც მოიტანენ.



პარასკევი, 21 ივნისი

სუარესი გაავდეს. დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილად გაავდეს. კანტორა- ში ყველა გახარებულია, ამბობენ. ლილია ვალკერდემ გაავდებინათ. საოცრად უმნიშვნელოა გავლების მიზეზი. ექსპედიციამ ორი პაკეტი შეცდომით გაგზავნა სხვა მისამართზე სუარესმა არაფერი იცოდა ამ პაკეტების გაგზავნის თაობაზე. კორესპოდენციებს წესისამებრ ახალ თანამშრომლებს აგზავნიებენ, პოლა, შეე- შალა აღბათ რომელიმე დოკლაპიას. განა გუშინწინ არ იყო, სუარესი, ღმერთ- მა იცის, რა ბინძურ საქმეებს არ სჩადიოდა, მაგრამ კაციშვილი რომ ვერ უბე- დავდა სიტყვის თქმას? ახლა კი, ეტყობა, მმართველმა ზემოდან მიიღო ბრძა- ნება, კარში გაეგდო გადამღგარი შეფვარებული. მაგრამ სუარესმა, ჩანს, ადრევე იცნოსა საფრთხე და საუკეთესო მოსწავლესავით იქცეოდა სამსახურში: დროზე მოდიოდა, ზედმეტადაც რჩებოდა, თავაზიანადაც ულაპარაკებოდა ყველას, მო- რიდებული და მუყაითი გახდა. მაგრამ არაფერმა უშველა. ექსპედიციის საქმიან- ნობაში შეცდომაც რომ არ ეპოვათ, სულერთია, რაღაც მიზეზს მაინც გამოუძებნი- დნენ და გაავდებდნენ, თუ მოინდომებდნენ, შარს მოსდებდნენ, სიგარეტს ბევრს ეწევანო, ტალახიანი ფეხსაცმელი აცვიანო. იმასაც ამბობენ, თვით მმართველის სა- იდუილო ბრძანებით გაიგზავნა ეს პაკეტები არასწორი მისამართითო. არც ეს არის გასაკვირი.

სუარესს დაახვედრეს ახალი ამბავი, საცოდაობა იყო მისი ცქერა. ხალარო- ში მოვიდა საბოლოო ანგარიშის მისაღებად. მერე თავის შავიდასთან დაბრუნ- და და უჯრები დააცარიელა. ყველანი დუმდნენ, არავინ მისულა მასთან, არავის არაფერი უკითხავს, არც არავის ურჩევია რამე, არც დახმარება შეუთავაზებია ვინმეს. სულ რაღაც ნახევარ საათში აღარავის უყვარდა სუარესი. მე მას რამ- დენიმე წელიწადია არ ველაპარაკები (ერთხელ წავახწარი, როგორ იწერდა დავთრიდან სიდუმლო მონაცემებს, რათა გადაეცა ერთ-ერთი დირექტორისთვის სხვა დირექტორების წინააღმდეგ ასამხედრებლად), მაგრამ, ვფიცავ, სწორედ დღეს მომინდა მივსულიყავი მასთან და მეთქვა ერთი-ორი თბილი, დასამშვი- დებელი სიტყვა. მაგრამ არ მივსულვარ. სუარესი ბინძური ვინმეა, თანაგრძნო- ბის ღირსი არ არის და მაინც საშიხელებაა — ყველანი ერთად — დაწყებული გეზურალური დირექტორიდან დამთავრებული შიკრიკით — ყველანი უცებ შეი- ცვალნენ მის მიმართ და თანაც მხოლოდ იმატომ, რომ ვალერდეს ვალიშვილმა შიატოვა. საოცარია პირდაპირ, ჩვენი კომერციული დაწესებულების თანა- მშრომელთა მიერ შესრულებული საქმეების შეფასება რამდენადმე ვილაც-ვილა- ცების სატრფიალი ურთიერთობებზე რომ არის დამოკიდებული!

შაბათი, 22 ივნისი

კანტორაში არ ყოფილვარ. გუშინ დიდი არეულობით ვისარგებლე და მმართველის კაუხსთავისუფლე მმართველმა კეთილად გამილიმა, თავიც მომიქო-

ნა, აქაოდა: წამყვანი მუშაკის გარეშე მუშაობა გაუჭირდება კანტორასო. იქნებ ვალვერდეს ქალიშვილი სურთ შემომაჩირონ? აბა, მიდი, მიდი!

ავეჯი მოიტანეს, ზანგივით ვმუშაობდი. არა უშავს გამოვიდა, არავეთარი ულტრამოდური. არ მიყვარს ეს ფუნქციონალური სკამები, სასაცილოა პირდაპირ, ისეთი სუსტი ფეხები აქვთ, ლამის შეხედვაზეც კი ტყდებიან, ცხუნურებშიც თითქოს ვიღაცებისთვის საგანგებოდ აქვთ გაკეთებულიო, კახადასწრეს სხვა მალლისა იყო. ახლანდელი ლამპებიც არ მომწონს, სწორედ იმას ანათებენ, რისი დანახვაც არ გინდა: აბლაბუდებს, ტარაკნებს, ელექტროგაყვანილობას.

ჩემს ცხოვრებაში პირველად ვრთავ ბინას საკუთარი გემოვნების მიხედვით. ცოლი რომ ვითხოვე, ჩემმა მშობლებმა „საძინებელი“ მიყიდეს, ისაბელის მშობლებმა კი „სასადილო“, სულ არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არავის გააღელვებდა ეს ამბავი. ერთხელ მოვიდა სიდედრი და განაცხადა: „სასტუმრო ოთახში სურათი გჭირდებათ“. ითქვა — შესრულდა. მეორე დილით კედელზე ეკიდა ნატურმორტი: ძეხვი, გამხმარი ყველის ნაჭერი, ნესვი, შინაურული პური, ლუდის ბოთლები და... რაღა ბევრი ვილაპარაკო, მთელი ნახევარი წელიწადი ჭამის შადა დაკარგული მქონდა. ამ დღიდან ყოველ დღესასწაულზე ბიძა-ბიცოლები გვიგზვნიდნენ ნაირ-ნაირ სურათებს. ზოგზე თოლიები ეხატა, ზოგზე — მტრელები. ისეთი მშვენიერი ფრთოსნები იყო, რომ... გული აგერეოდა. ისაბელის სიკვდილის მერე შოახლის, წლებისა და ჩემი უვიცობის დახმარებით ოთახებიდან თანდათან გაქრა ნატურმორტიც, თოლიებიც, მტრელებიც და მისთანანიც. სამაგიეროდ ხაიმემ პირთამდე აავსო სახლი საშინელი შედევრებით — რომ ვერ გაივებ (დაწვრილებით თუ არ აგიხსნეს), ისეთი შედევრებით რამდენჯერ მინახავს, მოვლეს ხაიმეს მეგობრები და აღფრთოვანებისაგან ლამის დამუნჯებულები ჩერდებიან რომელიმე სურათის წინ. ვთქვით, აი იმ სურათის წინ, რომელზეც ფრთებიანი სურა, გაზეთებიდან ამონაჭრები, კარი და მამაკაცის სასქესო ორგანო არის დახატული. შესცქერაიან და მერე ამბობენ: „რა ცუდი რეპროდუქციაა!“ არ მესძის და არც მინდა მესმოდეს მათი, იმიტომ რომ ყალბია მათი აღფრთოვანება. ერთხელ ვკითხე, გოგენის, მონეს ან რენუარის რეპროდუქციებს რატომ არ ჰკვიდებთ, რითია ამათზე ნაკლები-მეთქი. მაშინ დანიელიტო გომეს ფერნანდომ, ამ ყვეყჩმა, დილის ხუთ საათზე რომ წვება დასაძინებლად, იმიტომ, რომ „ღამით სუფევს ნამდვილი ცხოვრება“, თანაც რესტორანში რომ აღარ შედის იმის გამო, რომ იქ ერთხელ ნახა, კაცი კბილებს იჩიჩქნიდა — პოდა, სწორედ ამ ყვეყჩმა ასე მიპასუხა: „გი მაგრამ, ჩვენ ხომ აბსტრაქციის საუკუნეში ვცხოვრობთ, სენიორ?“ თვითონ, თავისი გარეგნობით, სულაც არ გაძლევს საბაბს აბსტრაქტულობისას: წარბებგაპარსული ორსულ კატასავით იგრძობება

კვირა, 23 ივნისი

კარი გავაღე, აველიანედა პირველი შევუშვი ოთახში. შესვლისთანავე მოკვდა ყველაფრის დათვალიერებას. ყურადღებით აცქერებოდა, თითქოს სურდა ნელ-ნელა შეესრულა შუქი, ჰაერი, სუნნი. სეკრეტერს ბელი გადაუსვა, სოფასაც საწოლებს არც შეხვდა. დაჯდა, გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მომეჩვენა, ფეხები ეკეცებოდა. კედელზე დაკიდულ რეპროდუქციას რომ შეხედა, თქვა: „ბოტიჩელი“. შეუშალა — ფილიპო ლიპია. მერე ვეტყვი როგორმე გამომიკითხა, საიდან გქონდა ამდენი ფული, ბინაც რომ დაიქირავე და ავეჯიც იყიდეო, რამდენჯერმე გაიმეორა: „მომწონს“.

სალამოს შვიდი საათი იყო. ჩამავალ მზის სხივებზე ფორთოხლისფერი დაედო კრემისფერ შპალერს. აველიანებას გვერდით მიუუჯვებო. დაძაბული იჯდა. ჩანთას ჩაფრენოდა. ჩანთა გამოვართვი. „დაიხსომე, შენ აქ სტუმარი კი არა, დიასახლისი ხარ“. აველიანება დიდის გულმოდგინებით ებრძოდა თავს: თმაზე ხელს გადაისვა, ყაჩაყტი გაიხადა, ფეხები გაწვართა „რა მეტყობა თუ მე გეშინია?“ „განა მეტყობა, რომ გეშინია?“ „კი“. „მეტიერა თუ შენი კი არ გეშინია, ან ჩემი თავისა...“ „კიცი, შენ იმ წუთისა გეშინია“. აველიანება თითქოს ცოტათი დამშვიდდა. ერთი რამ ნათელია: ის არ თამაშობდა, არ თვალთმაქცობდა, მართლაც შეშინებული ჩანდა, ოდნავ ფერმკრთალიც. იგი არაფრით არა ჰკავს ჩემს წინანდელ ნაცნობ ქალებს: ჯერ დაგთანხმდება ნომერში წამოყოფაზე, ტაქსში ჩაჯდომამდე კი აუცილებლად ისტერიკას ასტეხს, ტირის და დედას უხმობს. აველიანება კი სულ არ იპრანჭება, აფორიაქებულია და მე არ მინდა (არ მინდა, თუ ხელს არ მაძლევს?) მეტისმეტად ვიყო მისი აფორიაქების მიზეზი. იგი მიხვდა, რომ დაბნეული ვიყავი და დამამშვიდა: „მინდა როგორმე ნელ-ნელა, თანდათანობით შევეჩვიო ამ მდგომარეობას. ხომ იცი, ზოგჯერ სულ სხვანაირად გაქვს წარმოდგენილი ყველაფერი და მერე აღმოჩნდება, სულ სხვანაირად კი ყოფილა... მაგრამ ძალღობა მინდა გითხრა, ის, რაც შენ აქ მოაწყვე, თითქმის არ განსხვავდება იმისგან, რაც წარმოდგენილი მქონდა, რასაც ველოდი“. „ელოდი? როდიდან?“ „როდიდან და, სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი რომ შემიყვარდა, იმ დროიდან“. სუფრა უკვე გაშლილი იყო. მაგიდაზე ელაგა სადა, ყვითელი თუფშები. მაღაზიის გამყიდველმა ქალმა შემირჩია (მეც მომეწონა), თავს დავტრიალებდი მაგიდას, სტუმართმოყვარე მასპინძლის მოვალეობას მთელი მონღოლებით ვასრულებდი. მარწმუნებდა, ყველაფერი ძალიან გემრიელიაო, თუმცა ყოველ ლუკმაზე იღმიჭებოდა. შამპანურმა ვარდისფერი მოკგვარა სახეზე. „რომელ საათამდე შეგიძლია დარჩე?“ „გვიანობამდე“. „დედაშენი რას იტყვის?“ „დედაჩემმა იცის „ჩვენი ამბავი“.

ეს უკვე წელსკვეთი: თუ დარტყმაა, ეს უკვე არაფრად არ ვარგა! თითქოს გამაშიშვლესო. სიზმარში ხდება ხოლმე ასე: სასიწარკვეთილი და დაზაფრული დაბორილობა ქუჩაში ნიფხვის ამარა, ხალხი კი დგას და ბარბარებს. „კი მაგ“? „აუცილებელი იყო სკოლიდან?“ „დედას არაფერს ვუბნობ“. „მამას?“ „მამანუში ღრუბლებში დაფრინავს. თერძია, თანაც ცუდი თერძი. არ გაბრძვივდე დეკოსტუმში არ შეაკერიხო. სულ ერთ მანუკუნზე კერავს. გარდა ამისა, ის თეოსოფია, კიდევ ანარქისტიც, არასოდეს არაფერს არ შეკითხება. ორშაბათობათ თეოსოფებს ხვდება და დედამდე ლამაზაკობენ ბლავატსკაიაზე, ზუსტადად თეოსოფიის ანარქისტები იკრიბებიან ჩვენთან და ჩემს ჩახლეჩამდე კამათობენ ბაკუნინსა და კროპოტკინზე. ისე კი მამაჩემი ჩემი კაცია. ზოგჯერ შემომხედავს ნაზად, მორწილად და ჩემთვის ისეთ მნიშვნელოვან და საჭირო რაღაცას მეტყვის ხოლმე ცხოვრებაში რომ არსად გამოგონია“. მიხაროდა. აველიანება თავის მშობლებზე რომ მიამბობდა, დღეს განსაკუთრებით მომზიბდა, დასაწყისს კარგი პირი უჩანს, ასე უფრო გაგვიადვილდება ერთმანეთთან მისვლა-მიახლოება. „რას გუუბნება დედაშენი ჩემზე?“ ისაბელის დედისგან მთელი სიცოცხლე მქონდა მოწამლული. „შენზე – არაფერს. ჩემზე – კი“. აველიანებამ შამპანური მოსხუდა ტუჩები ქაღალდის ხელსახოცით მოიწმინდა. ტუჩებზე პოქადა აღარ ეცხობო. „დედა მეუბნება, გატაცება იცი, თავქარიანი ხარო“. „ჩვენზე ამბობს თუ საერთოდ?“ „საერთოდ. დედაჩემს თავისი თეორიები აქვს, მისი ცხოვრების მოთხრობი თეორიაა ბედნიერება, ნამდვილი ბედნიერება – თუნდაც ამ ბედნიერება

პოეტურობა და სიაძე აკლდეს, როგორც ჩვენ წარმოვიადგინა, -- და ეს ძალებს
 მან ძალას დედაჩემის აზრით: ადამიანებს უმეტესად თავი იმიტომ მიაჩნიათ
 უბედურად, რომ ჰგონიათ, ბედნიერება მარადიული ნეტარება, თავდავიწყებადღე
 მისული ექსტაზი და უსასრულო ზემაა მხოლოდ. არა, ამბობს დედაჩემი, ხედ-
 ნიერება ყველაფერ ამაზე ნაკლებია (ან იქნებ მეტიცაა, მაგრამ, ^{შეიძლება} შეი-
 თხვევამი სულ სხვა რამაა). ბევრს თავი ხელმოყვარული ჰგონია, <sup>ნახამდვილე-
 ში კი ბედნიერია, მაგრამ არ ესმის, არ უნდა ეს აღიაროს, რადგან ყოველობს,</sup>
 ნამდვილი ნეტარებისთვის არ მიმიღწევიაო. აი, მაგალითად. „ცისფერ მღვიმეზე“
 ყველა ამბობს, ჯადოსნურიაო. შენ ის არასოდეს ვინახავს, მაგრამ დანამდვილე-
 ბით იცო, რომ ჯადოსნურია. ერთ მშვენიერ დღეს მიდიხარ „ცისფერ მღვიმეში“
 და აღმოჩნდება, რომ მთელი მისი ჯადოსნობა ის არის, ჩაკყოფ ყვალში ხელს,
 ხელი ცისფერი ხდება და ანათებს“. აველიანება გატაცებით მაცნობდა დედაძი-
 სის აზრებს, მე მივხვდი, თვითონაც ასე სურდა ეფიქრა, მაგრამ არ შეეძლო.
 ვკითხე: „თვითონ შენ როგორა გრძნობ თავს, როცა შენს ხელს ხელ-ხელა ეღე-
 ბა ცისფერი და ანათებს?“ აველიანება მიწაზე დაჯდებოდა... „ჩვენს წუთს“,
 „ჩვენს დღეს“ დაუბრუნე. „ჯერ არ ჩამიყვია ყვალში ხელი“. -- თქვა მან და
 გაწითლდა. გაწითლდა იმიტომ, რომ მე შემიძლო ეს სიტყვები სასწრაფო გა-
 მოწვევად მიმეღო. აქ მე არაფერში არ მიმიძღვოდა ბრალი. მაგრამ ამ წუთიდან
 ყველაფერი გაფუჭდა. იგი წამოხტა და კედელს აეკრა: „შეიძლება ერთი რამ
 გთხოვოთ პირველად?“ „შეიძლება“, -- ვთქვი მე და ცუდმა წინათგრძნობამ შემი-
 პყრო „გამიშვებ აქედან იმის გარეშე? დღეს, მხოლოდ დღეს, ხვალ კი გაძლევ
 პარობას, ყველაფერი კარგად იქნება“, სასოწარკვეთილი, გახულებული და
 აღელვებული ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი. „რა თქმა უნდა, გაგიშვებ, ეგლა მაკ-
 ლია!“. მაგრამ ნამდვილად მაკლია და თანაც როგორ მაკლია!

ორშაბათი, 24 ივნისი

ესტებანი ავადა. ექიმი ამბობს, შესაძლოა სერიოზულადაცო. მე კი იმედი
 მაქვს, მთლად ასე არ იქნება საქმე, ეჭვობს, პლევრიტია ან რაღაცა -- ფილტვებ-
 შიო. არ იცის. ექიმებმა არასოდეს არაფერი არ იციან. ნახაუზმებს ესტებანის
 თბახში შევედი. რადიო უკრავდა, თვითონ კითხულობდა. რომ დამინახა, ფურ-
 ცელი გადაკეცა, წიგნი გადადო და რადიოც გამოართო, თითქოს სურდა ეთქვა:
 „გააწყალებ გული, ყველგან ცხვირს ჰყოფენ“. მე ვითომ ვერაფერი შევაძინე,
 არ ვიციოდი. რაზე მელაპარაკა. არც არასოდეს ვიციოდი. ყოველი ჩვენი საუბარი,
 რაზეც არ უნდა ყოფილიყო, ჩხუბით მთაურდებოდა. ესტებანმა მკობრა, პენსიის
 საქმე როგორ არისო. მე მგონი, კარგად-მეთქი, შრომის წიგნაკი მოვაწესრიგე,
 ყველა საჭირო გადასახადი დაუფარე, სარეგისტრაციო ბარათიც შემოწმებულია-
 მ. ექი „შენი ძმაკაცი მპირდება, საქმეს არ გაგიჭიანურებო“. მხოლოდ ჩემი
 პენსიაა ჩემი და ესტებანის სალაპარაკო თემა. თითქოს თავისებურა ღუმლის
 ხელშეკრულება დაგვედოს. ვილაპარაკოთ მხოლოდ ამ თემაზე, მაგრამ დღეს გა-
 დავწყვიტე დაპერღვია ეს ხელშეკრულება. „თავი დედაჩემო, ჩვენი პენსიას.
 სჯობს შენი ამბავი მითხრა. ჩვენ ხომ არასოდეს ვილაპარაკებთ ვაჩხაბო“ ეს
 მართალია, აღბათ იმიტომ, რომ არც ერთს არასოდეს არ გვაქვია“. აღბათ
 ასეა. ერთი მითხარი, შენს სამსახურში მართლა ბევრი საქმე უნდა დაგეძლია.

რი, შეურაცხყოფელი შეკითხვა მივეცი. პასუხი წინასწარ უნდა განმეჭვრიტა, მაგრამ ვერ განვჭვრიტე. „მაგით რისი თქმა გსურს? იმისი ხომ არა, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები უსაქმურები ვართ? ამის თქმა უნდა, ხომ? ცხადია, ამის თქმა გინდა. შენა გგონია, მხოლოდ თქვენ, კომერციის პატივცემულ მსახურებს შეგიძლიათ იშრომით პატიოსნად და კეთილსინდისურად?!“ ორმაგად გაუბრაზდი იმიტომ, რომ თვითონ ვიყავი დამნაშავე „საქმის“ ნუ ჩაერთე. სულაც არ მინდოდა მაგის თქმა, არც მიფიქრია შინაბერასავით ფხუკიანი ხარ. იქნებ კუჭიც აგეწვა?“ ჩემდა მოულოდნელად, ესტებნს მკეახედ არ უპასუხნია: ეტყობა, მაღალმა სიცხემ დაასუსტა. ის კი არადა, თავის მართლებასაც მოჰყვა: „იქნებ მართალიც ხარ. მუდამ ცუდ გუნებაზე ვარ, თვითონაც არ ვიცი, რატომ. ეტყობა, საკუთარ თავს ვუბრაზდები“. მეტისმეტი გაზვიადება გამოძივა. რომ ეთქვა, ესტებანის ეს სიტყვები აღსარებასავითაა-მეთქი, მაგრამ თვითკრიტიკას რომ ჰგავს, ეს კი ნამდვილად ახლოა ჭეშმარიტებასთან. კარგა ხანია ეჭვი მღრღნის, რომ ესტებანი თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ იქცევა. „რას იტყვი, სახელმწიფო სამსახურს რომ თავი დაუანებო?“ „ახლა“? „ამ წუთში არა, რა თქმა უნდა. როცა გამოვკეთდები, თუ გამოუკეთდო, საერთოდ. ექიმმა მითხრა, რამდენიმე თვეს გასტანს თქვენი ავადმყოფობათ“. „კი მაგრამ, რამ გადაგაწყვეტინა ასეთი ნაბიჯის გადაღება?“ „ნუ მკითხავ, განა შენთვის ცოტაა, წახვლა რომ გადაწყვიტე?“ „სულაც არ არის ცოტა. ძალიანაც მოხარული ვარ, მაგრამ თუ ავადმყოფობის გამო სერიოზულად გახდება შვებულების აღება, სჯობს ამ სამსახურიდან აიღო“. „შენ რომ ტიფით იყავი ავად, ხომ არ გაგავლეს სამსახურიდან, ხომ არ გაგავლეს?“ რაც მართალი მართალია, საკუთარი სიამოვნებისათვის ვკამათობდი: მსიამოვნებდა მისი საპირისპირო აზრების მოსმენა. „ახლა მთავრდება გამოკეთდე. მერე კი ვნახოთ“. მოულოდნელად ესტებნი მოჰყვა ლაპარაკს საკუთარ თავზე. იმედებზე, უნარზე. იმდენი ილაპარაკა, რომ კანტორაში ოთხის საათამდე წუთზე მივედი და მმართველთან ბოდიშის მოხდა მომიწია. ვიცოდი, ვიფიქრებდი, მაგრამ არა მქონდა უფლება ესტებანისათვის ბოლომდე არ მომეხსენა. იგი ხომ პირველად გამეხლო მე. შეუძლებელი იყო ეს ნდობა გამექარებინა მისთვის. მერე მე ამოვიდგი ენა. რაღაც-რაღაცებს ვურჩევდი, ისე, როგორც შემიძლია, არც მინდოდა მეტისმეტი ჭკუის სწავლებით დამეფრთხო და იმედი მქონდა, არც დამეფრთხია. წასვლისას საბნოდან გამოჩრილ მუხლზე ხელი დავუკრახე და მანაც გამიღიმა. ღმერთო ჩემო, რა უცნობი სახე მქონდა ამ დროს! ვიფიქრებდი, ეს შესაძლებელია? თანაც, რა ლამაზი ყოფილა! ნუთუ ეს ჩემი შვილია? ღმერთო, რა კარგია!


კანტორაში საქმეების გამო გვიანობამდე დავრჩი და რაღა თქმა უნდა, ჩემი კვლობას თვის“ დაწყებაც გადაიდო.

სამუშაობაში, 25 ივნისი
ბევრი სამუშაოა მაშასადამე, ხვალ.

ოთხშაბათი, 26 ივნისი
კვლავ გვიანობამდე დამტოვეს კანტორაში ლამის გავსკდე ბოლმისაგან.

სუთუაბათი, 27 ივნისი

არასოდეს არ მოუთხოვიათ ჩვენგან ამდენი უაზრო ცნობა ანგარიშის ჩაბარებაც სადაცაა კარზე მოგვადგება. ესტებანს სიცხემ დაუკლი. კარგია.



ქართული
ბიბლიოთეკა

პარასკევი, 28 ივნისი

როგორც იქნა, მეღირსა. კანტორიდან რვის ნახევარზე გამოვედი და ნაქირავები ბინისკენ გავეშურე. აველიანელა ჩემზე აღრე მივიდა. თაქისი გასაღები აქვს. მოშინაურდა უკვე. მხიარულად შემხვდა, მაკოცა, ვისადილეთ, ვილაპარაკეთ, ვიტინეთ. მერე დავწექით. ყველაფერი ძალიან კარგი იყო. არ არის საჭირო ჩაწერა. მე მხოლოდ ვლოცულობ: „ღმერთო, სულ ასე იყოს!“ – და ღმერთმაც რომ მისმინოს, ხეზე სამჯერ ვაკაკუნებ.

შაბათი, 29 ივნისი

როგორც ვფიქრობდი, ისეც მოხდა. ესტებანი არც ისე სერიოზულად ყოფილა ავად. რენტგენზე გააშუქეს, ანალიზები აუღეს და აღმოჩნდა, რომ ექიმმა ტყუილად შეგვაშინა. საერთოდ, მას კმაყოფილებას გერის, როცა ადამიანებს ზაფრავს: ისეთ საშინელებას იტყვის, ისეთ საშინელ სნეულებებს ჩამოთვლის, რომ თმა ყალფზე დაგიდგება, მერე კი უცებ გამოირკვევა, რომ არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა. ავადმყოფის პატრონი შვეებით რომ ამოის უნთქავს, მერე კარგა ბლომად უხდის ექიმს და არა მარტო უხდის, დიდ მადლობასაც ეუბნება. ექიმი სხვისი გულისთვის არაფრად აგდებს საკუთარ სიცოცხლესა და დროს. ავადმყოფის პატრონი კი, მართალია, ნირწამზდარი და დარცხვენილი დგას ექიმის წინაშე, მაგრამ საშინლად უხეშ შეკითხვას აძლევს მას: „რამდენი მოგართვათ?“ ექიმი დიდსულოვნად და თითქოს უხერხულადაც პასუხობს: „რა გენქარებათ, გეთაყვათ, მოვასწრებთ, ნუ ღელავთ, ჩვენ შევთანხმდებით“. მერე კი იმისათვის, რომ ადამიანური ღირსება შეინარჩუნოს და უხერხულ პროზას თავი აარიდოს, ამ თემაზე ლაპარაკს წყვეტს, წერტილს სვამს და ახალი სტრიქონიდან იწყებს რჩევა-დარიგებების მიცემას, თუ ხვალ რომელი წამალი უნდა დააღვეინონ უკვე გამოკეთების გზაზე დამდგარ ავადმყოფს. ბილოს დგება „შეთანხმების“ დროც და ავადმყოფის პატრონი ფოსტით იღებს ექიმის მიერ გამოგზავნილ ანგარიშს; წაკითხვისთანავე იგი ვარდება მსუბუქ შოკში და ალბათ ამიტომაც ვედარ ხედავს მეცნიერებისათვის წამებული გმირის დიდსულოვან, მამობრივ დომილს.

კვირა, 30 ივნისი

მთელი დღე ჩვენია. მინდა დავრწმუნდე, დავიჯერო ყველაფერი. პარასკევი დღე არაჩვეულებრივი იყო. ქარიშხალივით მოვარდა ის რაღაცა და ისეთი უშუალობითა და მშვენიერებით დამათრო, რომ დაფიქრებაც ვერ მოვასწარი. მე კი მინდა დავფიქრდე, შეძლებისდაგვარად ჩავწვდე იმ უჩვეულო რაღაცას, ჩემს თავს რომაა, მინდა ყველაფერში გავერკვე. მართალია, ასაკოვანი ვარ, მაგრამ გონიერება როდი დამიკარგავს! მინდა ყოველი წერილმანი, რაც კი აველიანელას ეხება, გავითავისო. ჩავწვდე მისი ლაპარაკის კილოს, საოცრად გულუბრყვილო-

სა და უცოდველად მოკეკლუცოსაც. შევისწავლო მისი სხეული, რომელიც არ მინახავს და რომელიც, ვამჯობინე, თვითონ მაჩვენოს, როცა გაქრება ეს დაძაბულობა და ნერვიულობა და მათ ადგილს ნამდვილი გრძნობა დაიკავებს. იმ დამით ისე ჩამოვაბნელე ოთახი, რომ იტყვიან, კაცი თითს ვერ მიიტანდა ცხვირთან. ერთი ჭუჭრუტანაც კი არ დამიტოვებია ღია, ოღონდ აველიანედს აღარ ეცახცახა სირცხვილისაგან, შიშის თუ, არ ვიცი, კიდეც რასმანს, რასმანს ნელ-ნელა, თანდათანობით მოსდებოდა მის სხეულს ცახცახი, რომელიც აღსავსე იქნებოდა ქალურობით, სინაზით და მამაკაცთან ურთიერთობის სურვილით. დღეს მითხრა: „ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერმა ჩაიარა“, — ისეთ კილოზე მითხრა, ისეთი თვალები ჰქონდა. თითქოს გამოცდის ჩაბარებაზე, მშობიარობაზე, გულის შეტევაზე და ხიფათიან და ძნელად გადასატან რაღაცაზე ლაპარაკობდა, არადა, არც ისე რთული და ძნელია მამაკაცს ჩაუწვე ლოვინში. „სულაც არა ვგრძნობ დანაშაულს, თითქოს არც შემიცოდავს, — და როცა წყენა შემამჩნია, სწრაფად დაუმატა: — ვიცი, ვერ გამიგებ, ასეთ რამეს ვერ წვდება მამაკაცის უმაღლესი გონება. თქვენთვის არაფერს ნიშნავს ქალთან წოლა, თქვენთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. სულაც აუცილებელიცაა თქვენი ჯანმრთელობისათვის და მას იშვიათად უკავშირებთ სულიერ მხარეს. შესაშურია პირდაპირ, ისე იოლად იცით კაცებმა, ეს ეგრეთ წოდებული სექსუალური მხარე ცხოვრებისა გამოაცალკევოთ სხვა დანარჩენებისაგან, იმისაგანაც კი, რაც მთავარს წარმოადგენს ამ სექსუალურში. თქვენივე მოგონილია, თითქოს სექსი მხოლოდ და მხოლოდ ქალების საქმე იყოს, მერე კიდე დაამახინჯეთ ჩვენი დამოკიდებულება სექსუალური ცხოვრებისადმი, ჩამოაცილეთ ნამდვილი მნიშვნელობა და აზრი და აქციეთ კარიკატურად. ქალი, თქვენი აზრით, გამოუსწორებელი ცოდვილია, ტკობისაკენ ილტვის მუდამ. სექსი ქალის საქმეა, ამბობთ თქვენ, და გამოდის, ქალის მთელი ცხოვრება სექსი ყოფილა; ქალი ითხაპნება, ქალს შეუძლია თავი ჭკვიანად მოგაჩვენოს, უცბად აცრემლდეს, მთელი თავისი მომზიბველობა გამოამზეუროს და ეს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს მხოლოდ იმისათვის, რომ ანკესი მოსდოს მამაკაცს და მხოლოდ სექსზე დამყარებული ცხოვრება მოიწყოს!“ — აველიანედა მე მიბრაზდებოდა, თან თვალებს ისე აკვესებდა, თითქოს გადაეწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა დაეცვა მთელი დედამიწის ქალთა გათელილი ღირსება. „განა ეს ყველაფერი მართალი არ არის?“ — აველიანედან ძალიან უხდებოდა გაბრაზება და მეც მინდოდა უფრო მეტად დამესხა ცეცხლზე ჩავთი. „კი, შესაძლოა, მართალია ერთ-ორ შემთხვევაში, მე ვიცი ქალები, რომლებსთვისაც მართლაც სექსია მთავარი, მაგრამ არიან ქალები, — და ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ, — რომლებიც სულაც არ არიან სექსუალურები; და ბოლოს, არიან სექსუალური ქალები, რომლებიც ამავე დროს ადამიანურობით, რთული, თავისებური ბუნებითა და სიფაქიზით გამოირჩევიან. შესაძლოა ქალური „მე“ მართლაც სექსის სინონიმს ნიშნავდეს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალი სექსუალურ ცხოვრებას არ აცალკევებს სულიერისაგან. აი, რა არის ჩვენი უდიდესი შეცდომა და უდიდესი ბედნიერებაც, აი, რა არის თავიდათავი. თქვენთვის, მამაკაცებისთვის, სექსი და სული შორსა დგანან ერთმანეთისაგან. შევადაროთ თუ გინდა ერთმანეთს მინაბერა ქალი და უცოლოდ დარჩენილი კაცი. ერთი შეხედვით თითქოს ჰგვანან ერთმანეთს, უფრო ბედით ჰგვანან, რადგან არც ერთს არ გაუმართლდა ცხოვრებაში. მაგრამ აბა ახლა ვნახოთ, როგორ ცხოვრობს ქალი და როგორ ცხოვრობს კაცი. — აველიანედამ სული მოითქვა და განაგრძო: — მინაბერა ქალი

ბუზღუნა და ისტერიკიანი ხდება, კარგავს ქალურობას და სამაგიეროდ ბევრ უცნაურობას იძენს, მეტიხმეტად განიცდის თავის უმაქნისობას. უცოლო მამაკაცი ხალისიანია: ხმაურიანი, უყვარს მოლხენა და ხუმრობა, ორივენი მარტოსულეები არიან, უცოლო მამაკაცს არაინა ჰყავს მომეღელი და ღამით ლოგინში დამწოლი, შინაბერა ქალს კი მარტოობა დღისითაც უძძიმს და ღამითაც, თითქოს თავში ურტყამენო. თავი ვერ შევიკავე, გამეცინა და, რა თქმა უნდა, ეს უნდა ღობა რომ იყო, მაშინვე ვალიარე, იგი ცნობისმოყვარედ შემომაცქერდა. „ძალიან იცავ შინაბერა ქალებს, — ვუთხარი მე — და ძალიანაც მომწონს, მაგრამ ამავე დროს ძალიანაც მიკვირს, ასე, მთელი არსებით რომ იცავ შენივე თეორიას. ალბათ დედაშენისაგან გაქვს მემკვიდრეობით მიღებული თეორიების სიყვარული. დედაშენს ბედნიერების თეორია აქვს, შენს თეორიას შეიძლება ვუწოდოთ „სექსისა და სულის კავშირი ნორმალური ქალისათვის“. ახლა კი მითხარი, სად გაიგონე ის სისულელე, რომ, კაცების აზრით, ქალისათვის სექსია მთავარი?“ აველიანედა დაიბნა: „სად გავიგონე? სადღაც. მე ბევრი არაფერი ვიცი. მაგრამ თუ კაცებს არა ჰგონიათ, სულერთია: მაინც ეგონებათ. ასეთები არიან“. ახლა კი ვცნობ აველიანედას, გამოსავალი იპოვა. იმ ბავშვსა ჰგავს, ცელქობაზე რომ წაასწრეს და თავს იმართლებს, ანგელოზი ვარო. ბოლოს და ბოლოს სულაც არ მაინტერესებს, რა აზრისაა აველიანედა ქალებზე. ეს ყველაფერი მხოლოდ იმისათვის ითქვა, რომ ახსნას, რატომაც არ გრძნობს თავს დამნაშავედ. ძალიან კარგი. მთავარია, მან არ იგრძნოს თავი დამნაშავედ. მთავარია, გაქრეს დაძაბულობა, რის შემდეგაც ორივენი თავისუფალი ვიქნებით. სხვა დანარჩენი — ცარიელი ლაპარაკია. როგორც უნდა, ისე იმსჯელოს, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მას სიამოვნებს, თავს რომ იმართლებს, სურს სერიოზულ ზნეობრივ პრობლემად აქციოს იგი, სურს ამ თემაზე ილაპარაკოს და სურს მთელი პასუხისმგებლობით ვუსმენდე მეც. პოდა, ილაპარაკოს, მე მოვუსმენ. ისეთი კარგი და საყვარელია, როცა გატაცებით ლაპარაკობს, ლოყებზე ცეცხლი ეკიდება. ვერც ვეტყვი, რომ ჩემთვის ამ შემთხვევაში ზნეობრივი პრობლემა არ არსებობს. არ მახსოვს, როდის, მაგრამ ჩაწერით ჩაწერილი მაქვს დღიურში საკუთარ ყოყმანსა და შერყეობაზე და ვანა ეს არ ნიშნავს ზნეობრივ ტანჯვას?

აველიანედა მართლაც საოცნებო ვინმეა. უცბად გაჩერდა, მთელი მისი აღტყინება და შემართება სადღაც გაქრა, სარკეში ჩაიხედა, მაგრამ საკეკლუცოდ კი არა, — თითქოს საკუთარი თავის დასაცინად. საწოლზე ჩამოჯდა. „მოდით აქ, — მითხრა მან. — სულელი ვარ, ლაპარაკში ვხარჯავ დროს. მე ხომ ვიცი, შენ ხხეებს არ ჰგავხარ, შენ განსაკუთრებული ხარ. შენ გესმის ჩემი, შენ იცი, რატომაც მაწუხებს ეს საკითხი, ზნეობრივია თუ უზნეო ჩემი საქციელი“... „რა თქმა უნდა, მესმის“, — ვიცრუე მე, და უცებ ის ჩემს მკლავებში აღმოჩნდა და ჩვენც უკვე სულ სხვა რამ გვქონდა გუნებაში. საწუთროსავით ძველი და მარად ახალი. ამრიგად, ახლა აღარ ვეჭვობ, რომ ზნეობრივ პრობლემათა გადაწყვეტაშიც არის რაღაცა თავისებურად მშვენიერი და მიმზიდველი.

ოთხშაბათი, 3 ივლისი

დაუჯერებელია, მაგრამ ანიბალს კარგა ხანია აღარ შევხვედრივარ, მგონი, მაისის პირველი რიცხვებიდან. გუშინ დამირეკა, ძალიან გამეხარდა, ვილაცას უნდა ვუამბო ყველაფერი, ვილაცას უნდა მივენდო. საოცარია და, მხოლოდ ახლა შევაშინე, რომ აველიანედას ამბავს საიდუმლოდ ვინახავ. სიტყვა არავისთან დამცდენია მასზე. არც არის გასაკვირი. ვის ვუთხრა? შეილება? ამის გა-

ფიქრებაზეც კი ურუანტელი მივლის ტანში. ვიგნალეს? რომ წარმოვიდგენ, რა მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრავს თვალს, შეთქმულივით გამიცინებს და მხარზე ხელს დამიტყაპუნებს. — მაშინვე ვმუნჯდები. რომელიმე თანამშრომელს ვუთხრა? წარმოუდგენელია! აველიანედას მაშინ სამსახურის დატოვება მოუწევდა. სხვაგანაც რომ ემუშავა, მაშინაც არ მეყოფოდა გამბედაობა, ვეფხვებოდა მომეყოლა ჩვენი ამბავი. კანტორაში მეგობრები არ მყვანან. კანტორაში მხოლოდ ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ვხედავ და ვხვდები ყოველდღე, ისინი ერთად ბრაზობენ, ერთად ხუმრობენ, ერთად ბუზღუნებენ, ჩივიან, ლანძღავენ მთელ დირექციას, მაგრამ სამაგიეროდ ცალ-ცალკე პირში ეფერებიან დირექტორებს. ამას ჰქვია თანაარსებობა, რომელიც მხოლოდ ბრმასა და უვიცს შეუძლია მიაჩნიოს მეგობრულ ურთიერთობად. უნდა ვადიარო, რომ ამდენი წელიწადია ვმუშაობ და მხოლოდ აველიანედას მიმართ განვეწყე მეგობრულად და სუფთა გრძნობით. რაც შეეხება სხვებს, მე როდღი ამოვირჩიე ისინი, ვითარებამ დაგვაკავშირა ერთმანეთთან, თორემ ისე რა მაქვს საერთო მუნიოსთან, მენდესთან, რობლელოსთან? და მაინც ზოგჯერ ერთად ვსვამთ ღვინოს, ვხუმრობთ, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილნი ვჩანვართ. სინამდვილეში კი არავინ არავის არ ვიცნობთ, და არ ვიცნობთ იმიტომ, რომ ასეთი ზედაპირული ურთიერთობის დროს ადამიანები ლაპარაკობენ ყველაფერზე და არა არსებითსა და მთავარზე. მე ვფიქრობ, სამუშაოც ისეთი გვაქვს, ვერ ვიცლით ერთმანეთთან გულითადად სასაუბროდ. დღიდან დღემდე ვსხედვართ და ჩაქუჩივით გვირაზუნებს და გვირაზუნებს თავში სამუშაო, გვშხამავს და გვწამლავს. ზოგჯერ რომელიმე თანამშრომელი დამიჯდება (უფრო ხშირად მუნიოსი) და გულს გადამიშლის. მართლა გულწრფელად ლაპარაკობს საკუთარ თავზე, საკუთარ ტრაგედიაზე, პატარა, მოუშორებელ მტანჯველ ტრაგედიაზე, რომელიც ყველას უმწარებს სიცოცხლეს, მაგრამ უფრო მეტად იმას, ვინც ასევე უფრო მეტად გრძნობს საკუთარ უფერულობას. მუნიოსთან საუბარი დიდხანს არ გრძელდება, კლიენტი ეძახის, ისიც გავარდება ოთახიდან და ლამის მთელი საათი უხსნის მოსულს, დავალიანება დროზე უნდა გადაიხადოთ, გადავადება არც თქვენთვის არის ხელსაყრელი და არც ჩვენთვისო. იგი დავობს, ყვირის კიდევ და შეურაცხყოფილადაც გრძნობს თავს. ჩემს მაგიდასთან რომ ბრუნდება, მღუმარედ შემომცქერის, ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ არ გამოსდის, ტურის კუთხეები თავისთავად ეშვება ქვემოთ. მერე ხელში ჭმუჭნის ძველ ფურცელს — სარეალიზაციო მონაცემების ცხრილს — და კალათაში აგდებს. ფურცელი შეიცვლება, ნდობა კი... — აი, რა ჩააგდეს კალათაში ნაგავივით. დიახ, სამუშაო გამუნჯებს, ანადგურებს ნდობას. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი რაღაც — გამასხარავება. აი, ამ საქმის კი ნამდვილად დიდი ოსტატები ვართ. როგორღაც თუ არ გამოვამჟღავნეთ მოყვასისადმი გულისხმიერება, ისე ეს გულისხმიერება სადღაც შიგნითვე ჩაღებება და მერე უცბად ამოხეთქავს ფსიქოზად, ისტერიად და, ვინ იცის, კიდევ რად. მოყვასის ბედი რომ გულთან ახლოს მივიტანოთ, გამბედაობა და პირდაპირობა არა გვეყოფნის (თანაც იმ შორეულ, უსახო მოყვასზე კი არ ვლაპარაკობ, საზარებაში რომ არის, — აგერ, ამ მოყვასზე, თავისი გვარი და სახელი რომ აქვს, ჩემი მაგიდის პირდაპირ რომ დგას მისი მაგიდა და შემოსავალ-გასავლის საბოლოო ანგარიშს რომ მაწვდის შესამოწმებლად და ხელის მოსაწერად, თვითონვე, საკუთარი ნებით ეკმობთ უარს მეგობრობაზე და ვიწყებთ მოყვასის გამასხარავებას, რვა საათის ჯდომის შემდეგ ხომ ადვილად დიზიანდება ადამიანი! თანაც როცა ერთს

კამასხარავებთ, დანარჩენები ვერთიანდებით. ერთ მუშტად ვიკვრებით. დღეს ერთს ამოვიღებთ მიზანში, ზვალ — მეორეს, ზეგ ჩემი გამასხარავების რივიც და დგება. მსხვერპლი გუნებაში აგინებს თავის მწვალებლებს, მაგრამ მაღვ ემორჩილება ბედს, რამეთუ იცის, თამაში ჯერ არ დამთავრებულა და ცოცხალ ხანში მიეცემა შურისძიების საშუალება. გამასხარავებლები კმაყოფილნი არიან, რომ ერთსულთვანად ოხუნჯობენ, მხიარულობენ. ის კი არადა, ვიღაცა უსაქმურად უგონებს გამასხარავების ახალ ვარიანტს, რომელსაც მხიარული ყიფინითა და ვაშას შეძახილებით ვხვდებით. გახარებულნი იმით, რომ ერთად ვართ, ერთ მუშტად ვართ შეკრული ამ საქმეში, ღამის ერთმანეთს ჩავეხვიით-გადავეხვიით. გაიცინებ და — თუნდაც გამასხარავების მსხვერპლი იყო, — მაშინვე გულზე მოგეშვება იმიტომ, რომ იცი, თავისი შორეული კაბინეტიდან უკვე აქეთკენ მოემართება საზამთროსთავიანი მმართველი; იმიტომ, რომ ყელში ამოგივიდა რუტინა და ქალაქლებში ქექვა, იმიტომ, რომ აღარ შეგიძლია ამ კატორღაში ყოფნა და მთელი რვა საათი იმის კეთება, რაც შენ სულაც არ გჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ შენი დახმარებით იზრდება იმ უსაქმურთა და არარობათა საბანკო ანგარიშები, რომელთაც ცოდვად შეიძლება ჩაუთვალო თუნდაც მარტო ის, რომ ცხოვრობენ, ბედავენ იცხოვრონ ამ ქვეყანაზე, თანაც ვითომ სწამთ ღმერთი და არ უწყიან, რომ თავად ღმერთს კარგა ხანია აღარ სწამს მათი, მთელი ჩვენი ცხოვრება — ან მასხრად აგდება ან შრომაა. კაცმა რომ თქვას, არის კი მათ შორის განსხვავება? იმდენი შრომა სჭირდება გამასხარავებას, ისეთი დამღლელია, ჩვენი შრომა კი მხოლოდ გამასხარავებაა, უკბილო ანუკლოტია.

სუთუაბათი, 4 ივლისი

ანიბალს დიდხანს ველაპარაკე — პირველად წრმოვთქვამ აველიანედას სახელს სხვასთან, ესე იგი, პირველად ვამჟღავნებ იმ გრძნობას, რასაც განვიცდი. ველაპარაკისას მთელ ჩემს ამბავს შორიდან მაცქერალი, ღრმად დაინტერესებული კაცის თვალებით ვხედავდი. ანიბალი დიდი ყურადღებით მისმენდა: „ცოლად რატომ არ ირთავ? რაღაც არ მესმის შენი საქციელი“. მე მგონი, განვებ მეუბნება, არ მესმისო. რა არის აქ გაუგებარი? და ყველაფერს თავიდან ვიწყებ, ვიმეორებ და ვიმეორებ ძველ აზრებს, მინდა დაეარწმუნო, რომ ასეა საჭირო, მე ასაკოვანი ვარ, ის — ახალგაზრდა, როგორი ვიქნები მე ათი წლის მერე? როგორი იქნება ის ათი წლის მერე? არ მინდა ცხოვრება დავუმახინჯო, არც ის მინდა გასულელებული დავრჩე, არც ის მინდა ბედნიერებას ხელი ვკრა, სამი შვილი მყავს... და რა ვიცი, კიდევ რა არ ვუთხარი? „შენი აზრით, ასე არ უმახინჯებ ცხოვრებას?“ რა თქმა უნდა, უუმახინჯებ, მაგრამ ხელფეხშეკრულ ყოფნას ასე უფრო არა სჯობია? „თვითონ ის რას ამბობს? თანახმაა, ასე იცხოვროს?“ ამ შეკითხვას არ ველოდი, უხერხულად შევიშმუშნე: მართლაც და არ ვიცი, არც მოკითხავს, თანახმაა თუ არა. აველიანედა დამყოლი ბუნების ქალია, „პო“ თქვა, მაგრამ ცოდნით მართლაც არ ვიცი, არის თუ არა თანახმა ასეთ ცხოვრებაზე. იქნებ მას ოფიციალურად განმტკიცებული მყარი ურთიერთობა იზიდავს? იქნებ მე მხოლოდ ველაპარაკობ, მისი გულისთვის ვიქცევი-მეთქი ასე, და სინამდვილეში კი საკუთარ თავზე ვფიქრობ? „შენ მართლა იმის გეშინია, რომ არ გაგასულელონ თუ უფრო უარესის?“ რა საძაგელი კაცია, პირდაპირ ჭრილობაზე მაყრის მარილს. „მაგას რაზე მეკითხები?“ „შენ ხომ მთხოვე, გულახდილად მითხარი ყველაფერიო. პოდა, მეც გეუბნები. ჩემი აზრით, შენ გეშინია, ათი წლის მერე რქები არ დაგადვან“. რა საშინელებაა, როცა სიმართლეს

პირში გეუბნებოან, თანაც ასეთს დილის მონოლოგებშიც კი ვცდილობ გვერდი ავუარო ამ საჩოთირო სიმართლეს, ცრემლიან ხმაზე ათასნაირ აბდაუბდას ვლულულუდებ, საკუთარი თავის სიძულვილი მტანჯავს და მაწვალებს და ვიდრე საბოლოოდ დავაღწევდუ თავს ძილის ბურანს, ვცდილობ მიუფანტ-მოუფანტო ეს შავბნელი ფიქრება და სასწრაფოდ ავიფარო ნიღაბი, რომ, მერე-მთველი დღე ხალხი ხედავდეს მხოლოდ ნიღაბს და მხოლოდ ნიღაბი ხედავდეს მხოლოდ. ესე იგი, მე მეშინია, ათი წლის მერე აველიანედამ რქები არ დამადგას? ერთი მაგრად, ტრადიციულად შევიკურთხე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეჰფერის, რაკი მას რქიანი უწოდეს, ასეთი რამ შეიძლება შორეულ დროსა და სიურცეში მოხდეს მხოლოდ მაგრამ ეჭვი მაინც ფუთფუთებს ტვინში და ახლა, როცა ამას ვწერ, უკვე აღარ მგონია თავი დიდბუნებოვანი, მშვიდი და თავშეკავებული, მე ერთი ჩვეულებრივი უგვანი კაცი ვარ.

შაბათი, 6 ივლისი

ნაშუადღევს კოკისპორულად გაწვიმდა, ოცი წუთი ველოდეთ გადაღებას. ვიდრე მოფარებულში და დაბნული შევცქეროდით სწრაფად მიმავა ადამიანებს. შეგვეცივდა. ცემინება ამიტყდა. ალბათ ჩვეული სიმრავლით გაგრძელდება, ტაქსის დაჭერაზე ლაპარაკიც ხელმეტია. ჩვენს ბინამდე ორი კვარტალი იყო და გადავწყვიტეთ ფეხით წავსულიყავით. რა თქმა უნდა, კი არ მივდიოდით, სხვებსავე თავეუდმოგლეჯილები გავრბოდით და თითქმის სამ წუთში მივალწიეთ სახლს მთლად გალუმბულეებმა. ისე გავწვალდი, რომ საწოლში ჩავემხე და ასე ვეგდე კარგა ხანს მჩვარივით. მაგრამ მანამდე როგორღაც ძალა მოვიკრიბე და აველიანედას საბანი მოვახვიე. სულ ერთიანად სველი ჟაკეტი გაიხადა. ქვედა კაბა გასაცოდავებულიყო. ნელ-ნელა ვიკრებდი ძალას, ნახეარ საათში კი საბოლოოდ გავთბი. გაუედი სამხარეულოში, გავაჩაღე პრიმუსი და წყალიც დავდგი. აველიანედამ საძინებლიდან გამოძახა. შევედი, ფანჯარასთნ იღვა საბანში გახვეული და წვიმას შესცქეროდა. გვერდით დავუდექი და მეც შევაცქერდი წვიმას. ორივენი ვდუმდით და უცებ ვიგრძენი: არაფრით გამორჩეული ეს წამი ცხოვრებისა, ეს პატარა ნაგლეჯი იყო სწორედ უმაღლესი საფეხური ნეტარებისა, ნამდვილი ბედნიერება. მე ეს ვიგრძენი საოცარი სისრულით და მტკივნეულად გამოვუტყდი თავს, რომ გაგრძელება აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ასეთივე სიმძაფრითა და ინტენსივობით. უმაღლესი წერტილი სწორედ წერტილია, ასეა ეს. მე ხომ ვეცი, არსებობს მხოლოდ წამი, ერთი უმოკლესი წამი, წამიერი ცეცხლი, რომლის გაზანგრძლივებაც არავის ძალუმს დედამიწის ზურგზე. სხვა ვარიანტი არ არსებობს. ქუჩაში პირაკრული ძალღი ისე ზანტად მიძუნძულებდა, თითქოს დამირჩილებოდა გარდუვალ ბედისწერასო. უცებ შეჩერდა. ეტყობა, სული მოითქვა, თათი ასწია და მერე კვლავ განაგრძო გზა. ჩანს, იმიტომ გაჩერდა, რომ დარწმუნებულიყო, ისევ წვიმსო. მე და აველიანედამ ერთმანეთს შევხედეთ და გადავისარზარეთ. ხიბლი მაშინვე გაქრა, უმაღლესი წერტილიც სადღაც უკან დარჩა. მაგრამ სამაგიეროდ აველიანედა იყო აქ, ჩემ გვერდით. მე ვგრძნობ მის სუნთქვას, შემოდლია მოვეხვიო, ვაკოცო. შემოდლია უბრალოდ ეუთხრა: „აველიანედა“. ამ ერთ სიტყვაში იმდენი სიტყვაა, შემოდლია ასობით მნიშვნელობა მივანიჭო აველიანედამ კი გამოიცნოს იგი დილით ვეუბნები: „აველიანედა“. ეს ნიშნავს: „გამარჯობა“. „აველიანედა“ შეიძლება ნიშნავდეს საყვედურს, გაფრთხილებას, თავის მართლებას, ზოგჯერ განგებ იკატუნებს თავს, ვითომ ვერ გაიგო, მაპრახებს. მე წარმოვთქვამ: „აველიანედა“, ესე იგი,

„მოდით ჩემთან“, ის კი ეშმაკურად მპასუხობს: „რაო, ჩემი წახვლის დროა უკვე? ჯერ ხომ ადრეა!“ თ, რა შორს ჩამოვიტოვეთ ის დრო, როცა „აველიანება“ მხოლოდ გვარი იყო ჩემი ახალი თანამშრომლისა (ხუთიოდე თვის წინ გვერდო: „ქალიშვილი, ჩემი აზრით, დიდად არ მოიკლავს თავს მუშაობით, მაგრამ მოსმენით მაინც მოისმენს, თუკი რაიმეს აკუხსნი“). რომელსაც ფართოდ შეხვდა და დიდი ტუჩ-პირი ჰქონდა და კრძაღვით შემომჩერებოდა ახლანდელი საბანში გახვეული დგას აგერ ჩემ გვერდით. არ მახსოვს, როგორ ვიხილე რობოტი, როცა ის მხოლოდ შორს დგებოდა და მიმზიდველად ქოქავდა. ეს იყო თვის და მეტი არაფერი. სამაგიეროდ ვიცი, როგორ ვცხოვრობ ახლა: ეს მშვენიერი ქალი თავისკენ მიზიდავს და ლამის ჭკუა დამაკარგინოს, გულს მიხალისებს, იმ გულს, მთლიანად რომ მას ეკუთვნის. მე თვალებს ვისრეს, რათა კარგად შევხედო, რათა არაფერმა შემიშალოს ხელი, მას ვუცქირო. ჩემი თვალები მას ეხვევიან და ათბობენ საბანზე მეტად. „აველიანება“, — ვამბობ მე და ამჯერადაც აველიანებას მშვენიერად ესმის ჩემი.

კვირა, 7 ივლისი

შესანიშნავი მზიანი დღეა, თითქმის შემოდგომის დღე. კარასკოში გავემგზავრეთ. პლაჟი ცარიელი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ხალხს არ სჯერა ივლისის ამინდებისა. ქვიშაზე დავსხედით. როცა პლაჟი ცარიელია, ტალღები უფრო დიდებული ჩანან და პეიზაჟს აესებენ. ვგრძნობ, რა პატარა, გაუბედავი და მორჩილი არსება ვარ აქ. შევცქერი ზღვას, მკაცრსა და უდაბურს, ამაყს თავისი ქაფითა და გულოვნებით, შევცქერი შორს უზრუნველად მოფარფატე, თითქმის არარეალურ თოლიებს და მეც მინდა ჩავება, გაუითქვიფო ამ თავბრუდამხვევ თავდაუწყებაში. მაგრამ აღტყინება მაშინვე ქრება და მე ვგრძნობ, რა უღონო და უმნიშვნელო ვარ იმ კენჭით, ტალღებმა რომ გაიტაცეს ზღვაში. ზღვა-მარადიულობაა ის ნაპირს ეხეთქებოდა, მე რომ პატარა ვიყავი, მაშინაც ეხეთქებოდა, ბაბუაჩემი რომ პატარა იყო და ბაბუაჩემის ბაბუაც. ზღვა — ძალაა მოძრავი და უსიცოცხლო ტალღებს არაფერი გაეგებათ ფიქრისა, არაფერი გაეგებათ გრძნობისა. ზღვა კაცობრიობის ისტორიის მოწმეა. ოღონდ უმაქნისი მოწმე. რამეთუ არ იცის, რა არის კაცობრიობის ისტორია. კი მაგრამ, თუ ზღვა ღმერთია? ღმერთიც ხომ უგრძნობელი მოწმეა, ძალაა მოძრავი და უსიცოცხლო. აველიანებაც ზღვას შესცქეროდა თვალგამტერებული. ქარი გაბმულიყო მის თმაში: „ღმერთი ვწამს?“ — ისე მკითხა, თითქოს ჩემი ფიქრის გაგრძელება სურდა. „არ ვიცი. მინდა არსებობდეს, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ არსებობს და კიდევ ის არა მჯერა, რომ ღმერთი, — თუკი არსებობს, — ისეთია, როგორიც ჩვენს უბადრუკ გონებას წარმოუდგენია“. „შენ ძალზე ართულებ იმიტომ, რომ გინდა ღმერთს ჰქონდეს სახე, ხელები, გული. ღმერთი კი არის ის, ვინც ყველაფერს თავის სახელს არქმევს. შეიძლება ითქვას, ღმერთი ყველაფერია, აგერ ის ქვა, ჩემი ფეხსაცმელი, თოლია, შენი შარვალი, ღრუბელიც — ყველაფერი“. „და შენ ეს მოგწონს? შენთვის ეს საკმარისია?“ „ყოველ შემთხვევაში, მოკრძალებასა და პატივისცემას მინერგავს“. „მე კი — არა. არ შემიძლია, ღმერთი წარმოვიდგინო, როგორც ერთი დიდი ანონიმური სააქციო საზოგადოება“.

ორშაბათი, 8 ივლისი

ესტებანი უკეთ არის. მისმა ავადმყოფობამ არცთუ პატარა სარგებელი მოგვატანა ორივეს, იმასაც და მეც. ორჯერ თუ სამჯერ ვისაუბრეთ გულახდილად, მშვიდად, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.

სამშაბათი, 9 ივლისი

ესე იგი, მეშინია, რომ ათი წლის მერე აველიანედამ რქები არ დამადგას?

ოთხშაბათი, 10 ივლისი

ვიგნალეს სარანდინზე შევხვდი. სხვა გზა არ მქონდა, ბოლომდე უნდა მომესმინა მისთვის გაუბედურებული შესახედაობა ჰქონდა. სწორედ ერთი წამით დაეკარგე სიფხიზლე და კიდევაც აღმოჩნდით დახლთან ყავის ფინჯნებით ხალში. ვიგნალეს ჩვევად ჰქონდა, ვითომ საიდუმლოს განდობდა, ყველას გასაგონად კი ლაპარაკობდა. ახლაც ხმაშაღლა გადმომილაგა თავისი იდილიური ყოფის შემდგომი პერიპეტები: „ბედი არ მწყალობს. წარმოვიდგენია, ჩემმა ცოლმა წაგვასწრო. მთლად დანაშაულზე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც წავაგა თავს, როცა ვკოცნობდით. ვერ წარმოვიდგენ, რა კვილ-წავილი ატეხა ჩემმა კნეინამ: ჩემს სახლშიო, ჩემს ჭერქვეშო, ჩემს პურს ჭამთო... მე კიდე — ასეთე ისე მისი ქმარი — თავს გასაცოდავებულ ჭიად ვგრძნობდი. ელვირა კი, პირიქით, მშვიდად იყო, მაშინვე დიდებული რამ მოიგონა: ჩვენ ყოველთვის დამმასავით ვიყავით და რა მოხდა ასეთი, ნათესაურად ვკოცნიდით ერთმანეთსო. მე მივხვდი, ყველაფერთან ერთად სისხლისაღმკრევიც ვიყავი, ჩემი ცოლი კი მთელ ხმაზე გაპყვიროდა: „ხომ არ გგონია, თბილად მოკალათდით, ხომ არ გგონია, ენას ჩაველაპავ შენი უმაქნისი ფრანსისკოსავით“! ორ საათში მთელმა კვარტალმა იცოდა უკვე, რომ „ეს მაიმახი“ ქმარს ართმევდა. ელვირამაც თავის მხრივ ერთობ ენერგიულად შეუტია ქმარს: ჩემს სახელს ლაფში სვრიან და ამ სახლში ერთი წუთითაც აღარ დავრჩებიო. მაგრამ ერთი წუთიც დარჩა და სამი საათიც. და ამ სამ საათში საშინელი სისაძაგლე მაკადრა. ფრანსისკო ყველაფერზე თანახმაა, ადვილად მოსადრევი კაცია, მაგრამ ჩემი ცოლი კიოდა, ყვიროდა და ელვირასაკენ იწევდა. იმასაც ეტყობა, შეეშინდა და იცი, რა უთხრა ჩემს ცოლს? ნეტავი ვის რაში ჭირდება ეგ შენი ძველმანიო. წარმოვიდგენია? მაგრამ საშინელება ის იყო, რომ იმ სიტყვებმა მომაჯადოებლად იმოქმედეს ჩემს ცოლზე, გაყუნდა. წარმოვიდგენია? გეფიცები, ელვირას არ ვაპატიებ ამ სიტყვას. სჯობს მოშორდეს აქაურობას თავის რქიან ქმართან ერთად. ქმარა! ბოლოს და ბოლოს არც ისეთი კარგი ქალია, პირველად რომ მომეჩვენა. ახლა ასე გადაწყვიტე რაკიდა უკვე მოლაღატე ქმარი მქვია, აუღვები და ცოტა ახალგაზრდა ქალს გავიჩენ საყვარლად, სახლშიც ვერვინ მიხვდება და ჩემი დედაბერიც დამშვიდდება“.

შაბათი, 13 ივლისი

იგი აქვეა, ჩემთან, და სძინავს. ვწერ ფურცელზე, საღამოს დღიურში ჩავდებ. ახლა ოთხი საათია, სიესტის დამთავრების დრო. დავიწყე ისაბელთან მისი შედარება, დაწყებით კი დავიწყე ასე, მაგრამ დავამთავრე სულ სხვა აზრებით. იგი აქ არის, ჩემთან. გარეთ ცივა, ოთახში კი ცხელა ოდნავ. თითქმის შიშველი წევს, საბანი და ზეწარი ერთ მხარეს მიუკუჭავს... ისაბელს გამხდარი არ ეთქმოდა, მახსოვს, ოდნავ ჩამოვარდნილი მოზრდილი მკერდი ჰქონდა, მუცელი — გლუვი და მკვრივი. ყველაზე მეტად მისი თემოები მომწონდა, ჩემს ხელებს ახსოვთ მათი სიმრგვალე. ხორცსასვე მხრებზე თეთრი-მოვარდისფრო დაპკრავდა. სწორ, ლამაზ ფეხებზე ოდნავ ამობურცოდა ძარღვები. ამის სხეული სულ არ ჰგავს იმის სხეულს. აველიანედა გამხდარია, მისი პატარ მკერდი ჩემს ნებ სიბრალოულს იწვევს, მხრებზე ჭორფლი აყრია, მუცელი ჩავარდნილი აქვს, ბაუ-

მკურა; თეძობა ამისც მოძწონს (იქნებ სულაც ქალისა ყველაზე მეტად თეძობები მიზიდავს?), ფეხები წვრილი აქვს, თუშკა ლამაზი. საოცარია, მაშინ ის სხეული მიზიდავდა, ახლა — ეს მიშველი ისაბელი განუმეორებელი იყო და ნახვაზე ვივსებოდი სურვილით, სხვა აღარაფერზე შემეძლო მეფიქროს. მიშველი აველიანდა უფრო უმწეოა და მშვენიერი. მისი უმწეობა სულის სიღრმეზედ მძრავს მიზიდავს, მაგრამ გრძნობიერი ხიბლი მხოლოდ ნაწილობრივ მომწონდა. ნაერისა, მისი მიზიდულობის ძალისა. მიშველი ისაბელი იყო მიშველი ქალი და მეტი არაფერი. შეიძლება მისკენ სწრაფვა უფრო უბრალო და სუფთა იყო. მიშველი აველიანდა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე ადამიანია. ისაბელის სიყვარული ნიშნავდა ისაბელის სურვილს. აველიანებას სიყვარული ნიშნავს მისა პიროვნების სიყვარულსაც, რამეთუ სწორედ ეს პიროვნული ანიჭებს მას უმეტესად მოძიბელებობას. მე ვეხვეოდი ისაბელს. ვეხვეოდი მის სხეულს. რომელსაც ხელეწიფებოდა ყველა ჩემი სურვილის დაკმაყოფილებაც და აფეთქებაც. როცა მე გამხდარ აველიანებას ვეხვევი, მე ვეხვევი მის ღიმილსაც, მხერასაც, ლამპარაკის მანერასაც, სინაზესაც, მის დამორცხვებულ არცოდნას ბოლომდე მიეცეს ვნებას და ამ არცოდნისადმი მის დანაშაულის გრძნობასაც. ასეთი და ამგვარი შედარებით დავიწყე ფიქრი და მერე კი სხვა აზრები დამიტრიალდა თავში, დამიტრიალდა და მეც მოვეშვი, სულით დავეცი. როგორი ვიყავი მაშინ და როგორი ვარ ახლა? გულდასაწყვეტია! ახოვანი და ბრვე არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ხად წავიდა ჩემი კუნთები, ჩემი ძალა, ხად გაქრა გლუვი, უნაოჭო კანია? სამაგიეროდ, ის, რაც დღესა მაქვს, მაშინ არა მქონდა. საუბედუროდ, დღეს უცნაური მელოტი ვარ (მარცხნივ ნაკლები თმა მაქვს, ვიდრე მარჯვნივ), მაქვს გადღლაბნილი ცხვირი, ნაოჭიანი ველი და თხელი წითული ბალანი მკერდზე; მუცელი მიყუის, მაწუხებს ფეხებზე გამობერილი ძარღვები და დამამცირებელი, უკუონებელი სოკოვანი დაავადება. აველიანებასთვის ეს ყველფერი სულერთია, მან გამიცნო ისეთი, როგორიც ახლა ვარ, წინათ ხომ არ მიცნობდა? მაგრამ ჩემთვის არ არის სულერთი, შევცქერი თავს და ვხედავ მხოლოდ აჩრდილს იმ წლებისას, ვხედავ საკუთარ კარიკატურას. სამაგიეროდ თანა მაქვს ჩემი გონება, ჩემი გული, ჩემი მოაზროვნე „მე“ და შესაძლოა ეს აწონასწორებს კიდევ დანაკარგს... მე ალბათ ახლა უკეთესი ვარ, ვიდრე ისაბელთან გატარებულ დღეებსა და ღამეებში ვიყავი, ალბათ ოდნავ უკეთესი. ტრაბაზი რა საჭიროა, სამართლიანი, თბიექტური და გულწრფელი უნდა ვიყო... შეკითხვა: „კი მაგრამ, რომელი მეტია?“ ღმერთი, თუკი ის მართლა არსებობს, ალბათ იქ მალა შეშინებული იწერს პირველს. აველიანება (ო, ეს კი ნაპდვილად არსებობს) აქ არის, ჩემთან. ის იღვიძებს.

ორშაბათი, 15 ივლისი

ანიბალი იქნებ მართალიც არის: ქორწინებაზე უარს იმითომ ამბობ, ვასულელებული არ დარჩე და არა იმითომ, რომ აველიანებას მომავალზე ფიქრობსო... მე აველიანება მიყვარს. ამას ვწერ მხოლოდ ჩემთვის, ასე რომ, მიმიფურთხებია თუ ჩემი სიტყვები ბანალურად ეღერს. ეს არის ჭეშმარიტება, მორჩა და გათავდა. ამიტომაც არ მინდა აველიანებას ცხოვრება გაუფუჭო. ქორწინებაზე უარს ვამბობ იმითომ, რომ მართლა მჯერა. მისთვის ასე უკეთესია. მინდა თავისუფალი იყოს. არ მინდა წლების მერე მთელი თავისი დრო ბეზრეკი ბერიკაცის საწოლთან გაატაროს. და თუ ისე გამოდის, რომ მე საკუთარ თავზე ვფიქრობ და თავს ვიზღვევ მომავალი ღალატისაგან, მაშასადამე, რაღაც უნდა შევცვალო,

სხვანაირად ავად ხვენი ურთიერთობის გარეგნული მხარე. ჩვენ ხომ ფარულად ვხვდებით ერთმანეთს, მისი მდგომარეობა არაძყარია. შეიძლება ეს უარესია, ვიდრე ასაკით ორჯერ უფროსი მამაკაცის ცოლობა. ბოლოს და ბოლოს, რაკილა მეშინია გასულელებული არ დავრჩე, გამოდის, ჩველიაზე ცუდს ვფიქრობ, ეს კი ჩემი მხრიდან ღირობაა. მე ხომ ვიცი, აუფროხედავარგი ადამიანია, წესიერი, ისიც ვიცი, თუ ოდესმე სხვას შეიყვარებს — ამის შესახებ დაუმაღავს, არ მოატყუებს და ავლებითაც არ მოშიხსენიებს, არ დამამცირობს. თუ ვინმე შეუყვარდება, რა თქმა უნდა, მეტყვის, ან მე თვითონ მივხვდები და თავშეკავებითაც შევხვდები ამ ამბავს. მაგრამ ალბათ სჯობს აველიანედას მოველაპარაკო, დაე თვითონ გადაწყვიტოს ყველაფერი.

ოთხშაბათი, 17 ივლისი

ბლანკა ვერ არის გუნებაზე. დაუბრებულებივით ვივახშმეთ ხაიმემ, ბლანკამ და მე. ესტებანი ავადმყოფობის მერე პირველად გავიდა გარეთ. საუბრის წამოწყება პირველს არ მიწლოდა, ვიცი, როგორც მიპასუხებდა ხაიმე. მერე, როცა ის წავიდა და ალბათ, მისი აზრით, გამოემშვიდობა — თუ გამოემშვიდობება ჰქვია ღრენით ნათქვამ „ღამე მშვიდობისას“ — მე გაზეთის კითხვა დავიწყე. ბლანკა მაგიდას ალაგებდა შესამჩნევად ნელა. გაზეთი ხელს უშლიდა სუფრის აკეცვაში. მეც გაზეთი გადავდე და ბლანკას შევხედე. თვალები ცრემლიანი ჰქონდა: „რა მოგივიდათ შენ და ხაიმეს?“ „ხაიმესაც და დიეგოსაც ვერხუბე“. საკვირველია, ნუთუ ხაიმე და დიეგო შეკავშირდნენ ბლანკას წინააღმდეგ? „დიეგომ მითხრა, ხაიმე მამათმავალიაო, და ამიტომაც წავერხუბე“. მამათმავალი?! — ეს სიტყვა ორმაგი მეხივით იყო ჩემთვის: ჯერ ერთი, ასეთი რამ თქვეს ჩემს შვილზე და მეორეც, თქვა ვიღაცამ კი არა, დიეგომ, ვისი იმედიც მქონდა და ვისიც მჯეროდა. „ხომ ვერ მეტყვი, შენი მზეჭაბუკი რატომ აძლევს თავს ნებას ასეთი ცილი დასწამოს ხაიმეს?“ ბლანკას მწარე ღიმილმა დაუსერა სახე: „არავითარი ცილისწამება აქ არ არის და სწორედ ესაა საშინელება. დიეგომ მართალი თქვა. ხაიმესაც ვერხუბე“. ვხედავდი, როგორ უძძიმდა ბლანკას ძმაზე ასეთი ლაპარაკი, და ისიც ჩემთან — თვითონვე მომჭრა ყური საკუთარი სიტყვების სიყალბემ: „და შენც დაუჯერე ხომ დიეგოს? დაუჯერე, ხომ?“ ბლანკამ თვალები დახარა და ასე იდგა მღუმარედ ხელში საპურეთი — ნამდვილი განსახიერება იყო ტანჯულისა და ქალური მზრუნველობისა. „დავუჯერე“, — თქვა ბოლოს მან. — თვითონ ხაიმემაც აღიარა“. აქამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემს თვალებს შეეძლოთ შუბლზე ასულიყვნენ. საფეთქლებიც დახეთქვაზე მქონდა. „მაშ, ეს მისი მეგობრები...“ — წავილულულე მე. „ჰო“, — თქვა ბლანკამ. თავში თითქოს რაღაც დაძკრეს. არადა, სადღაც სულის სიღრმეში ყოველთვის მღრღნიდა ეჭვი და ამიტომ, მხოლოდ ამიტომ სიტყვა „მამათმავალი“ არც ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, „ერთ რამესა გთხოვ, — მითხრა ბლანკამ. — შენ ვითომ არაფერი იცი. მაგას მაინც აღარაფერი ეშველება. სინდისი სულ არ აწუხებს. წარმოვიდგენია, ასე თქვა, ქალები არ მიზიდავენ, ყველაფერი თავისთავად მოხდაო; ყველას ის თვისება გვაქვს, რაც ღმერთმა დაგვანათლაო. მეო ღმერთმა ქალების სიყვარულის უნარი არ მიბოძაო. ვაგიჟდები, ისე სჯერა, რასაც ლაპარაკობს. სულ არა აქვს სირცხვილის გრძნობა“. მაშინ მე ვთქვი ყოველგვარი დამაჯერებლობის გარეშე: „თავს რომ გაუუტეხავ, მაშინ ვნახავ, რისი გრძნობა ექნება“. ბლანკამ პირველად გაიცინა ამ საღამოს: „ნუ ზღაპრობ, მე ხომ ვიცი, შენ ამის გამკეთებელი არა ხარ“. სასოწარკვეთილება დამეუფლა, საშინელი, უიმედო

სასოწარკვეთილება. ხუთუ ეს ხაიმეა, ჩემი შვილი, ისაბელს რომ ჰგავს შუბლი-
თა და ტუჩ-პირით?..

როდის დავუშვით შეცდომა მეც და იმანაც? რა თქმა უნდა, ბავშვებს ასე ვერ
დავდევი კუდში, როგორც საჭირო იყო, ვერ შევძელი ყველანაირად გამეწია
დედობა. მოწოდებითაც არა ვარ დედა. მგონი, არც მამად ვარგევარ. მაგრამ გა-
ნა ჩემი ბრალია, ხაიმე რომ ამ გზას დაადგა? იქნებ თავიდანვე უნდა შევჩინა
და დამეშორებინა იმ ტიპებისათვის? სულ ერთია, მაინც შეხვდებოდა მათ ჩუ-
მად. „უნდა მოველაპარაკო ხაიმეს, — ვუთხარი ბლანკას, რომელიც სამსხვერ-
პლოდ გამზადებულ ზვარაკივით იდგა — დიეგოს კი უსათუოდ შეურიგდი“.

საუთხაბათი, 18 ივლისი

აველიანედასთვის ორი რამ მქონდა სათქმელი, მაგრამ ძალიან ცოტახანი
დავყავით ჩვენს ბინაში და მხოლოდ ხაიმეს ამბავი მოვუყევი. აველიანედას არ
უთქვამს, დამნაშავე არა ხარო, და მადლობაც გადაუხადე გუნებაში ამისათვის.
რა თქმა უნდა, მეტი უნდა მეზრუნა, მეტი გამეკეთებინა ხაიმესთვის — ამას
ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება და შესაძლოა ამიტომაც ვგრძნობ ცოტათი თავს
დამნაშავედ. მაგრამ მე მაინც ასე მგონია, თუ ადამიანი ბიწიერია, ვერავითარი
ყურადღება, ვერავითარი აღზრდა და კუდში დევნა მას ვერ უშველის. მაშ, რა
მინდა მე — ხაიმე რომ მამათმავალი არ იყოს თუ, უბრალოდ, მე არ ვიყო დამ-
ნაშავე? რა ეგოისტები ვართ ყველანი! ახლაც კი, როცა სინდისი მტანჯავს,
ეგოისტობით მომდის ეს — არ მინდა სიმშვიდე და სულიერი კომფორტი დამერ-
ღვეს. ხაიმე არ მინახავს.

პარასკევი, 19 ივლისი

ხაიმე დღესაც არ მინახავს, მაგრამ ვიცი, ბლანკამ გადასცა ჩემი სურვილი
მასთან შეხვედრისა. ესტებანმა სჯობს არაფერი იცოდეს. მკაცრია, ან იქნებ
უკვე იცის კიდევ?

შაბათი, 20 ივლისი

ბლანკამ კონვერტი გამომიწოდა. გავხსენი: „მოხუცო, ვიცი, ჩემთან ლაპა-
რაკი გსურს. ისიც ვიცი, რატომ: მორალს წამიკითხავ. მე კი არა მსურს შენი
ქადაგება მოვისმინო ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, არაფერი დამიშავებია,
მეორეც, თვითონა გაქვს საიდუმლო კავშირი გაბმული. გოგომ გამოგიჭირა,
დაგინახეთ. მე მგონი, დამეთანხმები, დედაჩემის ხსოვნის პატივსაცემად არც
ისე ღირსეული გზა რომ გაქვს არჩეული. შენ სულ ასე იცოდი — სხვებისთვის
ქადაგებდი ზნეობას, შენთვის — არა. მე შენი საქციელი არ მომწონს, შენ — ჩე-
მი, ამიტომ სჯობს გავქრე. Ergo — ვქრები. ახლა შენ წინ გადაშლილია მოქმე-
დების ფართო ასპარეზი. მე სრულწლოვანი ვარ, დამშვიდდი, ჩემი წასვლა სა-
მაგიუროდ ჩემს და-ძმასთან დაგაახლოვებს. ბლანკამ ყველაფერი იცის (შეგიძ-
ლია დაწვრილებით მას გამოჰკითხო). ესტებანთან გუშინ მივედი სამსახურში
და ყველაფერი ვუთხარი. დამშვიდდი, გაცნობებ, რომ იგი მომექცა ისე, რო-
გორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება — ცალი თვალი ჩამილურჯა. ვეცდები,
მეორე თვალით შეეხედო მომავალს (რომელიც არც ისე ცუდად მესახება) და
ამავე დროს გამომშვიდობების ნიშნად გადავავლო იგივე თვალი ჩემს ძვირფას,
სამართლიანსა და უნაკლო ოჯახს: ნახვამდის. ხაიმე“. ბლანკას გაუწოდე წე-
რილი. ნელა ჩაიკითხა. მერე თქვა: „ხაიმემ თავისი ნივთები წაიღო ამ დი-“

...ით, — ფერგამკრთალმა შემომხვდა: — იმ ქალზე რომ წერს, მართალია? — „პოე-
 ზა არაც, — ვუპასუხე მე. — მართალია, რომ ვხვდები ერთ ძალიან ძალგაზრდა
 ქალს. ვცხოვრობ მასთან; მაგრამ არ არის მართალი, რომ მე შეურაცხველი დე-
 დაშენს. განა მე უფლება არა მაქვს, ვინმე მიყვარდეს? ცოლად არ ვთხოვლობ.
 რადგან არ ვიცი, რამდენად სწორი იქნება ეს ნაბიჯი“. აღბეჭკნენ მღვწი ფრაზა
 ხედმეტი იყო. არ ვიცი. ბლანკამ ტუჩები მოკუმა, ეტყობა, სხვა-სხვა-სხვა-სხვა-სხვა-
 ძალავდა შვილის ბუნებრივი ეჭვიანობაც და უბრალო ადამიანური თანაგრძნო-
 ბაც. „ლამაზია“? — მკითხა მოლოდინით სავსემ. „კი, ლამაზია“, — ვუპასუხე
 მე. ბლანკას სახე გაეხსნა. მეც შვებით ამოვისუნთქე. სჯერა ჩემი. და ჩემდა
 უნებურად დამცდა: მეტისმეტი ხომ არ იქნება, რომ გთხოვო, გაგაცნობ-ოქო?“
 „თვითონ მინდოდა მეთხოვა ეს შენთვის“, — მიპასუხა ბლანკამ. მადლიერებისა-
 დან ბურთივით გამეჩხირა ყელში რაღაც.

კვირა, 21 ივლისი

„შესაძლოა მაშინ, როცა „ჩვენი ამბავი“ ის იყო იწყებოდა, მერჩია დაე-
 ჟორწინებულებიყავით, მაგრამ ახლა ჩემი აზრით, არ არის საჭირო“. აველიანე-
 მას ეს სიტყვები სასწრაფოდ ჩავიწერე, მეშინია არ დამავეიწყდეს. ეს არის მისი
 პასუხი. მე მას სრულიად გულწრფელად ველაპარაკე, ყოველმხრივ ავწონ-დავ-
 წონეთ ჩვენი ქორწინების ამბავი“. „ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე აქ მოვიდოდი,
 ამ ბინაში მივხვდი, ქორწინებაზე ლაპარაკი გამხელდებოდა. შენ მხოლოდ ერთ-
 ხელ წარმოთქვი ეს სიტყვა, გახსოვს, ჩემი სახლის კართან, და სულით და გუ-
 ლით მადლობელი ვარ შენი. იმ დღიდან დაგიჯერე, დავიჯერე შენი სიყვარუ-
 ლი, მაგრამ ქორწინებაზე მაინც არ დაგეთანხმები. ეს იქნებოდა სიყალბე და ამ
 სიყალბეზე აიგებოდა ჩვენი მომავალიც, რომელიც ახლა აწმყოა. მე რომ ქორ-
 წინებაზე თანახმა ვყოფილიყავი, მაშინ შენ მოგიწევდა ქედის მოდრეკა და ძა-
 ლისძალად მიღება იმ გადაწყვეტილებისა, რომლისთვისაც დრო ჯერ არ დამ-
 ღვარა. პოდა, ავდექი და მე მოვიდრიკე ქედი; მე ხომ საკუთარ თავში უფრო ვი-
 ვივი დარწმუნებული, ვიდრე შენში. ისიც ვიცოდი, ამ ჩემს ნაბიჯს, ჩემს თავ-
 დაბლობას არასოდეს დაგაყვედრიდი, შენ კი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი,
 სათუოდ გამიბრაზდებოდი ცოჩათი მაინც. ახლა ყველაფერი უკან დარჩა. მე-
 დავეცი. რაღაც ბარბაროსული აქვს ქალს: თავის უბიწოებას ჯერ დარაჯად
 დგას, ხოლო როცა გადაწყვეტს მის დაკარგვას, ამჯობინებს, დაკარგვამდე მიი-
 თოს ყველა აუცილებელი პირობა. როცა ეს ეგრეთწოდებული „დაცემა“ უკვე
 აველილია, თანდათან ხვდება, რომ ეს ბოდვები და ძველი ზღაპრები მხოლოდ
 ერთი მიზნისთვის არის გამოგონილი — თავი ათხოვიოს კაცს. ამიტომაც არა
 გონია, რომ ქორწინება ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება. მთავარია, „რა-
 ლაც“ გვაკავშირებდეს. ეს „რალაც“ არსებობს, ხომ ასეა? პოდა, თუ ასეა, განა
 არა სჯობს გვაკავშირებდეს ის რაღაც ძლიერი, გულადი და მშვენიერი, რაიც
 უშუალოდ არსებობს, — და არა ფარატინა ქალაღდი და ღიპიანი ჩინოვნის
 მოსაწყენი ოფიციალური მისალოცი სიტყვა? გარდა ამისა, შენ შვილებიც
 გყავს. მე არ მინდა შენ გამო ვებრძოლო შენი ცოლის აჩრდილს, არც ის მინდა,
 შენი შვილები დედის მაგიერ ჩემზე ეჭვიანობდნენ. და ბოლოს მინდა გითხრა
 შენი შიშის შესახებ ასაკის მიმართ. გეშინია, რომ დაბერდები და მე თვალების
 იცეებას დავიწყებ აქეთ-იქით? ნუ გეშინია. ის რაც ყველაზე მეტად მიყვარს
 შენში, წლებს არ ემორჩილება“. აველიანედა ლაპარაკობდა მშვიდად და ლამა-

რაკობდა არა იმას, რასაც ფიქრობდა, არამედ იმას, რისი მოსმენაც მე მსურდა და ველოდი. მაგრამ რა კარგი მოსასმენი იყო მისგან ეს სიტყვები!

ორშაბათი, 22 ივლისი

შეხვედრა საგულდაგულოდ შევაშზადე, აველიანედასთვის არაფერი მითქვამს. საშაქარლამოში ვისხედით. ჩვენ იშვიათად ვართ ერთად. აველიანედა ყოველთვის დელავს, ნერვიულობს, არ დაგვინახონო. მე ვუთხარი, სულერთია, ადრე თუ გვიან გაიგებენ-მეთქი. თანაც როდემდე უნდა ვისხედეთ იმ ჩვენს ბინაში გამოკეტილები-მეთქი. მე თავი ავწიე, აველიანედამ შემომხედა: „ვინ დაინახე? ვინმე იქიდან?“ „იქიდან“ — ესე იგი, კანტორიდან. „არა, იქიდან არა. მოვიდა ის, ვისაც შენი გაცნობა სურს“. ძალიან აღელდა და ერთი წაპით ვინანე, ნეტა რას ავიტეხე ეს შეხვედრა-მეთქი. ჩემს მზერას თვალები გააყოლა და ვიდრე რაიმეს თქმას მოუასწრებდი, მან იცნო ბლანკა. მაშასადამე, ჩემი ქალიშვილი მე მგავს. ბლანკას ხელი დავუქნიე და ისიც მოვიდა, ლამაზი, ხალისიანი და კეთილი. მამის სიამაყე დამეუფლა. „გაიცანი, ეს ბლანკაა. ჩემი ქალიშვილი“. აველიანედამ ხელი გაუწოდა. ხელი უკანკალებდა. ბლანკას არაფერი დასტყობია: „თუ შეიძლება, ნუ დელავთ, თქვენი გაცნობა მინდოდა“. და მაინც აველიანედა დელავდა და ლულულულებდა: „ღმერთო ჩემო, ვერ წარმომიდგენია, ნუთუ მამათქვენი გელაპარაკათ ჩემზე? ვერ წარმომიდგენია. ჩემი გაცნობა გინდოდათ... მაპატიეთ, თქვენ ალბათ, ღმერთმა იცის, რას არ ფიქრობთ ჩემზე... ბლანკა ყოველნაირად ცდილობდა დაემშვიდებინა იგი, მეც ვცდილობდი. ვიგრძენი, ერთმანეთი მოეწონათ. თითქმის ტოლები არიან. აველიანედა ნელ-ნელა დამშვიდდა, თუმცა ერთი-ორი ცრემლი მაინც გადმოუგორდა თვალებიდან. სულ რაღაც ათ წუთში კი ისინი მშვიდად და მეგობრულად საუბრობდნენ. მე ყურს ვუგდებდი მათ საუბარს და უჩვეულო სიხარული მეუფლებოდა, — ისინი, ორივენი, ჩემ გვერდით იყვნენ, და ვგრძნობდი, ამ ორი ქალივით არავინ მიგვარდა მთელს ქვეყანაზე. აველიანედა გულწრფელად ჯიუტობდა, მე არ მინდა გაცილება, შვილი გააცილეო. დავემშვიდობეთ აველიანედას. მე და ბლანკამ ფეხით გავიარეთ რამდენიმე კვარტალი. თინფლავდა. მერე ავტობუსში ჩავსხედით. სახლში ბლანკა მომეხვია, საერთოდ, არ მანებივრებს ხოლმე ალერსით, ასე რომ, ის მოხვევა მე არ დამავიწყდება. ლოყით ლოყაზე მომეყრდნო, „მართლა მომეწონა. არ მეგონა, კარგის და ცუდის ვარჩევა თუ შეგეძლო“. ცოტა წავიხემსე და ჩქარა დავწექი. ისე დავიღალე, თითქოს მთელი წელიწადი ლოდები მეთროს.

საშაბათი, 23 ივლისი

გუშინდელს აქეთ, იმ შეხვედრის შემდეგ მე და ბლანკა რომ დავემშვიდობეთ, აველიანედა აღარ მინახავს. დღეს დღით ჩემს მაგიდასთან მოვიდა ორი საქალაქდეთი ხელში, რაღაც მკითხა. სამსახურში მუდამ ვფრთხილობთ (ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერაფერს გვამჩნევს), მაგრამ დღეს ყურადღებით შევხედე, მინდოდა მის სახეზე ამომეკითხა, ხომ არ მიბრაზდებოდა, გუშინ ხაფანგი რომ დავუგე. აველიანედა სერიოზული, ძალზე სერიოზული ჩანდა. მე შეკითხვაზე ვუპასუხე. ავუხსენი, რაც უნდა გაეკეთებია. გარშემო ხალხი იყო. თქმით ვერაფერს ვეტყოდით ერთმანეთს. აველიანედამ საქალაქდეები ჩემს მაგიდაზე დააწყო. საქალაქდეების ქვეშ პატარა ქალაქდის ნაგლეჯი ამოღო. ზედ ეწერა „მადლობა“.

პარანსკვი, 26 ივლისი

დილის რვა საათია, ვსაუზმობ „ტუპიში“, ეს ჩემი ერთ-ერთი დიდი სიამოვნებაა, მოედანზე გამავალ ფანჯარასთან ვჯდები, წვიმს, მთლიან უკეთესი! ნელ-ნელა ვისწავლე ამ ლეგენდარული საოცრების — სალვოს სასახლის სიყვარული, განა ტყუილად ხატავენ მას ტურისტებისათვის განკუთვნილ ბარათზე! ის სასახლე შეიძლება ითქვას, ზედმინვევით გამოხატავს ჩვენს ქვეყნის ხასიათს — უხეშია, მძიმეა, უგემოვნოა და საყვარელი. ისეთი ულამაზოა და ისეთი უშნო, რომ აღამიანს გუნებას გაუხალისებს. მიყვარს „ტუპი“ დილის საათებში, ვიდრე არ შემოსევიან მას პომოსექსუალისტები (ხაიშე სულ დამავიწყდა, რა საშინელებაა!). ერთ-ორ მაგიდასთან მარტოსული ბებრები მიმსხდარან, კითხულობენ გაზეთებს და ნეტარებენ. უმეტესად პენსიონერები არიან, ვერაფრით ვერ გადაჩვეულან უთენია გაღვიძებასა და ადგომას. ნეტავ მე რომ პენსიაზე გავალ, „ტუპიში“ კიდევ ვიქვლი თუ ლოგინში ვიგორავებ ზოგიერთი დირექტორის შეილიკოსავით? ნამდვილად უნდა დაიყოს საზოგადოება კლასებად იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ საათზე დგება. ბიანკამანოს — გულმავიწყ, მიაშიტსა და ჭეშმარიტად კეთილმოსურნე ოფიციალტს უკვე მეხუთეჯერ შევუკვეთე პატარა ფინჯანი რძიანი ყავა და ფუნთუშა, მან კი დიდი ფინჯანი ყავა და ორცხობილა მომიტანა — თან ისე ცდილობს მასიამოვნოს, რომ საყვედურს ვედარ ვეუბნები და ბედს ვემორჩილები. ბიანკამანო ჩემს მაგიდასთან დგას და ვიდრე მე ყავაში შაქარს ვყრი, ამინდზე და სამსახურზე მელაპარაკება... დარბაზის შორეულ კუთხეში ვილაც ბატონი გაბრაზებული უხმობს ბიანკამანოს, ეტყობა, ბატონმა სხვა რამ შეუკვეთა, გულმავიწყმა ოფიციალტმა კი სხვა მიართვა, და ბატონიც ეძახის მას, ჩემსავით დამყოლი კი არ არის?! ეს კაცი ალბათ არგენტინელია, ერთი-ორი კვირით ჩამოვიდა საქმეზე, ცოტა „ფულის გასაკეთებლად“ და არ იცის ჩვენი წეს-ჩვეულებები. ყავის შემდეგ იწყება ჩემი დღესასწაულის მეორე განყოფილება — გაზეთების კითხვა ზოგჯერ ყველას ერთად კითხულობთ თითოეულს თავისი სახე აქვს და მსიამოვნებს, როცა მათ ერთმანეთისაგან ვანსხვავებ; „დებატე“-ს გაპრანჭული სტილი ახასიათებს, „ჰაისს“ ზომიერი პირმოთხეობა; ნაირ-ნაირი ამბებითა და ანტიკლერიკალური გამოხდომებით გამოირჩევიან „დია“, „მანიანა“. ყველანი სხვადასხვანი და ამავე დროს ერთნაირნიც არიან, რთულ თამაშში ჩაბმულნი ეშმაკობენ, ერთმანეთზე ქილიკობენ, ერთი ბანაკიდან მეორეში გადადიან, სინამდვილეში კი ერთი ჯამიდან ჭამენ, სიცრუის ჯამიდან. ჩვენ კი კვითხულობთ და ვიჯერებთ წაკითხულს; ვილაცას ვემხრობით, ვილაცას ხმას ვაძლევთ, ვდავობთ და, რაც მთავარია, არაფერი გვახსოვს, სულ არაფერი — შტერებივით გუშინ რომ ერთი გაზეთი გვარწმუნებდა, ეს ასეაო, დღეს იგივე გაზეთი გვიმტკიცებს, ეს ასე არ არისო. ჩვენ კი აღარ გვახსოვს, დღეს გამალებით იცავენ იმ კაცს, გუშინ რომ ლამის ჩაქოლეს, ჩვენ კი არ გვახსოვს. მაგრამ ყველაფერზე საშინელი ის არის, რომ ეს კაცი კმაყოფილია პრესის მხარდაჭერით. ამიტომაც ვამჯობინებ სალვოს სასახლის გულწრფელ სიმაზინჯეს — ის ყოველთვის უშნო იყო, არ გვატყუებდა. ოცდაათი წელიწადია ჰკიდია აქ, ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას და ჩვენც, ყველანი, აქაურებიც და ჩამოსულებიც, თავს მაღლა ვწევთ, რათა პატივისცემით შევაკლოთ თვალი მთელ მის სიმაზინჯეს, გაზეთების კითხვისას კი უვალეების დახრა გვიწევს.

შაბათი, 27 ივლისი

აველიანედა აღფრთოვანებული ლაპარაკობს ბლანკაზე „არ მეგონა, ასეთი მშვენიერი ქალიშვილი თუ გყავდა“, – ყოველ ნახევარ საათში იგი. ბლანკამაც ასე მიიხრა: არ მეგონა, კარგის და ცუდის გარჩევა თუ შეგეძლო. როგორც ორივეს სიტყვებიდან ჩანს, ვერაფერი შეხედულა მათ შორის ზემზე, არა სჯერათ, რომ ავისა და კარგის გარჩევა და რაიმე კმა შემიძლია. და მაინც კმაყოფილი ვარ. აველიანედაც კმაყოფილია. „მალღობის“ ბარათი გასულ სამშაბათს რომ დამიღო მაგიდაზე, მხოლოდ დასაწყისი იყო. აველიანედა გამომიტყდა: შენი ქალიშვილის დანახვაზე საშინელი წამები გადავიტანე, მეგონა, საჩხუბრად მომკარდებოდა, ერთს კარგად გამომლანძღავდა, რისი ღირსი მართლაც ვარ. ყოველივე ამას მოჰყვებოდა „ჩვენი ამბავის“ დანგრევა. მხოლოდ მაშინ მივხვდი ბოლომდე – რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში „ჩვენი ამბავი“. მივხვდი, რა გაუსაძლისი იქნებოდა ჩემთვის იმ ურთიერთობის გაწყვეტა. ერთი შეხედვით წამიერსაც რომ ვერ ვუწოდებ „არ დამიჯერებ, ეს ყველაფერი გულში გავივლე სულ რაღაც წამებში, ვიდრე ბლანკა მაგიდებს შორის მოემართებოდა ჩვენკენ“. ბლანკას მეგობრული დიმილი აველიანედასთვის სიხარული იყო. „ხომ შემიძლია დავუმეგობრდე?“ – მეკითხება იგი და სახე იმედითა და ბედნიერებით უბრწყინავს. აღბათ ასევე უბრწყინავდა სახე ოცი წლის წინათაც, როცა მშობლებს ეკითხებოდა. თოვლის ბაბუა საშობაოდ რა საჩუქრებს მომიტანსო.

სამშაბათი, 30 ივლისი

ხაიმესი არაფერი ვიცი. ბლანკამ სამსახურში მიაკითხა. უთხრეს, ათი დღეა არ გამოჩენილაო. ესტებანთან დუმილის ხელშეკრულება გვაქვს დადებული, ამ თემაზე არ ვილაპარაკოთ. მძიმედ გადაიტანა ესტებანმა ეს დარტყმა. ნეტავ რას იტყვის, აველიანედას ამბავი რომ გაიგოს? ბლანკას ვთხოვე, არაფერი უთხრა-მეთქი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. იქნებ ამაოდ ვსვამ ჩემს შეილებს მოსამართლის სავარძელში (ან ნებას ერთავ მოკალათდნენ შიგ)? მათ წინაშე მე ვალი მოხდილი მაქვს: ვასწავლე, ვზრუნავდი, მიყვარდა, თუმცა სიყვარულში ალბათ არც ისე დავიხარჯე, რას იზამ, მე იმათ არა ვგავარ. ყველას დასანახად რომ ამხუურებენ გრძნობებს. საერთოდ, მიძნელებს ვიყო ილერსიანი. ქალებთანაც. ყოველთვის იმაზე ნაკლებს გავცემ, ვიდრე გამაჩნია. მხოლოდ ასეთი სიყვარული შემიძლია – თავშეკავებული. მძაფრი ვნება იშვიათად შეწვევა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. იქნებ ამის მიზეზი ის არის, რომ უპირატესობას წვრილმანებისა და ხარისხების გარკვევას ვანიჭებ. ხოლო თუ ყოველწუთს, ყოველწამს მხურვალე ვნებებს ხარჯავ კაცი, მაშინ რაღა დაგრჩება იმ წუთებისთვის (ისინი ხომ ძალზე ცოტაა ადამიანის ცხოვრებაში), როცა უნდა გასცე მთლიანად ყველაფერი? ამას გარდა, მტერი ვარ ვულგარულობისა. კაცი რომ დილიდან დაღამებამდე ტირის, ვულგარულობა არის აბა რა? რას იზამს მაშინ, როცა ნამდვილი ტკივილი ეწვევა? რით დააყუჩებს მას? რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება თავი მოიკლა, მაგრამ ეს მაინც უბადრუკი გზაა. მე იმის თქმა მინდა, რომ შეუძლებელია კაცმა იცხოვრო მუდამ უკიდურესობამდე მისულმა, აჰყვე გრძნობებს და ყოველდღე ჩაიძირო დარდსა და ვარაშში (დილის აბაზანასავით). ის ქალბატონები, რომლებიც ყველაფერში მომჭირნეობას არიან მიჩვეულნი, არ ნახულობენ ისეთ ფილმებს, სევდიანი დასასრული რომ აქვთ, ირწმუნებიან, „ცხოვრება ისედაც სიმწრითა და ტანჯვითაა სავსეო“.

და რალაცაში მართალნიც არიან: თუ ცხოვრება ისედაც მწარეა, მაშინ აღარც ღირს ზღუქუნი, ტანჯვა და აურზაური მხოლოდ იმიტომ, რომ ბედნიერების გზაზე შემდგარს დაბრკოლება შეგხვდა, ეს ბედნიერება ხომ ხშირად უბედობასთან არის წილნაყარი. მახსოვს, ერთხელ ხაიმეს სკოლაში დაეაღება მისთვის კლასიკურ თემაზე — „ჩემი დედა“. ხაიმე მაშინ ცხრა წლისა იყო, სკოლიდან ძალზე დადარდიანებული დაბრუნდა. დავუწვევ დამშვიდება, ახსნა, გახელო, რომ ცხოვრებაში კიდევ შეგხვდება, ბევრჯერ იგრძნობ, რომ დედა არა გყავს, მაგრამ უნდა შეურიგდე ამ მდგომარეობას, ტირილი არ გიშველის, თუ ნამდვილად გიყვარს და გახსოვს დედა, თავი უნდა შეიკავო, უნდა დაანახო ყველას, რომ უდუღოდაც არა ხარ სხვაზე ნაკლები-მეთქი, ალბათ მისი ასაკის ბიჭისთვის ძნელა ჩახუდეს ასეთ სიტყვებს, მაგრამ უცებ მან შეწყვიტა ტირილი, რალაცნაირი გააფხებით შემომხედა და, თითქოს გონება გაუნათდაო, მტკიცედ მითხრა: „შენ იქნები ჩემი დედა. თუ არ იქნები, მოგკლავ“! ნეტავ ამით რა უნდოდა ეთქვა? ეჭვი არ არის მან იცოდა, რომ შეუძლებელს მთხოვდა, არც ისე პატარა იყო, ეს არ სცოდნოდა, მაგრამ ამავე დროს პატარაც იყო იმისათვის, რომ თავისი პირველი დარდას დაფარვა შეძლებოდა. ეს იყო უპირველესი დარდი იმ ყოველდღიური დარდებად, რითაც მისი სიძულვილი, პროტესტი საზრდოობდა შემდეგ და რამაც საბოლოო მარცხამდე მიიყვანა იგი. მასწავლებლები, ამხანაგები, საზოგადოება ითხოვდა, რომ მას ჰყოლოდა დედა და მანაც პირველად მთელი სიცხადით შეიგრძნო დედის არყოფნა. არ ვიცი, რატომ მადანაშაულებდა დედის სიკვდილში. იქნებ ფიქრობდა, ცოტა მეტი რომ მიმეხედა დედამისისთვის, არ მიგვატოვებდა. მაშასადამე, მე ვარ დამნაშავე, ხაიმეს დედა რომ არა ჰყავს, და ამიტომ მე უნდა შევცვალო იგი. „თუ არადა, მოგკლავ“! რა თქმა უნდა, მე არ მოვეუკლივარ, მაგრამ სამაგიეროდ მოკლა, გაანადგურა საკუთარი თავი. მაშა — მაშაკაცმა გაუცრუა მას იმედები და ისიც ადგა და საკუთარ არსებაში მოკლა მაშაკაცი. ოპ, როგორ ვართულებ ყველაფერს! არადა, არაფერი სირთულე აქ არ არის. არის მხოლოდ უბადრუკი, საშინელი სინამდვილე. ჩემი შვილი მამათმავალია. მამათმავალი. ისეთივე, როგორც ის ბილწი სანტინია. განა არა ჯობდა, ჩემი შვილი ქურდი, ნარკომანი ან იდიოტი ყოფილიყო? მინდა მეცოდებოდეს და ვერ ვიცოდებ. ვიცი, შეიძლება უპოვო მის საქციელს გამართლება — გონივრული და დამაჯერებელიც, ვიცი, ნაწილობრივ მეცა ვარ დამნაშავე, მაგრამ განა სამივეს ერთნაირად არ ვზრდიდი და ველოლიავებოდი? ესტებანი და ბლანკა თუკი ნორმალური ადამიანები გაიზარდნენ, სწორი გზიდან არ გადაუხვევიათ, ხაიმეს რაღა მოუვიდა? თანაც — ხაიმეს, ყველაზე საყვარელ შვილს. არა, არ მეცოდება, არ მეცოდება და არც არასოდეს შემეცოდება.

სუთუაბათი, 1 აგვისტო

მმართველმა გამომიძახა. არ მიყვარს ეს კაცი, გამომშრალი და მხდალი კაცია. ჯვდილობ წარმოვიდგინო მისი სული: მისი სულიერი სამყარო. გულისამრევ სურათს ვხედავ: ადამიანური ღირსებებზე ამბუტირებული აქვს. სახის ადგილას პროთეზის მაგვარი რალაცაა, რომელსაც შეუძლია დროდადრო გამოხატოს ღიმილი. კაბინეტში რომ შევედი, იღიმებოდა. „კარგი ამბავი უნდა ვითხრათ, სანტომე, კარგი ამბავი, — ხელები ისე მოიფშვნიტა, თითქოს წაზრჩობას მიპირებდა. — თქვენ გთავაზობენ. არც მეტი, არც ნაკლები, მმართველის მოადგილის ადგილს“. ზედვე ეტყობოდა, დირექციის ამ გადაწყვეტილებამ პირადად იგი დიდად რომ არ გაახარა. „ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ“. ხელი გამომიწოდა ისე-

თი წებოვანი ხელი ჰქონდა, თითქოს ახლახან გაეხსნას მურაბიანი ქილა. „მაგრამ ერთი პირობით, — განაგრძო კიბორჩხალამ. მართლაც კიბორჩხალასა ჰგავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვერდულად გამოდის ხელზე თავისი მაგიდიდან. — ორი წელიწადი კიდევ უნდა დარჩეთ აქ“. კი მაგრამ, ჩემი თავისუფლება? მმართველის მოადგილეობა კარგი თანამდებობაა, განსაკუთრებით ამისათვის ვინც კარიერას ამთავრებს. სამუშაოც არ არის ბევრი: საპატივცემულოები, სტები უნდა მიიღოს, თანამშრომლებს თვალყური ადევნოს, მმართველის არყოფნის დროს მისი მაგივრობა გასწიოს, დირექტორებთან და მათ ცოლებთან ურთიერთობა დაამყაროს, მოთმინებით მოისმინოს ზოგ-ზოგების უაზრო ოხუნჯობები და ზოგ-ზოგების კიდევ ენციკლოპედიური უმეცრებანი. კი მაგრამ... ჩემი თავისუფლება? „რამდენი დღე შეგიძლიათ მომცეთ მოსაფიქრებლად?“ — ჩემი შეკითხვა უარის მომასწავებელი იყო უკვე. კიბორჩხალას თვალები გაუბრწყინდა: „ერთი კვირა. მომავალ ხუთშაბათს თქვენი პასუხი უნდა ვაცნობო დირექციას“. განყოფილებაში რომ დავბრუნდი, ყველამ ყველაფერი უკვე იცოდა. ასეა ყოველთვის, როცა განსაკუთრებული საიდუმლო საქმე მზადდება. მილოცავდნენ, მუხვოდნენ, ჩვენი განყოფილების თანამშრომელი აველიანედაც მოვიდა და ჩამომართვა ხელი. მხოლოდ მის ხელს ჰქონდა მაცოცხლებელი სითბო.

შაბათი, 3 აგვისტო

დიდხანს ვისაუბრეთ მე და აველიანე დამ. მისი აზრით, კარგად უნდ ავწონდავწონოთ ყველაფერი: კარგი, სოლიდური თანამდებობაა, კარგი ხელფასიც მექნება, ისედაც ვიცი, რომ კარგი ადგილია, მაგრამ ისიც ხომ ვიცი, დამსახურებული დასვენების უფლებაც რომ მაქვს. ამ უფლებას კი არაფრით არ გავყიდი თვეში ზედმეტ ას პესოდ. მეტიც რომ შემოეთავაზებინათ, ალბათ არც მაშინ დავთანხმდებოდი. ჩემთვის მთავარია, ხელფასი მყოფნიდეს მყოფნის კიდევ. პატარა ხელფასი არ მაქვს. მეტი არც მინდა. ახლაც კი — როცა ჩვენი ბინის ქირას ვიხდი — ახლაც მყოფნის. თანაც თუ პენსიაზე გავალ, ასი პესოთი მეტს ისედაც მივიღებ, რადგანაც ბოლო წელს პრემიების წყალობით ჩემი საშუალო ხელფასი შესამჩნევად გაიზარდა. პენსიიდან კი გამოქვითვა არ შეიძლება. მართალია, პესოს ყიდვისუნარიანობა ეცემა, მოსალოდნელია ინფლაცია და საფრთხეც რეალურია, მაგრამ რას უიზამ, როგორმე გავძლებთ. კერძო სამუშაოების, საბუღალტრო ანგარიშების გაკეთებაც შეიძლება სახლში. აველიანე დამაც გამოთქვა აზრი, არა იმდენად პრაქტიკული, რამდენადაც გულისამაჩუყებელი და გაურკვეველი წინათგონობებით აღსავსე: „უშენოდ კანტორაში რა გამაძლებინებს“. მით უკეთესი. მე რომ პენსიაზე გავალ, ისიც აღარ იმუშავებს. ჩემი პენსია ორივეს გვეყოფა, მით უმეტეს, რომ დიდი მოთხოვნილებებისა არც ერთი არა ვართ. მცირედითაც ვკმაყოფილდებით. ჩვენი გართობა, გასაგები მიზნების გამო, ვიწრო ოჯახურია. ხანდახან კინოში თუ წავალთ, ან რესტორანში და საშაქარლამოში. კვირაობით, ცივი ამინდიც რომ იყოს, ოღონდ მზიანიც, გვიყვარს პლაჟზე, სუფთა ჰაერზე გასვლა. ზოგჯერ ვყიდულობთ წიგნს, ფირფიტას, ყველაზე მეტად მაინც საუბარი ვვიყვარს. ერთმანეთს ვუამბობთ, როგორ ვცხოვრობდით. რას ვაკეთებდით „ჩვენს ამბავამდე“. ვერავითარი გართობა და სანახაობა ვერ შეედრება ამ ნეტარებას — გულის გადაშლას. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, არაფერი დავუმალეთ ერთმანეთს. გულახდილობასაც და გულწრფელობასაც მიჩვევა უნდა... მთელი ეს წლები ანიბალი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, შვილებთან რთული დამოკიდებულება მქონდა, თანამშრომლებს თვითონ არ ვანდობდი ჩემს პი-

რად ცხოვრებას, დაცინვისა მეშინოდა, ქალებთანაც მხოლოდ პიგიენური მოსაზრებით დავდიოდი, თანაც მუდამ სხვადასხვასთან, ორჯერ არც ერთთან არ ვყოფილვარ, ასე რომ, გულწრფელობას გადავეჩვიე. საკუთარ თავთანაც კი ალბათ იშვიათად ვყოფილვარ გულახდილი, მაგრამ აველიანედასთან საუბრისას მე უფრო გულწრფელი ვარ, ვიდრე საკუთარ ფიქრებში. ნუთუ შესაძლებელია ასეთი რამ?

კვირა, 4 აპრილი

დილით პატარა კარადის უჯრა გამოვალე. იატაკზე მიმოიფანტა ქაღალდები, სურათები, ამონაჭრები, წერილები, ქვითრები... ერთმა გაურკვეველი ფერის ქაღალდმა მიიპყრო ჩემი ყურადღება (ეტყობა, ადრე მწვანე იყო, ახლა კი მუქად არის დაღაქავებული, მეღანი ნესტისგან გადღლაბნილა და ასევე გამშრალა). ამ წუთამდე სულ არ მახსოვდა ეს ქაღალდი. როგორც კი დავინახე, მაშინვე ვიცანი ისაბელის წერილი. ცოტას ვწერდით ერთმანეთს, იშვიათად, და ისეც მოკლე დროით თუ ვშორდებოდით ერთმანეთს. წერილი დათარიღებული იყო 1935 წლის 17 ოქტომბრით. ტაკუარემბოდან იყო გამოგზავნილი. რა სასაცილო სანახავია ეს გრძელი, კუდიანი ასოები. ნაწერში ჩანდა დრო, ჩანდა ადამიანი. წერილი დაწერილია მეღნითა და კალმით, და არა პასტიანი ბურთულა კალმით. ის კალმები საბრალოდ წრიპინებდნენ და მკრთალ ლილისფერ წერტილებს ტოვებდნენ ქაღალდზე. წერილი უსათუოდ უნდა გადავწერო დღურში, რადგან იგი ჩემი ნაწილია, ჩემი ცხოვრების ის ნაწილია, სადაც არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ისაბელი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა ამ წერილს წერდა. წერილი ხელმეორედ რომ გადავიკითხე, ცოტა დავიბენი, ეჭვებმა შემიპყრო და გულიც ამიჩუყდა. აი, ეს წერილი: „ჩემო ძვირფასო! უკვე სამი კვირაა აქ ვარ. შენ გამიგებ: სამი კვირაა მარტო ვწევარ. საშინელებაა, ხომ მართალია? შენ ხომ იცი, ღამით მეღვიძება ხოლმე. ახლაც ასეა. მინდა ხელი შეგახო, ვიგრძნო, რომ გვერდითა ხარ, ვერ ამიხსნია: რა ძალაა ის ძალა, რაიც შენგან მოდის მხოლოდ მაშინ, როცა გვერდით ხარ. ახლა კი საშინელი კოშმარები მტანჯავს, არა, ურჩხულები არ მესიზმრებიან, უბრალოდ, სიზმარში ვხედავ, რომ მარტო ვწევარ, შენ არა ხარ გვერდით. გავღვიძებისას კოშმარი ქრება, მაგრამ შენ მართლა არა ხარ ჩემ გვერდით. სიზმარში არ ვტირი, სამაგიეროდ რომ გავიღვიძებ, მაშინ ვტირი. რატომ დავისაჯე ასე? ვიცი, შენ მონტევეიდოში ხარ, კარგად ხარ, ჩემზე ფიქრობ, ხომ ფიქრობ? ესტებანი და ბლანკა კარგად არიან. დეიდა სულმა ძალიან ანებივრებს მათ. მოემზადე: როცა დაკბრუნდებით, გოგონა არ მოგვცემს საშუალებას ზედზედ რამდენიმე ღამე ერთად გავატაროთ. ნეტავ მალე გავიდეს ეს ღამეები! პო, მართლა, ახალი ამბავი უნდა გითხრა: კელავ ფეხმძიმედ ვარ. რა საშინელებაა, ასეთ რამეს გეუბნები, შენ კი არ მკოცნი! იქნებ შენთვის საშინელება სულაც არ არის? თუ ბიჭი დაიბადება, ხაიმეს დავარქმევთ. მომწონს ეს სახელი. არ ვიცი, რატომ და ამჯერად ცოტა მეშინია. ერთიც ვნახოთ და მოვკვდე? თქვი, მითხარი, რომ არ მოვკვდები. ოდესმე თუ გიფიქრია, მე რომ მოვკვდე, შენ რას იზამ? შენ გულმაგარი კაცი ხარ, გაუძლებ, თანაც მალე იპოვი სხვა ქალს. იცოდე, წინასწარ ვეჭვიანობ. ხედავ, რა სულელი ვარ? იცი, რატომ ვარ სულელი? იმიტომ, რომ ვერა ვგრძნობ თავს კარგად, როცა შენ არა ხარ ჩემ გვერდით, როცა მე არა ვარ შენ გვერდით. ერთი და იგივე არ არის? ნუ იცინი, ყოველთვის იცინი, მაშინაც კი, როცა სასაცილოს არაფერს ვამბობ. ნუ იცინი, შენ ხომ კარგი

ხარ. მომწერე, რომ არ მოვკვდები; რომც მოვკვდე, შენზე ვიღარდებ. პო, მართლა, მარუხას დაურეკე, გაახსენე, ოცდაორში დორას დაბადების დღეა-თქო და მიულოცოს ჩემი და თავისი სახელით. სახლი ალბათ არეულ-დარეულია, ხომ? ის გოგო თუ მოდის სახლის დასალაგებლად, სელიამ რომ გამოგვიგზავნა? არ ვაბედო და არ დაუწყო კურკური. ხომ გაიგონე? დეიდა სულმა ისვინი განხარებულა, ბავშვები რომ მასთან არიან!.. ძია ედუარდო ხომ, ნუღარ იტყვი! იტყვი მისი მიყვებიან და მიყვებიან შენზე, ათი წლის ბიჭი არდადეგებზე რომ ჩახვედი მათთან. მგონი, გაგიყვებული გყავს ისინი შენი ტვინიკოსობით. „ემშაკმა იცის, რა ბიჭია“! — ამბობს ძია ედუარდო. ჩემი აზრით, შენ ახლაც „ემშაკმა იცის, რა ბიჭი ხარ“. კანტორიდან დაღლილი რომ მოდიხარ, თვალები ცოტათი ბრაზიანი გაქვს, უგულისყუროდ უხალისოდ მელაპარაკები, ზოგჯერ მიწყრები კიდევ. ღამით კარგად ვეწყობით ერთმანეთს, ხომ ასეა? მესამე დღეა, წვიმს. სასტუმრო ოთახში, აივნის კართან ვჯდები ხოლმე და გავცქერი უკაცრიელ ქუჩას. ეიდრე ბავშვებს სძინავთ, ძია ედუარდოს კაბინეტში შევდივარ და ლათინურამერიკულ ენციკლოპედიას ვფურცლავ. ჩემი კულტურის დონე და მასთან ერთად მოწყენილობისაც მაღლა-მაღლა იწევს. ბიჭი დაიბადება თუ გოგო? გოგოს სახელი შენ მოუძებნე, ოღონდ ლეონორი არ დაარქვა. მაგრამ არა. ბიჭი დაიბადება და ჩვენ მას ზაიმეს დავარქმევთ. მას შენსავით მოგრძო სახე ექნება, ძალიან ლამაზი არა, მაგრამ ქალებს რომ მოსწონთ, ისეთი. იცი რა, მიყვარს შეილები, ძალიან მიყვარს და უფრო იმიტომ მიყვარან, შენი რომ არიან. წვიმა გადარეულივით ურახუნებს სახურავზე. ახლა პასიანსს გაეშლი ხუთ რიგად, როგორც დორამ მასწავლა, ხომ გახსოვს? თუ გამოვა, არ მოვკვდები მშობიარობის დროს. მიყვარხარ, მიყვარხარ, შენი ისაბელი.

p. s. პასიანსი გამოვიდა ვაშა!“

რა შესაბრალისი ჩანს მისი გრძნობები ახლა, ოცდაორი წლის მერე. და მაინც რა უშუალო, სუფთა და ნაღვლია. საოცარია, წერილი რომ გადავიკითხე, მაშინვე გამახსენდა ისაბელის სახე. მაშასადამე, არ დამევიწყებია, მაშასადამე, ეს სახე კვლავ ცოცხლობს ჩემში! როგორც კი ამოვიკითხე წერილში სიტყვები „შენ შეგიძლია“, „შენ იცი“, წამსვე ამოცურდა ისაბელის სახე მეხსიერების სიღრმიდან. ისაბელი სუფთა ესპანურად წერდა, არასოდეს არ იყენებდა ლათინურამერიკულ კონსტრუქციებს, იმიტომ კი არა, რომ ასე სწამდა, უბრალოდ, ასე მიეჩვია, ან იქნებ ორიგინალობდა. მე ამოვიკითხე მისი ესპანური „შენ“ და მაშინვე გამახსენდა, ისაბელის ტუჩები, მთავარი რამ მის სახეზე. ისაბელი თავისი წერილივით აფორიაქებული პიროვნება იყო, რაღაცნაირად არათანაბარი, ხან ნაღვლიანი, ხან მზიარული, ხან შიშით ატანილი, მაგრამ ყოველთვის — ზორციელი სიყვარულის მონა. საბრალო ისაბელი დაიბადა ბიჭი, დაარქვეს ზაიმე, ის კი აღარ იყო მშობიარობას გადაჰყვა. ზაიმე სულაც არ არის „ჩემსავით სახემოგრძო“. იგი ლამაზია, მაგრამ ქალებს დიდხანს არ მიჰყვებათ მისი სიყვარული. ქალები მას არ სჭირდება. საბრალო ისაბელი. პასიანსმა არ გაუშვია. ეს ყველაფერი რა შორს არის, რა შორეულია ახლა. ისაბელის ქმარი, ვისი მისამართითაც ეს წერილია გაგზავნილი 1935 წელს — მე ვარ. მაგრამ ეს ქმარიც შორს არის ახლა, არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი. „ნუ იცინი“, — წერს ისაბელი და ცოტა კიდევ იქით იმეორებს — „ნუ იცინი“. და მართლაც, იმ წლებში მე ბევრს ვიცინოდი. ისაბელს არ უყვარდა, არ მოსწონდა, თვალებთან ნაოჭები რომ მიგროვდებოდა სიცილის დროს. მეუბნებოდა, ტყუილუბრალოდ იცინიო და, საერთოდ, მე რომ ვიცინოდი, ის ბრაზობდა. როცა სხვების

თანდასწრებით ვიცინოდი, საყვედურით მიცქერდა და მე უკვე ვიცოდი, მარტონი რომ დავრჩებოდი, უსათუოდ მოპყვებოდა ბუზლუნს. „ხომ ვთხოვე, ნუ გაციინებ-მეთქი. ისეთი საშინელი შესახედავი ხარ ხოლმე.“ ისაბელი რომ მოკვდა, სიცილს გადაუჩვიე. გლოვა, სამსახური, შეილებზე ფიქრი მაშვა მხრებზე ასე გავიდა წელიწადი, მერე დამკვიდრდა სიმშვიდე, მღგობრურობა და სწორად წონასწორდა ოჯახში, მაგრამ სიცილი უკვე აღარ შემეძღმა. „ჩემს მშვენიერ უნდა, ზოგჯერ ვიცინი, მაგრამ ეს ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში ან როცა შეგნებულად ვაიძულებ თავს გავიცინო, ისიც იშვიათად, ძალზე იშვიათად. წინათ კი მართლა ხშირად ვიცინოდი, ლამის ჩვევად მქონდა გადაქცეული. რაც იყო იმას ვეღარ დავაბრუნებ. ვწუხვარ რომ ისაბელი ვერ ხედავს, რა სერიოზული გავხდი. ალბათ კმაყოფილი დარჩებოდა, მაგრამ ხომ შეიძლება მე და ისაბელი ერთად ვყოფილიყავით და კვლავაც ძველებურად მეცინა? საბრალო ისაბელი. ახლა მახსენდება, რა ცოტას ვლაპარაკობდით. ზოგჯერ არც ვიცოდი, რაზე მელაპარაკა. ცოტა რამ გვქონდა საერთო, მხოლოდ შეილები, ვალები, სარეცელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკი არ გვჭირდებოდა. ჩვენი ღამეები ისედაც მრავლისმოქმედი იყო. იყო კი ეს სიყვარული? ვეჭვობ! შესაძლოა ჩვენი ცოლქმრობა რომ გაგრძელებულიყო, თვითონვე მივმხდარიყავით, რომ სარეცელი მხოლოდ ნაწილი იყო სიყვარულისა და ალბათ საკმაოდ ძალეც მიუხვდებოდით. მაგრამ მთელი ის ხუთი წელიწადი სარეცელი გვაკავშირებდა. ახლა აველიანედასთან სარეცელი (ყოველ შემთხვევაში, ჩემს ვის) მთავარი არ არის. მთავარია ის გულითადი საუბრები, ის სულიერი სიახლოვე, რომელიც ასე საჭიროა სასიცოცხლოდ. მაგრამ არ მინდა თავი მოვიტყუო, ისაბელი რომ მოკვდა, მაშინ მე ოცდარვა წლისა ვიყავი, ახლა კი ორმოცდაცხრისა ვარ... ერთი რამ კი უდავოა: ახლა რომ გამომეცხადოს ისაბელი, ის ისაბელი, ტაკუარემბოდან 1935 წელს წერილი რომ მომწერა — შავთმიანი, გამომწვევი, თქომრგვალი და ფეხებჩამოქნილი, — „ვწუხვარ, მაგრამ...“ — ვიტყვოდი და წაეიდოდი აველიანედასთან. ეს უდავოა!

ოთხშაბათი. 7 აგვისტო

აველიანედა რომ არ შემოსულიყო ჩემს ცხოვრებაში, შეიძლება მქონოდა ყოყმანის უფლება ახალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით. ბევრისთვის პენსიაზე გასვლა საბედისწერო ნაბიჯია. ბევრმა ვერ გადაიტანა ეს მკვეთრი ცვლილება თავის ცხოვრებაში. ეს ადამიანები თანდათანობით გამოიფიტნენ, გაიყინენ და დაგლახაკდნენ. მე ალბათ ასეთი რამ არ დამემართება. თავის იმედი მაქვს, მაგრამ პენსიაზე გასვლის მოახლოება მაინც დამზაფრავდა, რადგან პენსია მხოლოდ და მხოლოდ ერთერთი ვარიანტია მარტოობისა. აველიანედა რომ არ გამოჩენილიყო, ასე იქნებოდა ეს ყველაფერი ჩემთვის სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ახლა ის გვერდით მყავს და მარტოობა არ მეღის, უფრო სწორად, ვიმედოვნებ, რომ არ მეღის. თავმდაბლობაა საჭირო, თავმდაბლობა არა სხვების წინაშე — მიმიფურთხებია სხვებისთვის — არამედ საკუთარი თავის წინაშე. როცა გულწრფელ აღსარებას ამბობ, როცა საბოლოო სიმართლეს აღწევ, იმ სიმართლეს, რომელიც უფრო ხმამაღლა ჟღერს, ვიდრე სინდისის ხმა, რამეთუ ეს ხმა ხშირად იხრინწება, სუსტდება და ბოლოს ქრება — აი, სწორედ აქ არის საჭირო თავმდაბლობა. ახლა მე ვიცი, რომ ჩემი მარტოობა მხოლოდ საშინელი ანრდილია. რომელიც აველიანედას გამოჩენისთანავე გაქრა სამუდამოდ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მარტოობა სადღაც ფეთქავს, ძალას იკრებს, იმალება სადღაც

ჭუჭყიან სარდაფში, სადღაც ჩემი მონოტონური არსებობის შორეულ კუნჭულში. სწორედ ამიტომ, მხოლოდ ამიტომ თავს ნებას არ მივცემ თვითდაჯერებისას და თავმდაბლურად ვამბობ: ვიმედოვნებ.



სუთშაბათი, 8 აგვისტო

წამსვე გულს მომეშვა. განვაცხადე, მოადგილის თანამდებობაზე ვამბობ-მეთქი. მმართველი იღიმებოდა. კმაყოფილებას ვერ ძალავდა. მას არ სურდა ჩემთან მუშაობა. ალბათ ყოველნაირადაც ცდილობდა აცილება მიეცა ჩემი კანდიდატურისათვის, ჩემმა უარმა კი საბოლოოდ განუმტკიცა ვარაუდები: „აი ხომ ხედავთ, მე ხომ ვამბობდი, ეს კაცი უხერხემლო კაცია, ცხოვრებისეული ბრძოლის უნარი არ აქვს. მმართველის მოადგილე უნდა იყოს აქტიური, ენერგიული. ახალ-ახალი საქმეების მოთავე. ეს კი უკვე ძალაგამოცლილია“. მე თითქოს ვხედავ, ამ სიტყვების წარმოთქმისას როგორ აწვალებს იგი თავის კოტიტა, თავხედურ, თვითკმაყოფილ და გულისამრევ ცერა თითს. კმარა! ახლა მე მშვიდად ვარ.

ორშაბათი, 12 აგვისტო

გუშინ დღისით მაგიდას ვუსხედით, არაფერს არ ვაკეთებდით, არც ვლაპარაკობდით. ცარიელ საფერფლეზე თითებს ვაკაკუნებდი. მოწყენილები ვიყავით, სწორედ რომ მოწყენილები, მაგრამ ეს მოწყენილება სინაზითა და სინათლით იყო სავსე. აველიანედა ერთხანს შემომცქეროდა, უცებ ტუნები გადახსნა და ერთი სიტყვა წარმოთქვა, მხოლოდ ერთი სიტყვა: „მიყვარხარ“. მაშინვე თავში გამკრა: ის ხომ პირველად მეუბნება ამ სიტყვას, ის ხომ თავის ცხოვრებაში პირველად ამბობს ამ სიტყვას. ისაბელი დამეში ოცჯერ მაინც მეუბნებოდა ამ სიტყვას, ისაბელისთვის ეს სიტყვა კოცნა იყო, სასიყვარულო თამაში იყო. აველიანედამ მხოლოდ ერთხელ თქვა და ასეც უნდა იყოს. მეტჯერ არც არის საჭირო, რადგან ჩვენ არ ვთამაშობთ. აველიანედას ნათქვამ ამ ერთ სიტყვაში — სიცოცხლის არსია ჩადებული. მკერდზე შემომესალტა რაღაცა და ფელშიც გამეჩხირა უცხად გორგლად ქცეული სული. არაფერი არ მტკიოდა და ვიზრჩობოდი, ჰაერი არ მყოფნიდა. „ადრეც მიყვარდი. — ჩურჩულით თქვა მან. — მაგრამ არ ვამბობდი იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რატომ მიყვარდი. ახლა ვიცი“. თავს ძალა დავატანე, არ დავმზვრჩვალყავი. ერთი გავიბრძოლე და ამოვისროლე ჰაერი, რომელიც თითქოს სამარადქამოდ და ღრმად გახერგილიყო ჩემს ორგანიზმში. სული მოვითქვი... ყოველთვის, როცა რაღაცას ვიხსნიან, შვებით სუნთქავ. გაურკვეველობით ტკბობა — საიდუმლოს ამოხსნის ლოდინი — მე ძალას მართმევს. კიდევ კარგი, რომ ბოლოს და ბოლოს ყოველთვის ყველაფერს ვიხსნიან: „ახლა ვიცი. იმიტომ კი არა, რომ შენი სახე. ასაკი. ქცევა მომწონს, იმიტომ, რომ შენ ნამდვილად კარგი ადამიანი ხარ“. ასე გულისამარუებლად და უმუალოდ ვერ მე არავის შევუქვივარ. მინდა მჯეროდეს, რომ ეს მართლაც ასეა, რომ მე მართლა კარგი ადამიანი ვარ. ეს წუთი ალბათ აღარასოდეს განმეორდება, ვგრძნობდი, რომ ვცოცხლობდი... ის, რაც მკერდზე მიჭერდა, იხიც სიცოცხლე იყო.

სუთშაბათი, 15 აგვისტო

მოძავალი ორშაბათიდან იწყება ჩემი ბოლო შვებულება. „დიდი დასვენების“ წინამორბედი. ხაიმესი არაფერი ვიცი.

პარასკევი, 16 აპრილი

უსიამო ამბავი შემემთხვა. რვის ნახევარზე ანიბალს შევხვდი კაფეში ცოტა ხანი დაკვივით. მერე ტროლეიბუსშიც ჩავსხედით, ერთი გვექონდა, ოღონდ ის ადრე უნდა ჩამოსულიყო. ვსაუბრობდით ქალებზე, ქორწინებაზე, ერთგულებაზე და ათას რამეზე ზოგადად. მე ჩუმად ვლპპპპპპპპპპპპ რადგან მუდამ ვერიდები უცხოთა ყურს, ანიბალი ისეთი ხმამაღალი ხურორულით ლაპარაკობდა, რომ არ გაგვეგონა, არ შეიძლებოდა. ანიბალის გვერდით, გასასვლელში ოთხკუთხასახიანი, შლაპიანი მოხუცი ქალი იდგა. შევამჩნიე, ყურადღებით გვიხმენდა, მაგრამ რაკი ანიბალი მეტიმეტად ზნეობრივსა და ზემორალურზე ქადაგებდა, ვიფიქრე, უსმინოს რამდენიც უნდა-მეთქი. ანიბალი რომ ჩავიდა, ქალი გამომელაპარაკა: „არ დაუჯეროთ ამ სატანას!“ გაოგნებულმა ვერც მოვასწარი მეკითხა, „რა მითხარით“?, რომ განაგრძო: „ღიახ, ღიახ, ნამდვილი სატანაა. სწორედ მასეთები ანგრევენ ოჯახებს. ოჰ, კაცებო, კაცებო, რა ადვილად ადანაშაულებთ ქალებს! დამიჯერეთ, როცა ქალი თავმოდრეკილია, ყოველთვის მამაკაცია დამნაშავე. თაღლითი და იდიოტი არაკაცი ქალის არსებაში ჰკლავს საკუთარი თავის რწმენას“, — დედაბერი ლამის ყვიროდა. ყველანი ჩვენკენ მობრუნდნენ, უნდოდათ დაენახათ, ვის მოძღვრავდნენ ასე საგულდაგულოდ. ვიდექი მე — მატლი — საცოდავად, დედაბერი კი თავისას არ იშლიდა: „მე ბატლიეს! პარტიის წევრი ვარ, მაგრამ განქორწინებას არ ვემხრობი, არაერთი ოჯახი ინგრევა ჩვენს ქვეყანაში... იცით, მაგ სატანის ბოლო რა იქნება, თქვენ რომ რჩევებს ვაძლევდათ? აჰ. არ იცით? სამაგიეროდ მე ვიცი. ციხე ან თვით-მკვლელობა! კარგიც იქნება ძალიან. ბევრნი არიან მასეთები, კოცონზე უნდა დაწვა ყველანი!“ უცებ წარმოვიდგინე ცეცხლის ენებზე მკრუნჩხავი ანიბალი. მაშინ გამბედაობა მოვიკრიბე და ვთქვი: „მაპატიეთ, სენიორა. იქნებ გაჩუმებულყავით. ის ბატონიც თქვენი შეხედულებებისაა, უბრალოდ, თქვენ ვერ გაიგეთ.“ ამაოდ დაუშვრი. დედაბერი თავისას გაიძახის: „აბა, გაიხსენეთ, რა ოჯახები იყო წინათ. მაშინ მართლა არსებობდა მორალი. მიდიხარ ქუჩაში სალამოხანს, ხედავ, თავიანთი სახლის წინ სხედან ცოლი, ქმარი, შვილები, თავახიანნი, ერთგულნი. აი ნამდვილი ოჯახური ბედნიერება ეს არის. თქვენ კი, ყმაწვილი, ირწმუნებით, ქალია დამნაშავეო. წყალწალელებულიაო, ცუდ გზას დაადგაო. სულის სიდრმეში ყველა ქალი წესიერია. გაიგეთ?“ — ქალი მთელი ტროლეიბუსის გასაგონად ყვიროდა. ლამის ზედ ცხვირთან მიტრიალებდა თითს, შლაპა გვერდზე მოქცეოდა. უნდა ვაღიარო, მის მიერ დახატულმა სახლის წინ გამოფენილმა იდეალურმა ბედნიერმა ოჯახმა დიდად ვერ ამიჩუყა გული. მერე მზრუნველობით მოძმართა: „გირჩევთ არ დაუჯეროთ, სენიორ, იმ კაცს. ყურს რუ დაუგდებთ, გადაიხარხარეთ და წადით“. „იქნებ თქვენც ვადაგებარხარებინათ, ვიდრე ასე განრისხდებით?“ ატყდა ხმაური, ხალხი ორად გაიყო, ზოგი დედაბერს მიემხრო, ზოგი — მე, უფრო სწორად, მე კი არა. წარმოსახულ მეტოქეს — აჩრდილს, რომელსაც დედაბერი ასე კრულავდა. „დაიძახსოვრეთ: თუმა-ცა მე ბატლიეს პარტიის წევრი ვარ, მაგრამ განქორწინების მოწინააღმდეგე მაინცა ვარ!“ მაშინ მიეხვდი, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, აღარ დავე-

1. ბატლიეს პარტია („კოლორადო“) დაარსდა 1830 წ. გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემკვიდრეთა ინტერესებს. X. ს. დასაწყისიდან იხსენიება თავისი ყოფილი ლიდერის ბატლიე - ი. ბორონიესის სახელით.

ლოდე, ბოდში მოუხადე და ჩემს გაჩერებადღე ათი კვარტალით ადრე ჩამო-
ვედი.

შაბათი, 17 აგვისტო

დილით დირექციის ორმა წევრმა მოინდომა ჩემთან საუბარი. შაბათი უბ-
რალოზე უბრალო იყო: სურდათ საუბრისას როგორმე ეგრძნობებოდა ჩემთვის,
რა არარაობაც ვარ მათ თვალში და რა შემწყნარებლურია მათი ხიზლი ჩემ მი-
მართ. ამ საცოდავებს, ამ სულბნელ კაცუნებს, აქაოდა, რბილ საეარძელში
ვართ მოკალათებულნიო, თავი ყველაფრის შემძლე თუ არა, ოლიმპოსთან მიახ-
ლოებული მაინც ჰგონიათ. მათ შიალწიეს მწვერვალს, ბედნიერების ზღვარს.
ფეხბურთელისთვის ბედნიერების ზღვარი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას,
მორწმუნესათვის — ღმერთის ხმის გავონება, მგრძნობიარე ადამიანისათვის —
მონათესავე სულის პოვნა, ამ უბედურთათვის ბედნიერების ზღვარი დირექტო-
რის სავარძელია (ბევრია ისეთი, ვისაც სწორედ ეს არ იზიდავს), ოღონდ იუ-
ფროსონ, ადამიანთა ბედობალი საკუთარი სურვილისამებრ მართონ, და მეტი
არც არაფერი უნდათ ამ ცხოვრებაში, გაბლენძილებს თავი ვილაცად წარმოუდგე-
ნიათ, მაგრამ დღეს რომ მათ შევცქეროდე, ვილაცა კი არა, რაღაცა არიან, ადა-
მიანები კი არა, ნივთები არიან. საინტერესოა, მე რაღა ვარ მათ თვალში? აღ-
ბათ ერთი უჭკუო, უმაქნისი კაცი, რომელმაც გაბედა და უარი თქვა ოლიმპზე
მოხვედრაზე. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ყური მოვკარი, ერთმა ამათთაგანმა
რომ თქვა: „როცა თანამდებობის კაცი თავის თანამშრომლებს ისე ექცევა, რო-
გორც ადამიანებს, იგი უდიდეს შეცდომას სჩადის“. ეს სიტყვები სამუდამოდ
დამამახსოვრდა და ალბათ არც არასოდეს დამავიწყდება, თუნდაც იმიტომ, რომ
არ შემიძლია ამის პატიება. მხოლოდ საკუთარი თავის გამო კი არა, მთელი კა-
ცობრიობის გამო, ეს სიტყვები ახლა ასე მინდა შევაბრუნო: „როცა თანამშრო-
მლები თავიანთ უფროსს ისე ექცევიან, როგორც ადამიანს, ისინი უდიდეს
შეცდომას სჩადიან“. მაგრამ თავს ვიკავებ. ბოლოს და ბოლოს ესენიც ხომ ადა-
მიანები არიან, მართალია, გადაგვარებულნი. მაგრამ მაინც ადამიანები. ისინი
სიბრაღულს ამსახურებენ, ყველაზე ზიზღიანსა და ყველაზე დამამცირებელ
სიბრაღულს, რამეთუ მათი ქედმაღლობის, საკუთარ თავზე თავხედობამდე მი-
სული დიდი წარმოდგენისა და ქლესაობის სქელი ქერქას მიღმა სიცარიელე
აქვთ ჩაბუღებული. სიღამძლე და სიცარიელე რაც მთავარია, უსამინელეს მარ-
ტობაში არიან: საკუთარ თავთანაც კი ვერ რჩებიან მარტო რაც არ არის,
რასთან დარჩებიან!

კვირა, 18 აგვისტო

„მიამბე რამე ისაბელზე“. აველიანედას აქვს საოცარი უნარი, გული გადა-
მამლევინოს და ამ გზით საკუთარი თავიც გავიცნო. მე დიდხანს ვიყავი მარტო,
წლები მიფრინავდნენ, მე კი არასოდეს არავისთან არაფერი მითქვამს საკუთარ
ცხოვრებაზე, გული არავისთვის გამიხსნია, არც არავის ცდილა დახმარების
ხელი გამოეწვდინა ჩემთვის, განეწმინდა, გაენათებიან ჩემი სულის ჩაწყვარა-
მებული კუთხე-კუნჭულები. შეედწია ჭეშმარიტ სურვილთა ჯერ კიდევ ფეხ-
დაუდგამ ტევრში და აშიტომაც გადამექცა მარტობა წესად, ჩვევად: გაკბილი,
გავიყინე, დავკარგე უნარი საკუთარი სიცოცხლის შეცნობისა, და ამ დროს
გამოჩნდა აველიანედა, მეკითხება ყველაფერზე, ეს იმას ნიშნავს, მეც შევეკით-
ხო საკუთარ თავს რაღაც-რაღაცებზე, ყინვა ღნება, სისბი მელურება სულში

და ვგრძნობ, ცოცხალი ვარ, დიან, ცოცხალი, „მიაბზე რამე ისაბელზე“, მეუბნება ასე უწყინრად, ასე უბრალოდ და მაინც... ისაბელი — იგი არის ჩემი, თუ იყო ჩემი? — ეს მხოლოდ ჩემი საქმეა, ჩემი — ისაბელის ქმრისა, რა ყმაწვილი ვიყავი მაშინ. ღმერთო ჩემო! ისაბელი რომ ვნახე პირველად, არ ვიცოდი, რა მინდოდა, რას ველოდი მისგან ან საკუთარ თავისაგან. არ ვეძებდი, არ ვეძებდი იყო ბედნიერება, რა იყო უბედურება, თუ რამე მიხაროდა — ბედნიერებასა თუ ჩემთვის, თუ რამეზე ვწუხდი — უბედურება. სწორედ ეს არის სიყმაწვილე, გრძნობების სტიქიურობა, მაგრამ ზოგჯერ რა უძირო ნაპრალში გვიბიძგებს ხოლმე ხელს ეს სტიქიურობა! მე მაინც გამიმართლა. ისაბელი იყო კეთილი, მე — არც მოლად უჭკუო. ჩვენი ურთიერთობა ყალიბდებოდა იოლად, სირთულეების გარეშე მაგრამ ხომ შეიძლებოდა თანდათანობით, დროთა განმავლობაში დაგვჩლუნგებოდა ეს ჩვენი ურთიერთლტოლევა, მაშინ რა დაგვრჩებოდა? „მიაბზე რამე ისაბელზე“ — აველიანედა სრულ გულახდილობას ელის ჩემგან. ვიცი, რასაც ვწირავ მსხვერპლად. მართალია, აველიანედასთვის უცხოა მტრობა, თვითდაჯერება და მეტოქეობა, მაგრამ წარსულზე ეჭვიანობა მაინც საშინელი რამ არის. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე ყველაფერი გულახდილად შეამბნა. ასეც მოვიქეცი ყველაფერი უუამბე ისაბელზე და ჩემზე. არც სხვა ისაბელი მომიგონებია და არც საკუთარი თავი შემიმკია ქება-დიდებათ. რა თქმა უნდა, სურვილი მქონდა თავი მომეწონებინა — ადამიანს ყოველთვის აქვს სურვილი თავი მოიწონოს, მით უმეტეს საყვარელი არსების წინაშე და მით უმეტეს მაშინ, როცა ვინდა ეს არსება დაარწმუნო, რომ შენ სიყვარულის ღირსი ხარ, მაგრამ მე მაინც მხოლოდ სიმართლეს ვამბობდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აველიანედა ღირსია სიმართლისა და მეორეც, ბოლოს და ბოლოს მეც ღირსი ვარ, დამლალა ამდენმა მოჩვენებითობამ, დამლალა ამ ნილაბმა, რის მიღმაც ჩემი საბრალო, ბებერი სახე იმალებოდა... ვასაკვირი არ უნდა იყოს, როცა აველიანედას ვუამბობდი, როგორი იყო ისაბელი, თანდათანობით ვიგებდი, როგორი ვიყავი მე.

ორშაბათი, 19 აგვისტო

დღეს ჩემი ბოლო შევებულება დაიწყო. მთელი დღე წვიმდა. მთელი დღე ჩვენს ბინაში გავატარე, ორი ჩამრთველი გამოვცვალე. პატარა კარადა გადავლეხე და ორი პერანგიც ვავირეცხე. აველიანედა რვის ნახევარზე მოვიდა, რვაზე კი წავიდა დეიდასთან დაბადების დღეზე. აველიანედამ მითხრა, შენი შემცვლელი მუნისი მთელი დღე ყვიროდა, მბრძანებლობდა, კრიჭაში ეღვა ყველას, რობლედოსთან წახუბებაც მოასწროს.

სამშაბათი, 20 აგვისტო

თქვა უკვე, რაც ხაიმე წავიდა სახლიდან. მინდა თუ არ მინდა, ყოველწუთს მახსოვს იგი. ნეტავი ერთხელ მაინც დამალაპარაკა მასთან!

ხუთშაბათი, 22 აგვისტო

უკანტოროდ რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს. ალბათ იმიტომ, რომ ეს არ არის ნამდვილი თავისუფლება. ეს არის თავისუფლება განსაზღვრული დროით. მერე ხომ ისევ კანტორაში მიწევს მისვლა!

პარასკევი, 23 აპრილი

გადავწყვიტე, გავაოცო აველიანედა. კანტორიდან ერთი კვარტალის მოშორებით დაეხვდი. რვის ხუთ წუთზე გამოჩნდა, რობლედო მოჰყვებოდა. არ ვიცნობ ვაჟბატონი რას უყვებოდა ასეთს, რომ აველიანედა გულიანად იცინოდა. ნეტ როდის აქეთ გახდა რობლედო ოხუნჯი? კაფეში დავიძალე, ჩამჯერეს ლუკა. კაფეში ოცდაათიოდე ნაბიჯზე. ანდესზე ერთმანეთს დაემშვიდობნენ. აველიანედა სან-ხოსეზე გადაუხვია, რა თქმა უნდა, ჩვენს ბინაში მიდის. ერთ ჭუჭყიან კაფეში შევედი, ყავა მომიტანეს. ფინჯანზე პომადის კვალი აჩნდა და აღარ დავლიე, მაგრამ არც ოფიციალტისთვის დამიძახნია. აღელვებული და შეშფოთებული ვიყავი, რაც მოვარია უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავის გამო. რა მოხდა ასეთი, აველიანედა რობლედოსთან ერთად მიდიოდა და იცინოდა! განა არ შეიძლება აველიანედას ჩვეულებრივი, უბრალო დამოკიდებულება ჰქონდეს ვიღაცასთან? აველიანედა ქუჩაში მიდის ახალგაზრდა კაცთან ერთად, თავის ტოლ ყმაწვილკაცთან ერთად და არა ჩემნაირ ბებრეკთან ერთად, რა არის ცუდი? წარმოვიდგინე აველიანედა – თავისუფალი, ჩემგან თავისუფალი. რა თქმა უნდა, არც აქ არის რამე ცუდი და მაინც შეშფოთებული ვარ ალბათ იმიტომ, რომ პირველად მივხვდი: აველიანედას შეუძლია იცხოვროს. წავიდ-წამოვიდეს, იცინოს, აღარ სჭირდებოდეს ჩემი მფარველობა (მე უკვე აღარ ვარ ბობ, ჩემი სიყვარული-მეთქი). დარწმუნებული ვარ, რობლედოს სამსახურის საქმეებზე ელაპარაკება... იქნებ არა? რობლედომ საიდან უნდა იცოდეს, რომ აველიანედა თავისუფალი არ არის? რა სამაგელი, სულელური პირობითი სიტყვებია: „თავისუფალი არ არის“. რისთვის არ არის თავისუფალი? ეტყობა, იმიტომ უფრო აფფორიაქდი, რომ თვალნათლივ დაერწმუნდი: აველიანედა თავის ტოლებში უკეთ გრძნობს თავს, მით უმეტეს, ყმაწვილკაცებთან. და კიდევ ერთ რამე: რასაც მე ვხედავ ახლა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს ამას, მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც მე ვჭვრეტ მომავალში – ყველაფრის დაკარგვის საფრთხეს. რობლედო აველიანედას სულ არ აინტერესებს. რობლედო უსულო ყმაწვილია, აველიანედას ვერ მოაწონებს თავს. მაგრამ მე ხომ აველიანედასაც არ ვიცნობ კარგად. საბოლოოდ რა გამოდის? ვთქვათ, რობლედო არ მოსწონს, სხვები? ხომ არიან კიდევ კაცები ამქვეყნად? თუ ერთ ახალგაზრდა კაცს შეუძლია გააცინოს, სხვაც ბევრი ხომ შეუძლია მოეწონოს? როდესაც აველიანედას დავტოვე (მისი ერთადერთი მეტოქე სიკვდილია, ვერაგი სიკვდილი, რომელიც ყველას ხვედრია), მის წინ გადაიშლება მთელი ცხოვრება, დიდხანს იცოცხლებს და ბოლომდე შერჩება გულსუფთა და ხალასი გული. მაგრამ თუ აველიანედა მიმატოვებს მე (ჩემი ერთადერთი მეტოქე შამაკაცია, ახალგაზრდა, ჯან-ღონითა და იმედებით სავსე), ველარ ვიცოცხლებ, რამეთუ მომაკლდება ჩემთვის განკუთვნილ დროის ბოლო წუთები და გული ჩემი, დღეს ასე ბალისიანი და გაახლებული, უიმისოდ გაიფინება და დატკნება.

ყავის ფული გადავიხადე (თუმცა არ დამიღუვია) და გავეშურე ჩვენი ბინისაკენ. სამარცხვინო შიში მთრგუნავდა, შიში მისი ღუმილისა, მე ხომ ახლავე ვიცოდი, თუ აველიანედა აავიდან არაფერს მეტყვის, მე არაფერს ვკითხავ არც უსაყვედურებ. მდუმარედ გადავიტან ჩემს დარდს და, ეჭვი არ არის, დაიწყება ტანჯვითა და დამცირებით სავსე გრძელი დრო. ეჭვიანი ვიყავი ყოველთვის და უბედურებას ველოდი ყოველთვის... კარს რომ ვაღებდი, ხელი მიკაკლავდა. „რატომ დაგაკვიანდა? – გამოძახა აველიანედამ საშხარეულოდად – გელოდები, უნდა გაამბო, რობლედომ რაები გააკეთა. ეს ვინ ყოფილა! კარგა

ხანია ასე არ მიცინია!“ – სასტუმრო ოთახის კარის ზღურბლზე დადგა. წინსაფარაფარებულს მწვანე ქვედა კაბა და შავი სვიტერი ეცვა. მე ჩავხედე ანთებულ, სუფთა, მართალ თვალებში. იგი ვერასოდეს გაიგებს, რისგან მინდა მისმა სიტყვებმა. მივიზიდე, ხელი მოვხვიე და ვიგრძენი, კვლავ როგორ დატრიალდა დედამიწა თავისი ღერძიზ გარშემო, როგორ გადაიწია ქვეყნული ჯერჯერობით უსახელო მომავალში ის საშინელი საფრთხე, რასაც სხვადასხვა და სხვა კაცი“ ჰქვია. „აველიანედა და მე“, – წარმოვთქვი ჩუმად. იგი ვერ მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ სამაგიეროდ იმას მიხვდა, რაღაც მნიშვნელოვანი რომ ხდებოდა. ოდნავ უკან გადაიხარა, ხელები კვლავ მხრებზე დამაწყო და მბრძანებლურად მითხრა: „აბა, კიდევ თქვი!“ „აველიანედა და მე“, – ვთქვი მორჩილად. ახლა ღამის ორი საათია. მარტო ვარ და უსასრულოდ ვიმეორებ: „აველიანედა და მე...“ – ვიმეორებ და ვგრძნობ ძალას, სიამაყეს, რწმენას.

შაბათი, 24 აპრილი

იშვიათად ვფიქრობ ღმერთზე, მაგრამ ვგრძნობ, რომ მინდა მწამდეს. მინდა დავრწმუნდე, რომ ნათელი წარმოდგენა მაქვს ღმერთზე, რომ მესმის მისი, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არ ხდება. ღმერთი იმ იშვიათ წუთებში მახსენდება, როცა მისი არსებობის საკითხი ჯიუტად და დაჯერებით ითხოვს გადაწყვეტას, როცა აღელვებულს გონიერება კვამლივით მეფანტება და ვერაფერს მშველის. „ღმერთი ყველაფერია“, – ხშირად იმეორებს აველიანედა. „ღმერთი არაა ყველაფრისა, – ამბობს ანიბალი, – ყოველთა წონასწორობა და ჰარმონიულობაა. ღმერთი არის „საგანთა უდიადესი კავშირი“. შემოდგომა ჩავწვდე, გავიგო ეს განმარტებები, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ჩემი არ არის. იქნებ აველიანედა და ანიბალი მართალნი არიან, მაგრამ მე ასეთი ღმერთი არ მინდა. მე მინდა ისეთი ღმერთი, ვისაც შემეძლება დაველაპარაკო, დახმარება ვთხოვო, კვითხო რაღაც-რაღაცები, ეჭვები გავანდო, იმან კი მიპასუხოს. თუ ღმერთია ყველაფერი – საგანთა უდიადესი კავშირი, ძალა, სამყაროს არსებობის საძირკველი – მაშინ რაღაც განუზომელი და უსასრულო ყოფილა და საინტერესოა, რა ადგილი მიკავია მის საუფლოში მე – პაწაწკინტელა ატომს, საცოდავ ჩრჩილს? და თუმცა მე მართლაც საცოდავი ჩრჩილი ვარ, მაინც მინდა, რომ ღმერთი გვერდით მყავდეს და შევეხო მას. რა თქმა უნდა, ხელით არა, არც ტვინით, – გულით!

კვირა, 25 აპრილი

აველიანედამ თავისი ბავშვობისდროინდელი სურათები მომიტანა, თან მოაყოლა ნათესავებისაც. სურს გამაცნოს თავისი ახლობლები. განა ეს არ არის სიყვარულის საბუთი? აგერ აველიანედა – პატარა, გამხდარი, შავთმიანი გოგონა შემინებული იყურება. აველიანედა დედისერთაა. მეც დედისერთა ვარ, ეს კი არც ისე მარტივი საქმეა, ადრე თუ გვიან გავიჭირდება, იგრძნობ, რომ მარტოსული ხარ. ერთი სურათი მშვენიერია: აველიანედას გვერდით უზარმაზარი ნაგაზი უდგას. ძალდი ისეთი თვალებით შესცქერის, თითქოს ეუბნება, აბა, გაბედოს ვინმემ და ხელი დაგაკაროს, აგერ ვარ მეო. ჩემი აზრით, მთელი ქვეყნიერებაა მზად, აველიანედას მფარველობა გაუწიოს, მაგრამ იგი არც ისე უსუსურია, კარგად იცის, რა უნდა და რა არა. გარდა ამისა მე მომწონს მისი ურყეობა, გულდაჯერებულობა. აველიანედა დარწმუნებულია, რომ სამსახური მას ახრჩობს, რომ თავს იგი არასოდეს მოიკლავს, რომ მარქსიზმი მცდარია, რომ

მე მოვწონვარ, რომ სიკვდილი სულაც არ წარმოადგენს სიცოცხლის დასასრულს. რომ მისი მშობლები შესანიშნავი ადამიანები არიან, რომ ღმერთი არსებობს, რომ ვისიც სჯერა, არასოდეს უმტყუნებენ, რომ.. მე ასე გადაწყვეტილად მარასოდეს ვიმსჯელებ რამეზე, მაგრამ ყველაზე კარგი ის არის, რომ აველიანება არ ცდება. იგი თავისი ურყეობით აფრთხობს ბოროტ ბედისწერას. აგერ კიდევ ერთი სურათი: აველიანება დედ-მამასთან ერთად. აველიანება თორმეტი წლისაბ. ვუყურებ სურათს და რაღაცნაირად მეც მიპყრობს გულდაჯერებულობა — ვხედავ იშვიათ, მშვენიერ, მეგობრულ ოჯახს. დედას რბილი სახე აქვს, თხელი ცხვირი, შავი თმა, თეთრი სახის კანი, მარცხენა ლოყაზე ორი ხალი აზის, თვალები შუქიანი აქვს. შესაძლოა ზედმეტად შუქიანიც არა მგონია, ქალი, რომელიც ასეთი თვალებით შესცქერის ცხოვრებას, მთლიანად იყოს ჩართული ამ ცხოვრებაში, მაგრამ გაგებით კი გაეგება ალბათ ყველაფერი. მამა მაღალი, მხრებეწრო კაცია, უკვე იმ ხანებში შესამჩნევად გამელოტებულა, მიუხედავად თხელი ტუჩებისა და წვეტიანი ნიკაპისა, სახე სულაც არა აქვს ბრაზიანი. მე უპირველეს ყურადღებას ყოველთვის თვალებს ვაქცევ. მამამის თვალები მთლად დალაგებული კაცისა არა აქვს, არც შემლილისა, მაგრამ განდგომილი კაცის თვალები კი ნამდვილად აქვს. ამ ქვეყანას, ეტყობა, გაოცებული შესცქერის, ვერ გაუგია, აქ საიდან და როგორ აღმოჩნდა. აველიანებას მშობლები კეთილი ადამიანები არიან (სახეზე ვატყობ), მაგრამ დედამისის სიკეთე უფრო ახლოა ჩემთან, ვიდრე მამამისისა, რომელიც კარგი კაცია, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა არ ებერბება, ძნელია გამოიცნო, რას მოიმოქმედებს, როცა დაეუფლება ამ უნარს. „ჩემს მშობლებს ერთმანეთი უყვართ, დარწმუნებული ვარ, — ამბობს აველიანება, — მაგრამ ასეთი სიყვარული მე რატომღაც არ მომწონს. — ჯერ ეჭვიანად აქნევს თავს „მერე უცებ გადაწყვეტილად ამბობს:— ნამდვილ სიყვარულს ბევრი გრძნობა ახლავს თან და თანაც ისე ახლოს, რომ შეიძლება ერთმანეთში აეროს კაცს: სიმპათია, ნდობა, სიბრალული, მეგობრობა, შეჩვევა თუ სინაზე — არ ვიცი, რომელი მათგანი სჭარბობს ჩემი მშობლების ურთიერთობაში. ძნელია ამის გარკვევა და განსაზღვრა, მე მგონია, თითონაც არ იციან. ერთი-ორჯერ ვკითხე დედაჩემს ამის თაობაზე. მითხრა, ჩვენი ურთიერთობა ძალზე მშვიდი და ზომიერიაო. ეს კი, ჩემი აზრით, ნიშნავს იმას, რომ მათ შორის ნამდვილი სიყვარული არ არის. ასეთი სიმშვიდე, თავშეკავებულობა, მარტივად რომ ვთქვათ, ვნებათა უქონლობა, უბრალოდ, აუტანელია, საყვედურის თქმაც არ შეგიძლია, რადგან მიზეზი არ არის. თითოეულმა იცის, ცოლმაც და ქმარმაც, რომ მეორე კეთილი, პატიოსანი და დიდსულოვანი ადამიანია. იციან აგრეთვე, რომ რა მშვენიერიც არ უნდა იყოს მათი ურთიერთობა, სიყვარული იქ მაინც არ არის და მათ გულებსაც არ უწერიან ცეცხლით გზნება. ეს იციან მათ და მაინც ერთად არიან, დროთა განმავლობაში უფრო მეტად და მეტად ეჩვევიან ერთმანეთს“. „მე და შენი საქმე როგორღაა? ანთია ჩვენი გულები?“ — ვკითხე მე, მაგრამ აველიანება სადღაც მიღმა იცქირებოდა. მის თვალებში მე ამოვიკითხე გაურკვეველობა და გაოცება: აველიანებასაც ვერ გაეგო, როგორ აღმოჩნდა იგი ამ ქვეყანაზე.

ორშაბათი, 26 აგვისტო

ბლანკა დიეგოსთან წავიდა სასაუბროდ. მე და ესტებანი შუადღისას მარტონი დავრჩით. შვებით ამოვიხუნთქე, ესტებანმა თურმე ყველაფერი იცის, ხაიმეს უთქვამს. „ბოლომდე ვერ გამიაზრებია, მამა, შენი განზრახვა. მე მგონია, საუკეთესო ვარიანტი არ უნდა იყოს, ცხოვრება დაუკავშირო ასე ახალგაზრდა

ქალს, მაგრამ ერთი რამ შემიძლია მტკიცედ ვითხრა: შენს გაკიცხვას არ ვაპირებ. ვიცი მე, რა ადვილია ასე შორიდან სხვის მსაჯულად ყოფნა. როცა საქმე პირადად შენ არ გეხება, განსჯაც ვიადვილდება, რა არის კარგი და რა არის ცუდი, მაგრამ საკმარისია საკუთარ თავზე იწვნის (ასეთი რამ კი მე არაერთხელ შემხვედრია), რომ მაშინ ყველაფერს სხვანაირად ხედავ, გრძნობები განსხვავდება, ზედაპირზე ამოდის სადღაც სულში ჩაძირკვული წესები მოგვრეული, რომ არ ვიქვირს მოსალოდნელი მსხვერპლი და გაწირულობა, ამ დროს ეს ყველაფერი გაუგებარია გულგრილი გარედან მაცქერალისთვის. დემეტომა ქნას, საქმე კარგად წავივიდეს, გარეგნულად კი არა, ნამდვილად კარგად. რა სჯობია იმას, როცა გრძნობ, რომ გვერდით გყავს ადამიანი, ვისი იმედიც გაქვს და ვისაც შენ ეგულები იმედად – ეს არის ერთ-ერთი ტკბილი განცდა, რომელიც კი განგებას უბოძებია ადამიანისათვის. დედა ცუდად მახსოვს. ჩემს მოგონებებს ფენა-ფენად აღაგია სხვისი მოგონებები მასზე. დედაჩემის სახე ჩემს წარმოსახვაში რაღაცნაირად არის გამრავლებული და, მართალი ვითხრა, აღარ ვიცი, ამ რამდენიმე სახიდან რომელია საკუთრივ ჩემი. იქნებ მხოლოდ ეს ერთი სახეაა, რომელიც ყველაზე ნათლად მახსოვს: ზის დედა საძინებელში და იყარცხნის ძბრებზე ტალღებივით დაფენილ იმას, ხომ ხედავ, რა უმნიშვნელო და ცოტა რამ მახსოვს, მაგრამ სამაგიეროდ დროთა განმავლობაში ჩამოვაყალიბე ჩემი წარმოდგენა მასზე: იდეალური, მიუწვდომელი, ლამის ზეციური არსება და თანაც ლამაზი. ხომ იყო ლამაზი? მესმის, ჩემს ამ წარმოსახვას ალბათ ცოტა რამ აქვს საერთო დედაჩემთან, როგორც იყო ის სინამდვილეში, მაგრამ მაინც შეწყინა, ხაიშემ რომ იმ ქალთან შენს ურთიერთობაზე მიაბბო. არ გიმალავ, შეწყინა, მაგრამ ნელ-ნელა შევეგუე იმიტომ, რომ ვიცი, რა მარტოსულიცა ხარ. გაკვირდებოდი, ვხედავდი, როგორ გამოცოცხლდი და დავრწმუნდი, სწორად მოიქეცი. არ გამტყუნებ, უფრო მეტიც, გამეხარდება, თუ კმაყოფილი დარჩები შენი არჩევანით და რამდენადაც ეს შესაძლებელია, თუ ბედნიერიც იქნები“.

სამშაბათი, 27 აპრილი

სიცოცხლე და მზეც ანათებს, აღურსიანი, დიდებული ზამთრის მზე. მატრისის მოედანზე მივედი, მტრედებისგან მოსვრილ სკამზე გახეთი დავაფინე და დაჯექი. მუნიციპალიტეტის მუშა გაზონებს მარგლაკდა. ისე გულმოდგინედ მუშაობდა, თითქოს სხვა არაფერი იცოდა ამის მეტი ნეტავი რა მოხდება, მე რომ ახლა მუნიციპალიტეტის მუშა ვიყო და გაზონს ვმარგლაკდე? ნეტავ როგორ ვიქნებოდი? არა, ეს არ არის ჩემი მოწოდება. ჩემთვის რომ პროფესიის არჩევის უფლება მოეცათ, მე ავირჩევდი – არა, იმას არა, ავერ ოცდაათი წელიწადი თავისი ერთფეროვნებით რომ გულს მიწყალებს, – მე ავირჩევდი კაფეს ოფიციაანტიობას. ნამდვილად სამაგალითო ოფიციაანტი ვიქნებოდი. რაღაც ხერხს მოვიგონებდი, რომ კლიენტთა შეკვეთები კარგად დამემახსოვრებინა, ალბათ საინტერესოა, ყოველდღე ახალ-ახალ სახეებზე დაკვირვება. შემოდის კაცი, შენ მზიარულად ება-ასები, ის ყავას მიირთმევს, მიდის, მეორედ აღარ მიდის. თვითყული მშვენიერი, ძლიერი და საინტერესოა თავისებურად, რა სჯობია ადამიანებთან მუშაობას. აბა ჩემი სამუშაოა კარგი? ციფრები, ცხრილები, ანგარიშები! მე რომ მოგზაურობაში წავიდე, – რა თქმა უნდა, კარგია უცხო ქალაქების ნახვა, ხელოვნების ძეგლების დათვალიერება, – მაგრამ მაინც ყველაზე მეტად ადამიანები მიმიზიდავდნენ განა საინტერესო არ არის, შეხველი ადამიანს სახეში და ამოიკითხო, უხარია თუ წუხს ამ წუთებში, განა საინტერესო არ არის, თვალი მიადევნო, ყველა მათგანი როგორ მიიჩქარის თავის ბედ-იღბლის ბილიკზე? უჯახებთან, მაინც

მიიწვევენ, მიიჩქარიან ხარბნი და მშუენიერნი. აღარ ახსოვთ, რომ ყველაფერი წარმავალია ამქვეყნად, არარაობანი არიან, ცხოვრობენ უკანმოუხედავად, ვერ ხედავენ, არ სურთ დაინახონ, რომ არსებითად მახეში ვართ, მე მგონი, დღემდე ყურადღება რც კი მიმიქცევია მატრისის მოედნისთვის. აღბაი ათჯერ მაინც გამივლია აქ და გუნებაში მილანძლია კიდეც, შადრეუნიც გამო შორეი გზედ მოვლა რომ მიწევდა. აღრეც მინახავს მატრისის მოედანი, რა თქმა უნდა მინახავს, მაგრამ არასოდეს შევჩერებულვარ, რათა დავკვირებოდი მას, მეგრძნო და შემეცნო იგი. ახლა კი დიდხანს ვიდექი, შევცქეროდი, მინდოდა ჩავწვდენოდი კაბილდოს¹ მეომრულ ძლიერ სულს, ვათვალთვლებდი ტაძრის თვალთმაქცურად უშფოთველ შენობას, ხეების აფორიაქებულ რხევას და მაშინ მთელი სიცხადითა და სიღრმიით ვიგრძენი, რომ ეს ჩემი ქალაქია, მშობლიური ქალაქი. ამ შემთხვევაში მე, ეტყობა, ფატალისტი ვარ (დანარჩენ შემთხვევაში, მგონი, არა). ყველას აქვს თავისი, ერთადერთი ადგილი მთელ ქვეყანაზე და სწორედ ამ ადგილზე უნდა შეიტანოს მან თავისი წვლილი. მე აქაური ვარ და აქ შემაქვს ჩემი წვლილი. აი, ის კაცა (გრძელი პალტო აცვია, ყურები ჩამოყრილი აქვს, კოჭლია) ჩემნაირია. მან ჯერ არ იცის ჩემი არსებობა, მაგრამ დადგება დღე, ის მე შემაძრწევს, სახეში შემომხედავს, ან ზურგიდან დამინახავს ან გვერდიდან, შეიგრძნობს რაღაც საერთოს, ჩვენ შორის მიმალულ კავშირს და უცებ მიუხედავად ერთმანეთს. ან იქნებ სულაც არ დადგება ის დღე, ან სულაც ვერ შეიგრძნობს ეს კაცი სუნთქვას ამ მოედნისას, რომელიც გვაახლოებს, გვაკავშირებს და გვანათესავებს? მაგრამ სულერთია, რაც არ უნდა ვთქვა და როგორც არ უნდა იყოს, ეს კაცი ჩემნაირია.

ოთხშაბათი, 28 აგვისტო

ოთხი დღეა დამრჩა შვებულების დამთავრებამდე. კანტორაზე სულ არ ვფიქრობ, აველიანედა შენატრება. დღეს კინოში ვიყავი მარტო. კოვბოურ ფილმს უჩვენებდნენ, პირველ ნახევარს არა უშავდა, მერე მოსაწყენი იყო. საკუთარ თავზე გავბრაზდი მომთმენიანობისათვის.

ხუთშაბათი, 29 აგვისტო

აველიანედას მოვთხოვე, დღეს ნუ წახვალ სამსახურში-მეთქი. მე ხომ ვარ მისი უფროსი, ნებას ვრთავ გააცდინოს, მორჩა და გათავდა. მთელი დღე ერთად ვიყავით ჩვენს ბინაში. წარმომიდგენია, რა გაცოფებული იქნება მუნიოსი — ორი თანამშრომელი აკლია, მთელი საქმეები უმეტესად მას დააწვება მხრებზე და არა მხოლოდ ვხედავ, როგორ ბრაზობს მუნიოსი, არამედ მშუენიერადაც მესმის მისი და მაინც სულერთია ჩემთვის, მე უკვე იმ ხნისა ვარ, რომ შემიძლია კარგად დაეინახო (ასეც არის), რა უღმობლადაც გარბის დრო. მე უნდა ჩავეჭიდო ბედნიერებას, ძვირფას ბედნიერებას, რომელიც ასე გონივრულად მოიქცა და მოულოდნელად მეწია. აი, რატომ ვერ ვიჩენ დიდსულივნებას, რატომ არ მეცოდება მუნიოსი. როგორ შემიძლია მუნიოსზე ვიდარდო, როცა საკუთარი თავი მაქვს სადარდებელი! ცხოვრება მიღის, აი ამ წუთშიც მიედინება, მიედინება და დასასრულს მიახლოვებს. აღარ შემიძლია ამის გაძლება. აველიანედასთან გატარებული დრო მარადიულობა არ არის, იგი დღეა, მხოლოდ ერთი საწყალობელი და მოკლე დღე და ჩვენ ყველას, ღმერთიდან დაწყებული, უკლებლივ ყველას გვიწერია ამ დღეს ვიცოცხლოთ. დღე მარადიულობა არ არის, დღე წამია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დღე არის ჩვენთვის ნახობარი ერთადერთი მარადიუ-

¹ ქალაქის მმართველობის შენობა მონტევიდეოში.

ლიბა. და მე მას მუჭში ვიქცევ. ვცლი ბოლომდე, აღარ მინდა სხვა რამეზე ვიფიქრო. მერე, როცა შეპირებული თავისუფლება მოვა, ასეთი დღე ბევრი იქნება და მე სიცილით გავიხსენებ საკუთარ სულსწრაფობას, მოუთმენლობას, შფოთვას, ვნახოთ. ვნახოთ. ჯერჯერობით კი... ეს „ჯერჯერობით კი“ შევებას მჯერის. რადგან მასშია ის, რაც არსებობს და რასაც მე ვფლობ ამ წამს.

ციოდა, აველიანედამ სვიტერი და შარვალი ჩაიცვა, თმა შეიკრა და მთლად მიჭს დაემსგავსა. მე კუთხარი, გაზეთების გამყიდველს ვავხარ-მუთქი, მაგრამ ის არ მიგდებდა ყურს, თავის პოროსკოპზე ფიქრობდა. შარშან ვილაცამ უმკითხავა, ახლანდელი სამსახურიც უწინასწარმეტყველა და, რაც მთავარია, კიდევ „ხნიერი კაცი, ძალიან კეთილი, ოდნავ ჩამქრალი, მაგრამ ჭკვიანი“. აი, თურმე როგორი ვყოფილვარ მე! „შენ როგორ ფიქრობ, შეიძლება აი ასე უბრალოდ მიწინასწარმეტყველონ მომავალი?“ — მკითხა მან, „შეიძლება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ასეთი თუ ისე, მე მგონი, შენ მართალი გითხრეს. სულაც არ მინდა ვიცოდე, რა მომელის. ეს საშინელებაა, როგორ უნდა იცოცხლოს კაცმა, როცა ეცოდინება, როდის უნდა მოკვდეს“. „მე კი მინდა ვიცოდე. როცა წინასწარ იცი, როდის მოკვდები, ცხოვრებას შენებურად ააწყობ, სად მეტი ძალა უნდა დახარჯო, სად — ნაკლები, კიდევ რამდენი დაგრჩა“. ჩემი აზრით კი ამაზე დიდი საშინელება არაფერია. მკითხავმა აველიანედას უწინასწარმეტყველა ორი თუ სამი შვილი, ბედნიერი ცხოვრება, დაქვრივება (ასე ხომ?) და ბოლოს გული უღალატებს დაახლოებით ოთხმოცი წლისას. აველიანედას ძალიან აწუხებს იმ ორი თუ სამი ბავშვის ამბავი. „გინდა შვილი გყავდეს?“ „ჯერ არ ვიცი დანამდვილებით“, — ვუპასუხე მე. აველიანედას ესმის, რომ თვით გონიერება დაღალებს ჩემი პირით, მაგრამ თვალეებზე ეტყობა, შვილი უნდა, თუნდაც ერთი. „ნუ წუხარ, — ვეუბნები, — თანახმა ვარ ტყუბებზეც. ოღონდ შენ არ იღარდო... დაქვრივებაზე რას იტყვი? მართალია, საიღუმლო დაქვრივება იქნება, მაგრამ არ გეშინია?“ — ვკითხე მე. „არ მეშინია, რადგან მკითხვაობისა არა მჯერა. შენ დაუძარცხებელი ხარ, რაც არ უნდა გიწინასწარმეტყველან“ პატარა გიგლისავით აცეცა თუჩები და ისე მოიკალათა დივანზე. ცხვირი გასწოთლებოდა სიცივისაგან.

პარასიმპი, 30 აგვისტო

შვებულების დროს ყოველდღე ვწერდი. მეზარება სამსახურში დაბრუნება. შვებულებამ მაღა გამოიღვიძა, ვოცნებობ აენსიაზე. ბლანკამ ხაიმესაგან წერილი მიიღო, მრისხანე და შხამიანი. ჩემზე არ იწერება: „უთხარი მოხუცს, რომ ყველა ჩემი გატაცება პლატონური იყო. ასე რომ, თუ ღამით თავის გარყვნილ შვილზე კომპარები ტანჯავს, უურჩევ, მხარი იცვალოს და მშვიდად განაგრძოს ძილი. აბა დროებით!“ რადაც მეტისმეტად ბოროტული წერილია ვერ ვიჯერებ. მგონი, ხაიმეს ცოტა ვუყვარვარ.

შაბათი, 31 აგვისტო

აველიანედა და ბლანკა უჩემოდ შეხვედრიან ერთმანეთს. ბლანკას წამოცდა შემთხვევით: „იმიტომ არ ვითხარით, რომ ვცდილობთ გავიგოთ“. პირველად ეს ამბავი ცულ ხუმრობად მივიჩნიე, მერე კი გული ამინუყდა. სხვა რა გზა მქონდა. წარმოვიდგინე, ეს ორი ახალგაზრდა ქალი როგორ უნახაათებდა ერთმანეთს ჩემს თავს. მე თუ მკითხავენ, არც ერთს არა აქვს ჩემზე სრული წარმოდგენა. სულაც არა ვარ რთული პიროვნება. რა თქმა უნდა, ამ თამაშში ქალური ცნობისმოყვარეობაც ურევია, მაგრამ სინაზეც საკმაოა. აველიანედამ თავი დაამნაშავედ ცნო, პატიება მოთხოვა ერთი ასჯერ მაინც გაიმეორა, ბლანკა არაჩვეულებრივი გოგოაო

მე მიხარია, რომ ისინი დამეგობრდნენ ჩემთვის, ჩემ გამო, ჩემით. ოღონდ ეს არის. ზოგჯერ შეჩვენება, რომ ზედმეტი ვარ. მართლაც სად მე, ბებერი კაცი და სად ისინი — ასე ნორჩები.

კვირა, 1 სექტემბერი

მხიარულებას ბოლო მოელო. ზვალ კანტორაში უნდა გამოვიყენებო. დება წარუვლინა ციო მონაცემები, პურის გორგალები, სამლელონ შავიერ რომ უხმარობს. სარეგისტრაციო დაუთრები, საბანკო წიგნაკები, მძარსველის ხმა და შიგნეული მიტრიალებს.



ორშაბათი, 2 სექტემბერი

ისე შემხვდნენ, როგორც მხსნელს. არც ერთი საქმე არ გაკეთებულა. ინსპექტორი კიდევ მისულა და სულ პატარა რაღაცისთვის ერთი ამბავი აუტეხავს. საწყალი მუნიოსი თავგზააბნეული დაბორიალობდა თურმე. სანტინი უარესად იმანჭება. გული აგერევა კაცს. ნეტავ ამასაც პლატონური გრძნობები აქვს? აბობოხენ. — რაკილა მე უარი ვთქვი მოადგილეობაზე. — სხვას გამოავხავნიან რომელიმე კომპანიიდანო. მარტინესი ლამის გასკდეს სიბრაზისაგან. ვალკერდეს ქალიშვილი დღეს პირველად მოვიდა იმ სკანდალის შერე.

სამშაბათი, 3 სექტემბერი

აველიანედამ პირველად მიაშბო თავის ყოფილ საქმროზე — ენრიკე ავალოსზე. იგი მუნიციპალიტეტში მუშაობს. მხოლოდ ერთი წელიწადი გაგრძელდა მათი შეყვარებულობა. უფრო ზუსტად, შარშანდელი აპრილიდან ამ წლის აპრილამდე. „კარგი ბიჭია, ახლაც პატივსა ვცემ, ოღონდ...“ ყოველთვის შიშით ველოდი ამ საუბარს და კიდევ უფრო მეშინოდა, ვაითუ არაფერიც არ მიაშბოს. მეთქი, რაკი მან ენრიკეზე წამოიწყოს საუბარი, მაშასადამე, წარსული აღარ აღვლევს. ასეა თუ ისე, მე დაძაბული ველოდი. მისი „ოღონდ“ ზეციურ მუსიკასავით ჩამესმა. საქმროს ჩემზე მეტი უპირატესობა ჰქონდა (ასაკი, გარეგნობა, პირველობა), ოღონდ ვერ შეძლო მათი გამოყენება, მაგრამ „ოღონდ“ იმასაც ნიშნავდა, რომ უპირატესობა მეც მქონდა და კიდევ გამოვიყენებ მას. თვალებსაც დაფთხრი იმ საბრალო ენრიკე ავალოსს. გამოცდილებით ვიცი, თუ ვინდა მეტოქე მიწასთან გაასწორო ქალის თვალში, უნდა გამუდმებით აქო ეს მეტოქე, უნდა გამოამჟღავნო ისეთი დიდსულოვნება, კეთილშობილება, მოთმინება, რომ თვითონვე ვიკვირდეს. ეს ხერხი ყველაზე სანდოა: „მართალია, ახლაც პატივსა ვცემ, მაგრამ ვიცი, მასთან ბედნიერი არ ვიქნებოდი“. „კი მაგრამ, რატომ ხარ ასე დარწმუნებული?.. აკი ამბობ, კარგი ყმაწვილიაო“. „რა თქმა უნდა, კარგია, ოღონდ რაღაცა აკლია. ვერ იტყვი, რომ ის ქარაფშუტაა, მე კი — სერიოზული. მე არც ისე სერიოზული ვარ. ცოტა ქარაფშუტობა არც მე მაწყენს. ის სულაც არ არის ქარაფშუტა, ნამდვილი სიყვარულიც შეუძლია. მაგრამ რაღაც არ გამოვდიოდა, ვერ ვეწყობოდი ერთმანეთს. ის მე მაღიზიანებდა, მე — იმას. შეიძლება ვუყვარდი კიდევ. ვინ იცის, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა ეწეწებინა „ჩემთვის“. შესანიშნავია! სიხარულისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ არ ვიმჩნევდი და ვცდილობდი გულწრფელი წუხილი გამომეთქვა ამ ჩამლილი შეყვარებულობანას გამო. ის კი არადა, ძალაც მეყო. მეტოქე დამეცვა: „იქნებ ცოტა შენცა ხარ დამნაშავე? იქნებ იმიტომ გაწყენინებდა ხოლმე, რომ შენც ყოველთვის ელოდი მისგან წყენას? მუდამ დაძაბული ყოფნა, რად უნდა ბევრი ლაპარაკი. სულაც არ უწყობს ხელს ადამიანთა ურთიერთდაახლოებას“.

მან გაიღიმა: „შენთან არა ვარ დაძაბული. მე ბედნიერი ვარ“. მეტი აღარ შემუძლო თავშეკაპება და მოჩვენებითობა და ბედნიერებით სავსეს ყურიდან ყურამდე დამეფინა ღიმილი სახეზე. ვილას ახსოვდა საცოდავი ენრიკე, შესწრაზავი ყმაწვილი კაცი რომელმაც სრული კრახი განიცადა.



ქართული
ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი. 4 სექტემბერი.

მუნიოსი, რობლედო, მენდესი — ყველანი გაუთავებლად მელაპარაკებიან. აველიანელა ისე კარგად მუშაობდა თქვენი შვებულების დროსო, აველიანელა ისეთი კარგი საამხანაგო გოგოაო...

რა მოხდა? ნეტავი რა გმირობა ჩაიდინა ისეთი, რომ ეს უგრძნობელი ადამიანებიც კი ასე ააღვლევა? მმართველმა გამომიძახა. საქმეებზე მელაპარაკა და მერე სხვათაშორის მითხრა: „თქვენს განყოფილებაში რომ ქალიშვილი მუშაობს, რა გვარია? მითხრეს. კარგი მუშაკიაო“. მე თავშეკაპებულად ძალზე მშვიდად — როგორც კი შემეძლო — შევაქე აველიანელა. კიბორჩხალამ უცებ მოხაზლა: „იცით, რატომ გეკითხებით? მინდა მდივნად დავსვა ჩემთან“. მან ჩვეულებისამებრ გამიღიმა, მეც ჩვეულებისამებრ გავუღიმე. გუნებაში კი ერთი მაგარი შევუკურობე.

ხუთშაბათი. 5 სექტემბერი

მე მგონია, ამ საკითხში ჩვენ ერთსულოვანი ვართ. მეც და იმასაც მოთხოვნილებად გვაქვს ქცეული. ერთმანეთს ყველაფერი ვუამბოთ. მე მას ისე ველაპარაკები. როგორც საკუთარ თავს და, მგონი, უფრო გულახდილადაც, ვიდრე საკუთარ თავს. აველიანელა ჩემს სულში შემოვიდა, კუთხეში მოკალათდა და ელოდება ჩემს აღსარებას, გულწრფელ აღსარებას. თითონ ყველაფერს გულალაღად მიყვება. ამ ცოტა ხნის წინათ უსათუოდ გავიფიქრებდი: „ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია-მეთქი“. მაგრამ ახლა ასე ფიქრი უსამართლობა იქნებოდა ახლა მე უკვე დარწმუნებით ვიცი, რომ აველიანელა არაფერს მიმაღავეს.

პარასკევი, 6 სექტემბერი.

საშაქარლამოში ვიგნალეს შევხვდი. ერთ საკმაოდ სანდომიან ქალთან ერთად მიმჯდარიყი კუთხეში მაგიდასთან. ვიგნალემ საღმის ნიშნად ხელი დამიქნია, მრავალმნიშვნელოვნად მანიშნა ქალზე. — აქაოდა, ხომ ხედავ, რა საქმეში ვართ. შორიდან შევათვალიერე ორივე და ვიგნალე შემეცოდა. მაგრამ მაშინვე გამკრა თავში: „შენ თვითონ?“ ვიგნალე ტლანქი და უზრდელი კაცია. ლაქლაქი უყვარს. ნეტავ მე როგორიღა ვარ სხვის თვალში? მე და აველიანელა იშვიათად გავდივართ გარეთ ერთად. ჩვენი ცხოვრება კანტორასა და ჩვეს ბინაში მიედინება. ზოგჯერ გამიელვებს თავში: იქნებ იმიტომ არ გამყავს გარეთ, რომ მუშენია. საცოდავი არ გამოუჩნდუ-მეთქი მის გვერდით? არა, შეუძლებელია. ვიგნალეს მაგიდას ოფიციალტი მიუახლოვდა, ვიგნალემ ეტყობა. რაღაც შეუკვეთა. უცებ დავინახე ქალმა მას ზიზღით და რაღაცნაირი გაბორბოტებით შეხედა. აველიანელა ასე არასოდეს შემომხედავს.

შაბათი, 7 სექტემბერი.

ესტებანის ამხანაგი ვნახე, სულ რაღაც ოთხ თვეში პენსიას მივიღე... რაც უფრო ახლოვდება თავისუფლება, მით უფრო აუტანელი მეჩვენება კანტორა. როგორმე ეს ოთხი თვე უნდა გავუძლო ხელშეკრულებებში, ბალანსებში, ცხრილე-

ბში, დავთრებში ქექვას. მაგრამ ეს ოთხი თვე ერთ წელიწადს უდრის, რადგან ჩემთვის დაკარგულად მიმაჩნია ისინი, თუმცა თუ ჩავუფიქრებდი, სულაც არ არის დაკარგული. ახლა ხომ ჩემს ცხოვრებაში არსებობს აველიანედა!



ეროვნული

კვირა, 8 სექტემბერი.

დღისით ერთად ვიყავით. ეს პირველი შემთხვევა როდია. მაგნიტის მხარეში ვწერ ამის თაობაზე იმიტომ, რომ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა. ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ მიგრძენია თავი ასე ბედნიერად არც ისაბელთან და არც რომელიმე ქალთან. ფეხსაცმელში რომ კალაპოტს დებენ გასაფართოებლად. აი, ასე ჩადგა ვიღაცამ ჩემს გულში აველიანედა. ჰოდა, გულიც ფართოვდება. ფართოვდება და მეტ და მეტ სიყვარულს იტევს. რას ვიფიქრებდი, რომ ამოდენა სინაზის მარაგი შექნებოდა. მიმიფურთხებია, თუ დღეს ამ სიტყვას – „სინაზეს“ უხამსობად მიიჩნევენ, გული ჩემი სწორედაც რომ აღსავესა სინაზით და მე ვამაყობ ამით, ასეთ წუთებში ვნებაც კი განწმენდილია და სიახლოვეც უბიწო ხდება. და ამას მე ვამბობ იოტიისოდენა ფარისევლობისა და მაღალფარდოვნების გარეშე. მე სულაც არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ მხოლოდ სულიერად ვართ დაკავშირებული-მეთქი. უბიწობა სწორედაც ის არის, რომ მე მიყვარს მისი სხეულის ყოველი გოჯი, გრძნობამორეული ვისრუტავ მის სუნს, ვნეტარებ მისი ხელების სითბოთი და ასე მიიწვევს გზნება მაღლა და მაღლა თოვლივით ქათქათა მწვერვალებისაკენ.

ორშაბათი, 9 სექტემბერი.

რეალიზაციის განყოფილებაში მწარედ გაამასხარავეს ერთი თანამშრომელი, გვარად მენენდესი, რომელიც ჩვენს კანტორაში მოვიდა სანტინისთან, სიურასთან და აველიანედასთან ერთად. მენენდესი უჭკუო ბიჭი არ ჩანს. მაგრამ მეტისმეტად ცრუმორწმუნეა. ყოველგვარი ნიშნებისა სჯერა. ამას წინათ უყიდაა თურმე მთელი დასტა ლატარიის ბილეთებისა, რომლის ცხრილიც ხვალ უნდა გამოაცხადონ. მენენდესს უთქვამს, ამჯერად ბილეთებს არავის არ ვაჩვენებ, გული მეუბნება, თუ საიდუმლოდ შევინახავ, ერთ-ერთი ბილეთი უსათუოდ დიდ თანხას მომაგებინებსო. მაინცდამაინც დღეს მოვიდა კანტორაში საწევროების ამკრეფი „პენიაროლიდან“¹ მენენდესმა, ამკრებისათვის ფული რომ მიეცა, საფულე გახსნა და სულ რაღაც ერთი-ორი წაშით დაღო მაგიდაზე თავისი ბილეთების დასტა. საცოდავს ეჭვადაც არ გაუვლია არაფერი. იდიოტი როსასი რის როსასია, თუ რამე სისაძაგლე არ ჩაიდინა? ბილეთის ერთი ნომერი დაიმახსოვრა და მაშინვე გაანაწილა როლებიც. სპექტაკლს ხვალ უჩვენებენ. როსასი მოელაპარაკა ლატარიის ბილეთების გამყიდველს. განსაზღვრულ საათს დაფაზე რამდენიმე წუთით აღნიშნოს № 15301 ბილეთის დიდი მოგება, მერე კი წაშალოს. გამყიდველს მოეწონა ეს თამაში და სიხარულითაც დაუთანხმა ამ გათამაშებაში მონაწილეობაზე.

სამშაბათი, 10 სექტემბერი.

ეს იყო საშინელება. სამს თხუთმეტი წუთი აკლდა, რომ გაისოლო შემოვიდა კანტორაში და ხმამაღლა თქვა: „დასწყველოს ღმერთმა! წინა შაბათამდე მხოლოდ იმ ბილეთებს ვყიდულობდი, ნომერი რომ ერთიანით მთავრდებოდა, დღეს

¹ პოპულარული საფეხბურთო კლუბი ურუგვაიში.

კი სწორედ ასეთ ნომრიანს ერგო მოგება!" ვილაყამ წინასწარ დამუშავებული შეკითხვა წამოისროლა: „ერთიანზე მოაფრდებო? ერთიანის წინ ხომ არ იცი, რა რიცხვია?“ „ნული, მერე ერთი“. – ვითომ სასხვათაშორისოდ თქვა გაისო-ლომ. უცებ პენია წამოხტა ყვირილით: „მე მაქვს სამი ნული და ერთი – მერე ფუნჯარასთან მჯდომ მენენდესს მიუბრუნდა: – ერთი ნუ დაიხურავ, წაფაზე რა წერია, თუ სამას ერთია. გაკმდიდრებულვარ და ეგ არმშენს შენცნებდა ანელა შეტრიალდა ფანჯრისკენ, როცა დაფაზე წაიკითხა გარკვევით ნაწერი 15 301, წამით გახედა. ჩემი აზრით, ამ უმოკლეს წამში მან მთელი სიგრძე-სიგანით წარმოიდგინა, რას მოიმოქმედებდა ამ ფულთ, ხოლო თუ მისი ბილეთის ნომერი ყველამ იცოდა და ხრიკს მოუგონებდნენ. რას წარმოიდგენდა ამას? მაგრამ ყველაფერ ამას რაც მოჰყვა, ეს უკვე აღარ იყო სპექტაკლში გათვალისწინებული სპექტაკლის მიხედვით ყველანი უნდა მივარდნოდნენ მენენდესს; მიულოცათ მოგება და ყოველნაირად გაემასხრებიანთ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მენენდესი უცებ მოწყდა აღვილს, გავარდა დერეფანში, იქიდან კი, როგორც იტყვიან, დაუკაკუნებლად შეიჭრა მმართველის კაბინეტში (მმართველს ამ დროს რომელიღაც ამერიკული ფირმის წარმომადგენელი ჰყავდა სტუმრად). მივარდა და, ვიდრე გაოგნებული მმართველი გონს მოეგებოდა, მოტიტვლებულ თავზე ერთი ხმაურიანი კოცნა დაატყეპა. მე მივხვდი, საითაც გაექანა მენენდესი და ფეხდაფეხ გავიკიდე კაბინეტშიც შევეყვი, ხელიც ჩავავლე, მაგრამ უკვე კოცნის მერე და გარეთ გავათრიე. მენენდესი იდგა დერეფანში ჭანჭიკებით და დგუშებით სავსე ფუთებს შორის და სიცილისაგან სულ ერთიანად ძაგძაგებდა. ეს სურათი არასოდეს დამავიწყდება. მენენდესი ხარხარებდა, მე კი სიმართლეს ჩავძახობდი ყურში. ძალიან ცუდი საქმე ვიკისრე. მაგრამ სხვა გზა არ იყო. ასეთი არაფერი მინახავს: კაცი ერთ წამში მოეშვა, ზედ ჩემ თვალწინ მუხლები მოეკეცა, პირი გააღო და ასე იდგა იგი რამდენიმე წუთს, მერე უცებ აიფარა თვალებზე ხელი. მენენდესი სკამზე დაესვი და მმართველთან წავედი, რათა ყველაფერი ამეხსნა მისთვის. ეს იდიოტი უარეს დღეში იყო: ისე განრისხებულა, ამერიკელის თვალწინ რომ დაამცირეს, არაფრის ვაგონება არ სურდა. „ტყუილად ცდილობთ ამ ველურობის მიზეზი ამიხსნათ, ეგ სულელი მოხსნილია სამსახურიდან!“

მთელი უბედურება ის არის, რომ მენენდესი მართლა გაანთავისუფლეს სამსახურიდან. კაცი მკვდარივით არის, ბედნიერების იმ ხუთ წუთს აღბათ არასოდეს დაივიწყებს. როცა განყოფილებაში გაიღეს მისი მოხსნის ამბავი, დელეგაცია გაგზავნეს მმართველთან. მაგრამ კიბორჩხალას ვერა და ვერ გადაათქმევინეს. დღეს აღბათ ყველაზე ნადვლიანი, ყველაზე საშინელი და მძიმე დღეა კანტორაში მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე. ბოროტი ოხუნჯობის წამომწყებნიც კი შერწუნებული იყვნენ, არ ვიცი, კეთილშობილებამ გაიღვიძა მათში თუ რა იყო, ისინი შეთანხმდნენ, ვიდრე მენენდესი სამსახურს იშოვიდა, ხელფასიდან ყველას გაეღო ცოტაოდენი და შეეგროვებინათ მისთვის იმდენი თანხა, რამდენიც ხელფასი ჰქონდა. მაგრამ მენენდესმა უარი თქვა მოწყალეებაზე თუ ანაზღაურებაზე, არ ვიცი, რა დაეარქვა ამას, არც ლაპარაკი ისურვა ვინმესთან. საწყალი ბიჭი. ისე მეც მიმიძღვის ბრალი – გუშინვე უნდა გამეფრთხილებინა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ მოულოდნელ და უფაქტურ სცენას გაითამაშებდა.

ოთხშაბათი, 11 სექტემბერი

ჩემი დაბადების დღე ზევ არის. მაგრამ აველიანედამ უკვე მაჩვენა საჩუქრები, ოქროს საათი უყიდა. საბრალოს მთელი თავისი დანახოვი ფული დაუხა-

რჯავს. მერე ცოტა შემცბარმა კიდევ რაღაც კოლოფი გამოაჩინა: იქაც თურქე საჩემო საჩუქარი კქონდა: უღამაზესი მოგრძო ნიჟარა. „ლა პალომაში ვიპოვე, ცხრა წლისა რომ გავხდი. იმ დღეს ტალღამ მომიგორა ზედ ფეხებთან ქაშაში-თითქოს დაბადების დღეზე ზღვამ საჩუქარი გამომიგზავნა. ეს იყო კვლავზე ბედნიერი წუთი ჩემს ბავშვობაში. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ჩემთვის უკეთესი ყვარს ასე ძალიან მინდა, რომ ის შენი იყოს, მუდამ შენთან იქნება თუ შენ გინდა?“

ნიჟარა ხელისგულზე მიდევს. ჩვენ კარგი მეგობრები ვიქნებით.

სუთხაბათი, 12 სექტემბერი

დიეგო აღელვებულია. ბლანკასაც ვადასდებია მისი აღელვება. სალამოს ბერი ველაპარაკე ორივეს. მათ აღელვებს თავიანთი ქვეყნის ბედი, თავიანთი თაობის ბედი. მაგრამ ეს მაინც ზოგადი მსჯელობაა. კონკრეტულად კი საკუთარი ბედი უფრო აწუხებთ. დიეგოს სურს ცხოვრების გარდასაქმნელად რაღაც დიადი, მნიშვნელოვანი და გმირული ჩაიდინოს. მაგრამ რა, თვითონაც არ იცის. ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ ერთ გრძნობას შეუბყრია — რაღაცნაირი გაშმაგებით უარყოფს ცხოვრების არსებულ ჩვეულ ფორმებს ცხოვრებისა, რომელსაც აშკარად აკლია თანამიმდევრობა. დიეგო იმის გამო შეშფოთებული, რომ არავინ არაფერს ფიქრობს, მშვიდად არიან. არავის არ გააჩნია მოვალეობის გრძნობა საზოგადოების წინაშე, ვითმუნთ გაიძვერებს, უმეცრებს, ყველაფრის მიმართ გულგრილნი ვართ; ბრაზობს რომელიღაც დილის გაზეთზე, რომელსაც გამოსცემს ჩვიდმეტი რანტიესაგან შემდგარი ჯგუფი; უსაქმურობისაგან არ იციან. რა გააკეთონ, სხედან თავიანთ ბუნაგში პუენტა დელ ესტეში¹ და წერენ და წერენ; მოუწოდებენ ხალხს საშინელი წყლულის — პარაზიტობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მთლად უტვინოები როდი არიან, განათლებაც აქვთ. მოხერხებულადაც ბუქავენ სათქმელს და, თუმცა სულის სიღრმეში იციან, რა უსამართლოდაც ესნი-მიან სხვებს თავს, მაინც მთელი ძალით ამტკიცებენ იმას, რაც თვითონ არ სწამთ. დიეგოს არ მოსწონს შემადრხენეები, იმის გამო, რომ ისინი არცთუ დაფარულად ეგუებიან ბურჟუაზიული ცხოვრების წესს. მის მორალს, შემჩანურ ფარისევლობას. „თქვენ თუ ხედავთ რამე გამოსავალს?“ — მეკითხება ის კვლავ. გულდია მომსყიდველი გზნებით. მართალი რომ ვთქვა, გამოსავალს ვერ ვხედავ არიან ადამიანები. რომელთაც ესმით, რა ხდება ირგვლივ. ხედავენ, რომ აბსურდამდე მივდით. მაგრამ მხოლოდ თანაგრძნობით იფარგლებიან. რა დასაძალია და, ცეცხლი არა გვეოფნის. გზნება არა გვაქვს, მეტიმეტად თავშეკავებულნი ვავხდით, მეტიმეტად ლიბერალურნი, დიდხანს ვიყავით სიმშვიდეს მიცემულება და უგერვილოები, სიმშვიდისთვის კი უცხოა ბრძოლა. ვინც მშვიდია და უგზნებო. ის ვერ შეცვლის არა მარტო სამყაროს, არამედ ისეთ ნამცეცა ქვეყანასაც, როგორც ჩვენია. აქ საჭიროა ისეთი გზნება, გააფთრებული კივილით რომ მოედება ქუჩებს, გააფთრებულად იაზროვნებს, გააფთრებულად დაწერს. ჩვენ უნდა ვიყვიროთ ისე, საკუთარ ფურეშშივე რომ კარვად ჩავგვსმას, თორემ ჩვენი სიერე რაღაცნაირ თვითდაცვასა კვავს. ამ სიერუესა ვართ მხდალივით ამოფარებულნი. ხალხს უნდა გავუღვიძოთ სირცხვილის გრძნობა საკუთარი სიმხდალის გამო, დაე ჩვენი თვითდაცვა თვითსიძულვილად გადაიქცეს. რა დღესაც ურუ-

¹ ზღვისპირა საკურორტო ქალაქი ურუგვაის სამხრეთში.

ვაელი კაცი იგრძნობს ზიზღს საკუთარი უმოქმედობისადმი, იმ დღიდან შეიძლება ვიქონიოთ მისი იმედი.



პარასკევი, 13 სექტემბერი

დღეს ორმოცდაათი წელი შემისრულდა. ამგვარად, დღევანდელი უფროსი მაქვს პენსიაზე გავიდე. ასეთ დღეს საჭიროა დასკვნების გამოტანა, განვიხილოთ მანამდე, მაგრამ მე ხომ ისედაც მთელი წელიწადი ბალანსს ვადგენდი. იუბილეები, საგანგებო თარიღები. მზიარულება, წუხილი ზუსტად დანიშნულ დღეებში ლამის მაცოფებს. რატომ უნდა ვიტყვით ჩვენი მიცვალებულები მაინცდამაინც ორ ნომბერს¹, ხოლო ოცდახუთ აგვისტოს² კი სახელმწიფო აღამს ვუყუროთ და აღფრთოვანებულმა ვუკრაოთ ტაში? ასეთი რაღაცები სულს მიწუხებს. გრძნობა ან გაქვს ან არა გაქვს, ხოლო რომელ დღეს, განა სულერთი არ არის?

შაბათი, 14 სექტემბერი

გუშინდელ იუბილეს ამოდ არ ჩაუვლია: მთელი დღე არ მომშორებია გონებიდან „ორმოცდაათი წელი“. სული ლამის კოჭებში გამეპაროს. დაუდექი სარკის წინ და სიბრალულით შევატყერდი ამ სახედაღარულ, თვალებდაღლილ კაცს, რომელმაც ცხოვრება ისე გაიარა, რომ ვერაფერს მიაღწია და ვერც ველარაფერს მიაღწევს უკვე თუ შენ ერთი ჩვეულებრივი კაცი ხარ, მაგრამ თითონ არ იცი, რომ ჩვეულებრივი ხარ, ეს კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ იცი, რომ ჩვეულებრივი ხარ, მაგრამ არ გინდა დაემორჩილო, შეეგუო ამ შენს ბედს, რომელიც არსებითად (რაც უარესია) შენ მიმართ სულაც არ ყოფილა უსამართლო, — ეს კი საშიხელებაა. ვიცქირებოდი სარკეში, რომ უცებ აველიანედას თავი გამოჩნდა სახედაღარულ კაცს, რომელმაც ვერაფერს მიაღწია ცხოვრებაში და ვერც ველარაფერს მიაღწევს უკვე, თვალები აუნთუნ და ორსაათნახევრის განმავლობაში სულ გადაავიწყდა, რომ იგი ორმოცდაათი წლისა იყო უკვე.

კვირა, 15 სექტემბერი,

აველიანედა იცინის. ეკითხები: „შენ გესმის, რას ნიშნავს ორმოცდაათი წელი?“ ის კი იცინის. იქნებ გულში ძალიანაც კარგად ესმის და სწონის კიდევ ყველაფერს, მაგრამ კეთილია და ამიტომ არაფერს მეუბნება. განა არ იცის, რომ დადგება დრო, როცა მის დანახვაზე ვეღარ ავენთები ვნებით? როცა მისი ხელის მიკარებაზე აღარ დამივლის ჟრუანტელი? როცა შემომრჩება მხოლოდ სინაზე მის მიმართ, როგორც ძმისშვილის ან ქალიშვილის მეგობრის მიმართ? ასე შესცქერიან მსახიობ ქალს კინოში — გზიბლავს მისი სილამაზე, შეიგრძნობ მის მშვენიერებას. ეს არის და ეს. დიახ, დარჩება მხოლოდ სინაზე, ნაზი სიყვარული, რომელსაც აღარ ძალუძს აღარც საკუთარი და აღარც სხვისი გულის ამგერება, რომლისთვისაც უცხოა უკვე გაბზარული გულის კვნესა და ურვა, სამაგიეროდ მშვიდი, აუღელვებელი და ერთფეროვანია, როგორც ღმერთისადმი სიყვარული ჩაივლის მღელვარე წლები და დადგება დრო, როცა აღარ გამტანჯავს ეჭვიანობა. სამოცდაათი წლის კაცის თავზე ცა ყოველთვის სუფთაა და მოყრიალებული და მან იცის: თუ ღრუბელი გამოჩნდა, ეს უკვე სიკვდილის ღრუბელი იქნება. ეს ბოლო წინადადება აღბათ ყველაზე უხამსი და სასაცილოა იმ

¹ სულის მოსახსენებელი დღე კათოლიკური რელიგიის კალენდრის მიხედვით.

² ეროვნული დღესასწაული. ურუგვაის დამოუკიდებლობის დღე.

წინადადებებიდან, რაც დღიურში ჩამიწერია, მაგრამ ალბათ ყველაზე მართალიც რატომ არის, რომ ყველაფერს ნამდვილს და მართალს უხამსობა ახლავს თან? ფიქრებში შენ ამაღლებული გრძნობების კაცი ხარ, სინდისი სუფთა და უმინჯო გაქვს, არაფერში დათმობა არ გრვევია, მაგრამ ფიქრებიდან რომ გამოვლინდები და ცხოვრებას პირისპირ შეეჯახება, მაშინვე წამოჰყოფს თავს ხინჯიანი სინდისიც, დათმობობაც, მლიქვნელობაც და წამში დამარცხებული ქაჩის მსგავსი დიც ხარ; შენი კეთილშობილური ზრახვები სასაცილონი ჩანან მერე, როცა ვერ შესძელი ამ ზრახვების აღსრულება. მე ვიქნები აველიანედას გვერდით და დღეს თუ ვეჭვიანობ მასზე, ხვალ უკვე აღარ ვეჭვიანებ. ქუჩაში გავედით მე, აველიანედა და ჩემი ორმოცდაათი წელი აველიანედა და ჩემი წლები შეთვრამეტე ქუჩაზე გავატარე. მინდოდა მათთან ერთად დავენახე ყველას. მგონი, თანამშრომლებიდან არავის დავუნახივართ. სამაგიეროდ ვიგნალეს ცოლი, ხაიმეს ერთი ძმაკაცი და აველიანედას ორი ნათესავი კაცი შეგვხვდნენ. რაც მთავარია (და რაც საშინელებაა!), შეთვრამეტე ქუჩისა და იაკვარონის ქუჩის კუთხეში ისაბელის დედას გადავაწყდით. ამდენი წელი ვავიდა, ამ წლებმა ასეთი შესამჩნევი კვალი გაგვაველო ორივეს სახეზე და მაინც ყოველთვის, როცა კი ამ ქალს ვხვდები, გული მეკუმშება ადრინდებულად, კი არ მკუმშება, მჩხვლევს უღონობითა და სიძულვილით სავსე. ისაბელის დედა უძლეველია, ისე უძლეველი, რომ სხვა აღარაფერი დამრჩენოდა. მისალმების ნიშნად ქული მოუვხადე და თავი მდაბლად დავუკარი. იგი თავშეკავებულად და ბოროტულად მომესალმა, ოცი წლის წინათ რომ იცოდა, ისე. მერე თვალებით ღამის განგმირა აველიანედა, დიდხანს და დაკვირვებით უცქერდა, ამკარაა, უღმბელი განაჩენი გამოჰქონდა, თითქოს ვიღაცა დაეჯახათ, აველიანედამ წაიბორძიკა. მკლავში მაგრად ჩამეჭიდა და მკითხა, ვინ არის ის ქალიო. „ჩემი სიდედრია“. — ვუთხარი მე. ეს ქალი მართლაც ჩემი პირველი და ერთადერთი სიდედრია იყო. აველიანედა რომ ვითხოვო ცოლად და ისაბელის ქმარიც რომ არ ვყოფილიყავი, სულერთია, ეს ქალი იქნებოდა ჩემი მარადიული სიდედრია, სიკვდილამდე. ეს მაღალი, ძლიერი სამოცდაათი წლის მანდილოსანი ბედისწერად მომივლინა, რა თქმა უნდა, იმავე მრისხანე ღმერთმა. რომელიც, ვიმელოვნებ, არ არსებობს. მომივლინა, რათა მომაგონოს: სად ვცხოვრობ და რომ ის სამყარო, სადაც ვცხოვრობ, დაკვირვებით შემომცქერის და მის მხურაშიც იკითხება უღმბელი განაჩენი.

ორშაბათი, 16 სექტემბერი.

კანტორიდან თითქმის ერთდროულად გამოვედით. მაგრამ ჩვენს ბინაში წამოსვლა აველიანედამ არ მოისურვა, გაციებული ვარო. აფთიაქში შევედით: ხველების წამალი უწყიდე. მერე ტაქსში ჩავსხედით და თავის სახლამდე ორი გვარტალით ადრე გადმოვიდა, ერიდება. მამამისმა არ დაინახოს. რამდენიმე საბიჯი გაიარა, მობრუნდა და მხიარულად დამიქნია ხელი. თავისთავად ეს გამომშვიდობება არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი მოძრაობა სავსე იყო ნდობითა და უბრალოებით. სასიამოვნო სიმშვიდე ჩამედვარა სულში — მართლაც რა ახლობლები ვართ ერთმანეთისთვის!

სამშაბათი, 17 სექტემბერი,

აველიანედა სამსახურში არ მოსულა.

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი.

სანტინიმ კვლავ ვაღამიშალა გული. საზიზღარი ვინმეა, მიხარა, ჩემი და ჩემ წინ შიშველი აღარ ცეკვავს. საქმრო ჰყავსო.

აველიანედა დღესაც არ მოსულა მგონი. დედამისს დაურეკავს. მე კანტონ-რაში არ ვიყავი და მუნათისს დაელაპარაკა, გრიპი აქვსო.



ხუთშაბათი, 19 სექტემბერი.

ძალიან მოძენატრა განყოფილებაში აველიანედაზე მოჰყვნიენ ლაპარაკს! უცებ ვიგრძენი, რა აუტანელია უმისობა.

პარასკევი, 20 სექტემბერი

აველიანედა დღესაც არ მოსულა. დღისით ჩვენს ბინაში მიკვდი და უცებ გამინათდა გონება, ხუთ წუთში გაქრა ჩემი შიში და ყოყმანი: ცოლად ვითხოვ ყველა ჩემი ფიქრი და მოსაზრება. ყველაფერი, რასაც მას ვუხსნიდი, სისულელეა. ამქვეყნად ყველაფერი სისულელეა ერთის გარდა — აველიანედა ჩემთან უნდა იყოს. უსაშველოდ მივუჩვიე მას, მივუჩვიე იმას, რომ აველიანედა მუდამ ჩემ გვერდითაა!

შაბათი, 21 სექტემბერი.

ბლანკას გაეხანდე ჩემი განზრახვა. გაეხარდა. ახლა აველიანედას ვეტყვი, აღარ ყოყმანობ. მაგრამ იგი დღესაც არ მოვიდა.

კვირა, 22 სექტემბერი.

დეჰემას რატომ არ მიგზავნის? ამიკრძალა მის სახლში მისვლა. თუ ხვალაც არ მოვა სამსახურში, რაღაცას მოვიფიქრებ და ვინახულებ.

ორშაბათი, 23 სექტემბერი.

ღმერთო, ღმერთო, ღმერთო...

პარასკევი, 17 იანვარი.

ოთხი თვეა არაცერი დამიწერია. 23 სექტემბერს ძალა არ მეყო დამეწერა... 23 სექტემბერს დღის სამ საათზე ტელეფონმა დარეკა. გადატვირთული დღე მქონდა, თანამშრომელია შეკითხვებზე პასუხების გაცემას. საბუთების აღწერა კლიენტებთან საუბარიო... ტელეფონმა დარეკა, დაღლილმა ავიღე ყურმილი. კაცის ხმამ მკითხა: „სენიონ სანტომე ბრძანდებით? მე ლაურას ბიძა ვარ. ცუდი ამბავი უნდა გითხრათ. სენიონ, ნამდვილად ცუდი... ლაურა ამ დღით გარდაიცვალა“.

ვერ მივხვდი, არ მინდოდა მიემხვდარიყავი, ვინ ლაურა? აველიანედა ლაურაა? „გარდაიცვალა“, ესე იგი, სადღაც წავიდა. „ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, სენიონ...“ — თქვა იმ ბიძამ. იცის კი ამ კაცმა, მისმა ცუდმა ამბავმა ყველაფერი რომ გადაშალა — მომავალი, აველიანედას სახე, შეხება, სიზმარი. რა იცის მან? აუჩემებია „გარდაიცვალა“, „გარდაიცვალა“. გეგონება, არაფერი იყოს, ადვილი ასატანი იყოს. ალბათ მხრებსაც იჩეჩავს ამის თქმისას. რა საზიზღრობაა. მარცხენა ხელში რეალიზაციის ფურცელი მოვკუჭე, მარჯვენათი ყურმილი ხელ პირთან მივიღე და დინჯად ვუთხარი. „წადი შენი.“ ეტყობა, რამდენჯერმე მკითხა, რა მითხარით, სენიონო? მე კი ვიმეორებდი და ვიმეორებდი: წადი შენი.

დაცამ ყურმილი გამოძაროვა. დაელაპარაკა მგონი ვყბუოდი ვხრიალებდი, რა-
 დაც უაზრო სიტყვებს გავიძახოდი. სუნთქვა შეკეროდა. საყვლო შემიხსნეს.
 „წერვიული შოკია“, ჩამესმა უცნობი ხმა. „დიდად აფასებდა ამ თანამშრომელს“
 — ეს უკვე მუნიოსის ხმაა. ხმების ქაოსში ჩემს ყურთასმენამდე აღწევდა სხვა-
 ნის ქვითინი, რობლედოს მსჯელობა საკვდილის უღმობლობაზე, მართალია
 გულგრილი განკარგულებები, — კანტორის სახელით გვირგვინი შექმნილია
 ბოლოს და ბოლოს სიერამ და მუნიოსმა ძლივძლივობით ჩამსვეს ჩაქსი და
 სახლში წამიყვანეს.

შეშინებული ბლანკა მუნიოსმა დაამშვიდა: „ხუ ლელავთ, სუნიორიტა. მა-
 მათქვენს ახლა არა უშავს. იცით, რა მოხდა? ჩვენი ერთი თანამშრომელი ქალი
 გარდაიცვალა და ძალიან განიცადა. არც არის გასაკვირი. ძალიან იყო ვიღაც
 იყო“. მუნიოსმაც „გარდაიცვალა“ თქვა. რას ვიზამთ. იქნებ ის ბიძია. მუნიოსიც
 და სხვებიც სწორად იქცევიან. რა სასაცილო და ცივი სიტყვაა. რა უნდა ამ სა-
 ტყვას აველიანებას სახელის გვერდით? როგორ შეიძლება ამ სიტყვამ აველი-
 ანებას რამე დაუშავოს, მით უმეტეს, მოკვლას.

საბრალო ბლანკა მდუმარედ მამშვიდებდა. მერე როცა ისიც წავიდა და მა-
 რტო დაურჩი ჩემს ოთახში, ტუჩები გავხსენი და ვთქვი: „მოკვდა“. აველიანება
 მოკვდა. „მოკვდა“ — უფრო მართებულია. ეს სიტყვა ანგრევს ცხოვრებას. იგი
 მოდის სადღაც გულის სიღრმიდან და მოაგორებს უსაშველო ტკივილს. „მოკვ-
 და“ — ესე იგი, გაქრა, შეენივთა ყინულოვან სიცარიელეს. „მოკვდა“ — უფსკ-
 კრულია. როცა ეს სიტყვა წარმოვთქვი. მაშინვე დაუინახე საკუთარი უბადრუკი
 სიმარტოვე დაუინახე ჩემგან დარჩენილი გასაცოდაკებული ნამსხვრევები. ეგო-
 ისტური ფიქრები მომეძალა. თვალწინ წარმომიდგა საკუთარი თავი, საცოდავი,
 გულდარდიანი ბეზრეკი კაცი, სწორედ ისეთი, როგორიც ახლა ვარ მაგრამ სა-
 კუთარ თავზე რომ ვფიქრობდი, ეს ხომ იმაზე ფიქრსაც ნიშნავდა? ასე უფრო
 უკეთესი, მოხერხებული და გამარტივებული იყო მისი წარმოდგენა. ოცდასამი
 სექტემბრის სამ საათამდე აკი უფრო მეტი აველიანება იყო ჩემს არსებაში, ვა-
 დრე მე თვითონ. იგი შემოვიდა ჩემს სულში და მედ გადაიქცა. ისევე როგორც
 მდინარე უერთდება ზღვას და მარილიანი ხდება — მე ვთქვი „მოკვდა“ და ვიგრ-
 ძენი, რა განადგურებული, გამოცარიელებული, დანაკუწებული არარაობა ვიყავი
 ვიღაც მოვიდა და ბრძანა: „ამ კაცს გამოვლიჯეთ მისი არსებობის ოთხი მეოთ-
 ხედი“ — და გამომგლიჯეს. და რაც კიდევ უფრო საშინელია, ის დარჩენილი მე-
 ხუთედი ნაწილიც აღიარებს თავის უბადრუკობას. მხოლოდ მეხუთედი დარჩა
 იმ საუკეთესო, სანეტარო ჩანაფიქრის, მისწრაფებისა. ეს უკვე დასასრულია.
 ბანამშვიდებზე და დაკრძალვაზე არ წავსულვარ, არ მიხდა მკვდარი ვნახო. ეს
 ხომ წარმოუდგენელი უსამართლობაა — მე მას ვხედავდე. ის კი ვერა, მე იმა-
 ვებებოდე, ის კი ვერ გრძნობდეს. მე ცოცხალი ვიყო, ის კი მკვდარი. არა ის
 ცოცხალია, ცოცხლობს იმ უკანასკნელი დღის მოგონებაში. იმ დღეს ყველაფე-
 რი, სამართლიანი იყო: ის ტაქსიდან გადადის, ხელში უჭირავს ჩემი ნაყიდი წა-
 მალი, გაივლის რამდენიმე ნაბიჯს, მობრუნდება და ხელს მიქნევს უკანასკნელად.
 უკანასკნელად. უკანასკნელად. მე ვტირი, ჯოუტად ვეჭიდები ამ დღეს: სწორედ
 იმ დღეს ჩავწერე დღიურში საკუთარი რწმენის თაობაზე, ნამდვილად ახლობ-
 ლები ვართ-მეთქი. მაგრამ რწმენა ცოცხლობდა მანამ, სანამ აველიანება ცო-
 ცხალი იყო. ახლა კი მე წარმოვთქვამ: „მოკვდა“. აველიანება მოკვდა და ჩემი
 რწმენაც გახდა არარაობა, საჩიზღარი და უღირსი. აქ არ არის მისი ადგილი.
 რა თქმა უნდა, კანტორაში დავბრუნდი. ლაპარაკი მდლიდა, მტანჯავდა, შეუ-

რაცხმყოფდა. „მისი ბიძაშვილი ყვებოდა, ჩვეულებრივი გრიპი ჰქონდა და... უც-
 ებ გულმა უმტყუნა“. კვლავ საქმეებში ჩავეფალი ვიძლევი რჩევებს, ვწერ უწ-
 ყებებს. მართლაც ხანიმუშო მოხელე ვარ. ზოგჯერ მუნიოსა და სანტიანი ცდილობენ აველიანუდაზე ჩამოშიგდონ ლაპარაკი და ჩვეულებრივ ასე იწ-
 ყებენ ხოლმე: „ამ საქმეს ხომ აველიანუდა აკეთებდა“, ან: „შეუჩაბეთ აველიან-
 ნუდას ხელით არის ჩაწერილი“. მე თვალს ვარიდებ ნაწილობრივ უსწრებელულებს:
 „რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“ ოცდასამ სექტემბერს ჩემს
 თანამშრომლების თვალში მე აეშაღლდი, მაგრამ ახლა ჩემი აქციები კატასტრო-
 ფულად დაეცა, ჩემ-ჩუქად ლაპარაკობენ: გულგრილი, ეგოისტის კაცია, სხვისი
 დარდი არ აწუხებსო. ილაყბონ რამდენიც უნდათ -- ისინი გარეთ ცხოვრობენ,
 ჩემი და აველიანუდას საუფლოს გარეთ. იმ საუფლოში ახლა მე მარტო ვარ,
 სულ მარტო და მისჯილი მაქვს უაზრო, უმაქნისი, ყოველდღიური გმირობა.

ოთხშაბათი, 22 იანვარი.

ზოგჯერ ბლანკას ველაპარაკები აველიანუდაზე, არ ვტირო, არც სასოწარკ-
 ვეთილი ვარ, უბრალოდ, ვლაპარაკობ. ვიცო, ბლანკას ესმის ჩემ ტირილით ამ-
 ბობს, ღმერთისაც აღარაფერი მწამსო, ბედნიერება გამოვიგზავნა და ისევ წაგარ-
 თვალ ბლანკას არ ძალუძს იწამოს ასეთი ღმერთი -- უგულო, ყველაფრისა და ყო-
 ველთა ძლიერი სადისტი. მე არა ვარ ასე გაბოროტებული, ოცდასამ სექტემბერს
 რამდენჯერმე დავწერე „ღმერთო“ და არა მარტო დავწერე. წარმოვთქვი კიდევ
 რადგან ამ სიტყვას ვგრძნობდი. ცხოვრებაში პირველად ველაპარაკებოდი ღმე-
 რთს, ოღონდ ამ ლაპარაკისას ღმერთი არ ღმერთობდა, მერყეობდა, თვითონაც
 არ სწამდა საკუთარი თავისა; შეიძლება იმითომ, რომ ცოტათი აეაფორიაქე. თა-
 ნაც სულ მეჩვენებოდა, რომ სადღაც სულ ახლოს, აქვე იყო თავიდათავი. ძირი
 ყოველივესი, მაგრამ ვერაფრით მეპოვნა. რათა მერე ღმერთისთვის სარჩელად
 წარმედგინა. ამასობაში ჩემთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. ვერ მოვასწა-
 რი, ღმერთი დამერწმუნებინა მის უსამართლობაში და მანაც უკუაგლო მერყეობა
 და სულმოკლეობა, კვლავ მოიკრიბა ძალა და ადრინდელივით იქცა ყოვლისმომც-
 ველ არად. და მაინც მე არ შემიძლია ღმერთი შევიძულო, ჩემი წყენის გამო
 ჩრდილი მივაყენო მის სახელს. განა არ ვიცო, მან მე შანსი მომცა, მე კი ვერ
 გამოვიყენე იგი. იქნებ როდესმე მოვახერხო და ვიპოვო ის ერთადერთი და მთა-
 ვარი ძირი ყოველივესი, მაგრამ ვაი რომ იმ დროისათვის მე უკვე ბეზლენი ვი-
 ქნები და უარესი ბეზლენი იქნება ყველაფერი ჩემ გარშემო. ზოგჯერ ვფიქრობ,
 თუ ღმერთი პატიოსანი მოთამაშეა, მაშინ ის ვაღდებულება ჩამახედოს ამ ძირში,
 რათა შემედლოს შევედავო, შევეწინააღმდეგო მას, მაგრამ არა, ღმერთი ამას არ
 გააკეთებს. მე კი სულაც არ მჭირდება კეთილი ღმერთი, რომელსაც ვერა და ვერ
 გადაუწყვეტია კვანძი გამახსნევინოს, რომ ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან
 ვიგრძნო მისი არსებობა; სულაც არ მინდა მზამზარეული მომართვას ღმერთმა
 როგორც რამბლის ქუჩელი ფულით გაბერილ-გალაღებულნი მამა მიართმევს ზო-
 ლმე თავის გაზულუქებულ ვაჟიშვილს ყველა სიკეთეს. მე ეს მართლა არ მჭირ-
 დება. მე და ღმერთს ახლა ერთმანეთი არ გვიყვარს. მან იცის, რომ მის მიმართ
 არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მე კი ვიცო, რომ ღმერთი -- შორეული სიცა-
 რიელეა, ყოველთვის მიუწვდომელი იყო ჩემთვის წინათაც და ახლაც. ერთი სი-
 ტყვიით, ჩვენ-ჩვენთვისა ვართ მტრობისა და ღვარძლის გარეშე. ჩვენ უცხონი ვართ
 ერთმანეთისთვის.

პარასკევი, 24 იანვარი.

მთელი დღე ვმუშაობდი (თუ არ ჩავთვლით საუზმესა და სადილს), მუნიოსს საქმეზე ვეკამათებოდა, ისედაც უამრავი შეკითხვით დაჩხვლული თავში კიდევ ერთი კითხვა მიტრიალებდა რას ფიქრობდა სიკვდილის წინ? მივინებდა? მკვამიდა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირა, 26 იანვარი.

პირველად გადავიკითხე დღიური თებერვლიდან იანვრის ჩათვლით. მინდა თავიდან ვიგრძნო. განვიცადო აველიანედასთან დაკავშირებული თითოეული წამი. იგი ოცდაშვიდ თებერვალს გამოჩნდა. თორმეტ მარტს ჩამიწერია: „სენატორ სანტომეო“ მომმართავს და ამასთან ხშირ-ხშირად აფახულებს თვალებს. ღამაში არ ეთქმის, მაგრამ ღიმილი კი მართლაც ღამაში აქვს“. და ეს დავწერე მე. ასე ვფიქრობდა ოდესღაც მასზე. ათი აპრილი: „აველიანედა რაღაცით მიზიდავს, ნამდვილად ასეა მაგრამ რით?“ ახლაც არ ვიცი, რით. მიზიდავდნენ მისი თვალები, ხმა, წელი, ხელები, ტურ-პირი, სიცილი, დაღლილობა, მოკრძალებულობა, ცრემლი, ვულწრფელობა, წუხილი, მიმნდობლობა, სინაზე, ძილი, სიარული, სუნთქვა. მაგრამ აქედან რომელიმე ერთი ცალკე ვერასოდეს დამიპყრობდა საზურგამოდ. მისი ხიბლი დაუნაწევრებელია. ყველაფრით მომხიბლა. ჩვიდმეტ მაისს მე მას ეუთხარა: „მგონი, მივევარხართ“. მან კი მიპასუხა: „ვიცი“. მე ახლაც ვეუბნები აველიანედას ამ სიტყვებს და მისი პასუხიც მესმის. უმასოდ სიცოცხლე გაუსამღისია. ორი დღის მერე დამიწერია: „მინდა, ჩემი სიყვარული და თქვენი თავისუფლება ერთმანეთს დაუკავშიროთ“. მან იმ დღეს მითხრა: „მომწონხარო“. ღმერთო, რა მტკივნეულად ხვდება ახლა ეს სიტყვა გულს! შვიდ ივნისს მე მას ვაკოცე. საღამოს კი დღიურში ჩავწერე: „ხვალ დავაზუსტებ ახლა დავილაღე. ბედნიერი ვარ, მაგრამ მაინც მეშინია და ამიტომაც მთლად ბოლომდე ვერა ვარ ბედნიერი. მეშინია საკუთარი თავისა, საკუთარი ბედისა, მეშინია იმ ურთადერთი რეალური მომავლისა, რომელსაც „ხვალ“ ჰქვია. მეშინია მაშასადამე, არ მჯერა“. სად მიმიყვანა ჩემმა სიფრთხილემ? განა სიფრთხილის წყალობით აჩქარებულად, დამაბულად და დაუღლეულად ვცხოვრობდი? არა, რა თქმა უნდა. მერე თავს ნება მივეცი დამეჯერებინა, რაკი მიყვარს და ამ სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ, მაშასადამე, ყველაფერი კარგად არის. ოცდასამ ივნისს თავის მშობლებზე მიაგებო, დედამისის ადამიანური ბედნიერების თეორიაზე შელაპარაკა. ჩემი უძლეველი, მოუშორებელი სიღედრის ადგილზე უნდა დავაყენო ეს ქალი, კეთილი, გამგებიანი, მიმტევებელი. ოცდარვაში უმოკრესი მოვლენა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მე, სხვას კი არა, მე დამიმთავრებია იმ დღევანდელი ჩანაწერი ღოცვასავით სიტყვებით: „ღმერთო, სულ ასე იყოს!“ – ღმერთის რომ ჩემი შეესმინა, ხეზე სამჯერ დავაკაკუნე. მაგრამ ღმერთი უღმობელა აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ექვს ივლისს დარწმუნებით დამიწერია: „უცებ ვიგრძენი: არაფრით გამორჩეული ეს წამი, ცხოვრების ეს პატარა ნაგლეჯი იყო სწორედ უშაღლესი საფეხური ნეტარებისა, ნამდვილი ბედნიერება“. – და იქვე, როგორც ურწმუნო კაცი, საკუთარ თავს ვასილაქებდი: „მე ხომ ვიცი, არსებობს მხოლოდ წამი, ერთი უმოკლესი წამი. წამიერი ცეცხლი, რომლის გახანგრძლივებაც არავის ძალუძს დედამიწის ზურგზე“. მაგრამ მაშინ არ მჯეროდა, რასაც ვწერდი. ახლა კი ვიცი – ეს სიმართლეა. სულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ბედნიერება შეიძლება გავრძელებს. იმედი მქონდა, უშაღლესი წერტილი პიკი კი არა, უზარმაზარი დაუსრულებელი ციცაბოა, მაგრამ გახანგრძლივება არავის ძალუძს

დედამიწის ზურგზე არავის ძალუძს, ვიცი მე ეს. შემდეგ მიწერია: რამდენაირი მნიშვნელობით შემიძლია წარმოვთქვა „აველიანედა“. ახლაც ვამბობ — „აველიანედა“ — მაგრამ ამჯერად ამ სიტყვას ერთი აზრი აქვს: ის არ არის და არც არასოდეს იქნება. საით წავიდე...



სამშაბათი, 28 იანვარი.

დღიურში ბევრი სხვა რაღაცაც მიწერია, ბევრი მნიშვნელობა: ვიგნალე, ანიბალი, ჩემი შვილები, ისაბელი... ამათ უბრალოდ, არავითარი აზრი არა აქვთ, უბრალოდ, არ არსებობენ. აველიანედას გვერდით მე უკეთ შევიცანი საკუთარი თავი. გავიგე, როგორი ვიყავი ისაბელის დროს, როგორი იყო თვით ისაბელიც. მაგრამ აველიანედა აღარ არის და ისაბელიც კვლავ გაქრა. ჩაიძირა ჩემი მწუხარების სქელსა და შავ ნისლში.

პარასკევი, 31 იანვარი.

კანტორაში ჯიუტად ვძალავ ჩემს სულიერ ცხოვრებას (ჩემს სიკვდილს) არავინ იცის, რა ხდება ჩემს თავს. ოცდასამი სექტემბრის ნერვიული შეტევა მოულოდნელ სამწუხარო ამბავს მიაწერეს და მერე გაჩუმდნენ. ახლა ნაკლებად ლაპარაკობენ აველიანედაზე, მე საერთოდ არ ვახსენებ მას; თუკი რამ ძალა შემთბრჩა, ვიკავებ თავს.

ორშაბათი, 3 თებერვალი.

აველიანედა ხელს გამომიწვდიდა მხოლოდ და მე ამითაც ვგრძნობდი, რომ გვიყვარდა ერთმანეთი. ეს საკმარისი იყო. საწოლშიც ერთად ვიწექით, ვკოცნადით, ვეხვეოდით ერთმანეთს, მაგრამ აი, უბრალოდ რომ გამომიწვდიდა ხოლმე ხელს, მაშინ ვგრძნობდი ყველაზე მეტად, ერთმანეთი რომ გვიყვარდა.

ხუთშაბათი, 6 თებერვალი

წუხელ გადავწყვიტე ეს ნაბიჯი გადამედგა და კიდევ გადავდგი. კანტორადან ხუთ საათზე გამოვიქეცი. № 368 სახლის კარზე რომ დავრეკე, ყელში რაღაც მომაწვა ბურთივით და ჩავახველე.

კარი მაშამ გამიღო. სწორედ იმ კაცმა ფოტოსურათიდან, ოღონდ ახლა მითხებინა და დარდიანი სახეც აქვს. ერთი კიდევ ჩავახველე და ვიკითხე, თერძი აქ ცხოვრობს-მეთქი? თავი გვერდზე გადახარა: „დიახ“. „კოსტუმის შეკვეთა მინდა“. სახელოსნოსკენ წამიძღვა. „არ ვაბრიყვდე და კოსტუმი არ შეაკერინო, — მითხრა აველიანედამ. — სულ ერთ მანეკენზე კერავს“. აგერ ის მანეკენიც — უმფოთველი, სასაცილო, უღამაზო მანეკენი. ქსოვილი ამოვირჩიე, ფასონზეც შევთანხმდით, ფასზეც. მოხუცი ერთ-ერთ ოთახში გამავალ კართან მივიდა და ხმადაბლა დაიძახა: „როსა!“ „დედაჩემმა იცის „ჩვენი ამბავი“. — მითხრა აველიანედამ. — დედაჩემს არაფერს ვუმაღავ“. მაგრამ „იცის ჩვენი ამბავი“ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალმა იცის ჩემი გვარი ან მიცნობს სახეზე. დედისათვის „ჩვენი ამბავი“ აველიანედა და მისი უსახელო შეყვარებული იყო. „ჩემი ცოლია, — მომმართა კაცმა. — სენიორ... როგორა თქვით, რა მქვიაო?“ „მორალესა“. — ვიცრუე მე. „დიახ, დიახ, სენიორ მორალეს“. ასეთი ტკივილიანი თვალები, როგორიც ამ ქალს ჰქონდა, ჯერ არ მინახავს. „კოსტუმის შეკერვა სურს“. არც ერთს არ ეცვა შავები. მათი წუხილი და გლოვა ნამდვილი იყო და ნათელი. დედამ გამიღიმა. მანეკენს ჩავეჭიდე თვალებით, რადგან ვერ გავუძლებდი ამ დიმილის.

თვის მეცქირა. დედამ წიგნაკი გადაფურცლა, მამამ ზომების აღება დამიწყა, კარნახობდა ცოლს და ისიც იწერდა. „ჩვენს კვარტალში ცხოვრობთ? სამოცდა-თხუთმეტი“. „ასე ვთქვათ“, — ვუთხარი მე. „იმიტომ გკითხეთ, რომ სახეზე მც-ცნობით. ორმოცდათოთხმეტი“. „ცხოვრებით ცენტრში ვცხოვრობ. მაგრამ ძა-ლიან ხშირად ვარ აქეთ“. „აჰ, კარგი, ძალიან კარგი. სამოცდაცხრამეტი“. ქალი უაზროდ იწერდა ციფრებს, კედელს შესცქეროდა. „შარვლის სიგრძე საჭამლე აქ-ნება, გინდათ? მაშინ ერთი ნოლ შვიდი“, მომავალ ხუთშაბათს უნდა მოვიდეს მო-ზომებაზე. მაგიდაზე წიგნი იდო — ბლავატსკაია. მამა რალაცაზე გავიდა, დედამ დახურა წიგნაკი და შემომხედა: „ჩემს ქმართან რატომ იკერავთ კოსტუმს? ვინ გირჩიათ?“ „ო, არაფერ. უბრალოდ, გავიგე, რომ აქ ცხოვრობს თერძი და მეც მო-ვედი“. ისე არადამაჯერებელი იყო ჩემი პასუხი, რომ თვითონვე შემრცხვა. დე-დამ კვლავ შემხედა: „ახლა ჩემი ქმარი ცოტას მუშაობს, ქალიშვილი მოგვიკვ-და...“ მას არ უთქვამს „გარდაგვეცვალა“. „ო, დიახ, გასაგებია. დიდი ხანია?“ „თითქმის ოთხი თვეა“. „დიდად ვწუხვარ, სენიორა“, — ვთქვი მე. აველიანედას სიკვდილი ჩემთვის მარტო მწუხარება კი არა, ქვეყნიერების დაქცევაა. ქაოსი და სიცარიელე და მაინც ვიცრუე, საზიზღრად ვიცრუე. „დიდად ვწუხვარ“. ღმერთო, რა არაფრის მოქმელი თანაგრძნობის სიტყვებია, რა უბრალოდ და მშვიდად წა-რმოვთქვი, ეს ისეთივე საშინელება იყო, როგორც, მაგალითად, რომ მეთქვა „გარდაიცვალა“. მაგრამ ყველაზე საშინელი იმიტომ იყო ეს „ძალზე ვწუხვარ“, რომ სწორედ ამ ხნიერი ქალისათვის უნდა მეთქვა სიმართლე, რამეთუ მხო-ლოდ მას ერთს ძალუმს ჩემი ნაღველი გაიზიაროს, ყველაფერი გამიგოს.

ხუთშაბათი, 13 თებერვალი.

ჩაზომებაზე მივედი, მაგრამ თერძი შინ არ დამხვდა. „სენიორ აველიანედა შინ არ არის. — მითხრა მისმა ცოლმა და ოთახში შემიძღვა — ვერ დაგელოდათ, მაგრამ ყველაფერი მზად არის და მე ჩაგაზომებთ“. ქალი სხვა ოთახში გავიდა და ძალე დაბრუნდა ჩემი კოსტუმით ხელში. ჩავიცვი, უშნოდ მაზის, ეტყობა, მართლა ერთ მანეკენზეა მიჩვეული. უცბად შეეტრიალდი (უფრო სწორად, ქალ-ქინძისთავეებითა და ცარციტ ინიშნავდა ადგილებს და იმან შემატრიალა) და და-ვინახე აველიანედას სურათი, წინა ხუთშაბათს იგი არ ეკიდა კედელზე: დედა თვალს მადევნებდა და შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩემი საცოდავი დაბნეულობა. ქინძისთავი და ცარცი მაგიდაზე დადო და ნაღლიანად გაღიმებულმა მკითხა: „თქვენ... ეს თქვენა ხართ?“ რა ბევრი თქვა ამ ორ „თქვენ“ შორის ჩატეული პატარა პაუზით! უნდა მეპასუხნა, და მეც ვუპასუხე ღუმილით — თავი დაეხარე, მერე სარკეში შევხედე და მთელი ჩემი არსებით გამოვხატე „დიახ“. ქალი ხელ-ზე დამეყრდნო, უსახელოებო ხელზე, რადგან ბოლომდე არ პქონდა დამთავრე-ბული ამ უბედური პიჯაკის მოზომება. მერე აუჩქარებლად გამხადა პიჯაკი და მანეკენს ჩააცვა. მანეკენს მშვენივრად ადგა პიჯაკი. „თქვენა გსურთ მისი ამბა-ვი გაიგოთ, ზომ?“ ქალი არ ბრაზობდა, არც დაბნეულა, თვითონ მეტიხმეტად მომთმენსა და დაღლილს მე ვეცოდებოდი. „თქვენ ყველაფერი იცოდით მისი, თქვენ ის გიყვარდათ. ალბათ დიდად განიცდით. ვიცი მე, როგორც ხდება ეს. გუ-ლი სივდება, სივდება, მკერდში აღარ ეტევა, ყელამდე ამოდის, გახრჩობს, იტა-ნჯები და ხარობ შენი ტანჯვით. ეს საშინელებაა, ვიცი მე“. ძველი მეგობარო-ვით მელაპარაკებოდა. მის ხმაში თითქოს მხოლოდ დღევანდელი კი არა, სხვა ტკივილიც დავიჭირე. „ოცი წლის წინათ მოკვდა ერთი კაცი. არა, კაცი კი არა — მთელი ჩემი ცხოვრება. ის ისე არ მომკვდარა, როგორც ჩვეულებრივ კვდებიან.

იგი გაქრა. გაქრა ურუგვაიდან, ჩემი ცხოვრებიდან, მთავარია — ჩემი ცხოვრებიდან. ასეთი სიკვდილი უფრო საშიხელია, გარწმუნებთ. აქამდე ვერ მიპატიებია თავისათვის — თვითონ ვთხოვე, აქედან წადი-მეთქი. დიახ, ასეთი სიკვდილი უფრო საშიხელია. ჩავიკეტე საკუთარ წარსულში. ჩემ მიერვე გაღებულმა მსხვერპლმა მევე გამანადგურა. — ქალმა თავზე გადაისვა ხელი და რასაც ველოდი, სწორედ ის მითხრა: — არ ვიცი, რატომ გიყვებით ამასე, ჩემთვის ჩაინც განავრძო: — ლაურა იყო ყველაფერი, რაც მისგან დამრჩა. მისი სხეული ისევ მისივდება და მახრჩობს. ვიცი, თქვენც რა დღეში ხართ“. ძალაწართმეული ჩამოჯდა სკამზე. „იმან იცოდა?“ — ვკითხე მე. „არ იცოდა, ლაურამ არაფერი არ იცოდა, მხოლოდ ჩემია ეს საიდუმლო, წარსულის საცოდავი დანატოვარი, ხომ ასეა?“ უცებ გამახსენდა: „კი მაგრამ, ადამიანური ბედნიერების თქვენეულ თეორიაზე რას იტყვით?“ ქალმა საწყალობლად გაიღიმა: „იმან ვითხრათ? ლამაზ სიცრუეს, ჯადოსნურ ზღაპარს ხშირად ვუყვებოდი, რათა ჩემს ქალიშვილს სიცოცხლე არ შესძულებოდა, სიცოცხლეს, ცხოვრებას ვაყვარებდი. ეს იყო ის საუკეთესო, რისი მიცემაც მე შევძელი მისთვის. საბრალო!“ ქალი ტიროდა, სადღაც მალლა იყურებოდა. არც უცდია სახეზე ხელები აეფარებინა. ტიროდა დაუფარავად და ამაყად... „თქვენ ხომ იმის გაგება გსურდათ...“ — და მიაშბო მის უკანასკნელ დღეებზე, უკანასკნელ სიტყვებზე, წუთებზე. მაგრამ ამის შესახებ მე არაფერს დავწერ, ის მხოლოდ ჩემია, კუბოს კარამდე ჩემი... და მელოდება ერთმანეთზე უსასრულოდ წაწყობილი გრძელი, უძილო ღამეები, როდესაც თავს ახგზის შემეძლება გავიმეორო: „ძვირფასო“.

პარასკევი, 14 თებერვალი.

„დარწმუნებული ვარ, უყვართ ერთმანეთი, — მითხრა აველიანედამ თავის დედ-მამაზე, — მაგრამ არ ვიცი, რატომ და, ასეთი სიყვარული მე არ მომწონს“.

შაბათი, 15 თებერვალი

ესტებანის ძმაკაცმა დამირეკა, პენსიის საქმე სულ მალე მოგვარდებაო. პირველი მარტიდან კანტორაში აღარ ვივლი.

კვირა, 16 თებერვალი.

დილით იმ დროს მიუაკიაზე სენიორ აველიანედას, როცა სწორედ ჩემს კოსტუმს აუთოებდა. სურათი ავსებდა ოთახს და მეც თვალს ვერ ვაშორებდი მას. „ეს ჩემი ქალიშვილია, — მითხრა კაცმა, — ერთადერთი ქალიშვილი“, არ ვიცი, რა წავილულლულე, თუმც სულერთი არ არის, რა? „სულ ახლახან მოკვდა“ მე კვლავ გავიგონე საკუთარი ხმა: „დიდად ვწუხვარ“. „ერთი რამ არის საოცარი. — თქვა მან მოულოდნელად. — მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ახლოს არ ვიყავით ერთმანეთთან. არასოდეს მიგრძნობებია მისთვის, რა ძვირფასი იყო ჩემთვის. ყოველთვის, დავაპირებდი თუ არა მასთან ლაპარაკს, სახვალთოდ ვდებდი თანაც პირველ ხანებში დროც ცოტა მქონდა, მერე იმან დაიწყო მუშაობა და მეც სიმხდალე მიშლიდა ხელს. ხომ გაიგეთ? მეშინოდა, გული არ ამჩუყებოდა ახლა კი აღარ არის ცოცხალი და დავრჩი ასე გულში ამ სიმძიმით. იქნებ იმ სიტყვებს, წარმოთქმა რომ არ ეწერა, გადავერჩინე მე. — კაცი უსიტყვოდ შესცქეროდა სურათს. — არც ერთი ნაკვთი არა აქვს ჩემი... თქვენ როგორ ფიქრობთ, მგავს რამით?“ „ეფიქრობ, გამომეტყველებით“, — ვიცრუე მე. „შეიძლება, მაგრამ სული ჰქონდა ისეთი, როგორიც მე. უფრო სწორად, ისეთი, როგორიც თქვენ“.

ესლაც მქონდა მე. ახლა მოვეშვი. ხოლო კაცი რომ მოეშევა, თანდათანობით მახინჯდება კიდევ, საკუთარ კარიკატურას ემსგავსება. მოკლა ასეთი ქალიშვილი — უნამუსობაა. ბედმა უმტყუნა თუ ექიმმა, ვერ ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს უნამუსობაა. თქვენ რომ გცნობოდით ჩემი ქალიშვილი, ალბათ მიმიხედებოდით. რისი თქმაც მსურს — კაცს თვალგაფაციცებული შევცქეროდი, მაგრამ მისი შეწყვეტი რადლებას არ მაქცევდა. — უნამუსობაა მოკლა ასეთი ქალიშვილი. ^{მისი გონიერება} ხრათ... ის იყო სუფთა და ამავე დროს მიწიერიც, სუფთა, უსპეტაკესი სიყვარულით უყვარდა სიცოცხლეს. არაჩვეულებრივი გოგო იყო. ბევრჯერ გამიფიქრია, რომ ღირსი არ ვიყავი ასეთი ქალიშვილისა. დედამისი სხვა საქმეა, როსა ნამდვილი ადამიანია. მტკიცე და ამტანი. მე კი სიმტკიცე მაკლია. საკუთარი თავის რწმენა მაკლია. გიფიქრიათ როდესმე თავის მოკვლაზე? მე მიფიქრია. მაგრამ არ შემისრულებია. ვაჟკაცობა არა მყოფნის. სულში, ფიქრებში თვითმკვლელი ვარ, მაგრამ შუბლში რომ მივიტყვლო ტყვია, ძალა არ მყოფნის...“ კაცი კვლავ გაჩუმდა, სურათს მიაჩერდა, უთო ხელიდან არ გაუშვია: „ყურადღებით დააკვირდით თვალებს. ის გვიცქერის, თუმცა შეუძლებელია, ის ხომ მკვდარია და მაინც გვიცქერის. მე მგონი, თქვენ უფრო გიცქერით“. არაფერი მითქვამს, ვიხრჩობოდი. კაცმა ფრთხილად დაკეცა შარვალი: „ესეც მზადაა, კარგი ქსოვილია, ხომ ნახეთ, რა კარგად უთოვდება!“

სამშაბათი, 18 თებერვალი.

ადარ წავალ №368 სახლში. არ შემიძლია, არ შემიძლია...

სუთშაბათი, 20 თებერვალი.

კარგა ხანია ანიბალი არ მინახავს. არაფერი ვიცი ხაიმეზე. ესტებანი სხვა რადაცებზე მელაპარაკება. ვიგნალე კანტორაში მირეკავს. არაუინ არ მინდა. ხანდახან ქალიშვილს თუ დავუელაპარაკები, რა თქმა უნდა, აველიანედაზე.

კვირა, 23 თებერვალი.

პირველად ოთხი თვის მერე მივედი ჩვენს ბინაში. კარადა გამოვალე. მისი სუნამოს სურნელი მომელამუნა, რა შუაშია სუნამო, ის ადარ არის. მე ინერციით ვცხოვრობ და მეჩვენება, რომ ინერციასა და სასოწარკვეთილებას შორის განსხვავება არ არსებობს.

ორშაბათი, 24 თებერვალი.

რა თქმა უნდა. ღმერთმა უბადრუკი ხვედრი მიწყალობა. მძიმე ხვედრი კი არა, უბრალოდ, უბადრუკი. რა თქმა უნდა, მან მე სულიც მომათქმევინა. პირველ ხანებში არ ვეპუებოდი. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ბედნიერება მეწია. მთელი ძალით ვეწინააღმდეგებოდი და ბოლოს დავმორჩილდი. დავიჯერე. მაგრამ იმას არ ჰქვია ბედნიერება. ის იყო მხოლოდ სულის მოთქმა. ახლა მე კვლავ განწირული ვარ, კვლავ უბადრუკი ბედი მელის, უფრო უბადრუკი, ვიდრე წინათ მქონდა.

სამშაბათი, 25 თებერვალი.

პირველი მარტიდან დღიურის წერას შევეშევი. ცხოვრებამ აზრი დაკარგა და რამდენი შეიძლება წერო ამის თაობაზე? მხოლოდ ერთ რამეზე შემეძლო მეწერა, მაგრამ არ მინდა.

ოთხშაბათი, 26 თებერვალი

როგორ მინდა, როგორ მჭირდება! მთავარი, რაც წინათ მაკლდა, რწმენა იყო მაგრამ დმერთზე მეტად აველიანედა მჭირდება ახლა.



ხუთშაბათი, 27 თებერვალი

კანტორაში მოისურვეს გაცილება მოეწყობა ჩემთვის, მაგრამ მკურნალი ვიქვი. მეტიხმეტად რომ არ გამენაწყენებინა ისინი, ოჯახური მდგომარეობა მოვიმიზეზე. არ მესმის, რა საჭიროა მხიარულებით აღინიშნოს ასეთი უსიამო ამბავი, თანაც როგორი მხიარულებით – ერთმანეთს ესვრიან პურის სორსლებს დღვინით თხვრიან სუფრას.

პარასკევი, 28 თებერვალი

ბოლო დღეა ჩემთვის კანტორაში. რა თქმა უნდა, არ მიმუშავია. მთელი დღე ხვევნასა და ხელის ჩამორთმევას მოუუნდი მმართველი ლამის გაიფხრიწოს კმაყოფილებისაგან. მუნიოსი მართლა გულაჩუყებულია. აი, მე დავტოვე ჩემი მაგიდა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე გამიადვილდებოდა გამოვთიშვოდი ყოველდღიურ რუტინას. უჯრები გამოვასუფთავე. ერთ უჯრაში მისი პირადობის მოწმობა ვიპოვე. თითონ მომცა სარეგისტრაციო ნომრის ჩასაწერად. ჯიბეში ჩავიდე. ახლა იგი აქ არის, ჩემთან. სურათი ხუთი წლის წინათაა გადაღებული, მაგრამ ოთხი თვის წინ უფრო ლამაზი იყო. დედამისი შეცდა, მე არ ვხარობ ტანჯვით, უბრალოდ, ვიტანჯები. კანტორას დავემშვიდობე. ხვალიდან სიკვდილამდე მთელი დრო მე მეკუთვნის. როგორც იქნა, მოვიდა ნანატრი თავისუფლება... ნეტავ რად მინდა?...



კორანო

ერთ შუალამეს ვიყავ დაღლილი, მოქანცულ სულში სევდაჩაღვრილი,
ფოლიანტის ღრმა საოცრებაში მიმაქანებდა ხმა უთვალავი.

ის იყო, თვალი რუღმა მოიცვა, რომ კარებიდან რაღაც მოისმა,
კაკუნისებრი ხმა გამოიკა შორიდებული, სუსტი, მპარავი

და ვთქვი გუჟანით: „ალბათ, სტუმარი მეწვია, მოსვლა მამცნო შან სმით“
მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ“?

აჰ, ნათლად მახსოვს — სუსხის ეკლებით იდგა შავბნელი ღამე დეკემბრის,
ჩინხლები, ბუჩაისანარეკლები, ძირს ეცემოდნენ მსხვრეულნი ასად.

უძრავს, ამოდ, მონუსხვით მზირალს მენატრებოდა, მწყუროდა დილა,
ირთვოდა წიგნში წუხილის ფთილა, დარდი-ლენორას დაკარგვის ფასად

მისი ვერმოსვლით, ვის ანგელოსნიც ამ სახელს ჰხმობდნენ კრძალვით და
ნაზად — ვინც ყველგან არის და არის არსად.

მეწამულ ფარდებს აბრეშუმისა ვუსმენდი შრიალს ჩამიჩუმისას,
გვრძობდი ასე და ღელვა მავსებდა და სევდა ჯერაც უცნობი მანამ.

მიტომ მომესმა, ალბათ, ყოველი კაკუნი უხმოდ, თუ დაყოვნებით,
ვით გულისცემის განმეორება, მე მომეფლინა ასე ცივ, წკვარამ

ღამეს თავისით ახლა ჩემს კარად, ან მოიყვანა განგების ძალამ —
მხოლოდ სტუმარი და არა — სხვა რამ.

მაშინვე გულის მძლავრ თქმას შევეყვები, წამოიმართა სული მერყევი
და ვთქვი: „ბატონო, თუ ქალბატონო, ვარ გულწრფელობის და ჩემს ამარა.

ჩამძინებია და მაბატიეთ — მოწიწებით გთხოვთ, მაგრამ ფაქტი ერთს
კი აღიარებს — ისე ჩავთვლიმე, რომ ის კაკუნი, გეტყვით ალაღად,

არად ჩავთვალე-მეთქი და სივრცე ფართოდ გადახსნა სახლის კარმა რა,
სიბნელე იდგა და სხვა — არარა.

ღრმა სიბნელეში გაოცებული ვიდექი მზერით ქაოსს შებმული,
ზმანებით ხედვამოვსებული; მოკვდავს არარა ახსოვს ამფერი!

მარტო სიჩუმეს შევრჩი ეულად, მისი მორევი არც შერხეულა,
მხოლოდ აჩქეფდა ანაზღვეულად, კითხვა: — „ლენორა?“ — ტალღად ნაბერი-

ამ სიტყვის ბგერებს მე ვჩუქრულეზბდი, ექოც „ლენორად“ ჰქროდა სხვა
ბგერით, უბრალოდ ეს და სხვა არაფერი.

მოტრიალებულს, შინ შებრუნებულს გადამიხურდა სული უნებურ,

მაგრამ მსგავსივე დაკაკუნება, თითქოს, ფეხდაფეხ გამომყვა ჩქარა,
უფრო გარკვევით და მაშინ ვთქვი მე: „ახლა, ნამდვილად, ფანჯარას ვინმე

მოადგა-მეთქი და იმ წუთს, პირველ ყოვლისა, სწრაფად და ჰაიპარად
შეხვედრა ვცადე ისე, ვით ადრე, მაგრამ ყოველი სუფევედა წყნარად,
ვთქვი: „ეს ქარია და არა — სხვა რამ“.

როცა მოვწიე ფანჯარას რაზა, ფრთების სწორებით, პეწით და ნაზად,
რომ იფერებდა ამაყად ლაზათს, შემოიბლინდა ყორანი ბერი,
ცოდვამყრილი გარდასულ დღეთგან, ურევერანსოდ, წამსაც არ შედგა,
ლორდის, თუ ლედის იერით მედვრად დასკუბდა კარის ზღურბლთან და მერე

ფრინდა იქვე და ის პალადის ბიუსტზე დაჯდა მძიმე დაფრენით —
დაფრინდა, დაჯდა, სხვა არაფერი.



შევხედე სამოსს, მოსართავს შავს და გასრესილს მისას, სიცილი წამსკდა,
ვუთხარი: „შენი ქოჩორიც გაცვდა, ფერიც გახუნდა კუპრის ქაფდრეწეში
სერიოზული, მკაცრი, სასტიკი, ძველი იერით აწი აღსდექი. გიბეჭდიანოშკა
და გზებს მოედე ასგზის გაზერგნილს, პლუტონის ღამით² გართობს ტანტალი,
გაშლილ ღამეში, თითქოს, რამე შვილს წარმოადგენდე, იწყე წანწალი“.
მან „აღარასდროს“ მითხრა ყრანტალით.

შევცბი პასუხით უცებ, რადგან ის მოურიდებლად იყო ნათქვამი,
მის აზრებში კი ერთი მათგანიც ვერ უდგებოდა მიზნის ნახევარს.
თქვენთაგან ყველა დამეთანხმება — არ გაგონილა, ასე არ ხდება —
ამ დროს ფარდებში შინ შემოჭრილი დაჯდეს ფრინველის უცხო სახება,
ან, გინდაც, მხეცი — ისიც ბიუსტზე — მას სითავებდე ეყოს ამხელა
და „აღარასდროს“ ერქვას სახელად.

მარტოსულივით იჯდა ყორანი, ახლდა მოწყენა გაუგონარი
და ერთადერთი სიტყვის მთოვარი, ამ სიტყვით სულის გადმომფინველად.
აღარ დაუძრავს გარინდულს კრინტი, არ შერხევია პირშეკრულს კლიტით
ერთი ბუმბულიც კრძალვით, თუ რიდით და ვთქვი ბუტბუტით: „დილით
პირველად,
იმედებივით ესეც გასხლტება და გამეცლება მოუხილველად“.
თქვა: „აღარასდროს“ ხრინწით ფრინველმა.

პასუხი გამცა ისე სისხარტით, ღუმელში შეეკრთი და შევიცხადე.
თავს მაინც ვუთხარი: „მწამს, გაიზუთხა, მისხის მისხამდე უნდა ახსოვდეს
ვილაც თვისტომი უბედურისგან — მას რაც სახსოვრად უღებს გულის კარს —
ბედის სასჯელად სულ რომ უვლის გარს სიტყვა, მხუთავი ასო-ასომდის,
პგავს ხმას იმედთა დასამარების და სიკვდილმისჯის რაღაც ხმას მოსდევს
„აღარასდროს“ თუ „აღარასოდეს“.

მაგრამ ყორანმა ისე, ვით წინათ, ჩემი სიცილი გამოიწვია,
ავდექ, დივანი მარდად მიეწიე მისკენ, კარისკენ, ბიუსტისაკენ,
მერე დავეშვი ფაფუკ საფენზე და მივაშტერდი ყორანს სახეზე,
ამბობდა ფიქრთა სვლა უსწრაფესი, რომ ამ პირქუში ფრინველისაგან,
რამაც იცხოვრა მრავალრიცხოვან წლებს, რას ვცნობ-მეთქი სიკეთისმაგვარს!
„აღარასოდეს“, — იხივლა აქაც.

ჰო და ამრიგად, გულში ამთავით, რბილი ეკლისებრ წვერწანათალი,
გამერქო მისი მზერა მშანთავი უგრძნობ ხიჭვებად, წვრილ-წვრილ ნემსებად,
აზრებში ყვინთვით უფრო ვფიქრობდი, ფერად ბალიშზე კეფამიყრდნობით,
რულს მოთვალთვალე ქალი მიფრთხობდა, დაყინებული მისი კვესება.
ვინც აქ იისფერ ხავერდზე ლბილად ზედ ეშვებოდა სანუგეშებლად,
აღარასოდეს არ დაეშვება.
და მომეჩვენა სულ სხვანაირი სურნელის მფრქვევი უცბად ჰაერი,
სერაფიმების³ სვლათა ხმაური იატაკს წამმა გადაატარა

და დაეიძახე: „ღმერთმა მოგძებნა, ბეჩავო, სულის ხსნის საბოძებლად, მისგან მოგართვეს ანგელოსებმა აქ ნებენტესი¹, შესვი, რათა მან მოგამჯობინოს, ლენორაც ვიპქრეს, არ დაგრჩეს მისი ხსოვნაც პატარა!“
„ალარასოდეს!“ — დაიყრანტალა.

ჩემი ძახილი მიდამოს ესმა: „შენ ფრინველი ხარ, მაცნე თუ ეშმა, თუ მოგავლინა უზენაესმა, ვინც ჩვენ ორთათვის ხატი გამხდარა² ჩვენს შორის ჯადოქრის ხეებით თუ აღიძარი და მომეველინე, როგორც ხიზანი ბირჭუს ბინაში. მარტვი მიზანი — მითხარი, თუ ვაქვს ხათრი პატარა, — იქ, გალაადში³, ნეტავ, ვერ ვპოვებ ბალზამს შავ დღეთა გადასატანად?“
„ალარასოდეს!“ — დაიყრანტალა.

ძახილი ისევ მიდამოს ესმა: „შენ ფრინველი ხარ, მაცნე, თუ ეშმა! თქვი — მიწერია ფიქრის ოდესმე აღსრულება, თუ შავეთს ჩატანა ამ ცის ქვეშ, რაიც ღმერთმა მაღალმა თავის დიდებად გადმოგვადვარა, სული ჩაიკრავს კვლავ, თუ აღარა ედგეში⁴ წმინდა ქალწულს სადარად ციალის, ვისაც ანგელოსები ლენორად სცნობენ გულდამშანთავად?“
„ალარასოდეს!“ — დაიყრანტალა.

ეს ნიშნავს-მეთქი, რომ ჩემვან წახვალ, ფრინველის სახეც, თუ წარმოსახვაც, გაბრუნდი ახლავ, გადაგიყოლოს პლუტონის ღამემ და ქარიშხალმა, არ დავინახო ბურღლა აქ შენი, როგორც სიცრუის თავის ამშლელი, წადი, გაფრინდი ჩქარი აქშევით! დაეხსენ ბიუსტს დასავიწყარად, ამოაძერი გულს ამაზრზენი ნისკარტი შენი ჩასობილ ბრჭყალად!“
„ალარასოდეს!“ — წამოიჩხავლა.

და ზის ყორანი რაღაც ლოდინით, ზის, დევს უძრავად, შავი ლოდინით, გადახუნებულ ბიუსტზე ზის ის, ზის მღუმარება ყველას გადასდო. მის მეტყველ თვალებს, თვალებს დემონის⁵, თითქოს, ესიზმრა გარეშემონი, ლამპრის სინათლის ბნელ შადრევანზე თავისი ჩრდილი საგლოვ-საავდრო იატაკს დასცა, მწამს, იმ ჩრდილიდან ეამმა სულის ხსნას აღარ დამასწროს მე აღარასდროს.

შენიშვნები:

1. პალადა — (ბერძ. მით.) ქალღმერთ ათენას ერთ-ერთი ეპითეტი (ათენა პალადა) ომისა და ვაჭარეულების, აგრეთვე სიბრძნისა და ხელოვნების ქალღმერთი.
2. პლუტონის ღამე — (ბერძ. მით) პლუტონის — მიწისქვეშა სამყაროს ღმერთისა და მიცვალებულთა სულების მპყრობელის საშეფო.
3. სერაფინი — ანგელოსთა ერთი კატეგორია.
4. ნეკნეტისი — ბალაბი, რომელიც, ძველთა წარმოდგენით, იძლეოდა დავიწყებას, ან ტანჯულ სულს ამშვიდებდა. აქედან — რაიმე დაამამშვიდებელი, ან დაბავიწყებელი.
5. გალაადი — (ბიბლ) ადგილი, სადაც ბალზამი იშოვებოდა.
6. ედში — სამოთხე.
7. დემონი — „ღმერთი“. ღვთაება, სული, გენია, ბედი, წერა, უბედურება.

ლუდვიგა უვაროვა

წყვედიანი შუადღის შემდეგ



მთხრობა

თარგმნა ჯილდა გორჯაძემ

პასულ შემოდგომას დაინგრა ჩვენი მეგობრული, აწყობილი მოჯახი. ყოველ შემთხვევაში, ასეთად მიმაჩნდა ბავშვობიდან — და აი, ისიც დაინგრა.

თავიდან მოგიყვებით, როგორც მოხდა ყველაფერი. სკოლიდან ჩვეულებრივზე ადრე დაებრუნდი, ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი ავად გახდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა; თურმე ჰიპერტონიული კრიზი ჰქონია, და ის სასწრაფოდ გაისტუმრეს პოლიკლინიკაში, ჩვენ კი-სახლებში.

შინამდე არც კი ვიყავი მისული, რომ სამსონს შევეფეთე, მამის ნათესავს, რომელსაც მე და ჩემმა ძმა არკაშკამ ფიკუსი შევარქვით. ფიკუსი დიდი ხანი არ არის, რაც გამოგვეცხადა, მგონი, ორი წლის წინ. შინამდე აზრადაც არ მოგვსვლია, ასე შორეული, ყველასათვის უცნობი ნათესავი თუ ჰყავდა მამას.

მომეჩვენა, თითქოს ფიკუსი დაიბნა და მგონი, არც გახარებია ასე მოულოდნელად რომ შევხვდით ერთმანეთს.

— ჩვენთან მოდიხართ? თუ უკვე იყავით და იქიდან მოდიხართ?

— არა, უბრალოდ ჩავიარე, — მიბასუხა ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს, სადღაც ჩემს თავზემთ იმზირებოდა.

რა თქმა უნდა, უფრო ზრდილობის გულისათვის მივიპატიე, რადგანაც დიდად არ მეხატებოდა გულზე.

— გინდათ, ჩაის დაგაღვინებთ..

— არა, გმადლობთ. — იგი კვლავ ჩემს თავზემთ იმზირებოდა.

— ჰო, მართლა, მარა ავად გვყავს, — უცებ გამახსენდა. — გრიპი ჰქონდა, ახლა თითქოს გაუარა...

მარას დედაჩემს ვეძახდით ყველა — არკაშკა, ჩემი უმცროსი ძმა, მამა და მე. დედას ეს მოსწონდა, იმიტომ რომ ბავშვობაში ასე ეძახდნენ და, როგორც გამოგვიტყდა, „მარას“ გაგონებაზე ბავშვობის სურნელი მეხვევა და თავი კვლავ პატარა მგონიაო.

— მაშ, შემოხვალთ? — დიდი ხალისით არ მიკითხავს.

— დიახ, ე. ი. არა, — დაბნეულად მიბასუხა ფიკუსმა და სწრაფად მომცილდა, თითქმის გაიქცა.

გაოცებულმა გავადევნე თვალი: ასეთი რამ არ სჩვევია მას... ჩვეულებრივ ძალზე ზრდილობიანი ყველასადმი, ისეთი ზრდილობიანი, რომ გული აგერევა.

სულ პირველად ერთ კვირა დღეს მოგვადგა კარზე, როცა ყველანი შინ ვიყავით. მამა იკითხა-ვადიმ სერგის ძე კოშელევი.

„მე ვარ ვადიმ სერგის ძე, — უთხრა მამამ, — ვადიმ სერგის ძე კოშელევი. მაპატიეთ, თქვენ ვინა ხართ? — მოსული პასუხად ეცა და გულში მაგრად ჩაიკრა მერე ცოტა ხანს გაუშვა, სიყვარულით მიაცქერდა მის ვაგონებულ სახეს და კვლავ მთელი ძალით ჩაბლუჯა. „ბიძია ვადიკ, — უთხრა მან. — მე დეიდა ლილის ვაჟი ვარ!“ „დეიდა ლილის?“ — დაეკითხა მამა. „დეიდა ლილის. იმედი მაქვს, კარგად გახსოვთ?“ „მახსოვს“, — უპასუხა მამამ თვალები დაახამხამა, და მეც მაშინვე მივხვდი, რომ არავითარი დეიდა ლილი მას არ ახსოვდა. მაგრამ მამაჩემი ისეთი თავაზიანი კაცია, რომ არამცთუ სიტყვით, შეხედვითაც არ ძალუძს ვინმეს აწყენინოს.

ჩემი თორმეტი წლის ძმა არკაშკა ირწმუნება, მამა ქუჩის ძაღლებსაც კი თქვენობით მიმართავს, აქაოდა, მათი თავმოყვარეობა არ შევლახო.

„მამ ასე, — განაგრძობდა დეიდა ლილის შვილი, — მე და დედა კვლავ ელცში ვცხოვრობთ, დედა იქ დარჩა, მე კი ჩამოვედი...“ „კეთილი“, — უთხრა მამამ. „მე სამსონი ვარ, დეიდა ლილის უმცროსი ვაჟი...“ „ძალზე სასიამოვნოა“, — წარმოთქვა მამამ და მეტისმეტად ფართოდ გაიღიმა, რათა სამსონს ეჭვი არ შეპაროდა, რომ უდროდ დროს იმოვიდა.

მოგვიანებით, როცა სამხარეულოში საუზმეს ვამზადებდი, ხოლო მარადიდ ოთახში სამსონს მაღალი წრისათვის დამახასიათებელი ლაპარაკით ართობდა, მამამ წამჩურჩულა: „ღმერთია მოწმე, ნამდვილად არ მახსოვს, არავითარ დეიდა ლილის არ ვიცნობ...“ „კარგი ერთი, — ვუთხარი მე. — უბრალოდ, დაგავიწყდა“. მან ყოყმანით განაგრძო: „მართალია ერთხანს ელცში ვცხოვრობდი, მაგრამ ეს ძალზე დიდი ხნის წინათ იყო. იქ დიდედას ჰყავდა ვილაც შორეული ნათესავები...“ „ჰოდა, ჩინებულია, — გამეხარდა მე. — ყველაფერი გაირკვა“. მამა უმაღლესად დამეთანხმა: „ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ მოდი, ნუ გავამხელთ, რომ შევექვდი“.

თავი დავუქნიე და ფინჯნებიანი ლანგრით ხელში შევედი ოთახში.

მერე ყველანი სამსონს ვუსმენდით. აღმოჩნდა, რომ სკოლაში ყველაზე კარგად სწავლობდა ლიტერატურას, მის თხზულებებს მოსწავლეებს სანიმუშოდ უკითხავდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ იქაურ გაზეთში მოეწყო სამუშაოდ და თანდათანობით წინ წაიწია სამსახურებრივ ასპარეზზე. ჯერ შიკრიკი იყო, მერე რეპორტიორად მუშაობდა ხელშეკრულებით, შემდეგ კი შტატში ჩარიცხეს, ინფორმაციის განყოფილებაში, მერე თვითონ დაიწყო წერა, თავისივე თქმით, დიდ-დიდი ნარკვევებისა და ნაირ-ნაირი ესეების.

„სამხედრო სამსახურში თუ იყავით?“ — შეეკითხა მამა. სამსონმა შეწუხებულმა მიიღო ხელისგულები გამობერილ, ტრიკოტაჟის პერანგით შემოტმასნულ მკვრდზე: „ბიძია, ვადიკ, რა დაგემართათ?“ „რა მოხდა?“ — შეეშინდა მამას. „რატომ მომმართათ თქვენობით? — სამსონმა მავედრებელი თვალები ზეაწია და ხელებიც მაღლა აღმართა, თითქოს სამართლიანობას მოუხმო. — ისე გიყვარდით და მანებიერებდით შორეულ ბავშვობაში, მეც მივეჩვიე თქვენს სიყვარულს და პატივისცემას, ახლა კი, თითქოს უცხო ვიყო, თქვენობით მომმართათ“. „მაპატიე“, — შემკრთალმა ჩაიბუტბუტა მამამ, თან ისე დაირცხვინა, რომ სათვალეც კი დაენისლა, მაშინვე მოიხსნა და დაბნეულმა დაუწყო წმენდა ქაღალდის ხელსახოცით. მამის სახეზე აისახა ისეთი ლაქუცა ღიმილი, როგორც არასოდეს შემიმჩნევია მისთვის. ეტყობა, უნდოდა, როგორმე გამოესყიდა სამსონის წინაშე უნებურად ჩადენილი ცოდვა. „მაპატიებია, — მოწყალედ წარმოთქვა სამსონმა, — ბოლოს და ბოლოს ხომ არ შეიძლება მართლაც გავბრაზდე თქვენზე!“ „დიახ, რა თქმა უნდა“, — თქვა მა-

მამ. „სამხედრო სამსახური არ გამივლია, — თქვა სამსონმა და იქვე დაუმატა მედიდურად: — ბრტყელტერფიანობა მაქვს“. „ეს რა, ბრტყელტერფიანობა?“ — შეეკითხა მარა. სამსონს გაეღიმა: „არა, რას ბრძანებთ, უბრალოდ, გარედან მთლიანად განთავისუფლებს... — მერე კვლავ მამას მიუბრუნდა: — ახლა/გადავწყვიტე დედაქალაქში დავსახლდე. ყველანი ჩამჩიჩინებენ: „მოსკოვში! მოსკოვში!“

„როგორც ჩეხოვის „სამ დაშა“, — ხმადაბლა შენიშნა მარამ. ფართო ღიმილმა სახე გაუბადრა სამსონს: „როგორ? როგორ თქვით? იცით, მართლაც გონებამახვილურია!“ „ო, არა, რას ბრძანებთ“, — დაიბნა მარა. გაწითლდა, წამწამები დახარა და უცებ ისე ნორჩი გახდა, რომ, როგორც ჩანს, სამსონს ალაღად გაუკვირდა, ნუთუ ეს ბავშვების დედაა?

„მაშ ასე, — სამსონი სახის ერთი ნაწილით მარას უღიმოდა, მეორეთი მამაჩემის პაცივისცემას გამოხატავდა (როგორ ახერხებდა ამას, დღემდე ვერ გამიგია, მაგრამ ნამდვილად კი გამოსდიოდა). — ყველანი ირწმუნებიან: „სამსონ, მოსკოვში უნდა წახვიდე. იქ ფრთებს გაშლი. შენი ტალანტი მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვში გაიფურჩქნებაო“.

„რისი ტალანტი გაქვთ?“ — შეეკითხე. „და აი მეც გადავწყვიტე, — მან თთიქოს ვერ გაიგონა ჩემი შეკითხვა, ალბათ საჭიროდაც არ მიიჩნია აეხსნა რამე, — ყველაფერი მივატოვე და თქვენსკენ გამოვეშურე“, „კეთილი, — უთხრა მამამ და ამოისუნთქა. — ჩინებულა!“ „ოღონდ არ გეგონოთ, ბიძია ვადიკ, — ნაჩქარევად ჩაურთო სამსონმა, — სულაც არ ვაპირებ, თქვენ შეგაწუხოთ. დედას ბიძაშვილთან ვიცხოვრებ, დეიდა კაპასთან. არ გახსოვთ, ცხვირპაჭუა, დეიდა კაპა? ერთხელ კინალამ ხარმა ურქინა“. „როგორ არა, როგორ არა“, — უბასუხა მამამ და მკაცრად გამომხედა სათვალიდან, რადგან სიცილი რომ შემეკავებინა, ათასნაირად ვიმანჭებოდი. „დიახ, დეიდა კაპასთან ვიცხოვრებ, ორი ოთახი აქვს სელეზნიოვკაში. მართალია, ვერაფერი ოთახებია, მაგრამ რას იზამ! სამაგიეროდ ცალკე სივანე მექნება, ჩაწერაც მოხერხდება, დეიდა კაპას კარგი ნაცნობობა აღმოაჩნდა. ვინ იფიქრებდა, მართლაც საოცარია!“ „დიახ, რა თქმა უნდა, — თავაზიანად ჩაიბუტბუტა მამამ და ჰკითხა: — სადა ფიქრობ მუშაობის დაწყებას?“ „აი ესაა სწორედ მთავარი, — თქვა სამსონმა, — ბიძია ვადიკ, ძვირფასო, უნდა დამეხმაროთ...“ თურმე, მამაჩემმა უნდა მოაწყოს სადმე ბექდვით ორგანოში, უურნალში, გაზეთსა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამომცემლობაში.

„მოგაწყობთ? — გაუკვირდა მამას. — მაგრამ მე რომ არც უურნალისტი ვარ და არც მწერალი, როგორ მოგაწყობთ?“ „რას ბრძანებთ, ბიძია ვადიკ, გგონიათ, რაზან პროვინციელები ვართ, არაფერი გავკეგება? ელცამდეც მოაღწია ამბავმა, რომ მოსკოვში ბევრი გიცნობთ და თქვენს სიტყვას ფასი აქვს... — სამსონს შთაგონება ეხატა სახეზე, თვალები უბრწყინავდა. აი, მლიქვნელი! თქვენი სიტყვა, ბიძია ვადიკ, თქვენი დიდი ავტორიტეტი... საკმარისია თქვენი ერთი სიტყვა...“ „კარგით, კარგით, — შეაწყვეტინა მამამ. მისმა ღმობიერებამაც კი ვერ გაუძლო მლიქვნელობის თავაწყვეტილ ტალღას. — არ გინდათ, არაა საჭირო...“ „დამეხმარეთ, ბიძია ვადიკ, — თქვა სამსონმა და ვარდისფერი ხელისგულები ერთმანეთს მიატყუბა. — გემუდარებით“. „მართლაც ვადიმ“, — მხარი აუბა მარამ. „კეთილი, კეთილი, — მამამ კვლავ მოიხსნა სათვალე და მუშების წმენდას მოჰყვა. — შევეცდები“.

სამსონი საოცრად ჭიუტი ყმაწვილი აღმოჩნდა. უკვე მეორე დღით ტე-

ლუდვიგის ზარი აწკრიალდა და მისი ხმაც აღუღუნდა ყურმილში: „ბიძია ვადიკს სთხოვეთ ტელეფონთან“. „მამა, შენა გთხოვენ, — ვთქვი მე — ისაა, ელცელი. უკვე ამოგიღო მიზანში“.

მამამ საყვედურით შემომხედა და ყურმილი აიღო. „დიახ, — თქვა მან. — გამარჯობა, გამარჯობა. არა, ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ შევეცდები. ოპ, რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი!“ „იწყება ბადაგის ნიაღვარე“ — მკვებებზე მე.

სამსონი მეორე დღეს მობრძანდა, ღამის თერთმეტ საათამდე იჯდა ჩვენთან. მეორე კიდევ მოვიდა ორი დღის შემდეგ და კვირის ბოლოს მამას კეთილმა ნაცნობმა, ქალების ყურნალის პასუხისმგებელმა მდივანმაც მიიღო სამსონი შტატგარეშე კორესპონდენტად.

სამსონის სიხარულს ვერ აგიწერთ. „აბა, ბიძია ვადიკ, რას გეუბნეოდით? — უსასრულოდ იმეორებდა — არა, როგორი ვარ! ხომ ვიცი, რასაც ვამბობ?“

ისე გულწრფელად და ხალასად იყო ბედნიერი, რომ მეც კი, რომელმაც ნახვისთანავე ამოვიძულე, მიხაროდა, მის გაბრწყინებულ სახეს რომ ვხედავდი.

ალბათ შეიძლებოდა სამსონისათვის თითქმის ღამაში გვეწოდებინა, მის სახეზე ნაკლს ვერ იპოვიდით, მაგრამ მალიზიანებდა მისი მეტისმეტად ვარდისფერი ლოყები და უცვლელი ღიმილი, რომლისაც არა მჯეროდა.

ძველებურად ხშირად დაიარებოდა ჩვენთან, დეიდა კაპას ტელეფონი არა ჰქონდა, ის კი მთელ თავის სამუშაოს ტელეფონით აკვარახჭინებდა.

გახდისთანავე ტელეფონს ეცემოდა. „მოლოჩკოვი გელაბარაკებათ „ქალთა ყურნალიდან“, — იწყებდა ის ჩვეულებისამებრ ლაპარაკს თავის მრავალრიცხოვან მომავალ გმირებთან-ქორწინების სასახლის დირექტორთან, სახალხო განათლების განყოფილების გამგესთან, სილაშის ინსტიტუტის მთავარ კოსმეტოლოგთან, „გუმის“ სუვენირების სექციის გამგესთან...“

მე და არკაშკას სამსონი არ გვიყვარდა. არკაშკამ ფიკუსი შეარქვა.

„ფიკუსივით დიდი, პრილა და უსარგებლოა“, — თქვა არკაშკამ.

მამა, ფიკუსი? იყოს ფიკუსი. მე დავეთანხმე არკაშკას და ორივენი თანდათანობით შევეჩვიეთ ამ მეტსახელს.

ვამბობდით ხოლმე: „ფიკუსმა იმ დღეებში ორი საათი ილაყბა ტელეფონზე, მაგის გადამკიდემ ველარავინ დაგვირეკა...“

მარამ გაიგო, გაუკვირდა: „ეს რა მეტსახელია, განა სამსონი ფიკუსსა ჰგავს?“ „ჰგავს“, — მტკიცედ უპასუხა არკაშკამ, მე კი დავუმატე: „ზედგამოქრილია თანაც საშინელი მლიქვნელია“.

მარამ მართებულად იკითხა: „რაო, განა ფიკუსი მლიქვნელია ხოლმე?“

ვერაფერი ვუპასუხე. ჩემი აზრით, სახელი სამსონი სულაც არ შეეფერებოდა ამ ნაადრევად ჩასუქებულ, დიდი უკანალის პატრონსა და აღისფერლოყება ახალგაზრდას.

მარა თავდაპირველად თავშეკავებულად, ფრთხილად ექცეოდა სამსონს, თითქოს სწავლობდა, თითქოს სურდა ძირისძირობამდე ამოეცნო, რა კაცი იყო. მაგრამ სამსონმა მისი მოხიბვლაც შეძლო: რომ გაიგო, მარა ხავერდის პიჯაკზე ოცნებობსო, უშოვა ვილაციის წყალობით და მოუტანა ძვირფასი იასამნისფერი ყუთით, რომელიც შეკრული იყო ატლასის ბაფთით.

„აი, ინებეთ, დეიდა, — თქვა სამსონმა, (პირველივე დღიდან „დეიდას“ ეძახდა) — ინებეთ, პირდაპირ ქალაქ პელსინკიდან, საუკეთესო მაღაზიიდან...“

მარამ სწრაფად გახსნა ბაფთა, პიჯაკის დანახვაზე აღტაცება ვერ დამალა. სწრაფად ჩაიცვა და სარკეს მივარდა.

მარა კი არა, მეც, სამსონიც, მამაც ყველანი აღტაცებულები ვიყავით, ისე მთუხდა ეს ლურჯი, ძვირფასი შიჯაკი.

„რაო, გასიამოვნე?“ — შეეკითხა სამსონი მარას. მარას თვალი არ მთუ-
ცილებია სარკისთვის, ისე უთხრა: „თანაც როგორ...“

მეც არაკაშკას ვუთხარი: „მან მარაც კი იყიდა, როგორია, ა?“ — „მე ვერა-
ვინ მიყიდის“, — მტკიცედ განაცხადა არაკაშკამ და მეც დავუდასტურე მას: „ვერც მე“.

მამამ კი — უნდა იცნობდეთ ჩვენს მამას — როგორღაც მკაცრად შენიშნა: „რას გადაეკიდე? ნათესავების მოყვარული კაცია, თანაც თავს ეულად გრძნობს მოსკოვში, სურს დაგვიახლოვდეს, სასიამოვნო და საჭირო კაცი გახდეს ჩვენ-
თვის...“

ვერ მოვითმინე და გამეცინა: „ტყის ნაძვი რომ ნაძვია, ისიც კი არაა შენ-
სავით გულუბრყვილო, მამა, ამბობ, ნათესავების მოყვარულიაო, სურს დაგ-
ვიახლოვდესო! სასიამოვნო კაცი იყოს ჩვენთვისო? აბა, ერთი არ იყო მეცნიე-
რების კანდიდატი და ლაბორატორიის გამგე, რასაც მოგიბრძანებოდა და შე-
გახსენებდა თავის ნათესაობას, მაგასაც ვნახავდი!“

„თხუთმეტი წლის გოგოს საიდან გაქვს ასეთი ცინიზმი და უხეშობა“, —
თქვა მამამ.

აქ ისე შეწყდა ჩვენი ხანმოკლე კამათი, რომ ვერც მე და ვერც მამაჩემმა
ვერაფერში ვერ დავარწმუნეთ ერთმანეთი.

სამსონი კი ამასობაში ძალას იკრებდა. შტატშიც აიყვანეს და ახლახან გა-
ხსნილი სასარგებლო რჩევათა განყოფილებაც კი ჩააბარეს. ახალი სამუშაო
მოეწონა, რას აღარ მიწვდა მისი ხელი, შეეძლო რჩევების მიცემა ცხოვრების
თითქმის ყველა დარგში: ვთქვათ, როგორ შეეენარჩუნებინათ ქალებს კარგი
დამოკიდებულება გაყრილ ქმართან, როგორ დაემყარებინათ კაცებს მეგობ-
რული ურთიერთობა აშარ სიდედრთან ისე, რომ საკუთარი ღირსება არ შე-
ელახათ, როგორ უნდა გამოეცხოთ ნამცხვარი თხუთმეტი წუთში ფქვილის მი-
ნიმალური რაოდენობიდან, როგორ მოექსოვათ ელეგანტური კაბა ძველი,
დახარღვევი ძაფისაგან ან მხოლოდ ერთი გორგალი ახალი ძაფისაგან, რო-
გორ შეეკეთებინათ საკერავი მანქანა. როგორ შეეენარჩუნებინათ გრძნობების
სინორჩე ხანგრძლივი ცოლქმრობისას, ვინ დაეპატიებინათ ქორწილში, ვინ
დაბადების დღეზე, და ვინ კიდევ საქმიან იუბილეზე, როგორ მოეელოთ ჩვი-
ლისათვის, როგორ ესწავლათ ვიტარაზე დაკვრა და ბევრი სხვა, არანაკლებ
მნიშვნელოვანი და სასარგებლო რამეები.

ხელს აწერდა „კეთილი მეგობარი ქალი“. ერთხელ, ჩემი ყურით გავიგონე,
როგორ უყვებოდა მარას: „რომ იცოდეთ, დეიდა, — კვლავ „დეიდობით“ მი-
მართავს, რამდენ წერილს ვიღებ, რა საიდუმლოს არ მიმხელენ? ისე მიშლიან
გულს, როგორც არავის და არასდროს! ხანდახან რედაქციაში თავს მოვიყ-
რით ხოლმე, ავიღებთ ნებისმიერ წერილს და ვკითხულობთ. გეფიცებით, სი-
ცილით ვკვდებით!“

„ნუთუ სხვის საიდუმლოებას ამკლავნებთ?“ — შეეკითხა მარა.

სამსონი, ეტყობა, გონს მოეგო, მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა: „არა, დეიდა,
როგორ გეკადრებათ, უბრალოდ, ვიღებთ ყველაზე გულუბრყვილო წერილს
და ერთად ვფიქრობთ, როგორ და რანაირად ვუშველოთ ხალხს...“

ამ დროს მე სუფრას ვშლიდი და ჩემთვის ვფიქრობდი: ხომ შეიძლება, ვი-
დაცამ, სულაც ჩემნაირმა, მისწეროს წერილი „კეთილ მეგობარს“. მისწეროს
და გულის ფანჯალით დაუწყოს ლოდინი პასუხს. ეს „კეთილი მეგობარი“ კი

ამ დროს რას აკეთებს? ყველას გასაგონად კითხულობს წერილს და დასცინის იმას, რაც ჩემთვის, ვთქვით წმინდათაწმინდას წარმოადგენს.

ვერ მოვითმინე და პირდაპირ მივახალე ფიკუსს: „მეც მიმაჩნია, რომ სირცხვილია სხვისი წერილების დაცინვა და ყველას თანდასწრებით მათზე მსჯელობა“.

ქართულად

ფიკუსს ლოყები ჭარხლისფერი გაუხდა, მაგრამ შეცხვებულს მშვიდად და ალერსიანადაც კი მიპასუხა: „დამიჯერე, ლიალიაჩკა, ეს სულაც არ არის ასე...“
„ლიალია, — მითხრა მარამ. — ძალიან გთხოვ, ნუ ერევი...“

უჩუმრად გავედი ოთახიდან, მივუჯექი ჩემს საწერ მაგიდას და გონებაში სიტყვა მივეცი ჩემს თავს: არასოდეს, არავითარ ვითარებასა და არავითარ შემთხვევაში არ მიმეწერა წერილები უცხო ადამიანებისათვის, არავითარ რედაქციებში, არავითარ დაწესებულებებში...

ფიკუსი გადავიდა მეორე მხარეს და თვალს მიეფარა, მე კი მეექვსე სართულამდე ავირბინე კიბე — არკაშკასავით არ მიყვარს ლიფტი, — გავალე კარი და რასაც ვხედავ, კორიდორში შუქი ანთია.

— „ნუთუ, — გავიფიქრე მე. — მარა ლოგინიდან წამოდგა? მან ხომ პირობა მომცა არ ავღგებოთ ან იქნებ არკაშკა დაბრუნდა შინ?“

მაგრამ არა, არკაშკა არ იყო. მარა დამდგარიყო კიბეზე და ანტრესოლიდან უზარმაზარი ჩემოდნის ჩამოთრევას ლაპობდა.

— სალამი! — ვუთხარი. — რა მოხდა? შენ ხომ საავადმყოფო ფურცელზე ხარ? რატომ ადექი? შენ ხომ უნდა გამოკეთდე?

ჩვენს სახლში ასე იყო შემოღებული მარასთან ლაპარაკი, თითქოს ყველაზე პატარა იყო და სხვებზე მეტად საჭიროებდა მოვლა-პატრონობას.

მაგრამ არ მიპასუხა, კიბიდან ჩამოვიდა და ჩემოდანი დადო იატაკზე, თვალები მოჭუტა. სადღაც გვერდზე გაიხედა. მას ნაცრისფერი, ფართოდ გაღებული, გაკვირვებული თვალები პქონდა და ძალზე უხდებოდა, როცა თვალებს ჭუტავდა. ზოგი ფიქრობდა, კეკლუცობსო, სინამდვილეში კი მარა ახლომხედველია, თუმცა, როგორც მე და მამას მიგვაჩნია, მარა, მართლაც გვარიანი კეკლუცი გახლდათ. სწორედ ამიტომაც არ ხმარობდა სათვალეს, რომელიც აუცილებელი იყო მისთვის, მაგრამ აბერებდა, არ უყვარდა დაბალჭუსლიანი ფეხსაცმელი, ისედაც დაბალი ვარო, სახლშიც კი მაღალ ქუსლებზე იყო შემდგარი.

შევეკითხე:

— სადმე მიდიხარ?

— საერთოდ, კი, — მიპასუხა.

— პოლიკლინიკაში? — შევეკითხე, მაგრამ არ მიპასუხა, თითქოს არ გაუგონია.

სამზარეულოში შევედი, პური მოვიკერი, მარლი დავაყარე და ქილიდან მუხავე კიტრი ამოვიღე. და ასე კიტრის ხრამუნითა და პურით ხელში კვლავ მარას პირისპირ დავდექი, მას კი კვლავინდებურად ცარიელი ჩემოდანი ეჭირა ხელში. მერე მომიტრიალდა და

— წავიდეთ სამზარეულოში, ლარისა, — თქვა მან. — უნდა მოგელაპარაკო.

ჩვეულებრივ ლიალიას მეძახდა ხოლმე.

მარა მაგიდას მიუჯდა, გააბოლა. ლამაზად სწევდა, პატარ-პატარა ნაფიზებით, თან თავს მუდამ გვერდზე გადასწევდა და თავის ახლომხედველ თვა-

ლებს აყოლებდა კვამლს. სიგარეტი მამაკაცივით ეჭირა, დაუდევრად, მაგრამ იმავე დროს ნატიფად.

— შენ უკვე დიდი გოგო ხარ, — თქვა მარამ, — მალე სკოლას დააბრუნებ. — მხრები ავიჩეჩე.

— არც ისე მალე, გაისად.

— და მაინც შენ უკვე დიდი ხარ.

გავიღიმე, მარამ უკმაყოფილოდ მკითხა:

— რა არის აქ სასაცილო?

— რა არის და... დიდი უცნაური ხარ! როცა გინდა, მეუბნები: ჭერ კიდევ პატარა ხარ, მოითმინე, გაიზრდები და მერე ვნახოთო. ხან კი, დღევანდელისა არ იყოს, მიმტკიცებ შენ უკვე დიდი ხარო. ბოლოს და ბოლოს ამიხსენი, როდის ამბობ მართალს?

არ მიპასუხა. გულდაგულ ჩააქრო სიგარეტი და ლამბაქზე მიაჭყლიტა. არ მიყვარს მარამ ეს ჩვევა, ყველა საგანში რომ საფერფლეს ხედავს, მისი სიგარეტების ნამწვავებს სად არ ნახავდით — ყვავილების ქოთნებში, შანდლებში, სერვანდზე მდგარ სირჩებშიც კი.

მაგიდას მივუახლოვდი, გადავაგდე სიგარეტი სანაგვეში, ლამბაქი როფში ჩავდე გასარეცხად. მერე გავრეცხავ გულდასმით,

— ჰო, როდისღა ამბობ სიმართლეს? — გავიმეორე ღიმილით.

არა, ჩემნაირი დედა არცერთ ჩემს თანაკლასელს არა ჰყავს. არცაშუკას ნაცნობებშიც ვერ იპოვი დედაჩვენის მსგავსს.

იქნებ იმიტომაც გვიყვარს რომ არაფისა ჰყავს. რაღაცნაირი სასაცილო და მოუხერხებელია...

— ერთი სიტყვით, დიდი გოგო ხარ, ლარისა, — მითხრა მარამ ამოოხვრით. — რა თქმა უნდა, არსებითად დიდი გოგო ხარ, მაგრამ ისე არა ცხოვრობ როგორც ვისურვებდი...

— როგორ გსურს, ვიცხოვრო?

— მინდა შენი თანატოლებივით ერთობოდე, კინოში, სალამოებზე დადიოდე, ბოლოს და ბოლოს გიყვარდეს ვინმე, დარბაღე პაემანზე, ბარათებს წერდე...

— შენ თუ გიყვარდა ვინმე ჩემი ხნისას?

— მერე როგორ! — მარამ ოცნებამორეული თვალებით შემომცქეროდა, თავისი ახლომხედველი, მოჭუტული თვალებით. — თანაც როგორ! სუსხიან ყინვაში რამდენჯერ გავქცეულვარ იმ ქუჩისაკენ. იქ ხომ ერთი ბიჭი ცხოვრობდა და მეც ოღონდ მას შევხვედროდი და, სულ აღმა-დაღმა დავრბოდი.

— მერე შეხვდი?

— კი, — მითხრა მარამ. — ბოლოს და ბოლოს მასაც შევუყვარდი, მაგრამ მე ეს ძვირად დამიჯდა, ორჯერ ვრიბი შემეყარა, — პატარა ბაგე ღიმილმა გაუპო, წვრილმა კბილებმა გაიელვა. — ერთი სიტყვით, ისე ვცხოვრობდი, როგორც მინდოდა...

— კეთილი. — ვუთხარი მე დამრიგებლურად. — გეთაყვა, მარამ, ძალიან გთხოვ, შენს თავს ნუ მადარებ. ბებია კლასიკური დედა იყო, ბრწყინვალე დიასახლისი. მე ხომ მახსოვს, ცოტა ხომ მოეუსწარი მაინც, პირდაპირ ვთქვათ,...

— ჰო, ჰო, — სინანულით წარმოთქვა მარამ. — ვიცი, დამნაშავე ვარ, შენ ბევრ დროს ანდომებ ოჯახს, მაღაზიებშიც დარბიხარ, სადილსაც ხშირად შენ ამზადებ, მე ხომ ასეთი უგერგილო...



მეშინოდა, არ ეტირა, მას ხომ ადვილად შეეძლო ატირებულიყო, თუმცა ასევე ადვილადაც შეეძლო დამშვიდებულიყო, ამიტომაც დავუტატანე:

— გეყოფა, მარა, კმარა!

— მე ხომ ვიცი, მთელი ოჯახი შენს კისერზეა და ცოტაც მამაშენის კისერზე...

— ყველა სახლში თავისი მიკროკლიმატია, — ვუთხარა მამაშენის ხელზე მამა.

— მერედა, არ გიჭირს? — შემეკითხა მარა.

— შევეჩვიე-

— ახლა უფრო გაგიჭირდება, — მითხრა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რატომ?

— მე შივდივარ, — მარამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

ესეც მისი ჩვევა იყო, მხოლოდ მისი, სხვა არავისი. სიგარეტი მუდამ უკოლოფოდ ჰქონდა. ჯიბიდან ამოიღებდა სიგარეტს, ხან ჩანთიდან, ერთხელ საბუდრეშიც კი ჰქონდა. ყველანი ვცდილობდით, გვებრძოლა მისი ამ ჩვევის წინააღმდეგ, ვუმტკიცებდით, რომ სიგარეტის წევა მავნეა. არკაშკაც თხოვდა, გადაეჩვიე სიგარეტის წევასო, თუმცა მე არაერთხელ წავსწრებივარ, თვითონ არკაშკა რომ ქაჩავდა...

— სად მიდიხარ, პოლიკლინიკაში? ბიულეტენის დასახურად?

— არა, — მიპასუხა მარამ. — პოლიკლინიკაში არა.

— მოიცა, — ვუთხარი მე. — რაღაც ვერაფერი გამიგია... — და უცებ, ერთ წამში მივხვდი ყველაფერს: — სულ მიდიხარ ჩვენგან, ხომ?

მან თავი დამიქნია, თვალები ცრემლით აევსო. ტუჩები არ დაბრეცია, ისე ტიროდა, არც ცხვირი გასწითლებია, ჩვეულებრივ, ადამიანები ტირილისას ულამაზონი ხდებიან, მარას კი ცრემლები უხდებოდა, ახლაც ცრემლი ლოყაზე ჩამოუცურდა და კაბის საყელოზე დაეცა... საოცარია, ხანდახან რა წვრილმანებზე არ გაიფიქრებს ადამიანი! აი, მაგალითად, მე ამ წუთში გავიფიქრე, თეთრ საყელოს ცრემლი ჩაანაცროსფერებს და გააჭუჭყიანებს-მეთქი.

ნეტავ რატომაა, ასეთ სერიოზულ, მძიმე წუთებში მოულოდნელად რომ შეამჩნევ ასეთ სულელურ წვრილმანს, რომელიც თავხედურად გეცემა თვალში და გაიძულვებს, თუნდაც წუთიერად გული გადააყოლო? ან იქნებ სულაც ესაა ჩვენი სულის მხსნელი რეაქცია? სხვაგვარად გაჭირვების გადატანა ადამიანებს, ალბათ, ძალზე გაგიჭირდებოდა? მამამ ერთხელ თქვა: — დიდი უბედურება შეიძლება დაგავიწყოთ პატარ-პატარა უსიამოვნებებმა.

— ძალიან გთხოვ, გამიგო, — თქვა მარამ. — შენ უკვე დიდი ხარ, მე მიყვარს ერთი ადამიანი და არ შემიძლია, არ შემიძლია უმისოდ...

ღრმა ნაფაზი დაარტყა, მერე თვალებით დაიწყო ძებნა, რაზე ჩაექრო სიგარეტი, ვერაფერი რომ ვერ იპოვა. რაც ძალა ჰქონდა, ფანჯრის რაფაზე დააჭყლიტა. უხმოდ ავიღე ნამწვი, სანაგვეში გადავაგდე და ჩვრით გადავწმინდე ფანჯრის რაფა.

— გესმის ჩემი? — შემეკითხა მარა.

— მესმის, — ვუპასუხე.

— შენ უკვე დიდი ხარ, — გაიმეორა მან. — დარწმუნებული ვარ, შენც შეგიყვარდება ვინმე და მაშინ გაიგებ, რაც დამემართა...

— იცი რა, — ველარ მოვითმინე, — როგორ არა, ელოდე, რომ გაგიგებ.

— რატომ? — შემეკითხა მარა თავისი ახლომხედველი, ცრემლებისაგან დამშვენებული თვალების ხამხამით.

ვემგზავრეთ. მამის შევლთაძველი „ჭიგული“ წელებზე ფეხს იდგამდა, მარა მამის გვერდით იჯდა, მე და არკაშკა მათ უკან. მზე ანათებდა, გზატკეცილი გრძელი და სწორი იყო, ქარი ჩვენს შესახვედრად მოქროდა.

არკაშკა შეშვეს: — „ბედნიერი ხარ?“ — „კი, — ვუბასუხე მე, — ბედნიერი ვარ, შენ?“ — „ფრო ბედნიერი ვიქნებოდი, შამრაი რომ აქ იყოს...“

შამრაი ჩვენი ძალღია, უჯიშო ძალღი, რომელსაც უსინდისოდ ციხირულ ჭიშად ვასაღებდით, იგი არ წამოგვყვა. მამინ გამახსენდა და გული შემეკუმშა. როგორ შემოგვცქევიდა, როცა დეიდა ვალიასთან წავიყვანეთ და იქ დავტოვეთ, როგორ შემოგვცქეროდა საყვედურით და არა მტრულად, თთიქოს გვეუბნებოდა, მტოვებო არა? რას იზამ, დამტოვეთ, ყველაფერს მოვიტმენ...

სამი წლის წინ არკაშკამ ბალახებში იპოვა ჩვენი სახლის მახლობლად პაწაწინა ლეკვი, შავ-თეთრი, შავკუდა და თეთრთათება, საოცრად საყვარელი.

„ეს რა საყვარელი ვინმეა“, — თქვა მარამ ლეკვის დანახვისას. სულ რაღაც შეიდ-რვა თვეში კი ჩვენი „საყვარელი პაწაწინა“ დიდყურა, მხიარულ, უღარდელ და საოცრად ღორმუცელა ძალღად გადაიქცა. განსაკუთრებით ნაყინი და პელმენი უყვარდა. არკაშკა ერთგულად უვლიდა მას, „შამრაი“ და არქვა, დღეში ხუთჯერ გაჰყავდა ქუჩაში და ნაყინს ყიდულობდა მისთვის, თვითონ კი თითსაც არ აკარებდა, ეს კი ლამის თავგანწირვას უდრიდა.

შამრაი დეიდა ვალიასთან დავტოვეთ, მარას დასთან. ამჯერად მისი წაყვანა შეუძლებელი იყო ეკლესიასა და ტაძრებში უნდა გვევლო, ხოლო ძალღების შეყვანა ეკლესიაში ბუნებრივია, არ შეიძლება.

მაგრამ დეიდა ვალიასთან, იქილოდი, იგი კარგად იქნებოდა, დეიდას უყვარდა ძალღები, კატები, ცხენები, ფრინველები. მარა დარწმუნებული იყო, რომ მე და არკაშკას ეს სიყვარება — ცხოველთა სიყვარული — სწორედ დეიდა ვალიასაგან გვერგო ბეძკვიდრეობით. თვითონ მარა არასდროს აწყენინებდა ცხოველებს, მაგრამ არ მაინცდამაინც გიყდებოდა მათთვის. შამრაის დავტოვებდით თუ არ დავტოვებდით სახლში, — მისთვის სულ ერთი იყო. არც იტირებდა და არც მოიწყინდა უიმისოდ. მე და არკაშკას კი ვერ წარმოგვიდგენია უშამრაიოდ სიცოცხლე. მამაც ჩვენნაირი იყო, მასაც ყოველი ცოცხალი არსება უყვარდა.

მარამ კარი გამოათლო, ზღურბლზე დადგა.

— ესეც ასე, — თქვა ნალვლიანად, თან წარბები აზიდა. — მივდივარ.

არ მინდოდა, მეკითხა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— მამამ იცის?

— წერილი დავუწერე.

— აღრე ვერაფერს ხვდებოდა?

მარა დაფიქრდა:

— შენ ხომ იცნობ მას, რომც მიმხვდარიყო, მაინც არასოდეს იტყოდა...

ნამდვილად ასე იყო.

— დიახ, ასეთია...

მარამ დახედა მამის საათს, მაგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, წასულიყო.

— დროებით, ლილიკ, — მითხრა.

აღბათ მარა ელოდა ატირებული და აბლავლებული ვეცემოდი და ისიც საპასუხოდ უნდა ამითიხებულიყო. სულის განმწმენდი ცრემლი ორივეს განგვბანდა, განგვბანდა და შეგვარიგებდა, აბა, სხვანაირად როგორ? მას მოსწონდა იაფფასიანი ეფექტები, უეშმაკო წარმოდგენები, როცა ადვილად შეიძლება

ადამიანმა წარმოაჩინოს თავისი უღიერი სიღრმე. თუმცა აღრე ასე როდი ვფიქრობდი. მხოლოდ ახლა მომივიდა თავში ასეთი აზრი, იმიტომ რომ მარაზე გაბრაზებული ვიყავი. გაბრაზებული, ნაწყენი, შეურაცხყოფილი მამაჩემის, არკაშკას და ჩემს მაგიერადაც.

— წავედი. — გაიმეორა მარამ.

— კეთილი, ნახვამდის.

მან ჩუმად დახარა თავი, არ ვიცე, გამომშვიდობების თუ მადლობის ნიშნად.



კარი გაჯახუნდა, ლიფტი აგუგუნდა. გამოვთვალე: აი მარა ძირს ეშვება, აი უკვე ჩავიდა ბირველ სართულზე, გამოვიდა სადარბაზოდან. ფანჯრის რაფას მივეყრდნე, უკეთ რომ დამენახა. ასეცაა: აი, ის, ფიკუსი. ელის ქუჩაში. მიუ-ახლოვდა, ჩამოართვა ჩემოდანი და გვერდი-გვერდ წავიდნენ მეტროსკენ თუ ტაქსის გაჩერებისკენ. ზურგიდან ვხედავდი მათ. ფიკუსს ჰქონდა მრგვალი, ასე ვიტყვოდი, თვითკმაყოფილი კეფა. მარას — სევდიანი მხრები ან, უფრო სწორად, ჩაფიქრებული. კუთხეს მიეფარნენ, ფანჯრის რაფას მოვწყდი და მეორე ოთახში გავვარდი; იქ, საწერ მაგიდაზე ქალაღი იღო, მარას მსხვილ, გაკრულ ხელს, მე მგონი, ათასში გამოვარჩევდი:

„ჩემო ძვირფასო! ერთადერთო! განუმეორებელო! მომიტევე და გამიგე-შენი მარა“.

სულ ესაა, არავითარი ახსნა-განმარტება. როგორ და რატომ მოხდა ასე. „მომიტევე და გამიგე“.

„კეთილი, — გავიფიქრე მე. — ის გავიგებს და მოგიტევებს. მერე რა იქნება? მერე რა მოელის მამას? ან ჩვენ რა გველის? მე და არკაშკას?“

პატარა რომ ვიყავ, დონსკაიაზე ვცხოვრობდით, ორსართულიან განცალკევებით მდგარ, უყურადღებოდ მიგდებულ ბაღით გარშემორტყმულ სახლში. ბაღში იზრდებოდა გაველურებული ვაშლი, ქლიავი, ანწლი. განსაკუთრებით ბევრი იყო ანწლი, მისი მზინაფი ნაყოფი გამოიორიოდა მსუყე მუქმწვანე ფოთლებში თავისი შხამიანი ალისფერით. ბაღაში ანათებდნენ მწვანე, ქვასავით მაგარი მომწარო-მუავე ვაშლები. სკოლიდან პირდაპირ ბაღში გავრბოდი, ასე მეგონა, სადღაც სოფელში ვარ, მოსკოვიდან შორს...

იმხანად მამა საკანდიდატოს იცავდა, მარა კი ამთავრებდა საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტს. ის ბაღიან გვიან შევიდა ინსტიტუტში, დიდხანს სწავლობდა, ხან არკაშკა გაუჩნდა და აკადემიური შვებულების აღება მოუხდა, ხან სწავლაში მოიკოჭლა და ისევ ის აკადემიური შვებულება მოიშველია. ბოლოს, როგორც იქნა, არკაშკა ბაგაში მიიბარეს და, მარას, მისი თქმით, ხელფები გაეხსნა.

და აი, ჩვენს სახლში რემონტი დაიწყო. სწორედ მაშინ მე მეორე კლასში გადავედი. რაც თავი მახსოვს, ჩემთან მარაზე მეტად მამა იყო ჩემი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მამასთან იყო დაკავშირებული. პირველ კლასში მან მიმიყვანა, ავტობუსამდეც მან მიმაცილა, როცა პიონერთა ბანაკში მივემგზავრებოდი, ჩემი გაუთავებელი გაციებისა და ანგინების დროს ის მიჭდა სასთუმალთან და ხმამაღლა მიკითხავდა ძმები გრიმების ზღაპრებს. რა თქმა უნდა მარაც გვერდით მეჯდა და ჩაის მასმევდა, ყელში წამალსაც მავლებდა და ცხელ რძესაც არ მაკლებდა. მაგრამ სულ არა სცალოდა, სულ წუწუნებდა, ვერაფერს ვასწრებო. მამა ამწობდა, მარა უთავებოლო ქალია, არ შეუძლია რაციონალურად გამოიყენოს თავისი დრო. თვითონ კი საოცრად

ორგანიზებული იყო, თან ყველაფერი ემარჯვებოდა, მე მგონი, ნამცხვრების გამოცხობაც კი. მარას კი არა პგავდა. რომელსაც დედამისი, ჩვენი ბებია, დამსახურებულად უწოდებდა მოუხერხებელსა და აზიზმაზიზს.

მაგრამ მამას მარა ეცოდებოდა, ამბობდა, ნაზი და სუსტი ქალია, მძიმე ტვირთი აქვს აკიდებული, ინსტიტუტი და ოჯახით, ამიტომაც დაეცა. მარას ეძინა, მამა კი უთენია დგებოდა. საუზმეს მიმზადებდა და ფრეს-მწიწკებს სკოლაში წაიღებდა, მერე შინ ბრუნდებოდა, მარას უმზადებდა საუზმეს და სამსახურში გარბოდა. შინ დაბრუნებამდე მალაზიებში შერბენასაც კი ასწრებდა და საღამოთი სადილის მომზადებასაც. მამას მიაჩნდა, რომ მარა უნდა მჯდარიყო და ესწავლა, და ოქროს წუთები მალაზიებში სირბილსა და დიასახლისობაზე არ დაეკარგა.

რომ წამოვიზარდე, პირველად დავფიქრდი იმაზე, ნეტავ როგორ ასწრებს მამაჩემი ოჯახური საქმეების კეთებას და დისერტაციის წერასაც, როგორ ყოფნის-მეთქი ყველაფერზე დრო?

სკოლაში თვენახევარი არ იყო სწავლა დაწყებული, რომ სახლში, რემონტი დავიწყეთ, იატაკი აიყარა, ირგვლივ ყველაფერი კირით შეითხიბნა, ფეხებში გვედებოდა საღებავიანი სათლები და ემულსიანი ქილები. და თუმცა მარამ აკადემიური შვებულება აიღო, რადგან არკაშკა პაწაწინა იყო, — მაინც არ ცხრებოდა და სულ წუწუნებდა: „ნამდვილად არ შემძლია ასეთ ვითარებაში სწავლა...“

მამამ თქვა: „რას იზამ, შენ შეგიძლია კიდევ მოიცადო, შვებულება დიდი გაქვს, მაგრამ ლიალიას კი ნამდვილად გაუჭირდება აქ მეცადინეობა“. „რე ვქნათ?“ — შეეკითხა მარა. „რალაცას მოვიფიქრებთ“, — უპასუხა მამამ.

და მოიფიქრა. მე და მარამ დავიწყეთ სიარული შემსალაროში, რომელიც ჩვენი სახლის პირდაპირ იყო. იქ ვსხდებოდით დიდ ოთხკუთხედ მაგიდასთან, სადაც ჩვეულებისამებრ ხალხი ქვითრებს წერდა, ფულს ითვლიდა. მარა მკარნახობდა: „მაშა ჭამს თაფას“. მე საგულდაგულოდ გამოძყავდა რვეულში ასოები, მარა კი ჩამჩურჩულავდა: „თაფას“, გესმის? „ფიფას“ კი არა, „ფაფას“. ადამიანები შედი-გადიოდნენ, ზოგი ფულს იღებდა, ზოგიც აბარებდა სარკმელში, ვაკვირვებულები შემომცქეროდნენ, ის კი არადა, ნაწერს ჩასცქეროდნენ: „გაკვეთილებს სწავლობ, გოგონი? განა ამისათვის სხვა ადგილი არაა?“ მარაც პასუხობდა, თითქოს მას ეკითხებოდნენ და არა მე. „რემონტი გვაქვს, მან კი ყოველდღე უნდა შეასრულოს დაფალება...“

ერთხელაც, ჩვეულებრივ წავედით შემსალაროში და მაგიდას მივუსხედით, მე ვწერდი, დროდადრო კალამს მაგიდაზე ვდებდი და უკან გადავიზნიქებოდი ხოლმე, რატომღაც ხელი ძალიან მეღლებოდა და ხელისგულს ვაქნევდი ან თაფს ზემოთ ვწევდი, მერე კვლავ წერას ვიწყებდი. „მიდი, ლიალია, სწრაფად“, — ჩურჩულებდა მარა და საათს შესცქეროდა.

ვიცოდი, მარას სადილი უნდა მოემზადებინა ხელოსნებისათვის. წინა საღამოს მამამ ბორცი მოიტანა, თან ერთი თავი კომბოსტო, დაჭყლევტილი პამიდორი და კარტოფილიც მოაგოლა. „მომზადების მეტი არაფერი უნდა,“ — თქვა მამამ. „კი მაგრამ, შენ?“ — თქვა მარამ.

მარა შეეჩვია, რომ მამა ამზადებდა სადილს, თანაც რაც მართალი მართალია, მასზე ბევრად გემრიელად.

„მე სამეცნიერო კონფერენცია მაქვს“, — თქვა მამამ.

მარა დაპირდა: „კეთილი, ყველაფერს გავაკეთებ...“

ჰოდა, ჯერ საბარეკმახეროში წავიდა, მერე კიდევ სადღაც, მერე კი შემ-

სალაროში წავედით ერთად გაკვეთილების მოსამზადებლად. ერთი სიტყვით, შინ რომ დავბრუნდით, მამა უკვე მოსულიყო. არ ვიცო, ან კონფერენცია დამთავრდა ადრე, ან თვითონ გამოიქცა, რადგან მარას დაბრებას ვერ ენდო. რაღა სამზარეულოში, სადაც ჯერ არ უნდა დაეწყოთ რემონტი, და წვრილად დაჭრილ კომბოსტოს ყრიდა მდულარე წყლით სავსე ქვაბში.

მაგიდას ორი ხელოსანი უჯდა — ცოლ-ქმარი. ქალი ჯანიანი, ტანადი, წილი თელლოყემა, რომ იტყვიან, მზესავით ქალი იყო, კაცი კი ქალივით ნაზი, მაგრამ გასაოცრად მეღერი ხმა ჰქონდა. ქაშაყსა და შავ პურს ჰამდნენ. შეგშურდებოდა, ისე მადიანად შეექცეოდნენ. უნდა გენახათ, როგორ ილოკავდა ცოლი ტუჩებს, თეთრი ქათქათა კბილებით ჩაფრენოდა წყნარი ოკეანის დამაროლებულ, გამხმარ ქაშაყს, ქმარი კი გამალებით იყრიდა ალყა-ალყა დაჭრილ მოლურჯო ხახვს ლუმელივით პირში.

მაშინვე მომინდა ძმრითა და ხახვით შეზავებული ქაშაყი და შავი პური. ჩუმად ჩამოვქაჩე მარას ხელი „მომეცი ქაშაყი...“

ხელი ამიქნია: „მომეშვი, მერე მოგცემ...“

მამასთან მივიდა, ფეხის წვერებზე დადგა და ლოყაზე აკოცა: „მიჯავრდები? უკვე არა“, — უბასუხა მამამ, თან გაზს მოუმატა ქვაბქვეშ.

ამასობაში ცოლ-ქმარმა შექამა ხახვმოყრილი ქაშაყი და მაგიდიდან ადგა. „წავიდეთ, მიშანია, ხსნარს მოვურიოთ...“ „წავიდეთ, დუსია,“ — ჩაიგუგუნა მიშანიამ. მამამ უთხრა: „ორმოც წუთში შჩიც მზად იქნება და დაგიძახებთ“.

მარამ თვალი გააყოლა ხელოსნებს და თქვა: „ნამდვილი გოლიათი ქალია, როგორ ფიქრობ?“. „მე ვფიქრობ, არკაშკა უნდა მოვიყვანოთ“, — თქვა მამამ. „ძალიან დავიდალე, — თქვა მარამ. — მე და ლიალია ვისხედით იმ დახუთულ შემსალაროში და ვწერდით და ვწერდით... არკაშკა უნდა მივიყვანოთ ხუთდღიანში“. „არ მოგენატრება?“ — შეეკითხა მამა. „შევეცდები, არ მოვინატრო...“ „კეთილი, — თქვა მამამ. — მოდი, აქ დადექი, თვალი ადევნე, შჩი არ გადმოვიდეს, მე კი არკაშკას მოვიყვან“.

რა თქმა უნდა, შჩი გადმოვიდა. მარა მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა მთელი ქურა ერთ წუთში აღუღებული წყლით აივსო. მარამ ხელი სტაცა ტილოს, დაიწყო ქურის წმენდა, მაგრამ გაზის გამორთვა დაავიწყდა, თითი დაიწვა, წამოიყვირა და ლამის ქვაბი ირ გადაიშხო.

მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ხელოსნებმა თითო ჯამი შჩი შექამეს, მამამ არკაშკა მოიყვანა საბავშვო ბალიდან, მარა არკაშკასთან ერთად წავიდა მეორე სართულზე მეზობლებთან ლამის გასათევად, მე წავედი ამხანაგთან, რომელიც მეზობელ სახლში ცხოვრობდა, მამა კი დარჩა შინ. ვიცოდი, მამა სამზარეულოში დაწვებოდა გასაშლელ საწოლზე, დილის ხუთ საათზე აღგებოდა, წყლით სავსე სათლს დადგამდა გაზქურაზე და სამუშაოზე წასვლამდე ხელოსნებს დაეხმარებოდა შპალიერის გაკვრაში.

ნეტავ რატომ მახსენდება ზოგჯერ ათასი სისულელე? რატომაა, რომ დღემდე მახსოვს თეთრკობლებიანი მწვანე შტაპელის წინსაფარი, რომელსაც მამა იკეთებდა ხოლმე, სამზარეულოში სადილის კეთებისას? ან რატომ არ მავიწყდება გოლიათი დუსიას თავსაფარი-ეოლოსფერი ზიგზაგები ლურჯ მინდორზე, ან დერეფანში იატაკზე გაფენილი გაზეთები და გაზის ქურაზე თეთრ-ცისფერი საკეტები?... ის კი არაა, წარსულიდან თითქოს საღებავისა და ბენზინის სუნიც კი მცემს...

არკაშკა შამრანისთან ერთად მოვიდა, ჩვეულებისამებრ გაისმა ძლიერი,

მკვეთრი ხარი, მერე გამოცხადდა თვით არკაშკა, აჭოშინებული და რაღაცით ძალიან კმაყოფილი.

შამრაი მცა და ორივე თათი მხრებზე შემომხვია.

— ადგილზე! — ვუბრძანე უფრო მკაცრად, ვიდრე მინდოდა; გულდამძიმებულს ვინმეზე ხომ უნდა ამომეყარა ჯაფრი!

— შამრაის ნუ უყვირი! — ეწყინა არკაშკას. — ^{ეროვნული} ~~არ~~ დღეულისაბურთია. — გულში დავეთანხმე, მაგრამ არ შევიმჩნიე, მკაცრად გკითხე:

— სადაა შენი ქურთუკი?

— ქურთუკი?

— ჰო, ქურთუკი. მხრებზე მწვანე ზოლებიანა ლურჯი ქურთუკი. დღეს ძალიან ცივა, შენ კი პერანგისამარა ხარ.

— ჯერ ერთი, დღეს სულაც არა ცივა; — შემეკამათა არკაშკა. — მეორეც, ჩემი ქურთუკი მარჯვენა კარია.

— რაო? — შევეკითხე მე. — რომელი მარჯვენა კარი? რას ჯაპარაკობ?

— მარჯვენა კარია-მეთქი. ფეხბურთის მოედანზე დამრჩა.

— რომელ ფეხბურთის მოედანზე?

— სწორედ იმაზე, ჩვენი სახლის უკან რომ არის...

— ეს ხომ შენი ადგილია.

— აბა, მე რას ვამბობ? — გაუკვირდა არკაშკას. — მე ხომ არ მითქვამს, ისიყ-ყულის ყაყაჩოებით მოფენილი ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანია-მეთქი?

— რა ხარ, იცი? ერთს გეტყვი და სამს მპასუხობ, — ჩავიბუზღუნე მე.

— ხუთს, — თქვა მან.

კიდევ რამდენიმე წუთი შეძლებისდაგვარად მწარედ გკბენდით ერთმანეთს, მერე ცოტა დავცხრით და უფრო ინერციით ვლანძღავდით ერთმანეთს, ვიდრე გულით. მაგრამ სწორედ ამ კოლოების ჩხვლეტამ ითამაშა, ასე თუ ისე, თავისი როლი. შეიძლება დროებით, მაგრამ მაინც გადამავიწყეს ფიქრები, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევდნენ და აქ გამახსენდა მამის სიტყვებიც: „როცა დიდი უბედურება დაგატყდება თავს, საქირთა და სასრგებლოცაა პატარა უსიამოვნებანი“. ლამით კვლავ გავიფიქრე, როგორც ყოველთვის, მამა ამჯერადაც მართალია-მეთქი.

— მშია, — თქვა არკაშკამ. — მარა სადღაა? ალბათ სძინავს?

— არა, — ვუთხარი მე. — გინდა რძიანი ფაფა?

— მინდა, — თქვა არკაშკამ. — უკეთაა?

— უკეთაა.

— მივალ ორ სიტყვას ვეტყვი და უშალ მოგცილდები, ნუ გეშინია. — კარისკენ წავიდა, მაგრამ უშალ გავაჩერე.

— მარა არ არის. რძე გაგიცხელო?

— არაა. სად წავიდა?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? — გაუკვირდა არკაშკას. — უნდა იცოდე, განა ტყუილად ხარ ჩვენი დიასახლისი და მთავარი ადმინისტრატორი?

— ხელები დაიბანე, — ვუთხარი მე. — გეყოფა ყბედობა,

მაგრამ არკაშკა არა ცხრებოდა:

— სად წავიდა, მთიხარი, რა? საავადმყოფოს ფურცელი მისცეს, იწექი

შენთვის მშვიდად, იავადმყოფე რამდენიც გინდა, მან კი რაო, დაპკრა ფეხი და გაქრა?!

ჯერ კიდევ გუშინ ჩვენს ოჯახში ყველაფერი ნორმალურად იყო, დღეს დილითაც. მამა სამსახურში წავიდა, მარა იწვა ლოგინში. უბნის ექიმმა გამოუწერა ბიულეტენი სამი დღით. მარა გვარწმუნებდა: „ვიწვები, დავისვენებ ყველაფერი მოწესრიგდება...“

გინდობისთვისა

— დიახ, მოწესრიგდება...

ძმას ისე ვუთხარი, რომ ჩემს ძმას რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე ჰქონოდა არ გაბედო დედის დადანაშაულება! ეს შენი საქმე არაა!

— ჩემი საქმეა — წარმოთქვა არკაშკამ. — აბა ვისია? მე უმცროსი ვაჟი ვარ, ყველაზე საყვარელი შვილი ოჯახში, მე ყველაფერი მეკითხება... „არკაშკამ თვალი მოჭუტა და უმალ დაემსგავსა მარას. — შენც ხომ გიყვარვარ, ასე არაა? — მან გაიღიმა. კბილებმა გაიელვა, ორ წინა კბილს შუა ნაჩვრეტია, ამბობენ, ეს ნიჭის მაჩვენებელიაო. მე არ ვიცი რა ნიჭი აქვს ჩემს ძმას. თუმცა ნიჭი მომავალშიც შეიძლება გამოვლინდეს.“

— როგორ გახდი, — ვთქვი მე. — ცარიელი ძვლები ხარ.

არკაშკამ გადაყლაბა დიდი პირთამდე საფსე კოვზი წიწიბურას ფაფა, რძე დააყოლა და მხოლოდ მერე მიპასუხა:

— ეს იმიტომ, რომ ვიზრდები. შენის აზრით, უმჯობესია, ცარიელი ქონი ვიყო?

— უმჯობესია ოქროს შუალედი იყო.

— მძულს ოქროს შუალედი.

— კაშჩეი ჩონჩხის ძეგ, — დავასკვენი მე. — კიდევ ცოტაც და საბოლოოდ ჩამოხმები, მაშინ შეიძლება წიგნების ფურცლებს შორის ჩაგდონ, როგორც გამხმარი ფოთოლი სახსოვრად...

ის ხმამაღლა ახარხარდა, შამრაიც აყეფდა.

— აი ეს მესმის! გამხმარი ფოთოლი სახსოვრად! რა წიგნს აირჩევ? „სამ მუშავეტერს“ თუ ანდერსენის ზღაპრებს?

არკაშკამ გვერდზე გასწია პირწმინდად მოსუფთავებული თეფში, მერე ლოყით ზელისგულს დაეყრდნო და შემომატკერდა: მე თეფშებს და კოვზებს ვრეცხავ ონკანზე. ლოყა ქორფა ჰქონდა და მკვრივი, ხელი კი ქარდაკრული და მეჭეჭიანი.

— რატომ არ მოიცილებ მეჭეჭებს? — შევეკითხე მე.

— რა მეჩქარება. მარა დაბპირდა რაღაც სასწაულმოქმედი წამლის შოვნას, ერთს წაისვამ და არცერთი მეჭეჭი აღარ გეჭნებაო...

მე გავიფიქრე: „ვუთხრა თუ არა?“ თავისთავად ცხადია, მაინც თქმა მომიწევს, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, მაგრამ იქნებ გვიან თქმა სჯობს? მაგრამ მამას რა ვუყო. მართალია, მას მარას ბარათი ელის, მაგრამ ეს ხომ ცოტაა. უნდა ვუთხრა ყველაფერი გულახდილად. მან უნდა იცოდეს ყველაფერი ისე, როგორც არის, თავიდან ბოლომდე.

— წავედი, — არკაშკა წამოდგა. — მიეცი რაზე შამრაის.

— შენ საით?

— ქურთუკის მოსატანად.

— ეს კარგია. გაკვეთილები თუ მოამზადე?

— ყველა არა. გეომეტრიის ამოცანები დამრჩია.

— როდის გამოიყვან?

— მოგვიანებით.

— არა, არ დამავიწყდა, მე კი შამრაის გადაუწყვეტე დიდი ძვალი. შამრაი შეხტა და დიდი მბზინავი თეთრი კბილებით დაიჭირა ძვალი. შალე მამამაც დარეკა სამსახურიდან.

— შენა ხარ? — შემეკითხა. — ჩვენი მარა როგორაა? და დავიწყებინე? ხომ არ დავავიწყდა?

— არა, არ დამავიწყდა.

— უთხარი, სრულიად შემთხვევით წავაწყდი მანდარინს და გიყიდე-თქო, — პირდაპირ საქართველოდაწა-თქო. — მხიარულად განაგრძობდა მამა.

— კარგი, — მოკლედ მოვუტყარი და დავდე ყურმილი.

მამა, ეტყობა, კარგ გუნებაზეა. სამწუხაროა! სჯობდა, ცუდ გუნებაზე ყოფილიყო. მაგრამ მამას იშვიათად ვხედავდით ცუდ გუნებაზე; თუ რაიმე არ გამოსდიოდა ან რაიმე უსიამოვნებას გადაეყრებოდა, ცდილობდა ჩვენთვის არ გაეგებინებინა.

დეიდა ვალიამ ერთხელ მითხრა: „ვადიმი ნამდვილი მამაკაცია, რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა გრძნობდეს თავს, ყველაფერზე ერთი პასუხი აქვს: „არაფერია, გაივლის...“ არ წუწუნებს, სხვებს არ უშხამავს სიცოცხლეს, ბევრი მამაკაცივით, რომლებიც ქალებზე მეტნი არიან... გულში იკლავს ყველაფერს, არ ამჟღავნებს...“

ხშირად ვფიქრობდი, რა კარგი იქნებოდა დეიდა ვალია რომ მამას ცოლი ყოფილიყო-მეთქი. რა თქმა უნდა, მარა დეიდა ვალიაზე მეტად მიყვარდა, მაგრამ ასე კი ვფიქრობდი და...

და მაინც, რა ვუყო მამას? როგორ შევამზადო? რა დაემართება, როცა გაიგებს? თითქოს ჩემს იღუმალ აზრებს კითხულობსო, შამრაიმ დიდი, მძიმე თათი ასწია და ხელზე დამარტყა.

რას იზამ, ასეა თუ ისე, სიცოცხლე მაინც გრძელდება. სადილი, მეცადინეობა, არკაშკას გაკვეთილები, ოთახების დალაგება, ძაღლის გარეთ გაყვანა — ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, სხვანაირად არ იქნება.

— რაო, გარეთ გინდა გასვლა? — ვკითხე შამრაის.

ძაღლმა ხრინწიანად ჩაიყუფა. თვალები უვლავდა, თითქოს იღიმებოდა, უცნაური არსებაა ჩვენი შამრაი! ჩემი აზრით, მას ნამდვილად აკლია მხეცური ინსტინქტები, სამაგიეროდ თითქმის გაადამიანურებულია. რომელი ძაღლი მოექცევა კეთილად კატას? ვინ ეთაყვანება ასე ადამიანებს და მიილტვის მათკენ? და კიდევ, ამტკიცებდა არკაშკა, მას გარე-გარე სიარული იტაცებს... მაგალითად, უყვარს მოგზაურობა, ახალი გზები, ახალი ქალაქები და სოფლები. მართალია, ჩვენთან ერთად არცთუ ისე ხშირად მოგზაურობს, მაგრამ როცა ტყეში ან მდინარეზე მიგვყავს, უსაზღვროდ ბედნიერია...

ძაღლს საყულოზე თასმა გამოვაბი და სასეირნოდ წავედით. დიახ, რაც არ უნდა მოხდეს, შამრაიმ მაინც უნდა ისეირნოს, ესაა კანონი, რომელიც უსათუოდ უნდა აღსრულდეს. მართალია, შამრაი სულ ახლახან მოვიდა ქუჩიდან არკაშკასთან ერთად, მაგრამ მე ხომ ვიცნობ არკაშკას — დასვამს შამრაის სკამის ახლოს, რომელზეც მოთამაშეთა ტანსაცმელია დაყრილი, უბრძანებს არსად წავიდეს, თვითონ კი სათამაშოდ გაიქცევა.

როგორც ჩანს, ყველაფერი ასე იყო და ჩვენი ერთგული დამჭერი შამრაიც ცდილობდა გულმოდგინედ აღესრულებინა არკაშკას ბრძანება — ერთ ნაბიჯზე არ მოსცილებოდა სკამს.

ქუჩაში გავედით და სკვერისაკენ გავემართეთ, რომელიც მეტროს პირდაპირაა, შამრაის იქ განსაკუთრებით უყვარს სეირნობა.

წვიმამ რა ხანია გადაიღო. გრილოდა, ხეებზე აქა-იქ მწვანედ მოჩანდა ფოთლები, ისეთი მწვანე, რომ ერთი შეხედვით ახლად ამოსული ვეგეტაციის ხაფხული წვიმიანი იყო და ამიტომაც სიმწვანეც დიდხანს შერჩენოდა. ღრუბლები, არა ჭკნებოდნენ.



ალბათ ქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი მეორე მხარე და ის, რაც ცუდად გვეჩვენება, მოულოდნელად შეიძლება კარგი აღმოჩნდეს და, პირიქით. აი, მაგალითად, წვიმიანი ზაფხული სულაც არ არის კარგი, მაგრამ სამაგიეროდ სიმწვანე ხეებზე დიდხანს ძლებს, ვიდრე პაპანაქება მშრალ ამინდში...

ჩემი აზრები ზანტად მიედინებოდა, ტატიო, თითქოს საათის მექანიზმივო, რომელიც საცაა გაჩერდება. მაგრამ ერთი აზრი კი განუწყვეტლივ მიტრიალებდა თავში, წუთით არ მტოვებდა: რა მოხდა? ძალიანაც რომ მდომოდა, მაინც ვერ შევეგუებოდი, ყოველ შემთხვევაში, ისე მალე ვერ შევეჩვეოდი...

სკვერში მივდიოდით, შამრაი წინ გარბოდა, მე უკან მივდევდი. შევცქეროდი გამვლელთა დაფიქრებულ, კმაყოფილ, გამოცოცხლებულ, პირქუშ, გულგრილ სახეებს და ვფიქრობდი: აი, ადამიანები მიდი-მოდიან, ყველას დასანახავად, დაუფარავად, სამაგიეროდ არავინ იცის რა ხდება მათ სულში, თითოეული მათგანი — ეს არის განსაკუთრებული სამყარო თავისი საიდუმლოებით, თავისი სიხარულითა თუ მწუხარებით. და ალბათ ყველა მათგანს ჰგონია, რომ ამქვეყნად მხოლოდ ის არის მთავარი პიროვნება, რომ დედამიწა მხოლოდ მის გარშემო ტრიალებს...

მოულოდნელად შამრაიმ სიხარულისაგან დაიწყა მუტუნა და ვილაცის შესახებ დრად გავარდა. ეს მამა იყო, იგი სწრაფად მოდიოდა ჩვენსკენ, თან მსუბუქად იცილებდა შამრაის, მაგრამ შამრაი არ უჩერებდა, მამას ახტებოდა. ცდილობდა მისთვის ცხვირი აელოკა.

— ვიცოდი, აქ იქნებოდი, — მითხრა მამამ.

მე მას შევხედე და მანაც ღიმილი მომაგება. „ჯერ არაფერი იცის“, — გამიელვა თავში.

— ახლახან მოხვედი? — შევეკითხე.

— ჰო.

რაც შეიძლება გულგრილად, სასხვათაშორისოდ ვკითხე:

— წინ არ იყავი?

მან თავი გადააქნია, არაო.

მამას ხელში ბადე ეჭირა, რომელსაც მუდამ თან ატარებდა ყოველ შემთხვევისათვის. დავინახე მომწვანო მკერძივი ბურთულები. როგორც ჩანს, ეს იყო სწორედ ის მანდარინები.

ნელი ნაბიჯებით გავუყუევით გზას, შამრაი წინ გარბოდა, დროდადრო ვჩერდებოდით, შამრაის ველოდებოდით, რიგრიგობით რომ უნოსავდა ხოლმე ყველა ბუჩქსა და უკანა თათს სწევდა ყველა ხესთან, რომელიც კი გზად ხვდებოდა.

— ჩამოვსხდეთ ცოტა ხნით, — შემომთავაზა მამამ.

— არა გშია? — შევეკითხე მე.

— მოვასწრებ.

სკამზე ჩამოვსხედით. სირბილით გულმოყუარებულ შამრაი ჩვენს ფერხთით გაწვა. მამამ ბადიდან მანდარინი ამოიღო.

— გინდა?

— რა თქმა უნდა, მინდა.

მანდარინი გავფცქვენი, დავყავი და პირისაკენ გავიქანე.

— რალაც უნდა ჩაიფიქრო, — ვთქვი მე, — როდესაც პირველად გიწევს იმ წელს რაიმეს ჭამა, აუცილებლად რალაც უნდა ინატრო.

— მერე, ასრულდება? — მკითხა მამამ.

— აუცილებლად.

— კი მაგრამ, შენ ხომ ჭამე მანდარინი ახალ წელს, გახსოვს?

— ეს იყო დიდი ხნის წინ, ამიტომაც არ ითვლება.

მამამ არ მკითხა, რა ვინატრე, მეც არაფერი ვუთხარი. ნატვრა კი ერთი მქონდა, შინ მისულებს მარა დაგვხვედროდა და ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო...

— არ გცივა? — შემეკითხა მამა.

— სულაც არა. კარგი მანდარინია.

— კიდევ გინდა? — შემეკითხა მამა.

— მომეცო. ასეთი მანდარინი არასდროს მიჭამია, არც ახალ წელს.

ახალ წელს, როგორც ყოველთვის, მთელი ოჯახი ერთად ვხვდებოდით: მამა, მარა, მე და არკაშკა და, რა თქმა უნდა, შამრაი. თორმეტ საათზე მამამ ყველას დაგვისხა შამპანური და არკაშკას ჭიქა მიუჭახუნა შამრაის: დრუნჩხუ: „კარგად იყავი, ბიჭუნო!“ შამრაი კი ისე აყეფდა, თითქოს დღეგრძელობისათვის მადლობას უხდისო.

ჩვენ ვუყურებდით „ცისფერ ეკრანს“. კუთხეში ნაირფერებად ელავდა პატარა ნაძვი, რომელსაც მამა, რაც თავი მახსოვს, ყოველ წელს გვიდგამდა, თბილოდა, სიმყუდროვე სუფევდა. ფანჯრებს მიღმა თოვლა და უცბად ვიღაცამ დარეკა კარზე.

ეს იყო ფიკუსი, პირდაპირ შემოვიდა ოთახში, თოვლში პალტოამოგუნგლული, შამპანურის ბოთლით ხელში და შესძახა: „გილოცავთ ახალ წელს! ახალ ბედნიერებას გისურვებთ!“ — მერე გახსნა ბოთლი და შამპანურმაც იფეთქა, ძლივს მოვასწარით ჭიქების მომარჯვება.

მამამ თქვა: „სამსონ, გასინჯეთ მუუუუი, ჩვენი შემოქმედებაა...“ „ვისი? — შეეკითხა ფიკუსი, თან მარას შესცქეროდა. — ნუთუ თქვენი, დეიდა?“ „არა, — უპასუხა მარამ, — ეს ვადიმმა და ლიალიამ იჯადოქრეს, ჩემგან კი კულინარი ვერ გამოვიდა...“ „წაიკითხეთ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში ჩემი რჩევა, როგორ გამოვაცხოთ ბურბუშელა ხუთ წუთში, — თქვა ფიკუსმა, — დამიჯერეთ, სულ იოლია, უნდა აიღოთ ცოტა ფქვილი, ნახევარი კოვზი სოდა...“

აქ მარამ ორივე ხელი გაასავსავა. „არა, სამსონ, არ გინდათ...“ „კარგით, — თქვა ფიკუსმა. — მე ვჩუმდები, მაგრამ ახლავე გავდივარ სამზარეულოში, რათა ყველას თვალწინ გამოვაცხო ეს ხუთწუთიანი ბურბუშელა“. „გემუდარებით, არ გვინდა“, — სთხოვა მარამ. „კარგით, კარგით, — დაამშვიდა ფიკუსმა. — მეც აღარ მინდა. და საერთოდ, — დაუმატა მან და ფართოდ გაიღიმა, — უნდა გეშინოდეს პირველი აღმაფრენისა, რამეთუ იგი, როგორც წესი, კეთილშობილურია“. „საშინელი ნათქვამია“, — შევნიშნე მე. „ეს მე არ მომიგონია, — სწრაფად მიპასუხა ფიკუსმა. — ეს სიტყვები მაკიაველისაა“.

მე და არკაშკამ ერთმანეთს გადავხედეთ. ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო მაკიაველი, მაგრამ რატომღაც არ გვინდოდა ფიკუსისათვის გვეკითხა. ვგრძნობდი, არკაშკა ჩემსავით უკმაყოფილო იყო. არა, უკმაყოფილო კი არა, გაბრაზებული

იყო ფიქსის სტუმრობით, უკვე აღარაფერი გვინდოდა, არც ტელევიზორისა და არც ჩვენი მოციმციმე ნაძვისხის ცქერა, არ გვინდოდა და მორჩა! მე და არკაშკა შეთანხმებულვით ავდექით და წავედით დასაძინებლად. მარა და მამა ფიქსთან ერთად კიდევ დიდხანს ისხდნენ მაგიდასთან...

— არკაშკა მოვიდა სკოლიდან? — შემეკითხა მამა, როცა მესამე მანდარინი შევჭამე.

— მოვიდა, ჭამა და ფეხბურთის სათამაშოდ წავიდა. გინდა, ვნახოთ, ჩვენი სახლის უკან არიან.

— მერე ვნახოთ, — თქვა მამამ.

„რატომ არაფერს მეკითხება მარაზე? — გავიფიქრე. — ასე რომ არ სჩვევია მას?“

იქნებ, მამა შინ იყო უკვე და წაიკითხა ბარათი? მაგრამ არა, ასე რომ იყოს, მაშინ არ იკითხავდა არკაშკას ამბავს და მანდარინსაც სახლში დატოვებდა...

მამამ ხელი მხრებზე მომხვია და ხმადაბლა მითხრა:

— ნუ ეძებ სიტყვებს, ნუ ცდილობ რამე მოიგონო.

— რა? — შევეკითხე მე.

— ნუ ცდილობ შემამზადო, — თქვა მამამ. — მე ყველაფერი ვიცი.

— იცი?

ჩემი ხმა თვითონვე მომესმა, დაბნეულად და უცხოდ ეღერდა.

— ყველაფერი ვიცი, — თქვა მამამ. — ჩვენ ვილაპარაკეთ ამის თაობაზე.

— ვისთან? — წამოვიყვირე მე. — ფიქსთან?

— სამსონთან. — მიპასუხა მამამ და მრავლისმთქმელად შემომხედა. —

ძალიან გთხოვ, ზედმეტ სახელებს ნუ არქმევ. მას სამსონი ჰქვია და ამით ყველაფერი ითქვა. თანაც შენზე უფროსია...

— როდის ელაპარაკე?

— ახლახან. შენ რომ გელაპარაკე ტელეფონით, მერე მან დამირეკა.

— როგორ? არც კი მოვიდა, უბრალოდ, დაგირეკა?

— განა სულერთი არაა?

— შენთან პირისპირ შეხვედრისა შეეშინდა, — დავასკვენი მე. — რა გითხრა?

მამამ უცბად არ მიპასუხა.

— რომ ერთმანეთი უყვართ...

— მერე შენ რა უთხარი? — არ ვეშვებოდი.

— მე ვუთხარი, ხელს არ შეგიშლით-მეთქი. რა თქმა უნდა, არ შეეშლი...

— არა, შენ, რა თქმა უნდა, ანგელოზი ხარ, — ვთქვი მე. — ჰო, მამა, შენ ნამდვილი, ჩვეულებრივი ანგელოზი ხარ, სუფთა და უმწიკველი...

— ნუთუ? — სერიოზულად შემეკითხა მამა.

აღმაცერად გადავხედე. ის იჭდა გვერდულად ჩემკენ, მე ვხედავდი მის მოკლე, თხელ წარბს, სწორ ცხვირს: უწინ არასდროს დავკვირვებია მამას, ახლა კი თითქოს პირველად დავინახე მისი სახე: — პატარა ღრმული ნიკაპზე, პატარა ხალი საფეთქელთან, ხშირი, ოდნავ აპრეხილი წამწამები.

„ლამაზია“, — გავიფიქრე მე.

— სულაც არა ვარ ანგელოზი, — თქვა მამამ ფიქრიანად. — საიდან მოიგონე? ჩემი აზრით, ანგელოზობა სულაც არ არის სახარბიელო რამ.

— შენც ნუ იქნები! — ვურჩიე მე, მერე ჩემდაუნებურად ვკითხე: — ეს ამბავი შენთვის მოულოდნელია თუ ხვდებოდი ყველაფერს?

— არა! — წამოიძახა მან. — გეფიცები, ვერაფერს ვერ ვხვდებოდი! ერთი წუთითაც არ მიფიქრია ეს!

ჩვეული თავშეკავება საღდაც გაქრა, მისი სახის წამიერი ცვლილებამ გამოაცხა. ერთბაშად დაბერდა ჩემ თვალწინ: ღრმა ნაოჭებმაცხვრებოდა ცხვირის ქვეშე, ჭრუჭლუნა კაცის გამომეტყველება გამოეხატა სახეზე, წარბები თითქოს ერთმანეთს გადაეხლართა; ახლა ნამდვილად ჰგავდა იგი თავის ასაკთან შედარებით ოცი წლით უხნესს...

ისე შემეცოდა, რომ უნებურად იტაცე ხელო, მაგრამ უხეშად გამომგლიჯა, თითქოს შეეშინდა ჩემი სიბრაღის... ვერ იტანდა, როცა იბრალებდნენ, ნამდვილ მამაკაცებს ასე სჩვევიათ, გაჭირვებას არ იმჩნევენ და ღიმილით ამბობენ: „არაფერია, მოეველება...“ კიდევ ცოტა ხანს ვისხედით სკამზე, მერე მე ვუთხარი:

— დღესვე უნდა მოვუყვებთ ყველაფერს არქაშეს მამა დამეთანხმა.

— მართალია. — ცოტა ხანს იყუჩა. — ცუდია, რომ პაპიროსის წევას თავი გავანებე.

— იქნებ გაბედო თავიდან დაწყება?!

— არა, საერთოდ კი ცუდია, რა თქმა უნდა, რომ აღარა ვწევ.

ვიცოდი, პაპიროსს თავი გაანება მარას თხოვნით: „გთხოვ, ჩემი გული-სათვის...“

მარშანწინ მამას ძლიერი გულის შეტევა დაემართა, მოვიდა სასწრაფო, ექიმმა, ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან სერიოზულმა და გარეგნულად ბრაზიანმა კაცმა, მკაცრად გააფრთხილა: „თუ თავს არ გაანებებთ მოწევას, მომავალში მიწინასწარმეტყველებია ინფარქტი!“

მარა შეეკითხა: „ახლა იმედს გვაძლევთ, რომ ინფარქტი არა აქვს?“ „რა თქმა უნდა, — უპასუხა ექიმმა, — მომავალში კი ვერ მოგცემთ იმედს“.

და, თუმცა არავის, მათ შორის ექიმსაც, სულაც არ ელიძებოდა, მაინც გაიღიმა. დიდი ხანია შემჩნეული მაქვს: ძალიან იშვიათად იყო, მარასთვის არ გაეღიმოს ვინმეს. იგი წუთში განაწყობდა ყველას თავის მიმართ. განა ტყუილად თქვა მისმა დედამ, ჩვენმა ბებიამ ერთხელ: „მარაზე შეიძლება ისიც თქვა, ესეც თქვა, მაგრამ არ გიყვარდეს, შეუძლებელია“.

ექიმი წავიდა და მარა შეეხვეწა მამას, თავი გაენებებინა მოწვევისათვის: „ჩემი გულისათვის, გეხვეწები, სკადე, ჩემი გულისათვის...“

განა მარას არ უყვარდა მამა? რა თქმა უნდა, უყვარდა!

ზრუნავდა კიდევ მასზე, როგორც შეეძლო წუხდა, როცა მამა მივლინებაში ყოფნისას დეპეშას არ აგზავნიდა. ხშირად ამბობდა, ჩვენი მამა ყველაზე კარგი, ლამაზი, შესანიშნავი კაციო.

ავდექი.

— წავიდეთ, — თქვა მამამ.

ცოტა ხანს გზაჯვარედინზე დავდექით. მანქანები მიმოქროდნენ, მძიმედ მიირხეოდნენ ტროლეიბუსები. მამრადი თვალს ადევნებდა მანქანებს, შუქნიშანზე მწვანე თვალი აინთო, მამამ თქვა:

— წავიდეთ, ბავშვებო...

და სამივემ სწრაფად გადავირბინეთ მეთრე მხარეს.

მარამ ერთხელაც არ დარეკა იმ დღეებში, მაგრამ თითქმის ყოველ საღამოს ირეკებოდა ჩვენთან ტელეფონი. და მე არაფერს მას უხებდა. სამაგეროდ აშკარად მესმოდა ვიღაცის სუნთქვა. იგი დუმდა, ჩემს ხმას უსმენდა. არბი, მარა იყო, აბა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო! იქნებ არ შეეძლო ლაპარაკი, რადგან ფიკუსი გვერდით ედგა? ყოველ შემთხვევაში, მინდოდა, რომ ეფიქრებოდა, სულთ და გულით ჩვენთან ყოფილიყო... ასე რომ იყოს, ჭამა-სმინა-სუნთქვა-ტოვებდა!

არ მინდოდა დამედიანაშაულებრიხ და მაინც ვერ შევლოცებოდა ამ ანარს. ფიქრებში ყველა ამხანაგი ჩამოვთვალე, ვისთანაც კი სახლში ვყოფილვარ, ვის მშობლებსაც ვიცნობდი. არა, მათი მშობლები ვერასდროს მოიქცეოდნენ მარასავით. იმ საღამოს, როცა პირველად დავრჩით უმაროდ, მამა ყველაფერს მოუყვა არკაშკას. არკაშკას ეგონა, მამა მეხუმრებო.

— კარგი ერთი, გეყოფა, — თქვა არკაშკამ. — ნახა რაღა პატარა, გამოუცდელი ბიჭი! სად გადამაღეთ მარა?

მე და მამამ ერთმანეთს გადავხედეთ. იმ კიდეც ერთი თავსატეხი: როგორ გინდა აუხსნა არკაშკას ყველაფერი...

— გაიგე, — მოთმინებით დაიწყო მამამ. — მოხდა ისე, რომ მარამ სხვა კაცი შეიყვარა. გესმის, შეიყვარა.

— უყვარდეს შერე, — თქვა არკაშკამ. — განა ცოტა ვინმე მიყვარს? როდის მოვა?

— ის არ მოვა, — თქვა მამამ.

— რატომ არ მოვა?

— სხვა კაცი შეიყვარა და მასთან წავიდა.

მამა ლაპარაკობდა ხმაუფრევლად, მოთმინებით, მე კი ვიფიქრე, ალბათ როგორ უჭირს ამ სიტყვების თქმა: „სხვა შეიყვარა“, „სხვასთან წავიდა“.

როგორც იქნა, არკაშკა მიხვდა ყველაფერს, დიდხანს დუმდა დაბლვერილი, შებლშეჭმუხვნილი და ტუჩებმოკუმული.

— მაგრამ შენ უნდა დაიმახსოვრო ერთხელ და სამუდამოდ, — მკაცრად თქვა მამამ, — მარა იყო და არის შენი დედა და უწინდებურად უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე მას.

— ვისთან წავიდა? — შეეკითხა არკაშკა.

მე დავასწარი მამას:

— ოღონდ არ გაგიკვირდეს, ფიკუსთან.

ასე მეგონა, არკაშკა სასაცილოდ აიგდებდა ჩვენს საძულველ ფიკუსს, მაგრამ მან მხოლოდ მოკლედ მოგვიჭრა:

— ასე... მან ახლახან მიიღო ბინა.

— ერთოთახიანი, — ვთქვი მე.

— ოღონდ სადღაც გადაკარგულში, — დაუმატა არკაშკამ. — არ მახსოვს, სად.

— ჩერტანოვოში, — დააზუსტა მამამ.

— იქნებ მარა დიდი ხანია აპირებდა ფიკუსთან წასვლას, მხოლოდ ბინას ელოდნენ?

— მოდიტ ჩაი დავლიოთ, ბავშვებო, — შემოგვთავაზა მამამ. — კარგით?

— კარგი, — ვუთხარი მე და არკაშკას ვანიშნე, სამზარეულოში ჩაიდან დაედგა.

ეს მისი მოვალეობა იყო: ჩაიღნის ცეცხლზე შემოდგმა და მერე აღუღებულის შემოტანა სამზარეულოდან ოთახში.

ჩვენ ვსვამდით ჩაის აღუბლის მურაბით, რომელიც მე თვითონ მოვხარე ამ ზაფხულს, მერე ტელევიზორს ვუყურებდით. გადმოსცემდნენ რუსულ სრიალს კანადიდან, მაგრამ საათს დაეხედე თუ არა, უმალ გამოვთიშე ტელევიზორი. არკაშკას კიდევ უნდა ამოეხსნა გეომეტრიის რამდენიმე კონსტრუქცია, რაც არ უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა იყო, სწავლა ორივეს გვეძარბებს, მეც და მასაც.

არკაშკა მეორე ოთახში გავიდა და მაგიდას მიუჯდა, ღია კარებში ჩანდა, ლოყით ხელისგულზე დაყრდნობილი ვაჩაფიქრებული, როგორ გასცქეროდა ფანჯარას.

ჭურჭელს რომ ვრეცხავდი, არკაშკა უკვე რაღაცას წერდა გულდასმით.

— ყველაფერი რიგზეა. — ვთქვი მე და მივუახლოვდი არკაშკას, რათა თავზე ხელი გადამესვა, თუმცა ასეთები არ უყვარდა. არკაშკამ ვერ მოასწრო რვეულის დახურვა და მუც გეომეტრიული ამოცანების ნაცვლად, დავინახე გულდასმით გამოყვანილი ასოები: „მას არასოდეს მოველოდი, ვერც ვერასოდეს ვიფიქრებდი“.

— შესანიშნავია, — ვთქვი მე. — პირდაპირ შესანიშნავი!

არკაშკამ სწრაფად დააფარა ხელისგული რვეულს. პირქუშად შემეკითხა:

— რაო, კარგია, სხვისი დღიურების კითხვა?

სინდისმა შემაწუხა.

— არ მეგონა, თუ დღიურს წერდი.

— მეოთხე კლასიდან ვწერ, — მითხრა არკაშკამ და გადაშალა მეორე რვეული, რომელიც მის წინ იდო; ჩააწო კალამი სამელნეში; მის არ უყვარდა ბურთულუბიანი კალმისტრები და ჩვეულებრივი კალმით წერდა.

იატაკი მოვგაფე, მამრთის ქაშში წყალი ჩავუსხი. მამას გვერდით რომ ჩავუარე, მომეჩვენა, გაზეთს კი ჩასცქეროდა, მაგრამ ფიქრებში წასულიყო, არ კითხულობდა.

ღამით უცებ ვამეღვიძა, თითქოს ვიღაცამ მიბიძგა, პატარა ოთახიდან, სადაც არკაშკას ეძინა, სლუკუნა მომესმა. იქნებ მომეჩვენა? ნუთუ ეს არკაშკაა? ის იშვიათად ტირიდა, მაშინაც კი, როცა მთლად პაწაწკინტელა იყო. ეცემოდა, ცხვირს იტეხდა, მუხლებს იყვლეფდა, ერთხელ ხელისგულში ჟანგიანი ლურსმანიც კი შეერქო, მაგრამ არ უტირია.

თუმცა არა, ორი წლის წინ იტირა. სკოლიდან მოდიოდა და ტირიდა. ზამთარი იყო. ციდან უხვად ცვიოდა თოვლი, არკაშკას ლოყებზე ცრემლი მალე იყინებოდა, წამწამები ერთმანეთს მისწებებოდა ცრემლისაგან.

„რა დაგემართა?“ — შევეკითხე.

ჯერ არ უნდოდა თქმა, მეორე გამომიტყდა: ვალერკამ, ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მაწყენინაო, კარნახი ვეკონდა და არ გადამაწერინა, ასეც მითხრა: კარგია არა, სხვის კმაყოფაზე ყოფნაო?

მე ფრთხილად შევნიშნე: „საერთოდ, მართალი უთქვამს...“

არკაშკამ თითქმის შეჰყვირა: „მამ რატომ გადაიწერა ჩემგან არითმეტიკა? გამოდის, მისთვის შეიძლება სხვის კმაყოფაზე ყოფნა, ჩემთვის კი არა!...“

სანახევროდ ვეკამათებოდი, თუმცა გულში ვეთანხმებოდი. მით უფრო,

რომ ეს ვალერკა ნამდვილად არ მომწონდა. დანახვისთანავე მივხვდი, დიდი და-
ქოქილი ვინმე გახლდათ. არკაშკასავით სუფთა და გულლია როდი იყო...
მივაყურე, ისევ ასლუკუნდა, მერე გაჩუმდა, ისევ დაისლუკუნა, ავღეჭი,
ჩუმად მივედი კართან და გავალე.

— არკაშკა, — ხმადაბლა დავუძახე. — რაო, რა დაგემართა?
არ მიპასუხა. მისკენ დავიხარე. თანაბრად სუნთქავდა, ქუჩის ფარის სუს-
ტი შუქი უნათებდა წამწამებს, მსუქან ტუჩებს, საწოლიდან უღონოდ გადმოშ-
ვებულ ხელს.

„იქნებ მართლა მომეჩვენა, ან იქნებ სიზმარში ტიროს?“, — გავიფიქრე
მე.

ველარ დავიძინე. რამდენი არ მივაყურე, სლუკუნი უფარ გამიგონია.
არკაშკა ჩემზე პატარა იყო სამნახევარი წლით, მაგრამ ზოგჯერ ჩემი ტო-
ლი მეგონა. ალბათ შეუპოვარი, მტკიცე ხასიათისა და უემორით სავსე რომ
იყო, იმიტომ, მარას ჰგავდა — სასიამოვნო, საზი ვარდისფერი სახე, გრძელი
წამწამები და მსხვილი ტუჩები ჰქონდა. ჩემი მხანაგები მამებდნენ: „არკაშკა,
რატომ ხარ ასე კარგი?“ „არკაშკა, მაჩუქე შენი წამწამები, აბა, რისთვის გინ-
და?“ „არკაშკა, შემთხვევით ტუჩებზე რამეს ხომ არ ისიამოვებ?“ ბრაზობდა, ცდი-
ლობდა უხეში, ტლანქი მოსჩვენებოდა ხალხს, ვიდრე სინამდვილეში იყო. ხან-
დახან მეუბნებოდა, უეჭველად წვერს მოვუშვებო. ვიცოდი, გულით უნდოდა
ულამაზო ყოფილიყო, მაგრამ სამაგიეროდ ვაქცატური, ჯერ ლონდონის გმირე-
ბის მსგავსი, ამიტომაც დროდადრო ეწეოდა პაპიროსს, რამდენჯერმე გამოვი-
ჭირე, თუმცა მოხერხებულად მაღავდა სიგარეტს სახელოში.

ერთ საღამოს ტელეფონი აწკარუნდა, მამამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — თქვა მან. გაჩუმდა, მერე ისევ: — გისმენთ, ალო...

უცებ გულმა ბაგაბუგი დაიმიწყო, დარწმუნებული ვიყავი, მარა რეკავდა.
და მამაც ალბათ დარწმუნებული იყო.

— გისმენთ, — ისევ თქვა მან. და უკვე ჩუმად: — იმიტომ დუმხარ?

შევეხვეწე:

— მამი, მომეცი ყურმილი...

მან თავი გააქნია.

— ყველანი ჯანმრთელად ვართ, — თქვა მან. — ნუ წუხარ, ყველაფერი რიგ-
ზეა, გესმის? — კვლავ არავინ უპასუხა. — მამაბერი რამდენ ხან როგორღა ხარ?

ნელ-ნელა დადო ყურმილი.

— ნამდვილად ისაა, — ვთქვი მე.

მამა მიუახლოვდა ფანჯარას, დიდხანს იდგა, პირქუში კემოდგომის საღამოს
სიბნელეს გასცქეროდა.

კვირაზე მეტი გავიდა, მარამ ორჯერ დარეკა, როცა შინ მხოლოდ მე და არ-
კაშკა ვიყავით. მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად შემეკითხა, ხომ კარგად
ხართ ყველანიო, და ისე მალე დადო ყურმილი, თითქოს ვეღაცამ შეუშალა ხე-
ლიო. მეორედ კი დიდხანს გველაპარაკა. მკითხა, როგორ ამომეგ თავს ოჯახურ
საქმეებსო, ზამთრისთვის თუ მოემზადეთ, ფანჯრები თუ დაგმანეთ, კარტოფილი
და ხახვი თუ მოიმარაგეთო. მეც ყველაფერზე ვპასუხობდი, არადა, მინდოდა
მეთქვა: უშენოდ მოწყენილი ვარ, ხშირად გიხსენებ, არკაშკაც ნაღვლობს, თუმ-
ცა არ იმჩნევს, მამაც ნაღვლობს, თუმცა არც ის იმჩნევს, იმიტომ რომ ამაყია
და კიდევ იმიტომ, რომ არ უნდა დამანახოს, ზედმეტად მამძიმოს გული.



ქართული
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

- არკაშკა შინაა? — მკითხა მარამ.
- შინაა, — ვუპასუხე. მე. — გაკვეთილებს ამზადებს.
- სკოლაში როგორ აქვს საქმე?
- ისე რა, კარნახში წყვილი მიიღო, — ვუთხარი მე.
- რატომ? — შეეშინდა მარას.
- სიზარმაცე კლავს, — ვთქვი მე. — მაგრამ შენ ნუ...

ყოველდღე ვვარჯიშობთ წერაში, მე ვკარნახობ, ის კი წერს...

- მერე?
- თითქოს არა უშავს. გამოგვდის რაღაც...
- ეს ალბათ სულ ფეხბურთის ბრალია, — თქვა მარამ.
- უკვე აღარ ვუშვებ ფეხბურთზე, — ვთქვი მე. — ეყოფა. სანამ არ მიიღებს ოთხიანს, გავაფრთხილე, ფეხბურთი დაივიწყოს...
- დაუძახე, დამელაპარაკოს.
- მე დავუძახე. ის შემეკითხა:
- ვინაა?
- მოდი და გაიგებ...

მოვიდა, ხელი სტაცა ყურმილს, მაგრამ უცბად უკან დადო მაგიდაზე.

- ვინაა? ის?
- ჰო.
- უთხარი, შინ არ არის-თქო... — და თავის ოთახში გაბრუნდა.
- სად მიდიხარ?

მან მხრები აიჩეჩა და უკანმოუხედავად გაიჯახუნა კარი. ისევ მე ავიღე ყურმილი.

- გესმის, უკვე წასულა...
- მესმის, — თქვა მარამ და გაჩუმდა.
- ისე დიდხანს დუმდა, რომ მეგონა, გაგვთიშეს.
- მარა! — დავუძახე. — სადა ხარ? ალო?
- ჰო, — თქვა მარამ. — გისმენ. კარგი, მოკითხვა გადაეცი მამას და არკაშკას და შამრაის. შამრაი როგორღაა?

- კარგად, — ვუპასუხე. მე.
- არ არის საჭირო, იცოდეს, შამრაიც რომ ხალვლობს... უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, რომ ძალღებს უყვართ, როცა მთელი ოჯახი ერთადაა. ყურმილი დავდე და არკაშკასთან წავედი.

- რატომ არ ისურვე მარასთან საუბარი? ვახსოვს, მამამ რა თქვა? მარა იყო და არის ჩვენი დედა, ჩვენ უნდა გვიყვარდეს და პატავს ვცემდეთ მას...

არკაშკამ თავი ასწია და შემომხედა. ტუჩები გამობურცა და საოცრად დაემსგავსა მარას...

შევცქეროდი არკაშკას და ვფიქრობდი, როგორ გვანან ერთმანეთს დედა-შვილი-მეოქი. არკაშკა კვლავ დუმდა, იბღვირებოდა და კალმისტარს კბილებს უკაკუნებდა. მერე აღვა და ცხვირი ცხვირზე მომიხახუნა. მისთვის ესაა სინათლის უმალღესი გამოვლენა. ბავშვობიდან უყვარდა ცხვირით ცხვირზე მოხახუნება, ჩემთან, მარასთან, მამასთან... ამით მიგვანიშნებდა, ყველანი მიყვარხართო...

ერთ დღეს, როცა არც მამა, არც არკაშკა შინ არ იყვნენ, შამრაი ალერსიან-

ნად და სასაცილოდ მოჰყვა წკავწკავს; იატაკზე კუდს უბარტყუნებდა და კარის-
კენ მიიწევდა. „ნამდვილად მარაა! — გავიფიქრე და გავიქეცი კარის გასაღებად,
არადა, ლიფტი ჯერ არც კი იყო გაჩერებული ჩვენს სართულზე.“

ლიფტიდან დეიდა ვალია გადმოვიდა. შამრაი ეცა, თითები მხრებზე დაა-
დო, ვარდისფერი ცხელი ენით აულოკა სახე, ყელი, ის კი სიცილით ეუბნე-
ბოდა:

— ესეც ასე, თავი ისე გულდასმით გავილამაზე და აი ახლა, ერთი ხელის
მოსმით წყალში ჩამეყარა ყველაფერი.

ჩემი აზრით, შამრაის დეიდა ვალია ყველაზე მეტად უყვარდა. მამა ირწმუ-
ნებოდა, შამრაის და დეიდა ვალიას ერთმანეთის ისე ესმით, თითქოს თრივე
ადამიანი იყოსო... „ან ორივე ძაღლიო“. — უსწორებდა მამას დეიდა ვალია,
ის სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ადამიანებმა გაიარეს არსებობის მთელი
რიგი სტადიები, წარსულში ვინ კატა იყო, ვინ აქლემი, ვინ კიდევ ლომი, ზებრა,
მე კი ნამდვილად ძაღლი ვიყავით, თანაც ყველაზე უჭიმოო, ტყუილად კი არაა,
შევხედავ თუ არა რომელიმე ძაღლს, უკვე მესმის, რა უნდა, რაზე ფიქრობს და
რა აზრისაა ჩემზეო...

დეიდა ვალიასთვის ძაღლს არასოდეს უკბენია, ის უშიშრად მიდიოდა ხოლ-
მე ნებისმიერ უზარმაზარ ნაგაზთან და ხელს უწვდიდა. რამდენჯერ მინახავს,
რა მორჩილად და ალერსიანად უხრიდა თავს ნაგაზი მოსაფერებლად.

დეიდა ვალია მარას უმცროსი და გახლდათ, მათ შორის განსხვავება სულ
რალაც ორნახევარი წელი იყო, მეტი არა. ისინი სულაც არა ჰგავდნენ ერთმა-
ნეთს, არც გარეგნობით, არც ხასიათით. მარა იყო რბილი, თითქოს დამთმობი,
ჩუმი, დეიდა ვალია კი ექსპანსიური, მტკიცე ხასიათის, დაუყოლიებელი, ჭიუტი.
წლითი წლობით ირჩევდნენ მას პროფკავშირის თავმჯდომარედ საქალაქთაშო-
რისო სატელეფონო სადგურში, სადაც მუშაობდა. „რა გესლიანი და ჭიუტი ხარ! —
ხშირად ეუბნებოდა მარა. — უფროსებს ეჩხუბები, სამუშაოზე ყველას ხმის
ჩაბრინწვამდე ეკამათები და თანაც რისი გულისათვის? ვილაც პუბკინმა რომ
საგზური მიიღოს არა აგვისტოში, არამედ ივლისში!“

„ჯერ ერთი, — პასუხობდა დეიდა ვალია, — ვილაც პუბკინი კი არა, ჩემი
თანამშრომელი, მეორეც, თუ მას სურს ივლისში, უნდა დაისვენოს ზუსტად ამ
თვეში“... ოდნავ პაჭუა ცხვირის ნესტოები ებერებოდა, თვალები უფრო უმუქ-
დებოდა და უღრმავდებოდა.

ერთხელ გავიგონე, ჩვენი მარა როგორ საყვედურობდა დეიდა ვალიას,
რომელიც კვლავ წაჩხუბებოდა თავის უფროსს. „შენ ვერასოდეს ვერ მოიწყობ
ცხოვრებას“... „პოდა, ძალიან კარგი, — პასუხობდა დეიდა ვალია, — ვერ ვი-
ტან საკუთარი ცხოვრების მოწყობას!“

მარას ძალიან უნდოდა თავისი და გაეთხოვებინა, მაგრამ, როგორც ჩანს,
დეიდა ვალია არ იყო შექმნილი ოჯახური ცხოვრებისათვის.

ერთხელ მის სათხოვნელად მოვიდა კაცი, ყველას აზრით, სოლიდური და,
როგორც მარა ამტკიცებდა — სწორედ მან გააცნო დას ეს კაცი — სავსებით
საიმედო. თითქოს ერთმანეთი მოეწონათ კიდევ, თითქოს ქორწილიც დაინიშნა,
მაგრამ უცებ ერთ შაბათ დღეს დეიდა ვალია მოვიდა ჩვენთან და ჯერ კიდევ
კართან მდგომმა გადაჭრით განაცხადა: „მორჩა, გათავდა ყველაფერი!“..

მე და მამა გაოცებით მივაჩერდით, მარა კი ყველაფერს მიხვდა. საოცრად
მიმხვედრი ვინმე იყო. „რატომ? — შეეკითხა მარა. — თვითონ არ ამბობდი, არა
უშავს კაციაო?“ „შევცდი, — დეიდა ვალია დაჯდა სკამზე და დაიწყო მოყო-

ლა. ეს კაცი ძალიან მაღალფარდოვნად მელაპარაკებოდა, ისე მაღალფარდოვნად, გემის რწვევისას რომ იცის, ლამის ისე ამრეოდა გულით. უცებ წამოიძახებს: „ო, ჩემო მომხიბვლელო!“ — და მრავლისმეტყველოდ შემომხედავს ან ვაშლს აიღებს, გულდასმით შეათვალიერებს და წარმოთქვამს: „ო, რა წვნიანი ნაყოფია!“ „როგორც ჩანს, თავისი თავის კმაყოფილია და განაგრძობდა დეიდა ვალია, — მე კი, დამიჯერეთ, მზადა ვარ კბენს მწვენიელსაბრაზისა-ვან, ერთხელ, სოკოლნიკებში სეირნობისას მითხრა: რა მშვენიერი ტყის მასი-ვიაო, არა? წარმოგიდგენიათ? მშვენიერი ტყის მასივიაო“. „მერედა, რა არის აქ ისეთი? — გაუკვირდა მარას, — თქვა და თქვას, კეთილი და პატიოსანი, ვითომც არ გაგეგონოს, ისე ჩათვალე ან უბასუხე: „დიახ, ნამდვილად, ჭეშმარიტად“, რა გენალვლება, კარგავ რამეს?“

„მე ასე არ შემიძლია“, — თქვა დეიდა ვალიამ.

„შენც ადექი და სცადე“, — ურჩია მარამ.

„იცი, დღეს რა იკისრა? — განაგრძო დეიდა ვალიამ. — გვერდიგვერდ მი-ღივართ, გაჩერდა, ამოიღო ერთი კოლოფი სიგარეტი, მოუკიდა ასანთს, ასან-თი ქარმა ჩაუქრო, იცოდვილა ორიოდე წუთი, მერე მითხრა: „თქვენი თვალე-ბის ცეცხლი ასანთს აქრობს...“

„თქვენი თვალეების ცეცხლიო? — ჰკითხა აქამდე გაჩუმებულმა მამამ. — მართლაც, საუკუნის დასაწყისის უღმობელი რომანსია, და საერთოდ, რამდენ-ნადმე უმეცრებაა ფიზიკის ელემენტალური კანონების თვალსაზრისითაც...“

„მე კი საშინელს ვერაფერს ვხედავ“, — თქვა მარამ.

„მერე რა მოხდა?“ — შეეკითხა მამა დეიდა ვალიას.

„არაფერი, გავჩუმდი, მეორე მხარეს რომ გადავედიო, ავდექი და გავი-ქეცი“.

მამამ და მარამ ერთდროულად წამოიყვირეს: „როგორ თუ გაიქეცი?“

„სულ უბრალოდ. ის დაყოვნდა გზაზე, იმიტომ რომ უცებ აინთო წითელი შუქი. მე კი სწრაფად მოვეუსვი, მორჩა!“

„მორჩა“, — გაიმეორა მამამ და გადაიხარხარა.

მერე მარამაც გაიცინა. მეც თავი ვერ შევიკავე და სიცხლი წამს-კდა.

„შენს მეტი არავინ მოიქცეოდა ასე, — ცრემლი სდიოდა მარას სიცილისა-გან, — ნამდვილად ასეთი ხარ...“

დეიდა ვალია მანამდე ორჯერ იყო გათხოვილი, ორჯერვე უიღბლოდ.

მისი ქმრები არ მოშწონდნენ, ერთი იყო ახალგაზრდა და ხუმარა კაცი, მაგ-რამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უბედური ლოთი. მეორე უფრო ხანში შესუ-ლი იყო, მეტისმეტად ზრდილობიანი, ერთ საათში იმდენ „გეთაყვას“ და „გმადლობთ“ გეტყოდათ, ვერ დაითვლიდით, მაგრამ დეიდა ვალია მასაც ვერ შეეთვისა.

„ამდენ რჩევა-რჩევაში, მარტოხელა დარჩები სამუდამოდ“, — გააფ-რთხილა მარამ.

მაგრამ დეიდა ვალია გონივრულად ეწინააღმდეგებოდა:

„განა მე კი ვიქნები სამუდამოდ? რაზეა ლაპარაკი?“

საბოლოოდ თქვა უარი პირადი ცხოვრების პერიპეტებზე და მთლიანად შესწირა თავი საზოგადოებრივ საქმიანობას: თავის საქალაქთაშორისოში აწყო-ბდა თვითმოქმედების საღამოებს, წერდა საიუბილეო თუ საზეიმო მისასალმე-ბელ სიტყვებს. ამაში ვერავინ სჯობდა: სხვა ვერავინ მოსძებნიდა ასეთ გულთ-

ბილ, სულში ჩამწვდომ სიტყვებს, კადრების განყოფილების თანამშრომლებსაც კი, რომლებიც, ყველას აზრით, ცხოვრებაში გამობრძნედილი და გაგულქვავებული არიან, — იმათაც კი ცრემლით ევსებოდათ თვალები დეიდა ვალიას დაწერილი სიტყვების ვაგონებაზე.



... როგორც იქნა, შამრამ ნება იბოძა და შემოუშვა დეიდა ვალია ცხინეთში, — აი, — თქვა მან. — ნამცხვარი მოგიტანეთ, თვითონ გამოვაცხვე, ცომი თითქმის არაა, სულ ვაშლია, ბადრიჯნის ხიზილალაც თვითონ გავაკეთე.

— დეიდა ვალია, შენ ალბათ გგონია, ჩვენ აქ შიმშილით ვიხოცებით, ხომ? — ვკითხე მე.

— ეს რა მოიგონე? — გაცხარდა დეიდა ვალია. — საიდან მოგაფიქრდა ასეთი რამ? — სახეზე ისეთი გულწრფელი აღშფოთება აესახა, რომ ჩემთვის უმაღლესი გასაგები გახდა — სწორედ ასე ჰგონია, მარასაგან მიტოვებულები არაფერს ვჭამთ და ლამის შიმშილით ვკვდებით...

ბადრიჯნის ხიზილალა მაცივარში შევინახე — არკაშკა მოვა სკოლიდან და საჭმელიც მზად დახვდება, რძესაც დააყოლებს. ნამცხვარი მრგვალ ლანგარზე დავაწვე.

დეიდა ვალია პირდაპირ დამიჯდა.

— როგორაა საქმე? მიაშბე.

— ყველაფერი კარგადაა, — ყოჩაღად ვუბასუხე.

— აბა, აბა, — თქვა მან. — „ყველაფერი კარგადაა!“ როგორ არა! — ეტყობა, ვერ დააჯერა ჩემმა მეტისმეტმა მზიარულმა კილომ.

მარა და დეიდა ვალია ნახევარდები იყვნენ, დედით ერთნი, მამით — სხვადასხვანი. მარას მამა აფხაზი იყო. მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით მკრთალი, ოდნავ ოქროსფერი კანი, ფართოდ გახედილი თვალები, მძიმე ქუთუთოები და თმაზე ბევრად უფრო მუქი და სქელი წარბები.

ბუნდოვნად მახსოვდა პაპა, მარას მამა. ხუთი წლისა ვიყავი, რომ მოკვდა, მარას დავყავდი პაპასთან. მარტო ცხოვრობდა. მახსოვს გამუდმებით სწევდა ჩიბუხს. ფანჯრის წინ იდგა, — ზუბოვის მოედანზე რომ გადიოდა, — და სადღაც შორს სახურავეებს ზევით იმზირებოდა.

როგორღაც ვცადე დამეჭირა მისი გამოხედვა, მაგრამ ვერ შევძელი, მის თვალებს ჯიუტად არ უნდოდა ჩემს თვალებთან შეხვედრა. ისინი ნაღვლიანი მეჩვენებოდნენ. ერთხელ ზოოპარკში ვნახე ფრინველი, ზუსტად ასეთი მრგვალი, მუქი, თითქმის უგუგო, მარტოსული კაცის თვალები ჰქონდა.

დეიდა ვალია კი თავის უკრაინელ დედას ჰგავდა — მსუქანი იყო, ცოტათი მოუქნელი ტანი, დიდი ხელები და ფეხები და თეთრი კანი ჰქონდა, ნაცრისფერ-თვალებასა და ოდნავ დაწვმალალს გრძელი, ფაფუკი ქერა თმა ამშვენებდა.

დეიდა ვალიამ ნახევრად თვალდახუჭულმა თავი უკან გადასწია და გული უცებ შემეკუმშა: ამ წუთის დაემსგავსა მარას. ხელს მასავით ნარნარად ამობრაგებდა, მასავით დიდხანს არ უქრებოდა ღიმილი...

— ყველაფერი კარგადაა, — იხტიბარს არ ვიტყვდი მე. — მამა მუშაობს, არკაშკა სწავლობს, მეც ვსწავლობ და ოჯახს ვუვლი...

— ოჯახის მოვლას, ვფიქრობ, შეეჩვიე.

— ასეა, — დავეთანხმე მე. — ჰოდა, რახან შევეჩვიე, გამოდის, ყველაფერი თქვია.

— ო'კვი, — გაიმეორა დეიდა ვალიამ. — არ იღლები? ორი კაცის მოვლა განა ადვილია? თანაც მეცხრე კლასში სწავლობ...

— ხომ გითხარი, შევეჩვიე-მეთქი.

— მჯერა, — დამეთანხმა დეიდა ვალია. — მჯერა, იმიტომ რომ მარა ყოველთვის ყველა საზრუნავს ხან შენს, ხან კი მამაშენის კისერზე გადბიტანდა ხოლმე...



— რაც იყო, იყო, — ვთქვი მე.

გავშალე სუფრა, დავალაგე ჭიქები, მაცივრიდან გამოვიღე კარაქი, ძეხვი, ყველი, მერე სამზარეულოდან წამოვიღე ჩაიდან, ჭიქებში ჩაი ჩავასხი.

— მიდი, მიდი, დატრიალდი, — გაეცინა დეიდა ვალიას. — აქაოდა, არ ვიფიქრო, რომ გიჭირთ.

— არც იფიქრო, არაფრით არ იფიქრო! — ვთქვი მე.

დეიდა ვალიამ ჭიქა აიღო, თვალეები მოჭურტა და დააცქერდა.

— რას უყურებ, დეიდა ვალია? — შემეშინდა მე. — ნუთუ ცუდი გარეცხილია?

— არა, სუფთაა, — დამამშვიდა დეიდა ვალიამ. — უბრალოდ, ეს მგონი, იმ სერვიზიდანაა, მე რომ ვაჩუქე მარასა და ვადიმს ქორწილზე.

— ნუთუ? არ ვიცოდი! ეს ჭიქალა დაგვრჩა დაუმტვრეველი. სერვიზიდან საშაქრელა იყო შემორჩენილი და იმასაც არკაშკამ მოუღო ბოლო წინა ხუთშაბათს.

— ქვეყნად ყველა სერვიზი იმსხვრევა, — ზარზეიმით განაცხადა დეიდა ვალიამ, თითქოს ვიღაცის ბრძნული გამონათქვამი მოიშველიაო.

— ჩემი აზრით, — ვთქვი მე, — ჭურჭლის დამსხვრევა ბედნიერების ნიშანია.

დეიდა ვალიამ თვალეები მოჭურტა, ტუჩები აუკანკალდა, თითქოს რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, თუმცა მაინც თქვა:

— ჰო, ბედნიერება ყველას ყველამდე გაქვთ...

მე თვალთმაქცურად გავიციინე:

— გააჩნია, ვის რა მოსწონს.

დიდი ხანია მინდოდა მეკითხა დეიდა ვალიასთვის ერთი რაღაც, მაგრამ ვერასდროს ვერ ჩავიგდე მოსახერხებელი წუთი. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, ერთი რაღაც, თვითონ მივხვდი, რა იყო და როგორ იყო დიდი ხნის წინათ.

— დეიდა ვალია, ეს მართალია, რომ შენ ჩვენი მამა გიყვარდა? — ვკითხე.

შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია, თითქმის მშვიდად შემომიბრუნა შეკითხვა:

— ვინ? მე? მე ის ახლაც მიყვარს.

— მაგაზე არ გეკითხები, შენ იცი, რასაც გეკითხები...

დეიდა ვალიას გაეცინა, მაგრამ უცებ შეწყვიტა სიცილი. იქნებ ფიქრებში სწონიდა, ეთქვა თუ არა, ბოლოს მაინც გადაწყვიტა... და თქვა სერიოზულად, უფრო პირქუშად:

— მიყვარდა, ძალიან მიყვარდა.

— მას თუ უყვარდი?

— მასაც ვუყვარდი.

— რატომ არაფერი გამოგივიდათ? — შევეკითხე. — მარას გამო?

დეიდა ვალიამ უჩუმრად დამიქნია თავი.

— მან წაიყვანა მამა?

— კი, ასე იყო.

— და შენ აპატიე?

— ვაპატიე, — მიბასუხა დეიდა ვალიამ.

შევხედე და დავიჯერე, დიახ, დავიჯერე, თუმცა მე ალბათ არასოდეს ვიქნებოდი ვაპატიებდი, ვინც არ უნდა ყოფილიყო — დაც, თუგინდ საკუთარმა დედამცამა დეიდა ვალიამ კი აპატია!

— საციგურაო მოედანზე გავიცანით ერთმანეთი, — კვლავ დაიწყო დეიდა ვალიამ, — პეტროვკაზე, ცენტრში. იქ იკრიბებოდნენ ყველაზე კარგი გოგონები და ყველაზე საინტერესო ყმაწვილები. საერთოდ, თუ თანამედროვე ენაზე ვიტყვით, ამ საციგურაო მოედანზე სიარულიც პრესტიჟულად ითვლებოდა. იცი ეს სიტყვა?

თავი დავუქნიე. ეგლა მაკლია, არ ვიცოდე! მე ხომ მეცხრეკლასელი ვარ და არა პირველკლასელი!

— ყველანი იპრანჭებოდნენ, ძლივს დასრიალობდნენ, რვიანები გამოჰყავდათ, — განაგრძობდა დეიდა ვალია, — რადიოში ტანგოსა და ფოქსტროტებს უკრავდნენ.

— კარგად დასრიალებდი? — შევეკითხე.

— არა უშავს, ყოველ შემთხვევაში, იშვიათად ვეცემოდი. მეცვა მოკლე ქვედა კაბა, თეთრი სვიტრი და პომპონიანი თეთრი მოქსოვილი ქუდი, ყელზე გრძელი შარფი მქონდა შემთხვეული.

— მამა როგორი იყო?

— სასაცილო, — თქვა დეიდა ვალიამ. — ჩემი აზრით, ყველაზე ცუდად დასრიალებდა, სულ ეცემოდა, წამოდგებოდა, გაივლიდა რამდენიმე ნაბიჯს, კვლავ დაეცემოდა. ერთხელ ისე დაეცა, რომ დიდხანს ვერ აღგა, შემეცოდა, მიეუახლოვდი, ხელი გავუწოდე და ვუთხარი: „აბა, დადექით!“

— აბა, შენ სხვანაირად როგორ მოიქცეოდით? და ერთად დაიწყეთ სრიალი?

— მაშინ არა, თავი გაიტეხა და შინამდე გავაცილე, საწოლში ორი დღე გაატარა, მერე ისევ მოვიდა საციგურაო მოედანზე და ჩვენ ისევ შევხვდით.

— მერე ერთად დაიწყეთ სრიალი?

ფიქრიანად ჩაილაპარაკა:

— ჰო, საერთოდ, ჰო, ჰოდა, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი...

— მამა ლამაზი იყო? — შევეკითხე.

— არა უშავდა. არკაშკა ცოტათი წააგავს ქცევით, სიარულით, ისიც მამასავით მოძრავი, სწრაფია...

— ვინ? — გამიკვირდა. — ჩვენი მამა მოძრავი და სწრაფი იყო?

მამა იყო საკმაოდ მსუქანი და მხარბეჭიანი, თავზე უკვე უბრწყინავდა გვარისანი მელოტი. დუნედ მოძრაობდა, მძიმედ, თუმცა ჯერ ორმოცისაც არ იყო.

— დიახ, მოძრავი, — გაიმეორა დეიდა ვალიამ. — ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა... — მან გასწია გაციებულნი ჩაით სავსე ფინჯანი. — იცი, მე არასოდეს ვყოფილვარ ლამაზი. მარა, მე მგონი, ჩემზე უკეთესი იყო. ყოველ შემთხვევაში, უფრო შესამჩნევი, უფრო ელვარე. მაგრამ მე მქონდა გრძელი თმა, წარბებს საპარიკმახეროში ვიღებავდი, წამწამების დაგრძელება ვისწავლე. ეს იყო მეტად დამღლელი საქმე, ბევრ დროს მაკარგვინებდა. ტუშით უნდა შეგედება

წარბები და მაშინვე, სანამ ტუში არ დაშრებოდა, ბამბა ოდნავ უნდა შეგებო წამწამებისთვის, ბამბის წვრილი ძაფები ედება წამწამებს, და საბოლოოდ ვიღებთ გრძელ, აბრებილ წამწამებს...

— მართლაც გვარია! — ვთქვი მე. — ერთი უნდა ვცადო.

— მოთმინება არ გეყოფა, — თქვა დეიდა ვალიამ. — მართლაც არ ყოფნიდა...

— მოთმინება შეიძლება არ მეყოს, — დავეთანხმე მე, — თუმცა ახლა ეს ყველაფერი აღარაა საჭირო, შეიძლება, უბრალოდ მიიწებო ხელოვნური წამწამები.

— მე და მარა სულ სხვადასხვანაირი ვიყავით, სულ არ ვგავდით ნამდვილ დებს, — განაგრძობდა დეიდა ვალია. — მაგრამ ორივე კარგად გამოვიყურებოდით, თითოეული თავისებურად. მე ვხყავი, რომ იტყვიან, თეთრ-ყირმიში, ის კი ნაზი, ფერმკრთალი, ნატიფი, საერთოდ, განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა, მაგრამ... შეეძლო ნებისმიერი კაცი მოეხიბლა. და, ბუნებრივია, მამაშენსაც შეუყვარდა.

— როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — შევეკითხე.

დეიდა ვალია ცოტა ხნით დაფიქრდა.

— არ ვიცი, ისე, როგორღაც... ჯერ ზედაც არ უყურებდა, მერე მარამ აიძულა ყურადღება მიექცია მისთვის.

— როგორ აიძულა? — არ მოვუშვი მე.

— ყველანაირად ცდილობდა... ერთი წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ არ მიმატოვებდა, მე აღარ ვეყვარებოდი და სხვას შეიყვარებდა. უფრო ჰკვირავი რომ ვყოფილიყავი, ყველაფერი კარგად იქნებოდა, ახალი სიყვარული გაუნელდებოდა დროთა განმავლობაში და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებოდით. მაგრამ მე ამას ვერ ვიზამდი და გადავწყვიტე, ვადიშს მივშველებოდი. ჰოდა, მეც მოვიგონე: ვუთხარი, არ მიყვარხარ-მეთქი, ერთი ყმაწვილი მომწონს ძალიან, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია-მეთქი, და ა. შ.

კარმა გაიჩახუნა, შემოვიდა არკაშკა, შამრათ წამით ეცა მას, მერე ისევ დეიდა ვალიას ფეხით ჩამოჯდა.

არკაშკამ სწრაფად აკოცა ლოყაზე დეიდა ვალიას და გვერდით მიუჯდა.

— გინდა ღვეზელი? თვითონ გამოვაცხვე, — შესთავაზა დეიდა ვალიამ.

— ძალიან მინდა, — არკაშკამ კარგა გვარიანად მოკბიჩა, დეიდა ვალიას მრგვალი, მოცინარი თვალებით გადახედა. ახლა მარტო მარას კი არა, დეიდა ვალიასაც ჰგავდა. რატომ, ვერ გამიგია; დეიდა ვალია და მარა ხომ ასე სხვადასხვანაირები არიან. და უცებ მოულოდნელმა აზრმა გამიელვა თავში: ჩვენს დეიდა ვალიასაც ხომ შეიძლებოდა ჰყოლოდა ვაჟიშვილი, თავისი, საკუთარი...

— კეთილი, — თქვა მან. — წავალ, საქმე თავსაყრელი მაქვს...

— რა საქმე გაქვს? — შევეკითხა არკაშკა.

— უნდა შევიარო პროფკავშირებში, შიკრიკისთვის საგზური მოვითხოვო, უნდა ვინახულო ერთი ავადმყოფი, მერე...

— იქნებ გეყოფა? — შევაწყვიტინე დეიდა ვალიას. ეს უკვე მეტისმეტო იყო. მუდამ სხვების ცეცხლში იწვოდა, როგორც ამბობდა ჩვენი მამა. ნეტავ რად უნდა? არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ცუდად გამოიყურება,

გახდა, ახველებს და მე ხომ ვიცოდი, აი უკვე სამი წელია შვებულებაშიც არა უფილა, სულ არ ეცალა, მუდამ რაღაც საქმეები და საზრუნავი ჰქონდა... დეიდა ვალია გაოცებით მომაჩერდა.

— რატომ მეყოფა?

— იმიტომ, რომ სხვის საგზურებზე სირბილს სჯობს საკუთარ ფეხების კარგი სანატორიუმი იშოვო...

— ცოტა ხნის მერე, — თქვა დეიდა ვალიამ.

მე ამოვიოხრე:

— რა გიყო, დეიდა ვალია? გაგკოჭო?

— წარმოიდგინე, ეს სიტყვები მითხრა ვადიმმაც ოდესღაც: „გაგკოჭო?“

— რატომ ვითხრა?

— მე ყველას მამიდა ვიყავი, სახლში მომყავდა ქუჩის ძაღლები, კატები, მტრედები, ჯერ ითმენდა, მერე მობეზრდა...

— მამას ხომ უყვარს ცხოველები...

— მაგრამ არა იმდენად, — ჩაურთო არკაშკამ. — ის მაინც ნორმალური კაცია.

ერთდროულად გავიციინეთ.

— ხომ არ გეწყინა? — შევეკითხა დეიდა ვალიას არკაშკა.

— არა, რა თქმა უნდა.

— ნუ მიდიხარ, — თქვა არკაშკამ. — მამა მალე მოვა.

— მინდა მის მოსვლამდე წავიდე.

— რატომ? — შევეკითხე.

— მარამ ერთი თხოვნა დამაბარა თქვენთან, ვადიმმა არ უნდა გაიგოს.

— რათ, რა მინდაო? — შევეკითხე.

— უნდა, რომ მასთან მიხვიდეთ.

— სად? ფიკუსთან?

— დიახ, — მიპასუხა დეიდა ვალიამ. — იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობს, მარა. — და მოლოდინით შემომატქერდა.

— კმაყოფილია ცხოვრების? — შევეკითხე.

— ჩემი აზრით, უთქვენოდ მოწყენილია, — თქვა დეიდა ვალიამ.

— უნდა ვიფიქროთ, რომ ასეა! — ვერ მოითმინა არკაშკამ.

— ჩვენთან არ უნდა მოსვლა? — ვკითხე მე.

— უნდა, — თქვა დეიდა ვალიამ. — მაგრამ ჯერ თქვენ მიდით მასთან.

— არა, — არკაშკა სკამიდანაც კი წამოდგა. — არა, ჩვენ არ მივალთ მასთან, და თუ მას უნდა ჩვენი ნახვა, აქ მოვიდეს!

თუნდაც რომ არ ვყოფილიყავ არკაშკას აზრისა, მაინც არ შევეწყინა აღმდეგებოდი ახლა. მე შევეჩვიე მბრძანებლობას მასთან, ის ჩემზე უმცროსი იყო, და შეიძლება დიდი ხალისით არა, მაგრამ მაინც მემორჩილებოდა. ახლა კი მომეჩვენა, რომ ის უკვე დიდია, და სურვილი დამებადა, მისთვისაც გამეწია ანგარიში და არ შევეკამათებოდი. თვითონაც არ ვიცი, რატომ დამებადა ასეთი სურვილი. თვითონაც არ ვიცი. და მეც გავიმეორე არკაშკას სიტყვები:

— ჯერ თვითონ მოვიდეს...

მარამ მეორე დღეს დარეკა. სკოლიდან დაბრუნებულმა გავაღე თუ არა კარი, ტელეფონიც აწკრიალდა.

— ლიალია, გამარჯობა, საყვარელო...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- გამარჯობა.
- მარტო ხარ?
- მარტო.
- არკაშკა სადღაა?
- მგონი, პიონერთა სასახლეში.
- კარგადაა?
- ყველაფერი რიგზეა, — ვთქვი მე. — შენ როგორღა ხარ, მარა?
- ყველაფერი კარგადაა, — თქვა მან. — მინდა თქვენთან მოვიდე. როდის შეიძლება?

— როცა გინდა. ეს შენი სახლია. და შეგიძლია მოხვიდე, როცა მოგესურვება... — მე წარმოვთქვი ეს სიტყვები ისე, როგორც, ჩემი აზრით, წარმოთქვამდა მამა, მაგრამ მარამ ნაღვლიანად მიბასუხა:

— არა, ლიალია, ეს უკვე ჩემი სახლი აღარაა.

— შენია, — ვთქვი მე.

ცოტა ხანს დუმდა. მეც ვდუმდი.

— მამა როგორღაა? — შემეკითხა.

— ნორმალურად.

— ლამლამობით სძინავს თუ ისევ ძილის წამალს სვამს?

— არ ვიცი, — გამოვტყდი მე.

— ნამდვილად ძილის წამალს სვამს, — თქვა მარამ. — ერთ დროს ძილი მოუწესრიგდა და დაივიწყა კიდეც ეს ეუნოქტინები და რადედორმები, მაგრამ ახლა ალბათ ისევ...

— ალბათ, — დავეთანხმე მე.

ძალიან არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, რადგან მარა მეცოდებოდა, მაგრამ მამა უფრო მებრალებოდა. და მერე, მართლაც, ვის უნდა სცოდნოდა, თუ არა მე, რომ იგი დიდხანს ვერ იძინებს, კითხულობს ან, უბრალოდ, ფიქრობს რაიმეზე და შუქი მის ოთახში თითქმის განთიადამდე ანთია.

— მინდა მოვიდე, — კვლავ დაიწყო მარამ. — კარგია, მალე არდადეგები გეწყებათ... ჰოდა, მეც მოვალ. მართლა, ხომ არ აპირებთ არდადეგებზე სადმე წასვლას?

— არა, — ვუბასუხე მე. — არსად.

ნუთუ არ ესმის, რომ ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვერ მივატოვებ ჩემს კაცებს? შარშან ყველაფერი წესრიგში იყო და არკაშკამაც ერთი კვირის ნაცვლად ზამთრის ბანაკში ორი დღე დაჰყო და გამოიქცა, ამ წელს კი არსად უნდოდა წასვლა. ჩვენც არ ვაიძულებთ, მეცა და მამაც.

— შეგეძლოთ სადმე წასულიყავით, მამასთან ვალია მოვიდოდა ხოლმე სადილის მოსამზადებლად, — თქვა მარამ.

— მე, სულერთია, არსად წავალ, — ვთქვი მე. — არკაშკაც...

— როგორც გინდათ, — თქვა მარამ. — მაშასადამე, ამ დღეებში მოვალ.

ის მოვიდა რამდენიმე დღის შემდეგ.

შამრაი, რომელიც თავის ჭილოფზე იწვა დერეფანში, უცებ გააფთრებულ იყენდა. კარი გავაღე თუ არა, შამრაიმ გამისწრო და მარას ეცა. და უცებ, უნდა დაგენახათ, — მკვეთრად მოტრიალდა და თავისი ჭილოფისკენ წალასლასდა.

— შენ რაო, შამრაი? — შევეკითხე, — რატომ არ ესალმები მარას?

ძალმა თვალები დახუჭა და ღრუნჩი თათებში ჩარგო. არც მეტი, არც ნაკლები, ნაწყენი ადამიანივით იყო, არც თავისი დამჩაგვრელის ნახვა უნდოდა, არც მასთან შეუტაცხყოფელი ლაპარაკი.

— თავი გაანებე, — მშვიდად თქვა მარამ. — როგორც ჩანს, შამრამ გადამეჩვია.

ხელში ტორტის დიდი მრგვალი კოლოფი ეჭირა, მაგიდაზე დასწრებულ მის წინაშე და მითხრა:

— ჯერ შენთან მინდოდა ლაპარაკი.

ცოტათი შეცვლილა. რაღაც ახალი იყო მასში, აქამდე უცნობი, ან იმიტომ ჩანდა ასე, რომ მოკლედ ჰქონდა შეჭრილი თმა, შუბლზე დაყრილი. გამახსენდა, უწინ მარამ არ უყვარდა შუბლზე დაყრილი თმა, ვულგარულიაო, ამბობდა, ტუჩებიც წითლად შეეღებოდა. როგორც ჩანს, ჩვენი მარამ, ახალგაზრდობს, გავიფიქრე მე, ქმარი რვა წლით პატარაა მასზე და არ უნდა, შეეტყოს...

შემრცხვა ჩემი ფიქრების, როგორ შეიძლება ასეთი რამის გაფიქრება ჩვენს მარამზე! მაგრამ აქ გონებაში თვითვე ვუბასუხე თავს: „ის კი შეიძლებოდა, თვითონ ასე მოგვექცეოდა?“

მარამ დივანზე ჩამოჯდა, ერთი ხელი მხრებზე მომხვია, მის თმას უცხოური შამპუნის მეტისმეტად ტკბილი სუნი ასდიოდა. ნაცნობი ზურმუხტისფერი ბლუზის საყუდლო ახალი გულქანდით დაეხნია, — ხუთი ვარდისფერი მარგალიტი ჩაესვათ აყურულ ვერცხლისფერ ჩარჩოში. „ეტყობა, ფიკუსის საჩუქარია“, — მივხვდი მე.

მან ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო. მეც ავდექი და საფერფლე მივაწოდე.

— სამსონი მიკრძალავს მოწევას, მაგრამ ამჯერად არ დავუჭერებ.

— როგორც გინდა, — ვთქვი მე.

მან თავი უკან გადასწია, თხელ კვამლს თვალი გააყოლა.

— ნუ გამიბრაზდები, ლიალია, არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი, დამიჯერე...

მე ვუბასუხე:

— არა, მე არა ვბრაზდები შენზე, სულაც არა.

— ჰოდა, ნუ გაბრაზდები... შენ უნდა გიხაროდეს ჩემ მაგიერ, ლიალიკო.

— რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, — შევეკამათე მე. — ტყუილა ნუ მთხოვ.

მან გაკვირვებით შემომხედა.

— რატომ, ლიალიკ!

— ნამდვილად არასრულწლოვანი ხარ, — ვთქვი მე, — მეკითხები კიდევ.

— რატომაც არა, — მან სიგარეტი დადო მუთაქაზე. — შენ ჩემი შეილი ხარ, ქვეყნად ყველაზე ახლობელი არსება, შენ უნდა გიხაროდეს, რომ მე კარგად ვარ.

— ახლა შენ სხვა გყავს ყველაზე ახლობელი! — პირქუშად შევნიშნე და მისი ნამწვი საფერფლეზე დავდე.

— მერე რა მოხდა! — მშვიდად შემეკითხა მარამ. — თქვენ ყველანი ძალიან ძვირფასი და ახლობელი ხართ ჩემთვის. შენც, არკაშვაც, მამაც, სამსონ გიორგის ძეც. ის ისეთი ენერგიული, ხალხის მოყვარულია. მას იმდენი მეგობარი ჰყავს! მე მიყვარს სამსონ გიორგის ძე, ხომ გესმის? ასე რომ არ ყოფილიყო, არც არასოდეს წავიდოდი აქედან.

— ფრთხილად იყავი, თვითონ სამსონ გიორგის ძე არ წავიდეს შენგან, — ვუთხარი მე.

ვგრძნობდი, ღრძოდ ველაპარაკებოდი, როგორც ჩანს, ჩემი სიტყვები გულსა ტკენდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ის კი ატირდა, უცებ მარა ხნიერი, — დაბნეული და გაქუცული მომეჩვენა და მივხვდი, შორს არაა ის წელი, როცა ფიქუსი მას ნამდვილად მიატოვებს, ზედ არც შეხედავს, ვითომც არც იცნობდა.

მაშინ კი გავქანდი მარასკენ, გულში ჩავიკარი, ვუკოცნიდი სველ თვალებს, ლოყებს, შუბლზე ჩამოშლილ მოკლე ხუჭუჭა თმას. მაგრად ჩავიკარი მარას უსუსური ტანი, ვისუნთქავდი მისი კანის ნაცნობ, ახლობელ სურნელს, ნორჩი ფოთლებივით ოდნავ მომწაროს. არ მახსოვს, რას ვეუბნებოდი, რალაც ამგვარს: „მაპატიე, არა, არ გინდა, ნუ ტირი...“

ის კი ტიროდა, ბავშვივით სლუკუნებდა, გული მეფლითებოდა სიბრალოლისა და უძლურებისგან, რითი უნდა მენუგეშებინა, არაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა, ვერაფრით ველარ დავეხმარებოდი...

მერე ცოტათი დამშვიდდა, ჩანთიდან საბუდრე ამოიღო, ლოყებსა და ცხვირზე მოიფრქვია პუდრი, ხელახლა შეიღება ტუჩები და კვლავ გახდა არამცთუ უცხო, არამედ ვილაც შორეული.

ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი თავი სარკეში და მკითხა:

— არკაშკამ იცის, რომ მოვიდოდი?

— იცის. — ვიცრუე მე.

— მაშასადამე, მალე მოვა.

— ვფიქრობ, კი.

წუთით წუთზე უნდა მოსულიყო, თუ, რა თქმა უნდა, არ წავა პიონერთა სასახლეში, სადაც ორ წელზე მეტია რადიოწრეში მეცადინეობს.

და აქ შესასვლელი კარის კლიტემ დაიჩხაკუნა. მე და მარამ გადავხედეთ ერთმანეთს. მარამ რატომღაც ჩურჩულით წარმოთქვა:

— ისაა.

ღიახ, ნამდვილად ის იყო, უქუდოდ, წელზე ქურთუკშემოხვეული.

— ჯოჯოხეთურად მინდა ჩახეთქვა, — მომაყარა სეტყვასავით არკაშკამ და უცებ სიტყვა პაერში გაეყინა, თითქოს რალაცას ფეხი წამოკრა.

მარა სწრაფად წამოხტა დივანიდან, არკაშკამ უკან დაიხია, მაგრამ მარამ ხელი სტაცა მხრებში, მიიზიდა. შორიდან შევცქეროდი, შორიდანვე ჩანს, რომ ეს დედა-შვილია. ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მე და მარას კი არც ერთი ნაკვთი არა გვაქვს საერთო, ბევრს უკვირდა კიდევ: „ნუთუ თქვენ დედა-შვილი ხართ?“

— არკაშკა, ჩემო ბიჭუნო... — მარამ გადაუწია შუბლიდან თმის კულული, რომელიც მისსავე თმის ფერსა ჰგავდა, ლოყით ლოყაზე მიეკრა. არკაშკა უძრავად იდგა, სადღაც განზე იმზირებოდა, მარა კი ხელს არ უშვებდა და სულ ჭიკჭიკებდა სწრაფად, ალერსიანად, სულისშემგუბველი სინაზით, თან, ეტყობა, ელოდა, არკაშკა რას ეტყოდა. არკაშკა კი ჭიუტად დუმდა.

— არკაშკა, გეყოფა მაიმუნობა, — ვთქვი მე.

არკაშკამ თვალი ჩემზე გადმოიტანა. მისი თვალები ბრაზიანი, ბოროტიც კი მომეჩვენა.

— მე არ ვმაიმ... — ამოღერდა მან.

— არკაშკა, — ნაზად განაგრძო მარამ. — შემომხედე, გემუღარები, ბიჭო.

არკაშკამ ჯერ მე შემომხედა, თითქოს ნებართვას მოხვდა, შევხედე თუ არა მარასთვის, მერე მარას შეხედა, და ლოყებზე ნელ-ნელა მოედო ვარდისფერი.

— შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ჭკვიანი, — მარას არკაშკას თვალებში ჩაეკრუნა. — უნდა გამიგო. მეც მინდა ცხოვრება, გრძნობამ გაიმარჯვა, ვერ შევებრძოლე, ამის გამო ვის შეუძლია გამამტყუნოს?

... ოდესღაც — ერთ ზამთარს — არკაშკა ჯერ საბავშვო ბაღში დადიოდა, რომ ავად გახდა, მამამ მოიყვანა, როგორც ყოველთვის, საბავშვო ბაღიდან და, მგონი, მე შევამჩნიე, როგორ უღვიოდა ბიჭს მკვრივი, თითქოს გაბერილი ლოყები, მე წამოვიყვირე: „მამი, შეხედე, რა წითელია“. მამამ შეხედა, ხელისგული ლოყაზე მიადო და მაშინვე შეეშინდა. „ის ხომ ცეცხლივით იწვის...“

გამოვარდა სამზარეულოდან მარა, შეხედა არკაშკას, ტაში შემოჰკრა: „ვადიკ, რა არის ეს?!“ „დამშვიდდი“, — უთხრა მამამ. მაგრამ მარა არ უსმენდა. „ვადიკ, ბიჭი კვდება, გემუღარები, შეხედე, ჩვენ თვალწინ კვდება...“ და აქ მამამ მკაცრად უბრძანა: „ახლავე გაჩუმდი!“ გამოგიტყდებით, გამიკვირდა, მარასადმი მუდამ კეთილმა და თავშეკავებულმა მამამ, აი, ასე უცებ როგორ შეუყვირა გულცივად და შეუბრალებლად.

მარა ატირდა. საერთოდ, მას შეეძლო ადვილად, უმნიშვნელო წვრილმანზეც კი ცრემლი ეღვარა, მაგრამ მამა, ვიცოდი, ვერ იტანდა მარას ცრემლებს. უმალ ეცა, ფრთხილად შეუმშრალა ცხვირსახოცი თვალები.

„კარგი, გეყოფა, მაპატიე, აღარ ვიზამ“, — ბუტბუტებდა მამა. მარა კი ტიროდა და უცებ არკაშკაც აქვითინდა. მე ტანსაცმელს ვხდიდი, ის კი უმატებდა და უმატებდა ღრიალს, მერე მამამ დააწვინა არკაშკა ლოგინში და მარას უბრძანა მის საწოლთან მჯდარიყო, ფეხი არ მოეცვალა, აქაოდა, არკაშკა არ აღგეს და ფეხშიშველამ იატაკზე არ იაროსო. თვითონ კი წავიდა ექიმის გამოსაძახებლად.

ჩვენ გვესმოდა დერეფნიდან მამის დახშული ხმა: „ჩვენი არკაშკა რაღაც ვერაა კარგად, — მერე მამა გაჩუმდა და კვლავ ალაპარაკდა: — არა, სიცხე ჯერ არ გაგვისინჯავს, მაგრამ გახურებული უთოსავითაა...“

მარამ შიშით შემომხედა და გაიმეორა: „უთოსავით...“ და კვლავ ატირდა. არკაშკაც მთელი ხმით აღრიალდა.

რატომაა, რომ ეს ყველაფერი, უკვე წარსულად ქცეული, მოულოდნელად კვლავ ამოტივტივდა ჩემს თავში. რატომ დავინახე გონებაში მამა კვლავ არკაშკას საწოლთან? რატომ მომესმა შორეთიდან მარას მოსლუკუნე, შეშინებული ხმა?..

არკაშკამ აუჩქარებლად გაინთავისუფლა ხელები მარას ხელებიდან.

— დაჯექი, — უთხრა მარას.

მარაც მორჩილად ჩამოჯდა დივანზე, არკაშკა მაგიდასთან იდგა და ტუჩებს იკვნეტდა.

— ახლავე გასადილებ, — ვუთხარი არკაშკას.

— რას მაჭმევ? — მკითხა მან.

უცებ მარა ჩაგვეერთო საქმეში. წამოხტა:

— ბავშვებო, მე ხომ ტორტი მოგიტანეთ, სულ დამავიწყდა...

დერეფანში გავარდა და კვლავ დაბრუნდა ოთახში, გულზე ტორტის კოლოფახუტებული.

— აი, — ზარ-ზეიმით თქვა მარამ. — ესაა „მარტოხელა კურდღელი“...

— რა არის? — ვკითხე მე.

— ტორტია, — ამიხსნა მარამ. — „მარტოხელა კურდღელი“ ჰქვია. მე და სამსონი ლენინგრადში ვიყავით, მივლინებაში გააგზავნეს და სამსონს წამიყვანა. კაფე „ჩრდილოეთში“ ვიყიდე... იქ ისეთი ტორტებია!..

მე და არკაშკამ ვიცოდით, რომ მარა დიდი სუსნია ვინმე იყო, მაგრამ ახლა რატომღაც მომეჩვენა, რომ მარამ ლენინგრადი განგებ ახსენა, აქაოდა, გაგვაგებინა, ამდენხანს იმიტომ ვერ დაგირეკეთ, რომ აქ არ ვიყავი და არ გეწყინოთო.

არკაშკამ ჰკითხა:

— მან იმ კაფეში არ ჩააწერინა ხალხს, როგორ უნდა ტორტების ცხობა?

მარამ მხრები აიჩეჩა:

— ვინ მან? ვისზე ამბობ, არკაშკა?

— იმაზე, რა ჰქვია? სამსონზე, — ამოღერღა არკაშკამ.

მარამ ძალდატანებით გაიციინა:

— ჩემო ძვირფასო, განა სამსონს შეუძლია ყველა საკითხზე მისცეს რჩევა ვინმეს?

— მე კი მეგონა, შეუძლია, — გაჯიუტდა არკაშკა. — ასეთმა კეთილმა „მეგობარმა“ ყველაფერი იცის: როგორ გამოაცხოს, როგორ მოქსოვოს, და კიდევ რაღაცები...

თვალთ ვანიშნე, გაჩუმდი-მეთქი. მარამ მადლობის ნიშნად ხელი მომისვა ლოყაზე.

— ასე, ლიალიკ, მოდი, გახსენი ზონარი.

ასეც მოვიქეცი. კოლოფში დიდი შოკოლადის კურდღელს მელანქოლიურად გადაეგდო ცალი ყური გვერდზე და ორივე ხელით წითელი შაქრის სტაფილო ჩაებლუჯა.

— კარგია? — ჰკითხა მარამ.

— სიტყვები არა მყოფნის, — უპასუხა არკაშკამ და მე შემომხედა. უწინაც ასეთი იყო მარა. სახლში საჭმელი არ გვექონდა, პურის ნატეხიც კი, კარაქსა და ხორცზე რომ არაფერი ვთქვათ, ის კი ადგებოდა, წავიდოდა მალაზიაში და რამდენიმე კილო ნაღების პლომბირს მოიტანდა. „აბა, მოდიო, — გვეუბნებოდა, — ეციო...“

ჩვენც სამივენი ვსანსლაედით პლომბირს, სალამოს კი სამსახურიდან დაბრუნებულ მამას არაფერი ჰქონდა საჭმელად, მაშინ მე გავრბოდი ვასტრონომში „პელმენისა“ და კვერცხის საყიდლად.

და მაინც, ასე თუ ისე, კარგად ვცხოვრობდით, მეგობრულად, მხიარულად. თუ მე და არკაშკა ვჩხუბობდით, გვარიანად, რომ იტყვიან, მთელი სულითა და გულით, ასევე მოულოდნელად ვრიგდებოდით კიდევ.

— შენთან თხოვნა მაქვს, — უთხრა არკაშკამ მარას.

შევამჩნიე, რომ არკაშკა არანაირად არ მიმართავდა მარას.

— რა თხოვნა? — ცოცხლად გამოეპასუხა მარა.

— როცა დაგვირეკავ, ნუ ღუმხარ, პირდაპირ გვითხარი, რომ შენა ხარ.

— მე არა ვდუმვიარ, — მარამ წარბები მოჭმუხნა. — პატროსან სიტყვას გაძლევი, რომ ეს მე არა ვარ.

— შენა ხარ. — თქვა არკაშკამ. — მე ხომ ვიცი, რომ შენა ხარ!

მარა უცებ დანებდა:

— ჰო, მე ვარ. ვაშავებ რამეს? მე ხომ თქვენი ხმის გაგონებდა, მინდო მხლოდ: შენი, ლიალიასი და მამაშენის... გავიგონებ და მაშინვე ვმხარბობდი. დიახ, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სულიერი კომფორტი. დაჩვეული არ არის ვინმეზე ზრუნვას, მისთვის საკმარისია, რომ იცოდეს, ცოცხლები ვართ, ჯანმრთელები და, რომ იტყვიან, კარგადა ვართ, ოღონდ ჩვენზე არ იღარდოს: კარგადა ვართ, ე. ი. ისიც მშვიდადაა.

სამივენი დიდხანს ვდუმდით, ისე დიდხანს, რომ მე მივხვდი, კიდევ წამიც და ველარ ავიტან, ავხარხარდები ან ავღრიალდები, ან არკაშკას დავარტყამ, ან წამოვხტები და გავიქცევი ჯანდაბაში...

და იმავე წამს მარამ თქვა:

— მინდა მამამ ვაღია შეირთოს ცოლად.

— ვინ? — შეეკითხა არკაშკა.

— დეიდა ვაღია, ის კარგი ქალია, მამა უყვარს, დიდი ხანია უყვარს.

ეს ასეა, დეიდა ვაღიას ალბათ აქამდე უყვარს ჩვენი მამა, მაგრამ მამას რომ არ უყვარს ის? ერთხელ დეიდა ვაღიამ თვითონა თქვა, მამათქვენს მის-ჯილივით აქვს, სიკვდილამდე უყვარდეს მარაო.

უჩუმრად გადავხედეთ მე და არკაშკამ ერთმანეთს. ალბათ არკაშკასაც ამ წუთას მარაზე უფროსად მიაჩნდა თავი.

— ჩემს ოთახში წავალ, — თქვა მან. — წიგნი მაქვს წასაკითხი. დილამდე უნდა მოვასწრო წაკითხვა, ჩემი კლასელები რიგში დგანან და ელოდებიან.

— რა წიგნია ასეთი? — ჰკითხა მარამ.

— ისა... რა ჰქვია?... — ენა დეიდა არკაშკას. — საერთოდ, ერთ მაძებარ-ზეა...

— წადი, — ნება დართო მარამ. — წადი, ძვირფასო, წაიკითხე შენს მაძებ-რებზე.

მარტო დავრჩით.

— ჩემი წასვლის დროა, — თქვა მარამ და საათს დახედა.

განგებ გულგრილად ვუთხარი:

— რასან დროა, ალბათ დროა.

მეგონა, მარას ვულზე მოხვდებოდა ჩემი კილო, ცოტათი მაინც ააღელვე-ბდა, დაანაღვლიანებდა, მაგრამ არა, ის მშვიდად წამოდგა, ჩანთიდან სავარცხე-ლი ამოიღო და თმაზე გადაისვა. თვალს არ ვაცილებდი. ნუთუ მისთვის ყველა-ფერი უცხო გახდა? თუნდაც აგერ ეს ნივთები, რომლებიც დიდხანს გარს ეხ-ვია? ეს ჩვენ ერთად ვიყიდეთ უნივერსიტეტში. სკამებს ტილოს შალითები ეფა-რა. ეს ტილო ბიძამ — მამის ძმამ გამოგვიგზავნა ივანოვოდან. ხოლო ფანჯრებ-შუა ეკიდა ესტამპი — ლურჯი დოქი წითელ სუფრაზე. ეს მარას არკაშკამ აჩ-უქა დაბადების დღეზე ორი წლის წინ. ჩეხური ფაიფურის ქალი, მაგიდის ზე-მთი რომ ეკიდა, მამამ იყიდა თავისი ყოველწლიური პრემიით. აიღო თუ არა პრემია, ინსტიტუტიდან პირდაპირ მაღაზია „სინათლეში“ შეიარა და იყიდა.

მარამ თქვა:

— ამ დღეებში დაგირეკავთ.

— კარგი, — დავეთანხმე მე.

— მამას მოკითხვა გადაეცი, — დაუმატა მარამ.

— გადავცემ.

მან ლოყაზე მაკოცა. თვალები უბრწყინაუდა, ლოყები ნაწკარღისფრად უღვიოდა. წელანდელი ცრემლის კვალიც აღარ დარჩენოდა.

„მართლაც პატარა ხარ“, — გავიფიქრე, როცა დავიხანძრე, როგორ იცვამდა პალტოს. სარჩული დახეული ჰქონდა და მკლავს ვერ უყრიდა სახელოში. მივეშველე პალტოს ჩაცმაში.

— არკაშ, — დაუძახა მარამ წინკარიდან — მოდი აქ, მივდივარ. არკაშკამ არ უბასუნა.

— იქნებ დაეძინა? — მარამ ჩუმად გააღო კარი და შეიხედა ოთახში. არკაშკა კედლისაკენ სახეშიბრუნებული იწვა. მის ფერხთით მყუდროდ მოეკალათა შამრაის. მარა რომ დაინახა, შამრაიმ ცალი თვალი გაახილა და ისევ დახუჭა. არკაშკა არც განძრეულა. თვალი შევავლე ძმის ოდნავ წამოზრდილ თმას კეფაზე და მივხვდი: არ ეძინა, თვალთმაქცობდა.

— არ გავაღვიძებ, — წაიჩურჩულა მარამ და ჩუმად გამოიხურა კარი. — ეძინოს, იღლება სკოლაში, — ღიმილით თავი დამიქნია, — დროეშით, ღიალიკ, მომავალ შეხვედრამდე...

ველოდი, მკითხავდა, შენ და არკაშკა თუ მოხვალთ ჩემთანო, მაგრამ არ მკითხა, ალბათ დეიდა ვალიამ უთხრა: „ნუ სთხოვ, გესტუმრონ, სულერთია, არ მოვლენ“.

სართულზე ლიფტი აფუგუნდა, კარი გაჯახუნდა. აი ლიფტი ქვევით დაეშვა, გაჩერდა.

ფანჯრიდან დავინახე: მარა გადავიდა მოპირდაპირე ტროტუარზე.

ვიღაც დაღვა ჩემ გვერდით, — არკაშკა იყო, მის გვერდით კი — შამრაი. ძაღლმა ოდნავ მიბიძგა, თათები ფანჯრის რაფაზე დააღაგა და ისიც მიაჩერდა ქუჩას. შამრაის მართლაც რომ ძაღლის ჩაფიქრებული თვალები ჰქონდა, რადიოს ამოცნობას ცდილობდა. ვინმეს რომ შემოეხედა ჩვენთვის ქუჩიდან, ალბათ სამთავე სასაცილოდ გამოვიყურებოდით.

კარგა ხნის შეჩვეული ვიყავით — ფანჯარასთან მდგომებს გაგვეცილებინა მამა და მარა, როცა ისინი ჩვენზე აღრე მიდიოდნენ სამსახურებში და ისინიც ჩვეულებისამებრ ჩვენკენ მოტრიალდებოდნენ ხოლმე, ხელს დაგვიქნევდნენ, ჩვენც საპასუხოდ ხელს ვუქნევდით. ეს იყო ჩვენი ძველი რიტუალი.

ერთ რამეზე ვფიქრობდით მე და არკაშკა: მოტრიალდუნა თუ არა მარა? მიხვდება თუ არა, რომ ვდგავართ და მის ვზას გავცქერით? აი ისე, როგორც უწინ? ან იქნებ სულაც აღარ ვახსოვართ, თავის სახლში მიეჩქარება? ამავე წამს მძიმედ მიმავალი უზარმაზარი მისაბმელიანი მანქანა ჩამოგვეფარა. როცა ჩაიარა, მარა აღარ ჩანდა, ასე რომ. ვერ გავიგეთ, მოტრიალდა თუ არა მარა.



მიხაილ ლერმონტოვი

პოეტი

ჩემი ხანჯალი კრთის მზის სხივზე,
 ოქროს ვარაუით,
 პირბასრი, მტკიცე,
 ქვაზე ნალესი,
 სანდო, გამტანი...
 ეგი თვალით არ დასანახი.
 ნაწრობი ომში...
 აღმოსავლეთით.
 მთებშიც მრავალ წელს ემსახურა
 მამაც მეომარს,
 არ უთხოვია ქება არასდროს.
 ბასრმა ფოლადმა მრავალ ვერაგს ანანა
 მტრობა,
 მისგან მის პატრონს წყენა არ ახსოვს.
 იყო მიმნდობი და ერთგული ჭირსა და
 ლხინში,
 მტრისთვის ავი და ცივი, პირქუში
 და იქნებოდა იმ წუთებში ოქროს
 ზარნიში
 მისთვის სასირცხო,
 ზედმეტი, ფუჭი.
 კახაკმა იგი თერგის იქით,
 ტიალ მინდორზე
 მოკლულ ვაჟკაცის
 მახლობლად ჰპოვა.
 და შემდეგ იგი დიდხანს ეგდო, ბედად
 ეული.
 სომხის დუქანში ვით ჩუმი გლოვა,
 იმ დღიდან ხანჯალს ცივ ქარქაშში
 დუმილი ზარავს,
 ვაჟკაცს არ ახლავს ბრძოლების გზაზე.
 კედელს ჰკიდია ფიქრწასული და
 მტვერი ფარავს,
 ცივს და ბნელ ოთახს დუმილით ავსებს,
 მასთან არასდროს არ მიდიან

და ალერსს ნაჩვევს
 არ ეხებიან, ნაზი ჩურჩულით
 არ კითხულობენ მის მოვერცხლილ
 ტარზე წარწერას
 და ვერ უგებენ მის უთქმელ სურვილს.
 ოი, პოეტო!
 ამ უღარდელ საუკუნეში
 რად მიივიწყე ამა ქვეყნის გზა
 და ოქროს ნიჭი ანაცვალე,
 რაიც ქვეყანას
 მიაჩნდა დაჭრილ გულის იმედად...
 იყო დრო, როცა შენი სიტყვა ვაჟკაცთა
 გულებს
 მოუწოდებდა, ამშვიდებდა,
 უჩენდა წყლულებს
 და თასი იყო ჭირში თუ ლხინში.
 შენი ლექსი კი ბობოქარი
 ერუანტლის მგვრელი
 ბრბოს აღაგზნებდა,
 უჩენდა იმედს
 და სტრიქონები ელვის დარი,
 მწყობრი და მწველი
 ქექდა ვით „ვმჩმს“ ზარები მძიმე,
 მაგრამ, ვაი, რომ ჩვენ მოგვებზრდა
 სიტყვა ძლიერი, გვალხენს სიყალბე
 და... ცბიერება,
 ძველი ცხოვრება ვით კეკლუცი ქალი
 ხნიერი
 იღებავს სახეს და ბანგით თერება
 პოეტო, ჩვენგან განკიცხულო,
 დაძლევ ძილს მტანჯველს
 თუ შურის მდომი,
 დიდებულს ახლაც
 ვეღარ ამოგლეჯ ქარქაშიდან მსუბუქად,
 მარჯვედ
 ჟანგმოკიდებულს და მტვრიან ხანჯალს?

აშრა

ფრიალებს თეთრი აფრა ეული,
ფარფატა ნისლში ამოვლებული,
შორეულ ზღვებში, ნეტავ, რას
ნატრობს,
ან რას დაეძებს იქ მარტოდმარტო?!
ხმაურობს ტალღა
და ავობს ქარი,
ჭრიალებს ანძა წვიმით ნაბანი.

სიმშვიდეს იგი არ ბოხნავს,
არა
და არც სტიქიის გაფრთხილებას,
ლაყვარდი ჭავლეტიჩის ქვემოთ,
მზე ცაში კენკავს ღრუბლის შავ
ჩეროს...
აფრა გრიგალთან აპირებს შებმის,
თითქოს გრიგალში ხედავდეს შვებას.

1832 წ.

თეოდორ ტიუტავევი

SILENTIUM

იყავ ჩუმი და არ ვასთქვა, არა,
გულის წადილი, ...
ფიქრები ენით.
სულის სიღრმეში დარჩეს სათქმელი,
ზოგჯერ სათქმელსაც დუმილი შვენის.
ვახედვ ვარსკვლავთ და დასტკბი
ცქერით,
ზეცას შეერწყოს დუმილი შენი.
როგორ გამოთქვას გულმა წადილი,
სხვამ ვით გაიგოს წადილი სხვისი?
გაუგებს კია სხვა სხვის ცრემლს,
ქვითინს?
აზრი როს ყალბობს,
სიტყვაც სხვას იტყვის!

ნუ ამღვრევ წყარავს, !
სძლიე ცრუ სურვილს,
დაეწაფე და...
იყავი ჩუმი,
შენ უნდა შენში იცხოვრო მარტომ,
სულის საუფლო არ უნდა დათმო,
რადგან ის არის ნაღდი და სანდო.
იცოდე, მასაც ხმაური აფრთხობს —
და როს გაფანტავს ბნელს შუქით
მოვარე,
მიენდე მას და...
იყავ მღუმარე.

ალექო კონსტანტინოვი

ბაი განიუ



ბულგარულიდან

თარგმნა რევაზ ორაგონიძემ

ბულგარელი მწერლის ალექო კონსტანტინოვის (1863-1897) სატირული ნოველების კრებული „ბაი განიუ, დაუჯერებელი მოთხრობები ერთ თანამედროვე ბულგარულ კაცზე“ — დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მხოლოდ ბულგარეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მწერალმა ოსტატურად დაბატა ცრუპატრიოტის ნიღაბს ამოფარებული გაქნილი საქმოსნის უპრინციპო პოლიტიკანისა და გაიძვერა კაცის ამორალური სახე. ასევე ოსტატურად გადმოგვცა მან გასული საუკუნის 90-იანი წლების ბულგარეთის ისტორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი მწერლის გონებამახვილობამ, პირუთენელობამ, მოქალაქეობრივმა სიქველემ და მშრომელი ხალხისადმი ერთგულებამ მის უსაზღვრო სიყვარული და გავლენა მოუპოვა ხალხში, რაც სულაც არ აძლევდა ხელს მწერლის პოლიტიკურ მტრებს. ბევრმა ხომ საკუთარი თავი შეიცნო და დაინაბა ბაი განიუსა და მის დამჭაშთა სახეებში! შედეგმაც არ დააგვიანა: 34 წლის მწერალი დაჭირავებულმა მკვლელმა გამოასაღმა სიცოცხლეს.

ა. კონსტანტინოვის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა თავი მოუყარეს ბაი განიუზე დაწერილ ნოველებს და წინამდებარე წიგნის სახით დაუტოვეს შთამომავლობას.

„ბაი განიუ“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

მთარგმნელისაგან

ბაი განიუ მოგზაურობს ევროპაში

მოხადეს ბაი განიუს მხრებიდან აგარიანული ნაბადი, წამოასხეს ბელგიური მანტია და ახლა ყველამ ირწმუნა ის ევროპელად.

მოდით, რიგრიგობით მოვყვით რაიმე ბაი განიუზე.

— აბა ჰე! — წამოიძახა ყველამ.

— მე მოგიყვებით...

— დაიცა, მე მეტი ვიცი.

— არა, მე, შენ არაფერიც არ იცი.

იტყდა დავა, ბოლოს მორიგდნენ, პირველად სტატის ეთქვა და მანაც დაიწყო.

1. ბაი განიუ მოგზაურობს

ჩვენი მატარებელი პეშტის ვაგზლის უზარმაზარ თალქვეშ შეგრიალდა. მე ბაი განიუსთან ერთად ბუფეტისკენ გავწიე, რაკი ვიცოდი, მატარებლის გასვლამდე მთელი საათი მომიწევდა ლოდინი, მშვიდად მივუჯექი მაგიდას და საუბრე და ლუდი შევეუკვეთე. ირგვლივ ხალხი ირევა, მერე რა სასიამოვნო ხალხი!

უნგრელი მამაკაცების ცქერა, მართალი გითხრათ, არც ისე მებრუნებოდა, ქალებისა კი... ამ საყოველთაო ფუსფუსში ველარ შევნიშნე, როგორ აორთქლდა რესტორანიდან ბაი განიუ თავის ხურჩინიანად. სად გაქრა? ცარიელი ტოლჩა იქვე დაეტოვებინა. მივიხედ-მოვიხედე, მოვათვალიერე მთელი რესტორანი... სულ ტყუილად! გამოვედი ბაქანზე, მივიხედ-მოვიხედე... გაქვთ?! სასწაულია პირდაპირ! ეგება ვაგონში შებრუნდა თავისი... დასასხედად — არავინ მომპაროათ.

დავბრუნდი რესტორანში. მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა, ვწრუპავ ლუდს. თვალები აცაბაცა გამირბის. პორტიე ყოველ ხუთ წუთში რეკავს ზაის და გულგრილად, ზანტი ხმით აცხადებს, რომელი მიმართულებით გადიან მატარებლები: „ხო-გიოშ-ფიო-კიო-ტიო-ხე-გი, კიშ-კიო-რიოში, სე-გე-დინი, სე-გე დინი, უი-ვე-დე-კი.“

რამდენიმე ინგლისელი ტურისტი პირში მისჩერებია პორტიეს. ის კი, მისი მალლამელერი მეტყველებისადმი ყურადღებას ჩვეული, იღრიჭება და უღრიალა ხმით განაგრძობს: „უი-ვე-დეკი, კიშ-კიო-რიოში, ხიო-გიოშ-ფიო, კიო-ტიო-ხე-გი“, თან ყოველ მარცვალზე განსაკუთრებულ მახვილს სვამს.

ჩვენი მატარებლის გასვლას ათი წუთიღა უკლია. გადავიხადე ჩემი და ბაი განიუს საუზმის დანახარჯი. გამოვედი ისევ ბაქანზე იმ განზრახვით, რომ სადმე დამელანდა იგი. სწორედ ამ დროს სადგურის თაღქვეშ რომელიღაც მატარებელი ნელა შემოსრიალდა და, ერთი ვაგონის სარკმელში ნახევარი ტანით გადმოხრილი ეს თქვენი მოწონებული ბაი განიუ არ დავინახე! მანაც თვალი მომკრა. ქული დ-პიქნია და შორიდან რალაცას მომძახოდა, მაგრამ ორთქლმავლის შიშინ-სტვენაში ვერაფერი გავარჩიე, თუმცა მივხვდი, რაც მოხდა. მატარებელი რომ გაჩერდა, გადმოხტა. მოირბინა ჩემთან და მრავალსართულიანი გინებით, რასაც თქვენი ნებართვით აქ არ გავიმეორებ, შემდეგი მ. უწყა:

- ეპ, ძმობილო, რა დათხილი მივრბოდი!
- სად მივრბოდი, ბაი განიუ?
- როგორ... უ სად? შენ ხომ რესტორანში ჩავთვლიმა?
- რა მერე?

— რაღა, იმ დროს იქ, კართან მდგარმა ძიაკაცმა უცებ ზარს შემოჰკრა. გავიგონე, როგორ დაუსტვინა ორთქლმავალმა. გავექანე. ველარ მოვასწარი შენი გაფრთხილება. მატარებელი დაიძრა. ღმერთო, ჩემი ნოხი! გამოვეკიდე. მივდეგ გამწარებული. მოკლედ, ვიღუბები, უცებ ვხედავ, მატარებელმა უკლო სიჩქარეს. პოდა, მეც ვაგონში ვდურთე თავი... ვიღაც ამიყვირდა — ესაო, ესაო. — მაგრამ ხო იცი, მე ხუმრობა არ მიყვარს. ერთი მაგრად დავუბრიალე თვალები და ნოხი დავინახე. მიმიხვდა ყმაწვილი, გაიცინა კიდევ. აბა, ვინ იფიქრებდა, მატარებელს უკან დააბრუნებდნენ, უნგრელების ამბავი არ იცი?!

მე. ცოდვილს, გულიანად მეცინებოდა ბაი განიუს თავგადასავალზე. საწყალი! მატარებელი სხვა ხაზზე გადაეყვანათ და მანევრირებდა. ის უბედური ბაი განიუ კი ნ ზის დაკარგვის შიშით მთელი სამი კილომეტრი ფეხდაფეხ მისდევდა მატარებელს.

- მაგრამ ამ ფაციფუცში ლუდის საფასურის გადახდა რომ დაგავიწყდა?
- დიდი ამბ კი! ვითომ იმათ ჯერ არ გავუღლეტივართ! — მოუთმენლად შემეპასუხა ბაი განიუ.
- მე გადავიხადე შენ მაგივრად.
- ფული კ ბეში არ გეტევა და, რა მოხდა, თუ გადაიხადე წამოდი, წამოდი. თორე ისევ გვაასკინკილებენ. — მარტყებს ბაი განიუ.

შევედით ვაგონში. ბაი განიუ ჩემგან ზურგშექცევით თავის ხურჯინთან ჩაცუცქდა. ამოიღო ნახევარი გუდის ყველი, თხლად ჩამოთალა. მოიტეხა პურის მოზრდილი ყუა და ორივე ყბით მაღიანად გაუსვა. დროდადრო ხმელთა ლუკმის გადასაყლაპად კისერს ყინჩავდა, ბოლოს წყალი დააყოლა, ერთი-ორჯერ დააბოყინა, ნამცეცები ხელისგულზე დაიბერტყა და პირში გადაუქაბა.

— ეპ, ერთი კიქა ღვინო მაინც მოეწოდებინა ვინმეს, — წაიღუდუნა ცხვირში, მერე ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა, გულკეთილად გამიღიმა და თბილი მხერა შემომადრქვია, ასე იჯდა რამდენიმე წუთს, მერმე მკითხა:

— თუ გიმოგზაურია ჯოდისმე, პატივცემულო, ქვეყნის გარშემო?

— კი, საკმაოდ მიმოგზაურია, ბაი განიუ.

— იი, მე კი თითქმის მთელი ქვეყანა მომივლია. ც... ც... ც... ერდენსა და ცარგრადზე არაფერს ვიტყვი, მართო რუშინეთი აილე. გჯერა ჩემი? გიურგევო, ტრუნუ მაგურელი, პლოვში, პიტეში, ბრაილა, ბუკარეში, გალაცი, მოიცა, ტყუილი არ გამომივიდეს, ვიყავი გალაცში? ერთი სიტყვით, ყველგან ვარ ნამყოფი.

ვენამდე უდავადარაბოდ ჩავალწიეთ. თან წამოღებული ერთ-ერთი წიგნი შევთავაზე ბაი განიუს. ზრდილობიანად იუარა, განმიმარტა, ერთ დროს ბევრს ვკითხულობდიო, და ამჯობინა, ჩაეთვლიმა. — რატომ ვიჯდე ტყუილუბრად თვალეზღაყეტილი, რკინიგზისთვის ფული გადამიხდია, ერთი გემოზე მაინც გამოვიძინებო, და დაიძინა. დაიძინა და ისეთი ბრდღვინვა ამოუშვა, ზედგამოჭრილი აფრიკის ლომი გეგონებოდათ.

ვენაში, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო „ლონდონში“ დავბინავდით. მსახურებმა ეტლიდან გადმოიღეს ჩემი ჩემოდანი. მათ ბაი განიუს ხურჯინის გადმოღებაც დააპირეს, მაგრამ მან, შესაძლოა, დელიკატურობის, ანდა ვინ იცის, რა მიზეზით, არ დაანუბა.

— ეგ როგორ იქნება, ძმობილო? მაგაში ხომ ვარდია. ეხუმრები? იცი, რა სუნი აქვს? ერთიც ვნახოთ, რომელიმემ შუშის აწიპვნა გაივლო გულში. მერე წალი და ებებე. ვიცნობ მაგათ. იმას კი ნუ უყურებ, ასეთი შაამებღები რომ არიან (ბაი განიუს უნდოდა ეთქვა, თავაწიანებო, მაგრამ ეს სიტყვა ჩვენს ლექსიკონში სულ ახალი შემოსული იყო და პაიპარად ხომ არ მოუვიდოდა ეს სიტყვა თავში). ნურც იმას უყურებ, თავს რომ გეველებიან, ვითომ შენი სიკეთის მეტი არაფერი უნდოდეთ. აინ, ცვაი, გუტ მორგინ — სულ იმის ცდაში კი არიან, რაიმე აგაღლიტონ, ანდა მოგატყუონ. ამიტომაც ვცდილობ ყოველთვის, უჩუმრად გავიპარო სასტუმროდან. მათხოვრები! იმას კრაიცერი, ამას კრაიცერი, აღარ გაათავებენ!

ბაი განიუს წამოღებული ვარდის ზეთი მართლაც ძალზე ძვირფასი საქონელი იყო და ვურჩიე, შესანახ საკანში ჩაებარებინა.

— საკანში?! — შეიცხადა ბაი განიუმ. მის ხმაში სიბრაღული გამოსკვირდა ჩემი გულუბრყვილობის გამო. — საკვირველი ხალხი ხართ სწავლულები! რა იცი, ვინა ზის იმ შენს საკანში? წასკდებათ ხელი ზეთზე და რაღა ვქნა მერმე? არა, არ ივარგებს. ზედაე ამ ქამარს, — აქ ბაი განიუმ ფართო პიჯაკი აიწია, — ყველა ფლაკონს ქამარში ჩავიტხევ, დამამძიმებს, მარა მშვიდად ვიქნები.

ბაი განიუმ ზურგი შემექცია „ათასი ჯურის ხალხი დაყიალობს ქვეყანაზე, ვინ იცის, რა ჩიტია ეს ყმაწვილი?..“ და ქამარში ფლაკონები ჩაიტენა. მე სადილზე შევეპატივე.

— სად ვისადილოთ?

— ქვემოთ, რესტორანში.

— მადლობა, არ მინდა, შენ წადი, ჰამე, მე აქ დაგელოდები.

დარწმუნებული ვიყავი, მარტო რომ დარჩებოდა, ბაი განიუ მაშინვე მოხსნიდა ხურჩინს თავს: თუ კაცი საგზლის თადარიგს წინასწარ დაიჭერს, ცხელ კერძში რაღად უნდა გაანიავოს ფული, უიმისოდ ჯერ არავინ მომკვდება.

ბაი განიუ ერთი ბულგარელი ვაჭრის კანტორაში წავიყვანე, თავად კოტრამედიში ჩავჯექი და შენბრუნისაკენ გავწიე. ავედი თაღზე, ვტკბებოდი ვენისა და მისი შემოგარენის მშვენიერებით, დავსერილობდი ხეივნებში, დავათვალიერე ზოოლოგიური ბაღი, მთელი საათი ვიქცევდი თავს მაიმუნის ცქერით. საღამო ხანს სასტუმროში დავბრუნდი. ბაი განიუ ოთახში დამხვდა. იგი შეეცადა, დაემალა ჩემთვის თავისი ნამოქმედარი, მაგრამ ვერ მოასწრო. შევამჩნიე, როგორ იკერებდა შიგნითა ჯიბეს უსახელოებო ზედასამოსზე. ამ გამოჩეკილ კაცს ევროპული კოსტიუმის ქვეშ ფილეტისმაგვარი ანტერია ეცვა. ნათქვამია, „ზამთარს ეკონკე, ზაფხულს ეკონტეო.“ ბაი განიუც ამ წესის მიმდევარი გახლდათ.

— რაღაცის ვალამბვა დამჭირდა, — ამოიღულულულა შემცბარმა...

— ჯიბეს იკერებ? ჩანს, ვარდის ზეთში ფული ბლომად მოგიხვეტავს, — გავეხუმრე მე.

— ვისა? მე? შენც ამბობ რა!.. რათ მინდა აქ ჯიბე. მაგის მეტი რა მაშავია, მაგრამ შიგ არაფერი ყრია. ჯიბე კი არა... სამოსი გამერღვა, და საკერებელი დავადე. შენ სადღა იყავი? სერილობდი, ალბათ, არა? ბარაქალა!

— შენ არ ყოფილხარ სასერილობდ? არ გინდა ვენა დაათვალიერო?

— ნეტა რა დათვალიერება უნდა. ქალაქი ქალაქია: ხალხი, სახლები, ყოველნაირი ფუფუნება. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან — გუტ მორგინ, — ყველა ფულსა გთხოვს. მაგაში ვაძლიო გერმანელებს ფული? ჩვენს შორისაც მოიძებნება მისი მსურველი.

II. ბაი განიუ ოთახში

მე დავიყოლიე ბაი განიუ, წამყოლოდა თეატრში და საღამოსთვის ბილეთები აგველო. უნდა წარმოედგინათ „Puppenlee“¹ და, აღარ მახსოვს, კიდევ რა. ჩავუარეთ ბერძნულ ყავახანას, შევუხვიეთ ბულგარელთა თავშესაყარ მენდელის საჩაიესაკენ და წმინდა სტეფანის ეკლესიის მიმართულებით გავუყვეით გზას. აქ, მოედანზე, ჩემს თანამგზავრს შევთავაზე, საშაქარლამოში შევსულიყავით. სულ არ მოველოდი, თუ ბაი განიუს გარეგნობაში დონ ეუანის ბუნება იმალებოდა. მაგრამ რანაირ სასწაულებს არა ჰქმნის ცივილიზაცია! უნდა მოგახსენოთ, იმხანად ვენაში ვსწავლობდი, ახლა კი, არდადეგების მერმე, უკან ვბრუნდებოდი და გზად გავიცანი ბაი განიუ. იმ საშაქარლამოში ხშირად დავდიოდი. კარგად ვიცნობდი მის მოღარეს, მხიარულ, ლამაზ, მაგრამ მკაცრ ქალიშვილს. ჰოდა წარმოიდგინეთ, ბატონებო: შევედით მე და ბაი განიუ საშაქარლამოში, მივედით ბუფეტთან, ქალიშვილი მხიარულად მომესალმა და მშვიდობით ჩამოსვლა მომილოცა. მეც ზრდილობიანი ხუმრობით გავეპასუხე და შევუდექი ნამცხვრის შერჩევას. უცებ გაისმა გულისწყრომით აღსავსე ყვირილი.

1. „თოჭინების ფერია“ (გერმ.).

— რა მოხდა, ბაი განიუ, ხომ არაფერი აკადრე ქალიშვილს? — შეშფოთებითა და გაჭავრებით შევძახე მე.

— არაფერი, ძმაო, ღმერთმანი, არაფერი. — შემკრთალი ხმით, აბნეულად მიპასუხა ბაი განიუმ.

ლამის ქკუიდან გადასულმა, მთლად აღეწილმა ქალიშვილმა ყვირილით ამიხსნა: ბაი განიუმ შეურაცხყო, ხელი მომიფათურა, მიჩქმიტა, აკრატუნებდაო. მერმე დააპირა, პოლიციელისათვის ეხმო.

სკანდალი!

— ახლავე მოშორდი აქაურობას, ბაი განიუ. პოლიციელმა თუ მოგისწრო, ცუდად წავივა საქმე. გასწი, მეც დაგეწევი. — ვუთხარი მოჩვენებითი ვულსწყრომით, სინამდვილეში კი ბაი განიუს ტრაგიკომიკური სახის შემყურეს კინალამ გამეცინა.

— ვინა ჰგონია მაგას თავი? — მამაცურად წარმოთქვა ბაი განიუმ და გასასვლელისკენ გაემართა. — ეგეც პატროსანი გამოჩნდა რაღა! ვიცი აქაური დედაკაცების ამბავი. მაგათ ოღონდ ქისა დაანახე და მაშინვე: გუტ მორგინ! ვინა ვგონივარ მაგას მე!..

იმდღევანდელ შთაბეჭდილებებს კიდევ ერთი პატარა ეპიზოდი დაერთო, რომლის გმირი ისევ ბაი განიუ გახლდათ. თეატრში, როგორც უკვე მოგახსენეთ, უნდა წარმოედგინათ ბალეტი „Puppenlee“. ჩვენ ადგილი პარტერში დავიკავეთ. მუქი კოსტიუმების ფონზე ბაი განიუს ბაცი-ნაცრისფერი კოსტიუმი მკვეთრად გამოირჩეოდა. აიხადა ფარდა, ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე, თვალის ყველამ ფანტასტიურ დეკორაციებს მიაპყრო. ვგრძნობ, ჩემგან ხელმარჯვნივ ბაი განიუ რაღაცას ფათურობს. ქშინავს, მაგრამ ახლა არ შემიძლია სცენას მოვწყვიტო თვალისიქ, მაგიური ჯახის მოქნევისას, სურათი სურათს სცვლის, ბალერინების გუნდები გამოჩნდებიან და ქრებიან. სცენა ხან მთლად ბნელითაა მოცული, ხანაც ერთფერად ან ნაირფერად — ფერიულადაა განათებული, აი, ბალერინების ჯგუფს ერთი მათგანი გამოეყო, სწრაფი, მოკლე ნაბიჯებით შემოიჭრა ავანსცენაზე, შეჩერდა, შეფრთხილდა და გაცურდა პარტერში, ფეხის წვერებზე შემდგარი. ამ დროს ჩემს ზურგს უკან ისტერიულმა ხარხარმა შესძრა პაერი, შემოვბრუნდი მხარმარცხნივ; ჩემს უკან მახლომნი ხარხარებენ და ერთმანეთს რაღაცაზე მიუთითებენ. მე რაღაც არასასიკეთო ვიგრძენი. მოვბრუნდი ბაი განიუსკენ... ღმერთო, რას ვხედავ! ბაი განიუს გაუხდია პიჯაკი, შეუხსნია ყილეტი, ეტყობა, ქამარში ჩატენილი ფლაკონები აწუხებდა, კაბელდინერი კი ორი თითით ეჭაჩება სახელოზე და სრულიად არაორაზროვნად ანიშნებს თავით, გარეთ გამობრძანდიო. ბაი განიუს კი დაუქვეტია თვალეები და ისიც ეესტით ეპასუხება: „ვითომ ძალიან შემაშინე, რაღა“.

სწორედ ამ ვაჟკაცურმა გამოხდომამ გამოიწვია ჩვენს უკან მჯდარი ერთი ახალგაზრდა ქალიშვილის ისტერიული ხარხარი, რომელსაც მთელი თეატრი აჰყვა. სანახაობაც ასეთი უნდა! და წარმოიდგინეთ, ბატონებო: სირცხვილისაგან აღმურწაკიდებულმა, თითქოს რაღაც ძალა მეწეოდა იქით, — ლოჟისაკენ გავიხვდე და თვალში მომხვდა ერთი ნაცნობი გერმანელი კაცი ოჯახითურთ. მათ თვალეებში გულწრფელი თანაგრძნობა ამოვიკითხე ჩემი საჩოთირო მდგომარეობის გამო.

ბაი განიუ კი ენერგიულად მეწევა მკლავზე.

— წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას. ეშმაკს წაუღია ეგ ურჩები... მალელონ, უჩვენებ მაგათ თამაშას.

— მოდიტ, ახლა მე მოგიყვებით ბაი განიუსთან ჩემს შეხვედრას, — თქვა სტოიჩომ.

— გვიამბე, — გამოვეხმაურეთ ჩვენც, რაკი ვიცოდით, რაკივე გმარჯვებოდა ასეთი კონფლიქტის მოყოლა.

— ეს ამბავიც გენაში მოხდა. ვზივარ ერთ დილას მენდელის ყავახანაში. მოვითხოვე ჩაი და დავიწყე ბულგარული გაზეთების გადათვალიერება. ჩავუჩქე ერთ სტატიას, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რანაირად შეიძლებოდა მოგვეხდინა კონსტიტუციის მაგრად შეფერობვა, ანდა ნაწილებად დაშლა, იმავდროულად კი უცვლელად დატოვება... კითხვით ისე გავერთე, ველარაფერს ვამჩნევდი, უცებ ვიღაცამ ყურში ხმამაღლა ჩამძახა: „ო-ო-ო დილა მშვიდობისა!.. — და ოფლიანი ხელი მარჯვენა მაჯაზე წამატანა. თვალი შევაღვლე ბექგანიერ, დაწვამალ, შავ-შავ, შავთვალა, გრუზათმიან, ულვაშებაგრებილ, ნიკაპგაუპარსავ ვიღაც ბატონს: თეთრი (ჩვენებურად თეთრი) უპალსტუხო პერანგი და ჩექმები ემოსა, წითელი ქამარი ორი-სამი თითის დაღებაზე მოუჩაიდა ჟილეტქვეშ, შავი შლაპა გვერდულად მოეგდო და ილლიაში ვარაჩანული ხელჯობი ამოეჩარა, ახალგაზრდა იყო, სულ დიდი — ოცდაათ წელს მისცემდით.

— მომიტევეთ, ბატონო, — ვუთხარი ოდნავი გაკვირვებით, — მე არა მაქვს პატივი თქვენთან ნაცნობობისა.

— როგორ? არ გიცნობი, ამბობ? რაო, ბულგარელი არა ხარ?

— კი, ბულგარელი ვარ.

— მერე?

— რა მერე.

— ადვილი, წავიდეთ, ვავიაროთ. აქ რას მჟავდები? მე ბაი განიუს მეძახიან!

— არადა, სულაც არ იყო საჭირო ეთქვა, რომ ის ბაი განიუ ბრძანდებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო განიუ, ახლა დაკავებული ვარ.

— თუ არა გცალია, ყავახანაში რასა ზიხარ?

მე არ ჩავთვალე საჭიროდ მისთვის ახსნა-განმარტება მიმეცა, მაგრამ აღარ მომეშვა და მომახალა კიდეც:

— ადე, აბანოში წამიყვანე. სად არის აქ აბანო?

ო-პო! აბანოში წაგიყვანო?! ლამის გავცოფდი, მაგრამ თავი შევიკავე, არა მარტო შევიკავე თავი, გამეცინა კიდეც. ჩანდა, ბაი განიუ მართლა საჭიროებდა აბანოს: მთლად მჟავე სუნად ყარდა. რას იზამ, რაც უნდა იყოს, თანამემამულეა, ხომ უნდა დაეხმარო კაცს. გადავწყვიტე მესარგებლა შემთხვევით და მეც მეზანავნა. ძალიან ცხელოდა. გავეშურეთ საზაფხულო დიდი აუზისაკენ, გზად თუ მნიშვნელოვანი რამ შეგვხვდებოდა, საჭიროდ მიმაჩნდა მეჩვენებინა ჩემი თანამგზავრისათვის და მიმეცა ახსნა-განმარტება. მაგრამ შევამჩნიე უხალისოდ მისმენდა და დროდადრო გულგრილად გამოუჩვენდა: „პო, ასეა“, ანდა „ვიცი“, ამით სურდა, ჩემთვის ეგრძნობინებინა, ნურც ეგრე უბრალოდ მიყურებო, თანაც სათქმელს სულ სხვა შეკითხვებით მაწყვეტინებდა, რომელთაც საქმესთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ვესაუბრები, მაგალითად, მოედანზე, მუზეუმებს შორის აღმართულ მარია-ტერეზას ქანდაკებაზე, ის კი სახელოზე მეჭაჩება და:

— შეხე ერთი იმას, ლურჯი ქვედატანი რომ აცვია, რანაირი ქალი უნდა იყოს შენი აზრით? მითხარი, როგორ ვამოიცნობთ ხოლმე, რომელია იმნაირი

და რომელი ამნაირი, ჰა? რამდენჯერ ჩავვარდნილვარ ამის გამო ხათაბალაში.

და ბაი განიუმ თავისი შეკითხვა ავაზაკური თვალის ჩაკვრით დააბოლოვა. როგორც იქნა, მივედით. ვული არ მისვენებდა რატომღაც. თითქოს წინასწარ ვგრძნობდი, რაღაც უნდა მომხდარიყო. ავიღეთ სალაროში ბილეთები. ბაი განიუმ სარკმელში შეყოფილი ორი თითით ანიშნა მოლარეს, ხურდა დაძვრულ ნო. მოლარეცაღ ღიმილით გაუწოდა. ბაი განიუ ქალს მიბნედილად დააშტერდა და ფულის გამორთმევისას თავისი გრძნობა მრავალმნიშვნელოვანი ჩახველებით გამოხატა. მოლარეს სიცილი წასკდა. მოხიბლულმა ბაი განიუმ მარჯვენა ჟღვამი აიპრიხა და თავი დაუკრა.

— ჩე ფრომოზა ეშ დომნეტა! აბა, სტოიჩო, ჰკითხე, რუმინული თუ ესმის. შტიი რუმუნეშტი? — ახლა თავად შეეკითხა იგი.

ამ დროს სხვა მყიდველი მოვიდა და ჩვენც ღარბაზისაკენ გავემართეთ. ღარბაზს წრიულად დერეფანი მიუყვება. მის გაყოლებაზე ფარდაჩამოფარებული გასახდელი კაბინებია, შუაში კი აუზი, რომელსაც ხის დაბალი მოაჯირი აქვს შემოვლებული. აუზს შიგნით პატარა კიბეები ჩასდევს. მე და განიუმ ორი მომიჯნავე კაბინა დავიკავეთ. მე სწრაფად გავიხადე და ჩავყვინთე ცივ აუზში, სადაც რამდენიმე გერმანელი ჰყუშპალაობდა და ხმაამოულებლივ, დინჯად იმართავენ კუნთებს. ბაი განიუ კარგა ხანს დაყოვნდა ფარდის ვიღმა, საიდანაც ქშენა და შუშისმაგვარი საგნების წკარუნი მოისმოდა. ბოლოს ფარდა გადაიწია და იგი მთელი ნატურით გამოჩნდა მკერდგაბანჯგვლული, წინდებისაგან მონახჭული წვივებითა და ხელში რაღაც შეკრულათი: ეს იყო ჰუჭყიან ხელსახოცში გამოკრული ძვირფასი ფლაკონები, რომელთა კაბინაში დატოვება შეეშინდა. „კაცმა არ იცის, მაგარია თუ არა კედლები“. მან თვალი გააყოლა კედელს — ეგება სადმე ეხიროს ბოხჩის ჩამოსაკიდებელი ლურსმანი; სადაც კედელია, იქ ლურსმანიც იქნებაო, და ასეთი სიტყვებით მომმართა:

— ტეტიები არიან ეს გერმანელები, კედელზე ლურსმნის მიქედება ვერ მოუფიქრებიათ და აქეთ გვეძახიან ტეტიებს.

რაკი საბოლოოდ დარწმუნდა გერმანელების უკულტურობაში, ბაი განიუმ ფრთხილად დადო ფლაკონებიანი ბოხჩა თავისი კაბინის შესასვლელთან, რომ ბანაობისას თვალი არ მოეშორებინა მისთვის.

— გამიგონე, ძმობილო, — კვლავ მომმართა მან, — ბანაობით იბანავე, მარა ფლაკონებზეც გეჭიროს თვალი. ნახე ახლა, როგორ გადაეხტე ოინბაზივით.

ამ სიტყვებით ბაი განიუმ ასწია ცალი ფეხი, ააბიჯა, აუზის მოაჯირზე, მერმე მეორე ფეხიც შედგა, გაიმართა, გადაისახა პირჯვარი, ერთი კი დაიძახა: ღმერთო, შენ მიშველეო, და ბუხ! გადაეშვა შუა აუზში.

ავარდნილი წყლის შადრევნები თავზე გადაედვართათ გაკვირვებისაგან გაოგნებულ გერმანელებს. წრიული ტალღები აუზის შუაგულიდან ნაპირისკენ გაქანდა, მერმე უკან მოაწყდა და როცა წყალი დაწყნარდა და დაიწმინდა, ყველამ დაინახა, როგორ სასაცილოდ მოძრაობდა ბაი განიუ წყალქვეშ. ამოყვინთა, ფეხებით დაეყრდნო ფსკერს, გასწორდა, თითებით დაიკო თვალეები და ყურები, ჩამოიბერტყა წვეთები, ჩამოიწმინდა ჩამოფოცხილი უღვაშები — უპ! — ჩამოიწურა წყალი თმიდან, სახიდან, შემომხედა და გადაიხარხარა.

— ხა-ხა-ხა-ხა! ჰა, რას იტყვი?

მე ვერ მოვასწარი საბასუხოდ რაიმე მეთქვა, რადგან ისევ გაწვა წყალზე დაიწყო მის ზედაპირზე ხელების დგაფენი, „მატროსულად“ ცურვა: დაადგა-

1. რ. მკუხეზაძის ხ. რთ. (რუმინ.).

2. რუმინ. რუმუნეშტი. (რუმინ.).

ფუნებდა ხელს, მერე ორჯერ დაჰკრავდა ფეხებს წყალს. ასე გაიმეორა რამდენჯერმე და აბობოქრდა აუზი. თითქოს ჩანჩქერის ქვეშ მოვყევით, ტალღები შეეჯახა აუზის ნაპირს, დაიშხეფა კედლები.

— აი, ამას ჰქვია „მატროსული“, — საზეიმო ხმით წამოიძახა ბაი განიუმ, — დაიცა, ახლავე ვუჩვენებ მაგათ „ვამპორს“¹. მაგათ ვუჩვენებ!

ბაი განიუ გაწვა ზურგზე და ისე უმოწყალოდ სცემდა ფეხებს წყლის აქაფებულ ზედაპირზე, რომ მისმა შხეფებმა ჰერს უწია, მერმე გემის ბორბალივით დაატრიალა ხელები:

— ჩუხ-ჩუხ, ჩუხ-ჩუხ, ფიუ-უ-უ, — დაუსტვინა მან. გერმანელები გახედნენ. ეტყობა, ჩემი თანამგზავრი, საიდანღაც, აღმოსავლეთიდან ჩამოსულ შეშლილად მიიჩნიეს, რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრა. მათი სახეები იმდენად გულისწყრომას არ გამოხატავდნენ, რამდენადც სიბრალოულს. ხოლო როცა ბაი განიუმ მათ სახეებზე თავისი ოსტატობით გამოწვეული უსაზღვრო გაოცება ამოიკითხა, სწრაფად იიჭრა კიბეზე, გასწორდა წელში, ოდნავ გაჩაჩხა ფეხები, გერმანელებს ქედმაღლური მზერა ესროლა, გმირულად დაიბაგუნა ხელი ბანჯგვლიან მკერდზე და გამარჯვებული ხმით შესძახა:

— ბულგარელი ვარ, ბულგარელი! — და ხელი განმეორებით უფრო ძლიერად დაირტყა მკერდზე.

ამაყი ტონი, რომლითაც წარსდგა მათ წინაშე, მრავლისმეტყველი იყო. მასში იგულისხმებოდა: „ხედავთ, როგორია ბულგარელი? დიახ, დიახ, ასეთი გახლავთ! აქამდე მხოლოდ ყურმოკვრით იცნობდით სლივნიცელ გმირს, ბალკანელ გენიოსს! ის თქვენ წინაშეა, როგორიც არის სინამდვილეში, თავით ფეხამდე, ბუნებრივი სახით. ხედავთ, რანაირი სასწაულების მოხდენა შეუძლია მას? და განა მართო ეს? რაც გინდათ, მოსთხოვეთ! ბულგარელები ტეტიები, ბრიყვები არიანო! ეჰ, თქვე ურიებო, თქვენა.“

— ჰკითხე ერთი, საპონი თუ აქვთ, — მითხრა ბაი განიუმ, როცა მისი პატრიოტული აღტყინება ოდნავ დაეცხრა, — ნახე, რას დამგვანებია ჩემი წვივები.

მართლაც მისი ფეხები ვერ გამოდგებოდა აპოლონ ბელვედერელის ფეხის მოდელად. ბანჯგვლიან და ბინძურ წვივებზე წინდების ნახჭის კვალი აჩნდა. თუმცა ბულგარელს ჰუჭყით ვერ გააკვირვებ, იმაზე ჰუჭყიან რამეს ყველაზე თავაწყვეტილი ფანტაზიაც კი ვერ წარმოიდგენდა.

ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი თხრობა სტოიჩომ.

III. ბაი განიუ დრეზდენში

— მეც შემხვედრია ბაი განიუ დრეზდენში, — შენიშნა კოლიუმ, — გინდათ ვიამბოთ?

— რა საკითხავია, მოუყევი, — ერთსულოვნად სთხოვა ყველამ.

— არ ვიცი, გსმენიათ თუ არა, რამდენიმე წლის წინათ დრეზდენის საზოგადოება შესძრა ტრაგიკულმა უბედურმა შემთხვევამ, რომელმაც ბულგა-

¹ ვამპორი — გემი, იტალიური Vapore-დან. ბაი განიუს ეს სიტყვა შეცდომით გერმანული ჰგონია.

რელი ქალიშვილი და ამერიკელი ჭაბუკი შეიწირა. ორიოდ სიტყვით მოგაგონებთ ამ სამწუხარო ამბავს. მოგეხსენებათ, დრეზდენში მთელი კვარტალებია დასახლებული ინგლისელებით, ამერიკელებით, რუსებითა და სხვა ევროპელებით, რომელთა შვილები იქაურ სასწავლებელში სწავლობენ. ერთი გიმნაზიელი ამერიკელი ქალიშვილი ჩვენებურ ბულგარელ გოგონას დაუშვებოდა. გიმნაზიელ ინგლისელ და ამერიკელ ქალებს რაღაც კაპრიზის გამო სწავლით, მფარველობა გაუწიონ თანაკლასელთა შორის უმწეოთაგანს. ბულგარელი გოგონა მეტად მოკრძალებული, თავმდაბალი და მორიდებული ბუნების გახლდათ. ისინი დამეგობრდნენ და უქმე დღეებში ამერიკელს შინ დაჰყავდა ხოლმე. ბულგარელი გოგონა გაეცნო ოჯახის წევრებს, მათ შორის თავისი მეგობრის ძმას, ოცი წლის ჭაბუკს, რომელიც ფერწერით იყო გატაცებული. არ ვიცი, ახალგაზრდა მხატვრის გატაცება იყო მიზეზი ახალი, არაშაბლონური მოდელით თუ ამერიკელებისათვის ჩვეული ორიგინალობისადმი სიყვარული, ისე კი მოხდა, რომ ჩვენს მოკრძალებულ, მორცხვ ბულგარელ გოგონასთან რამდენიმეჯერ შეხვედრის მერმე, ეტყობა, ჭაბუკს მისდამი სწრაფვა დაეუფლა და შემთხვევას არ უშვებდა, გაეზიარებინა თავისი არტიტული შთაბეჭდილებანი, თანაც მოსიყვარულებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთმანეთი შეუყვარდათ და ეს სიყვარული მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთ უქმე დღეს, ზაფხულის არდადეგების დროს, მთელი ოჯახი, ბულგარელ გოგონასთან ერთად, საქსონიის, შვეიცარიის მთებში სასეირნოდ გაემგზავრა, თვალწარმტაც კლდოვან სანახებში მხატვარი და ბულგარელი გოგონა ისე გაიტაცა საუბარმა, რომ უნებლიეთ ჩამორჩნენ თავიანთ კომპანიას. ჭაბუკის ყურადღება ერთმა მაღალმა კლდემ მიიბყრო და ზედ აცოცდა. ქალიშვილმაც მას მიბაძა. ის იყო, სახიფათო კლდის შუაწელამდე მიაღწიეს, რომ ამერიკელს ფეხი დაუსხლტა, თავქვე გადმოეშვა და ქალიშვილიც თან გადმოიყოლა.

ორი უსულო გვამი დრეზდენს წაასვენეს, კლინიკაში. მთელი ქალაქი ააფორიაქა ამ სამწუხარო ამბავმა. მარმარილოს დიდ მაგიდაზე გვერდიგვერდ დასვენებულ მიცვალებულთა სანახავად აუარება ხალხი მოაწყდა. გამოიძახეს ტელეგრაფით ბულგარელი ქალიშვილის ძმა. სხვა არავინ ჰყოლია უახლოესი ნათესავი. გვამები დააბალზამეს, რომ შეენახათ მის ჩამოსვლამდე. ყვავილების უამრავი გვირგვინით შეამკეს გარდაცვლილთა სარეცელი. მესამე დღეს ვენიდან მოვიდა ტელეგრამა — გარდაცვლილის ძმა დრეზდენს გამოემგზავრა. ორივე ნეშტი ამერიკელის ოჯახში გადაასვენეს, სადაც დიდძალმა საბატო ხალხმა მოიყარა თავი და მოუთმენლად ელოდნენ ბულგარელი ქალიშვილის ჭირისუფლის ჩამოსვლას. ამერიკელის ოჯახი დრეზდენის უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნოდა. მეც წავედი იქ რამდენიმე სტუდენტის თანხლებით. მოგეხსენებათ, ჩვენ მიგვიწვიეს, როგორც გარდაცვლილის თანამემამულენი, ხოლო სხვა ჩვენიანები გარდაცვლილის ძმის დასახვედრად წავიდნენ სადგურში. ველოდებით. ჩამოწვა კაეშნიანი სამგლოვიარო მღუმარება. აპარტამენტები ხალხს ვერ იტევს. საუბრობენ ხმადაბლა, ჩურჩულით. სიჩუმეს ხანდახან დაღუბული ჭაბუკის დედის ქვითინი და ოხვრა არღვევს. უცებ ამ სამარისებური სიჩუმის ერთ ინტერვალში დერეფნიდან საშინელი ხმაური... ჩექმების უხეში ბრაგაბრუვი შემოიჭრა, თითქოს მის პატრონს დაჭედილი ცხენი შემოჰყვავო თან, მოისმა ხრინწიანი ხმა: „სად არი, აქაა ხომ“. — „სუ, ჩუმად!“ და სადაც მიცვალებულები ესვენა, ქუდმოუხდელად შემოვარდა ბაი განიუ.

— აქა მშვიდობა! — წამოიძახა ისეთი ტონითა და გამომეტყველებით,

რომ იმდენად სიმძიმის კი არა, უფრო აღშფოთებას გამოხატავდა, თითქოს ირგვლივ მყოფთ დანაშაული მიუძღოდათ მისი დის დალუბვაში.

ბაი განიუ მიუახლოვდა მიცვალებულთა სარეცელს და შემთხვევით ახალგაზრდა ამერიკელს სახიდან სუდარა გადახადა.

— ვინაა ეს? — იკითხა და გამძვინვარებული მომლოდინე მხარა ესროლა შეკრებილთ.

სირცხვილისაგან ალექსილი ერთი ბულგარელი სტუდენტი მიეახლა ბაი განიუს, ოდნავ შეახო ხელი სახელოზე და სუდარა გადახადა ბულგარელ ქალიშვილს. ბაი განიუმ ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაისახა და შუბლზე აკოცა დას.

— ახ, შე უბედურო! აი თურმე, რა ბედი გეწერა, მარიიკა, მარიიკა, — წამოიძახა და თავი გააქნია. როგორც გენებოთ, მაგრამ ეს თავის გაქნევაც იქ მყოფთა მიმართ მუქარასა ჰგავდა, ვიდრე მწუხარების გამოხატვას.

ექვით გადახედა თავის დის გვერდით დასვენებულ მიცვალებულს. უნდობლად შეაქანა აღმოსავლურ ყაიდაზე თავი და მარცხენა ხელის თითები, მერმე სტუდენტს მიუბრუნდა:

— ეს რა გიქნიათ? ეგ ვილაცა რას დაგიწვევნიათ აქა? კაცს რა უნდა პანსიონში?

— ს-ს-ს! გთხოვთ ბატონო განიუ, ხმადაბლა ილაპარაკოთ...

— რის ხმადაბლა! მე მათ ფულს ვუხდი. სად არის ქალბატონი დირექტორი?

— აქ პანსიონი კი არა, კერძო ბინაა, — უპასუხა შეცბუნებულმა სტუდენტმა.

— როგორ თუ კერძო?

— ს-ს-ს... თუ ღმერთი გწამთ, წყნარად! — გაუმეორა სახეზე აღმურავარდნილმა, ლამის ატირებულმა საბრალო სტუდენტმა.

გარდა იმისა, რომ ბაი განიუ თავხედურად იქცეოდა, რაც გარშემო მყოფთა წმინდა გრძნობების შებღალვასა და ბოროტ დაცინვასა ჰგავდა, ვერც მისი გარეგნობა იწვევდა ამერიკელთა და ინგლისელთა სიმპათიას, განსაკუთრებით მშვენიერთა სქესის მხრივ.

ბაი განიუს ნაცრისფერი შალის უხეში სამოსი და დამტვერილი, ქუჭყიანი ჩექმები ეცვა, ყელზე სამგლოვიარო მოსახვევი ეკეთა, რომლის ქვეშ საკინძეჩახსნილი, კარგა ხნის გაურეცხავი პერანგი მოუჩანდა, ხელში ჯოხი ეკავა, ილღიაში ყვითელ ქაღალდში გახვეული პაკეტი ამოეჩარა. უღვაშები უწინდებურად აგრეხილი, ხოლო ნიკაპი გაუპარსავ-გაბურძგვნილი ჰქონდა.

— ეს ბატონი mademoiselle Marie-ს ძმაა? — მომმართა კითხვით ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

— მე დავუდასტურე, თან დავურთე ბაი განიუს საქციელისა და გარეგნობის გამამართლებელი, ნაჩქარევად შეთხზული გამონაგონი: ვითომ, როცა ბაი განიუმ ტელეგრაფით სამწუხარო ცნობა მიიღო მამულში, მინდვრის სამუშაოებს ადგა თავს და ვილაში დაუბრუნებლივ (ბაი განიუ და ვილა!) პირდაპირ სადგურს მიაშურა. იქვე ისესხა ფული ნაცნობებისაგან, და დრეზდენში ისე ჩამოვიდა, არსად შეჩერებულა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს მისი საქციელი, მისატავებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ დის დაკარგვით გამოწვეულ მოულოდნელ ელდას, აგრეთვე მინდვრის სამუშაოებზე მოცდენასთან დაკავშირებულ აურაცხელ ზარალს, რადგან ახლა ალოობაა.

— საწყალი! — სინანულით ჩაილაპარაკა ჩემმა თანამოსაუბრემ და წა-

ვიდა, რომ ბაი განიუსადმი თავისი თანაგრძობა ოჯახის დანარჩენი წევრებისა და მეგობრებისათვის გაეზიარებინა.

ოდნავ მომეშვა გულზე, ბატონებო.

მაგრამ ძალზე ცოტა ხნით. ჩემმა თანამოსაუბრემ უკვე მოასწრო ჩემგან მიღებული ცნობების გადაცემა დამსწრეთა უმრავლესობისათვის და ბაი განიუს მანერებით გამოწვეული მათი გულისწყრომა დაცხრა. ახლა კეთილგანწყობილებით, თანაგრძობითაც შეპყურებდნენ მას: მოულოდნელი თავზარდამცემი ტელეგრამის მიღება, უეცარი გამგზავრება შორეულ გზაზე, აურაცხელი ზარალი — ეს ისეთი სიურპრიზები გახლდათ, რომ შეიძლებოდა კაცს თავგზა დაეკარგა. ამით ამართლებდნენ ბაი განიუს შეუწყნარებელ საქციელს. მაგრამ, ბატონებო, თავად განსაჯეთ, რით უნდა გაგვემართლებინა ბულგარელ სტუდენტებს მისი შემდგომი საქციელი? სტუდენტი, რომელიც ბაი განიუს ახლო ტრიალებდა, ხმადაბლა მოუყვა საქსონიის მთებში მომხდარი უბედურების ამბავს, რათა ოდნავ მაინც დაეცხრო მისი ალტყინებული გრძობები. ამ თხრობისას ბაი განიუს თავისა და ხელების მოძრაობით გამოხატავდა მღელვარე განცდებს, ხან ენას გააწყლაპუნებდა და ჩაილაპარაკებდა: „შეიძლება ასეცა“, მერმე დას გადახედავდა და ამოიოხრებდა: „უბედური...“ ხანაც თავის ქნევით ავად შეავლებდა თვალს გარდაცვლილ ჭაბუკს და მუქარით ჩაიბუზღუნებდა: „ასეთი რამე უნდა მიეტევოს განა მაგ ბრიყვსა? დიდი აბუეტი ვინმე კი ყოფილა“. უცხოელებმა ბაი განიუს მიმიკა თავისებურად აღიქვეს, ეტყობა, ვერ მიხვდნენ მის მნიშვნელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი თანაგრძობით აღარ მოეპყრობოდნენ. ფიქრობდნენ, მწუხარებისაგან ჭკუაზე აღარ არისო. იყო მომენტი, როცა მონათხრობი ამბისაგან შეძრულმა ბაი განიუმ ისე ძლიერად გააწყლაპუნა ენა, რომ ყველამ მას მიაპყრო მზერა. მან კი სწორედ იმ წუთას მარჯვენა ხელის ცერი მარჯვენა ნესტოზე მიიჭირა, ოდნავ დააეღმა თვალები, პირი მარჯვნივ მოიღო, დახარა თავი და მარჯვენა ნესტო გამოიფერთხა. მერმე მარცხენა ცერი მიიღო მარცხენა ნესტოზე და ერთხელაც გაიმეორა ეს ოპერაცია. მთლად დავიწვით სირცხვილისაგან. შეიძლება ეს საქციელიც მივუტევოთ, იტყვიან თქვენ, — სასწრაფოდ მოუხდა გამგზავრება და, აფორიაქებულს, ამ ფაციფუცში ცხვირსახოცი რას გაახსენდებოდაო. არა, ასე არ ყოფილა! ბაი განიუმ იქვე გახსნა ყვითელ ქაღალდში გახვეული პაკეტი და ამოათრია — აბა, თუ მიხვდებით, რა? — ცხვირსახოცების მთელი დასტა, რომელიც ჩამოურიგა იქ მყოფთ, უმთავრესად ბულგარელებს, თან თითოეულს უმეორებდა: „ილოცეთ, რომ შეუნდოს უფალმა“. ხოლო მოშორებით მყოფთ ყვირილით უქნევდა ხელს:

— ეი, ბიჭო, აქ მოდი, აჰა შენც. ილოცე, რომ შეუნდოს უფალმა მარიიკას.

— სხვას არაფერს გეტყვით, ბატონებო, — ნაღვლიანად წარმოთქვა კოლიუმ, — სცადეთ, თავად წარმოიდგინოთ ბაი განიუს გარშემო მდგარი ინგლისელებისა და ამერიკელების ფიზიონომია. დავძენ მხოლოდ, როდესაც გარდაცვლილ ქალიშვილს რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში აუგეს წესი და დაკრძალეს, ბაი განიუს დრეზდენიდან გამგზავრებამდე ამერიკელებმა ოჯახში მიიწვიეს. მან იქ ერთი ღამე გაათია, როგორ იქცეოდა იქ, არ ვიცი, მაგრამ სტუდენტი ბულგარელისათვის, რომელიც სადგურში აცილებდა მას, გამგზავრებისას უთქვამს:

— რომ იცოდეთ, რა დამემართა, ძმობილო... ვერაფერი გამიგია მაგ ამერიკელებისა: საქმელზე დიდი თავპატივი არ გამიდვია, ვჭამე, მაგრამ, რა ვჭამე,

ლამის გავსკდი. ლამით კი... კეთილი და პატიოსანი; აღარ გავაგრძელებ... მეორე უბედურება კი, აი, რა იყო: გავიხედოთ, დილით კარს ვილაკ ქალაქ მომადგა. აკაკუნებს, „შემოდი“, ვეუბნები. შემოვიდა და ხონჩით რძიანი ყავა და ნაირ-ნაირი ტკბილეული შემოიტანა. დადგა მაგიდაზე და ვხედავ, ცხვირით ჰაერსა უხოსავს. რა ეშმაკი შეუჯდა? ან ვარდის ზეთი იყოსა, ან მარცხენა კალაყ უარესი. მე კი, სულელი ხომ არა ვარ, მაშინვე ავდექი, ავიღე მუშა და ცხვირთან მივუტანე. გაეღიმა! ვხედავ სანდოშიანი ქალია, უბრალოდაა ჩაცმული. გავიფიქრე? მსახურია-მეთქი, თვალი ჩავუყარი. — გაიცინა. მეც, გასაგებია, — ჰოპ! — ვტაცე ხელი. ის კი, უკეთესი, გამისხლტა და ისეთი მღეწა სახეში, რო... გავები ხათაბალაში. თურმე იმ ბიჭის დეიდა ყოფილა, მადლობა ღმერთს ალიყურით გადავრჩი. დიდებული ხალხია.

IV. ბაი განიუ პრალის გამოფენაზე

— მოიცათ, ახლა მე ვიამბობთ, როგორ გავემგზავრეთ მე და ბაი განიუ პრალაში გამოფენაზე, — ღიმილით წარმოთქვა ცვიატკომ.

— ბრავო, ცვიატკო, — გამოვეხშიანეთ ყველა. — კარგა ხანია გელით. ცვიატკომაც დაიწყო:

— ალბათ გახსოვთ, სოფიიდან საკუთარი მატარებლით რომ გავემგზავრეთ, ვაგონებიც ჩვენი იყო და ორთქლმავალიც. ყველა ვაგონი პირველი და მეორე კლასისა გახლდათ, ახალთახალი, ევროპიდან ეს-ესაა მიღებული, წუნდაუდებელი, გაკრიალებული, მოხერხებული. ერთი და იმავე ვაგონში პირველი და მეორე კლასის კუბეებიც იყო მოწყობილი. ასე ას სამოც სულამდე ვიქნებოდით, ზუსტად აღარ მახსოვს: მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, მამაკაცები, ბავშვები, ძუძუთა ბალები (ოპ, ეს ძუძუმწოვრები). ხომ მოგეხსენებათ ჩვენნიანების ამბავი, ეამაყებოდათ გამოფენაზე საკუთარი მატარებლით გამგზავრება. „დე, დაინახონ ევროპელებმა, რომ ბულგარეთი არა თვლემს...“ მაგრამ ახლა ჩვენს პატივმოყვარეობას ვანსაკლტრებით ელამუნებოდა ვაგონების სიახლე, მოდერნიზებული კონსტრუქცია და სისუფთავე. როგორ გგონიათ, დიდხანს კი ვტკბებოდით პატრიოტული ალტაცებით, ვაგონების შესანიშნავი თვისებებითა და იმაზე ფიქრით, თუ როგორ შეგვეძრა ევროპა ჩვენი პროგრესით? სანამ სადგურში გვაცილებდნენ, ვიდრე სლივნიცისა და დრაგომანის პოზიციებს ჩავუვლიდით, — ჩვენს დიად გამარჯვებათა ველებს, — თითოეული ჩვენგანის ენთუზიაზში დაცლილი ბოთლებისა და დაცარიელებული კალათების რაოდენობის პროპორციულად იზრდებოდა, უხვად რომ მოემარაგებინათ წინდახედულ ტურისტებს.

— გასაგებია, მივემგზავრებით და საგზალი უნდა წავილოთ, რატომ ვუხადოთ ფული სერბებს? — წამოიძახა პატრიოტიზმითა და პლევენური ღვინით აღფრთოვანებულმა ბაი განიუმ. მაგრამ როცა შეღამებისას ცარიბროდს მივუახლოვდით და შევეცადეთ ვაგონში სინათლე აგვენთო, აღმოჩნდა, რომ ლამპები არ იყო გამზადებული. ამასობაში სრული სიბნელე ჩამოწვა და

შეძინებულმა ბავშვებმა ღნავილი მორთეს. ო, მაშინ ნელ-ნელა, თითქოსდა ბულგარეთის ტერიტორიის გაუჩინარებასთან ერთად, მიინავლა ჩვენი პატრიოტული ალტყინება. ერთნი ნაღვლიანად, მეორენი გესლიანად იღიმებოდნენ (იქ მარტო ბულგარელები კი არ ვიყავით), მესამენი კი გულსწყრომით ვერ ფარავდნენ. ბაი განიუმაც ჩამჩურჩულა ყურში: „კუმ ფეხი გამეფეხე შენდა, ნახირნახირაო“. სხვები დაუფარავად ღანძლავდნენ ერთ უცხოელს, მისივე მსგავსად მაშინ ჩვენს რკინიგზის მმართველობაში მსახურობდა. იგრძნო თავი სრულად, პერა ბაი განიუმ, წამოიყვირა: „ამას რა უცოდნა უნდა, ჩვენ რა შუაში ვართ. ყველაფერი უცხოელების ბრალია. ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი. განგებ მოგვიწყვეს. დაგვცინიან, შურთ, ყველანი მასეთები არიან“.

მერმე ისეთი თვალით გადახედა უცხოელს, ამ უკანასკნელმა ჩაახველა და მეორე კუბეში გავიდა. როდესაც მატარებელი ცარიბროდში გაჩერდა, ვაგონში ისე ბნელოდა, ერთმანეთს ვერ ვარჩევდით. გავგულისდით, მოვიწყინეთ, მერმე ისევ დაგვეუფლა მზიარული განწყობილება. წამოვიდა ხუმრობა და დაცინვა რკინიგზის მესვეურთა მისამართით. გაისმა ყვირილი:

— მოგვეცით სანთლები, კეთილო ადამიანებო, ბავშვებს ეშინიათ!

— ეი, ძიაკაცო, წადი, გვიყიდე გირვანქა სანთელი, ფეხის ქირას მოგცემთ.

— თითო ქონის სანთელი მაინც ჩამოარიგონ.

მარტო ერთი ბაი განიუ იყო, ვისაც ფიქრადაც არ მოსვლია ასეთ უთაურობაში ბულგარელები დაედანაშაულებინა.

— ერთი შეხედეთ, — წარმოთქვა მან, როცა რამდენიმე სანთელი მოიტანეს და დაგვანახა ჩვენთან დამგზავრებული ერთი უცხოელი. — კუბრი უნდა გადაასხა მაგას და დასწვა. აბა, ეს რა მოსათმენია? ფეხებზე ჰკიდია სიბნელე, რას დავეძებ, ოლონდ მაგის მასხრად ასაგდები არ გავმხდარიყავით. აი, შეხედეთ, სერბიელი ჩინოვნიკია. დაგვცინის ეგ კაცუნა, ნამდვილად დაგვცინის.

ამაღლებული პატრიოტული გრძნობა ბაი განიუს ნებას არ აძლევდა, ვიდრე სერბიელის დაცინვას შერიგებოდა.

— რა გაციანებს, ეი, შენ მანდ? — მოიღუშა ბაი განიუ. აპირებდა კიდევ სერბიელისთვის ახსნა-განმარტება მოეთხოვა. გმირული სისხლი თავისას შვრებოდა.

— შ-შ-შ, მშვიდად, ბაი განიუ, — გააკავეს თანამგზავრებმა, — მოეშვი: ყალბაყალს, ნუ გავიწყდება, რომ სერბიაში შევდივართ.

— ე, მერე რა რო... შემაშინა ვითომ! დაგავიწყდა ჩვენი სლივნიცა და იმათი „ნატრაგ, ბრაჩა!“¹, — ბაი განიუს პირიდან ყუმბარასავით ამოხეთქა ფინებამ.

— როგორ, მაგ სერბილეს ადანაშაულებ, რომ ვაგონში სიბნელეა? — ამოშპინებდნენ ამხანაგები.

¹ უკან, ძმებო (სერბ.)

— ვისა, მაგას? ვიცი, ვინც არიან, — იძახდა ბაი განიუ თავის ქნევით.

ყველა კუბეში ჩამოარიგეს სანთლები, ვიღაცამ, მგონი, ლემპა გამართა და აანთო. დაიძრა მატარებელი. მგზავრებმა სარკმლებთან მიამატეს სანთლები. ქონი ძირს ეღვენებოდა. ეს იყო ახალი ვაგონების პირველი გაბუნღარება. ნაშუალამევს კი მოხდა ვაგონების მეორე გაბუნღარება, როცა ყველა კლოზეტი (ბოდიშს ვიხდი, ბატონებო!) კლოაკად იქცა.

როგორც იქნა, ვაფიარეთ სერბია, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, წყნარად და მოკრძალებით გვეჭირა თავი. თპო, მაშინ ბულგარული არა გცნობიათ! ბაი განიუ შემთხვევას არ უშვებდა, რომ კბილი გაეკრა სერბებისათვის სლიენიცას ხსენებით. ნიშსა და ბელგრადში ყველას — მსახურსა თუ მებარგულს ეკითხებოდა: „გამოტეხილად თქვია: ბულგარული ხარ ხომ? ყველანი ბულგარელები ხართ და სერბებად მოგაქვთ თავი“.

შევედით უნგრეთში. უცებ ერთი ვაგონის ბორბალს ცეცხლი გაუჩნდა. ჯანდაბს ეს თქვენი ოსტატები! ამან კარგა ხანს შეგვაყოვნა. ვასხამდით წყალს, ვაქრობდით, ვეწეთოდით პაპიროსს, ვიქეჩებოდით, ბოლოს დავიძარით. ახლა მადიარები გვამასხარავებდნენ. იციან ბულგარული ტურისტების ამბავი. მერმე ერთხელ კიდევ შევჩერდით იმავე ვაგონის მიზგზით. მოვხსენით და შესაკეთებლად დავტოვეთ. ბაი განიუ მრავლისმნახველი კაცია, პირველად როდი მოგზაურობდა ამ ადგილებში და უხსნიდა გამოუცდელ თანამგზავრებს:

— ახლა პეშტში შევდივართ. პეშტის მერმე გენაა, გენას იქით პრაღა. ფეხით მაქვს მოვლილი, ხუთი თითივით ვიცნობ აქაურობას.

პატარა სადგურებს ისე ჩავუარეთ, არსად გავჩერებულვართ. დიდ სადგურებში კი ვიცდიდით, სანამ გზა გაიხსნებოდა. ყველას უკვირდა მორავიის სიმდიდრე, მშვენივრად დამუშავებული ველები, დიდებული ბაღები, ამდენი ფაბრიკა-ქარხანა. ბაი განიუ იძულებული გახდა, ელიარებინა ბულგარეთთან შედარებით მორავიის უპირატესობა.

— ჩვენ ვიცი მუშაობა, მარა არც ეს მარტივადიანი ხალხია ნაკლები. არა, არ არიან ზოზინები, განძრევა არ ეზარებათ. — რაკილა მიხვდა, ქება მეტად გადაქარბებული გამოუვიდა, დაუმატა: — ოღონდ სულ ტყუილად ირჯებიან, ესენი შრომობენ, გერმანალები კი ხეთქავენ.

კურიოზებს აქაც ვერ ავცდიდა. ჩვენ, ესე იგი, ვანჩო, ფილო, და ივანიცას ვაჭიშვილი (თქვენ ის, მგონი, არ გეცნობათ) პირველი კლასის კუბეში ვიყავით, მეზობელ კუბეში კი ბაი განიუ და მისი რამდენიმე ამხანაგი, ისინი უხვად იყვნენ მომარაგებულნი სურსათით, თვითონ ბაი განიუს, ეტყობა, სიქარეში დაავიწყდა, თავის თოფრაკშიც ჩაელაგებინა საგზალი.

— დიდი ამბავი, ბოლოს და ბოლოს ბულგარელები არა ვართ? შემეწვიან. ერთი პურს მიწილადებს, მეორე ბრინჯის ნაჭერს, სხვა რაღა უნდა კაცს, რომ მაძღრისად იყოს?

და მართლაც, გვარიანად მოეწყო. ამხანაგები უმასპინძლებოდნენ საჭმელ-სასმელით, ის კი სამაგიეროს მგზნებარე პატრიოტიზმით უხდიდა, რასაც

თან ახლდა სახარბიელო მადა და წყურვილი. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო, ამოიწურა მეზობლების სურსათის მარაგი, დაიწალა ბოთლები (აქ სუკირთა დაზუსტება: ბოთლები ჯერ კიდევ მაშინ დაიწალა, როცა სლოენი და დრაგომანზე მივექროდით შეძახილებით: „გაუმარჯოს ბულგარეთს, ვაშა-ა-ა... ერთი მომაწრუპინეთ, ვაშა-ა-ა!“).

ბაი განიუ ახლა ჩვენ მოგვეტმასნა. თავდაპირველად რაღაცეები იყვნენ: ბაი ხან ასანთს, ხან ჭიქა კონიაკს გვთხოვდა, — მუცელი ამტკივდაო. მერმე თანდათან გაგვიშინაურდა, ისე შემოგვეჩვია, კუბედან აღარ გადიოდა. თავისი ამხანაგები მთლად დაივიწყა, ანდა რაღა თავში იხლიდა? ყველაფერი უკვე შექმულ-შესმული ჰქონდათ. ჩვენ კი, მადლობა ღმერთს, ყოველთვის მოგვეძეოდა სადგურებში ნაყიდი რამერუმეები. ცნობისმოყვარე ბაი განიუ შემთხვევას არ უშვებდა, რომ დაეგემოვნებინა უცხოური საოვაგე.

— ეს რა არი? ყურძენია? ვითომ, უყურე შენ? დიდებულია! მომაწოდეთ ერთი მტევანი. მ-მ-მ! ჭაუცხოოა, დიდებულია! — ცნობისმოყვარეობა აიძულებდა, გაესინჯა ჩვენი საუზმეული კონიაკი, თუთუნო.

— ეს სათუთუნე კავკასიური ვერცხლია? — წასძლევდა ცნობისწადილი, როცა რომელიმე ჩვენთაგანი მოწევას დააპირებდა.

— არა, ვენური ნახელავია, — უპასუხა სათუთუნეს პატრონმა.

— უყურე შენ! მოდი, ერთი ვნახო! ც... ც... ც... თუ კაცი ხარ, მითხარი, თუთუნო ბულგარულია? დიდებულია! მოიცა, შევახვიო. მე პაპიროსის ქალადი მაქვს. თუ დაგჭირდეთ — საქა ვარ.

ის რომ აქ იყო, ამას ყოველ წუთს ვგრძნობდით: ჩექმებისა და ოფლიანი სხეულის სპეციფიკური სუნით, აგრეთვე მისი მცდელობით, რომლის მიზანს მთელი დივანის დაპატრონება წარმოადგენდა: ჯერ კიდევ ჩამოჯდა, მერმე უფრო მოხერხებულად მოკალათდა, რაც იმით დამთავრდა, რომ ჩვენ — ერთ დივანზე მიკუნჭულმა სამმა კაცმა და მეორე დივანის კიდევ ჩამომჯდარმა ივანიცას ვაჟიშვილმა ბაი განიუს საშუალება მივეცით, პორიზონტალური მდგომარეობა დაეკავებინა. მანაც მყისვე ისარგებლა შემთხვევით. გადაეწყვიტეთ, ბოლომდე გვეყურებინა, რას მოიმოქმედებდა და მანაც დაუფარავად დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა.

— ცოტა იქით მიიწი, გამაშლევინე მეორე ფეხი. აი, ასე, ჩინებულია! ე-ე-ეხ! დაღაზვროს ეშმაკმა! ბარაქალა! ერთი უყურეთ, რას შერება მანქანა! ტუპა, ტუპა, ტუპა, ტუპა, მიჰქრის! ძალიან მიყვარს ასე წოლა. იქ კი სივიწროვია, თანაც ჩემი ამხანაგები უბრალო ხალხია. ძნელია მათთან საერთო ენის გამონახვა. რასა ჭამთ მანდა, მსხალს ხომ არა? კარგია. შეიძლება ასე წამოწოლილმა შევჭამო მსხალი? მადლობა! სადა შოულობთ მასეთ რამეებს?

— ვყიდულობთ, — უპასუხა თავშეკავებით ერთმა ჩვენთაგანმა.

— მართლა? დიდებულია! — ჩაილაპარაკა მოწონებით, თან წვნიანი მსხლით პირს იტკბარუნებდა. — მიყვარს მსხალი. — ბორბლების მონოტონურ ხმაურში ბაი განიუს ჩასთვლიმა. მე კი იმაზე ფიქრი არ მასვენებდა, რა ოინი მომეწყო მისთვის. ბოლოს გენიალურმა აზრმა გამინათა გონება. ვანიშნე ამხანაგებს და ვუთხარი:

— მოდით, თითო ფინჯანი ყავა დავლიოთ, ბატონებო. მოიტათ სპირტი, და საფქვავი.

— ყავა? — წამოიძახა ბაი განიუმ და დივანიდან გველნაკბენივით წამოიჭრა. — მართლა?

— როგორ! მოვადუღოთ, წყალი რომ არა გვაქვს? — შეეპასუხა ხულდაწყვეტილი კაცის იერით ივანიცას ვაჟიშვილი და არტისტულად გამალახელები.

— წყალი?! — შესძახა ბაი განიუმ. — ოღონდ მიფრთხილეთ, წყუთას გავაჩენ. — იგი კუბედან გავიდა, ჩვენ სიცილით ვიხოცებოდით ივანიცას ვაჟიშვილი დივანზე გაიშოტა. დაბრუნდა ბაი განიუ. იგი მთელი ძალით ქშინავდა: ხომ უნდა ეჩვენებინა, როგორ გაისარჯა და იწვალა ჩვენთვის. ხელთ თუნგულა ეჭირა.

— აი, ნახეთ, ვიშოვე. ყველა ვაგონი გადავაქოთე. კუცებ ერთგან თუნგულა დავინახე. ვტაცე ხელი, ვილაც ქალი მეცა და დამიყვირა: „დადე თუნგულა, ბავშვებისაა“. მეც ავდექი და ჰკუას ვუხმე: „ქალბატონო, იქ ერთ კაცს გული წაუვიდა“. „თუ ასეა...“ ასეა“, ვუპასუხე. „რა გაეწყობა, ახლავე წაიდე, ოღონდ თუნგულა დამიბრუნე“. ბრიყვი დედაკაცი!.. თფუ!.. ახლა ყავას მივხედოთ.

— ნუთუ არა გრცხვენიათ, ბატონო! — საყვედურით ჩაილაპარაკა ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, რომელიც აღშფოთებისაგან თავს ძლივს იკავებდა.

ბაი განიუ პირდაღებული შემოგვაჩერდა, ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, ნათლად გამოეხატა თავისი გულწრფელი გაკვირება. მერმე სრულიად მოულოდნელად წარმოთქვა:

— მივხვდი, რაღაცას რომ მიპირებდით, მაგრამ ვიფიქრე, მაინც წავალ-მეთქი. ახლა ერთი სიგარა და ჭიქა კონიაკი მაინც მომეცით. — მივეცი და მანაც თავის კუბეს მიაშურა უბრალო ხალხთან.

— როგორი გამოთაყვანებული არიან ეს სწავლულები, — მოისმა ბაი განიუს ხმა მეზობელი კუბედან. — არ ვიცი, რანაირად ითმენენ მაგათ სამსახურში. მაცალონ! ერთი დავბრუნდე ბულგარეთში, მერმე მე ვიცოდე და მაგათ!

მივუახლოვდით ჩეხეთის საზღვარს. ჩვენთან ერთად მოემგზავრებოდნენ მთავრობის მიერ გამოფენაზე შივლინებული კომისრები, რომელთაც უნდა ენახათ, რანაირად აწყობდნენ გამოფენას, რომ მერმე პლოვდივში თვითონ მოეწყოთ, ერთ-ერთმა მათგანმა მგზავრებს ბულგარეთის სამფეროვანი ბაბთები მიაბნია მკერდზე. ჯერ კიდევ გზაში ყოფნისას შევიტყვეთ, რომ საზღვარზე და პრაღაში საზეიმო შეხვედრა გველოდა. ეს ადრევე ვიცოდით, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

აი, ესეც სასაზღვრო სადგური. გაისმა ორთქლმავლის სტვენა. ლიანდაგის ორივე მხრიდან მატარებლისკენ დაიძრა ზღვა ხალხი. ცრიდა. მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს თავი ქოლგებისთვის შეეფარებინათ. გაჩერდა მატარებელი. პერონი ხალხით გაიჭედა. ორკესტრმა ბულგარეთის ჰიმნი — „Шуми Марица“ დააგუგუნა. შემდეგ გუნდმა იმღერა „Hde domovmūs“,¹ რამაც უსაზღვრო სიამოვნება მოჰგვარა ჩვენებს, განსაკუთრებით კი ბაი განიუს, რომელიც აქებდა ჩეხებს — ეს კარგად შეუსწავლიათ ბულგარული ხალხური სიმღერა

¹ „სად არის ჩემი სამშობლო“ — ჩეხეთის ეროვნული ჰიმნი.

„Где ѿ родѣтми!“ ოლონ სიტყვებს გარკვევით ვერ გამოთქვამენ და ძნელი გასარჩევიაო.

ლამის მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, როდესაც გამახსენდება, როგორ გვეჭირა თავი იმ პირველი შეხვედრისას. წარმოიდგინეთ, ბატონებო: მთელი ქალაქი შეიყარა ბულგარელი ძმების შესახვედრად. სოფლებიდანაც ჩამოვიდა ხალხი, მოიწვიეს ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, ყვავილებით ხელში შეგველოდნენ ქალიშვილები, რომ ვაგონებიდან გადმოსვლისთანავე მოგვსალმებოდნენ სიტყვებით, სიმღერებით, მუსიკით, თაიგულებით. „ძმებმა“ კი გამოყვეს თავები სარკმლებში და დაიწყეს თვალების ცეცება. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ბატონებო: ვაგონების სარკმლები ვიწრო იყო, ერთმა თავი გაახირა შიგ, მეორე მის უკან აიტუზა და ისე იყურებოდა, მესამემ დაბრეცილი სახე გამოყო და ცალი თვალთ იჭყიტებოდა. სირცხვილისაგან სიკვდილსაც ვნატრობდი. ნეტავ სურათის გადაღება შემძლებოდა! დამხვდურები შეცბნენ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ, სად წაელოთ თაიგულები. დადუმდა ორკესტრი და მომღერალთა გუნდი. ჩამოწვა სიჩუმე. ასე შესცქეროდნენ ერთხანს ერთმანეთს. უცებ ვაგონიდან ბაი განიუ გადმობობდა. ჩეხები ახლა მას მიაშტერდნენ, გზა უტიეს: მობრძანდითო და... ისიც, პა, მიბრძანდება. ღმერთო ჩემო! როგორი თავდაჯერებით მიალაჭებდა ასობით თვალსა და ხელს შუა, რომლებიც თაიგულებს უწვდიდნენ. თითებში მარცხენა ულვაში ჩაებლუჯა და იგრებდა. გაშალა იდაყვები, ჩაახველა დიდკაცურად. თვალი იმ ქალიშვილისკენ გააპარა, რომელმაც თაიგული ლამის ზედ ცხვირთან მიუტანა. შეხედა და მალლა აწეული მარცხენა ხელის თითები გაატკაცუნა, თითქოს ეუბნებოდა: „შეგვეგებე, ქალიშვილო, შეგვეგებე ხომ? სწორადაც იქცევი, მოსაწონია“, მერმე განზე ჩაუარა და ღირსადაც არ გახადა, თაიგული ჩამოერთმია. საცოდავმა გოგომ დარცხვენით დაუშვა ხელი. ცოტა ხნის მერმე ბაი განიუ კვლავ გამოჩნდა, რომელიც არც თუ ისე გრაციოზულად იკრავდა თავისი სამოსის ერთ ადგილს. მას ახლაც დაუთმეს გზა, ამჯერადაც გადაიგრიხა მარცხენა ულვაში, ჩაახველა, თითებით მოიხოცა ცხვირი და ვაგონში აძვრა. ორთქლმავალმა დაიწვილა და დავიძარიო.

არ იფიქროთ, ვაზვიადებდე, ან განზრახ ვთბზავდე რაღაცას ბაი განიუს გასაკარიკატურებლად. პირიქით, ზოგი რამ გამოვტოვე, რადგან ამაზე დღემდე არასასიამოვნო მოგონებები შემომრჩა. მაგალითად, არ მინდოდა მომეთხრო, რანაირ სანახაობას წარმოადგენდა ჩვენი მატარებელი მოგზაურობის მეორე დღესვე. ალბათ, გახსოვთ, ჩვენმა ტურისტებმა ძუძუთა ბალლებიც წამოიყვანეს. გარდა იმისა, რომ ერთი ტირილი და ღნავილი იდგა, კლოზეტები ჩასვრილი საფენებისა და ჩვრების სამრეცხაოებად გადააქციეს, ხოლო ვაგონების დერეფნები, რომლებიც ალმებით უნდა მოგვეერთო, — ამ ავლადიდების გასაშრობ ადგილებად. სამფეროვანი — თეთრ-მწვანე-წითელი დროშების ნაცვლად ორფეროვანი — თეთრ-ყვითლად მოჩითული დიდძალი თეთრეული ბრწყინავდა მზეზე. ამ მშვენიერებით იყო მორთული მატარებელი ჩეხეთის ტერიტორიაზე გაჩერებისას, როდესაც მოსახლეობა მუსიკით, სიმღერებით, თაიგულებით, ქალაქისთავის, ანდა ადგილობრივი ხელისუფ-

¹ „Где ѿ родѣт ми“ — ბულგარულად გადამუშავებული ჩეხეთის ეროვნული ჰიმნი, რომელიც ფართოდ გავრცელდა ბულგარეთში.

ლების სხვა წარმომადგენელთა მისასალმებელი სიტყვებით გვხვდებოდა. ეს თეთრ-ყვითლად მოჩითული ალმები ფრიალებდა თოკებზე, როდესაც ჩვენმა ხელმძღვანელმა ბატონმა ვასილაკიმ თავისი გულში ჩამწვდილი მქუხარე სიტყვით გააყრუა ჩები მსმენელები და ბატონი პეტკო თავის ორატორულ გამოსვლებში მოძმე ჩები ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობას უკმაყოფილოდ სადგურში, სადაც უკანა რიგებში მოშორებით მდგარი ვინმე გარკვევით მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდათ „ძმებო! ივან ჰუსი... ო! ივან ჰუსი... ძმებო!“ და მაშინ გაცეცხლებულმა ბაი ცანიუმ, რაგორ თუ სიტყვაში არ მოიხსენიეს ჩვენი ისტორიული ბუმბერაზებიო, ერთ მასწავლებელს გვერდში მჯილი გაჰკრა და შეაგულიანა: „შენ მაინცა თქვი რამე, ხო უნდა გავაგებინოთ, ვინცა ვართ. უკეთეს დროს როდისღა ვიშოვნით. მოყვევი ფილიპ ტოტიუზე. გინა კრუმ სტრაშნიზე, ანდა იმღერე რამე“... — ორფეროვანი ალმები კი სულ ფრიალებდნენ.

ჩეხეთის საზღვრიდან პრაღამდე მთელი გზა ერთიან ტრიუმფალურ მსვლელობას წარმოადგენდა. ქალაქსა, სოფელსა თუ ველ-მინდვრებზე, სადაც ჩავლიდა ჩვენი მატარებელი, ყველგან მალლა ფრინავდა ქუდები, ჰაერი ირყეოდა დაუსრულებელი მისასალმებელი შეძახილით: „Nazdar!“, როცა მინდვრად მომუშავე ქალმა დაინახა, მამაკაცები ქუდებს იქნევდნენ და ჰაერში ისროდნენ, მანაც აიქნია ხელები, მოიხსნა თავსაფარი, შეისროლა მალლა და შესძახა: „Nazdaar!“

მერმე ჩავუარეთ: ერთ ქალაქს (სახელი აღარ მახსოვს, მაგრამ რა გასაკვირია, რომ არ დამამახსოვრდა იმ აურზაურში), ქუჩებში ხალხი, ფანჯრებში ხალხი ხეებზე ხალხი, მესერებთან ხალხი, სახურავებზეც ხალხი! იმ ქალაქში ერთ ადგილას შევნიშნე ახალი, თითქმის დასრულებული შენობა, რომლის თავანზეც უკვე გადებული იყო კოჭები, სადაც სულ მალლა, მწვანე გრძელ კოკზე. მიმაგრებული ალაში ფრიალებდა (როგორც ჩვენში იციან მშენებარე სახლებზე). მუშებმა მალლიდან რომ დაინახეს მთელი ქუჩის გასწვრივ თავშეყრილი ხალხი, ყველა სართულიდან დაგვიქნიეს ხელსახოცები და დაიძახეს „Nazdar!“ მერმე კოჭებზე გავიდნენ, საიდანაც სახურავს მოექცნენ ზემოდან, დაავლეს ჭოკს ხელი და შეეცადნენ მოეხსნათ, რომ იმით მოგვსალმებოდნენ, მაგრამ ეტყობა, მაგრად იყო ჩაჭედებული. მაშინ ჭოკს დაუწყეს რყევა, რომელიც ხან მარჯვნივ გადაიხრებოდა ოდნავ, ხანაც მარცხნივ მისალმების ნიშნად. ამ ორმა შემთხვევამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს არ ჰგავდა ჩვენსას: „მთელმა ი ნ ტ უ ლ ი გ ე ნ ც ი ა მ შესძრა ჰაერი აღტაცებული „ვაშათი“, „დღეს მთელი ხ ა ლ ხ ი ზეიმობს“...

ჩავედით პრაღის სადგურში. პერონზე ხალხი არ ჩანდა. დასახვედრად მარტო ოფიციალური წარმომადგენლები, თუ არ ვცდები, ქალქის თავის თანაშემწე და გამოფენის კომიტეტის წევრები მოვიდნენ. ასეთი შეხვედრა საკმაოდ უფერული გვეჩვენა. მივეჩვიეთ ტრიუმფებს. მაგრამ ეს მათ შეგნებულად მოიმოქმედეს: ამ თადარიგიანმა ხალხმა იცოდა, მატარებლიდან ას სამოცამდე მგზავრი გადმოდიოდა და მათ საზოგადოება პერონზე რომ დახვედროდა, სტუმრების, დამხვდურებისა და ბარგის ზედახორა შეიქმნებოდა. აი, რატომ იყო ასე ცოტა ხალხი და რატომ შეგვეგება მარტო კომისია.

1 მისალმება ჩეხურად.

ობაზე გიამბობთ. მინდა თქვენი ყურადღება წუთით გადავიტანო ჩვენთვის გამოყოფილ ბინაზე (ნუ შეგვიშინდებით, ქალბატონებო!). სულ ოთხნი ვიყავით ამ ყოველმხრივ კეთილმოწყობილ ოთახში, რომლის ფანჯრები ერთში გადიოდა. მოპირდაპირე მხარეს ასეთივე სახლი აღმართულიყო. ერთხელ ჩვენი ოთახის მოახლე, ანუშკა, როცა ფანჯრის რაფაზე ყვავილებს ეყვებოდა, უცებ დარცხვენილი მომიბრუნდა, თვალით მოპირდაპირე მხარეს მანქანა და მეკითხება:

— მომიტევეთ, ბატონო, ისიც ბულგარელია? კეთილ ინებეთ და შეხედეთ, რას სჩადის, როგორი შავია და ველურივით ბანჯგვლიანი, ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

გავიხედე და რასა ვხედავი დამდგარა წულზემით მთლად შიშველი ბაი განიუ დარაბებშიუხურავი, ფარდაჩამოუფარებელი ღია ფანჯრის წინ და ჩვენს მსახურ ქალს უღიმის, თანაც, ეტყობა, მის მოსახიბლად ბანჯგვლიან მკერდზე ხელს ისვამს.

იმავე დღეს ადგილობრივ გაზეთებში მოათავსეს ძვირფასი სტუმრებისადმი (ჰქონდათ ამის თქმის უფლება) მისალმება. გამოაქვეყნეს აგრეთვე გამოფენისა და პრალის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების პროგრამა. იქვე დაბეჭდილი იყო ღონისძიებებში ჩვენი მონაწილეობის ანგარიში: სად ვიყავით, როგორ შეგვხვდნენ, რანაირად მოგვესალმნენ და როგორ გავეპასუხეთ ჩვენ. ბატონ ვასილაკის — ჩვენი ხელმძღვანელის — სახელი ყველას პირზე ეკერა. მან ასეთი ყურადღება თავისი მრავალრიცხოვანი მოხსენებებით დაიმსახურა. მართალი თუ გინდა, ბატონი ვასილაკი რომ არა, რომელიც თავბრუს ახვევდა მასპინძლებს, უთუოდ ჩავფლავდებოდით.

გამოფენის შესასვლელთან კომიტეტის წევრები შეგვხვდნენ. ლაპარაკი ისევ Ceskem národe და Bulhahské národe-ს შეეხო. ჩვენ აქ, ალბათ, ვამიგებთ, ყველაფერი ვიღონეთ, რათა ჩვენთვის შეცდომით სერბები არ ეწოდებინათ და პლოვდივის გამოფენაზე რაც მოხდა, იმის მსგავსი რამ არ განმეორებულიყო. სლივენელები და იამბოლელები ერთმანეთს მტრობდნენ. ამის სათავე გახლდათ შური, ქიშპი და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა... და უცებ, როცა პლოვდივის გამოფენის შესასვლელთან სლივენელები გამოჩნდნენ, კომიტეტის ერთმა წევრმა ისინი იამბოლელებად მიიღო და თავის სიტყვაში: ხოტბა შეასხა მათ: იამბოლელები მამაცი, დიდებული ხალხიაო. საქციელწამხდარი სლივენელები კი ოფლში იწურებიან, ხან მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველებენ, ხანაც თვალს უკრავენ ერთმანეთს... სერიოც ამასა ჰქვია.

შევედით გამოფენაზე. თავდაპირველად ზურელედ გადავავლეთ თვალი გამოფენის მთავარ განყოფილებებს. მეგზურობას კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გვიწევდა, მერედა ვის?! ჩვენი ტურისტები — ჭეშმარიტი ინგლისელები არიან. შევიდნენ ბოტანიკურ განყოფილებაში და ჯორივით მიასვეს ფეხი.

— ივანჩო, ივანჩო, მოდი აქ ჩქარა, — ყვირის ერთი, — შეხედე, რამხელა ტიტაა, დეიდაშენს ზუსტად მასეთი არ ჰქონდა? ხომ გახსოვს?

— მოდი, მოდი აქ, მარიკა, შეხედე მიმოზას. ესაა მიმოზა. ხედავ? გახსოვს, აღდგომას მცენარეთა ატლასი რომ მაჩუქე, იმაში არ იყო? — მოისმა მეორე მხრიდან.

— აი, ნახე, პიტნა! ც... ც... ც... ჩეხებსაც ჰქონიათ პიტნა, დიდებულია! — ყვირის მესამე და გამორბიან პიტნის სანახავად.

— მე კი აქ რატომღაც ვერ ვხედავ ნემსიწვერას, — უკმაყოფილო ხმით

შენიშნა ბაი განიუმ. — ეს რა ხალხია, ნემსიწვერა ც არა პქონიათ. ჩვენთან კი საგსეა მთები, დედა ნუ წამიწყდება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კომიტეტის წარმომადგენელი ეძღა და ელოდა, როდის იჯერებდნენ გულს ლაპარაკით ძვირფასი სტუმრები. ვეღარ გავუძელი იმათ ყურებას და სხვა პაეილიონების დასათვალიერებლად გავწიე. ჩემი იქ არყოფნისას ძვირფასი სტუმრებისათვის სურათებზე დასწრება რომელიც მეორე დღეს ერთი ილუსტრირებული გაზეთის ფურცლებზე ვიხილეთ.

წავიყვანეს Hradecan-ში — ჩეხი მეფეების სასახლეში. დავათვალიერეთ ყველა ისტორიული კუთხე-კუნძული. ოთახი, სადაც გაიმართა საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ოცდაათწლიანი ომის დაწყების შესახებ, ვნახეთ ფანჯარა, საიდანაც უფსკრულში გადაუძახეს ჩეხ პატრიოტებს. შემოგვატარეს ძველი რატუშა, ძველი და ახალი მუზეუმი. ჩვენს პატივსაცემად სახალხო თეატრში გაიმართა საოპერო სპექტაკლი, ხოლო ქალაქის კლუბში საღამო მოგვიწყვეს. ვეწვიეთ ბატონ Naprsteka-ს საპატიო მოქალაქეს, რომელსაც ადრე ძალზე გაეტება სახელი ავსტრიის მთავრობის თვალში, გაქცეულიყო ამერიკაში იქ გამდიდრებულიყო, მერმე დაბრუნებულიყო პრაღაში და ახლა აქ ცხოვრობდა პატივსა და მორცმულობაში, თანაც ქველმოქმედებას ეწეოდა, პქონდა საკუთარი მუზეუმი და ბიბლიოთეკა. მასპინძელმა ნამდვილი სლავური სტუმართმოყვარეობით მიგვიღო. წარმოითქვა გულში ჩამწვდომი სიტყვები. ერთ-ერთ ოთახში შთაბეჭდილებათა სქელტანიანი წიგნი იდო, რომელშიც მუზეუმის დამთვალიერებლები ხელს აწერდნენ. წიგნის ირგვლივ შეჯგუფული ხალხი რიგს ელოდა, რათა უკვდავეყო თავისი სახელი. ბაი განიუმ სახელოზე მომქაჩა და მოთმინებადაკარგულმა მკითხა:

— მითხარი, რაზე აწერენ ხელს?

რაკი წინასწარ ვიცოდი, ამ ჩანაწერებს ბაი განიუს თვალში არავითარი გამართლება არ ექნებოდა გარდა პირადი პრაქტიკული გამორჩენისა, ხუმრობით ვუთხარი, ვისაც აღარ უნდა პრაღის სიძველეთა დამთვალიერება, შეუძლია ჩაეწეროს ამ წიგნში და ამიერიდან ბატონ ნაპრსტეკასთან ისადილოს-მეთქი.

— მართლა? — წარმოთქვა ბაი განიუმ, — ეშმაკს წაუღია ეგ სიძველეები. მოიტა კალამი! მოიტა ჩქარა! ფანქრით არ შეიძლება მოვაწერო? გამიშვივით, გამატარეთ, მეჩქარება!

და მან მუჯღუგუნით გაიკვლია გზა მაგიდისაკენ, რომელზეც წიგნი იდო. ატყდა ერთი ვაი-უშველეებელი, ჯიკავ-ჯიკავი, კალამს ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს. წიგნი მელნით დაითხუპნა, დაბოლოს, ბაი განიუს აკანკალებულმა, ბანჯგვლიანმა, ოფლიანმა ხელმა ერთ-ერთი გვერდი დაამშვენა ელერადი სიტყვებით:

V. ბანიუ ბალკანელი.

აქ ცვიატკომ განაცხადა, აღარ მსურს თხრობის გაგრძელებაო.

— ის მაინც გვიამბე, როგორ ჩაიარა საღამომ. შენ ხომ გვითხარი, ბულგარელთა პატივსაცემად საღამო მოაწყვესო, — მიმართა ერთმა დამსწრეთაგანმა.

1 სწორედ (ფრანგ.)

— იმ საღამოს არ დავსწრებივარ, ბაი განიუ კი იყო. A propos! იმ დღეს მე და ბაი განიუ საპარიკმახეროში ვიყავით. მან განიზრახა, მოენუსხა ჩები მანდილოსნები და ყველაფერი იღონა, რათა მთელი სიდიდით წარმდგარიყო მათ წინაშე. იყიდა პალსტუხი, გაიბრიალა მედლები (მაშ ვინ გეგონათ ბაი განიუ!). წავედით საპარიკმახეროში. გვარიანად ძველად ჩაბურჭნილი, ჩაქდსავარძელში. პარიკმახერმა გულდაგულ შემოახვია ზეწარი და საქმეს შეუდგა იქ თითქმის მთელი საათი დავყავით. ძალიან ძნელი აღმოჩნდა ბაი განიუს გულის მონადირება.

— აქ, აი, აქა, უთხარი მაგას, აქა-თქო, — ბაი განიუმ თითი მიიშვირა კისერზე, — აქ შემისწოროს, სამართებლით ჩამომპარსოს ცოტა, თანაც უთხარი, თვალი გამოახილოს, სადმე მუწუჭი არ მიმაჭრას, ეშმაკს წაუღია მაგას თავი.

პარიკმახერმა სარკეში ბაი განიუს გულმოსული სახე შენიშნა და გაოგნებულმა შემომხედა:

— Co pan miuvi! — იკითხა შეშფოთებით. ალბათ იფიქრა, რაღაცით ვერ ვასიამოვნე კლიენტით.

— უთხარი მაგას, — მომმართა ბაი განიუმ ისეთი ტონით, თითქოს მისი დაქირავებული თარჯიმანი ვიყავი, — უთხარი, წვერი დამიტოვოს, თანაც ბოლოში ისე შემომიკრიჭოს, როგორც ნაპოლეონსა ჰქონდა. გამიგე? ულვაში დამივარცხნოს და გამიფუფულოს. ხე-ხე-ხე-ხე... იტალიის ხელმწიფესავით, ხი-ხი-ხი! გინახავს დიხატული? აი, ზუსტად ასე ქნას, უთხარი მაგას.

მე ძალა არ მეყო, ზუსტად მეთარგმნა ბაი განიუს მოკრძალებული სურვილი, რაც პარიკმახერს დიდი სიძნელეების წინაშე დააყენებდა: ადვილი სათქმელია, სავარცხელ-სამართებლით დაამგვანო ვიღაც ნაპოლეონ III-სა და უმბერტოს, მერე ვინ?

მორჩნენ დავარცხნას. ბაი განიუმ ამოიღო ქისა, ერთხანს აპროწიალა თასმაზე ჩამოკიდებული, გახსნა, ჩაყო შიგ ხელი, მოიძია ერთი მუჭა ხურდა ფული, შეგვაქცია ზურგი, ქექა, ქექა მონეტები, ამოარჩია ერთი და გაუწოდა პარიკმახერს ისეთი გამომეტყველებით, თითქოს უბნება: აჰა, რაც არის, არის, აიღე და ნუ დაგავიწყდებიო. მონეტა ოცკრეციცერიანი იყო. მაგრამ, ეტყობა, მაინც შეშინდა — იქნებ მივქარე, ვაითუ დოყლაპიად ჩამთვალოსო, ხელი გაუწოდა პარიკმახერს და თითები აამოძრავა: ხურდა დამიბრუნეო. პარიკმახერმა სწრაფად გამოაღო მაგიდის უჯრა, ამოიღო ორი ათკრეციცერიანი, დაახეთქა მარმარილოს დაფაზე და შენობის შიდა ოთახში მიიშალა. მონეტები იატაკზე გაგორდა ბაი განიუ პირველად დაიბნა და უკან დაიხია, მაგრამ გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ დაიხარა, აკრიფა მონეტები და ჩაილაპარაკა:

— ასე თუ ფანტე ფული, კაი დახლი დაგიდგება! წავიდეთ აქედან, ერთი მაგათი! სულ წაგლეჯაზე უჭირავთ თვალი. სლავები, ვიცნობ მე მაგათ! ვერ მივართვი!

VI. ბაი განიუ ირიჩეკთან

— რაც ცვიატკომ გვიამბო, უფრო მოგვიანებით მოხდა, — მორიდებით დაიწყო ივანჩომ. — ვიცი, რომ ბაი განიუ აღრეც ყოფილა პრალაში, კარგა ხანს უცხოვრია იქ და ვარდის ზეთიც ბლომად გაუსაღებია. გინდათ მოგიყვეთ?

1 რას ამბობს პატონი? (ჩეხ.).

— თუ გაქვს რამე სათქმელი ბაი განიუზე, რას გვეკითხები, მოყვე, — ვუპასუხეთ ჩვენ.

— კეთილი. მაშინ მომისმინეთ. ბაი განიუ ვენიდან პრალაში ჩამოვიდა. გამოვიდა პერონზე ხურჯინაკიდებული და ქუჩას გაუყვა. მეეტლეები ერთმანეთს ეცილებოდნენ და თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ. ის კი უკვე დაქნივდა და ანიშნებდა, არ არის საჭიროო. მაგრამ თავის დაქნევა მათ უკანმორჩეს. წინად მიიღეს და ერთმა ფაეტონმა გზა გადაუღობა. ბაი განიუ გაჯავრდა, გადმოქაჩა თვალები და, გულმოსულმა, ხელების ქნევა დაიწყო. პოლიციელმა შენიშნა ეს და მეეტლეებს უბრძანა, თავი გაანებეთო. ბაი განიუმ ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, რანაირად გავიგო ისტორიკოს ირეჩეკის ადგილსამყოფელიო, ირეჩეკი კარგა ხანს ცხოვრობდა ბულგარეთში, უყვარს ჩვენი ხალხი, მივალ მასთან: „გამარჯობა — გაგიმარჯოს“ და იქნებ შემიბატიყოს. რატომ დავხარჯო ფული სასტუმროშიო. სანამ ბაი განიუ ამის განსჯაში იყო, წითელქუდიანი მებარგული წამოაღვა თავს და შესთავაზა, ხურჯინს წაგიღებთო. ბაი განიუმ თავის მხრივ პკითხა: სად ცხოვრობს ირეჩეკიო. მებარგულმა: არ ვიცო, მაგრამ დააიძედა, გავიგებო. მან ხელი ხურჯინისკენ წაიღო, მაგრამ ბაი განიუმ არ დაანება; ჯერ ერთი, შიგ ფლაკონები ეწყო და ხომ შეიძლებოდა მებარგულს ხურჯინიანად მოეკურცხლა, მეორეც, ხეირიანად აცვია და, ვინ იცის, ოთუსბირი დაშიფასოსო.

— თქვენ, ბატონო, წინ გამიძეხით, მე უკან გამოგყვებით, — ზრდილობიანად მიმართა ბაი განიუმ, — მოეშვით ხურჯინს, თავად წამოვიღებ.

ამგვარი თავაზიანობით ეწადა, მოექონა თავი მებარგულისათვის, თანაც ეჩვენებინა, რომ მის წინაშე ერთი უბირი, ღარიბი კაცი იდგა, რომელსაც ბევრს ვერაფერს გამორჩებოდა.

ისინი გაუყვნენ ქუჩას და ყოველ გზაჯვარედინზე ეკითხებოდნენ გამვლელ-გამომვლელს, სად ცხოვრობს ირეჩეკიო. ბოლოს ერთი მათგანი მიხვდა, რომ ისინი პროფესორ ირეჩეკს ეძებდნენ და მიასწავლა მისი ადგილსამყოფელი. წავიდნენ ნაჩვენები გზით და მიაკვლიეს პროფესორ ირეჩეკის ბინას.

ბაი განიუმ ესლა უთხრა მებარგულს: კარგად იყავი, გმადლობთო, და შევიდა ირეჩეკის ბინაში.

— ო-ო! გამარჯობა, ბაი ირეჩეკ! როგორ გიკითხოთ? ღვთის წყალობით ხომ ყველანი კარგადა ხართ? — მიეხმატკბილა ბაი განიუ მეგობრული ტონით და მასპინძელს კაბინეტში შეჰყვა.

განცვიფრებულმა ირეჩეკმა ხელი გაუწოდა და შეიბატიყა, — დაჯექითო, თანაც თავის მეხსიერებაზე კავრობდა, რომ ვერა და ვერ უკარნახა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს კეთილი მეგობარი.

— ველარ მიცანით? თქვენ ხომ სოფიაში მინისტრად იყავით? — შეახსენა ბაი განიუმ, რომელმაც ახლა ერთმანეთში აურიო „თქვენ“ და „შენ“.

— დიახ.

— პოდა, მეც იქაური ვარ, — კმაყოფილებით წარმოთქვა ბაი განიუმ, — როგორც იტყვიან, ერთი მიწა-წყლის შვილები. ხე-ხე-ხე-ხე! ასეა. გახსოვს „სლავიანინში“ გამოქვეყნებული სტატია?

1 თავის დაქნევა ბულგარეთში უარყოფის ნიშანია.

— დიახ, დიახ, მაგონდება, — თავშეკავებული თავაზიანობით უბასუხა ირეჩეკმა.

— როგორ შეგამკეს მაშინ, მაგრამ არხეინად იყავი... მიაფურონტე ყველაფერს. რა გაქვს საწუხარი, რომ იცოდე, როგორ გაქებდი... ირეჩეკი ასეთია, ირეჩეკი ისეთიაო, — გაპყვიროდნენ ისინი, — ნურას უკუგადაცემენ ბოდი, — არაფერი შეგეშალოთ!

ირეჩეკი კარგად იცნობდა ბულგარელებს და ოდნავადაც არ გაუკვირვებია ბაი განიუს მოუხრიდებლობას. ასეთი ტონით საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მერმე უფრო კონკრეტულ თემებზე გადავიდნენ. ბაი განიუმ შეაქო პროფესორის ბინა, აშკარად აგრძნობინა, ადგილიც მოიძებნება აქ, კაცმა რომ ღამე გაათიოსო. ილაპარაკა ბულგარელთა სტუმართმოყვარეობაზე, გამოთქვა სინანული: „სხვები, ეტყობა, ამ მხრივ არა ჰგვანან ბულგარელებს. მოგვივა სტუმარი, შევიპატიებთ შინ, არ მოვაკლებთ საქმელ-სასმელს, გავუშლით ლოგინს“. ირეჩეკი შეეცადა, დაერწმუნებინა ბაი განიუ, რომ მისი ოჯახი ვიწროდ ცხოვრობდა, მაგრამ ბაი განიუმ თავი მოიკატუნა, ვითომ ვერ გაიგო გადაკრულად ნათქვამი და განაგრძო საუბარი ბულგარელთა სტუმართმოყვარეობაზე. მერმე თავის სავაჭრო საქმეებს გადასწვდა და მასპინძელს აუწყა, გასაყიდად ვარდის ზეთი ჩამოვიტანეო.

— ხვალ, თუ გინდა, წამომყე ფაბრიკებში... მე თანახმა ვარ. თარჯიმნობას გამიწევ, შე ხომ ენა არ ვიცო, ჰა?

ირეჩეკმა აჩქარებით უბასუხა, მე ეთერზეთების ფაბრიკების ასავალ-დასავალი არ ვიცი, არც საამისო დრო მაქვს, მაგრამ, მიგასწავლი ბულგარელი სტუდენტების თავშესაყარს, რომელიმე მათგანი უთუოდ გაგიწევს ასეთ სამსახურსო.

— რა გაეწყობა, — უბასუხა ბაი განიუმ, — ძალით ვერ წაგათრევ. მე შენს ქალბატონს (აქ თუა) ერთ ფლაკონ ზეთს მივართმევ, შე ხომ მასაც ვიცნობ, აბა როგორ! (ირეჩეკმა ხელები გაასავსავა, რომელ ქალბატონზე მელაპარაკებო). და თუ აქ ნათესავ-მეგობრებოცა გყავთ, გადაეცით, რომ ზეთი მაქვს ჩამოტანილი, რა არის ამაში ცუდი? მალიმალ გინახულებო, ვისაუბროთ ბულგარეთზე. თუ ინებებო, თანახმა ვარ, თქვენსა დავიდო ბინა ჩემს გამგზავრებამდე, ჰა?

— მომიტევეთ, მაგრამ...

— მე ხომა ვთქვი, თუ ინებებო-მეთქი, — წამსვე უკან დაიხია ბაი განიუმ. — სასტუმროში მირჩევნია, მაგრამ მაინც, ვიფიქრე, ირეჩეკი ხომ ჩვენია-მეთქი.

— გმადლობთ ყურადღებისათვის. დიდი სიამოვნებით გიმასპინძლებდით, მაგრამ ვიწროდა ვართ დღეს ჩვენი სტუმარი ხართ და ერთად ვისადილოთ.

— კეთილი, რატომაც არ ვისადილებ, — დასტური მისცა ბაი განიუმ. — გამიგონია, თქვენი მოწყალება, თუმცა ჩემი არა, მაგრამ სულ ბულგარელთა თანამეინახე იყო. — ბაი განიუს გამოჩენისას ირეჩეკს სასწრაფო სამუშაო პქონდა და იძულებული გახდა, გადაეღო. მოუსვენრად იჯდა, აღარ იცოდა, რანაირად მოეხერხებინა თავაზიანად ტკბილმოუბარი სტუმრისაგან თავის დაღწევა. დარეკა და მსახურს უბრძანა — შინაურებს უთხარი, ბულგარეთიდან სტუმარი ჩამოგვივიდა-თქო. მალე მასპინძლის დედაც გამოჩნდა. ბაი განიუმ ოდნავ წამოიწია, ორჯერ მიიტანა შუბლთან ხელი, ზრდილობიანად წარმო-

თქვა: „ო, გამარჯობათ, ჯანი და სიცოცხლე მოგცეთ, მოდით, ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს, აი, ასე, ბულგარულად. ხომ კარგად? სასიამოვნოა“.

მოხუცი ქალბატონიც თავაზიანად მიესალმა და მისცა რამდენიმე შეკრთვა, რითაც სტუმრის სამშობლოსადმი ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა.

— აბა, მითხარით გულახდილად, — ჰკითხა ბაი განიუმ, — სადა სკობია — პრალაში თუ სოფიაში?

ქალმა არ იცოდა, რა ეპასუხა, რადგან სოფიაში არასდროს ყოფილა. ბაი განიუმ კი შეკითხვისას ეშმაკური ღიმილით გადახედა ირეჩეკს, თითქოს აურდა ამით ქალებზე თავისი თვალსაზრისი შთაეგონებინა: „დედაკაცს აბა რა უნდა ელაპარაკო“.

— მისი მოწყალება დღეს ჩვენთან ისადილებს, — უთხრა დედას ირეჩეკმა და მერმე გერმანულად მიმართა, — გაიყვანე აქედან, მუშაობის გაგრძელების საშუალება რომ მომეცესო. დიასახლისმა სტუმარი მეზობელ ოთახში შეიპატიჟა. ბაი განიუმ ჯერ ირეჩეკს შეავლო გამკრიახად თვალი, მერმე ფლაკონებით სავსე ხურჯინს და წარბი შეიკრა, თითქოს ვითარებას სწონისო. „რალაც გადაულაპარაკა გერმანულად, მაგრამ ვინ იცის, რა არა, არა მგონია, ყველაფერს ქრომ დავანებოთ, მინისტრად ნამყოფია ჩვენში. თუმცა არც მინისტრებისაგან მინახავს სიკეთე, მარა მაგას შეიძლება ენდოს კაცი“. მერმე წამოდგა და მიჰყვა მოხუცებულ მანდილოსანს უკან, მაგრამ კართან რომ მივიდა, მოიხედა, შეეცადა მასპინძლების გამოშეტყველებისდა მიხედვით ჩასწვდომოდა მათ ზრახვებს და დაინახა, სწორედ იმ წამს რალაც ანიშნა დედა-შვილმა ერთმანეთს, რაც შემდეგს გულისხმობდა: „შეეცადე, შეიყოლიო როგორმე, ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს“, — მაგრამ ბაი განიუმ სხვაგვარად გაიგო.

— ეს ბარჯი, ალბათ, ხელს გიშლით, — თქვა ჯდა თვალით ხურჯინზე ანიშნა.

— ო, სულაც არა, გეთაყვა, ნუ შეწუხდებით, — უპასუხა ირეჩეკმა.

— არა, ვიცი, რომ გიშლით, მოიტა, გავიტან მეორე ოთახში, — ბაი განიუმ ხელი გაიწოდა ხურჯინის ასაღებად, მაგრამ მასპინძლები ზრდილობიანად წინააღმდეგნენ.

— განა ვშიშობ რამეს, არა ასე აჯობებს.

დიასახლისმა ბაი განიუმ სასტუმრო ოთახში გაიყვანა, გამოიხურა კაბინეტის კარი, რომ ხმაურს ნაკლებად შეეღწია იქ და შეუდგა სტუმრის გართობას: გამოუტანა ალბომები, სურათები, წინ დაულაგა ილუსტრირებული ჟურნალების მთელი დასტა, მაგრამ სულ სხვა რამით იყო მოცული ბაი განიუმს ფიქრი და დიასახლისის ყოველგვარ ზრდილობიან გულმოდგინებას მოჩვენებითი გულგრილობით უპასუხებდა.

— არ არის საჭირო, გმადლობთ, თავად დაათვალიერეთ, მე ასეთი სურათები და პორტრეტები ბევრი მინახავს. ისე ნუ მიყურებთ, ახალგაზრდა რომა ვარ.

მოთმინებადაკარგულმა ბაი განიუმ დახედა თავის ვერცხლის უზარმაზარ საათს და ერთობ საინტერესო საუბარი წამოიწყო:

— ძალიან მაინტერესებს, შევისწავლო ევროპა, მისი წეს-ჩვეულებანი. აი, ვთქვათ, ახლა ჩვენთან შუადღეა — სადილად სხდებიან. თქვენთან, ევროპა, სხვაგვარადაა. მაგალითად, თქვენ როდის სადილობთ?

— ჩვეულებრივ ხუთზე, მაგრამ დღეს, შესაძლოა, უფრო ადრე დავსხდეთ — უპასუხა დიასახლისმა და გავიდა.

მარტო დარჩენილი ბაი განიუ შეუდგა სურათების დათვალიერებას, დროდადრო იატაკზე დაფენილ ნოხზე აფურთხებდა (შიმშილის გამო კი არა, ისე, უბრალოდ), ნაფურთხს ჩექმის ლანჩას უსვამდა და კაბინეტში უსვლელ ჩქამსაც ყურდაცქვეტილი უსმენდა. უცებ მოესმა, რაგორ წამოდგა ირეჩეკი სკამიდან, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა. „სულელი ვარ, რატომ არ გამოვიტანე ამ ოთახში ხურჯინი“? ბაი განიუ ვერ ისვენებდა სკამზე. ბოლოს მოთმინება აღარ ეყო, წამოდგა, ფეხაკრეფით გაიარა ნოხზე, ყური მიადო საკეტის ჭუჭრუტანას და მიაყურა, მაგრამ საკუთარი აჩქარებული გულისცემისა და ყურებში სისხლის შხუილის გარდა ვერაფერი გაიგონა. მაინც ვერ მოისვენა. საკეტის ჭუჭრუტანიდან არაფერი ჩანდა. იგი დააწვა კარის სახელურს, შეაღო და თავი შეყო. ირეჩეკი ხურჯინის მახლობლად, წიგნების ერთ-ერთი კარადის წინ ჩამუხლულიყო ბაი განიუ გაიღრიჭა.

— ხი-ხი-ხი-ხი, მუშაობთ, მუშაობთ ხომ ხი-ხი-ხი! ვიფიქრე, მოდი ერთი შევიხედავ-მეთქი. იმუშავეთ, იმუშავეთ, არაფერია, კარს ახლავ გავიხურავ.

ირეჩეკმა გაკვირვებით შეხედა, რადგან ვერაფრით მიმხვდარიყო სტუმრის ასეთი უცნაური ცნობისწადილის მიზეზს.

გააწყვეს სუფრა. შევიდნენ სასადილო ოთახში. შემოუსხდნენ ტრაპეზს: ირეჩეკის შშობლები, მისი და, ბაი განიუ და თავად ირეჩეკი. პურობის წინ ბაი განიუმ პირჯვარი გადაისახა. იწერს პირჯვარს, თან ეღიმება, ცდილობს მასპინძელს აგრძნობინოს, რომ არც ხამია და არც ისეთი ღვთისმოსავი, მაგრამ არც მთლად უკეთური (ეშმაკს თუ ეგუებო, მამალმერთსაც უნდა უკმით გუნდრუკი!).

— მე ლებერალი ვარ, ლებერალურ პარტიას ვეკუთვნი, — განმარტა ბაი განიუმ, — მაგრამ ხანდისხან პირჯვარს მაინც ვიწერ. რა არის ამაში ცუდი. ყველანი ღვთის გაჩენილები ვართ. ეს რაღაა, წვნიანი? ნამეტანი მიყვარს! ჩორბა თურქულია, ჩვენში ახლა უფრო წვნიანს ეტანებიან. ახ, პარდონ, მომიტევეთ, სუფრა დავისვარეთ. ც... ც... ც... ახ, ეს რა მომივიდა.

ცივილიზებულ კაცად თავის მოჩვენების დაუოკებელმა სურვილმა ბაი განიუს ისე აურიო დავთრები, რომ წესისა და რიგისამებრ ვერ ჩამოართვა დიასახლისს წვნიანით სავსე მათლაფა და თითქმის მთელი კერძი მაგიდაზე დაღვარა. მაგრამ მაშინვე შეუდგა კოვზით დაღვრილი წვნიანის მოგროვებას და მათლაფაში ჩასხმას, თანაც ისე მარიფათიანად, რომ ვერც კი მოასწრეს შეეშალათ ხელი. დიასახლისი შეეცადა, დაეშალა სტუმრისთვის წვნიანის შეჭმა, მაგრამ მან თავაზიანად დააფარა მათლაფას ორივე ხელი და არ დაანება გამოცვლა.

— ხურჯინში წიწაკა მაქვს, — განაცხადა მოულოდნელად ბაი განიუმ. მას საშინლად მოუნდა ერთი ცალი წიწაკა ჩაეფშვნა წვნიანში, რადგან მისი სტომაქის გემოვნებისამებრ არ იყო შეკმაზული და მარილიც აკლდა, მაგრამ წამოდგომა და ხურჯინიდან წიწაკის ამოღება მოეკრძალა, არ იფიქრონ ჩემზე, გაუთლელი და ხებრეაო. ამიტომ ჯერ ნიადაგი მოსინჯა.

— მართლა? წიწაკა გაქვთ? — გამოეხმაურა ირეჩეკი.

— აბა რა, წიწაკა ყოველთვის თანა მაქვს. ხომ იცით: „ბულგარეთო, საყვარელო დედავ“, რა გამაძლებინებს ცხარე თუ არ მექნა, — უპასუხა ბაი

განიუმ ირონიულად და გაბედულად წამოხტა, შეირბინა კაბინეტში, გამოათრია ხურჯინი, ჩაცუცქდა ზურგშექცევით და მაგიდაზე ორი წიწაკა დადო.

— ორი ცალი ხუთს გვეყოფა. საშინელი ცხარეა, — განაცხადა მან, თან ნახევარი წიწაკა მარცვლებიანად ჩაუძახა მათლაფაში, დანარჩენი კი მასპინძლებს შესთავაზა. — აჰა, გთხოვთ, ჩაიყარეთ წვნიანში, ხე-ხანძრებს ბუღბუღი გართულად! არა, არა, დამიჯერეთ, ნახავთ, რანაირი შექამადი გამოვა, თქვენს კარს გაძალებთ, ძალად მაცხონე კი არა ვარ, მიყურეთ, როგორ ჩავფშვნა, ნახეთ, რა არის ნამდვილი წვნიანი.

მართლაც, ბაი განიუმ წიწაკით ისე შეაზავა წვნიანი, რომ მიუჩვეველ კაცს მთლად დაუთუთქავდა გულ-მუცელს — და დაუწყო ხვრება. ბულგარელი ჭამას რომ იწყებს, ხუმრობა არ გეგონოთ: სამასი ძალი ერთმანეთს რომ წაეკიდოს, ამნაირ ხრაბა-ხრუბს მაინც ვერ ჩაახშობს. ბაი განიუს შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაეცვარა და შესაძლოა მათლაფაშიც ჩაუცვივდა. მოხვრებდა ერთხელ, დადებდა კოვზს, ერთი-ორჯერ მოკბეჩდა პურს მისატანებლად, შერბე ისევ მოიმარჯვებდა კოვზს, მოხვრებდა წვნიანს, აათუთხუნებდა ცხვირს და კვლავ ჩაკბეჩდა ორჯერ.

— მომეცით კიდევ პურის ერთი ნაჭერი. თქვენ, რა, უპუროდა ჭამთ? — გაკვირვებით შენიშნა მან, — ბულგარელს პური უყვარს. ჩვენ ბევრ პურს ვჭამთ. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, ასეთ ჩორბას, პარდონ, ასეთ წვნიანს მთელ პურს მივატან, ნაძლევს დავდებ. — ნაძლევი არ დაუდევთ, მაგრამ ბაი განიუმ უიმისოდაც ბლომა პური მიირთვა.

— ეს ღვინო სადაურია? — იკითხა ბოლოს, იმად კი არა, ვითომ მართლა აინტერესებდა პასუხი, არა, ისე, უბრალოდ, კიდევ რომ შეევესოთ მისთვის ქიქა.

— ნაყილია, — უპასუხა მასპინძელმა, — მოგწონთ?

— უპ. მირონია! ნაყილიაო? მომაწოდეთ ეგ ბოთლი. ამ წიწაკამ ცაცხლი გამიჩინა სტომაქში, თითქოს გავარვარებულ შანთი მედოს შიგ. მაგ ბოთლს ხახაში ჩავიპირკვავებ და მუცელში აშუშხუნდებ. ეხ, რა ღვინო გვაქვს! კვარტს უყიდის კაცი ნახევარ ლევად, გადაპკრავ და ცაში ხარ თუ მიწაზე, ვეღარ გაიგებ. ახ, ამომაბოყინა, გთხოვთ მომიტევეთ. ცოტა არ იყოს, უხერხულად გამომივიდა, პარდონ! ეს ადამიანური სისუსტეა. თავს ვერასგზით შეიკავებს კაცი.

ბაი განიუს წყალობით სადილმა ძალზე ხალისიანად ჩაიარ. ყავა სასტუმრო ოთახში მიართვეს. გემრიელი და, რაც მთავარია, მაძღრისი სადილის საწევლოდ ბაი განიუმ გადაწყვიტა, ირეჩეკისათვის თუთუნი მიერთმია და ამით გამოეხატა მადლიერება, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ხურჯინში ჰქონდა შენახული. თუმცა, მართალი რომ ითქვას, სათუთუნე ჯიბეში ედო, მაგრამ ის საბაბს ეძებდა, რომ ხურჯინი შეემოწმებინა. არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ფლაკონები უცხო სახლში. განა ცოტა რამე ხდებდა ქვეყანაზე? ბაი განიუმ მოსმენაც არ ისურვა, როცა მასპინძელმა გადაჭრით უთხრა უარი თუთუნის მიღებაზე, „რას ამბობ, ძვირფასო, ბულგარული თუთუნი არ უნდა გასინჯო?“ ბაი განიუ აბოლებდა, თან სიამოვნებით ხვრებდა ყავას. აი, ნამდვილი ხვრება ეს იყო. ჩინებულ გუნებაზე დადგა ბაი განიუ. ასე გაატარა თანამოსაუბრეებთან მთელი საათი. იჯდა ოჯახში და უცხოთავანი მის ლაპარაკს არავინ უსმენდა. რომც მოესმინათ, მაინც ვერაფერს გაუგებდნენ. ასეთ ხელ-

საყრელ ვითარებაში თავის შეკავება და პოლიტიკური საუბრით გულის მოთხებაზე უარის თქმა ბაი განიუს ძალას აღემატებოდა.

— ერთი ეს მითხარი, ბაი ირეჩეკ, შენი მოწყალება ~~ლუბერაძის~~ თუ კონსერვატორი, ჰა? ალბათ, კონსერვატორი ხომ? მე თუ მკითხავ, არც ერთი უქნია ღმერთს და არც მეორე. ეშმაკმა იცის მაგათი თავები, ~~საქუთარი~~ საქუთარი გულის ქიას ახარებს. ხომ იცი, ეს სახუმარო საქმე არ არის — ალღებ-შიცემობაა. მართალი რო გითხრა (ჩვენს შორის დარჩეს)... მართალი რო გითხრა, ორივენი უნამუსოები არიან... მისმინე, ნუ გეშინია, უნამოსოები არიან და მეტი არაფერი! მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავს. პატარა წარმოება მაქვს, ვვაჭრობ, ჰოდა, არაფითარი სასამართლო პროცესი არ შეიძლება ჩემთვის, მათთან თუ არ დაიჭირა კაცმა საქმე, დალუბულია. ხომ გინდა დეპუტატად ან ქალაქის თავად აგირჩიონ. შემოსავლიანი თანამდებობაა. იცი, იქ ეს ხალხი ფულს შოულობს? თუ ქუდს არ მოუხდი და პატივს არა სცემ, ვინ ეშმაკი აგირჩევს. ასეთ საქმეებში მეც გამეგება ცოტა რამ...

ირეჩეკს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისი სტუმარი ჭიპმოჭრილი იყო „ამნაირ საქმეებში“.

VII. ბაი განიუ სტუმრად

როცა ირეჩეკის ბინაში დარჩენის იმედი საბოლოოდ გადაეწურა, ბაი განიუმ აიკიდა ხურჯინი, ყური აღარ ათხოვა მასპინძლის აჯას — სანამ სხვაგან დაბინავდები, ბარგი აქ დატოვეო — და მსახურის თანხლებით ყავახანა „Narodni kavarna“-სკენ გაეშურა. შვიდი საათი იქნებოდა, როცა ხურჯინგადაკიდებული და თავზე ქუდმოგდებული ბაი განიუ ყავახანას მიადგა. აბა, რანაირად შეიძლებოდა, არ ეცნოთ მაშინვე და არ გაეგოთ მისი სადაურობა. შესასვლელთან ხელმარცხნივ პატარა მაგიდას რამდენიმე ბულგარელი სტუდენტი შემოსხდომოდა. ერთმა მათგანმა ყავახანაში შემოსული თანამემამულე რომ დაინახა, დანარჩენებს ანიშნა და დაიძახა:

— ბულგარელი, ბულგარელიო!..

ყველა ერთად შემობრუნდა მისკენ, როცა ფინჯნებიანი ლანგრით ხელში მიმავალი კელნერი გააჩერა და უცხოელისთვის უკეთ რომ გაეგებინებინა, საშინლად დაუწყო დვლარქნა ბულგარულ სიტყვებს. მერმე ხმამაღლა იკითხა:

— სად არიან აქ ბულგარელი ბიჭები?

მხარმარცხნივ თავშეყრილი სტუდენტების მეგობრულმა სიცილმა რამდენადმე შეანელა კელნერის გაოცება. ბაი განიუ მობრუნდა და შეიცნო შავთვალწარბა, შავქოჩორა ბულგარელი თანამემამულენი.

— ო-ო! გამარჯობა თქვენი! აი, სადა ყოფილხართ! — წარმოთქვა გულწრფელად გახარებულმა. მოიხსნა ხურჯინი და სტუდენტებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი. — რას მომჩერებიხართ? ნუ გეშინიათ, ბულგარელი ვარ. მიიწით ცოტა იქით, ჩამოვჯდები.

— რა გვარი ბრძანდებით, ბატონო? — დაინტერესდა ერთი სტუდენტი.

— მე?.. რას შეკითხები? განიუ ბალკანელი ვარ. ჩამოვედი თქვენს პრადაში და გასაყიდად ცოტა ვარდის ზეთი ჩამოვიტანე. აგერ მიდევს ხურჯინში.

— ნუთუ? — პატრიოტული ალტკინებით წამოიძახა სტუდენტებში ყვე-

ლაზე უმცროსმა. — აბა, გვაჩვენე. — მან ძალზე ცოტა რამ იცოდა ვარდის ზეთზე.

— რა არის აქ საჩვენებელი? ზეთი ზეთია, — უბასუხა ბაი განიუს, — ეს თქვენი საქმე არ არის. თავი დაანებეთ ზეთს. მაგას ჯობია მითხრათ, ხად და-ვიდო ბინა? ახლაზან ირეჩეკთან ვიყავო...

— ნუთუ? — კვლავ წამოიძახა ალგზნებულმა სტუდენტმა.

— რა არი ეგ „ნუთუ?“ ვითომ არ მიმესვლებოდა? მივედი, ვიფიქრე, ადამიანობას გამოიჩენს, ამ საღამოს სტუმრად მიმიპატიეებს-მეთქი. ის კი მეუბნება, ბინაში ვიწროდა ვართო. მეო ესაო, ისაო, მიყვარს ბულგარელე-ბიო... უყურე შენა! საცა გამოიჩენაა, იქ ბაი განიუსაც შეუძლია სიყვარული. ასე უნდა დაუხვდეს ბულგარელს? ბულგარელს, კაცო? ტყუილს ვერ ვიტყვი, მასვა, მაჭამა, მარა რა ჭამა. რაც არის, არის, ჯანდაბას იმისი თავი ბულ-გარელს ვინ დაუდებს ტოლს სტუმართმოყვარეობაში, ერთი ოთახიც რომ ჰქონდეს, ღამეს მაინც გაგათევინებს.

სტუდენტები მიხვდნენ, საით უმიზნებდა ბაი განიუ და ყოველ წამს ელ-ოდნენ, როდის გაანდობდა მათ გულისწადილს. მხოლოდ ალგზნებული სტუ-დენტი აღიქვამდა მის სიტყვებს ხალას ჭეშმარიტებად და დაუფარავად იზიარებდა მის გულისწყრომას უცხოელთა პურძვირობის გამო.

— ჭეშმარიტად, ბულგარელებს ვერაფერ შეეძრება სტუმართმოყვარეო-ბაში, — დაუდასტურა მან შეუფალი გულდაჭერებით, — აქ ჩვენ კაცად არა-ვინ გვაგდებს. ასე ვმყავდებით ამ ყავახანაში.

ამ სიტყვების მთქმელი საკმაოდ ცივილიზებული ყმაწვილი გახლდათ, მაგრამ ამხანაგებს შორის ნდობით რატომღაც ვერ სარგებლობდა. ეტყობა, რაღაცით სცოდავდა მათ წინაშე. სხვათა შორის, ბევრი ამბობდა: ფულის შოვნაზეა გადაგებულიო, არც იყო გასაკვირი! ოჯახურ გარემოში გავრცელებული ეს ბილწი მანკიერება—მომხვეჭელობა—ღამის ბავშვობიდანვე სენივით დაჰყვა. ეს სენი ფიტავს ყმაწვილის სულს, გულცივ ეგოისტად აქცევს და აღარაფერს უტოვებს ფაქიზსა და კეთილშობილურს. მატერიალური დაინტერესება წარ-მართავს მთლიანად მის მოქმედებას, განსაზღვრავს ირგვლივ მყოფთა მიმართ დამოკიდებულებას, რასაც არანაირი მორალური განსჯა არ უძღვის წინ და არც არავითარი სინანული არ ახლავს მის მიერ გამოწვეულ შედეგს. იგი მთე-ლი არსებით შეპყრობილია მოგების წყურვილით, არაფერს თაკილობს ამ მიზნის მისაღწევად მაშინაც კი როცა მისი საქციელი უბედურებასა და შერცხვენას უქადის სხვას. ნაცვლად სინდისის ქენჯნისა, ეგოისტი-მომხვეჭე-ლი კმაყოფილებას განიცდის, თითქოსდა მოყვასის დაღუპვა მისთვის სახე-ირო იყოს, ხოლო სხვისი უბედურება კეთილდღეობის მომტანი. მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა ჩვენს თავკერძ ახალგაზრდას — არავის ეჯობნა გაიძ-ვერობაში. სხვა ხალხების ცნობიერებაში სიტყვა „გაიძვერა“ „შაკვარს“, „ვე-რაჯს“ ესინთნიმება და საზოგადოების გაკიცხვას იმსახურებს. ჩვენში კი ეს ეპითეტეი ღირსების გამოხატვაა: „შეზე, როგორი ეშმაკი დადგა ბიჭი, მამის სიხარულია, ვერაფერ გააცურებს, ყველა გაასულელა, ბარაქალი, დიდებულია!“

ბოლკოვის თვალში — (ამ გვარისა გახლდათ სტუდენტი) არავითარი აზრი არა ჰქონდა მოქმედებასა და ურთიერთობებს, თუ მათგან არ მოელოდა „გა-მორჩენას“, „ხელის მოთბობას“ (გვხვდება კი ევროპულ ენებში ასეთივე გა-გებით მსგავსი გამოხატუებები?!). იგი დაიარებოდა იქაურებთან, მაგრამ არა

ურთიერთობის დამყარებისა და ცივილიზებული ხალხის გაცნობის სურვილით. ადგილობრივი საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი ინტერესები არა თუ არ იზიდავდა, პირიქით, მძიმე ლოდან აწვა. ყოველივე ეს მოსაწყენ, მტანჯველ წინააღმდეგობას წარმოადგენდა მისთვის, რადგან, ელოებოდა მის მიზანს — მასპინძელთა ხარჯზე სიამოვნებისა და გართობის უზრუნველყოფად ვერ წარმოედგინა ქალის გაცნობა იდუმალი ჩანაფიქრის ბუნებრივი სურვილი და ატარებდა ქალიშვილების გრძელ სიას, რომელშიც აღნიშნული იყო, ვის რანაირი მზითუვი ჰქონდა, სხვა მხრივ ისინი არაფრად აინტერესებდა. მატერიალური დაინტერესებით განისაზღვრებოდა ამხანაგებთან ურთიერთობაც. მლიქვნელობა, აყუიაობა, წერილმანი ინტრიგები, დასმენა მის წარმატებათა იარაღს წარმოადგენდა. ისეთ ცნებებსაც, როგორცაა ეროვნული და ნათესაური სიმპათიები, პირადი გამორჩენის მიღწევის საშუალებად იყენებდა. არა ერთხელ ჩაუყვია ხელი სლავური კომიტეტების სალაროში როგორც „ბატაკიდან ჩამოსულს“, ხანაც როგორც ემიგრანტს. მაგრამ ისეთ საქმეებში უფრო ასლანოვს გახლდათ დახელოვნებული.

აი, რანაირი იყო ფიცხი სტუდენტი, რომელმაც თანაუგრძნო ბაი განიუს ჩივილს უცხოელთა პურძვირობის გამო.

— დასტურ, ვმყავდებით ამ ყავახანაში, არც არავინ გვებატოვება სტუმრად, — გაიმეორა მან, რათა ბაი განიუსთვის ესიამოვნებინა.

— აბა, სხვაგან სად უნდა დამყავდე? — შეეკითხა დამცინავი ღიმილით გულდვარძლიანი გამომეტყველების ერთი სტუდენტი, რომელიც, ალბათ, კარგა ხანია ფარულად ატარებდა გულში თავკერძა ამხანაგისადმი სიძულვილს. — ხომ არ გნებავს, ხელისგულზე დაგისვან? მერედა რისთვის? იმიტომ ხომ არა, იმათ სახლში შესვლისას დერეფანშივე რომ აეკიდები პირველსავე შემხვედრ მსახურ ქალს? ანდა იმიტომ, საზოგადოებაში კუნაივით რომ დუმხარ და თუ პირი დააღე, მაშინვე სიბრიყვესა და უხამსობას წამოროშავ? იქნებ იმიტომ, რომ პირში ქებით ცამდე აყავს ისინი, ზურგსუკან კი მათზე აყუიაობ? იქნებ იმიტომ, რომ მილიონური მეფაბრიკის, ხან კი გემთამფლობელის ვაჟიშვილად მოგაქვს თავი, თვალი რომ დაუბრძავო მასპინძლებს და მათ ქალიშვილებს თავბრუ დაახვიო? მამაშენს კი სირძის საქსოვი თრიოდე დაზგისა და ორი ძირგავარდნილი ნაგის მეტი არაფერი აშავია. ვის დაქარგვიხარ? ვისთვის რას წარმოადგენ? ვის ძირი არფასში მაგ შენს ბულგარულ სტუმართმოსყვარტობას? და რაში გამოიხატება ეს შენი ნაქები სტუმართმოსყვარტობა? ნუთუ იმაში, რომ ქუჭვიან ზეწარს დაჯიფენენ და ზემოდან საექვო საბანს დაგახურავენ? მოეშვი, თუ ღმერთი გწამს, მაგ სულელურ თავის ქებას, დროს გამოვახილოთ თვალი.

— რამ გაგაცეცხლა? — შენიშნა ერთმა სტუდენტთაგანმა, — იშოვე რა შენაც ღიანძღვა-გინებისათვის დრო, სტუმრისა მაინც არ გერიდება?

— გაუშვი, ილაპარაკოს, ფულს ხომ არ გთხოვს? — წარმოთქვა დასამშვიდებლად ბაი განიუს, მიმართა რა თავის საყვარელ არგუმენტს: „ფულს ნუ მომთხოვო“. თქვია რაც გინდა, ავეთე, რაც მოგეხასიათება, ოღონდ ფულს ნუ მომთხოვ, კიბეში ნუ ჩამიძვრები, სუ შეეხები ჩემს ინტერესებს. იცრუე, რამდენიც გინდა, ოღონდ ფული არა მომთხოვო.

ამ წალაპარაკების შემდეგ მეგობრული საუბარი გელარ აეწყო. ყველანი გაჩუმდნენ და ერთი მეორასს მიყოლებით წავიდ-წამოვიდნენ. ბულგარელთა-

გან დარჩნენ მხოლოდ განიუ და ფიცხი სტუდენტი, რომელიც შიშობდა ხელიდან არ გაეშვა ეს შემთხვევა და რაიმეს გამორჩენოდა ვარდის ზეთით მოვაჭრე ბულგარელს. გულმა გული იცნო.

არ გასულა საათი და სტუდენტმა უკვე მოასწრო, ისეთი ფერებით დაეხატა ბაი განიუს თვალში ამხანაგები, რომ ამ უკანასკნელმა მათემატიკის ფორმულა წამოიძახა: „უკურე ესაა მაგ ძაღლის ლეკვებს!“

გავიდა კიდევ საათი და ბაი განიუ უკვე სტუდენტის ოთახში იმყოფებოდა. ყმაწვილმა ძაღზე მარჯვედ გამოიყენა ეს ვიზიტი. მან ბაი განიუ სახლის პატრონებს წარუდგინა, როგორც თავისი ნათესავი, ვარდის ზეთის ფაბრიკების მფლობელი მილიონერი და დიასახლისს სესხად ათი გულდენი დასტყუა, მიუხედავად იმისა, რომ იმ თვის ბინის ქირა გადახდილი არა ჰქონდა. ვიდრე სტუდენტი ერთ ოთახში ქებას ასხამდა ბაი განიუს სიმდიდრეს, ბაი განიუმ მეზობელ ოთახში გაიხადა ანტერია და გულმოდგინედ ეძებდა შიგრაღაცას, თან ცხვირში დუღღუნებდა — ისევ მომრავლდნენ ეს წყვეული მხეცუკებიო.

სოსუფთავეზე ბაი განიუს თავისი წარმოდგენა ჰქონდა... განა შეიძლება კაცმა უმწეროდ გაძლოს? — გვმოძღვრავდნენ მოხუცები და ამ აქსიომით დამშვიდებული ხალხი მაინცადამაინც აღარ უშლის ხელს პარაზიტების გამრავლებას. ესეც რომ არა, რატომ უნდა მოიკლო ასეთი/სიამოვნება: აცხუნებს მზე, მაგრამ რაში ვარგია მზე, თუ არ გახკალ აივანზე, არ გაწვები მტვრიან ქილობზე და მისგან ამდგ რი ბული ორ-სამჯერ მაინც არ დაგაცემინებს? მოვა მერე შენი დედაკაცი, თავს კალთაში ჩაუღებ, ის კი თმებში შეგიცურებს ვრძელ, ჩამავეებულ ფრჩხილებიან თითებს და თითქოს ბრინჯსა ბლოლავსო; ტკაცს და — ეძლევი განცხრომას... დამფრთხალი მხეცუკები აფუსფუსდებიან, დაიწყებენ შენს თავზე ცოცვას — გსიამოვნებს მათი ლუტუნი, დედაკაცი წამოიწყებს სიმღერას, მზე კი ბალკანეთს ეფიცხება. იდილიაა!

ენტომოლოგიურ გამოკვლევას რომ მორჩა, ბაი განიუმ გაისწორა ტანსაცმელი და დაუკაკუნებლად შეალო მეზობელი ოთახის კარი, მაგრამ წამსვე უკუიქცა და წამოიძახა:

— პარდონ!

საამისო მიზეზიც ჰქონდა: სტუდენტი და სახლის პატრონის ქალიშვილი მეტად ნაზ risavis-ზე შეისწრო, როგორც შეშვენის ორ ახალგაზრდა შეყვარებულს. ისინი ჩახუტებულები იყვნენ.

ვარდისფრად ალუწილი ქალიშვილი მეორე ოთახში გავარდა.

— რატომ შემთხვედი ასე? — შერცხვა ჭაბუკს.

— გემრიელი ლუკმა ჩაგვიღია ხელში! — იღუმალი ხმით წასჩურჩულა ბაი განიუმ და თვალები მოხასტრის კატასავით აუკიაფდა. — სანდომიანია, დალახეოოს უშმაკმა. მსახურიო?

— რას მიქვიან მსახურო, სახლის პატრონის ქალიშვილია!

— რანაირად უნდა გამოიცნო, რომელია მსახური, რომელი ქალბატონი: ყველა სახეგაწკრიალეებულია, სუფთად ჩაცმული. მოდის შენსკენ ვიღაც, მარილიანად ვილიძის, გვონია, მსახურია, აეტორლიალები და ხათაბალას გადაყრები. ახლა მეორე შეგხვდება მოკრძალებული, მშვენიერი, ქალბატონივით მორთულ-მოკაწმული, წამოდგები, სკამს შესთავაზებ, ის კი წითლდება, ჩამოუვდებ პოლიტიკაზე ლაპარაკს და ჩექმების წმენდას დაგიწყებს...

სტუდენტის ნაამბობიდან, რომელსაც მეტი შთამბეჭდაობის, ძალისა და მნიშვნელობის მისანიჭებლად თან ახლდა მრავალგვარი ექსტეზის აკომპანი- მენტები, ბაი განიუმ შეიტყო, რომ ყმაწვილი, ეს რამდენიმე თვე, შეუპოვ- რად უტევდა ქვრივი დიასახლისის ქალიშვილს.

— ეგ ჩერჩეტი, — განუმარტა სტუდენტმა, — დარწმუნებულია, ცო- ლად შევირთავ. დაე, ეგონოს, ოღონდ კარგად შემინახოს და მიეკრძას სა- ლამური პერანგები. მდიდარი რომ იყოს, რატომაც არ შევირთავ. ეგ კი ჩემ- სავით გუდამშიერია. თავს მევლება, მდიდარი ვგონივარ. რომ იცოდეს, ვინ- ცა ვარ, ზედაც არ შემომხედავს. საშინელი გაქნილები არიან აქაურები. მაგ- რამ მე ვიცი, როგორც უნდა თავის დაძვრენა. — და ყმაწვილმა დაწვრილე- ბით და ვრცლად დაიწყო იმის მოყოლა, როგორ აბიაბრუებდა სახლის პატ- რონებს.

— ყოჩაღ, — წამოიძახა ბოლოს ახალგაზრდა თანამოსაუბრით ალტაცე- ბულმა ბაი განიუმ.

— მოიცა, ჯერ არ მითქვამს ყველაფერი, მარტო მაგაზე ლაპარაკი არცა ღირს. მე სხვა, სულ სხვა მყავს მხედველობაში. აი, იმას თუ ავუბნიე თავგზა, დიდებული იქნება. მდიდარია. ხვალ მათან ვარ დაპატიუებული, პიენიკზე ერთ სოფელში.

— ფაბრიკაში როდისღა წამიყვან? — ჰკითხა პრაქტიკულმა ბაი განიუმ.

— რა დიდი საქმე ეგ არის. ზეგ წავიდეთ. ხვალ აქ იყავი, არ მოსცილდე მაგათ. რომ გაიგებენ, ენა არ იცი, რესტორაციაში არ გაგიშვებენ, მუქთად, ძლომისად ჭაჭმევენ.

მართლაც, მეორე დღეს სტუდენტი დილიდანვე წავიდა სტუმრად. ბაი განიუმ მარტო დარჩა სახლის პატრონებთან. ჩვეულებისამებრ, ადრინად ადგა გააცილა ძმაკაცი და მთელი საათი ელოდა, როდის გაიღვიძებდნენ ქალები, გაუჭირდა ლოდინი: შეაწუხა ბუნებრივმა მოთხოვნილებამ. დაავიწყა, სტუდენ- ტისთვის ეკითხა, სად იყო საამისო ადგილი. ძალაუნებურად ელოდა შინაუ- რების ადგომას, რომ შეეჩივლა თავისი საჩოთირო გასაჭირი. ძალზე ცუდია, როცა ენის უცოდინარი კაცი საზღვარგარეთ ჭარ და უბრალო შეკითხვასაც ვე- რავინ გაგიგებს, იძულებული ხდება, ხელებით, თითებით აუხსნა და ანიშნო სათქმელი, მაგრამ ასე ყველაფერს ხომ ვერ გააგებინებ. ბაი განიუმ იცოდა ენები: თურქივით ლაპარაკობდა თურქულს, ესმოდა რუმინული, აცოდვილებდა სერბიულსა და რუსულს, მაგრამ ამ ენებისა ჩეხებსა და გერმანელებს ერთი სიტყვაც არ გაეგებოდათ. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ბაი განიუმ სულ არ ესმოდა გერმანული. მან იცოდა ცალკეული სიტყვები.

მეზობელ ოთახში გაიღვიძეს. აფუსფუსდნენ დიასახლისები. ბაი განიუმ გასაღების ჭუჭრუტანაში შეიჭყიტა, ურიგო ცნობისმოყვარეობით კი არა, უნ- დოდა გაეგო, ჩაიცვეს თუ არა სახლის პატრონებმა. სუნთქვაშეკრული უთვალთ- ვალებდა მათს ტუალეტს და თან გუნებაშიც ბულგარულად ალაგებდა ფრაზას *Де е онова за голяша работа,*¹ დაბოლოს, როგორც იქნა, შეაკოწიწა სიტყვა-სიტყვით თარგმანი გერმანულად „Wo is diese für gross Arbeit?“

კაკი კუკი კუკი კუკი!

¹ სად არის ის, დიდი მონასაქმებელი (ბულ.).

ლოვანი გახლდათ იმის ცოდნა, რომელ საათზე გაშლიდნენ სუფრას. იგი სასეირნოდ აპირებდა წასვლას, მაგრამ შიშობდა, ვაითუ გამომჩრჩეს სადილობის დრო და ტყუილად გადაყარო ფული საკმელში, როცა შეიძლება უფასოდ, მუქთად გამოვძღეო. ამიტომ ამოიღო თავისი უზარმაზარი საათი, დიასახლისს ზედ ცხვირთან მიუტანა და ციფერბლატის ქვეშ დააბჯინა თითი, რათა დიასახლისს ეჩვენებინა, როდის იქნებოდა „ქამოს“, როცა დარწმუნდა ყველაფერი მოგვარებულია, განიუ შევიდა ოთახში, ქამარში ჩაიწყო ვარდის ზეთით სავსე ფლაკონები და სასეირნოდ გასწია, მარტო სასეირნოდ კი არა, იმაც, ეგება ვარდის ზეთის მსურველ მყიდველს გადაჰყროდა სადმე. ზედაც ბაი განიუ სოფალავი არ უჩანს ქუჩებსა და შესახვევებს, შეიძლება დაეხნეს გზა, შეიძლება დაიკარგოს და პრაქტიკული კაცისამებრ დაიწყო აქეთ-იქით ყურება, იქნებ ისეთი რამ ვინიშნო, რომელიც უკან დაბრუნებისას სახლს იოლოდ მიმაგნებინებსო. გზის გაღმა ერთ-ერთი სახლის უკანა კედელზე მსხვილი ასოებით შესრულებული წარწერა დაინახა. ამოიღო უბის წიგნაკი, დანერწყვა ფანქარი და ზუსტად გადმოიწერა. რაკი დარწმუნდა, ზუსტი მისამართი ხელთა მაქვსო, გადაეშვა ძველი პრადის ქუჩების ლაბირინთში. საითაც გაიხედ-გამოიხედა, ყველგან მუშტარი ელანდებოდა და ამრიგად ისე გაერთო, მართლა აებნა გზა, რაც უფრო ცდილობდა სახლისაკენ გზის გაგნებას, მით უფრო ერეოდა გზაკვალი ებრაელთა ქუჩებში.

გავიდა ერთი საათი, ორი. მიაღწა რომელიც სახლს, რომელსაც არსიდან ჰქონდა შესასვლელი, იცვალა გეზი. იარა, იარა და ვალტვის სანაპიროზე ამოყო თავი. „დალაზვროს ეშმაკმა, როგორ მოვიქცე?“ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე მოაწია სადილობის დრომ, მოაწიაო?! რაღა დროს სადილობაა? თავდაუზოგავად მიაბიჯებს ბაი განიუ. მთლად გაიწურა ოფლში. ხენეშის, საშინელი შესახედავი გახდა. გამვლელები, განსაკუთრებით პოლიციელები ეჭვის თვალით უყურებენ. ამან უფრო შეაშფოთა. „რა ეშმაკი დამეშართა, რაღა ვქნა ახლა?“ შია, ჭაყვი უდგას სტომაქში, მაგრამ რა რჯის, ფული რომ გადაყაროს სადილად დაბატოებულია კაცმა? ალბათ, იკითხავთ, რას დაეხეტება ქუჩა-ქუჩა, როცა მისამართი ჯიბეში უღევსო? საკმეც ეგაა იქნებ გგონიათ, ბაი განიუ იმდენად ბრყვია, რომ ვერ მოისაზრებდა ჯიბიდან ამოეღო უბის წიგნაკი, გაეჩერებინა ვინმე, ეჩვენებინა მისამართი და თითების მოძრაობით ეკითხა: „საით არის?“ არა, მან ყველაფერი მოისაზრა, აჩერებდა გზაში ქალსაც და კაცსაც, მაგრამ უცნაური ის გახლდათ, რომ ვისაც აჩვენა უბის წიგნაკში ჩანაწერი, ყველა გაოცებული შესცქეროდა, ან იცინოდა, ანდა გულისწყრომით აქცევდა ზურგს. ერთმა ქალმა, ეტყობა შინაბერამ, ბაი განიუს ჩანაწერი რომ წაიკითხა, ისე შეულრინა, რომ კაცი მთლად წაბდა: „რა ეშმაკი სჭირთ? ან მე შევიშალე, ან მთელი პრალა გადარეულა“, — ფიქრობდა საი განიუ თავისი ჩანაწერის უჩვეულო ეფექტით განცვიფრებული. ერთხანს, ამ ფიქრში წასული, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და, მისდა საბედნიეროდ, დაინახა ყავახანის წარწერა: „Narodni Kavárna“, სადაც თავს იყრიდნენ ბულგარელი სტუდენტები. ბაი განიუ შევიდა ყავახანაში და დაინახა ჩვენი ნაცნობი გულღვარძლიანი სტუდენტი.

— გამარჯობა! ერთი მითხარით, თქვენო მოწყალეებო, მე გავვიყდი, თუ

ეს ხალხი გადაირია? — ჰკითხა ბაი განიუმ, რომელსაც ოფლიანი, მთლად სველი თმა შუბლზე მიჰკვროდა.

სტუდენტმა გაოცებული მზერა მიაპყრო. ბაი განიუმ უამბობს, რაშია რად დაებნა გზა, რარიგ სთხოვდა გამვლელებს, მიესწავლებინათ, როგორ უჩვენებდა მათ მისამართს და რა პასუხს აძლევდნენ.

სტუდენტმა იცოდა, ჩებებს დაუფარავი უხეშობა და მხოლოდ გერმანელებთან სჩვეოდათ, საერთოდ კი ძალზე თავაზიანი ადამიანები იყვნენ. იგი უალრესად გაოცებული ჩანდა ბაი განიუსადმი ჩებების ასეთი გულგრილობის გამო.

— წამიკითხე ერთი, რა სწერია მაგაში.

ბაი განიუმ მიაწოდა უბის წიგნაკი.

სტუდენტმა წაიკითხა. მან ჯერ წარბი შეიკრა, მერმე გულიანად გადაიხარხარა.

— ქალებს აჩვენეთ ეგ მისამართი? — ჰკითხა სიცილით.

— რატომ არ უნდა მეჩვენებინა? რასაკვირველია, ვაჩვენე. მერე რა?

— რა და, იცი მანდ რა სწერია?

— რა?

— რა და: „Zde zapovédáno“, „აქ აკრძალულია...“ და ასე შემდეგ. ეს რომელსაც კედლიდან ხომ არ გადმოიწერე?

— წარმოგიდგენია? დახე! ც... ც... ც... მართალს ამბობ? უყურე შენ! — თქვა ბაი განიუმ, ენა გააწკლაპუნა და გადაიხარხარა.

სტუდენტმა არ იცოდა, ბოდკოვის ბინის ადგილსამყოფელი. ისინი ერთმანეთთან არ დაიარებოდნენ, ამიტომ ურჩია ბაი განიუს დაეცადა, ვიდრე ბულგარელებიდან ვინმე გამოჩნდებოდა. მაგრამ ადვილი სათქმელია „დაეცადა“, დათანმდებოდა კი ამაზე ბაი განიუს სტომაქი, რომელიც დაუფარავად აცხადებდა თავის უკმაყოფილებას დაუსრულებელი ბუყბუყით?

— თქვენ, შესაძლოა, მოგშივლათ კიდევ. — ჰკითხა სტუდენტმა, როცა ჯანყის ეს ნიშნები მისწვდა მის სმენას.

— მე? არა! — იცრუა ბაი განიუმ.

მას არ შეეძლო, სიმართლე ეთქვა, რადგან თანამოსაუბრემ ურჩია, რესტორანში წასულოყვნენ. ბაი განიუს კი სულაც არ უნდოდა, ვინმესთვის გაენდო თავისი ანგარიშები დიასახლისთან მუქთი სადილის თაობაზე („როგორ შეიძლება ვიღაც თავქარიან ღლაპს გაუმხილო გულში ნადები?“). ბაი განიუმ და „თავქარიანმა ღლაპმა“ საუბარს თავი ვერ მოაბეს. შეხვედრისთანავე ორივემ ინსტინქტურად იგრძნო რომ ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, რადგან ბულგარული ანდაზისა არ იყოს (ოკ, რა შესანიშნავი ანდაზები აქვს შექმნილი ბულგარული ხალხის გენიას!), „ქეციათი ვირები ცხრა მთას იქითაც გრძნობენ ერთმანეთს“. პირველი ბულგარეთიდან ჩამოვიდა, მეორე ევროპაში იმყოფებოდა — მათ თითქოსდა მაინც უნდა გამოენახათ საერთო ენა: ხომ არსებობს რაღაც ვანსხეავება დასავლეთსა და ჩვენს შუობლიურ მხარეს შორის. მაგრამ ბაი განიუ ვერ ამჩნევდა ამას, ანდა რანაირად უნდა შეემჩნია. მას ყველგან შეჰქონდა თავისი რაღაც, წეს-ჩვეულებები და ადათ-წესები. ყოველთვის საკუთარი გემოვნებისამებრ ირჩევდა საცხოვრებელს, ხვდებოდა თავის შესაფერ ჭაღბს, ვისაც შეჩვეოდა, და მათში რაღაც თქმა უნდა ვეღარ ხედავდა რაიმე ახალს. ჩავიდოდა თუ არა ვენაში, ჩამოხ-

დებოდა სასტუმრო „ლონდონში“, სადაც ყოველთვის ისეთი მხუთრი ღვას, ისე ყარს იქაურობა გოგირდწყალბადის სუნით, როგორც სამზარეულოსა და სახლში. ხვდებოდა თურქებს, ბერძნებს, სომხებს, სურბებს, ^{ალბანელებს,} რომლებთანაც მიუჩვია ყოველდღიურ შეხვედრებს, იგი კაფე „პასტურაში“ კი არ დადიოდა, სადაც გაფცქვნისა ეშინოდა, არამედ ჩვენს ^{სტუმრულ} კვამლით, სავსე ბერძნულ ყავახანაში. საქმეს მხოლოდ ბულგარულ ^{სტუმრულ} სტუმრებთან იჭერდა და წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ მათი მეშვეობით ამყარებდა კავშირს ევროპელებთან. მაგრამ სწორედ ამ შეზღუდულ სფეროს მიღმა იწყებოდა ევროპული ცხოვრება. ეს არ იცოდა და თითქოსდა არც სურდა სცოდნოდა. აღზრდა, ევროპელების ზნეობრივი სამყარო, ოჯახური გარემო ზომ საუკუნეობრივი ტრადიციებისა და თანდათანობითი სრულქმნის ნაყოფია. გონებრივი განვითარება, მიმდინარე საზოგადოებრივი ბრძოლა და მისი საშუალებანი, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ფილანთროპული დაწესებულებანი, მშვენიერი ხელოვნება, პროგრესული მრავალფეროვანი გამოვლინებანი ოდნავადაც არ ამძიმებდა ბაი ჯანიუს ყურადღებას.

— მამაჩემი, აბა, სულ ოპერებს უსმენდა, — ამბობდა ბაი განიუ და უძრავობისა და ულტრარეტროგრადობის ერთგული მიმდევარი, თავს არ იწყუხებდა „ახალი მოდით“, ესე იგი, ცივილიზაციით.

მაგრამ ყველა ამ სიკეთით დაჯილდოებულს მომადლებული არ ჰქონდა ჩინური სათნოება, რომ მაღალი კედლით დაეცვა ცივილიზაციის შემოტევისაგან თავი. მიუხედავად იმისა, რომ ბაი განიუს აღაფრთოვანებდა პრინციპი: მამაჩემს რაც არ უქნია, არც მე ვარ მისი მქმნელიო, იცვამდა სუფთა პერანგებს, იკეთებდა ხელთათმანებს თუ დასჭირდებოდა ფრაკსაც ჩაიცვამდა — იცინოდა, ჯავრობდა, მაგრამ მაინც იცვამდა. ხშირ-ხშირად გვესმოდა მის მიერ წარმოთქმული „პარდონ“! მსჯელობდა „კონსტიტუციაზე“, იკვებნიდა: წვნიანი მიყვარსო, მაგრამ ყოველნაირ ევროპულ კერძს ცხარე ბულგარულ შეჭამადს ამჯობინებდა.

— ბერ, მოდის ბულგარული ყმაწვილი, მაგან იცის, სად ბინადრობს ბოდკოვი, — უთხრა „თავჭარიანმა ღლაპმა“.

— აბა, წამიყვანე სახლში, — მიმართა ბაი განიუმ მოსულს ისეთი ტონით, ყველაზე უმაჟნის მსახურსაც რომ არ აკადრებს კაცი. მაგრამ სიტყვები „ზრდილობა“, „თავაზიანობა“ ზომ სულ ახლახან შემოვიღეთ რუსული ენიდან, „დელიკატურობა“ ფრანგულიდან ვისესხეთ, ჩვენთან კი ამ ცნების ყველაზე ახლო შესატყვის ტერმინს „ყეყეჩობა“ წარმოადგენს. თბილი, სათუთი, გულითადი მიმართვა დამახასიათებელია ცივილიზებული ხალხისათვის. ცხოვრებას ასე სანუგეშოს, სასიამოვნოს და ბაი განიუს გონებისათვის მიუწვდომელს რომ ხდის. ღმერთმა მომადლა მას ასეთი მეტყველება: „ეი, დამიგდე ყური, წამიყვანე სახლში“, ხოლო სიტყვები: „კეთილ ინებეთ“, „მიყავით სიკეთე, ჩემო კარგო“, — ყეყეჩობაა და მეტი არაფერი.

ყმაწვილმა მიაცილა ბაი განიუ სახლის კარამდე და უკან გაბრუნდა მან დაინახა მოპირდაპირე კედელზე საბედისწერო წარწერა და მუქარით გააქნია თავი, გააწყლაბუნა ენა, მერმე სახლში შეაბიჯა. დერეფანში არავინ დახვედრია შეიხედა სამზარეულოში, სადაც უკვე მინავლულიყო ცეცხლი. ქურქველი დაერეცხათ და მიელაგებინათ.

— ფუი, როგორ ვნანობ, რომ ხელიდან გავუშვი მუქთი სადილი, —

მან ხელი დაავლო თევზს, შეუბერა სული თევზის კანზე აკრულ ნაკვერცხლებსა და ფერფლს, და ისევ დადო საკეცეზე. მთელი სამზარეულო კვამლითა და თევზის სუნით ატოვდა. დიასახლისს სისკვეთი წარეკვეთა, ბაი განიუ კი შარავანდელით მოსილი გეგონებოდათ. ახლა იგი თავის სტიქიაში იყო. წვაგდა თევზს, იყნასავდა მის მდინალმძვრელ სუნს, ასრუტუნებდა მჭრის და ნაცარში ამოსვრილი ხელით იძლეოდა განკარგულებებს.

— გააწყვეტო, სუფრა, თორემ საკმელი გაცივდება. ახალი თევზი თუ ცხლად არ მიირთვი, გადააგდე ბარემ!

ბოლოს შეიწვა თევზი და, თავიან კუდიანა ნაცარში ამოვლებული, დადეს ლანგარზე. ბაი განიუ კვლავ იძლევა ახალ განკარგულებას: „ჩქარა, ჩქარა, სანამ ცხელია, არიქა, ლიმონი და ღვინო, უამისოდ კაპიკია მისი ფასი“.

ყველანი შემოუსხდნენ სუფრას. მსახურს უბრძანეს, სასწრაფოდ მოეტანა ლიმონი და ღვინო. რას იზამი მილიონერი მათი ხათრით ხომ არ შეცვლიდა თავის წესსა და რიგს.

დიასახლისს უნდოდა თევზი დაეჭრა.

— მომიტევეთ, მომიტევეთ, არ ქნათ ეგ, ეგ არ ქნათ, — შესძახა ბაი განიუმ და მაჯაში სტაცა ხელი. შეაბრუნა ზურგით თევზი, ჩაავლო ორივე თითი, იქ მოუჭირა, აქ მოუჭირა და ორად გაყო. მოდი ახლა და, ნუ იღღესასწაულებ! მოსამსახურემ მოარბენინა ლიმონი, ბაი განიუმ ისიც ორად გაჭრა, ჩაბლუჭა მუჭში ნახევარი და თევზს ისეთი მონღოლებით დააწურა, წვეთთან ერთად რბილოვანი ნაწილიც ზედ მიაცოლა. როგორ ფიქრობთ, რანაირ მადაზე მოვიდოდა ახლ ბაი განიუ? მას თევზისთვის იმდენი ლიმონის წვენი არ დაუწურია, რამდენი ნერწყვიც გადაყლაპა. ღვინოც მოიტანეს. დაიწყო ვახშამი.

კარლსბადსა და არ ვიცი კიდევ, რომელ ბადში აგზავნიან კუჭის კატარით დატანჯულ ავადმყოფებს. მე კი იმ ტანჯულთ ყურით მივათრევედი და ბაი განიუს პირისპირ დავსვამდი მაგიდასთან. მაშინ მათი სტომაქი თუნდაც იუჩბუნარის დანაგვიანებულ, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებზე უარეს დღეში ყოფილიყო, ეს სანახაობა მაინც დიდ ზეგავლენას მოახდენდა მათზე... ქამს ბაი განიუ, ხუმრობა იქით იყო, ქამს, ყურებში ბათქა-ბუთქი გაუდის, მისი სხეულის ყველა ორგანო—ებილები, ენა, უწინარეს კი ცხვირი მოძრაობაშია ჩართული. მხოლოდ მისი შემყურე თუ მიხვდება, რა უფერული და ღარიბია ადამიანის ენა. რომელი სიტყვა, შორისდებული, სასვენი ნიშანი, მუსიკალური ნოტი გამოხატავს ამ წკლაბუნს, ბრუტუნს, სრუტუნს, ჭახუნს, ქშინვას! რა ბედი ჰქონიათ ამ სახლის პატრონებს! ყველა ჩეხ ქალს როდი ეწევა ბედნიერება, დატკბეს ამ სანახაობით.

ბოლოს დანაყრდნენ. გავიდმენ სასტუმრო ოთახში. იორდასალამივით გაქარხლებული ბაი განიუ ხან უღვაშებს იგრებს, ხან ტუჩებზე ხელაფარებული აბოყინებს, ხანაც წა-ბუზღუნებს „პარღონი“ დასხდნენ. ბაი განიუმ გაქონილი თითებით პაპირთსი გაახვია და გააბოლა. კვამლი ბოლქვა-ბოლქვიად ამოსდის უღვაშებიდან. დადგა ის წუთი, როცა ადამიანს ეუფლება მუსიკა, სიმღერითა და სიყვარულით დატკობის სურვილი. ქალიშვილი მიხვდა მილიონერის გულისწადილს და კვითხა, მუსიკა თუ გიყვართო.

ვისა, მე? ჩემსავით ვის უყვარს მუსიკა! ვის შეუძლია ჩემებურად აღუძრან ბოშებსა თუ მუსიკოსებს პატარავსცემა. ერთს ჩავუკრავ თვალს და

ნახავთ, რანაირ ცეცხლს შეუნთებენ, როგორ აზუზუნდება ვიოლინო! აწრი-
ბინდება კლარნეტი!

„ტანი შენი ალვისა
ჩემი გულის შომკვლეული,
შენი კაბის გვირისტი
შემომნთები ალისა“..



— სუ, ბოშებო! არ გვინდა დამწვრისა, შეუბერეთ არყისა! — შესძახა
ბაი განიუმ და ჭიქა დაახეთქა მჯიღაზე.

წამოიწყეს „Каран-Каранфилчето“.¹ ბაი განიუმ ისევ ააჭახუნა ჭიქა.
გაჩუმდა. დაიწყეს სიმღერა „Не щемн ний богатство“,² — კვლავ გაიწ-
კარუნა ჭიქამ. ახლა „Зелен листец“³ წამოიწყეს. „აი, ესეც ასე. ე-ე-ე-ბ,
გარეკე! გამხიარულდი გულო“ და უცებ, გრაფინმა ბრახვანი მოადინა ია-
ტაკზე... ის ხომ ამ საქმის დიდი ოსტატია... განა ერთხელ და ორჯერ შეუქ-
ცევია ამნაირად თავი? რა იციან მაგ დედაკაცებმა, როგორი ვაჟკაცია ბაი
განიუ. ელაპარაკე ახლა მაგათ, რამდენჯერ შემომტვრევია მუსიკით ასე გა-
ტაცებულს შუშეული.

— მიყვარს მუსიკა, — ამბობს ბაი განიუ შემწყნარებელი ტონით. —
მიყვარს მუსიკა, — იმეორებს თავის ჭნევით და გვაგრძნობინებს, ფორტე-
პიანოზე ბრახვანი მისთვის მხოლოდ მოსაწყენი აუცილებლობაა, რომ ქა-
ლებს ასიაშოვნოს. „ბევრი გესმით თქვენ მუსიკისა და ნამდვილი საუბრი-
სა“, — გაიფიქრა მან.

ქალიშვილმა ახადა ფორტეპიანოს თავი და დაიწყო სმეტანას
„Prodana ništa“⁴-დან სიმღერის ნაწყვეტების შესრულება. მის თითებქვეშ
აქდრებულ ბგერები ყოველი ჩეხის სულს ექსტაზში შეიყვანდა. დედამისი
ამ ნაწყვეტებს, ალბათ, ათას მეერთედ ისმენდა და, ნეტარებაში ჩაძირულს,
ვროვნული სიამაყითა და თვითკმაყოფილებით აღსავსე თვალები ბაი განი-
უსთვის მიეპყრო. იგი მუსიკის ტაქტზე თავს იჭნევდა, ხან adagio-ს ხანაც
Allegro-ს ტემპს აყოლილი და თითქოს ცხვირით გამოჰყავდა ფიორიტურები.
დროდადრო იგი თავისი საყვარელი პასაჟის მოახლოებას წინასწარ ანიშ-
ნებდა თვალებით ბაი განიუს. მილიონწერიც თვალებითვე უპასუხებდა: „შენ
თვითონ მოისმინე, გეთაყვა, მე რას მომჩერებიხარ. ასეთი რამ საკმაოდ მო-
სისმენია“. ბოლოს ეს საქმით რომ დაემტკიცებინა, სწორედ იმ წუთას
წამოდგა, როცა დიასახლისმა უკვე ჩათვალა, რომ სმეტანას ნაწარმოებით
დამტკბარ თავის სტუმარს იხილავდა. ბაი განიუ კი ამ დროს რალაც განზ-
რახვით მეორე ოთახში გავიდა, სწრაფად ამოიღო ხურჯინიდან გასასინჯად
გადადებული გახსნილი ფლაკონი, დაბრუნდა სასტუმრო ოთახში, თვალი ჩა-
უკრა დედას, — აი, შეხედე რა მოახდენს ეფექტსო, თითის წვერებზე შემ-
დგარი მიუახლოვდა მუსიკით თავდავიწყებულ ქალიშვილს, — ო, რა საში-
ნელი ეშმაკი იყო ეს ბაი განიუ! — მოხადა თავი ვარდის ზეთის ფლაკონს
და ოდნავ შეახო ცხვირზე. ბაი განიუს ხელი ოფლისა და თევზის სუნით

¹ „მიხაკები-მიხაკები“ (ბულგ.).

² „არ მინდა სიმდიდრე“ (ბულგ.).

³ „მწვანე ფოთოლი“ (ბულგ.).

⁴ „გაყიდული სარძლო“.

ყარდა. ქალიშვილი ჯერ ისევ მუსიკის ტყვეობაში იყო და ზიზღით იბრუნა პირი, მაგრამ წამსვე მოეგო გონს, რადგან მის წინ სახეგარეული მილიონერი იდგა. ბაი განიუმ ფლავონი ქამარში ჩაიჭურთა და ქალიშვილს ჰკითხა: — ბი, ამას მგონი, თქვენს სმეტანაზე უფრო სასიამოვნო სუნის ასდის არა?



ერყენუღი
გამბეზიყოსუქა

ქალიშვილმა დაჯერა შეწყვიტა. დაიწყო ბაი განიუმ (რა თქვით? ვერა ვერ გაგიგეთ). დაიწყო დაჯერა დაუდგვრად, ცალი თითით, ზეზეულად. „მე ვუჩვენებ მაგათ, რომ ამ საქმეში ცოტად თუ ზევრად უღვაშიანებსაც გაგვეგება რამე“. ბაი განიუმ ერთ ნათესავს კლავიშებიანი ხელის პარმონიკა ჰქონდა. როცა ვუნებაზე იყო, ბაი განიუმ თითებს ძალას ატანდა და რომელიღაც სიმღერას მოარგებდა ხოლმე. ამჯერად მან ხელი pizzicato წამოიწყო, მისი აზრით, ამ სიმღერის მოტივი: „Открадна ла сеѣ бабината, сла-славни-каа, славника, окрадналасеѣ бабината сла-нинка“...¹ თანაც Slavinka² მთლიანად ჩებებს მოპარეს.

— Pan hra „Slavinka“, maminko!³ — აღწყა თავის აღმოჩენა ქალიშვილმა.

— ჰო, „სლანინკას“, — გამოებმაურა ბაი განიუმ, — საიდან იცი? — და თავისი წარმატებებით გახარებული მიუჭდა ფორტეპიანოს, რომ უკეთ დევრა უფრო სერიოზული რამ. და რა შეიძლებოდა უოფილოყო „Home ужасна“⁴-ზე სერიოზული? ბაი განიუმ დაიწყო დაჯერა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა თავისი შესრულებით. და ეს სავესებით ზუნებრივი იყო: „Home ужасна“ არ გახლავთ პიანინოსათვის შექმნილი, — ბევრები წყდება, შეეხები კლავიშს „საში-ნე-ლი-ა-ზე“ და მელოდიაც მაშინვე ქრება. სულ სხვაა პარმონიკა. დააქერ თითებს „ში-ნე-ლი-ა“-ზე და მიღი, გაწელე, მთელი ნახევარი საათი იფუგუნებს. დააწექი. გაწელე, სანამდეც შენს გულს ესიამოვნება. პიანინო კი ბრაბ-ბრუბ, შტერობაა და მეტი არაფერი. ხედავს ბაი განიუმ, გაუფერულდა „სლანინკას“ ვფექტი. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა: რა მოხდება, ამ დედაკაცებს რომ ვუძღვრო, „ღამე საშინელიაო“. ჩაფიქრდა, შეეცადა, ნაღვლიანი სიმღერის შესაფერი მოწყენილი სახე მიეღო. მარჯვენა ხელი ყურთან მიიტანა, თვალები მიღულა და პირი დააღო, მაგრამ რა დააღო!

Crandissimo, maestro Verdi...⁵ არა, შენ არ შეიძლება გყავდეს მტრები! მაგრამ თუ მოულოდნელად გამოტყვრება ვინმე გადაგვარებული, ეს უთუოდ თვითონ სატანა იქნება. დმერთი მაღალია, Esimio maestro!⁶ და შენს წინააღმდეგ მომართული ბოროტ სუფთა ყოველი ისარი უძღვრია, ერთი... მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გამოიყენოს მზაკვარმა და... მთელი მუსიკალური სამყარო ძაძვებით შეიმოსება. ჩვენ ვევედრებით და შენც მოსთხოვე ყოვლისშემძლე უფაღს. Divin maestro⁷ არაშემძლებელ ჰყოს სატანა, სასტუმრო ოთახში შეგიყვანოს, სადაც ბაი განიუმ მღერის „ღამე

1 „პოი და, მოპარეს ზეზიას, ქო-ქო-ნიანი-ი, ქონი, მოილა, მოპარეს ზეზიას ქონი“.
2 პან, „ალმინკას“ უკრავს დედიკო, (ჩეხ.).
3 საშინელია ღამე. (ბულგ.).
4 დიდებული მანსტრო ვერდი (იტალ.).
5 დიდად პატივცემულო (მანსტრო) (იტალ.).
6 დეთაებრივო მანსტრო (იტალ.).

ისმის ყოველი მხრიდან: „შაში ბეში!.. იყიდე! ჩამოდი ფულს!.. ჩარი იაქე... შენ ეი, რას იყურები ჩემს კარტში. Garçon! პირველი ორი! ღუ ბეში, სტუეი!.. trenta una!.. ყვაეებია! Garçon! შენ წარმოგენა არა ვაქეს პრეფერანსზე. არ მინდა ვისმინო ჭკუის სწავლება სოციალისტებისაგან! ღუ ბარა!.. არამზადა! Garçon! მედლებით მოგაქეს თავი თქვენს ქვეყანაში!.. შენ, გეტყობა, რუს ურიებს ემხრობი. ბატონებო, ბოთე მიღის. ხა-ხა-ხა-ხა. მე კი არა მსურს, ვისმინო ჩორბაჯიების¹ დარიგება. ჩამოვდივარ კოზირს Garçon! una chop!² მასესხე კიდევ ფრანკი. არ იძლევი? გამოართვი კელნერს. დორთ ჩარი!..“

კაცი, რომელსაც არც თუ ისე სასიამოვნო ეპითეტი დაანათლეს, კაფეში შემოვიდა, მიესალმა სტუდენტებს, რომლებიც მას, როგორც იტყვიან, ხელგაშლილად შეეგებნენ. იგი შეჩერდა, აღარ იცოდა, რომელ ჯგუფს მიკედლებოდა, რადგან ყველა ცდილობდა, თავის მაგიდასთან მიეწვია. თავდაპირველად ჩემთვის აუხსნელი აღმოჩნდა ბოთეს მიმართ ასეთი სიმპათია. მაგრამ ცოტა ხნის მერმე სხვადასხვა მაგიდიდან წამოსროლილმა შენიშვნებმა ჩემი გაოცება გააქარწყლა. მოგვიანებით გავიგე რომ ბოთე წარმოშობით სამხრეთ ამერიკელი იყო, არგენტინელი მიწათმფლობელის შვილი, მდიდარი ყმაწვილი. მამამისი თვიურად 500 ფრანკს უგზავნიდა, რომლის ნახევარი trenta una-ს მეშვეობით ჩვენი სტუდიოზუსების ჯიბეებში გადადიოდა. იმის გამო, რომ გულკეთილად აძლევდა მათ თავისი გაძარცვის საშუალებას, და თითქმის სიამოვნებდა, ცნობისმოყვარეობით ეღვევებინათ თვალყური, რანაირად იჯიბავდნენ მის ფულებს. ბოთეს ტიტული მიუბოძეს.

რომელ საათზედაც არ უნდა შევსულიყავი კაფეში, დილის ცხრა საათიდან გვიან საღამომდე, ერთი და იგივე ადამიანები ერთი და იმავე საქმით: კამათლის, პრეფერანსის, trenta una-ს თამაშით იყვნენ გართულნი. ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა, რანაირად ითვისებდა ეს ახალგაზრდობა ევროპულ კულტურას. ერთი კი ნათელი იყო, თითქმის ვერც ერთი მათგანი ვერ ლაპარაკობდა ფრანგულს რიგიანად. როგორც კი რომელიმე მათგანი ამ ენაზე დაილაპარაკებდა, უმაღლესი სიძინობით აღმოსავლელ კაცს უხეში ინტონაციით, დიქციითა და ფრაზის წყობით. ერთი ორი დღის მერმე ამ კამპანიას შეუერთდა გაავებული, ნიჰილისტურად განწყობილი რამდენიმე ებრაელი, რომლებიც სამიკიტნოების ბნელ კუთხეებში ტირანის წინააღმდეგ იღესავდნენ კბილებს. არ ვიცი, რას ეფუძნება ჩვენი ახალგაზრდების სიმპათია ამ ბნელი ადამიანების მიმართ. ამ ხალხს შესწევს უნარი, ერთსა და იმავე დროს იყვნენ ნიჰილისტებიც, საიდუმლო პოლიციის აგენტებიც, ანარქისტებიცა და ადლითებიც. მათ არაფრად მიაჩნიათ ამხანაგების ფულის, ბიბლიოთეკებისა და სხვა ქონების ბოროტად გამოყენება. ნაცვლად იმისა, რომ იმეგობრონ ფრანგებთან, გერმანელებთან, ინგლისელებთან, რომელთაც იციან მხიარულების, მეცადინეობის ფასი, იმის ნაცვლად, რომ შეითვისონ მათი წესიერება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, რაინდული სული, ჩვენი ახალგაზრდები თავიანთ იდეალს ამ ებრაელებსა, ბერძნებსა და სომხებს შორის ეძიებენ, რომლებიც უსინდისოდ სარგებლობენ მათი საბსრებიტა და

¹ სოფლის ბურჟუა.

² გარსონ, ტოლჩა ლუდი (ფრანგ.).

ძალებით, ითრევენ მათ თავიანთ ბოროტ, ხებრულ, უნაყოფო მსჯელობის მორევში. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ქალაქში იმყოფებოდნენ სხვა აბ-
ალგაზრდა ბულგარელები, რომლებიც ამ კაფეში არ დადიოდნენ და დღის
მონღომებით ეუფლებოდნენ მეცნიერებას.



ერთხელ, როცა trenta una-ს გახურებულ თამაშში არგენტინელები დას-
ფრანკამდე ჩავიდა, კაფეში ვიღაც კაცმა შემოალაჯა. მას ქუდი ^{და ფეხსაცმელი}
მოეგდო, იღლიაში ჯოხი ამოეჩარა და ხელთ ხურჯინი ეკავა.

— ოო, ბაი განიუ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — შესძახა მთელმა
კამბანიაში.

— გაგიმარჯოთ! როგორა ხართ? — უპასუხა შემოსულმა და თავაზიან
მიპატივებაზე დიდსულოვნად უარი განაცხადა, მოვიდა, მომიჯდა გვერდით და
ჩემი ყავიდი/საფსე ფინჯანი გადააპირქვა, მამაცი გარეგნობისა კი იყო.

— პარდონ!
— არაფერია, ნუ შეწუხდებით. — დავეშურე პასუხს, თუმცა, ეტყობო-
და, მაინცა და მაინც არ შეწუხებულა.

— ა-ა, თქვენ ბულგარელი ხართ ხომ? გამარჯობათ. მე განიუ ბალკა-
ნელი ვარ. სადაური ხართ, თქვენო მოწყალეებავ?

ვუთხარი. გავიცანით ერთმანეთი.
— აი, ამ დაწყევლილი ვარდის ზეთით დავებეტები კარდაკარ, — განა-
ცხადა ბაი განიუმ, რომლის ხმაში სასოწარკვეთილება გამოსკვიოდა.

— როგორ, ცუდად მიდის ვაჭრობის საქმე?
— ე, რა დაგიმალოთ, ბატონო, ძალიან ცუდად.

— მერედა, რატომ?
— რატომ? კდილი ჭკუის კოლოფები რომა ვართ, იმიტომ, იყო დრო,

ერთს დავიძახებდით, ბულგარული ვარდის ზეთით, და როგორც თაფლს, ისე
დაგვესეოდნენ კრაზანებივით. ახლა, დასწყევლოს ღმერთმა, რომელ საპნის
სახარშიც არ უნდა შეხვიდე, საკმარისია უთხრა, ბულგარული ვა-
რო, და „ბონჟურის“ თქმასაც ვერ მოასწრებ, მაშინვე გკითხავენ: „ესანს დუ
როზ“? და უკვე დაგვცინიან. გაუშვი, რამდენიც უნდათ იცინონ, ოღონდ
აღებ-მიცემობა იყოს, მარა რო არ უნდათ? მოიტათ, — გვეუბნებიან, — ერ-
თი გრამი გასასინჯადო. — დაგვცინიან და ეგაა! გადმოუსხამ ერთ გრამს და
ორი დაიღვრება. ძმაო, შენ რომ გგონია, ეს ისეთი ზეთი არ არის, სუფთაა-
მეთქი, ვეუბნები. ე, გიპასუხებს, თქვენ ყველანი ასე ლაპარაკობთ, ყველანი
ერთნაირ ხმაზე მღერინხართო! ამას დაწყევლილი ბალახბულახის ზეთი — ტერ-
შე გვიშვრება. ჯანდაბას მაგის მომგონი. მთლად შეგვჭამეს თურქებმა. ეგენი
თითო-ოროლანი ხომ არ არიან, ძმაო. კალიასავით მოედვნენ ერობას — ანა-
ტოლიელები, სომხები, თურქები, ბერძნები. ატყუებენ, თვალს უხვევენ ხალხს.
ერთი გააღატაკეს, მეორე გააბრიყვეს, გააწამეს ადამიანები. საკმარისია ვარდის
სუნი ეცეთ და კანკალი აუტყდებათ.

და მთელი თავისი მშვენიერებით წარმომიდგა თვალწინ გულუბრყვილო
აღმოსავლეთი. ამ სურათს ავსებდა მაგიდეებზე კამათლების ჩხაკუნი, კარტის
შარიშური, ხმაური, თამბაქოს ბოლი.

— მეტისმეტად მომწონს ჩვენი ბიჭები, — თქვა ბაი განიუმ და მოთამა-

! ვარდის ზეთი (ფრანგ.).

შეებს გადაავლო თვალი — ვაჟკაცები არიან. მათ შორის ბევრი ისეთი თავიანთი, ნებისმიერ პროფესორს კვანტს დაუდებს. მაგალითად, აი, ის ჭაბუკი „ოთუს-ბირსა“ რომ თამაშობს. სამი მედალი აქვს. ერთი სერტიფიკატი მისცეს, დანარჩენი არ ვიცი, რა დამსახურებისათვის. სასამართლოს გამომძიებლად იყო, ხუთი თითოვით იცის კანონები. რაღაში სჭირია სწავლა? ექნებ ფული ეცოტავება? სამი თვეა, რაც აქ ჩამოვიდა და დაუგდევს უკუ, როგორც პარაკობს ფრანგულად. არავინ გათვალის, ქვეიანი ბიჭია. დროა დოქტორი გახდეს. მაგრამ აქაური ხალხი ჭიუტობს. გავიგე, რექტორს უარი უთქვამს. სამ თვეში დოქტორი ვერ გახდებით. ვითომ რატომ ვერ უნდა გახდეს? მან ხომ ყველაფერი იცის. აბა ჰკითხე, ყველა კანონს ზეპირად გეტყვის. რექტორი კი ეუბნება, შენ საგნის შესწავლას კი არა, წაკითხვასაც ვერ მოასწრებ. დიო. ჩვენმა ვაჟკაცმა — არა, სამ თვეში უნდა გავხდეთ დოქტორიო. ის კი ეუბნება, არა, არ გამოვაო. არ გამოვა? — არაო. გაბრაზდა ბიჭი და კარგადაც შეამკო, ქვეყნის სასაცილო გახადა. ასე იყო. თუ გინდა, თვითონ მას ჰკითხე.

მე ვერწმუნე ბაი განიუმს სიტყვას და არაფერი მიკითხავს სამი მედლის მფლობელისათვის.

— და იცი, საქმე რანაირად დაამთავრა, — განაგრძობს ბაი განიუმს. — მარტო რექტორი კი არ ჭიუტობდა, დეკანიც ასევე მოიქცა. თქვენო მოწყალე ბავ, იცით, ვინ არის დეკანი? ყავთ ასეთი... ამნაირი. გესმით? ჩვენებურმა ათასგვარი მოწმობა მიუტანა ქალაქის საკრებულოდან, პროკურორისაგან, ნამსახუროების ნუსხაც მიართვა, მაგრამ კერძი ზინშეა, მაგას შენ გადააჭერებ? ჩვენებური ლლაპი კი არ გეგონოს — სასამართლოს გამომძიებელია, სამი მედალი აქვს. რექტორმა ლაქლაქი დაუწყო. შენთვის და შენი ხალხისთვის თუ სიკეთე გინდა, მთელი კურსი უნდა გაიარო, საზღვარგარეთაც კარგა ხანს იცხოვრო. აი, სულელი! ბევრი იბოდილა ამისთანები, მარტო რექტორმა კი არა, ხომ იცი, ხელი ხელსა ბანს — დეკანმაც იგივე გაიმეორა. თქვა: მეც მაგას გირჩევთ, რექტორის სიტყვა ყურად ილთო. ჩვენებურმა ველარ მოითმინა და იყვირა: თქვენ რაღაც გინდათ? რექტორის ადვოკატი ხომ არა ხართ. ასე მოახსენა დეკანს. მათაც ამოიძუეს კუდი და გაჩუმდნენ. სიტყვა აღარ დაუძრავთ. — ეი, გარსონ, იუნ კავე² — ...რაც გინდა თქვით, ჩემო ბატონო, ყოჩაღი ბიჭები გვყავს, დიდებულო ხალხი.

— ეი, გარსონ, იუნ კავე, — გაიმეორა ბაი განიუმს.

— იუნ კავე, აპორტ გაზეტ ბულგარ³, — უბრძანა ბაი განიუმს. მერმე მომიბრუნდა და დასძინა:

— არ დამვიწყნია ეს სულელური ფრანგული სიტყვები.

ოფიციალტმა მოიტანა ყავა და მოთხვრილ გარეკანში ჩასმული ერთად აქრძული ბულგარული გაზეტების დასტა.

— ვნახოთ, რა არის ახალი, რა ხდება ქვეყანაზე, — თქვა ბაი განიუმს, გადაფურცლა გაზეტების შეკრება და პოლიტიკაში ჩაიძირა.

მე თვალყურს ვადევნებდი, როგორი სიხარბითა და სიამოვნებით ნთქავდა

¹ ოცდათერთმეტი (თურქ.).

² ეი, გარსონ, ჰიქა ყავა (დამახინჯ. ფრანგ.).

³ ჰიქა ყავა და მოითანე ბულგარული გაზეტები (დამახინჯ. ფრანგ.).

საინტერესოებს, დროდადრო წამოიძახებდა: „დიდებულია!“ ბოლოს ვე-
ლარ დამალა აღტაცება და ისევ მომიბრუნდა:

— მარჯვედ კი ყეფენ, მომისმინე, წაგიკითხავ.

— მომიტევეთ, ბატონო ბალკანელი, მე აქ იმითომ ჩამოვედი, რომ დე-
ვისვენო ამნაირი პოლიტიკისაგან. ნახვამდის

— კარგი იქნებოდა მოგესმინა, რა სწერია: „ეს მაქანკლების
და არამზადების ავაზაკური ბრბო, რომელიც დინგსა ჰყოფს სიბინძურიში“ ..
მოიცათ, შემდეგ უკეთესი ჩამეუბნია..

— არა, არა, ბატონო ბალკანელი! — შევძახე და მტკიცე ნაბიჯით გაძო-
ვედი გარეთ.

IX. ბაი ბანიუ რუსეთში

— დრავიჩკა ისე საინტერესოდ ყვებოდა, ბატონებო, რომ გამიძნელებდა ჩე-
მი მონათხრობით მოგანიჭოთ ისეთივე კმაყოფილება. მაგრამ, მართალი თუ
გინდათ, მეც ვიცი ზოგი რამ ბაი განიუს მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრე-
ბის შესახებ, — თქვა ვასილიმ.

— დაიწყე ბარემ! მორჩი მიკიბულ-მოკიბულს, — უპასუხა დრავიჩკამ.

— სიტყვა „მიკიბულ-მოკიბული“ მოკლებულია განსაკუთრებულ პოე-
ტიკობას! — იხუმრა მატომ.

— სიჩუმე, ბატონებო. ვასილ, დაიწყე, გეთაყვა.

— პეტერბურგში მიმავალი მატარებელი ვილნოში გაჩერდა, — დაიწყო
ვასილიმ, — ჩვენ ორნი ვმგზავრობდით ერთად — ბაი განიუ და მე, შევედით
ბუფეტში. ბაი განიუმ მოისურვა, გაემასპინძლებოდი, რადგან ვაგონში მის
თამბაქოს ვეწეოდი. შეეუკვეთე ლუდი და საუზმე, ბუფეტის პატრონმა ყური
მოუგდო ჩვენს საუბარს, ეტყობა, მიხვდა, რომ ბულგარელები ვიყავით და
რუსულად შეგვეკითხა:

— ბოდიში, ბატონებო, ბულგარელები ხართ?

ჩვენ დასტურის ნიშნად თავი დავუქნიეთ.

— ბატონ დიმიტროვს ხომ არ იცნობთ, სტუდენტს?

— მე არა შენ, ბაი განიუ?

— დიმიტროვსა? დაიცა... ჰო, მომეგონდა. ვიცნობ. ალალი, გულლია ყმა-
წვილია. როგორ არ ვიცნობ.

— ხომ ვერ მეტყვი, სად არის ახლა? — შეეკითხა ბუფეტის პატრონი.

— ახლა ცარგრადშია, — უპასუხა ბაი განიუმ. — ერთ კვირაში ქორწილს
აპირებს. ხეირი ნახა.

— როგორ? — იყვირა თავხარდაცემულმა მებუფეტემ, — ქორწილს აპი-
რებს? აქ ხომ ცოლი ჰყავს.

— აი, ხათაბალა! ხა-ხა-ხა-ხა! — გულიანად გადაიხარხარა ბაი განიუმ.
ბუფეტის პატრონმა გაკვირვებით შეხედა მას.

— შენ არ იცი მაგის ამბავი, — განაგრძო ბაი განიუმ და მე მომიბრუნ-
და: — ძაან დარდიმანდია დიმიტროვი.

და აი, რა გვიამბო ბუფეტის პატრონმა:

— ერთ დღეს ჩამოვიდა ჩვენთან ბატონი დიმიტროვი. მას თან ცამეტი-
თოთხმეტი წლის ყრუ-მუნჯი ბიჭი ახლდა. ბატონ დიმიტროვს ერთი წელია

ვიცნობ, ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა, შეუყვარდა ერთი ქალიშვილი, დაიწერა მასზე ჯვარი და მოსკოვში თუ პეტერბურგში წაიყვანა, ზუსტად არ ვიცი. როცა ყრუ-მუნჯ ყმაწვილთან ერთად ჩამოვარდა მითხრა, ამ ბიჭს ბულგარეთში ძმა ჰყავსო, (ვერ ვეტყვი, მოსკოვში თუ ოფიცერი, ზუსტად არ მახსოვს) თანახმაა, თვეში ასი ფრანკი გამოგზავნოს მის შესანახადო. ბატონ დიმიტროვს სხვა ქალაქშიც მოსწონდა, — ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა, — მთხოვა ათ დღეში დავბრუნდები და მანამდე ბიჭი თქვენთან დაიტოვეთო. დავეთანხმე, ავიყვანე ობოლი და ახლობელივით ვუვლიდი. გაიარა ათმა დღემ, ერთმა, ორმა თვემ, დიმიტროვისა კი არაფერი ისმის. შევეცადე, ბიჭისთვის მეტქმევიინებინა რამე, მაგრამ საცოდავ ყრუ-მუნჯს, აბა, რა შეეძლო ეთქვა. მოიწყინა. მივწერე მოსკოვშიც, პეტერბურგშიც, მაგრამ, არავინ გამომხმაურებია. მესამე თვეზე ბიჭი დაიკარგა. ვეძიეთ, სად არ მივაკითხეთ, პოლიციაშიც განვაცხადეთ, ყოველი კუთხით დავგზავნეთ ტელეგრამები, არ არის და არა. თითქოს მიწამ უყო პირი. რა დაემართა საცოდავს, დღესაც არ ვიცი. ბატონ დიმიტროვზე იყოს მისი ცოდვა, თორემ იმ ას მანეთზე სულაც არ ვწუხვარ. თქვენ მითხარით, ერთ კვირაში ქორწილს აპირებდით. ბატონებო, ნუთუ ეს შესაძლებელია?! თუ ღმერთი გწამთ, შეატყობინეთ უფროსობას, გააფრთხილეთ უბედური გოგო, ვისზედაც აპირებს ჯვარის დაწერას.

მე დავპირდი ბუფეტის პატრონს, როგორც კი ჩავალ პეტერბურგში, ვაცნობებ ამას ერთ საპატიო პიროვნებას, რომელიც აუცილებლად გაუგზავნის ტელეგრამას ევზარქოსს-მეთქი. გადავიხადე დანახარჯი. დავბრუნდით ვაგონში და გავწიეთ პეტერბურგისაკენ.

— რას ერეოდი რო? — მისაყვედურა ბაი განიუმ. — რა იცი, რანაირი ჩიტია მისი აქაური ცოლი.

ჩვენ მესამე კლასის ვაგონით ვმგზავრობდით. ბაი განიუმ ორი ადგილი დაიკავა და დასაძინებლად წამოწვა. მომდევნო საღვურზე ვაგონში რამდენიმე მგზავრი ამოვიდა. უნდა გაგვეთავისუფლებინა დასაჯდომი ადგილები. მაგრამ ბაი განიუსთან ასე იოლი როდი იყო ფონს გასვლა. მოიმძინარა თავი, და ხვრინვა ამოუშვა. აყლარწული გერმანელი გლეხი კაცი ჩანთით ხელში წამოადგა თავზე ბაი განიუს, ოდნავ შეეხო მის ჩექმებს და ვალვიძება დაუწყო. ბაი განიუ გაინაბა და ხრრრ... პუფუ... ხრრრ... პუუუფუ — ამოიფშვინა, თითებშუა გამოიჭყიტა, გერმანელისგან მალულად ჩამიკრა თვალი, — აი, რა ბიჭი ვარო!

— ჰა, ადექი, — შესძახა გერმანელმა და ძლიერად შეანჯღრია ჩემი თანამგზავრი.

— ხრრრ... პუფუ!..

— რას იმძინარებ თავს, ეშმაკო, — დაუყვირა გერმანელმა, ხელის ერთი მოსმით დაბლა გადმოალაგებინა ბაი განიუს ფეხები და გვერდით მიუჭდა.

ბაი განიუმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახლად გაიღვიძა, თვალები მოიფშვინტა, ამოიღო სათუთუნე, გახსნა და გერმანელს გაუწოდა.

— ბულგარული თამბაქოა!

— ა-ა, ბულგარული ხართ? ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — გულკეთილად გაუღიმა გერმანელმა და პაპიროსი გაახვია. — პიტერში მიდიხართ? ერთი გზა გვქონია.

როგორც კი ჩავედით პეტერბურგში, მაშინვე გადავწყვიტე, ვილნოელი მებუფეტისათვის აღთქმული დაპირება შეემესრულებინა. შევხვდი ერთ ნაცნობს და მოვეუყევი დიმიტროვის ამბავი. მან დაუყოვნებლივ გაგზავნა ცარტა-დში ტელეგრამა და მოასწრო ქორწილის ჩაშლა. ისიც მაცნობა, რა დაემართა წრუ-მუნჯ ბიჭს. ვერაფრით გაარკვიეს, ვინ, ან როდის ჩააგონა მას ვილნოდან გაქცეულიყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პეტერბურგში გამჩინდნენ დიდხანს იყო დიმიტროვის სულმდაბლური სექსპლოატაციის მსხვერპლი, რომელიც ითვისებდა ბიჭისთვის გამოგზავნილ ფულს, თანაც საცოდავს ფულის სამათხოვროდ გავლენიან პეტერბურგელ ქველმოქმედ ადამიანებთან აგზავნიდა, აგრეთვე კრონშტადტში — საქვეყნოდ ცნობილ უწმინდეს იოანე კრონშტადტელთან.

მე თითქმის არავითარი საარსებო სახსარი არ გამაჩნდა და იძულებული ვავხდი, უღარიბესი სტუდენტებისათვის განკუთვნილ იაფფასიან თავშესაფარში დავბინავებულიყავი. ბაი განიუმ გადაჭრით მომთხოვა, ისიც მომეთავსებინა იმ იაფ ღამის სათეოში.

— არ შეიძლება, ბაი განიუ, ეს დაწესებულება მხოლოდ სტუდენტებისათვისაა.

— მერე ვითომ რაო, — შემეკამათა იგი, — განა სტუდენტები ჩემსავით უბრალო ადამიანები არ არიან? რა არის აქ ბოლოს და ბოლოს ისეთი, რომ ერთი ბულგარელი ვერ მიიღონ?

— მაგრამ შენ ხომ მდიდარი კაცი ხარ, შეგიძლია სასტუმროს ფული გადაიხადო.

— ასე მიამიტი როგორა ხარ, — მისაყვედურა ბაი განიუმ, — მეგონა, უფრო მოეშმაკო კაცი იყავი. აბა მითხარი, ბულგარელო, რატომ უნდა ვუხადო ფული მოსკოველებს? რაც მიშოვნია, აქ გავანიავო? საიდან იციან მათ, მდიდარი ვარ თუ ღარიბი?

— არ შეიძლება, ბაი განიუ, ღარიბი სტუდენტები აღშფოთდებიან, შეიძლება გამოგვაძევონ კიდევ. საერთო საცხოვრებლიდან.

— უხ, შე კერპო ბულგარელო! შენ რა, ენა დაკარგე თუ იმდენი საზრიანობა არა გაქვს, რო უთხრა — ჩემი ძმა არის-თქო. ანდა გაკოტრდა-თქო? ბოლოს შეიძლება ისიც უთხრა, ბულგარელი რომა ვარ, არ ვიცი, რა-ნაირი ბრძევები არიან ე' რუსები?

— არა, არ შემიძლია, — გადაჭრით ვუთხარი და გამოვბრუნდი, რომ საერთო საცხოვრებელში შევსულიყავო.

— ეჭვი, გგონია, ასე იოლად ჩამოგეხსნები? მოიცა, მე შენ გიჩვენებ! — შემომიღრინა ბაი განიუმ და დამედევნა. — ბულგარელი! შენ რა ბულგარელი ხარ. წვეთი პატრიოტიზმი არ არის შენში. გაჩერდი-მეთქი, რას გარბიხარ, ხომ ხედავ, ველარ გეწევი, მძიმეა ხურჯინი, გაჩერდი, ბულგარელო!

იმ წუთას, ეტყობა, ძალზე საინტერესო სანახავი ვიყავით: გამვლელები ჩვენსკენ იყურებოდნენ და ყურადღებით გვათვალიერებდნენ. ბაი განიუ ათი ნაბიჯის მოშორებით მომყვებოდა უკან. მხარზე გადებულ ხელჯოხზე ხურჯინი გადაეკიდა, მეორე ხელით კი ნოხი მოჰქონდა, რომლითაც ხშირ-ხშირად იწმენდა სახეზე ოფლს, ქუდს ძლივს იმაგრებდა თავზე და უკან მომყვებოდა ბუზ-ღუნით.

— მოიცა, ღვთისნიერო ადამიანო, ეს ნოხი მაინც გამომართვი, ხელი

ჩამომაწყდა, გინდა, გამომეცალო მაშ, შენ არ გცოდნია, რანაირი ჩიტია ბაი განიუ.

მივედიოდით, თითქოს ღვედით მიმათრევდნენ, ვფიქრობდი, როგორ მივსულიყავი საერთო საცხოვრებელში ბაი განიუსთან ერთად, რითი შემართლებინათავი მათ წინაშე ასეთი თვითნებური საქციელის გამო. მისი მსახურის ტყუილი თქმა. ბაი განიუსგან თავის დაღწევაზე კი ფიქრიც არ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ რამდენიმე დღე გასტანდა. იძულებული ვიყავი, შევრიგებოდე ამ მდგომარეობას.

ბაი განიუ კი მომდევს და მომდევს კვალდაკვალ ჯუჯლუნით, ოღონდ ალა აღარ იმუქრებოდა და შემრიგებლურად წამოიწყა:

— მისმინე, ბაი ვასილ, მოიცადე ცოტა. გეხვეწები, ბაი ვასილ, ბულგარელები არა ვართ, კაცო?

და წარმოიდგინეთ, ბატონებო, იმ წუთში, დამიჯერეთ, შემეცოდა ბაი განიუ, შეგნებული მქონდა, რარიგ უზნეოდ იქცეოდა, ძუნწი, საზიზღარი, ეგოისტი, მზაკვარი, გაიძვერა, ფლიდი, წურბელა, ტლუ, თავიდან ფეხს ფრჩხილამდე უტიფარი იყო, მაგრამ მაინც შემეცოდა: როგორღაც ისე ნაზად წარმოთქვა მან ის უკანასკნელი სიტყვები, რომ ჩემმა სმენამ შეიგრძნო ბაი განიუს გულიდან ამომავალი საოცრად ფაქიზი ბგერა, მაგრამ იშვიათი, ღმერთო, რარიგ იშვიათი ბგერა, არ ვიცი, შეიძლება თქვენ სასაცილოდ და არაბუნებრივად მოგეჩვენოთ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, ბატონებო, იმ წუთას ბაი განიუს სულ სხვაგვარად შევხედე. თითქოს ვიღაცამ შთამაგონა: ნუ გეზიზღება ეს მოსულელო, მზაკვარი, დამწვარი და მაინც უბედური კაცი. იგი შექმნა ტლანქმა გარემომ და მსხვერპლია ტლანქი აღმზრდელებისა. ბოროტების სათავე თვით მასში კი არა, იმ გარემოშია საძიებელი, სადაც იგი ტრიალებს. ბაი განიუ საქმიანია, აზროანი, ადვილად ითვისებს ყველაფერს. დიარაც მთავარია ადვილად შემთვისებელია. მოაქციეთ კეთილი აღმზრდელის გავლენის ქვეშ და ნახავთ, რისი უნარიც შესწევს. აქამდე მუდამ ამჟღავნებდა პირუტყვულ ენერჯიას, მაგრამ მასში თვლემს მინავლული სულიერი ძალა, რომელიც ელის მორალურ ბიძგს, რომ გამოცოცხლდეს და ამოქმედდეს.

მივედით საერთო საცხოვრებელში. სტუდენტების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული არდადეგებიდან. საწოლი ერთგულმა და ყველაზე ღარიბმა მეგობარმა, წარმოშობით ალბანელმა, სახელად კოჩომ, შემინახა, რომელსაც სლავთა საზოგადოება თვეში სამ მანეთს აძლევდა ჩაისა და შაქრისათვის. იგი უნივერსიტეტში ორ წელიწადს სწავლობდა და როცა დინახა, საამისო წელი არ მოსდევდა, სწავლის გასაგრძელებლად სემინარიაში გადავიდა. საოცრად კეთილი იყო ეს კოჩო. მეგობრისათვის ცეცხლში გადავარდებოდა, მაგრამ ღმერთს ნუ ექნა, მოთმინებიდან გამოეყვანა ვინმეს. წამსვე ერთად იფეთქებდა მასში ყველა არნაუტული ვნებანი. გაფითრდებოდა, გამწვანდებოდა, თვალები ჩაუსისხლიანდებოდა, მხეცად იქცეოდა. მე და ბაი განიუ ოთახში რომ შევედით, კოჩო საწოლზე იყო გაშოტილი. ძნელად თუ გაარჩევდით, სად ეგდო ბალიში, ლეიბი ან საბანი. დაგვინახა თუ არა, ავაზასავით ისკუბა, გადამეხვია, გადამკოცნა, გამოეცნაურა ბაი განიუს, და მხიარული ღიმილით დაგვსვა ერთი — საწოლზე, მეორე — სკივრზე, თან მო-

1 ალბანური.

იბოდიშა, ოთახში ცოტა დაულაგებლადა ვართო. მერმე კარი გამოაღო და არნაუტულად გასძახა:

— ვანკა, დადგი, ძვირფასო, სამოვარი!

— სამოვარი რად გინდა, არც ჩაი გვაქვს და არც შაქარი, — მოიხმა „ძვირფასის“ ხმა დერეფნის მეორე ბოლოდან.



კოჩომ თავში შემოირტყა ხელი, გაქანდა ოთახის ერთი კუთხიდან მერეში, სტაცა ხელი ქუდს და გაგარდა. ვთხოვე, ნურსად წახვალ, ჩვენ ვიყიდიო ჩაისა და შაქარს-მეთქი, მაგრამ ყური არ გვიგდო, გაიჭრა გარეთ და მოგვაძახა, ახლავე მოვალო. ველოდეთ ნახევარი საათი, მთელი საათი, მაგრამ კოჩო აღარ გამოჩნდა. ალბათ, მოხდა რაღაც. უქმად რომ არ ვმსხდარიყავით ასეთ კარგ ამინდში, ბაი განიუს გასეირნება შევთავაზე.

— ჯობია დავუცადოთ, იმ კაცმა ჩაიზე დაგვბატოვა, — მიბასუხა ბაი განიუმ. მას არ შეეძლო, ხელიდან გაეშვა მუქთი პურ-მარილი, მაგრამ მე ჩემი გავიტანე. ბაი განიუმ ფლაკონები ჩაიწყო ქამარში და წავედით. ანიჩკინის ხიდს რომ მივუახლოვდით, უცებ არაადამიანური ყვირილი შემოგვესმა, რასაც თან განუკითხავი ლანძღვა-გინება ახლდა. გავედით ხიდზე და რასა ვხედავთ: ვეფხვივით გააფთრებული კოჩო თავისი რკინის თითებით ყელში სწვდომოდა ვიღაც უცნობს. რომელსაც ქუდი ქვაფენილზე გადავარდნოდა და, ახლა თავწაბრილს, მდინარეში გადაგდებას უბირებდა. ის უბედური კი ყოველნაირად ცდილობდა, თავი დაეღწია მისგან, მაგრამ ასე იოლი როდი იყო გაგიყვებული არნაუტელის ხელიდან დასხლტომა.

— შარლატანო, — ბრდღვინავდა კოჩო, — ნაძირალავ, გათახსირებულო, მე კი არა, სუნა ხარ ჯაშუში, შე ჯაშუშო, ძაღლისშვილო! მოგკლავ, შე პირუტყვო!

გავიქეცი მათ ვასაშველებლად, ბაი განიუ კი მომძახის:

— მოეშვი, რას ეჩრები, ისემც უქნიათ, დაუხოციათ ერთმანეთი. დაანებე თავი, თორე როგორც მოწმეს, სულს ამოგხდიან აქეთ-იქით თრევაში.

მე ყური არ ვათხოვე ბაი განიუს რჩევას, გავვარდი ალბანელისკენ, რომელიც ისევ ყვიროდა, თან ლანძღვა-გინებით ამკობდა თავის მსხვერპლს. მიათრია ხიდის მოაჯირთან და საცაა თავით დაბლა გადაუშვებდა ფონტანკის სწრაფ ტალღებში. როცა მათგან ჩამდენიმე ნაბიჯილა მაშორებდა, მოახლოებული დალუპვით თავზარდაცემულმა მსხვერპლმა თავგანწირვით გაიბრძოლა, დაუსხლტა ალბანელს, დასტაცა ხელი მტვერში ამოგანგლულ ქუდს და მოკურცსლა.

— დადექ, შე შარლატანო, შე თაღლითო, ნამუსგარეცხილო!

კოჩომ ხელი დაავლო ქვას და გაქცეულს დააწია. უცნობი მიმავალ ტრამვაის შეახტა და მიიშალა. არნაუტელი მაინც არ ცხრებოდა:

— მოგკლავ, შე გათახსირებულო შარლატანო, — ბრდღვინავდა და თან მუშტს უღერებდა გაქცეულ მტერს.

მე კოჩოს დავუძახე, მაგრამ ვერ მიცნო. ნადირსა ჰგავდა. სახე-ჩაშავებულს თვალები უელავდა, კბილები უკაწკაწებდა, ტუჩები გამმაგებით უთრთოდა და ყრუდ გმინავდა. მ... მ... მო.გ.შარლ... ძაღლი ლ... ლ... არამ ... ზ... თაღლითო! — ღმუოდა, თან გაქცეულ მტერს ემუქრებოდა.

— კოჩო, ძვირფასო, რა დაგეშართა? ვინ იყო ის კაცი? — ვკითხე მე-
გობრული თანაგრძნობით.

იგი დამაცქერდა უაზრო, ავი გამომეტყველებით და კვლავ ვერ მიცნო.

— მოგკლავ, პირუტყვო, მე შენ გიჩვენებ, ვინ არის ჯაშუში! — ღმულოდ
და ყოველ გამვლელ ტრამვაის მუქარით გასცქეროდა, თითქოს ყოველ მათ.
განში მისი მტერი მჯდარიყოს.

— კოჩო, ძალიან ვთხოვ, მითხარი, რა დაგეშართა, — დავუყვავე გამმა-
გებულ მეგობარს, — ვინ იყო ის ვაჟბატონი?

კოჩომ შემომხედა და იყვირა:

— ყველაზე დიდი არამზადა! გესმის, ყველაზე დიდი!

და ისევ დაიწყო თვალების ბრიალი და ლანძღვა-გინება. მე თანდათან
ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი მეგობარი მტრების მიერ მოწყობილი რაღაც სა-
ზიზღრობის მსხვერპლი გამზდარიყო, მაგრამ სახელდობრ რა სჭირდა, ვერ გა-
მეგო. მერმე, რაც კოჩომ კმიაშბო, მსგავს რიოშობას კაცი ვერ წარმოიდგენ-
და. აი, რა მომიყვა, როცა კოჩა ცნობაზე მოვიდა.

— წარმოიდგინეთ, ბატონებო, საერთო საცხოვრებლიდან სლავთა საზო-
გადოებაში გავიქეცი სტიპენდიის მისაღებად. მინდოდა ჩაი და შაქარი მეყი-
და თქვენთვის, ხომ იცი, ვასილ, ძვირფასო, რა სტიპენდიასაც ვღებულობ.
სამ მანეთს თვეში, უბადრუკ სამ მანეთს. და წარმოიდგინეთ, გამოჩნდა გახრ-
წნილი ადამიანი, რომელსაც ჩემი შეშურდა და მოინდომა ჩემი სიმდიდრის
მითვისება. მერედა, ვინ? თქვენებურმა კაცმა. მომილოცავს! წარმოიდგინეთ,
მივედი სალაროსთან, ბატონებო, ვთხოვე მოლარეს, მოეცა ჩემი ჯუთვნილი
სამი მანეთი, ის კი გაჭაფრებით მეუბნება:

— როგორ არა გრცხვენიათ, ახალგაზრდავ! თქვენ სემინარისტი ხართ,
ასეთ საზიზღარ საქმიანობას კი ეწევით.

— რომელ საზიზღარ საქმიანობაზე შელაპარაკებით? — გავიკვირვე, შეც-
ბუნებულმა.

— ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ თქვენ ბულგარეთის საელჩოს
მსტოვარი ხართ.

— როგორ, მე რა მსტოვარი?! —

— დიახ, ჩვენ გარკვეული ცნობები მოგვეპოვება. თქვენ სტიპენდია მო-
გეხსნათ და ბატონ ასლანოვის ძმას გადასცეს.

— ღმერთო ჩემო, ვინ მოგაწოდათ ეს ცნობები? — შევევკითხე და ყელ-
ში მობჭენილმა სიმწრის ცრემლებმა ლამის დამახრჩო.

— თვითონ ბატონმა ასლანოვმა, — მშვიდად მიბასუხა მოლარემ.

— ა-ა-ახ! ბესსა-ტა-ბესსა!, — ვიყვირე შეშლილივით და გარეთ გამოფ-
ვარდი. გავიქეცი ანიჩკინის ხიდისკენ. დანარჩენი თქვენ იცით. ღმერთო ჩემო,
ბატონებო! რა საზიზღრობაა! ო, ის თაღლითი! მე... მე... მე... დავიფიცე და
მორჩა! ამას არასოდეს დავიფიცებ.

ჩვენ, როგორც იქნა, დავამშვიდეთ კოჩო და მასთან ერთად წავედით
ტრაქტირში ჩაის დასალევად. იქ საკმაოდ დიდხანს დავყავით ასლანოვის სულ-
მდაბლობაზე ნაამბობით გულშეძრულებმა. ბაი განიუსაც აღარ წამოსცდენია
თავისი „დიდებუღია“ ან „ბარაქალა!“ პირიქით, დროდადრო ენას აწყლაბუ-

1 ვფიცავ (ალბან.).

ნებდა, თავს იქნევდა და გაცხებულ იძახდა: „დახე იმ პირუტყვსა“ ბოლოს გამოვედით ტრაქტორიდან და ნევის პროსპექტისკენ გავეშურეთ. საუცხოო პროსპექტი ლამის ქვეყნის ყველა კუთხიდან აქეთ დაძრული ხალხით იყო გაჭედული და ჭირდა მოსიარულეთა გვერდის ავლა. ქვაფენილზე ორ წყნად მიემართებოდნენ ყოველნაირი ეკიპაჟები. თვალს იტაცებდა ერთი მეორეზე უკეთესი მალაზიები. ბაი განიუმ კეთილ ინება გამოეთქვა თავისი პირუტყვი ბოლოს და ბოლოს, პეტერბურგი არც ისე ცუდი ქალაქიაო. მთელი საათი მივიკვლევდით გზას ხალხში, ვიდრე ნევაზე გავალწევდით. ძლივს მოვასწარით შედარებით მყუდრო სანაპიროზე ვასვლა და რამდენიმე ნაბიჯის გადაღმა, რომ კოჩომ მკლავში მტაცა ხელი და დახშული ხმით წამოიძახა:

- აა, ისაა!
- ვინ?
- შარლატანი!
- რომელი შარლატანი!
- ყველაზე დიდი მოდი მივეფაროთ, არ დაგვინახოს, — ჩაიბუტბუტა კოჩომ, ჩაგვავლო ხელი და რომელიღაც სადარბაზოს სვეტებს შუა შეგვათრია. ბაი განიუმ გამოყო ცხვირი და გაიხედა, საითაც კოჩომ მიუთითა.
- ხედავთ?
- ვიღაც კაცია, — იღუმალი ხმით წასჩურჩულა ბაი განიუმ, — ერთი შეხე, ვასილ, როგორა ჰგავს ჩვენს დონდუკოვ-კორსაკოვს.
- სწორედ ისაა, — უთხრა კოჩომ, — კიდევ ვის ხედავ?
- კიდევ ორნი არიან, დონდუკოვის წინ დაჩოქილები. გახედე. ც... ც... ც... ჩექმებს უკოცნიან, ცრემლებს აფრქვევენ, რაღაცას ემუდარებიან მკერდში მჯილს იცემენ... შეხედეთ... ის კი ცდილობს, გაეცალოს მათ, მაგრამ არ ეშვებიან, ერთი აქედან, მეორე იქიდან ფეხებზე ეხვევიან.
- დააკვირდით უკეთ, იქნებ შეიცნოთ რომელიმე, — არ ეშვებოდა ალბანელი.
- არ შემიძლია, რანაირად შევიცნო, როცა სულ ჩექმებზე ახლიან თავებს... — შეუბასუხა ბაი განიუმ, — მოიცა, მოიცა!.. ვიცანი, სწორედ ისაა, ხიდიდან გადაგდებას რომ უპირებდი, ისაა, ის...
- მართლაც ის არის, გათახსირებული, თქვენ ახლა მოწმე ხართ მათი ერთ-ერთი ყველაზე ბილწი კომედისა, — ამოიგმინა კბილების ხრჭილით ალბანელმა, — წავიდეთ ისევ ნევისკენ.
- ჯერ ვუყუროთ ბოლომდე ამ სცენას, — ვუთხარი მე.
- არა ღირს, — გადაჭრით წარმოთქვა კოჩომ, — ვიცი, როგორ დამთავრდება. ეგენი არ მოეშვებიან, სანამ რამდენიმე მანეთს, ან მორიგი მსხვერპლის წინააღმდეგ რაიმე რეკომენდაციას ან შუამდგომლობას არ დასტყუებენ.
- დამიხედეთ ამ პირუტყვებსა! — წამოიძახა ბაი განიუმ ენისწკლაპუნით.
- რას, ვაჩუმდი, ვასილ, განაგრძე, — უთხრა კამპანიის ერთმა წევრთაგანმა.
- მოყევი ერმოლოვის ამბავი.
- დამანებე თავი, მაგის გახსენებაც არ მინდა. — განაცხადა ვასილიმ.
- ან კნიაჟნა ბელოზერსკაიაზე თქვი რამე.
- მომეშვი, არ შემიძლია!

— იქნებ ის გვიამბო, ბაი განიუმ ხაში რომ მიირთვა? — მიმართა მეორემ.

— ან მოპარსულ უღვაშებზე

— კმარა, ბატონებო!. ბაი განიუმზე დაუსრულებლად შეიძლება ვლაპარაკოთ. სჯობს, ჩვენი საღამოს მეორე ნაწილი დავიწყოთ. მარკუს ავრელიუსს, გვიმღერე რამე, გეთაყვა, ან შენ, კალინა-მალინა! დაიწყეთ: „მეფეები აიკვალთ, ქალწულო ველა“.

დაიწყო საღამოს მეორე ნაწილი და ნაშუაღამევს დავიშალენით.

ნახვამდის, ბაი განიუმ! იმოგზაურე ევროპის გარშემო, ჩამოატარე ქვეყნის ყველა კუთხეში ჩვენი უმშვენიერესი ვარდის ველების ნაწარმი... და გეხვეწები, შენ, ბაი განიუმ, ღრმად ჩაუკვირდე ევროპულ ცხოვრებას, რათა შეიცნო მისი ჭეშმარიტი სახე, რომელიც კარგახანს იყო შენკენ მობრუნებული ცუდი პირით

ბაი განიუმს ევროპიდან დაბრუნება

— გაიგეთ ახალი ამბავი? — მოგვამახა სირბილისაგან სულშეგუბებულმა მარკუს ავრელიუსმა, რომელმაც შემოფეთა კარი.

— რა ახალი ამბავი? — ვკითხეთ ყველამ.

— ბაი განიუმ დაბრუნდა ევროპიდან.

— შეუძლებელია!

— როგორ თუ „შეუძლებელია“, ბატონებო? მე თვითონ ვნახე და ველაპარაკე კიდევ... მისი პირველი სიტყვა... ხა-ხა-ხა!.. მისი პირველი სიტყვა გახლდათ: გავებით ხათა... ხა-ხა-ხა!.. გავებით ხათაბალაშიო, მითხრა... ხა-ხა-ხა-ხა!..

— მორჩი ხარხარს, — მოუთმენლად წამოიძახა არპაკაშმა. — მოყევი, გინდა ჩაი?

— არპაკაშ, მოდი, შუბლზე გაკოცო.

— სულელი, — ჩაილაპარაკა არპაკაშმა გულკეთილი ღიმილით და მარკუს ავრელიუსს ჩაი მიაწოდა, თავისუფალი ხელით კი ხუჭუჭა უღვაშზე წაეტანა, — ობერ-სულელი!

„კაპიტანო, ნუ ათამაშებ შენს ჭკუაზე გემს“, — გაეხუმრა მარკუს ავრელიუსი, ფინჯნიდამ ჩაი მოსვა, და დაიწყო:

— წარმოიდგინეთ, ბატონებო, რამხელა ბედნიერებაა! ამ რამდენიმე დღის წინ, ოცდაორში (ალიოშა, შენი საყვარელი რიცხვია), კვირას მე და გერვანიჩი სოფელ ვრაცდებნაში ისკარის სამიკიტნოს ვეწვიეთ, სადაც უამრავი ხალხი დაგვხვდა.

— ურვიჩელები არ იყვნენ იქა?

— არა, არ იყვნენ. ისინი თავიანთ ურვიჩში შეიყარნენ... ნუ მაწყვეტინებ, არპაკაშ... უამრავ ხალხს მოეყარა თავი, მეტწილად უცხოელებს: გერმანელებს, ჩეხებს, მათ შორის არავინ იყო აპათიაში გაქვავებულ შოპელთაგანი, მარტო ბაბუა ჰაჯი მოსულიყო თავის მამულში მიმავალს აქეთ შემოევლო. თუ გახსოვთ, საუცხოო ამინდი იდგა. მინდვრები, ყანები, ტყე მწვანედ ხასხასებდა, სუფთა ჰაერით გულს ვერ იჯერებდი კაცი. უცხოელები მთელი ოჯახებითურთ წამოსულიყვნენ, წამოვლით სანოვაგე, ნოხები, აკვნები, თავიანთი

გუნებისამებრ ჩამომსხდარიყვნენ ჩრდილში ჭრელ-ჭრელი თაიგულელებით და ქეიფისთვის მიეყოთ ხელი. გესიამოვნებოდათ იმათი ყურება, იმიტომ არა შეძლებულნი, მდიდრები რომ ჩანდნენ, არა, ისინი მუშა ხალხი, ხელოსნები, მეთუნეელები, ზეინკლები, ღურგლები იყვნენ. მათ მთელი ექვსი დღე შრომაში გაატარეს, რომ მეშვიდე დღეს გულით მოეღბინათ. ჩვენს მოწყალებისა არ იყოს, გამოვიკეტებით გაბოღებულ კაფეში და ველარ ველევით „ბაჩკას“.

— მარკუს ავრელიუს, ამას შენ ამბობ, გენაცვალე? იოანე ოქროპირო, მოდი, გაკოცო!..

— გაჩუმდო არპაკაშ, ნუ მაწყვეტინებ.

— ეი, ამონასრო, ნუ აწყვეტინებ კაცს, — მხარი მისცა მოიშემ.

— არა, მართლა, ბატონებო, — განაგრძო ხუმრობით არპაკაშმა და თვლები გაუბრწყინდა, — მითხარით, განა საყვარელი კაცი არ არის მარკუს ავრელიუსი, განსაკუთრებით როცა წარმოსთქვამს ამ დიდებულ სიტყვას „ბაჩკას“. „მისი „ჩ“ საოცრად მუსიკალურად ძღერს.

— აღარ გაჩუმდები, ამონასრო ეთიოპიელო?!

— არ შეგინიშნავთ, ბატონებო, როგორი უსასრულო სიძულვილით არის გამსჭვალული ამ ბაჩკასადმი ჩვენი ტკბილი მარკუს ავრელიუსი?

— მისმინე, ამონასრო, გაჩუმდი, ოორემ ვუბრძანებ მოიშეს, ხახაში ჩავსხას მთელი ტიქა კონიაკი.

— დახეთ ბა-ში-ბუ-ზუ-კებს, დაი-ნა-ხეს შარვ-ლი-ან-ი დე-და-კა-ცი, მას-ხრად აი-გდესო, ქა-ლიც არ მისცესო, ტაა-რა-რა-ბუმ-ბიე, ტა-რა-რა-ბუმი

— გაგიყდი, არპაკაშ, ღმერთმანი, გაგიყდი, — შენიშნა მიმტევებელი საყვედურით მარკუს ავრელიუსმა, — ცოტა ხანს მაინც იჯექი წყნარად, ძალიან გთხოვ.

— გეყოფა, არპაკაშ, — მხარი აუბა მარკუს ავრელიუსს ოჟილკამ.

— შენც, ოჟილკა, შენც, ბრუტუს?! სჯობს დაიწყო „ღამით ჩავუარე სევდივეის მხარეს...“

— ძირს აპაკაში — დაიძახა მუიშემ, მას მთელი კამპანია აჰყვა შეძახილით: ძირს...

და, როგორც იქნა, დააწყნარეს ეთიოპიის მეფე.

მარკუს ავრელიუსი კი განაგრძობდა:

— ჭეშმარიტად, ბატონებო, ეს სამგზის წყეული „ბაჩკა“ ერთობ სამწუხარო მოვლენაა. მაგის გამოა, რომ სულ გავხევდით, ტვინი ობითა და ობობას ქსელით დაგვეფარა. წარმოიდგინეთ, მე მყავს მეგობრები, რომლებსაც მთელი ათი წელია, დიახ, მთელი ათი წელი, ეს ხუმრობა როდია, პანახის გაბოლილ ყავახანაში ბანქოს თამაშისთვის თავი ვერ დაუნებებიათ. მათ ცხვირწინ კი ჰყვავის ქალაქის ეს მშვენიერი წალკოტი, რომლის სურნელებითა და სიგრილით ვერ დამტკბარან. ახლა არ იკითხავთ, რანაირი წარმტაცი ადგილებია სოფლის შემოგარენში, ჩვენ კი შევყუთულვართ კაფეებში და ვობრავთ შევიცარიაზე. საკმარისია, ოღონდ დაძაბო ნებისყოფა და შევიცარია, ბულგარეთის შევიცარია თქვენს წინაშე გადაიშლება: ვიტოშა, რილა, როდოპი! სოფიაში მცხოვრები ულარიბესი უცხოელი ვიტოშას შავი თხემიდან ტკება მისი დიდებულნი ხედებით და, აბა, მითხარით, მოიძებნება ერთი, ბატონებო, ერთადერთი შოპელი ვიტოშაზე ასული? ჩვენ ვიცით ისეთი მაგა-

ლითები, როცა ერთ ადგილას ცხოვრების ერთფეროვნებით თავმოებზრებულ იტალიელ ხელოსნებს მიუტოვებით აწყობილ-გამართული საქმეები, არ მორიდებიან არავითარ ზიჯათს და მოხეტიალე ცხოვრებას დასდგომიან ქვეყნიერების მოსაწახულებლად. მეორეს მხრივ, ვიცით ასეთი მაგალითიც: დრაგალიევის მონასტრის ჩობანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მალლობიდან გადმოჰყურებს სოფიას. იქიდან უყურებდა ქალაქს მის განთავისუფლებამდე, უყურებდა მის დანგრევას, მის აღდგენასა და გაფართოებას. ახლაც კაკლის ხის ჩრდილს შეფარებული, შორიდან ხარობს გამშვენიერებული ქალაქის ცქერით და ვერაფერმა დასძრა ადგილიდან, რომ ჩამოსულიყო ქვემოთ, ვერც ცნობისმოყვარეობამ, ვერც ყოველმხრივ განახლებული ჩვენი დედაქალაქის ახლო გაცნობის სურვილმა. მაგრამ მე მესმის ამ თავისებური ფილოსოფოსისა და გულახდილად გამოგიტყდებით, ერთგვარ შურს იწვევს ჩემში ბუნების ეს ლაღი შვილი. აბა, რა უნდა თქვას კაცმა ჩვენი შეძლებული მოქალაქეების უმრავლესობაზე, რომლებიც მთელი სიცოცხლე მტვერში, სიმყრალესა და სოფიის ძველ, დასნებოვნებულ ქუჩებში იხუთებიან, შორიდან გასცქერიან მომხიბვლელ დრგალიევის ჭალებს, ნაცვლად იმისა, რომ ადგნენ და წავიდნენ, ისიამოვნონ მისი სურნელებით, სიგრილით, ნაკადულის მიმზიდველი ჩხრიალითა და ბუღბუღების გალობით.

— ჰეი, შენ ნამდვილი პოეტი ყოფილხარ, მარკუს ავრელიუს, ვხედავ ამას, მაგრამ, რატომ არ ამბობ, რაში გჭირია ეგ ბებიაშენის ზღაპრები, შენ ხომ ბაი განიუზე აპირებდი მოგეთხრო რაღაც?

— იმად მჭირდება ლაყბობა, რომ მეზიზღება აბათიაში ჩაძირული ჩვენი ცხოვრების ყურება, საჭიროა თქმა იმისა, რომ უნარი არ შეგეწევს აღვიქვათ ბუნების სილამაზე. ეს გრძნობა ხომ ბუნებრივია, მას პირუტყვიც აღიქვამს, მაგრამ უბედურება ისაა. შებოჭილნი ვართ აღმოსავლური უძრავობით. კაცმა ხელი რომ წაგავლოს ქეჩოში, არბაკაშ, და მიგათრიოს ურვიჩის მონასტერში, როგორც კი გადმოხედავ კოკალენსკის მალლობიდან ისკარის ხეობას და ჩაგესმის აქაფებული მდინარის იღუმალი ხმაური, მაშინვე დაიწყებ ენის წკლაპუნს და უთუოდ შესძახებ: „ჰეი აქ ნამდვილი შვეიცარიაა, ხედავ, რა ლამაზია ბუღბუღარეთი, ჩვენ კი, ბრიყვებს, ამისა არაფერი გავგეგვება და სხვადასხვა კაფეებში ვმკვადებით“. მაგრამ დაბრუნდები თუ არა სოფიაში, დაიწყებ მისი სულიერი ატმოსფეროთი სუნთქვას, კვლავ ლეთარგიას მიეცემი, ჩაიძირები აბათიაში, სანამ ვინმე ისევ არ წაგავლებს ხელს ქეჩოში...

ახლა — ბაი განიუზე. მე და გერვანიჩი მთელი დღე დავხეტიალობდით ტყეში, ვკოტრილობდით ხის ძირას, ბალახებში, ვჭამდით, ვსვამდით, ვუყურებდით თავდავიწყებით მოქეიფე უცხოელებს, რომლებიც მრავალგვარ თამაშობებს მართავდნენ, მღეროდნენ, დარბოდნენ, დახტოდნენ, ნეტავი იმათ სალამო ხანს მე და გერვანიჩმა კარგად ვივახშმეთ და გავწიეთ სამიკიტნოში ყავის დასალევად. უცებ ორხანის გზატკეცილის მხრიდან ზანზალაკების ღღარუნი შემოგვესმა. მალე, გზაზე ამდგარი მტვრის ბუღში ეტლი გამოჩნდა მგზავრებითურთ. ჯერ ერთი მგზავრი გადმოვიდა, მას მეორეც, გადმოჰყვა, მერე მეეტლეს ზურგს უკან მესამე მგზავრის ხმაც გავიგონეთ:

— ბაი მიხალ, მოჰკიდე ხელი ხურჩინს, ოღონდ ფრთხილად, ფლაკონები არ დამიმტვრიო... ისეც ვერა ვარ მშვიდად, სირცხვილში არ ჩამაგდო...

აი, გადმოხტა ეტლიდან ბაი განიუ, ისეთივე ბაი განიუ, როგორსაც ევ-

რობაში გამგზავრების წინ ვიცნობდით, ოღონდ ახლა პალსტუხი გაუკეთებია, გარეგნობაც უფრო რიხიანი აქვს, თავი ღირსეულად უჭირავს და ირგვლივ მყოფთ ზემოდან დასცქერის. აშკარად ჩანს, კაცი ევროპაშია გამოჩევილი, ის ახლა ევროპას არად დაგიდევს. მარცხენა უღვაში აიგრიხა, ხელი პირზე იქ ფარა და ჩაახველა, თვალი ისე შეავლო ჯგუფ-ჯგუფად შეყრილ უცხოელებს, როგორც პოლიციელი უყურებს პატიმრებს, შემდეგ თავი გადააქნინა, მარჯვენა თავის გაუთლელ თანამგზავრებზე გადაიტანა, თითქოს უნდოდა ეთქვა: ვაი შენ ჩემო თავო, — და მრავალმნიშვნელოვნად დაურთო:

— ეხ, პრატერ, პრატერი!

— რა შითხარით, თქვენო მოწყალებავ?

— ვაი, შენ ჩემო თავო, — ტანჯული ხმით წარმოთქვა ბაი განიუმ, — ეხ, პრატერ, პრატერ... თუ მოგსვლიათ თავში, რა არის ესა? რა თქმა უნდა, არა. ანდა საიდან სადაო, რომც აგიხსნათ, მაინც ვერ გაგაგებინებთ.

რომ ეჩვენებინა თავისი შუბლვიწრო მეგობრებისათვის, თუ ვის შეეძლო ამის გაგება, მიუახლოვდა მონადიმეთა ერთ ჯგუფს, რომელთაც გარშემო მიეყარ-მოეყარათ ლუდის კასრები, სახეზე ირონიული ღიმილი დაიფინა, თვალთ ანიშნა მონადიმეთა ჭილაზე და დასძინა:

— დას ისტ ბულგარიშ პრატერი! ზა-ზა-ზა-ზა.

იქვე ჩამომსხდარმა უცხოელებმა, რომელთაც თვალები უბრწყინავდათ ლუდის სმისაგან, ქვემოდან ამოხედეს ჩვენს „გერმანელს“. ერთმა მათგანმა, რომელმაც ვერ გაიგო ბაი განიუს ირონიული შენიშვნა, გაუწოდა უკვე გემოწართმეული ლუდით სავსე ჭიქა და უთხრა:

— გთხოვთ, ბატონო, ლუდს ხომ არ ინებებთ?

„ვერც ამათ გამიგეს“, — გაიფიქრა ბაი განიუმ და თავისიანებს მიუბრუნდა:

— გახეთქილან კაზაკებივით.

მერმე მთელი კამპანია სამიკიტნოში შევიდა. ისინი ჩვენთან ახლოს დასხდნენ. მე მათგან ზურგშექცევით ვიჭექი და ბაი განიუს არ შეეძლო, ვეცნე. რაჯი ვერ მიცნო, ჩვენს მიმართაც არ დააყოვნა შენიშვნამ:

— ეტყობა, ესენიც დამთვრალან, ერთი სიტყვით, გერმანელები არიან.

მსახური მივიდა ახალმოსულებთან და მაგიდის ალაგებას შეუდგა.

— რას გვიბრძანებთ, — შეეკითხა იგი.

— არაფერი არ გვინდა. ყველაფერი გვაქვს, ოღონდ, აი, რა: მოიტანე წყალი და ცეცხლი ჩიბუხისათვის. წყალი ახალი დაგვისხი, — ბრძანა ბაი განიუმ, მერმე ხმადაბლა რაღაც სერიოზული საიდუმლო საუბარი წამოიწყეს, მაგრამ ჩვენამდე ყველა სატყუა გარკვევით ვერ აღწევდა.

— ამ საღამოს საეჭვოა უფროსთან მოვხვდეთ. გვიანია აწი, — ჩურჩულებდა ბაი განიუ. — გავუგზავნოთ არმალანი და შევუთვალოთ, ხვალ დილით გვახლებით-თქო. ის კი თადარიგს დაიჭერს, რომ მთავარმა მიგვიღოს.

— მთავარს არ უნდა არმალანი?

— არა, — ავტორიტეტულად განაცხადა ბაი განიუმ. — აქ ყველაფერი უფროსზეა დამოკიდებული. მოქრთამავ და საქმეც მოგვარდება. ჩვენ მას აღ-

1 ტყე-პარკი ფნაში.

1 ეს ბულგარული პრატერია (ჭერა).

ვოკატის ნაწერს გადავცემთ. წაიკითხავს და გაასწორებს, რაც არ არის რიგზე. ეს მისი ხელობაა. მთავართან კი, იცოდეთ თავი ყოჩაღად დაიჭირეთ: მე მიყურეთ, გეტყვით, რაც უნდა უთხრათ: „თქვენო უმაღლესობავ, ღმერთმა ნუ ქნას, დათანხმდეთ მის გადადგომას. დუნაის გაღმა გუბერნია ხომ...“ და მაშინვე დაიძახეთ: „ღმერთმა დაგიფაროთ, თქვენო უმაღლესობავ“...

— გასაგებია, მეტი რა უნდა ვუთხრათ, — მორჩილად მიუგო ბაი მიხალმა.

— შენ კი, მიხალ, საშინლად აგდის კაზაკური ჩექმის სუნი! ფრთხილად იყავი, — დაარიგა ბაი განიუმ.

— ვისა, მე? ამდის — შეშფოთდა ბაი მიხალი. — ნუ იტყვი ამას, თუ ძმა ხარ, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ გაიგონოს. კედლებსაც უჩრები ასხია. კაზაკის ხსენებისას სულ მაკანკალებს.

— გაკანკალებს, არა? — წასჩურჩულა ბაი განიუმ და თვალი ჩაუკრა. — რუსები რომ მოდიოდნენ, ის ვინ იყო, თურქების სოფლებში პირუტყვს რომ აგროვებდა, ჰა, საიდანა გაქვს ამოდენა სიმდიდრე? აბა, მითხარი.

— განა შენ კი აკლებდი ხელსა? — ჩურჩულითვე გაეპასუხა მიხალი. — მიუკიბავ-მოუკიბავად გეტყვი, რუსების დროს ვერ დაინარჩუნე შენა წისკვილი? თქვი, ასე არ იყო?

— კეთილი, კეთილი... სიტყვა ვერ უთქვამს კაცს შენთვის, ხმის ამოღებას არ დამაცლი, რაც იყო იყო. ის დრო წავიდა. ახლა დუნაისგაღმა გუბერნიაა. გამიგე?

— მაგას რა გაგება უნდა, — უპასუხა ბაი მიხალმა და ეშმაკურად უყო თვალი ამხანაგებს. სამივეს გაეცინა და ტუჩებზე აიფარეს ხელი, რომ არავის გაეგონა.

— მისმინეთ, ფხიზლად იყავით, გაფრთხილდით, არაფერ მოგვაყუროს, თორემ ჩავცვივდებით. ეი, ყმაწვილო, ეგ რომელი გაზეთია, „სვობოდა“ ხომ არ არის? — მიმართა ბაი განიუმ მსახურს.

— „სვობოდნო სლოვო“, ბატონო.

— ეხ, როგორ მინდა წავიკითხო, — მიმართა ხმადაბლა ბაი განიუმ ამხანაგებს, — მარა საშიშია, ეშმაკმა დალახვროს. უფროსობა გაიგებს, მერე მიდი და იმართლე თავი.

მაგრამ ამ დროს ამტყდარმა ხმაურმა მგზავრები ადგილზე გააშეშა. ხუთი-ექვსი წლის ბიჭმა, რომელიც სამიკიტნოს კართან ზანტად დაეხეტებოდა და რომელიღაც იმპროვიზებულ სიმღერას ღლინებდა, ეტყობა, სოფიაში სამდლიანი განუწყვეტელი — „ძირს, ძირს“ შექაზილების გავლენით, „შუმი მარიცას“ მოტივზე, საკუთარ მეხსიერებაში აღბეჭდილი სიტყვებით წამოიწყო სიმღერა: *Долу-лу, до-лу, до-лу-лу, до-лу, до-о-лу, до-о-лу, до-лу Стамболов!*¹ მონადიმე ჯგუფების სიცილმა ბიჭუნას იმპროვიზაცია შეაწყვეტინა. ამ მოულოდნელი წარმატებით გათამამებულმა ბიჭმა ისევ აუწია ხმას და „Марш-марш“-ის ნაცვლად თითქმის გაჰკიოდა: „до-о, до-о, до-о, долу Стамболов, до-до-до долу, долу, Стамболов“. ამგვარად საყოველთაო სიცილს სეირნობიდან დაბრუნებული ახალგაზრდების

¹ do-ღ-რს, ძი-რს... სტამბოლოვი (ბულგ.).

ახალი ჯგუფის ტაშისცემა და შეძახილები შეუერთდა: „ბრავო, ძირს, ძირს მე გახრწნილი, ძირს ტირანი!“

მე შემოვბრუნდი სამი მგზავრის მაგიდისაკენ. პირდაღებული, თვალებ-გადმოკარკლული ბაი განიუ და მისი ამხანაგები გაქვავებულებივით ისხდნენ ისეთი მწუხარება და განცვიფრება აღბეჭდილიყო მათ სახეზე, უნებურად ვინანე, ფოტო-პარატი რომ არ მქონდა თან. აზრზე პირველად ბაი განიუ მოვივიდა, თვალი შეავლო მოტაშეებს და ელდანაცემივით შეკრთა. შარავნაზე ცხენოსანი პოლიციელი გამოჩნდა. მას ესმოდა მთელი ეს აურზაური, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ხმალი ეშიშვლა და გაშმაგებული ბლავილით გამონთებოდა ამ თავზეხელაღებულ მემამბოხეებს, ავაზაკებს, ყაჩაღებსა და მოლაღატეებს, სრულიად მშვიდად, კეთილი ღიმილით შეავლო მათ თვალი. ახლა ვიტოშაზე ვულკანის ამოფრქვევა რომ დაწყებულიყო, ამ ამბავზე უფრო თავზარდამცემ შთაბეჭდილებას მაინც ვერ მოახდენდა.

— გაეებით ხათაბალაში, — ამოიგმინა სასოწარკვეთილი ხმით ბაი განიუ. — მომისმინე, ბაი მიხალ, გეხვეწები, მიდი დახლთან, სადაც გაზეთი დევს, ჩახედე შორიახლოდან „სვობოდნო სლოვოს“, იქნება გაიგო რამე.

— კაი საქმეა, თვითონ რა გიჭირს, რომ მიხვიდე? ვნახოთ ერთი, რა ვაჟკაცი ხარ, — შეეპასუხა ბაი მიხალი.

— აი, თურმე ვინა ყოფილხარ. რა იქნება, გაზეთში რომ ჩაიხედო? გაიარე სტვენა-სტვენით, ვითომ არაყის სათხოვნელად მიხვედი, გამიგე? ცალი თვალით კი... ისე, უბრალოდ ნახე. იქნებ ახალი მინისტრ... ესლა გვაკლდა!..

— არ შემიძლია, შენ თვითონ ნახე.

— ხედავ, რანაირად ექცევა ხალხს პოლიციელი? მაშ კარგი, რაც არის, არის, მე თვითონ ვნახავ გაზეთს, ეშმაკსაც წაუღია.

წამოდგა ბაი განიუ, წამოიწყო კბილებშუა სტვენა „ზელენ ლისტეცის“ მოტივზე, თან დაბნეული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. მერმე საკმაოდ შორიდან მოუარა და მიუახლოვდა დახლს. მივიდა, ხელი წაავლო კონიაკის ბოთლს ყელში, ვითომ ეთიკეტს გკითხულობო და მარჯვნივ ისე დააეღმა თვალები, რომ პირისპირ მდგარი კაცი მისი თვალების მხოლოდ თეთრ გარსს დაინახავდა. მან გაკეცილ გაზეთს დაარჭო მზერა, მაგრამ „სვობოდნო სლოვოს“ სახელწოდების მეტი ვერაფერი ამოიკითხა. გაიწოდა მარჯვენა ხელი, გაზეთის შრიალის ხმა რომ დაეფარა, აუმაღლა სტვენას და სასოწარკვეთილებისაგან დაელმებული თვალებით ამოიკითხა: „სასახლის უწყებანი. დღეს... მისი უმრავლესობის წინაშე წარსდგა პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი, დოქტორი კ. სტოილ...“

ბაი განიუს სუნთქვა შეეკრა, ჩაახველა, ენით უნებურად გაილოკა ტურები, დაელმებული მზერა ქვემოთ ჩააცურა და შეუდგა მსხვილი ასოებით აწყობილი სათაურის კითხვას: „სტამბოლ... დაცემა...“ — ბაი განიუს სული ფრჩხილებში გაეპარა. ხელიდან კონიაკის ბოთლი გაუვარდა. მისგან გამოწვეულ ხმაურს ყურადღება რომ არ მიეპყრო, ხმამაღლა ჩაახველა, მოუბრუნდა ამხანაგებს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა:

— არის!

— კარგ ამბებს უნდა ველოდოთ, ბაი განიუ! — შენიშნა მიხალმა.

— თქმა არ უნდა! — გაეპასუხა ბაი განიუ, მიუახლოვდა მაგიდას და წასჩურჩულა: — ეფენდი სტამბოლოვი სანაგვეზეა, სტოილოვი ახლა...



— შეუძლებელია, რას ამბობ! გაზეთში სწერია?
 — რასაკვირველია!
 — იქნება რამე ხრიკია?
 — რის ხრიკი, — ხმამაღლა წამოიძახა ბაი განიუმ, მთიერება მხნეობა და
 გასძახა: „ჰეი, ყმაწვილო, მოიტა აქ „სვობოდნო სლოვო“
 ბაი განიუს თანამეინახეებმა უნებურად დახარეს თავები და შიშით მიმო-
 იხედეს ირგვლივ.

მსახურმა ბიჭმა მოიტანა გაზეთი, რომელიც შემთხვევით ბაი მიხალს გა-
 უწოდა. მან, თითქოს გაზურებული შანთი შეეხოო, განზე გასწია ხელი და
 თვალებით ბაი განიუმ ანიშნა. განიუმ გამოართვა გაზეთი, მანაც უნებურად
 მიმოიხედა ირგვლივ, საექვო თუმცა ვერაფერი შენიშნა, მაგრამ გაუჭირდა
 ხელმეორედ მხნეობის მოკრება, ბოლოს მაინც ეყო იმდენი გამბედაობა, რომ გა-
 შალა გაზეთი და წაიკითხა: „სტამბოლოვის დაცემა!...“ კვლავ აუვარდა ხვე-
 ლება, რომელიც თანამეინახეთაც გადაედოთ, ბაი მიხალსაც გაექცა თვალები
 გაზეთისაკენ, უნდოდა გაეგო, მართალს ამბობდა თუ არა მისი მამაცი მეგო-
 ბარი. ახლა მესამე თანამეინახემაც დახარა თავი გაზეთისაკენ, წაიკითხა და
 ბალანი აებურძგნა, თავს რეტი დაესხა. წლების მანძილზე პროკურორის მა-
 გიდის მაუღქვეშ ამოდებულ რამდენ დიდ და პატარა საქმეს გამოამზებურებს
 ახლა ეს ორი სიტყვა!

შიშისაგან მოკუნტულებმა, ჩურჩულით, ენის ბორძიკით ჩაიკითხეს მოწი-
 ნავე, მეხუთე გვერდიდან შეათე გვერდამდე გადაავლეს თვალი გაზეთის ნო-
 მერს და ბოლოს დარწმუნდნენ, საქმე დამში იყო მოსული.

— ჰო, გავებით ხათაბალაში, რა უნდა ვქნათ? ახლა უკვე ვვიანია, რომ
 მოვიტხოვოთ, არ დაეთანხმონ მის გადადგომას, მოუკვდა პატრონი... აბა მი-
 ხალ, რას გაჩუმებულხარ, თქვი, რა ვიღონოთ, — ჰკითხა ბაი განიუმ.

— თვითონ ვვითხარი, შენო მოწყალეზავ, მე აღარაფერი გამეგება, თით-
 ქოს ვინმეს კეტი დაეთხილოს თავში ჩემთვინ, — გამოტეხილად თქვა სასო-
 წარკვეთილმა ბაი მიხალმა.

— შენ რაღას გაჩუმებულხარ, გუნო, ერთი სიტყვა მაინცა თქვი, რა უნდა
 ვქნათ, ჰა?

— ვანა ვიცი? როგორც იტყვი, შენო მოწყალეზავ... — წაილულულა
 სულშეძრულმა გუნომ.

— შენ რა, საკუთარი თავი არ გაბია მხრებზე, ჩერჩეტო? თქვენ მაგიერ
 როგორ ვაკეთო ყველაფერი? — ამოიკენესა ყელში ცრემლმობჭენილმა ბაი
 განიუმ, — კარგით, რა გავწყობა, გასწავლით... იცით რა?...
 დასვა ეს კითხვა მოღუშულმა ბაი განიუმ, ჩაფიქრდა, მოიფხანა თავი, სა-
 დაც არ ეფხანებოდა, ერთი-ორჯერ ჩაახველა მუჭში, ამოიღო პიჯაკის ჯიბი-
 დან ორად გაკეცილი ქალაღი და გაუწოდა ბაი გუნოს.

— აბა, ერთხელ კიდევ წაიკითხე ეს მონაჩმახი. მერე გეტყვით, რა უნდა
 ვქნათ.

— რატომ თავად არ გინდათ, რომ წაიკითხოთ, თქვენო მოწყალეზავ?

— ნუ გამაბოროტებ ახლა, გუნო, ძალიან კარგად იცი, რატომაც. შენ
 უფრო გაძლევს ხელს მაგ პაპისტური სიტყვების ჩაბუღბუღება.
 გუნიუმ გადაშალა ქალაღი და შეუდგა კითხვას:

— „თქვენო უმაღლესობავ! ღვთის რისხვა დაატყდა ჩვენს უბედურ თავს!

ხუთსაუკუნოვანი მონობა სასიამოვნო სიზმრად გვიჩანს იმ მიძიმე დარტყმასთან შედარებით, რომელიც მოგვაყენა ჩრდილოელმა მტერმა ჩვენი გენიალური ბელადის, — ო, სად ვეძიოთ მისი შესაფერისი სიტყვები, — ბულგარეთის ცისკიდურზე ამობრწყინებული იმავ ციცირონის, იმავ ნიუტონის გადაყენებით. O tempora, o mores! არა, თქვენო უმაღლესობავ! ჩვენ კვლავ ვკვამს სახელოვანი ბულგარელი ხალხის საღი აზრისა და მოველით, ეს არასოდეს მიატოვებს ადამიანს, რომელიც განასახიერებს მის მისწრაფებებსა და იდეალებს, პატიოსნებას, კეთილშობილებას, უმწიკვლობას, ყოველივე პროგრესულსა და ლიბერალურს... ვერასოდეს ვირწმუნებთ, რომ თქვენი უმაღლესობა მმართველობის სადავეებს მიანდობს იმ გახრწნილ მოღალატეებს, უვიც და გაუზრდელ არაობებს, რომლებიც ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ ჩვენი სახელმწიფოს წყობილების საფუძვლებს და კაზაკის აყროლებული ჩექმის ქვეშ გათელონ ჩვენი საყვარელი მამული.

თქვენო უმაღლესობავ, Timeo Danaos et dona ferentes.² შემომოყვანილი რეზოლუცია მიიღო თერთმეტი ათასმა ცნობილმა მოქალაქემ, რომელთაც აღჭურვეს სრულუფლებიანი რწმუნებულებით განიუ ბალკანელი, მიხალ მიხალი, და გუნიუ კილიპრიჩიკოვი, თქვენი უმაღლესობის წარმოსადგენად. ვაშა-ა-ა!

— რა თაღლითები ვართ! — ჩაილაპარაკა ბაი განიუმ თავის ქნეგითა და ენის წკლავუნით. — როგორც კი ტყუილზე მიდგება საქმე, ყველაზე გამოქეჩილ ბოშასაც კი ჩაეისვამთ ჯიბეში. უყურე ერთი მაგათ! თერთმეტი ათასი ცნობილი მოქალაქეო! ხა-ხა-ხა! გადაშალეთ ათასი. რამდენი დარჩება?

— თერთმეტი კაცი, — მიუგო მიხალმა.

— მოგროვდება მაგდენი?

— მოგროვდება, ბაი განიუ, მართალს გეუბნები, მოგროვდება. მე თავად ვახლდი პოლიციელს, როცა იმათ ვაგროვებდით.

— თაღლითები!.. ახლა აი, რას გეტყვით... ახლა ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ უკან ვავბრუნდეთ. შენ, გუნიუ, ცოტ-ცოტა ადვოკატობისაც გაგეგება რაღაც. აბა, შეუდექი საქმეს. მოდი, ახლავე ერთად შევადგინოთ სხვა ადრესი ახლების პატივსაცემად. ქალაქი მაქვს. აჰა, გამომართვი, ოღონდ არა-ვინ არ უნდა გაიგოს, რომ იმ არამზადისათვის შევადგინოთ ის მიმართვა, თორემ, ბოლო მოეღება ჩვენს საქმეს, განსაკუთრებით შენსას, გუნიუ... თუ სხვა პროკურორი მოვიდა...

გუნიუმ ჩაახველა.

— მოიტათ ქალაქი და კლამი, — აღელვებით უპასუხა მან, — თქვენ თვალყური გეჭიროთ რასაც დაუწერ.

და დაიწყო:

— „თქვენო უმაღლესობავ, ღვთის რისხვა დაატყდა ჩვენს უბედურ თავს“. — ეს ახლა უკუღმა უნდა შევავბრუნოთ. რანაირად? მაცალეთ... ასე ხომ არ აჯობებდა: „ზეცა გაიხსნა და ჩვენს მამულს მოევიღინა ლოცვა-კურთხევა“.

— ოღონდ მამული რაღაც უბრალოდ გამოდის, — შენიშნა ბაი განიუმ, — დაწერე „ჩვენს საყვარელ მამულს“.

¹ ო, დრონი, ო, ზნე კაცისა! (ლათ.).

² მეშინის დანაელთა და მათთა შეძღვნეთი (ლათ.).

— მეც მანდა ვარ, — „საყვარელი“ თუ არ დავწერეთ, არ გამოვა, — მხარი აუბა მიხალმა.

— კეთილი, ჩავსვით საყვარელი. შემდეგ: „ხუთსაუკუნოვანი მონობა სასიამოვნო სიზმრად გვიჩანს. ამ მძიმე დარტყმასთან შედარებით“. ახლა... პირიქით: „ხუთსაუკუნოვანი მონობიდან ჩვენი განთავისუფლება... არაფერია შარავანდელით მოსილ დღევანდელ მოვლენასთან შედარებით... რომელმაც დაწყვიტა ჯაჭვი, რითაც აქამდე გვბორკავდა უღმობელი ტირანი“. თანახმა ხართ?

— მე დავუმატებდი: „ჯოჯობეთის მოციქული“, — თქვა ბაი განიუმ. — ჰო, კარგი. გააგრძელე.

— „რომელიც მოგვაყენა ჩრდილოელმა მტერმა ჩვენი გენიალური ბელადის — ო, სად ვეძიოთ მისი შესაფერი სიტყვები, — ბულგარეთის ცისკიდურზე ამობრწყინებული იმავე ციცერონის, იმავე ნიუტონის გადაყენებით...“

— როგორ შევაბრუნოთ ეგა? დამაცა, აი, ასე: „და რასაც ვუმადლით მხოლოდ თქვენს უმაღლესობას, ყოვლად უმოწყალეს მამასა და მშობელს, რომელმაც იწება — ო, სად ვეძიოთ შესაფერი სიტყვები, — ბულგარეთის ცისკიდურზე მოვლენილი უსაშინლეს მწვალებლის, იმავე კალიგულას, იმავე თემურლენგის გადაყენება.“

— ბარაქალა, გუნიუ! — წამოიძახა ალტაცებისაგან თვალეზგაბრწყინებულმა ბაი განიუმ.

— იცის გუნიუმ თავის საქმე, — მიელიქნა მიხალი.

— „O, tempora, o mores!“ ეს შეიძლება დავტოვოთ. სადაც არ უნდა ჩასჩარო, თავის ადგილზე აღმოჩნდება... „არა, თქვენო უმაღლესობავ!..“ ჩავსვით: „დიახ, თქვენო უმაღლესობავ! კვლავ გვწამს, სახელოვანი ბულგარელი ხალხის საღი აზრისა და მოველით, რომ ის არასოდეს მიატოვებს ადამიანს“... — აქ ნაცვლად „არასოდეს მიატოვებს“ დავწეროთ: „აღგვის პირისაგან მიწისა“, ხოლო „ადამიანს“ შევცვალოთ სიტყვებით „სისხლისმსმელ მხეცს“.

არა, უმჯობესია „ცოფიან ურჩხულს“, — შეუსწორა ბაი განიუმ.

— მე მგონი, უკეთესია „ჯოჯობეთის ცეცხლი“, — შესთავაზა მიხალმა.

— ბიჭოს! ეს რამ მოგაფიქრა, ხა-ხა-ხა! საიდან მოგივიდა თავში „ჯოჯობეთის ცეცხლი?“ არა, უმჯობესია ჩავწეროთ „ბილწი სისხლისმსმელი“, — უთხრა გუნიუმ.

— აი, ეს სხვა საქმეა, დიდებულია, — მოუწონა ბაი განიუმ.

„...რომელიც განასახიერებს მის მისწრაფებებსა და იდეალებს, პატიოსნებას, კეთილშობილებას, უმწიკვლობას, ყოველივე პროგრესულსა და ლიბერალურს“... ახლა დავწეროთ პირუკუ: „რომელიც განასახიერებს ხალხის უბედურებას, ადამიანის უღირსობას, თაღლითობას, გარყვნილებას, ბნელეთის მოციქულობას, ტირანიას“... მერმე: „ვერასოდეს ვირწმუნებთ, რომ თქვენი უმაღლესობა მმართველობის სადავეებს მიანდობს იმ გახრწნილ მოღალატეებს, უვიც და გაუზრდელ არარაობებს“... ეს როგორღა შევაბრუნოთ? დაიცა, ვიცი: აი ასე: „ნება გვიბოძეთ, თქვენო უმაღლესობავ, გამოვთქვათ სიხარული და უქვეშევრდომილესი გრძნობები იმის გამო, რომ მმართველობის სადავეები მიანდეთ კეთილშობილ პატრიოტებს, განათლებულ და ზრდილ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც დღითა და ღამით ისწრაფვიან, ძირი გამოუთხარონ სახელმწიფო წყობილებას...“

— როგორა, როგორაო? მანდ რალაც რიგზე ვერ არის, — შეაწყვეტინა შემცბარმა ბაი განიუმ.

— ჩვენ ახლა პირუკუ გავაკეთებთ: ამოვიღოთ „ძირი გამოუთხარონ“ და ჩავსვათ „განამტკიცონ“... „და კაზაკის აყროლებული ჩექმის ქვეშ გათვლინ ჩვენი საყვარელი სამშობლო“...

— აქ დაფიქრებაა საჭირო, — თქვა ბაი განიუმ, — შეფუძნებულნი ვართ იცი, ახლანდელეები როგორ წაიყვანენ მოსკოვთან ურთიერთობის საქმეს. ეშმაკს წაუღია ისინი, რო ვიცოდე, მშვიდობა უნდათ, მაშინ იოლია. შეიძლება ბევრი რამეც დაიწეროს: „მეფე-განმათავისუფლებელი, მეფე-მფარველი, ერთი დედის შვილები, დაფუფხული გერმანელი ებრაელები“ და მისთანანი. რა იცი, ქარი საიდან დაუბერავს... კარგია: „ძმებო სლავებო“, მაგრამ თუ ახლანდელეები სლავებს დაუპირისპირდებიან, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ — ჰობ! — ბაი განიუმ მოლალატეა! იცი, რა? ჯობია „აყროლებული ჩექმა“ ამოვადგოთ.

— მერმე რა ჩავსვათ?

— დაიცა, ნუ ხარ სულწასული, მოვიფიქროთ. იცით, რა? სანამ არ ვიცით, ქარი საიდან დაუბერავს, მოდით ორივე ჩავწეროთ. იმათ კი, როგორც უნდათ, ისე იფიქრონ. აი, ასე: „და გადავეხვიოთ ძმურად რუსებსაცა და გერმანელებსაც“. აგრემც გაუწყვეტია ღმერთს ორივენი.

— არა, ასე არ ივარგებს. რა არის ეს ამდენი „ცა... ცა...“ მთავარს ასე ელაპარაკებიან? — შეეკამათა „აპელაციის მცოდნე“ გუნიუ.

— რასა ლაყბობ, ტვინიკოსო, შენ მე ვერ მასწავლი, — იფეთქა ბაი განიუმ. — იცი, ვინა ვარ მე? იცი, რო მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი? განა შენნაირად ვაგდივარ როკივით? იცი, რო ჩემს ლაპარაკს პირდაღებულნი უსმენდნენ ათასი ჯურის ირეჩეკ-მირეჩეკები? დრეზდენში პატივითა და ღირსებით მეპყრობოდნენ ამერიკელები და ინგლისელები. შენ კი ჩემი ჭკუის სწავლება მოგპრიანებია. იცი, რომ მე...

— ვიცი, ბაი განიუმ, როგორ არ ვიცი, — იმართლა თავი დაბნეულმა გუნიუმ.

— თუ იცი, რალას მიედ-მოედები? კარგი, დაწერე, როგორც ვინდა.

— დავწერ ასე: „ევროპის დიდ სახელმწიფოებზე მალლა თუ არა, მათ გვერდით მაინც დავდგებით“...

— კარგი, იყოს მასე, — მოუწონა ბაი განიუმ.

— „ევროპის დიდი სახელმწიფოების გვერდით... აღვადგენთ ასპარუხისა და კრუმის დიდებას“.

— თანახმა ვარ, მოდის.

— ახლა განვაგრძოთ: „თქვენო უმაღლესობავ! Timeo Danaos et dona ferentes“, ამის ნაცვლად ჯობია ჩავსვათ: „Vox populi, Vox dei“,¹ თანახმა ხართ?

— კეთილი, რა გაეწყობა, ჩასვი, მთლად ბულგარულად ვერ არის. რადგან საჭიროა, რას იზამ, — დაყაბულდა ბაი განიუმ.

¹ ხმა ღვთისა — ხმა ერისსო (ლათ.).

— „ზემომოყვანილი რეზოლუცია მიიღო თერთმეტი ათასმა ცნობილმა მოქალაქემ, რომელთაც აღჭურვეს სრულუფლებიანი რწმუნებულებით განიუ ბალკანელი“ და ა. შ. ეს შეიძლება დავტოვოთ ბოლომდე.

— რა ვქნათ ახლა, ასევე დარჩეს თერთმეტი ათასი, თუ მივუმატოთ კიდევ ერთი-ორი ათასი ახლების სასიამოვნოდ? მოვუქონლოთ თუ არა?

— ისედაც ბევრი გამოდის, ბაი განიუ, ჩვენს ქალაქში ყველა ბრძა და ყველა კოჭლაუხა რომ გამოარეკოს კაცმა, თერთმეტ ათასსაც ვერ მოუყრის თავს. მაგრამ თუ კი ეამებათ, კეთილი, იყოს მასე.

— კეთილი... მაგრამ აი კიდევ რა: უფრო თავმოსაწონი ხომ არ იქნებოდა „განიუ ბალკანელის“ ნაცვლად გვეხმარა „ბატონი განიუ“, და ა. შ. რათა დაინახოს მთავარმა, ჩვენ ვიღაც ტურტლიანები არა ვართ, ჰა?

— აბა, უკვე გვიანია, პატივცემულნო, — აუწყათ კარებთან მდგარმა თურქმა მეეტლემ და ისინიც დაადგნენ სოფისაკენ მიმავალ გზას.

მეორე დღეს, ბატონებო, ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში წავიკითხე, რომ დიდ ალაყაფთან გამოცხადდა ქალაქ პ-დან ჩამოსული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში განიუ ბალკანელიც იმყოფებოდა. მათ გამოხატეს თავიანთი მადლიერება ტირანული რეჟიმისაგან განთავისუფლების გამო.

ზოლო იმავე გაზეთში ორი დღის მერმე წავიკითხე აღნიშნული ქალაქიდან გამოგზავნილი „რამდენიმე ათასი“ მოქალაქის მიერ შედგენილი ტელეგრამა. იგი ხელისუფლების წარმომადგენლებს ატყობინებდა, რომ დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ბაი განიუ, თვითმარქვია და მადლობის სათქმელად არჩეული ნამდვილი სახალხო წარმომადგენლები უკვე გამოემგზავრნენ დედაქალაქში.

ვიცოდი, რომელ სასტუმროში იყო დაბინავებული ბაი განიუ და იქვე გავეშურე. არა იმად, რომ გამომეტქვა გულისწყრომა მისი სულმდაბლური საქციელის გამო, რადგან არანაირ გულისწყრომას არ შეეძლო დაეგმო მსგავსი მოქმედება. მინდოდა ამ საცოდავი არსებისათვის — თავისი წრის პირმშოსათვის შემეგნებინებინა დანაშაულის მთელი საშინელება.

მოვძებნე სიაში ბაი განიუს სასტუმრო ოთახის ნომერი. ავედი კიბეზე, დავაკაყუნე. ხმა არავინ გამცა. დავწიე სახელურს. ვაილო კარი. ოთახში არავინ ჩანდა. წასულიყვნენ, ვხედავ. მაგიდაზე ქალაქის ნაგლეჯია, რომელზედაც ბაი განიუს ხელითაა დაწერილი: „გაზეთ სვობოდნოე სლოვოს“ რედაქციას“, გაზეთის ეს სახელწოდება გადახაზულია და ზემოდან აწერია: „სვობოდა“, შემდეგ: „სტამბოლოვის საიდუმლოებანი“. ესეც გადახაზულია, იმის ნაცვლად კი წერია: „ანარქია“. აშკარად ჩანდა, იგი დიდხანს მერყეობდა, თუ რომელ მხარეს მიჰყვებოდა. ფურცელი მთლად აეჭრელებინა დაწერილ-გადახაზული, ურთიერთსაპირისპირო ცნებების გამომხატველი სიტყვებით. მაგალითად, ერთგან სიტყვა „პატრიოტები“ გადაეხაზა და ზემოდან მიეწერა „დიდი თემშარის ყაჩაღები“. ესეც გადაეხაზა და ისევ „პატრიოტები“ ჩაესვა. ბოლოს, მთელი ტექსტი ჯვარედინად დაესერა ორი მსხვილი ხაზით, რომელიც გულმოსული კაცის მიერ გავლებული კვალივით მიუყვებოდა ქალაქს. მეორე ხაზის გასავლებად მელანი აღარ ჰყოფნოდა, ჩაეწო სამელნეში კალამი და ორმაგად მსხვილი ხაზი გამოსვლოდა. მის ქვეშ კი მიეწერა: „მაიმუნებად გადაგვაქციეს, ეშმაკმა წაგიღოთ ყველანი, თქვე თავლაფდასხმულნო“.

ბაი ბანიუ არჩევნებს ატარებს

ჩემს ძვირფას მეგობარს ცვეტან
რადოსლავოვს ვუძღვნი ამ ნარკვევს.



ქართული

— თავი დაანებეთ სულელურ ლაპობას, ვეუბნებით მთავრობის მომხრე ხალხი, — დასტეჟა ბაი განიუმ და მაგიდას მაგრად დაჰკრა მუშტი.

— როგორ ავარჩიოთ მთავრობის მომხრენი, სად მოვნახოთ ამომრჩევლები? შენც ხომ ლიბერალი ხარ? — გაბედა შეპასუხება ბოჩოლომ.

— ვინ გითხრა, რომ ლიბერალი ვარ? — ჰკითხა მკაცრად ბაი განიუმ.

— როგორ თუ ვინ?! დაგავიწყდა, რანაირად შოლტავდი და თათხავდი კონსერვატორებს? შენ არ იყავი? ირეჩეკს რომ თავს აწონებდი, ლიბერალი ვარო? — შეეკამათა ბოჩოლომ.

— აი, შენ ბეყჩე! — შემწყნარებელი ღიმილით მიუგო ბაი განიუმ, — მერე, რა, რომ ირეჩეკს ასე ვუთხარი? სიტყვას რა ფასი აქვს? შენ მასხარავ, მაშ ვილაც ირეჩეკს ვეღარ ვავხუმრებდევარ და ეგ არის.

— მართალი ხარ, შენო მოწყალებავ! გაჩუმდი, ბოჩოლომ, ხელს ნუ უშლი, — ჩაერია ბოჩოლომ, — მეც კონსერვატორი ვარ.

— ნურც მე გეგონებით ბენტერა. მეც კონსერვატორი ვარ, — გამოეხმაურა ბოჩოლომ. — შენც კონსერვატორი ხარ და მიემხრო, ბოჩოლომ, და ისე დაგვრათ, რომ სული ვეღარ მოიბრუნონ.

— კარგი, მაგრამ რომ არ ვიცი, ვის ემხრობა მმართველი? — თქვა ბოჩოლომ.

— მმართველი? ჩვენთანაა, — აუწყა ბაი განიუმ. — საოლქო საბჭოც ჩვენთანაა, მუდმივი ბიუროც ჩვენია, ქალაქის საბჭოც, ქალაქისთავი მერყეობს ცოტას, მარა მივაწყვეტთ კუდს. სოფლებში თემსაბჭოები არ დაუმტკიცებიათ. თუ მოგვემხრობიან დაამტკიცებენ, არადა, ეშმაკს წაუღია იმათი თავი. მმართველზე კი... არაფერია სადარღვევლა, ჩვენაა.

— მტვირთავეები? — დაინტერესდა ბოჩოლომ.

— მტვირთავეებიც ჩვენია, ბოშებიც, დანკო ხარსიზინიც¹ ჩვენია.

— ის ხომ ციხეში ზის მძარცველობისათვის, — გაუკვირდა ბოჩოლომ.

— ე-ჰე! გამახსენდა. ჰო, ჩვენ გამოვუშვით, მან მტვირთავეები გადმოიბირა. მესამე დღეა, იმათთანაა. მოუყარა თავი, დაუხრჭილა კბილები და აღვილზე გააქვავა: ცხვირ-პირს ამოგინაყავთ, თუ ბაი განიუმს არ მისცემთო ხმას. ისინიც დათანხმდნენ. დანკო მათ ორ-ორ ლევად მოუპრიგდა, ხოლო არჩევნების წინა ღამე ქეიფსა და დროსტარებაში უნდა გაათევიროს.

— თავზეხელაღებული ვანმეა.

— და, როგორა ფიქრობ, ჩისთვის ირგება ასე? ორმოცდაათი ლევისათვის. იმათთან მივიდა, ასი მოითხოვა... აუყვირდნენ. გამოაგდეს აი, ნახავ, კვირას თავ-პირს დააღეწავს იმათ, — კმაყოფილებით წარმოთქვა ბაი განიუმ.

— წადი, ბოჩოლომ, ვეჭილ გუნდს დამიძახე, მოვიდეს, მოწოდება დაგვიწეროს. უთხარი, ბაი განიუმ გეძახის-თქო.

1 ხარსიზინი — ხელიდან წასული კაცი, არამზადა (თურქ).

როგორც კი გავიდა ბოჩოლოუ, ბაი განიუ დაიხარა მეგობრებისაგან და იღუმალი ხმით წამოიწყო:

— ჩუმად ვილაპარაკოთ. არჩევნების დაწყებამდე უნდა დავაგვიდოთ ეს რეგენი, რო დეპუტატად ავირჩიეთ და დასაბაზად რამდენიმე ბიულეტენს შევავსოთ მისი გვართ. დანარჩენს ქალაქის საბჭოსა და მუშაკთა საბჭოს მწერლები გააკეთებენ. ახლა მისმინეთ: მინისტრს უნდა, უთუოდ მე ავირჩიონ დეპუტატად, ბოჩოლოუ, შენც გინდა დეპუტატობა?

— კი მინდა, — უპასუხა მან.

— მეც მინდა, — განაცხადა დოჩოლოუმ.

— ნდომით კი გინდა, მარა პირდაპირ რო ვითხრას კაცმა, გალანძღული ხარ. რა გრჯიდა, ყველას თვალში რომ ეჩხირებოდინ? რას გაპყვიროდი მოედნებზე: „გაუმარჯოს დიდ პატრიოტს“, „ძირს საზიზღარი ტირანი“, „სახჩრობელაზე კლიმენტს“ „გაუმარჯოს კლიმენტს!“..

— ჩვენ ხომ ერთად ვიყავით, ბაი განიუ. რატომ იწყებენდ სულსა?

— მართალია, ერთად ვიყავით, მარა იქ ასე ხმამაღლა და აშკარად არა ვყვიროდი. მაშ კარგი, რადგან ასე გინდა, ავირჩიევ, თლონდ ესაა, გლეხებსა სძულხარ, ტყავს რომ აძრობ ვახშით.

— ამაზე, ბაი განიუ, ჯობია გაჩუმდე, ვიცი, რა ჩიტაცა ხარ, — ფრთხილად შეაპარა დოჩოლოუმ.

ბაი განიუ საცაა იფეთქებდა, მაგრამ ამ დროს ვეჭილი გუნით შემოვიდა. ბაი განიუმ აუხსნა, როგორი სულისკვეთებით უნდა შეედგინა მოწოდება. გუნიუ მიუჯდა მაგიდას, ხელთ კალამი აიღო და ფიქრებში ჩაიძირა. ბაი განიუმ მსახურს უბრძანა, ერთი გრაფინი ანისულის არაყი მოეტანა. ბოჩოლოუ, დოჩოლოუ და ბაი განიუ არაყს შეექცეოდნენ, გუნით კი წერდა. ნახევარ საათში მზად იყო შემდეგი:

„მოწოდება“

ოკოლიას ამომრჩევლებისადმი

ჩვენი მამულის აწმყოსა და მომავლისათვის სახალხო წარმომადგენელთა მომავალი არჩევნების უდიდესი მნიშვნელობის გამო შეიდასზე მეტი მოქალაქე შეიკრიბა პარცალ-მახლესის სკოლის ეზოში და განიხილეს კანდიდატურების საკითხი. შეთანხმდნენ და ერთად დაადგინეს — როგორც სახალხო წარმომადგენლებს, ჩვენი ოკოლიას მოქალაქე ამომრჩეველთა წინაშე რეკომენდაცია გაეწიოთ ქვემოთ ჩამოთვლილ თანამოქალაქეებს: განიუ ბალკანელს, ვაჭარს, მთელ ბულგარეთში ცნობილ პიროვნებას; ფილიუ გოჩოლოუს, კაპიტალის მფლობელ ვაჭარს; ტანას დოჩოლოუს, სირაქს. ესენი სწორედ ის პირები არიან, რომელთაც სახალხო პარტიის კომიტეტმა რეკომენდაცია მისცათავის 127 აგვისტოს მოწოდებაში. ვაუწყებთ რა ჩვენც ერთსულლოვან გადაწყვეტილებას ქალაქისა და ოლქის დანარჩენ ამომრჩევლებს, რომლებისთვისაც ძვირფასია მამულის კეთილდღეობა, მიწათმოქმედთა შემოსავლის გადიდება, გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობის შემსუბუქება, ერთი სიტყვით, ჩვენი ოკოლიას ინტერესები, მოვუწოდებთ, ამა თვის 11-ს ხმა მისცენ ზე-

1 ოკოლია — ადმინისტრაციული ერთეული.

მონსენებულ სამ თანამოქალაქეს, რომელთაც ვუცხადებთ სრულ ნდობას, რომ ისინი ღირსეული წარმომადგენლები აქნებიან ჩვენი ქვეყნის სახელის კრებაში.



მოქალაქე ამომრჩეველ!

თქვენ წარმოგიდგინეს რომელიმე მოქალაქის, სახელდობრ, აიკოლა ტირნოვალის, ლულხო დოქტოროვისა და ანასტას გრამატიკოვის სია. ისინი არ ვუთვნიან ჩვენს წრეს, უცხონი არიან ჩვენთვის, არ იმსახურებენ და არც შეიძლება ჰქონდეთ ჩვენი ნდობა. შესაძლოა გამოჩნდნენ სხვებიც, რომლებიც შეეცდებიან დაგითანხმონ, ზმა მსკეტ - მათ კანდიდატებს, გირჩევთ მოქალაქე ამომრჩეველებო, არ გაუდუნოთ ლამაზმა სიტყვებმა, არ აძვეთ მათ პირმოთხეობას, ნო ურწმუნებდით. მათ ბიუჯეტურ კავრელებულ ბნებსა და კორებს, თლქიდან გამოგზავნილი რომელიმე ტელეგრაფის შესახებ და ა. შ. აიკოლა ტირნოვალისა წარმოშობით ქალაქ ტონთვიდანაა და თავისი სიკერპის გამო მზადაა ნაბაი წყალს მავსევი გაყოლოს, ლულხო დოქტოროვი თავით-ფეხამდე დუნაისკაღმწელია, ხოლო ანასტას გრამატიკოვს არავინ იცნობს და — nona bene! — რუსულად არის აღზარდილი, მაშასადამე, ჩვენი საყვარელი მამებს ან ვაჟებს ვაძვირებთ.

მოქალაქე ამომრჩეველ!

ღარწმუნებული ვართ, ზემონსენებული ე. ი. ქვემოთ დასახელებული პირები:

- განოუ ბალკანელი,
- ფილიუ ვაჩოთლუ,
- ტანას დოჩოთლუ,

რომელთაც თავი გამოიჩინეს მისი უფიქრობების, ჩვენი ძვირფასი მთავრის ფერდინანდ I-ის ტახტისა და დინასტიის წინაშე თავდადებითა და მხურვა ვალე ერთგულებით, მტკიცედ უჭერენ მხარს ჩვენს პატრიოტულ მთავრობას ახლანდელი პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რათა მოიპოვონ თქვენი ნდობა.

- ყოჩაღ, გუნოუ, — წამოიძახა ბაი განიუმ. — ნამდვილი ბისმარკი ხარ...
- აბა, რა გეგონა? — თვითცმაყოფილებით წარმოთქვა გუნიუმ.
- აბლა წაიღე სტამბაში, უთხარი, აი, ასეთი მსხვილი ასოებით დაგვიბეჭდონ.

- მერე ფული?
- ფული არ არის, უთხარი სტამბის პატრონს, ისე დაგვიბეჭდოს, თუ არა, ქალაქის საბჭოსა და სხვა დაწესებულებებში ვიტყვი, რომ მასთან არავინ მიიტანოს დასაბეჭდად საბუთები. ვაიგე? წადი ახლა! — უბრძანა ბაი განიუმ. — იციო? — ვანავრძო მან, — ტელეგრაფმა გაუგზავნიათ მინისტრთა ჩივიან, მმართველი სოფლებში დაიარება და აგიტაციის ეწევაო.

- რეგენები! — შენიშნა გოჩოთლუმ.
- მერედა, როგორი! — მხარე აუბა დოჩოთლუმ.

1. აღნიშნუ კარგად დაიხატე ქვემოთ.

— მინისტრი მოხერხებული კაცია, — წმინდა ღვთისმშობელი კი არაა, იმათ მოუსმენს სწორედ! აი, რანაირი პასუხი გასცა ამაზე: არჩევნები თავისუფალიაო. ხა-ხა-ხა!

— ხა-ხა-ხა! — ახარხადნენ გოჩოოლუ და დოხოოლუ.

— ძალიან მოხერხებული კაცია, ეშმაკმა წაიღოს თავისუფლება გინდათ? აჰ, ინებეთ თავისუფლება! კვირას ნახავენ იმნაირ თავისუფლებას, რომ მოელი სიცოცხლე ემახსოვრებათ განსაკუთრებით ვ/ამატიკოვს. მაგ ქსაცოდანსა ვერ არ უნახავს ჩვენი არჩევნები: როგორ გამოვლენ მის შესახვედრად ელახები და ბოშები ჩასისხლიანებული, ბუდიდან ამოვარდნილი თვალებით, ხმა-ჩახლეჩილი ხახებით... რანაირად დააშტერდებიან, როგორ დაუვლის უკნიდან ზონზროხა დანკო ხარსიზინი და დაიღრიალებს: „არ გაუშვა!“

— ხა-ხა-ხა! — ხითხითებენ გოჩოოლუ და დოხოოლუ, რომელთაც თვალები უელავთ სიამოვნებისაგან.

— ლი-ბე-რა-ლე-ბი! კოსტენტუცია, აჰა, ინებე კოსტენტუცია! მაგათ ოლქიდან გამოგზავნილი ტელეგრამის იმედი აქვთ. ხალხს ყურები გამოუქედეს იმ ტელეგრამით, კითხულობენ დაუსრულებლად, არჩევნებენ პატიოსან ხალხს... რამდენი ვიცინე გუშინ ყავახანაში მმართველთან ერთად. ხალხის მოსაჩვენებლად მან ბრძანა, დაებეჭდათ ის დაწყევლილი ტელეგრამა და ჩამოერიგებინათ ყავახანებში... ვხედავთ, დასიცბული ცხვრებივით ჩაუჭინდრავთ თავები და კითხულობენ იმ დებეშას გახარებულნი. | ყური მოგკარი იმათ ჩურჩულს: თავისუფალია, თავისუფალი არჩევნები, პოლიცია ვერ ჩაერევიაო... მმართველსა და მე გაგვეცინა. გავხედე ცალი თვალთ მმართველს და ხუმრობით ვუთხარი: საქმე გაგვითავებია და ეგ არის-მეთქი. მან გაიღიმა, გადატკრა სირჩა ანისულის არაყი, მერმე ჯიბეზე დაიკრა ხელი — აქ მიდევს ის წერილი, არჩევნების 'თავისუფლებაო, და თვალი ჩამიკრა — არაფერიც, ჯერ სადა ხარო. — ისევ ჩაიხითხითა და ყლურწი! — გადახუხა მეორე სირჩა. კარგა მაგრა დავლიეთ! როგორც კი მოვიდა დანკო ხარსიზინი თავისი ამფსონებით, ჩავიკეტეთ ყავახანაში, დავუძახე ვიოლინოს დამკვრელებს და გავუტოეთ... ლამის დაგლიჯეს სიმები. გეორგეს რიგიანი ანისულის არაყი და საუზმეული ვერა აქვს, რაღაც საზიზღარი წიწაკის მხნილით გაგვიმასპინძლდა. ოჰ, გუშინდელს აქეთ მტკივა თავი, თითო ყიდევ დაასხი, გოჩოოლუ.

— ნაბახუსევზე?

— აჰ, ნულარ იტყვი. ამ საღამოსაც მოგვიწევს დალევა. საჭიროა ხალხი მოვიყვანოთ სამიკიტნოში.

— ნაადრევი ხომ არ იქნება, ბაი განიუ? — შენიშნა დოხოოლუმ.

— არა, არ იქნება ნაადრევი. ხვალ შაბათია, ოცდათექვსმეტი საათიღა გვრჩება სააძისოდ. რაღა ადრეა, სწორედ დროულია... ყველა ერთად ხომ ვერ დაჯდება, ცალ-ცალკე მოუწევთ სმა, ერთნი ხუთი-ექვსი საათი წაიქეიფებენ და დაეყრებიან, მეომე სხვები მოვლენ. რომ არ დაიშალონ, რიგრიგობით იქვე უნდა სვან, ჭამონ და დაიძინონ, გასაგებია?

— ვიცი! პირველად ხომ არ ვატარებთ არჩევნებს, — თქვა გოჩოოლუმ.

— შენ, გოჩოოლუ, შეიარე ალბანელთან, უთხარი, ამ საღამოს სამასი ოყა პური გავზავნოს: ასი — ბოშების კვარტალში კომ ჩოოლუსთან, ასი — პარცალ-მახლესში, გოგოს სამიკიტნოში. ასიც — მტვირთავებთან, ხოლო შენ, დოხოოლუ, მიაკითხე იმ სამიკიტნოებს და უთხარი, დღეს საღამოსაც დაიწ-

ყონ ღვინისა და არაყის გაცემა. არაყი უფრო მეტი გასცენ, გესმის? ისიც უთხარი, მეტისმეტი არ დაგვაწერონ, ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი. შარშანწინ იმ არამზადებმა სულ ტყუილად აგვალლიტეს ორი ათასი ლევი. არ დაგვაწერეს, გააგებინე, იმათ, რომ ქალაქის საბჭო ჩვენია. ყასბებსაც ჩამოუარე და რამდენიც ექნებათ ფილტვის, ჭიგარის ჩამონატრები და ძვლები, ჩაალაგონ და სამ ქალათაში და ჩამოარიგონ ჩვენს სამიკიტნოებში, რომ თითო ქვეყნულშიცა მოათუხთუხონ. სალამო ხანს მმართველი და ოკოლიას უფროსი ერთად ჩამოვლენ სოფლებიდან. მე მათ სხვა სამიკიტროებსა და ყავახანებს ვაჩვენებ. ყველა კანცელარიიდან დაუძახეთ ხალხს ბიულეტენების შესავსებად. წერონ მთელი ღამე. მე ჩვენთვის მოცისფრო-მოყვითალო ქალაქი შევარჩიე. ჩვენს ბიულეტენებს სალოცავი ავგაროზებივით დავკეცავთ...

— სამკუთხედებად, — განმარტა დოჩოოლუმ.

— ჰოო, სამკუთხედებად... უნდა მოვიპაროთ იმათი რამდენიმე ბიულეტენი, ვნახოთ, რანაირი ქალაქია და როგორ კეცავენ. მწერლებს ვუბრძანოთ შევსონ ორი ათასი ბიულეტენი ჩვენი გვარებით იმათ ქალაქდზე.

— ჰაი, რა ეშმაკი კაცი ყოფილხარ, ბაი განიუ. ზედმიწევნით შეგისწავლია ეს ხრიკები, — მოწონებით წარმოთქვა გოჩოოლუმ.

— კაი საქმეა! მე განიუ ბალკანელი არ ვიქნებოდი, ეს ხელობა რომ არ მცოდნოდა. შენ, ჩემო ბატონო, დამსვი რომელიც გინდა ოკოლიაში და თქვი, ვისი არჩევა გსურს. ვირისა? იმი დედაც... წამოაყენე კანდიდატად, ვირსაც გავათრევ, ოღონდ ჩამაბარე ოკოლია ჟანდარმებით და მომე ათასი ან ორი ათასი ლევი. შევაგროვებ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველა ჯურის თავზეხელაღებულ, სათოკე ხალხს, ასე, ორმოც-ორმოცდაათ კატორღელს, დავსვამ იმათ ორ-სამ მიყრუებულ სამიკიტნოში, დავუდგამ თითო ვედრო არაყს და დავიძახებ: „აბა ჰე, გაუმარჯოს ბულგარეთს!“ ოღონდ გამაგრდი როგორც კი გადმოქაჩავენ ჩასისხლიანებულ თვალებს, დააძრობენ დანებს და დაარჭობენ მაგიდებზე, აღრიალდებიან ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმით... აღეჭი და წაიყვანე ღამით ეს ხროვა პირდაპირ ქალაქში... ოპოზიციაო? კატორღელების შიშით ეშმაკიც ვერ გამოყოფს ცხვირს. მირვეც ეს ხროვა რომელიც გინდა მოწინააღმდეგის სახლთან... უფალო იესო... დააღებენ ყიას და საათის სავალზე ვაიგონებ ისეთ ღრიალს, ყოველ სულდგმულს ტანში რომ გასცრის და თმას ყალყზე დაუყენებს. მერმე მოუყარე თავი სოფლის მამასახლისებსა და მწერლებს, დაუბრიალე თვალები, დაუხრჭიალე კბილები, დაანახვე ეს თავზეხელაღებული ბიჭები... ამომრჩევლები?.. იმათ ჭაჭანებასაც ვერ ნახავ. ყოველი სოფლის თემსაბჭოდან მოგადგება თორმეტ-თორმეტი კაცი თავის მამასახლისიანად, შეკრებ მოხელეებს და მწერლებს, ამოუყენებ გვერდით ჟანდარმებს, რომ გლებები არ ჩაერიონ საქმეში, დააყენე ორმოცი-ორმოცდაათი კატორღელი ბიუროს ირგვლივ, ატეხეთ ერთი ვაი-უშველებელი, ურნებში ჩატენეთ მთელი იღლია ბიულეტენები და... ესეც შენი მოწონებული ვირი — სახალხო წარმომადგენელი... ხა-ხა-ხა!

— ხა-ხა-ხა!.. — ბანი მისცეს გოჩოოლუმ და დოჩოოლუმ. — ბარაქალა, ბაი განიუ!..

— მაგრამ მარტო პოლიცია არ კმარა, ბიუროც შენს მხარეზე უნდა იყოს, შენიშნა გოჩოოლუმ.

— მე თუ მკითხავ, ახლა ისიც ჩვენია, — კვერი დაუკრა დოჩოოლუმ. —

ბით აყურადებს საგუშაგოზე მდგარი პოლიციელი. დროდადრო ვინმე მძინარეთაგანი წამობარბაცდება თვალმინებდელი, გადაალაჩებს უგრძნობ სხეულს, ხელის ფათურით მოძებნის დოქს და ხარბად დაეწაფება, რომ გაიგრილოს ჩამწვარი შიგნეული, ხახა, ყელი და ალკოჰოლის ცეცხლით შეწეპებული ტუჩები. არაყით გაღეშილი, ჩამკვდარი, სიბნელეში უცებ მოცოცხლებელი სხეულები გამშრალი ყელიდან ჩახლეჩილი ხმით აფრქვევენ ლანძღვარებას, ყარს, ჯოჯოხეთურად ყარს იმათი ამონასუნთქი, რომელიც წამლავს კუშტი გმირების, მთელი ამ მასის ანაორთქლით ისედაც მოწამლულ სამიკიტნოს ჰაერს.

გოჩოოლუმ და დოჩოოლუმ უკვე გაიღვიძეს და ყავას შეექცევიან კელემ ჰასანოვის ყავახანაში. ისინი პოზიციების უკანასკნელ შემოვლაზე არიან მოსული. დროა გაღვიძონ მათს ბანაკებში ჩაძინებული ამომრჩეველთა არმია. აი, ისინი მიაღწენ გოგოს სამიკიტნოს. შეაღეს კარი და სულშემხუთველმა სიმყრალემ აიძულა ორივე, ერთბაშად უკან დაეხიათ.

— ფუი, ეშმაკმა წაგიღოთ, — წამოიძახა შეგუბებული ხმით გოჩოოლუმ და ცხვირზე იტაცა ხელი.

— ნიორი ჭამეს თუ რა ოხრობაა! — დაიჭღანა დოჩოოლუმ და იმანაც ცხვირზე წაივლო თითები.

სამიკიტნოს ღია კარში სუფთა ჰაერი შეიჭრა და არც თუ ისე გრძნობიერ ჩვენს მეგობრებს საშუალება მიეცათ, შიგნით შესულიყვნენ.

— ეს რა ძილქუში დაგაწვათ, თქვე არამზადებო, ადექით ჩქარა, — უბრძანა გოჩოოლუმ და შეუდგა გაღეშილი რაზმის წიხლებით გაღვიძებას.

— გოგო, დაალევიანე თითო თლაშო, იქნება გამოახილონ თვალი, — დაურთო დოჩოოლუმ.

გოგო ზანტად წამოდგა საწოლიდან, გაიზმორა, დაამთქნარა, მოიფხანა გაოფლიანებული ადგილები, უგუნებოდ დაიწყო გრაფინებსა და კიქებს შორის ზოზინი. დაასხა არაყი და ჩამოურიგა ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელ ჯეელებს.

— ადექით პირუტყვებო, პა, ჩახეთქეთ, დაიწყებთ ახლა ძაღლებივით მთქნირებას. დახე, თვალები შეშუპებიან ძილისაგან. მიდი, გადაჰკა!

ამგვარ ქათინაურებზე დართული ენერგიული ჭიტლაყებით ჩამოუარა მიკიტანმა გოგომ ბახუსით გაშმაგებულ თავის სტუმრებს, და გონზე რომ მოეყვანა ისინი, არაყს აძალებდა. გოგოს ჭიტლაყების საპასუხოდ, აქა-იქ, პროტესტის ნიშნად, გაისმა ღრენა, ხან გამძვინვარებულ, ჩასისხლიანებულ თვალებს შეანათებდა/ვიღაც, ხან ქამარში გაჩრილ სამზარეულო დანის ტარს მოუჭერდა ხელს მუჭარით, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა გოჩოოლუმ და დოჩოოლუმ:

— ხედავ კუთხეში მდგარ იმ მუტრუქს, ცალი თვალი, რომ აქვს ახვეული? იცი ვინ. არი ეგა, დოჩოოლუმ?

— როგორ არ ვიცი, პეტრესკუა, მამამისი კაობში რომ დაახრჩო, ვიცი. ღმერთმა დაიფაროს მაგისაგან ყველა. ვერა ხედავ, რამხელა დანა აქვს ქამარში გაჩრილი? აბა, შენ თუ იცი, ვინა ზის ე, მანდ, დახლქვეშ?

— ის ბღენძი, ფეხს რომ იხვევს?

— არა, მეორე, ტუჩგახეთქილი რომაა.

— როგორღაც ვერ გავიხსენე, აა, დამაცა, ეს ხომ სერსემ პეტის ნაბიჭვარია, ეკლესია რომ გაძარცვა?

— არა, სერსემ პეცისა ა, ეგერაა, ჰაიდუკ ბინჩოს გვერდით რომა ზის. ეს კი ხარსიზინის შვილიშვილია — ბაი განიუმ გამოგზავნა ამ ბუქნარებზე ავალყურის სადევნებლად, სხვებმა რომ არ მოისყიდონ. ^{ქაღალის მაგარი გამოქვილია.} სწორედ მაგან მოიპარა სამი დღის უკან იმათი მთელი ილია ბიუტენები.

ბიუტენები
გინგლირთქა

— ბარაქალა!

— იცი, კიდევ რა დავაგალეთ მაგას? როცა ბიუტოსთან თავს მოვიყრით, თუ ვინმე იმათგანი გამოჩნდება, ეს ჭველი ეცემა ნიკოლა ტირნოვალის და იყვირებს: „დაიჭიოთ, ეგ მთავარს აგინებდა, ბილწი სიტყვები აკადრა მთავარს, არ გაუშვათ!“ აქ პეტრესკუ და ხარსიზინი ხელს ჩაავლებენ ნიკოლას და კინწისკერით გააგდებენ გარეთ, იქ კი პოლიცია დაუხვდება და ვირის აბანოში უკრავენ თავს. შეიძლება მისიანებმა საშველად გაიწიონ, მაშინ ჩვენებიც შეუტევენ, წაესევიან ერთმანეთს. მოვარდება პოლიცია და წიწილებივით დაფანტავს იმათ, ყველაფერი წინასწარ არის მომზადებული.

— ლულჩოს და გრამატიკოვს ვინლა აიყვანს?

— შენ რა, იმათ კაცებადა თვლი? საკმარისია, ტობაჩოთლუმ ერთი მისებურად მაგრა შეუბღვიროს და წამსვე აორთქლდებიან.

ასეთი საუბარი ჰქონდათ გოჩოთლუსა და დოჩოთლუს, თან სიამოვნებით აღევნებდნენ თვალს ერთად თავშეყრილ ოცდაათი ბნელი პიროვნების ნელ-ნელა გამოფხიზლებას, რომელთა ამოცანას შეადგენდა, იმ დღეს მოულოდნელად დასტყდომოდნენ თავს, გაეფანტათ ხალხი, ელდა და შიშის ზარი ჩამოეგდოთ საარჩევნო ბუნქტის ირგვლივ, იძულებული გაეხადათ ისედაც დაშინებული ბულგარელი, უარი ეთქვა გაუცნობიერებელ უფლებებზე და უარეყო საკუთარი თავისუფალი ნება სახელმწიფოს მართვაში. ასეთი საუბარი ჰქონდათ გოჩოთლუს და დოჩოთლუს, როდესაც შესცქეროდნენ დამახინჯებულ, შეშუბებულ, თვალებგადმოქაჩულ, სახელაჩეხილ-ნაიარევ, სამოსდაკონკილ, ფართო ქიმარში დანაგაჩრილ გამძვინვარებულ ოცდაათ შიშისმომგვრელ ფიგურას, მათ ავაზაკურ მიხრა-მოხრას და წინასწარ ტკბებოდნენ არჩევნებში გამარჯვებით.

დაჭირავებულნი უკვე ფეხზე იდგნენ. როცა ბოშათა უბნის მხრიდან მუსიკის ხმა მოისმა. მუსიკა! განა შეიძლება აღწეროს კაცმა ეს მუსიკა, მთელი დამე რომ ხშიანობდა ტობაჩოთლუს სამიკიტნოში და რომლის ჰანგებზე თვითონ მიკიტანი უვლიდა ბუქნას და მღეროდა: „მარჯვედ კერავს ვანგელიტა, მარჯვედ სცოდავს გულმოწყალე, ან შემრისხე, ღმერთო, მალე, ანდა სადმე დამიმალე“... განა შეიძლება აღწეროს ზეზეულა ჩამოძინებული მკვილონი თითქმის ჭიბზე მიბჯენილი ვიოლინოთი ხელში, ანდა მოგითხროთ ხან გაფურჩებულ, ხანაც ლოყებგაბუშტულ კლარნეტის დამკვრელზე, რომელსაც ისე ებერებოდა ყელზე ძარღვები, ისე ჩაუსისხლიანდებოდა ხოლმე ამოცვენაზე მისული თვალები, იფიქრებდით, ცოტა და, მსმენელები ებილეფსიის საშინელი შეტევის მოწმენი ვახდებიანო. ვერა, მე ვერ აგიწერთ იმ მუსიკას, იმ კი აუცილებლად უნდა ითქვას, მუსიკოსები ბაი განიუს სულიკვეთების დარი ხალხი გახლდათ.

ორკესტრი „პატანიკურ მარშს“ უკრავდა... დაუნაწევრებელმა ველურმა, არეულ-დარეულმა ხმებმა გააპო ჰაერი, მფრთხალი ფრინველების მთელი გუნდი ხეებიდან და მარცალ-მახლესის სახურავებიდან მაღლა აიჭრა. თით-

ქოს მშვიერი ლომების ჯარი გააფრთხილებული ვეფხვების ლაშქარს გადააწყდა და ბრძოლის მოწოდებაზე ერთმანეთს დაეძგერნენო გამაყრუებელი ღრიალით აწორედ ასეთ ხმას მიაგავდა ველური ღმუილი, ბოშათა უბნისა და პარცალ-მახლესის ბინადართ რომ დასცა ახლა თავზარი, ეს ხარსიზინის მიერ შეკრებილ დაქირავებულთა „ვაშას“ შეძახილი იყო. ისინი რომელიღაც ქუჩის კუთხეებში მოაწყდნენ მოედანს.

წინ ორკესტრი მიუძღოდათ, უკან ბოშები და მტვირთავები მიჰვებოდნენ. თავში კი აწკეპილულვაშებიანი გვერდზე ქუდმოგდებული, თანამოღვაწეთა მიერ ხელში ატაცებული — აბა თუ მიხვდებით, ვინ მოჰყავდათ? თვითონ ბაი განიუ ბალკანელი! მის ამ საზეიმო ვითარებაშიც არ დავიწყებია სიტყვები და ხელები ჯიბეში ჩაეწყო: „ერთიც ვნახოთ, რომელიმე ყაჩაღმა ჯიბეში ჩამოყოს ხელი, მაშინ ხომ უნდა დავემშვიდობო ქისას. ვიცნობ ჩვენს ბიჭებს“.

მეორედ „ვაშას“ შეძახილმა, რომელიც მკვდარსაც წამოაყენებდა საფლავიდან, გააყრუა გოგოს სამიკიტნიდან ჯგროდ გამოცვენილი ხალხი და იქიდანაც იქუხა კანონადამ:

- გაუმარჯოს ბაი განიუს!
- დილა მშვიდობისა, ბიჭებო, — შემწყნარებელი ღიმილით გაეპასუხა სახელგაბრწყინებული ბაი განიუ.

ოცდაათი კაცის არეულ-დარეული „დილა მშვიდობისა“ გაისმა მისალმების პასუხად.

— არ დაფრთხეთ, ბიჭებო, ძალა ჩვენს მხარეზეა, — გაამხნევა ბაი განიუმ ისეთი ტონით, ნაპოლეონმა რომ მიმართა თავის ჯარებს აუსტერლიცის ბრძოლის წინ. — ყური მიგდე, დანკოს ძმისშვილო, გახსოვს, რაც გითხარი? თუ დაინახო, რო საქმე ცუდად მიდის, მაშინვე ჩაავლე ხელი ქეჩოში ტირნოვლიას და იყვირე: „ეგ მთავარს აგინებდა!“! გასაგებია?

- ვიცი, — მხიარულად გამოეხმაურა რიგებიდან დანკოს ძმისწული.
- ხოლო შენ, დანკო, შენც, პეტრესკუ...
- ვიცით, ჩავაფარებთ გოგრაში, — უპასუხა პეტრესკუმ მის წინაშე მდგარი ამოცანის სერიოზულობის მთელი შეგნებით.

— ყოჩაღად! მარა მისმინე, პეტრესკუ, მე შენგან კიდევ მინდა ერთი სუფთა ნამუშევარი: როგორც კი გადაეყრებით ამომრჩევლებს, ორ-სამ მათგანს მსუბუქად შეუღლიტინე დანით, რომ ყოყლოჩინობას მოუკლონ, მერმე დანა განზე მოისროლე, მაგრამ მანამდე პერანგი შემოიხიე და კანი დაისერე, გაიგე? სისხლით მოითხუპნე სახე და იყვირე: ამ ხალხმა კინალამ დამკლა, როცა ვყვიროდი — გაუმარჯოს მთავარსა-თქო.

— გავიგე, მაგრამ მაშინ კიდევ უნდა მომცე ხუთი ლევი, სისხლის გამოსაღები.

ამ დროს მოედანზე მოირბინეს ბოშათა უბნიდან საარჩევნო პუნქტში გამოგზავნილმა მზვერავებმა; აღამჩო კოკოშარინმა, სპარო კოპოიმ¹ და თოფალ მუსტაფამ.² მათ აცნობეს ბაი განიუს, რომ სამი ათასამდე გლეხი სხვადასხვა

1. კოკოშარინი — წვრილმანი ქურდი, ქურდბაცაცა, კოპოი — მეძებარი ძაღლი,
2. თოფალი — კოპული.

გზით შემოვიდა ქალაქში და ტირნოვალის მომხრეებმა იმათ ბიულეტენები დაურიგესო.

— ოკოლიის უფროსმა გვითხრა, სასწრაფოდ წადით, საქმე ძალიან ცუდად არისო.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია იმ შენს ოკოლიის უფროსს, — იყვითრა ბაიგანიუმ. — რა ეშმაკად დანიშნეს უფროსად, თუ ტეტების მოვლის თავიც არა ჰქონდა? უფროსი ყეყეჩი! მაგას სოფლის გოგოების კუდში დევნა ეხერხება მარტო. ბრიყვი! რატომ არ დაგზავნა ჟანდარმები სოფლებში? ალბათ, ისე გამოიბრუჟა ეგ პირუტყვი, რო საქმე არც გახსენებია. გაიქე ჩქარა, უთხარო გამოიძახოს ცხენოსანი ჟანდარმები და დაოთხილი მიუშვას ქალაქზე, გაიგე? პირდაპირ ქარიშხალივით შეიჭრან ქუჩებში, გესმის? ჩვენ კი აქედან დავძახებთ „ვაშას“ და იმასაც ვნახავ, რომელი გლეხი გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ წასვლას. გაფრინდით ჩქარა!

— მომაწოდე აქეთ არაყი, გოგო! — განაგრძობდა მბრძანებლობას ბაიგანიუ, — ხეთქეთ: წმინდა ღვთისმშობელსა ვფიცავ, მე გადავიხდი! რას გაჩუმებულან მევიოლინეები? ჩალანაზ ბე, ჩენგენელურ, შეუბერე კლარნეტს, რას დაგილია პირი, რეგვენო! აი, ასე! — ი-ი-ი-ხ-ხა-ხა-ა!

— ახლა კი, დანკო, დაურიგე ყველას თითო შეკვრა ბიულეტენები, აბა წინ, ბიჭებო, გაბედულად! გაუმარჯოს მის უმაღლესობას, ვაშა-ა-ა!

— ვაშა-ა-ა-ა!

და დაიძრნენ... ამომრჩევლები.

ოპოზიციის კანდიდატს ივანიცა გრამატიკოვს დილის ექვს საათზე გაეღვიდა. ჩაიცვა, დალია ყავა და სახლის წინ, ვერანდაზე გამოვიდა. ის იყო, ეკლესიის გუმბათსა და აღმოსავლეთით მდებარე სახლის ფანჯრებზე მზის სხივები ალიცლიცდა. მთელი ბუნებაც სადღესასწაულო იერით შეიმოსა. რასაკვირველია ბუნება, არსებითად, ყოველივეს მიმართ, ჩვეულებრივ, გულგრილი რჩებოდა, კანდიდატის სული ზეიმობდა მხოლოდ.

ახალგაზრდა, განათლებული, მოიდეალისტო, უფრო კი მეოცნებე, ჭეშმარიტად მოსიყვარულე გულის პატრონი, სიკეთისადმი რწმენით აღსავსე, მომავლის მოიმედე ივანიცა ცუდად იცნობდა ნამდვილ ცხოვრებას. თავდავიწყებამდე უზრუნველს, გამოუსწორებელ ოპტიმისტს სჩვეოდა ყველაფერი კარგი მხრიდან დაენახა და გულუბრყვილო, უგუნურებამდე მიმნდობი კაცი იყო.

მეგობრებმა შესთავაზეს, წამოეყენებინა საკუთარი კანდიდატურა არჩევნებში, მოქალაქეთა კრება მის კანდიდატურას თანადგომით შეხვდა. გრამატიკოვმა ჩათვალა, საქმე მოთავებულიათ და სახალხო კრებაში თავის მომავალ საქმიანობაზე დაიწყო ოცნება: როგორ დაამყარებდა ბულგარეთში მიწიერ სამოთხეს. მაგრამ ზოგ-ზოგი წვრილმანი, მისი მეგობრების მიერ გადაგმული რაღაც წინააღმდეგობა არჩევნო ნაბიჯები, რომლებიც საარჩევნო კანონის ფარგლებს სცილდებოდა, ხანდახან უწამლავდა ვარდისფერ ოცნებას, რა საჭიროა ამომრჩევლებს წინასწარ გააცნო შენი პროგრამა, თითქოს არ შეიძლებოდეს უამისობა, რა საჭიროა იწვნო ამდენი უხერხულება, უბასუხო კითხვებზე, დაპირდე დახმარებას — თქვენს მოთხოვნებს დავაკმაყოფილებო, თუმცა შეიძლება ეს მოთხოვნები მხოლოდ მათთვის იყოს მნიშვნელოვანი, მან თითქმის მთელი თავისი ნიჭი და უნ-

1. დაუკართ, ბოშებო! (თურქ.).

არი ირგვლივ შემოკრებილ მომხრეთა შტაბს მიანდო. ეტყოდნენ — საჭიროა სიტყვა წარმოთქვაო, და ისიც გამოდიოდა სიტყვით, სთხოვდნენ — მიელო სოფლის მამასახლისები და ესაუბრა მათთან თავაზიანად, ისიც ღებულობდა შინ მამასახლისებსა და კანცელარიის მწერლებს, თან ისე თავაზიანად ესაუბრებოდა, რომ გლეხები თვალს ვერ უსწორებდნენ. მათ არც კი ესმოდათ, რაზე იყო ლაპარაკი. ისინი უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, ისიც იწერდა და დაუთარავად ეუბნებოდა, მათი მოთხოვნებიდან რომლის დაკმაყოფილება შეიძლებოდა, რომლის არა. ეს კი ძალზე სწყინდათ გლეხებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ოქროს მთების დაპირებას. მას უნდა მიელო მონაწილეობა თვალსაჩინო მოქალაქეთა კრებებში, სადაც ირჩევდნენ აგიტატორებს სოფლისა და ქალაქის რაიონებში გასაგზავნად. კრების მონაწილენი დავობდნენ, ხმაურობდნენ, ის კი განზე იდგა და ღუმდა, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა. ამასთანავე ასეთი უგუნური პასიურობა აღიზიანებდა. დააპირებდა რალაციის თქმას, ან შეკამათებას. რომ ვიღაც მკლავზე წაავლებდა ხელს და მამაშვილური, მფარველური ტონით ეტყოდა:

— შეიკავე თავი, იჯექი შენთვის, ჯერ ამ საქმეში ახალი ხარ.

ისიც მორჩილად ღუმდა, ისმენდა სოლიდურ მოქალაქეთა საქმიან, დარბაისურ საუბარს. „ყოველთვის ასე ტარდებოდა არჩევნები, თუ ეს ახალი ეპოქის წარმონაქმნია?“ — ფიქრობდა იგი. მერმე რომელიმე მოკამათეს მოქაჩავდა სახელოზე და წასჩურჩულებდა:

— მითხარით, გეთაყვა, ყოველთვის ასე ტარდებოდა არჩევნები? — ის კი, სხვებთან საუბრით გართული, გაუღიმებდა და დამრიგებლურად ეტყოდა:

— ამას სხვა დროს შევეხოთ. ამ საქმეში ჯერ ახალი ხარ. იყავი შენთვის. ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა.

სადაც არ უნდა მჯდარიყო ან მდგარიყო, ვისთანაც არ უნდა ელაპარაკა — ვაჭართან, ხელოსანთან თუ გლეხთან, ყველგან და ყველასაგან ესმოდა, რომ ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა. შევიდოდა თუ არა კაფეში, გარს შემოეხვეოდნენ მეგობრები, რომლებიც ერთმანეთს არ აცლიდნენ, რომ მოეთხოვოთ მისთვის, როგორ მიდიოდა საქმეები სოფელსა თუ ქალაქში.

— ა, დილა მშვიდობისა, ბატონო ივანიცა, თავს როგორა გრძნობთ? ისე კი, ყველაფერი იმნაირად მიდის, როგორც საჭიროა.

— ა, ბატონო ივანიცა, მთელი ოკოლია შენს ხელთაა, ნურაფერზე სწუხარ. ყველაფერი რიგზეა.

გამოვიდოდა თუ არა სალამო ხანს ქალაქში სასეირნოდ, ყოველ ხეივანში ხვდებოდნენ მეგობრები და შორიდანვე უქნევდნენ ხელს, ყველაფერი რიგზეაო.

ყველაფერი რიგზეა! მაგრამ ერთმა შემთხვევამ, რომელიც მის თვალწინ მოხდა არჩევნების წინა დღეს, დაანახა, რომ არსებობს განსხვავება კანონით გათვალისწინებულსა და სინამდვილეში ჩატარებულ არჩევნებს შორის. სწორედ ამ შემთხვევას მოაგონებდა მერმე ერთი მეგობარი თავის წერილში:

„კანონიერება, წესრიგი, თავისუფლება, ჩვენი წარმატებანი... გახსოვს? როგორი მწარე დაცინვაა! გახსოვს, სალამოხანს, არჩევნების წინაღღეს პუნების თავდასხმა ყავახანაზე? გახსოვს, მკერდგაღელილი ფეხშიშველა, მუხლთან შარვალგამოხეული „ბულგარელი მოქალაქე“, რუსული ქუდი რომ მოეგდო კეფაზე? ან დიდკომბლიანი, თვალეზიანისხლიანებული, მკერდმოღელილი, უქულო კაცი, ანდა კიდევ ქუჩაში, შემოსასვლელთან გაჩერებული, გმირული პატრიოტიზმით „ალტაცებული“, მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობის ღრმა შეგ-

ნებით, პოლიტიკური სიბრძნით დაღვინებული ვალახელი, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე? გახსოვს კეთილშობილური, კაცთმოყვრული იდეებით აღსავსე ახალგაზრდა, რომელიც მზად იყო ბედნიერების ღირსი გაეხადა მთელი მსოფლიო აუწყრელი და ამალღებული აზრებით აღვლევებულს. გახსოვს, როგორ ბრტყლ ბრტყელი სიტყვებით გველაპარაკებოდა თავისუფლებასა და ხალხის უფლებებზე? ხოლო როცა ყავახანიდან გამოსულმა, ხანშიშესულმა მკვლევარმა არაღაც შეუძახა, თავისუფლებაცა და ხალხის უფლებებიც ყელში გაეჩხირა ისევე, როგორც ეს დაემართა მის მორალურ თანამებრძოლსა და შეფს. ამ ბრბოს — შხეცობის, ველურობის წუმბიან დანალექს, ყოველგვარ განათლებასა და აღზრდას მოკლებულ საზოგადოებრივ ფენას — შეუძლია იკადროს ყოველგვარი, ყოველად წარმოდგენელი უხამსობა თავისი „ცივილიზაციით“ გაყოფილებულ, „ევროპული სულის“ ქალაქში.. ამ უთავო ბრბოს, რომელსაც ხელმძღვანელობენ მისთვის სავსებით უცხო, უვიცი ავანტიურისტები, რომელთაც არ შეიძლება ჰქონდეთ და არც გააჩნიათ რაიმე პრინციპი, მე გეუბნებით, ამ უთავო ბრბოს მეთქი სახალხო კრებაში ჰყავს თავისი წარმომადგენლები, ათასობით ამომრჩეველი კი...

ასე და ამრიგად, კვირას, არჩევნების დღეს, დაახლოებით დილის შვიდ საათზე, გრამატიკოვი თავისი სახლის ვერანდაზე იდგა და უდარდელად, ლაღად, ისუნთქავდა დილის სიგრილეს. ოცნებაში ხორცშესხმული საარჩევნო კანონი შინაგანად ცალკე მომენტებისაგან შემდგარ, ერთიან საარჩევნო პროცესად ესახებოდა. ქალაქის კოშკზე საათმა ორჯერ დარეკა და მცხოვრებლებს შეიძინა ხევრის შესრულება აუწყა, რამაც კანდიდატი ტკბილი ოცნების ბურანიდან გამოაფხიზლა და მოაგონა, რომ საარჩევნო პუნქტში წასვლის დრო იყო. ჩაიცვა, აიღო ხელჯოხი, მაგრამ გაახსენდა, რომ არჩევნების ჩასატარებელ შენობაში რაიმე იარაღის შეტანა აკრძალულია. ააყუდა ხელჯოხი თავის ადგილზე და წავიდა. ქუჩაში კაცის ჰაჭანება არ იყო. ხალხს სკოლის ეზოში მოეყარა თავი, ეკლესიის წინ მდებარე მოედანზე გრამატიკოვს მეგობრების ერთი ჯგუფი შეხვდა.

— ო, ბატონო ივანიცა, დილა მშვიდობისა, ნახეთ ისინი?

— ვინ?

— ამომრჩევლები. მარტო გლეხები სამი ათასამდე იქნებიან. მათ უკვე დავურიგეთ ბიულეტენები. ყველაფერი რიგზეა. წავიდეთ სკოლაში.

გაიარეს ვიწრო ქუჩა და საარჩევნო პუნქტთან აღმოჩნდნენ. მართლაც, აქ მრავლად იყვნენ ქალაქელები და სოფლიდან ჩამოსული გლეხები. ისინი ეზოში და მიმდებარე ქუჩაზე მშვიდად, ხმადაბლა ბუბუნებდნენ. ხალხში აგიტატორები მიმოდისდნენ. ზოგან აშკარად, ზოგან ფარულად არიგებდნენ ბიულეტენებს. აქა-იქ იმათ შეძახილებსაც გაიგონებდით, რომლებიც წლების მანძილზე არ გამოჩენილან არჩევნებზე.

— ეშმაკმა დალახვროს. აგერ უკვე მერვე წელია, არჩევნებზე არ ვყოფილვარ.

— მეც ასე ვარ.

— მეც.

ასეთ აღსარებას ყველგან მოისმენდით.

ბიურო უკვე დაბინდავდა სააქტო დარბაზში. რამდენიმე ამომრჩეველი ოპოზიციის კანდიდატის ირგვლივ ტრიალებდა. დაიწყო არჩევნები. გრამატიკოვს ეუცნაურა, რომ მეზობელ ეზოებსა და ქუჩის მოპირდაპირე ეზოებშიც კბი-

ლებამდე შეიარაღებული ჟანდარმები ირეოდნენ, რომელთა შორის ორი ბოქაული მიმოდიოდა და ჟანდარმებს ჩურჩულით რაღაც მითითებებს აძლევდა.

„კანონით ხომ აკრძალულია საარჩევნო პუნქტთან შეიარაღებული ძალები თავმოყრა? გასაოცარია!.. — გაიფიქრა გრამატიკოვმა. მაგრამ გაიკვირა დიდხანს არ გაგრძელებულა. მის თვალწინ წამოიმართა. დატრიალდა, ახმაურდა, ამობრუნდა საშინელებათა და ძალადობათა ისეთი გრიგალი, რომ მგონიერებულს გაშეშდა. და აი, რა მოხდა:

ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა საარჩევნო უბანთან თავშეყრილი შეიარაღებული ძალების ნახვით გაოგნებულმა, რომ ერთ-ერთ ბოქაულთან მიიბრინა აქოშინებულმა და აღელვებულმა ადამიან კოკოშარიანმა და ყურში რაღაც წასწურა. ბოქაულმა მოიხმო ჟანდარმი, რამდენიმე სიტყვა უთხრა და ისიც გარდა. იმ წუთასვე იქ გაჩნდა ოკოლიის უფროსი. ადამიანს მასაც წასწურა რაღაც. მან განკარგულება გასცა და ბოქაულები სხვიდასხვა მიმართულებით გაიქცნენ. მალე მეზობელი ეზოებიდან გამოცვივდნენ ჟანდარმები, რომელთაც დასადავებელი მოჰყავდათ ცხენები. ისინი ოკოლიის უფროსის მეთაურობით ახედრდნენ ცხენებზე. უფროსმა იძრო ხმალი და დაიყვირა: „წინ!“.. ოცამდე შეიარაღებული ჟანდარმი ცხენდაცხენ შეიჭრა ამომრჩევლებით გაჭედვით ვაჭრობაში და შეუტიეს ადამიანთა ცოცხალ კედელს... ყვირილი, გოდება, მოთქმა. წყევლა, გაცემული ბრძანების სიტყვები, მოელვარე ხმლები, აღელვებული ხალხის ტალღათა მიმოქცევა, ხალხში შეჭრილი ცხენოსნები, მათ წინ გარღვეული ცოცხალი კედელი... უკანა რიგების დაწოლით შემართული ახალი ტალღები შეასკდნენ წინ გამოჭრილ ჟანდარმებს, მაგრამ იარაღმა თავისი გაიტანა. კედელი შეტორტმანდა... თურქი ამომრჩევლები ერთი მეორის მიყოლებით მიმოიფანტნენ ყვირილით: „ნე მე ლიაზიმ ბანა დაიკემე!“... გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს. ჟანდარმებმა შესძლეს საკმაო მანძილით დაეხვეწინებინათ უკან ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილისათვის.

დანარჩენი, ნაკლებრიცხოვანი ამომრჩევლები სკოლის ეზოს შემორჩნენ. აქვე იყვნენ ტირნოვალია და გრამატიკოვი. ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან კლარნეტის მკვეთრი წრიბინი მოისმა, მას ვიოლინოები აჰყვნენ, მერმე მოახლოებული ბრბოს ხმაური დაირხა და გამაყრუებულმა გრგვინვამ შესძრა გარემო... ესენი იყვნენ: მევიოლინეები, უკან მათ მოჰყვებოდა ბაი განიუ ბალკანელი, რომელიც თვალთაგან ცეცხლს აკვესებდა. აი, გოჩოოლუ და დოჩოოლუ, პეტროსკუ და ხარსიზინის შვილიშვილი, კობოი, თოფალ მუსტაფა, ბოშები, მეთევზეები და თვით დანკო ხარსიზინი.

— გაუმარჯოს ჩვენს პატივცემულ მთავრობას, ვა-შა-ა-ა! — დაიყვირა წვრილი ხმით დანკოს შვილიშვილმა.

— ვა-შა-ა-ა-ა! იბღავლა საშინელი ხმით ხროვამ. გრამატიკოვს შეაყრყოლა. გაახსენდა 1876 წელი, მის გონებაში აღდგა ბაშბუზუკების ურდოები და ფათალი-ფაშას სახელი მოადგა ენაზე.

ლოთი მტარვალეების ურდო შემოიჭრა სკოლის ეზოში. ღმერთო! რამდენი უხეშობა, რამდენი უტყვი მრისხანება გამოსჭვიოდა მათი გადმოკარკლული ჩისისხლიანებული თვალებიდან, რამდენი თავხედობა იგრძნობოდა მათ დარდიმანდულ ჟესტებში, გამომწვევ გამოხედვაში! გარსშემოხვეული ამაღა უცვრემონიოდ მიუტკვალავდა გზას ბაი განიუს, რომელიც ავიდა კიბეზე და ძლივს შეაღწია

1 რისთვის უნდა მარტყან მუშტები? (თურქ.)

სააქტო დარბაზში, სადაც ბიურო თათბირობდა. ფანჯრებიდან რალაცნაირი ყრუ ღმუილი და ხმაური მოისმა, მომსკდარმა ტალღამ გარეთ, კიბეზე გამოაგდო ტირნოვალია. მისკენ მტაცებელი ფრინველივით გაექანა დანკოს შვილიშვილი, ხელი ჩაავლო ქეჩოში და მთელი ძალით დაიყვირა ხრინწიანი ხმით:

— დაიჭით, ეგ მთავარს აგინებდა, ბილწი სიტყვები აკადრებდა, არ გაუშვათ!

წამსვე იქ გაჩნდნენ პეტრესკუ და დანკო ხარსიზინი. ეცნენ მგლებივით თავიანთ მსხვერპლს, ჩაავლეს მკლავში ხელები და კიბეზე ჩაათრიეს. ამასობაში ბაი განიუმ დარბაზში შეაღწია, აართვა ბიუროს თავმჯდომარეს რალაც ბართი და დანკოს შვილიშვილს გადააწოდა. მანაც გარღვია ბრბო და მეზობელ ეზოში მიიძალა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სკოლის ეზოში შემოცვივდნენ ქვეითი და ცხენოსანი ჟანდარმები, რომლებიც თავზე წაადგნენ აღშფოთებული ამომრჩევლების მიერ კუთხეში მიმწყვდეულ ბაი განიუს რაზმს. პეტრესკუ, რომელსაც სისხლში ჰქონდა მოსვრილი მკერდი, სახე და ხელები, უცოდველი ბალღივით ტიროდა. მას უკვე მოესწრო ორი-სამი ამომრჩევლისათვის დანის წვერის ტაკება და მთელი სისხლიანი პროგრამის შესრულება, ქვების გროვაზე, ამძვრალიყო და ახლა ყვირილით შველას ითხოვდა:

— მომკლეს, ბატონო უფროსო, მთლად მოსპობას მიპირებდნენ, რომ ვიძახდი, მთავარს გაუმარჯოს-მეთქი, დანებით მომვარდნენ!

პოლიცია შეუდგა მოვალეობის შესრულებას...

— იშიშვლეთ ხმლები!

აეღარუნდა იარაღი, აზუზუნდა მათრახები, გაისმა პროტესტის შეძახილები, ჰაერი შესძრა გინებამ. ბაი განიუს რაზმის მხარდაჭერით პოლიციამ ხელთ იგდო ნიკოლა ტირნოვალია, შეიპყრო მისი გამორჩეული ამხანაგები. ცხენოსანმა ჟანდარმებმა გაწმინდეს ეზო.

გრამატიკოვიც ხალხის ნაკადმა ისროლა ქუჩაში და მეხდაცემულივით იდგა გახევებული. ყურებში კვლავ ჩაესმოდა კიბის ზედა საფეხურზე შემდგარი ბაი განიუს ყვირილი:

— ჩვენცა ვყოფილვართ ევროპაში, ვიცით, რა არის არჩევნები, ბელგი-აშიც ვყოფილვართ...

ყურში უწიოდა პაპა დობრის ხმაც. საწყალი პაპა დობრი! ქუჩაში ისროლეს, მაგრად ჩაათარეს თავში და, ბრაზის, ნადველისა თუ ტკივილისაგან ატირებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტად იმეორებდა:

— აბა, ეს რაღაა, ბატონო უფროსო?... ახლა რალაც... ისაო... თავისუფლოდო... გამოდის? — საწყალი პაპა დობრი!

რამდენიმე დღის შემდეგ გრამატიკოვმა დედაქალაქის ერთ-ერთ გაზეთში ასეთი ტელეგრამა წაიკითხა: „სოფია. პრემიერ-მინისტრს. არჩევნებმა სრულ წესრიგსა და სიმშვიდეში ჩაიარა. აირჩიეს: განიუ ბალკანელი, ფილიუ გოჩოლოლუ და თანას დოჩოლოლუ — ყველა ჩვენიანი. ოპოზიციის კანდიდატებმა სამარცხინო მარცხი იწვნეს. როგორც კი გამოჩნდნენ ამომრჩევლები, რომელთაც წინ ორკესტრი მიუძღოდათ, იმათი ხროვა უმაღლესი გაიფანტა! მთელი ქალაქი ზეიმობს. გაუმარჯოს მის უმაღლესობას!

მთ. ბანიუ ბალკანელი“.

გრამატიკოვისადმი მიწერილი ზემოხსენებული წერილი ასეთი სიტყვებით თავდებოდა:

„მაგრამ რას იტყვის, როგორ მოიქცევა ხალხი? საინტერესო კითხვაა.

ერთ დროს ამბობდი, ველაე მჯერა ბულგარელი ხალხისთ. კმარის ეს დაცინვაა! ესა გჯერა?! მონად ქცეული ტომისა, რომელიც ყოველად ამას იამენს? შეხედე მის წარმომადგენელთა სახეებს.

ხალხი, რომლისაც გწამს, მონაა, ვეუბნები, მონა-მუქისი მონათა მდომარეობა მისთვის განცხრომაა, ტარანია — წყალობა, ქედმოძრეობა — გვირგვინი, ზემოდან აბუჩად ამგდები ფრუტუნი — მუსიკა. და ამავე დროს გწამს — მუსიკა საცოდავია და უბედური, სამგზის უბედური, ბედით ნაგევი. ჩანჯვისა და წაბეზისათვის განწარტული, მტერიოვან, უფრო უკადრად უკადრად და უსხეულოა განჯვარებული. არ გააჩნია ღების მოსაკოდებელი მყარი ნიღაფი, სურდენი ბუჩგი. დაკარგული იქვს საკუთარი თავისა და ბედისადმი რწმენა, გახდა „პრაქტიკული“ და ფხიზელი, უგრძობლობამდე ფხიზელი. არსაიდან ელი მშველელს და შრჩეველს, შინაგანად და გარეგნულად მოტეხილი, იმგდგურებული — მხოლოდ ვრიგალისაგან იავარქმნილი წარსულის ნანგრევსდა წარმომადგენს. ვინ ჩაუდგამს სულს და გააყოლიებს? იდეალები?.. ამოებია, არდილის.

განი განიუ შურნალისტი

ორკესტრი რუმინულ „დოინას“ უკრავდა. უფრო სწორად, მარტო ანჩე უკრავდა სოლო ფლეიტაზე, სხვები აკომპანიატორობას უწევდნენ. ჩვენ შიდა დარბაზიდან ვუსმენდით. ალბათ, იკისხავთ, ვინ თქვენაო. ვინა და: სენატორი, ოტელო, სტუვენჩო და მე. ჩვენს წინ Chateau Sandrova-ს ერთი მაღალი ბოთლი ყელყელაობდა, მეორე — Ciessgubler-ისა. მაგიდის ირგვლივ თავისუფლად მოკალათებულნი, კბილებში პაპიროსგაჩრილნი სასაამოვნო far niente-ს ვეძლეოდით. ხვალ ავირა დღეა. არ ვმუშაობთ. შეიძლება იჯდე ასე გვიანობამდე. მუსიკა რიგიანია, გოგოები მომზაბვლელნი, ჩვენც გადამწიფებული ბერბიჭები ვართ. ასეა სწორედ.

გსხედვართ ჩვენთვის. უცვბ ფლეიტამ რამდენიმე ყალბი ნოტიო გაიფხაკუნა და მთელი ორკესტრი მცდარად აპყვა. სტუვენჩომ ხმამაღლა გაიცინა და წამოიძახა:

— მთლად ხელიდან წასულია ოტელო, საშინელი ლაზღანდარაა. შეხედეთ!.. მე და სენატორი ერთდროულად შემოვბრუნდით და დავინახეთ ის ეშმაკის ფეხი ოტელო. ნეტავ საიდან იგონებს ასეთ ოინებს? თურმე ამდგარა ჩუმიად, მოუძვევია ლიმონის ნაჭერი, სხვათა შეუმჩნეველად რაღაც ნიშნებით მიუქცევია ფლეიტის დამკვრელი ქალის ყურადღება და დაუწყია მისი გაღიზიანება... ბუნებრივია, გოგონას მყავე მოუნდა და პირი ნერწყვით აეცსო. ყბები შეეკრა, პოდა, სკადე ახლა ფლეიტაზე დაკვრა. იტყდა სიცილი.

ორკესტრი დადუმდა. ქუჩიდან მეგაზეთე ბიჭის ხმა მოისმა:

— ახალი გაზეთე-ბი! „ნაროდნო ველიჩიე-ე-ე“!

რომელი „ნაროდნო ველიჩიე?“ ესდა გვაკლდა.

ოტელოს ოინის გამო ჯერაც არ შეგვეწყვიტა ხარხარი, რომ კვლავ გადავიხარხარეთ. ამასობაში ჰედროსიც შემოგვესწრო.

— ო, ჰედროს, გამარჯობა, დაჯეე, ღვინო არ გინდა?

— გაგიმარჯოს, ოტელო, გაგიმარჯოს, ჩემო ჩიტუნია, ცხვირი მოიხოცე,— მიენაზა მუდამ მხიარული ჰედროსი.

— ჰედროს, ეს რა გაზეთია, ახლა რომ გაიძახოდნენ?

1: არაფრის კეთება. (იტალი).

- როგორ, განა არაფერი გსმენიათ ბაი განიუ ბალკანელის გაზეთზე?
- ხუმრობ?
- სერიოზულად გეუბნებით. ბაი განიუ გაზეთ „ნაროდნო ვედიჩიეს“ რედაქტორ-გამომცემელია. ეს მთელი ამბავია. ნუთუ არაფერი იცით?
- მართლა სერიოზულად ამბობ?
- სერიოზულად, მეგობრებო. მაცალეთ, ახლავე გინგებოთ, დღეს დაწერილებით გადმომცეს ყველაფერი. ისე მოგიყვებით, ვითომ დასწრე ვყოფილიყავ.

მოვითხოვეთ, მიეხურათ შიდა სალონის კარი და პედროსმაც დაიწყო.

— ბაი განიუს კრება მოუწვევია. დასწრებიან თვით პატრონი, გოჩოლოლუ, დოჩოლოლუ და დანკო ხარსიზინი. უმსჯელიათ იმაზე, თუ რა საქმიანობისათვის მიეყოთ ხელი, რომ ახლანდელ ვითარებაში რაც შეიძლება მეტი გამორჩენა ნახონ.

— ჩვენც გვინდა, თითო მარცვალი ავკენკოთ, — თქვა ბაი განიუმ, — თორემ ცარიელი პატრიოტიზმი ლაქლაქის მეტი არაფერია. თქვით, რას ფიქრობთ? რა საქმიანობით შეიძლება ახლა უკეთ გამდიდრება? აბა, გოჩოლოლუ, რას იტყვი?

— მე? პირდაპირ გეტყვი, ბაი განიუ, ისევ ჩემს აზრზე ვდგავარ: რუსული სამიკიტნო უნდა გავხსნათ.

— რაო?

— რუსული სამიკიტნო, — სერიოზულად, გადაჭრით გაიმეორა გოჩოლოლუმ.

— შენ რა, ისევ რუსეთისაკენ იბრუნე პირი? — გაიოცა ბაი განიუმ.

— დაიცა, აქ რუსეთი არაფერ შუაშია, საქმე ისაა, საით უბერავს ქარი.

— სად, შენს გოგრაში?

— ბულგარეთში, მხოლოდ სულელი არ გამოიყენებს ამას. სწორედ ახლა გვჭირდება სამიკიტნო. მე მოსკოვში ნახეტიალევი კაცი ვარ და ზოგი რამ გამეგება ამისა. ორგანიზაციებიანი სამიკიტნო თავადაზნაურობისა და გლეხები სათვის.

— მერმე სად არიან გლეხები? — გაკვირვებით ჰკითხა ბაი განიუმ.

— შენა გგონია, ჩვენ ყველანი აზნაურები ვართ?

— კარგი, მერმე?

— მერმე დამკვრელებს მოვიწვევთ, არღანს ვიშოვით, ალბათ, ნანახი გეჩნება.

— მე რაღა არ მინახავს, — მედიდურად წარმოთქვა ბატონმა ბალკანელმა.

— მართალია... არღანი და, ცხადია, ჩაი. დავიჭირავებთ ათიოდე ბიჭს, ოღონდ ჩვენს შავთვალწარბა ყმაწვილებს კი არა, რუსებს უნდა ჰგავდნენ. შეემოსოთ წითელი ხიფთანებით, ჩექმებით, გაგკრიჭოთ კაზაკურად — ესეც შენი სამიკიტნო. გამოვიწეროთ რუსული გაზეთები... არაყი, საუზმეული. ჩამოგვიღოთ კარზე ფირნიში წარწერით: „რუსული სამიკიტნო“ — და საქმე დამში მოვა.

— ვერ მოგიწონებ, — წარმოთქვა დიდის ამბით დოჩოლოლუმ, — ვერ მოგიწონებ. თუ ხეირს იმ ქარისაგან გამოვლი, დღეს რომ უბერავს, უმჯობესია ზურახის¹ ფაბრიკა გავხსნათ.

— შენე, დაახეთქა, — გაეცინა დანკო ხარსიზინს, — საკუთარი ფურნე ზომ არ გინდა?

¹ რუსული КВАС (იურახი) ბულგარულად ცომის საფუარს ნიშნავს.

— არა, ძმაო, მე რუსულ ბურაბზე გეუბნებით, ეს ისეთი რამეა, რანაირადა ვთქვა, როგორც მსხლის წვენი ან ბოზა.

— დიდებული საქმეა, ბოზას გამომხდელი გავხდე? — განაწყენდა ხარსიზინი.

— არა, ყარდაშ, საქმე სასმელი კი არ არის, არამედ მისი სახელი. ოღონდ დაიძახე: „რუსული ბურაბი!“ — და მაშინვე დაგესევია.

ფრანგები ახლა რას აკეთებენ! ფულს ხვეტენ, ფულს ხომ იცი, ენუბრები?

— ლაყბობაა! არ მინდა შენი ბურაბი, — გაჯავრდა დანკო.

— მაშ რა გინდა? — ჰკითხა ეულმოსულმა დოჩოოლუმ. — თქვი, გისმენთ.

— მოდი, ბანკი დავაარსოთ.

— სულელი ხარ!

— რატომ?

— ნუ ილანძლები, — ჩაერია ბაი განიუმ.

— რატომ ვარ სულელი? — არ ცხრებოდა გაგულისებული დანკო და დოჩოოლუს გაშმაგებული უბრიალებდა თვალებს.

— ე, გაჩუმდი, დაჯექი, თქვი, რაში გვჭირია ბანკი.

— ჯერ ისა თქვას, რატომ ვარ სულელი.

— ჩვენ ბანკს ვერ დავაარსებთ, ასეთ პოპარას! თავს ვერასოდეს მოვაბამთ.

— ჩაიბუზღუნა ულვაშებში დანკოს გამძვინვარებული ცქერითა და მუქარის ტონით შეცბუნებულმა დოჩოოლუმ. — ბანკი პოპარა ხომ არა გგონია.

— დიახაც პოპარაა.

— როგორ თუ პოპარაა. რა შუაშია აქ პოპარა? — აიფხორა დოჩოოლუ.

— გაჩუმდით, ამისთვის დაგაძახეთ აქა? — შეაჩერა ისინი ბაი განიუმ. — დოჩოოლუ დაჯექი შენს ადგილზე.

— რა შუაშია აქ პოპარა?

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და — გაუტიეს! ხარსიზინი ხომ იცით, ყოველთვის საჩხუბრად იწევს. დოჩოოლუც მაგარი კაცია. უთუოდ დასცხებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბაი განიუმ როგორღაც დააშოშმინა ისინი. დანკო დაჯდა თავის ადგილზე და შეუდგა ბანკის დასაფუძნებელი საკუთარი პროექტის დასაბუთებას.

— ეს იოლი საქმეა. გამოვუშვებთ ხუთი-ათი მილიონის აქციებს. შევაგროვებთ ფულს, ამას — იეს! ად, ამასაც სესხად, დიდი პროცენტით, გასაგებია, სესხად მივცემთ ვაჭრებს, თემებს, მთავრობასაც უჭირს, მასაც ერთი-ორი მილიონი შევაწიოთ. წესდებაში კი ჩავწეროთ: მოგების ნახევარი ჩვენ, ნახევარი აქციონერებს. აქციები შევაგროვოთ, ფული კი ან დავაბანდოთ, ან არა, შენ, ბაი განიუმ, გავლენიანი კაცი ხარ, ორ-სამ კარზე დააკაკუნებ და მორჩა.

— ბანკი შენი ჰკუთნის საქმე აო არის, საქმიანი ხალხი თუ მოინდომებს. მერმე ვნახოთ, — დამრიგებლურად შენიშნა ბაი განიუმ.

გოჩოოლუმ და დოჩოოლუმ ქომავურ დაუკანტურეს თავები.

— დაიცაო, რაღაც მოვიფიქრე, — ავტორიტეტულად განაგრძო ბაი განიუმ და წამოდგა. — იცით, რა? არც სამიკიტნოდან გამოდნება ხეირი, ვერც ბანკს მოვაბამთ თავს, შენი რუსული ბურაბიც, დოჩოოლუ, აბდაუბდაა. და, რას გეტყვით, იცით?

გოჩოოლუ, დოჩოოლუ და ხარსიზინი სმენად იქცნენ.

1 ბუბარში ან მარტილწყალში დამხალი პური, ვადატ. დონდლო, უგერვილო.

— ვითხრათ?

— ვვითხარი ბარემ, რას ველოდივინებ, — თქვა გაღიზიანებულმა დანკომ.

— შ-შ-ში ასევეებითა სოფელი არაფის მოუქამო... თხრათ ხომ! ბატონებო, ჩვენ ვაზეთა უნდა გამოვუშვათ, — საზეიმო გალობა ტყველებით წარმოთქვა ბაი განიუმ.



იმ წუთას ოთახში ზღვის ურჩხული რომ შემოვარდნილიყო განიუმს სიტყვებზე თავზარდაძვემ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. ვოჩოოლუ და დანკო ხარსიზინი ჯერ გაბეცდნენ, მერმე შიშით გადახედეს ერთმანეთს: ღმერთმა ნუ ქნას, ხომ არ გააფრინა ამ კაცმაო. ვერ გადგეწყვიტათ, გაეციხათ თუ მის მიმართ თანაგრძნობა გამოეხატათ, შიშობდნენ წოხასწორობიდან არ გამოეყვანათ. ბოლოს ვოჩოოლუმ მოიკრიბა მხნეობა, რაც იქნება იქნებაო და ჩაუქარაგმა:

— შენო მოწყალეზავ, ბაი განიუ, ხანდახან ვიყვარს, ხე-ხე, მომიტევე, როგორა ვთქვა, ვიყვარს... ისა... ენამახვილოზა. მაგრამ მართლა ამბობ, პა? ხე-ხე.

— რაო?

— არა, ბაი განიუ, მე მხოლოდ ისე... შენო მოწყალეზავ, ეგ რალაც ვაზეთა... სერიოზულიად?..

— როგორ თუ სერიოზულიად? აბა, ტყუილად? რა დიდი ცოდნა უნდა ვაზეთის გამოშვებას. ახვიე თვალეები (თუმცა არც ეს არის საჭირო), ლანძღე ირგვლივ ყველა, აი, ეს არის სულ.

— რაეი ასეა, ყაბულსა ვარ, — განაცხადა დანკო ხარსიზინმა.

— მაშ ასე, დავუქანოთ ადვოკატ გუნიუს, მას მოწინავეის გახაზირებაში კაც ვერ აჯობებს, ჩვენ კი ვწუროთ კორესპონდენტები, მოკლე ცნობები, ტელეგრაფები. საქმე ისაა, ვინმე გამოიქირო მაგრად, არც ამას უნდა დიდი ფილოსოფია დანკო, ჭენი სიკეთე, წადი ადვოკატთა კანტორაში და გუნოუ ადვოკატს დამიძაბე.

— დახე მაგ ყახალსა, — ვანავრძო ბაი განიუმ, როცა დანკო ხარსიზინმა ყარი გაიხურა. — საქმე საქმეზე რა მიდგეს, ვისაც გინდა, იმას გათათხავს, მიწისთან გაასწორებს, ქვეყნის სამსახროდ ვახდის ისე, რომ თვალსაც არ დაახამბაზებს. საშინელი არამზიდაა.

ვერ ვიტყვიო, რომ ვოჩოოლუ და დანკოოლუ ალტაცებაში მოიყვანა ხარსიზინის ასეთმა ნიჭიერებამ, არც ის ითქმის, რომ ეურნალისტიკაზე მათი წარმოდგენისამებრ დანკო ვაზეთის რედაქტორის თანამდებობაზე გამოდგებოდა. მათ სხვა დრო ახსოვდაი, თურქობის ხაზა, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა სულ მუდამ ამღვრეველა წყალს. მაგრამ მაშინაც ათასოდეს ამოუნთხევია პრესას ჯოჯოხეთური ლანძღვისა და წყევლის ასეთი ლევა-წლების მანძილზე ველურ ვნებათა შეუწყვეტელმა ბობოქარმა ქარტავილმა, ზნედაცემული პრესის პადემორალიზებელმა გავლენამ, ფულის ყოვლისშთანაქმელმა უბეზმა ძალამ, ადვილად გაძიდებების შესაძლებლობამ, როცა ადამიანის სინდისი ჩაჩუმებულია, ხოლო მაგალითის თვითონ ხელისუფლება იძლევა. — ისეთი ფენით დაფარა მათი ყველაზე წმინდა გრძნობები, რომ მხოლოდ ახალი შინაარსის მრავალწლიან ეპოქას შეეძლო გაეთხარა სიბინძურის ეს დანიშრევი ფენა და აღმოეჩინა ქვეშ ჩამარხული წმინდა გრძნობები, როგორც წარსული დიდების ჩაშთი.

და ახლა, როცა ბაი განიუმ მათ წინაშე ჩამოაყალიბა ვაზეთის გამოცემის საკუთარი ვეგმა, დაახასიათა მისი მიმართულება და ჩამოთვალა თანამშრომლები, ვოჩოოლუმ და დანკოოლუმ სულის სიდრმეში იგრძნეს სინდისის ქვენჯა, მიხედნენ, რომ ყოველივე ამასი იყო რაღაც საზიზღარი, აუტანელი და დაუ-

შეებელი. მაგრამ ახლა, იმ მიხედვით ზედა შრეს, რომლის ქვეშაც იყო მოყოლილი მათი წმინდა გრძნობები, ბაი განიუმ ერთი ფენაც მიუმატა და საბოლოოდ მოაშთო ეს გრძნობები. მან მჭევრმეტყველური მგზნებარებითა და გატაცებით დახატა ამ წამოწყების მატერიალური სარგებლიანობა და ამაზე დამაჯერებელი არგუმენტები გოჩოლოლუსა და დოჩოლოლუსთვის არც იყო საჭირო.

გაილო კარი და ზღურბლზე ადვოკატ გუნიუს მელასავით წაწვეტილებულ სახე გამოჩნდა. უკან დანკო ხარსიზინი მოჰყვებოდა.

— აბა, გუნიუ, რას იტყვი? — მიმართა მეგობრულად ბაი განიუმ. — გვინდა გაზეთი გამოვუშვათ.

— რატომაც არა! გამოვუშვათ. ხეირი იქნება? — ჰკითხა გუნიუმ, თვალი ჩაუკრა და ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთზე გაუსვა.

— იცხოვრებ უზრუნველად, სიამოვნებით...

— იქნება თუ არა?

— იქნება, იქნება. იცხოვრებ უღარდელად, კმაყოფილებით.

— კეთილი. მთავრობის მომხრე იქნება თუ ოპოზიციური? მითხარი მალე, კლიენტები მელიან.

— მანდაა გასაჭირი, მთავრობის მომხრე იქნება თუ ოპოზიციური. ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი, რამდენ ხანს გაძლებენ ახლანდელეები?

— თქვი, კლიენტები მყავს.

— იცი, გუნიუ, — უთხრა ფიქრებში წასულმა ბაი განიუმ, რომელსაც ადვოკატის სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — ვფიქრობ, ჭერჭერობით მთავრობის მომხრე...

— კი, კი, უმჯობესია მთავრობის მომხრე იყოს, — უმალ დაუპირეს მხარი გოჩოლოლუმ და დოჩოლოლუმ.

ბაი განიუმ შეუბღვირა, რატომ არ მაცლით ლაპარაკსო და განაგრძო:

— როგორც კი ვიყნოსავთ, ამათი საქმე ცუდათაა, მაშინვე პანჩურსა ვკრავთ და ახლებს მივუბრუნდებით, ჰა?

— კეთილი. დაგპირდნენ რამეს?

— თავისთავად ცხადია. სხვანაირად როგორ იქნება.

— მოდის. რაკი ასეა, დავიწყოთ, — დაასვენა ადვოკატმა.

მერმე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ რანაირად ეწარმოებინათ გაზეთის გამოცემა და როგორი, ასე ეთქვათ, მიმართულება მიეცათ ახალი ორგანოსათვის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. გადაწყდა, ემოქმედათ დროისა და ვითარების, ასევე გამორჩენის შესაბამისად, „ღვთის შეწევნით“, რუსეთზე კი „ქების სიტყვები არ უნდა დავიშუროთ: ჩვენი განმანათავისუფლებელი მოძმე რუსია ხალხი, გაუმარჯოს მეფე-განმათავისუფლებელს (სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა ცათა შინა). თუ დავინახავთ, საქმე კარგად აღარ მიუდით, ისევ დუნაის-გალმა გუბერნიას მივადგებით“. მაკედონიის თაობაზე „გავჩუმდეთ, არაფერი გამოგვივა, საამისო დრო ახლა არ არის. ევსტრიაო, რაღაც სამთა კავშირიო — არა, არ ღირს“.

— ახალგაზრდობას, ახალგაზრდობას რაღა ვუყოთ? — ჩაერია გოჩოლოლუ, — ისიც ამოძრავდა.

— იმათაც უნდა ველაციცოთ. ასეთი დრო დადგა. სხვანაირად არ იქნება, — ოხვრით წარმოთქვა ბაი განიუმ.

— როგორ თუ არ იქნება? — დაიღმუვლა დანკო ხარსიზინმა და თვალთ დაუბნელდა. — ყეყეჩები, გაუთლელეები, ისეთი დღე ვაყარო რო...

— დაჯექი წყნარად, დანკო.
 — და-ა-ვბუგავ, ნაცარტუტად ვაქცევ.
 — ვაჩუმდი, გეყოფი, იჯექი შენთვის, ყველაფერს თავისი დრო აქვს.
 — დროზე მოვრჩეთ, ბაი განიუ, კლიენტები მელოდებიან, — მოუთმენლად წამოიძახა ადვოკატმა გუნიუმ.

— მისმინე, გუნიუ, ეშმაკს წაუღია შენი კლიენტები? ჩაუქვი ამ საღამოს მოწინავეს და ისეთი ერთგულქვეშევრდომული სტატია გამოაცხადო, რომ თვით მთავარს გაუკვირდეს. მერმე შიგ ჩაურთე: თქვენი შორჩილი შეიღებო, და ჩვენი მშობელი მამები, და ვემთხვევით თქვენს ფეხთამტვერს... დალაგებით აასხი, კრილოსანივით. შენ თავად იცი, პო, ხალხზედაც რაქვი ერთი-ორი სიტყვა, როგორც საჭიროა. გამიგე, რას გეუბნები? კეთილი, ბოლოს კი ოპოზიცია დაამუშავე, ეგ მოლალატენი, ეგენი...

— ამჟამად სიტყვა „მოლალატე“ მოძველდა. ჩავსვათ: „არამზადები“, — შეუსწორა გუნიუმ.

— რა გაეწყობა, ვქნათ ასე, ჩასვი „არამზადები“, ოღონდ არ დაგავიწყდეს სიტყვა „ფატალური“ ბულგარელი ხალხისათვის. ეშმაკმა წაიღოს ყველანი. ძალიან მომწონს ეს სიტყვა „ფატალური“, როცა ასე წარმოთქვამ: ფა-ტა-ლური, თითქოს ვინმეს უნდა სწვდე ყელში, ძალიან სასიამოვნოა.

— ჩვენთვის იმაზე უკეთესი სიამოვნება არ არსებობს, როცა ვინმეს გამოვლანძღავ, — გულახდილად აღიარა დანკო ხარსიზინმა. — უცებ მომეშვება ხოლმე გულზე.

— ბარაქალა, ხარსიზინ! მასე უნდა, — აღტაცებით წამოიძახა ბაი განიუ და დანკოს მხარზე დაჰკრა ხელი. — მაშასადამე, მოვრჩით, შენ გუნიუ, როგორც გითხარი, მოწინავეს დაწერ. თქვენ კი, გოჩოოლუ და დოჩოოლუ, შეთითხვარამდენიმე კორესპონდენცია და ტელეგრამა.

— რა ტელეგრამა, რა კორესპონდენცია? — შეცბუნებულნი შეეკითხნენ ორთავენი.

— როგორ თუ რა? ყოველნაირი. თქვენ რა, გაზეთებს არა კითხულობთ დაწერეთ: თქვენო უმაღლესობავ, ხალხი მუხლმოდრეკილი ზეიმობს და ერთხმად შესთხოვს უზენაესს და ასე, რაც მოგივათ თავში. იქვე დაუმატეთ: ბულგარელმა ხალხმა ათახჯერ დაამტკიცა, რომ როცა მის უფლებებს ხელყოფენ, ყველა აღდგება როგორც ერთი კაცი... როგორ გითხრათ ... ცრემლმორეული... და ასე გაუტიეთ, მაინცდამაინც გრძელ-გრძელი ფილოსოფიური მიეთ-მოეთი ამას არ უნდა. ოპოზიციისაგან თავი შორს დაიჭირეთ, ასე აჯობებს! მაინც ვერაფერს ვიგებს რამეს. ჩვენი საქმეა — თვალში ნაცარი ვაყაროთ და... გავუტიოთ! ხო, ასეა?

— აბა, კარგად გნახეთ, კლიენტები მელოდებიან, — ჩაიბუზღუნა გუნიუ ადვოკატმა და ქუდს ხელი დაავლო.

— ვინ ეშმაკი გიცდის... კარგი, წადი, ოღონდ იცოდე, გუნიუ, ხვალ დიდი სტატია მზად უნდა იყოს. აბა, კარგად!

გუნიუ კარისკენ გაემართა. მას თან მიჰყვნენ გოჩოოლუ და დოჩოოლუ რომლებმაც ბაი განიუსაგან აუცილებელი ინსტრუქციები მიიღეს.

— მომისმინეთ, ბატონებო, ყველაზე მთავარი კი დაგვაფიწყდა, — მიიძახა მიმავალთ ბაი განიუმ, — ჩვენი გაზეთი არ უნდა მოვნათლოთ?

— მართალი ხარ, ბაი განიუ... აი, ხათაბალა! ე-ე, — გამოეხმაურნენ გო-
ხოლო და დოხოლო.

— საკითნი სერიოზულია, — თქვა ადვოკატი გუნიუმ, — და იცი, რა
ტომ? იმ ეშმაკის ფეხებმა ყველა კარგი სახელი დაიჩემეს, აღარაფერი დაგვრ
ოვეს. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენთვისაც გამოინახება რამე. ჩემი აზრით, უმჯობესე
სი იქნება, გაზეთს „სპრავედლივოსტ“ დავარქვათ და ფრჩხილებში ჩავსვათ ფრ
დიუსეკლ.¹

— როგორაო?

— ეს ფრანგული გამოთქმაა, თქვენ ვერ გაიგებთ.

— არა გვჭირდება ფრანგული. ლათინური კი შეიძლება რომ ჩაურთო —
ინტერესისათვის.

— ვაჭახოთ რამე ასეთი, „Tempora mutantur“².

— ვაჭახოთ, თუ შესაფერი იქნება. გოხოლო, შენ როგორა ფიქრობ? —
პითხა ბაი განიუმ.

— კარგია „სპრავედლივოსტ“, მაგრამ მგონი „ნაროდნა მუდროსტ“ უფ-
რო ლამაზი იქნებოდა, — უპასუხა გოხოლო.

— ვერ დაგეთანხმები, — შეეპასუხა დოხოლო, — ეს რაღაც ხუცურსა
ქვავს. ჯობია „ბოლგარსკა გორდოსტ“ დავარქვათ.

— შენა, ხარსიზ, რას იტყვი?

— მე, აბა, რა ვიცი. დაგვერქმია „ნაროდნა ხრაბროსტ“ და მიგვეფურთ-
ხებია ყველაფრისათვის. პასუხისმგებელ რედაქტორად კი სარი ჩიზმელი მეპ-
მედ-ალა ვქნათ ჰა?

— სისულელეა. მომისმინეთ. აი, რას ვეტყვით, — ავტორიტეტულად განა-
ცხადა ბაი განიუმ. — ჩვენს გაზეთს ან „ბოლგარია ზა ნას“, ან „ნაროდნო ველი-
ჩიე“ უნდა დავარქვათ. ორში ერთი. აირჩიეთ!

— „ნაროდნო ველიჩიე“!.. თანახმა ვარ. „ნაროდნო ველიჩიე“, ჰო, ჰო, ვაშა!

— აბა, ნახვამდის, ბაი განიუ.

— ნახვამდის.

გოხოლო, დოხოლო და ადვოკატი გუნიუ წავიდნენ.

— შენ, დანკო, დარჩი. ერთად დავწეროთ საგაზეთო ცნობა.

— კარგი, უბრძანე მოიტანონ ანისულის არაყი საუზმეულით და დავი-
წყოთ. მიხედვ, მეავე რამე არ მოათრიონ. საკადრისი, კარგი საუზმე იყოს. აქ
გაზეთსა წერენ. ხუმრობა ხომ არ არის...

მოიტანეს არაყი და საუზმე. შეიძლება ბაი მანოლჩომ იკობხოს, რა საუზ-
მეო. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, ბაი განიუმ და დანკო ხარსიზი-
ნმა აიკაპიწეს ხელები და შეუდგნენ საზოგადოებრივი აზრის ხელშეწყობას.

— მომისმინე, დანკო, ჩვენი მეზობელი დიდი ყოყლოჩინა ვინმეა, სწავ-
ლულიცაა, პატიოსანიც და ეშმაკმა უწყის, კიდევ რა. მოდი, ქვიშის საცერში გა-
ვცრათ ჰა?

— გავცრათ კი არა, ტალახში ამოვზილოთ, — განაცხადა გინების ოსტატმა.

და დაიწყეს: „როგორც გვაუწყეს“, — გამოიყვანა ასოები ბაი განიუმ და
შეუდგა თეთრ ფურცელზე მეზობლის შავი საქმეების გადმოლაგებას, რაც არა-
თუ უთქვამს, არც დასიზმრებია ვინმეს. ბაი განიუ წერდა და შლიდა, წერდა და

¹ Findu siecle — საუკუნის დასახრული (იგულისხმება მე-19 საუკუნე) (ფრ.).

² დრონი იცვალნენ (ლათ.).

შლიდა, კმაყოფილი არ იყო თავისი შხამიანი ისრების ძალისა: სიტყვა ქურდი შერბილებულად მოეჩვენა, გადაუსვა ხაზი და უჩაღიო შეცვალა, მაგრამ ესეც ერთობ ჩვეულებრივად ეღერდა და დაუმატა: „დიდი თემშარის“ თანაც ფატალოური. მეზობლის ცოლი, ბავშვები და ნათესავეები, მისი კალმის წყალობით, ნამდვილ მტარვალებად იქცნენ. მან წაუკითხა თავისი ნაწარმოები დანკო ხარსიზინს, რომელიც არაყისაგან თვალეზავნებული უსმენდა და წამოწმებისებელი შეძახილებით ამხნევებდა ავტორს.

— მიდი, მიდი, მიდი!.. მისცხე მაგას!.. დედაო სახიერო!.. შიამურთხე ყველაფერს, მისცხე! — ქუხდა დანკო ხარსიზინი, თითქოს საარტილერიო ბატარეას მეთაურობსო.

— აი, ბატონებო, როგორ ჩამოაყალიბა ბაი განიუმ ბეჭდვითი ორგანო, — დაამთავრა თხრობა ჰედროსმა.

ჩვენ ისევ გავალეთ შიდა დარბაზის კარი და შემოიჭრა ვაგნერის „ტანპოზიზერის“ ჯადოსნური მარშის ხმები.

მშვიდობით, ჩემო შემწყნარებელო მკითხველო! შენ ამ წიგნში შეგხვდება ცინიკური გამოთქმები და სცენები, მე არ შემეძლო გვერდი ამეველო მათთვის, და თუ შენ შესძლებ წარმოსახო ბაი განიუმ ამ ცინიკური წვრილმანების გარეშე, კი, ბატონო, სცადე!

მშვიდობით შენც, ბაი განიუმ! ღმერთი ხომ ხედავს, კეთილი გრძნობები მამოძრავებდა, როცა შენს თავგადასავალს ვწერდი. არც გაკიცხვის, არც სიტყვილი, არც ფუქსავატური დაცინვის ავი მისწრაფება ხლებია თან ჩემს კალამს. მე ჩემი ეპოქის შვილი ვარ და, შესაძლოა, ესა თუ ის მოვლენები მაიძულებდა უკან დამეხია მკაცრი ობიექტურობისაგან, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, წარმომესახა სამწუხარო სინამდვილის არსი. მჯერა, შენი ძმები მთლად შენ არა გგვანან, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მეორე და მესამე პლანზე არიან გადანაცვლებულნი და ახლა აკეთებენ განაცხადს თავიანთ არსებობაზე. შენ კი სახეზე ხარ, შენი სული თავს დასტრიალებს ყველაფერს, მთელ საზოგადოებრივ წყობაშია გამჭდარი, თავის დაღს ასვამს პოლიტიკასაც, პრესასაც. ღრმად მწამს, დადგება დღე, როცა ამ წიგნს წაიკითხავ, დაფიქრდები, ამოიოხრებ და იტყვი:

„ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ არა სავსებით!“ მშვიდობით, არაფერი იქნება გასაკვირი თუ კვლავ შეგხვდებით ერთმანეთს.

სოფია, 17 მარტი, 1895 წ.

ბაი განიუმ სასახლეში

სამწუხაროა, შენ უნდა ყოფილიყავი გახსნილებისას სასახლეში, მასალა რომ შევევროვებინა...

— ო-ო, ბაი განიუმ, ქრისტე აღსდგა! იყავი სასახლეში გახსნილებაზე?

— ვინა, მე? აბა სხვა ვინლა უნდა ყოფილიყო? — მიპასუხა ბაი განიუმ და მარცხენა ულვაში აიგრიხა, ცბიერად გადმომხედა, თითქოს მაგრძნობინა: „სანამ ამქვეყნად ცხოვრობენ ბრიყვები, ბაი განიუმს ხეირს რა გამოუღუფესო“.

— როგორი დრო გაატარეთ, მხიარულება იყო?

— სად ნახავ ახლა მხიარულებას? სახიერო კი თავზე საყრელად იყო და მიითალეს კიდეც ყველაფერი. პოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვნების კვირაა,

ვიმარხულე, ვიმარხულე, ამოვიყორე მუცელი იმ დაწყევლილი ლობიოთი და კომბოსტოს მწნილით, დავიმშიე ეკლესიის ვირთხასავით, შაბათს ხემსი არ ჩამიდევს პირში, იმათ კი გახსნილება შუალამის ორ საათზე დათქვეს. ვიდექი ვკლესია ში და თითქოს სამასი წურბელა ერთად მწოვდა სისხლს მუცელში. ვაფურთხე, ვაფურთხე ნერწყვი და ბოლოს ისიც გამიშრა. ვიფიქრე, მოდი, გაგაბოლოებ მეთქი, მარა პირი ისედაც გამწკლარტებული მქონდა, თორმეტზე უფროსი ილსდგა“ იგალობეს. რა გამაძლებინებდა ახლა ორ საათამდე? ჩემიანებს ვუთხარი, წასულიყვენ გასახსნილებლად. მე კი წითელ „კიბორჩხალაში“ წავედი. იქ ჩემს დღეში მყოფი ზღვა ხალხი დამხვდა: ცილინდრები, ეპოლეტები, ორდენები. ისინიც იცდიან, როდის დარეკავს ორი საათი. მივუჯექი გრძელ მაგიდას. ვხედავ, რამდენიმე ბერბიჭას უკვე გაეხსნილებინა. მაგიდა სავსე იყო საუზმეულით, გოჭებით, ვარნული ღვინით. აღარ შემეძლო მათი ყურება. თვალი შევაავლე დაბრაწული გოჭის კანს და კინალამ გული წამივიდა. რომ მეკითხა: რას მიირთმევთ, ბატონებო, ეს გოჭია, არა? სასიამოვნოა, მეც მინდოდა ცოტაოდენი დაბრაწულკანიანი გოჭი გამესინჯა-მეთქი — უთუოდ გამიმასპინძლებოდნენ, ეს არ ექენი. პატარაობიდანვე დამყვა მორიდებული ხასიათი... (აბა, მოიტა ეგ სათუთუნე, შენ კაი თუთუნს ეწევი, ივანესი კი ბალახბულა ხია, წეკოს სუნად ყარს). აამუშავეს ყბები ბიჭებმა, ველარ გავუძელი იმათ ყურებას, ავარიდე მზერა, დავაპირე გადაფურთხება, მარა სადღა იყო, ნერწყვი... ნაწლავები ერთმანეთზე მაქვს მიკრული. კინალამ ლუდი შევუკვეთე, მაგრამ შევიკავე თავი. ტყუილუმბრალოდ ხომ არ ვიშიმშილე მთელი ორი დღე? მერმე ზურგი შევაქციე, რომ არ დამენახა, ისინი კი, ეშმაკმა დალახვროს, ილმურძლებიან და აქებენ პურ-მარილს. მზად ვიყავი, პირიდან გამომეცალა მათთვის გოჭის ხორცი... მოვკუნტულიყავ მაინც. მუცელი რომ შემეწია შიგნით და შიმშილი დამეოკებინა, მაგრამ როგორ უნდა მოიხარო კაცი, როცა ფრაკი ვიწროდ გაქვს? ცოტაც და ზურგზე შემომასკდება, კირსაც წაუღია! საყელოც ისე მაქვს გახამებული, გეგონება, ქვისაა, კისერს მიხეხავს. თვალთ დამიბნელდა. წამოვედი „კიბორჩხალიდან“. გავუყევი სასახლისაკენ მიმავალ გზას. ადრე შესვლა უხერხულია. სასახლის დაცვაში ერთი ჩემი მეგობარი შეგულებოდა, თუ გინდა იცოდე, ჩემი შორებელი ნათესავი, მარა, მაინც ულამაზო იქნებოდა. რომც მივსულიყავ ადრე, ვინ მიმიწვევდა მაშინვე ტრაპეზზე? აფუარ-ჩავუარე ალაყაფს... ამტკივდა ფეხები. ამ დროს უცებ — დრრრ, — მოგრიალდა ღია ეტლი, მას მეორე მოჰყვა. იწყეს შესვლა, მადლობა ღმერთს! ავიპრიხე უღვაშები, ჩავახველე და მიმავალთ ავედევნე. შევედი შიგნით. ვხედავ, დაცვა უკვე ჩაამწკრივეს. ვილაც სუფთად გაპარსულმა ყმაწვილკაცმა მოირბინა და პალტოსა მხდის. ვეუბნები, ბოდიში, ბატონო, ეს არ არის თქვენი საქმე-მეთქი. ისიც მომეკრძალა და სხვასთან მივიდა პალტოს ჩამოსართმევად. ანდა როგორ მიმეცა, როცა ჩემი პალტოს სახელოებში, უფრო სწორად, შიგნიდან გამოკრული სარჩული მთლად დაკონკილი იყო. პოდა, კეთილი. ავედი ზემოთ, მაგრამ წინასწარ თვალი მოვაავლე ქვედა ოთახებს: მაგიდები ხორაგით იყო სავსე. უკეთესს თვალი ვერაფერს ინატრებდა. შეიკრიბა ხალხი, ცოტაც და გამობრძანდნენ მთავარი და მისი მეუღლე, ამჯერად — ქრისტიანულად, როგორც ნამდვილი მასპინძლები, სათითაოდ ჩამოგვირიგეს კვერცხები.

— ხელები თუ დაუკოცნეთ მასპინძლებს?

— რასაკვირველია. ასეთი მასპინძლობისათვის ას ხელსაც ვეამბორებოდით... დამთავრდა ეს გაწამაწიაც. დავეშვით, ჩემო ძმაო, კიბეზე, გინდ დაიჭერე,

გინდ არა, სამ-სამ საფეხურს ერთად ვახტებოდი, კინალამ სარკეს შევასკდი. გავუსწარი ყველას, დავწვდი ხიზილალას, მოვხაბე კოვზით და, ტყუილით სულს არ წავიწყმედ, სულ ცოტა, ნახევარი კილო გადავსანსლე. რას ინატრებდი, რომ იქ არ ყოფილიყო: თევზი მაიონებდა, ყოველგვარი საუბრეული, რომელთა სახელები არც კი ვიცი — ოღონდ გააღე პირი... ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. ექამე, მაგრამ რა ვქამე, ისე ამოვიყორე მუცელს, რომ არ გამისკდა. ახლა ღვინოს აღარ იკითხავ? უჰ!.. ახლაც მტკივა თავი იმ დაწყველილი შამპანიურისაგან... ეს კიდევ არაფერი, ავიღე და ჭიბეები ნამცხვრებით გამოვიტენე, ეშმაკმა დალაზვროს, ისეთი რბილი იყო, სულ აიზილა ერთმანეთში. აბა, მშვიდობით.

— მშვიდობით, ბაი განიუ.

სოფია, 5 აპრილი, 1895 წ.

ბაი განიუ დეპუტატიაში

მოიღეთ მოწყალება და გვითხარით, ნუთუ არ შეიძლებოდა უიმისობა? ამ საქმისათვის განა არ კმაროდნენ ოფიციალური დეპუტატები, რომ ბაი განიუსთვისაც არ ჩაეყოფინებინათ შიგ ცხვირი? ნუთუ ოფიციალურ დეპუტატებს იმდენი ძალა არ შესწევთ, რომ დაანახონ მთელ ქვეყანას, ვინ არის ბულგარელი და რას წარმოადგენს ბულგარული პატრიოტიზმი? განა საამისოდ არა კმაროდნენ ისეთი სოლიდური ფიგურები, როგორცაა, ვთქვათ, ის კაცი, რუსულ ყაიდაზე რომ აქვს დაყენებული ხშირი წვერი? ან ის, ფრანგს რომ წააგავს და ცოცხლად და მწყობრად მეტყველებს ფრანგულად, ანდა ცნობილი ბულგარელი დიპლომატი? რუსებს მართო ეს უკანასკნელიც ეყოფოდა. კაცს, რომელსაც რუსულმა პრესამ ბულგარელი დიპლომატი შეარქვა, სინამდვილეში ფილიპოპოელი საპნის მხარშავია. აი, რის შემძლეა პროგრესული ერი! თუ ბულგარელი საპნის მხარშავი რუსეთში დიპლომატად ასაღებს თავს, წარმოიდგინეთ, რაღა იქნება მაშინ, როცა დედარუსეთის წინაშე ნამდვილი ბულგარელი დიპლომატი წარსდგება. რა გინდ მოკრძალებულიც არ უნდა იყო კაცი, გაამაყდები, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ ამ მხრივ ფრანგები რამდენადმე გვგვანან ჩვენ, იმათი ფელიქს ფორი დაბალი იყო და რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. რომაელთა შორისაც იყვნენ ასეთები. გაიხსენეთ ცინცინატი, მაგრამ იმათაც მოვიტოვებთ უკან და სხვებსაც. სცადეთ, მაგალითად, დადექით თვალახვეული საგაჰრო რიგებში. გარწმუნებთ. ვისაც არ უნდა ჩაავლოთ ხელი პირველად სახელოში და ჰკითხოთ: გინდა თუ არა ბულგარელი თავადი გახდეთ, წამითაც არ დაფიქრდება და დაგყაბულდება იმ პირობით, თუ საჩუქრები და ჭილდოები, რომელთა დარიგებაც მოუწევს, მისი ჭიბიდან კი არა, სახელმწიფოს ხაზინიდან გაიცემა.

მაგრამ აქ საუბარი ბაი განიუს ეხება. ნუთუ, — გეუბნებით მე, — არ შეიძლებოდა უიმისობა? რა საჭირო იყო მასაც წარმოედგინა ბულგარელი ხალხი? თქვენ მეტყვით: ის ხომ არაოფიციალურად მონაწილეობდა დეპუტატიაში. ეს სულ ერთია. თუ გავლენიანი გაზეთების კორესპონდენტები მოისურვებენ ინტერვიუ ჩამოართვან და პრესა მის სიტყვებს წინასწარმეტყველებს სავით მოჰფენს მთელ ქვეყნიერებას, მერე მიდი და ამტკიცე: ბაი განიუს პირით ბულგარელი ხალხი არ მეტყველებსო. მაგრამ მე გამოუხსნორებელი ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ, ბაი განიუ ბედმა იმისათვის შეაკვება დეპუტატიაში,

რომ მას თავისი ჭეშმარიტი ეროვნული ხასიათი არ დაეკარგა, რადგან, რაც არ უნდა იყოს, ხშირი და ფართო რუსული წვერი, მოფრანგულედ და დიპლომატი — ყველაფერი ეს მთლად ბულგარულად ვერა ეღერს. მაგრამ ბაი განიუს რომ ბულგარული პატრიოტიზმის დროშა მალლა და ჯეროვნად ღირსებით ეჭირა, ეს თითოეულს შეუძლია თვალნათლივ დაინახოს ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუს მეშვეობით. (არ ღირს იმის გახსენება, ფრაკში გამოწყობულ ბატონი პირველი რომ შევიდა ბაი განიუსთან ოთახში და მოისმინა მისი ძმური გრძნობებით აღსავსე გულახდილი საუბარი, გაზეთის კორესპონდენტი კი არა, რესტორნის კელნერი იყო. მცირედი გაუგებრობაა, მაგრამ რა გაეწყობა? გულში აღუდდა წრფელი გრძნობები, გულაჩუყებულს ცრემლი მოერია და მოხდა შეცდომა). შემოდის კორესპონდენტი. წინასწარ მოამზადა ბაი განიუმ დაჭრილი ხახვი თუ არა, არაფერი ვიცი, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვამტკიცო, რომ მას ცრემლები გადმოსცვივდა.

— ო-ო, გამარჯობა, ძამიკო, გამარჯობა, ცხრა წელი გავიდა, ცხრა!.. ერთი და ორი დღე კი არა, ცხრა წელი! — მიესალმა სტუმარს ბაი განიუ და ატირდა.

ყველა ჩვენგანი, ბუნებრივია, იფიქრებს, ხანგრძლივი მწუხარე განშორების მერმე ძმურმა შეხვედრამ ბაი განიუს გული ნაზი გრძნობებით აავსო, რაც ცრენლის სახით გადმოიღვარაო. მაგრამ რარიგ გაოცდა კორესპონდენტი, როცა დაინახა, მისმა თანამოსაუბრემ ერთბაშად გამოიღარა, თვალი ჩაუკრა და შემპარავად წარმოთქვა:

— იცი, როგორი გვირგვინი შევუკვეთეთ? მართალი რო გითხრა, სუფთა ნამუშევარია, სპილენძი და ვერცხლი კი არა, ბაჯალლო ოქროა. და იცი, რა ღირს, როგორ ფიქრობ, ძამიკო? მაგალითად, რუსებს ჩემთვის რომ მოერთმიათ ასეთი გვირგვინი, ფეხებს დავუკოცნიდი. რაც გინდა თქვი, ხუმრობა ხომ არ არის, ოქროა, ბაჯალლო ოქრო.

— თქვენთან, იქ მაკედონიაში, მოძრაობა დაიწყო, — კორესპონდენტი შეეცადა, საუბარი სხვა არხში გადაეგდო, — ეს დროულად მიგაჩნიათ?

— მოძრაობა? რის მოძრაობა? — გაიოცა ბაი განიუმ, თითქოს ეს პირველად ესმოდა. — ნუ შეშფოთდებით, არავითარი მოძრაობა იქ არ არის. ლოთიფოთების, ყაჩაღების ნაქნარია. რა დროს ბუნტია. ვერ გამიგია, რა უნდათ მაგ უქნარებს. არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენი მოწყალებისათვის, მაგრამ არსებობს 1870 წლის ფირმანი მაკედონიის ექვს მფლობელზე. სამი გასცეს, დანარჩენ სამსაც გასცემენ და მაშინ მოვლენ ჭკუაზე. მე მომცა მაგათი საზრუნავი!

— მერმე ბერლინის ტრაქტატი?

— მოგცლია ერთი! მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, შენ ეს მითხარი, დრავან ცანკოვს თუ იცნობ?

— დიახ, ვფიქრობ, კარგად უნდა ვიცნობდე.

— ე?! — თავისი შეკითხვის მზაკვრული მნიშვნელობისათვის ხაზი რომ გაესვა, ბაი განიუმ თითები შეათამაშა, — რას იტყვით იმაზე?

— ვფიქრობ, ნამდვილი პატრიოტია.

ბაი განიუმ ნაძალადევად გაიციანა და თავი გააქნია.


— პატრიოტ-ი? ე-ხე-ე... რომ იცოდე, რა ჩიტი ბრძანდება! ერთი დღეც არ უფიქრია სამშობლოზე. ის მხოლოდ თავის თავსა და სიძეზე ზრუნავს, თავიდანვე ასეთს ვიცნობდი. ნამდვილი პატრიოტები ჩვენა ვართ. შემომხე-

დე კარგად, ორასი კი არა, ასორმოცდაათიც რომ მომცენ თვეში, რას არ ვიზამდი. არ ვიცი, გესმის თუ არა ჩემი. ეს თქვენ აბისინია არ გეგონოდა:

— ისადილეთ, ბატონო ბალკანელო?

— რატომ მეკითხები, გინდა სადილად დამპატიო? თანახმა ვარ. განა სლავები არა ვართ?

ინტერვიუ აქ შეწყდა.



თანახმა ვარ. განა
ეროვნული
გინებულობა

სოფია. 1 ივლისი, 1895 წ.

ბაი ბანიუ და ოპოზიცია — დახე ერთი

ბატონ რედაქტორს!

ერთმა პატივცემულმა პირმა, რომლისთვისაც ცნობილია, რომ მე მეგობრული ურთიერთობა მაქვს იმასთან, ვინც ბაი ბანიუს შესახებ აგროვებს მასალებს, მთხოვა გადამეცა მისთვის წერილი, რომელიც იმდენად ორიგინალური და დამახასიათებელი მეჩვენა, რომ ურიგო არ იქნებოდა მისი დასტამბვა გაზეთ „ზნამეში“, ხოლო როგორ ჩაუვარდა ხელში ეს წერილი იმას, ვინც მე გადმომცა, არ ვიცი.

იღბლიანი

სოფია, 30 ოქტომბერი, 1895 წ.

გაზეთ „ნე ვრემიას“ რედაქტორს!

აჰ, შე ლაწირაკო! როგორ გაივლე გუნებაში — ცილი დაგეწამა ჩემთვის გაზეთ „ნე ვრემიაში“, ვითომ მე ოპოზიციას ვეკუთვნი, ჰა? ეს რა ბზიკმა გიკბინა, ჩემო კარგო, რამ გაფიქრებინა, ვითომც ადგა ბაი ბანიუ და ოპოზიციას მიემხრო, ანდა, შეიძლება გადაწყვიტე: რაც უფრო ცოტანი ვიქნებით, მით მეტს გვიწილადებენ თითოეულსო. შენ არც ისე გულუბრყვილო ხარ, კარგად გიცნობ, მაგრამ გულახდილად გეტყვი, მოჩერჩეტო ბრძანდები და გამოუცდელიც. ეს მე მკითხე — ბერიკაცს. შენ იქნებ გუშინ მოიხელთე გემრიელი ძვალი, მე კი უკვე ცხრა წელია ვღრღნი და არც ვაპირებ მის ხელიდან გაგდებას. თუმცა სინდისიერად გეუბნები: ის შენც გეყოფა და მეც. გაუმარჯოს სახალხო.¹ კარგა ხნის წინათ სოფიაში დეპუტაციას ვახლდი, გვინდოდა გვეთხოვა, არ ვადამდგარიყო ის სათოკე. გახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ, ვრაცდებნის სამიკიტნოში, მივხვდი, რომ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ოპოზიციას აში ყოფნას. მკითხავ, რატომ? იმიტომ, რომ საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევა, მაშინ როცა გერგილიანი ხალხი ყოველთვის აკვარახჭინებს თავისას. მერმე როგორი ხალხი! სულ დარჩეული ჯელები, სწავლულები, მარიფათიანები. უწინდელნი მთლად ველურები იყვნენ, ყველას თვალწინ ქურდობდნენ, ძარცვავდნენ, ბრიყვულად, ტლანქად, ყოველგვარ გარყვნილებას კადრულობდნენ, ნამუსს ხდიდნენ ქალებსა და ქალიშვილებს. განა ასე არ იყო, ყმაწვილო? ამიტომაც გაეზნენ ხაფანგში ორივე ფეხით. ჩვენი ახლანდელეები ასეთები არ არიან, არამც და არამც გარყვნილები, ესე იგი, როგორ ვითხრა, არც ჯოჯოხეთი მოუწევთ, ვერც ზეცად ამალღდებიან, არც განსაწმენდელში მოუხდებით გამოკითხვაზე თრევა. ხოლო ვაჭრუკანობაში, რაც მართალი მართალია, არა უჭირთ რა, ისე კარგად უძღვებიან საქმეს, ძმობილო, სირცხვილიც კია, არ აღიარო. მე კი ლამის გაკვირვებისაგან მხრები ავიჩეჩო. ჩვენი უწინდელნი მუდამ დანგ-

¹ სახალხო ანუ ხალხოსნების პარტია, რომელიც იმხანად ხელისუფლების სათავეში იდგა.

რევას ეშურებოდნენ, ჰგვემდნენ, აშობდნენ, ხვრეტდნენ, ბევრი ხალხი დაღუბეს. მერე და რისთვის? სისულელის გამო. ახლა? ახლა არჩევნების დროს არ გვაძლევენ ხოლმე გასაქანს, ისე კი თავისუფლებაა. იყვირე, რამდენიც გინდა, ილანძლე, გაცეცხლდი, კაციშვილი არაფერს გეტყვის. ანდა რაში სჭირდებათ, თპოზიციას რომ შეეხონ? დე, იბობოქრონ, აინუნშიც არავინ ჩაატყვეს. ჩვენს ახლანდელებს მხოლოდ უღვაშებში ეღიბებათ, ძალაუფლება ხელთა აქვთ, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. და ახლა, როდესაც ამდენი რკინიგზა უნდა გაიყვანონ, ამდენი სააქციო საზოგადოება უნდა დააარსონ, ამდენი ნავსადგომი უნდა აღჭურვონ, სწორედ მაშინ მიყელე — ცილი დამწამე, ვითომც თპოზიციას ვეკუთვნი, მეორედ აღარ ქნა ეგ, ძმაო. ამას ჰქვია მეგობრობა? შეგშურდა ჩემი, არა? განა ჩემზე ნაკლებსა ხვეტაე? იანგარიშე, რამდენი მხრიდან შემოგდის ფულები. მე კი რა? წვრილმან ვაჭრობას ვეწევი და ესაა სულ. ისე თუ გინდა იცოდე, ასეთი საქმეები მორიგებით კეთდება. შენ თუ სარფიან საქმეს მიშოვი, როგორ ფიქრობ, მეც მაღლობით არ გიზღავ? ვიცი მე ეს წესი. უფრო მეტიც, ეშმაკსაც წაუღიხარ, შენ ისეთი რამეები დაროშე, კაცი იფიქრებს, თითქოს მე იმ წარჩინებული გვამის წინააღმდეგი ვიყო. მე და წინააღმდეგი? აი თურმე რა ერთგულ კაცად მიგიჩნევივარ. აკი მოვილაპარაკეთ, რომ ახლა საამისო დრო არ არის? ხელისუფლება ჩვენს ხელთ რომ არ იყოს, ჩვენ რომ განზე ვისხდეთ და მხოლოდ ნერწყვსა ვყლაპავდეთ, ცხადია, არ გვეყოფოდა მოთმინება, შევეუდგებოდით ყველას და ყველაფრის ლანძღვას, ზედ მივაყოლებდით წარჩინებულ პირთაც. მაგრამ ახლა, როცა ხელთა გვაქვს სახეირო საქმე, სწორედ დროა უზრუნველყოთ ჩვენი მოხუცებულობა, რა მათქმევინებს აუგს იმათზე! შენ ბაი განიუ სულელი ხომ არ გგონია. თავს ტყუილად ნუ შეიწუხებ: მან იცის, როდისა თქვას საჯაროდ „სადღეგრძელო“ და როდის „სულის მოსახსენებელი“. დადგება დრო და სხვაგვარად ვიტყვით სათქმელს. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ასე თუ ისე, ბოლომდე ჩავწვდით ამ ფილოსოფიას, აგრემც ჰირსაც წაუღია! აი, ლომელებთან კი ჩვენებმა გადაამლაშეს. გავიგე: ყოფილან დაქრილები, დახოცილები. ცოტა ფრთხილად მაინც ემოქმედათ, თორემ ზოგ-ზოგს ხელები მოკვეთეს... ვაითუ ის დრო უკან შემოგვიბრუნდეს.

აბა ჭერჭერობით კმარა. გაუმარჯოს მის უმაღლესობას! გესმის, როგორ შევძახებ — გაუმარჯოს-მეთქი! შენ კი მიჩინებ, თითქოს მისი მოწინააღმდეგე ვიყო. გშურს ჩემი, ეშმაკმა წაგიღოს! იცი, თუ ერთმანეთთან ხმას ავუმაღლებთ, ვერავინ იტყვის, ვინ ვის გადაამეტებს. თუ პატივის მიგებაზე მიდგება საქმე, ტოლს არავის დავუდებ: შენ ერთ ხელზე მემამბორები, მე ორივეს დაგიკოცნი, შენ მხარზე მაკოცებ, მე ფეხებს დაგიკოცნი, შენ კი გეგონა მაჯობებდი. არა, ლაწირაკო!

ბანიუ ბალკანელი.

სიფხიზლის საზოგადოება

ტაკი ბირჯიას¹ ჭერ კიდევ ეძინა, თუმცა მისი დახუთული სენაკის კუჭყით დაბინდული ფანჯრის მინებს მზის სხივები კარგა ხანია უჭვრიტინებდა. ჭერ მის ფეხებს მიელამუნა სხივები, მერე სტომაქზე გადაინაცვლა, გაანათა ლუ

1. ბირჯია (ბულგა) — ლუდის მწოდელი.

დის მხდელის დამსკდარ-დაშაშრული ბაგეები, შეაღწია დაბჩენილ ხახაში, საი-
დანაც ყურისწამლები ხვრინვა ამოდით. სწორედ ამ დროს საძირ/დააკა-
კუნა ფოსტალიონმა, მაგრამ მორიდებული სიგნალი ტაკის ყურთასმენას არ
მისწვდომია. სამუშაო დღე რომ ყოფილიყო, კიდევ პო, მაგრამ მუშაობა გახ-
ლდათ, ამ დროს კი, მოგეხსენებათ, კაცი ცოტა თავისუფლებას სძლევს სა-
კუთარ თავს, ჯიბეზე ხელს გაიკრავს, ვიღაცას ჭიქას მიუჩახუნებს, გაიხედავ
და ახლა სხვასთან დგას გამომთვრალი. ბაი ტაკისაც ასე დაემართა: მას ამ-
ოდრავებდა სურვილი — ფართო რეკლამა გაეკეთებინა თავისი ლუდისათვის
და გემოზე გამოტყვრა. ასე რომ, არაფერი იყო გასაკვირი, რომ ფოსტალიონმა
ერთხელ კიდევ დააკაკუნა, მაგრამ როცა კვლავ არავინ გამოეხმაურა, ისე
გააფთრებით დასცხო მუშტი უდანაშაულო კარს, რომ ბაი ტაკის უთუოდ გა-
აღვიძებდა, თუნდაც სტომაქში მთელი ქვაბი ლუდი ჰქონოდა შთანთქმული.
და მართლაც გააღვიძა. მან გაახილა თვალი, მერმე მოჭუტა მოლაციცე სხი-
ვებისაგან თვალმოჭრილმა და თავისი ყანყრატოს ღირსი ხმით იკითხა:

— რომელი ხარ?

— ფოსტა, — იყო პასუხი. ფოსტალიონი შემოვიდა, საწოლში მიართვა
წერილი და სწრაფად გაეცალა დახუთულ, გაუნიავებელ საძილე ოთახს. ბაი
ტაკიმ ჩაახველა, ჩვეულებისამებრ, მოიფშვნიტა თვალები და გახსნა წერილი.
ხელთ მოსაწვევი ბარათი შერჩა.

„მოწყალეო ხელმწიფევე! გთხოვთ მობრძანდეთ ხვალ, კვირას, დღის
5 საათზე „სუხინდოლური ღვინოების საწყობში“, სადაც გაიმართება სიფხიზ-
ლის საზოგადოების დამფუძნებელი კრება.“

პატივისცემით ინიციატორთა სახელით
ტანას დოჩოლოუ, ტრაქტირის პატრონი“.

— ღმერთო ჩემო, სულზე არ მომისწრო ამ მოწვევამ! — ბაი ტაკის გამ-
შრალი ყელი და დახეთქილ-დაშაშრული ტუჩები ახლა სიფხიზლის სასარგებ-
ლოდ ისეთ აგიტატორებს წარმოადგენდნენ, რომ მან აღტაცებით მიიღო კე-
თილშობილური იდეა და მოუთმენლად ელოდა ხუთი საათის შესრულებას,
რომ სიფხიზლის თაყვანისმცემელი გამხდარიყო.

ბაი ტაკი მთელი დღე წყალსა სვამდა (მართალი თუ გინდათ, მან ორი
ჭიქა ღვინოც დალია, მაგრამ ყველა შეცდომა ცოდვა როდია). ხუთი საათიც
არ შესრულებულიყო, რომ ბაი ტაკიმ სუხინდოლური ღვინოების ფართო სა-
წყობის კარის ზღურბლს გადააბიჯა.

— ბაი ტანასი აქ არის? — შეეკითხა იგი ყმაწვილ მებუფეტეს.

აქ გახლავთ, აქა. მობრძანდით აი, აქეთ ოთახში, — მოწიწებით უბასუ-
ხა მან, დახლიდან გამოვიდა და კარისკენ გაუძღვა. ტანას დოჩოლოუ დიდი
თავაზით მიეგება ძმაკაცს და სკამი მიართვა. კედლის გსწვრივ ხმაამოუღე-
ბლივ, დარბაისლურად ისხდნენ მოქალაქენი, რომლებიც კეთილშობილური
იდეით შთაგონებულნი მოვიდნენ აქ სიფხიზლის საზოგადოების დასაფუძნებ-
ლად.

ბაი ტაკი მიესალმა მათ და ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, რასაც ხანდახან
მორიდებული ჩახველება არღვევდა. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდნენ, ურომლო-
სოდაც თათბირის დაწყება ეუბერხულებოდათ. მალე შემოსასვლელი კარი
გაჩახუნდა და დოჩოლოუ სასურველი სტუმრის დასახვედრად გაეშურა. მაგ-

რამ უმაღლესი უკმაყოფილო სახით შემობრუნდა. მოულოდნელად ოთახში დანკო ხარსიზინი შემოიჭრა.

— შევცდით, — წასჩურჩულა ტანასმა ბაი ტაქის. ეტყოდა, ვილაც სხვას ელოდნენ. დანკომ პირი დაალო რაღაცის სათქმელად, მაგრამ, აბა, რა უნდა ეთქვა. მას ხომ ლანძღვის მეტი არაფერი ეხერხებოდა. არც არავის გამოუთქვამს მისი მოსმენის სურვილი და ისიც გაჩუმდა. გავიდა კიდეც ლანძღვნიდან წუთი და, დიდება შენდა ღმერთო! — ოთახში ისევ ის უმაღლესი უკმაყოფილო და განწირულივით იყვირა:

— მოდის, მოდის!

ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გაიღო კარი და ზღურბლზე მთელი სიდიადით გამოჩნდა ჩვენი საერთო მეგობარი, თავად განიუ ბალკანელი.

— ო-ო! გაუმარჯოს! — აღფრთოვანებით წარმოთქვა ნანინანატრმა სტუმარმა. და თუმცა ზუსტად არ განუსაზღვრავს, ვის ეკუთვნოდა ეს მისალმება, ახსნა-განმარტების გარეშეც მიხვდა ყველა, რომ მას მხედველობაში მომავალი საზოგადოება ჰყავდა.

— გაუმარჯოს! — გაეპასუხნენ დამხვდურნი და ბაი განიუს რიგრიგობით ჩამოართვეს ხელი. ბუნებით ნაკლებ თავაზიანმა დანკო ხარსიზინმა თავს ნება მისცა, მისთვის მხარზე მოეთათუნებინა ხელი, მაგრამ ბატონმა ბალკანელმა ისეთი მზერა ესროლა, წამსვე ამოაძუებინა კუდი და ისიც მიიკუნჭა კუთხეში.

— ნუ გაჯავრდები, ბაი განიუ, — წასჩურჩულა მასპინძელმა, — შენ ხომ კარგად იცნობ მაგას. დანკო ისევ ის ლოთი დანკოა.

გახსნეს სხდომა. ეჰ, ბატონებო, ნეტავ გქონოდათ ბედნიერება — დასწრებოდით იმ თავყრილობას!.. ბაი განიუმ დაიწყო და რა დაიწყო, ვერავინ იტყოდა, კაცი უბნობდა თუ ბუღბუღი გალობდა. ანდა ვის შეეძლო არ ერწმუნა მისი სიტყვები, რომ სიფხიზლის საზოგადოების შექმნა სასარგებლოა. ის იმ აშიც კი დაგარწმუნებდა, რომ მამაშენი მუსალაა, ხოლო ვიტოშა — დედამშობელი. ეს არაფერი... ახლა ყველა ნამდვილად დარწმუნდა, რომ სიფხიზლის საზოგადოების შექმნა მართლაც დროულია. მარტო ხარსიზინი აღმოჩნდა ურწმუნო თომა. ასეც დამოძღვრეს, ისეც დამოძღვრეს, ის კი იქდა თავისთვის კუთხეში, ილიმებოდა უღვაშებში და ისროდა სკეპტიკურ სიტყვებს.

— დროულია, — ორატორობდა დოჩოლოუ, — დაეარსოთ... მაშასადამე... გესმის, საზოგადოება...

ხოლო დანკო:

— ცდა ბედის მონახვევრეა...

— ლოთობა, პატივცემულო მოქალაქენო, — სხაპასხუპით აყრიდა ბაი ტაქი, — ცუდად მოქმედებს შრომაზე, ჯანზე, შთამომავლობაზე...

— სისულელეა, — ჩურჩულებდა დანკო, თან უღვაშებში ილიმებოდა. მაგრამ მამლების უყრველელადაც ხომ თენდება! პოდა, ვინ იტყოდა უარს მაღალ იდეებზე. ვილაც დანკოს დამხვდურობით თავი მიანებეს და თვითონ შეუდგნენ საზოგადოების ჩამოყალიბებას. გადაწყვიტეს, მისთვის „თავშეკავება“ ეწოდებინათ. სთხოვეს მასწავლებელს, შეედგინა წესდება. ისიც დაეთანხმა მისდა უნებურად, რადგან თავად წამოიწყო მთელი ეს ამბავი. მანამდე კი ინიციატორები, როგორც ეს იმთავითვეა მიღებული, გამგეობის არჩევით შემოიფარგლნენ. აირჩიეს: ბაი განიუ, რასაკვირველია, თავმჯდომარედ; თანას დოჩოლოუ, როგორც შენობის პატრონი, — თავმჯდომარის მოადგილედ; ბაი ტაქი —

ხაზინადარად და შორჩა. მაგრამ სად გაგონილა არჩევნები უბურმარილოდ. ეს ხომ წარმოუდგენელია. რაც ჩვენ არ დაგვიწესებია, ვერც შევცვლით. თავ მჭდომარის მოადგილემ, სტუმართმოყვარე მასპინძელმა, არც აქ შეირცხვინა თავი. იხმო მებუფეტე და უჩურჩულა:

— ორი ლიტრა ძველი, ცოცხლად!

მოიტანეს ღვინო მაგრამ რა ღვინო! ღვინო კი არა, შირონი, ეშმაკმა და ლახვროს.

— იდღეგრძელეთ! გისურვებთ წარმატებას! გაუმარჯოს თავმჭდომარეს, ვაშა!

— გმადლობთ, გაუმარჯოს მის უმაღლესობას, პატივცემულ მთავრობას!

— ვაშა!

— შორს ლოთობა!

ახლა ბაი განიუმ ითავა მასპინძლობა, მერმე ბაი ტაკიმ.

ასე გაიმეორეს სამჯერ, ასე გაგრძელდა დაღამებამდე.

...უკვე დაღამებული იყო, როდესაც ამხანაგთან ერთად მაშვრალთა ქუჩაზე „სუბინდოლური ღვინოების საწყობს“ ჩავუარე. ჩვენი ყურადღება იქიდან გამოსულმა საშინელმა ღრინაგელმა მიიბყრო. ძალაუნებურად დაფინტერესდით, მივედით შევიხედეთ ფანჯარაში და აი, როგორი სურათი გადაგვეშალი თვალწინ: იქ მყოფთა უმრავლესობა სკამებზე ხვრინავდა. ბაი ტაკის მუცელზე დაეწყო ხელები, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა და მძიმედ ქშინავდა. ვილაც გაცვეთილსერთუკიანი, შავსათვალიანი აწოწილი ვაჟბატონი აქეთ-იქით ტრიალებდა სკამზე და გასძახოდა სიერცეს:

— მე მანქანების წინააღმდეგი ვარ, როგორც გნებავთ, მაგრამ მანქანებისა არაფერი მწამს...

დოხოლოლუ მაგიდასთან იჯდა და მებუფეტის მიერ მინათებულ სანთლის შუქზე აკანკალებული ხელით იწერდა დანახარჯს დავთარში. ბაი განიუ სასტიკი გამომეტყველებით მუშტს უბრაგუნებდა მაგიდას და ბლაოდა:

— მე!.. მე ვუჩვენებ მაგათ, გავაგებინებ, ვინ არის ბაი განიუ!

ამ ენერგიული ტონით აღფრთოვანებული დანკო ხარსიზინი მიშტერებოდა მას და თითქოს ეუბნებოდა: „მითხარი, ბაი განიუ, მითხარი, ძმობილო, რა მელს ჩავაელო ხელი და გავაბანდურო გარეთ?“

მებუფეტე სანთლით ხელში გამოვიდა გარეთ.

— მითხარი გეთაყვა, ეს რა კამპანიაა?

— სიფხიზლის საზოგადოება. — იყო პასუხი.

თავდავიწყებული, უღარდელი სიცილისათვის პრემიას რომ იძლეოდნენ, მაშინ ამხანაგთან ერთად პირველ პრემიას მივიღებდი.

სოფია, 12 მაისი, 1895 წ.

ბაი განიუს შერილი
ალექსანდრე ვალერიკოვიჩისადმი

ბაი ველიჩკოვ!

სალამი, ბაი ველიჩკოვ! აი, ასეთი მიყვარხარ, რატომ უნდა მოვატყუოთ ახალგაზრდა თაობა? მოდი, ვიყოთ გულახდილნი. იდეალები? სისულელეა! ჩვენი პირადი მიწიერი კეთილდღეობა — აი, იდეალი, საითყენაც უნდა ვისწ-

რაფოდეთ. მთხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს შეიგნე ეს ჭეშმარიტება. განა ეს ფლიდი ხალხი იმსახურებს იმას, რომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მაგათ შევწიროთ? ახალგაზრდები რომ ვიყოთ, კიდევ ჰო! მაგრამ ახლა, როცა შენ თუ ათწლეულში ვართ გადამდგარნი, დროა საკუთარ თავზეც ვიფიქროთ. გვეყოფა მშრალზე ყოფნა, განსაკუთრებით შენ, საცოდავო, მაღალ რომ ვიყავით იმ სტამბულის ქუჩებში, იტალიის იმ... განა ეს გმირობა არ იყო? რა... და... ზე, სტამბოლოვი გაცოფდა, შენც აღექი და მოუსვი ბულგარეთიდან, გაეცალე მონებს, აგრემც დამპალან ამ მონობას ჩვეულნი. შენ კი, როგორც ყოველი რაინდი, ვერ შეეგუე ამას და შეეცადე გასცლოდი აქაურობას. იტანჯებოდი იმ დაწყევლილ ქალკიდაზე, სადაც ზოგჯერ წამლის ფულიც არა გქონდა. ბობჩევმა და მაჯაროვმა ხმა გაკმინდეს, გვეყო გმირობა... და იცი, კიდევ რა: მიაფურთხე მაგ შენს სულელურ პოეზიას. ჯიბეცარიელი რომ იყო, კიდევ ჰო, მადლობა ღმერთს, ცოტა რომ მოღონიერდი. ახლა ყოველი ჯურის ძუძუმწოვარა სოციალისტი და იდეალისტი სხვადასხვაგვარ ხმაზე დაგიწყებს ყეფას, შენ კი ბინუნშიც ნუ ჩააგდებ, დახშე ყურნი შენნი სმენად, იცხოვრე შენს გემოზე და დასცინე მათ გუნებაში. გასაგებია, გაიფიქრებ, რატომ უნდა მიყეფდეს ეს ხალხი, იქნებ მოვატყუე რამე, ანდა იმედი გავუცრუეო. არა შურით გიყეფენ! ცხადია შურით! მაგრამ რა? შურით, რომ მათ ზურგი ეწვით დაღლილობისაგან, უელი ხაეხლიჩათ ღრიალით, შენ კი (შე ეშმაკის ფეხო, შე გასაქრობო) მზამზარეულზე მობრძანდი და უცებ ყველაზე თბილი ადგილი დაიკავე... გაივე ახლა? ხომ მეთანხმები?... ხომ გეუბნებოდი, ამქვეყნად მთავარია, თბილად მოეწყო, ხოლო საზოგადოებრივი ბრძოლა, იდეალები და რა ვიცი კიდევ რამდენი მსგავსი უაზრობა—მხოლოდ სიბრყვე და სისულელეა.

ხოლო სულ სხვა საქმეა, როცა თვის ბოლოს ათას ხუთას ლევს ჩაიხბრიალებ, დიდებულია, ეშმაკმა დალახვროს, აბა, შენ იცი, ხელთ გემრიელი ლუქმა ჩაგიფარდა და არ გაუშვა. მაინცდამაინც თავს ნუ აიტკივებ იმაზე ფიქრით, ვის წაგლიჯეს ეს ლევები... დაფერთხე ფქვილის ტომარა, იმი დედაც!... დაფერთხე, არ წააგებ! შესაძლოა გაგიკვირდეს, ამ წერილს რომ გწერ. მე კი იმიტომ გწერ, რომ შეგაქო გუშინწინ სახალხო კრებაზე სიტყვით გამოსვლისათვის. ბარაქალა, ძვირფასო კოჩო! არ დაგიმაღავ, სიხარულისგან ცრემლები წამსკდა, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მოვსულიყავი და ყველა დეპუტატის თანდასწრებით არ გადამეკოცნე. არ მოვედი, რადგან ისინი ფეხების ბაქუნსა და ყვირილს მოჰყვებოდნენ. ხომ იცი, რომელ გამოსვლაზე გელაპარაკები, როგორ არ გეცოდინება... მთელი ჭვეყანა ლაპარაკობს ახლა მაგაზე. აბა, კოჩო, შენ მართალი ხარ, ნუთუ რამდენიმე ათას ამომრჩეველს არ შეეძლო გაედევნა იცი უანდარმი და ორმოცდაათიოდე გამომტყვრალი მაწანწალა? დიდი ამბავი! უანდარმებს დიდი-დიდი ასი ამომრჩეველი დაეხვრიტათ. რა დიდი ამბავი მოხდებოდა! სულ დიდი-დიდი ორასამდე ოჯახი თუ დაზარალებოდა. მეორე კვირას მოვიდოდა ჩარი, კიდევ დახვრეტდნენ და დახოცვდნენ, ასე, სამას კაცს, დაობლდებოდა ხუთასი ოჯახი, ეს იქნებოდა და ეს.

ამ სულელებს აზრად მოუვიდათ, ისე დაეწყნარებინათ ხალხი, რომ ბეწვი რა არის, თავიდან არავის ჩამოვარდნოდა. აბა, არ აღშფოთდები? ასეთ დოჟლაპიათა წყალობით იყო, რომ რვა წელი იყურყუტე ქალკიდაზე, სადაც ამდენი ლექსი შეთხზე ვარსკვლავებსა და ოხვრაზე. იმათ კი რვა წელი გაყურყუტეს რვა წელი! სირცხვილი ბულგარულ ხალხს! მთელ ბულგარეთში ასი ათას ამომრჩეველს ტყვიის ქვეშ რომ გაეგლო, ბევრად ადრე დაეპატრო-

ნებოდი თბილ ადგილს, ახლა რომ გიკავია, არაფრის მაქნისი ხალხია, ლაჩრე-
ბი! რა ეშმაკად გვინდა ეს კანონიერება და თავისუფლება, თუ ათასი ამომრ-
ჩეველიც არ შეეწირება მას? აბა, შენ იცი, ძვირფასო კოჩო, აი, ასეთი მომწ-
ონხარ, ხშირად გამოდი ამნაირი სიტყვით, რომ მოიპოვო ფართო გავლენა... მე
რამე იცხოვრე შენს გემოზე, მაგრამ თუ ახალგაზრდა თარზნა გავიწყობს და
ხალხი აღელდა, რა გესაქმება მათთან? ხალხია! ხალხი წახირბია, ერთი მოუღე-
რე კომბალი და მორჩია... თუმცა ეს ჩემგან არ გესწავლება.

განსაკუთრებით მიხარია, რომ დროზე მოასწარი ამ სიტყვის თქმა და ვერ-
აეინ დაგასწრო. პოდა, თუ ახლა არ მოიპოვე იმათი ნდობა, აბა როდისლა?! ყვე-
ლა ჩორბაჯი! შენ გაქვებს. ბარაქალა ამბობენ, კოჩო როგორც იქნა, გონს მო-
ვგო და ჩვენი გახდაო. ასე რომ, მუდამ გახსოვდეს მისი უმაღლესობა არ გა-
დაუხვიო ამ გზიდან და ნურაფრისა გეშინია. მისმინე, კოჩო, ფარა დააგრო-
ვე, ვინ იცის, წინ რა გველის, ქვეყანა ქრელია.

კოჩო, როგორც კი წაიკითხავ ამ წერილს, დახე, მეშინია, ხელთ არ
ჩაუვარდეს იმას, ევროპაში ჩემი მოგზაურობა რომ აღწერა. ისევ არ მომქ-
რას თავი. ჩემი ყურით მოვისმინე ვიღაცას ეუბნებოდა, რა საწყენია, არ
მოველოდი ჩვენი ველიჩკოვისაგან ასეთ სიტყვებსო. მოვისმინე და გამიკვი-
რდა. აი, ცარიელი გოგრა! ძვირფასო კოჩო, რატომ უშვებთ ამ წყეულ „პრო-
გრესს?“ დახურეთ! დამიჯერე, სახელიც რაღაც სულელური აქვს. ეს არ შეგე-
ფერება შენ — სოლიდურ კაცს. თუ მაინცდამაინც ხელი გექავება, წერე,
ოღონდ გაზეთს უმჯობესია დაერქვას „დროის მიღმა“, მაშინ ჩვენი მომხრეებ-
იც დროის მიღმელებად იქნებიან სახელდებულნი.

ხურჯინში აგერ რამდენიმე ფლაკონი მიწყვია. იქნებ გამოგეცხო კან-
ონი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შენობებს აპკურონ ვარდის ზეთი?

შენი განიუ ბალკანელი,
სოფია, 28 ოქტომბერი, 1895 წ.

ბანი განიუ ბალკანელის მიმთხარიდან

დიდად პატივცემულო ბატონო ბალკანელო!

შესაძლოა აღარც გახსოვართ, მაგრამ მე გამოწვლილვით მოგავიწყებთ
ვითარებას და, მგერა, გამიხსენებთ. გახსოვთ, ევროპაში თქვენი მოგზაურობი-
სას, პრადას რომ ეწვიეთ, როგორ გულგრილად მიგიღეს ირეჩეკმა და იქა-
ურმა ბულგარელმა სტუდენტებმა. მხოლოდ მე მიგიპატიეთ შინ და რამ-
დენიმე დღე დაპყავით ჩემთან სტუმრად. გახსოვთ, დიასახლისის ქალიშვილ-
თან რომ შემისწართ? ის თუ გახსოვთ, როგორ დარჩით მათთან მარტო და
რანაირად გიმასპინძლეს, თქვენ კი „ნოში უყასნა“ უმღერეთ. მე სწორედ ის
ბოდკოვი გახლავართ. ახლახან დავამთავრე უნივერსიტეტი და დავბრუნდი
სამშობლოში. ნაცნობებს შორის თქვენს გარდა არავინ მეგულება გავლენი-
ანი კაცი და მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, დამეხმაროთ, რათა მთავ-
რობის რომელიმე გაზეთში დამიბეჭდოთ კორესპონდენცია, რომლის ასლსაც
წერილს თან ვურთავ პირადად თქვენთვის. — იმ შემთხვევისათვის თუ რედაქ-
ციაში დაიკარგა პირველი ეგზემპლარი. ვფიქრობ, ეს კორესპონდენცია საქმა-
ოდ ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მთავრობას ჩემი აზრების შესახებ. საჭი-

1. ჩორბაჯი (თურქ.) — მდიდარი, გავლენიანი მდგომარეობის პატრონი.

როგორსაღებრ, შემძლია მნიშვნელოვნად მეტი დავწერო. მე ხომ ფილოსოფიის განხრით დავამთავრე, ბატონო ბალკანელო, ამას გარდა კიდევ მძვეს თქვენთან სათხოვარი, მამაჩემი საწარმოს პატრონია და ახლახან არმოკლათ. ათასი ლევის ღირებულების ფეხსაცმელი დაუწუნეს. გთხოვთ გვიმუადგომლოთ, რომ მიიღონ. ზუსტად ასეთი მასალისაგან დამზადებული ნელი მიიღეს ერთი ებრაელისაგან. ეს არის პატრიოტობა? არ იფიქროთ, რომ ჩემი კორესპონდენციის შედგენისას ვცდილობდი, მთავრობისათვის შეამებინა, სრულიადაც არა! წუნდებულ ფეხსაცმელს ამასთან არაფერი აქვს საერთო. მინდა იცოდეთ, მე არ ვეკუთვნი საკუთარი მრწამსით მოვაჭრეთა რიცხვს.

ერწმუნეთ თქვენდამი ჩემს განსაკუთრებულ პატივისცემას.
თქვენი ბოლკოვი.

P. S. რედაქციას შეუძლია თავისი საჭიროებისაღებრ შეცვალოს ჩემი კორესპონდენცია. მე არ მახასიათებს გადაჭარბებული თავმოყვარეობა.
იგივე.

P. S. ფეხსაცმელი სამი დღის უკან იქნა წუნდებული.
იგივე.

აი, წეოილზეც თანდართული კორესპონდენციაც.

წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

ძარღვებში სისხლი მეყინება, თავში ტვინი მიქვავდება, გულმა ლამის შეწყვიტოს ძგერა, და მე სასოებით ვევედრები დიდად პატივცემულ მთავრობას თხოვნით — მიპასუხოს, აქვს თუ არა საზღვარი იღვირაბსნილი, დამანგრეველი ოპოზიციური პრესისადმი მის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. ხალხს სურს იცოდეს (ეს მე თამამად შემძლია დავამტკიცო), როდის გადაუმსხვრევენ ოპოზიციას მკრეხელურ ხელს, რომელიც ბედავს შეეხოს, — პოი, საშინელება! — უმწიკვლო და უწმინდეს პიროვნებას — მამას ჩვენსას, ჩვენა ბედნიერებისა და კეთილდღეობის საწინდარს. ნაცვლად ჩვენი დამოკიდებულობეს ნათელი განმსახიერებლისადმი უდრტვინველი და მოკრძალებული თაყვანისცემისა, ნაცვლად მისი უმაღლესობის ნებისა და სურვილის დაკმაყოფილებისადმი უმორჩილესი მზადყოფნისა, გამოჩნდნენ ბულგარელები (გადაგვარებული ბულგარელი ადამიანები), რომლებიც ისე გაკადნიერდნენ, რომ მიუწვდომელ წარჩინებულ გვამს ადამიანურ სისუსტეებს მიაწერენ!.. ეს მამულის ინტერესების ლალატზე უარესია. ეს ისტორიაში გაუგონარი გაბრწილებათაა. გამოჩნდნენ კალწის ისეთი ყაჩაღები, რომლებიც აუმხედრდნენ, იავარყოფენ, ჩირქს სცხებენ ჩვენს თემთა მაღალ სათხოებას, როდესაც ისინი თავიანთ უსაყვარლეს მეფეს საჩუქრად გადასცემენ სათემო ტყეებს, კუნძულებს და ბაღებს. სამეფო ტახტის სიდიადე იგივე ხალხის სიდიადეა, მაგრამ მოიძებნებიან ბულგარელები (თქვენ წარმოიდგინეთ — ბულგარელები), რომლებიც იმის მაგივრად, რომ ამაყობდნენ გვირგვინისა და დინასტიის უერთგულესი თემებით, უხაროდეთ, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ჩვენი ველური სამშობლო ახლა მდიდრული სასახლეებითა და ვილებით იფარება, — ამითაც კი უკმაყოფილონი არიან! ეს უკმაყოფილონი საზოგადოებაში თესავენ გაბრწილებას და ბულგარელი ხალხი მათ ზიზღით უნდა უყურებდეს. ისინი წარმოად-

გენენ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი დაცემის მიზნად და პქმნიან უნდობლობას საზოგადოებასა და მთავრობას შორის, რაც გამხრწნელ გავლენას ახდენს ხალხის კეთილდღეობაზე. ამ უნდობლობით ყველაზე მეტად იღახება საპატიო და კეთილსინდისიერი ვაჭრების კერძო ინტერესები, როგორც ამას ჩვენი ღრმადპატივცემული მოქალაქის შემთხვევა გვეჩვენებს. მას ამ დღეებში რაღაც გაუგებრობის გამო საუკეთესო მასწავლებელი და მწვერილი ორმოცდაათი ათასი ლევის ღირებულების ფეხსაცმელი დაუწუნეს. ამრიგად, მთავრობა მოვალეა მიიღოს ზომები, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩააკმენდინოს ხმა ოპოზიციას. ესაა ბულგარელი ხალხის მგზნებარე სურვილი.

ხ. უ.

ბატონო რედაქტორო!

პირობას გაძლევეთ ამიერიდან, რამდენსაც ინებებთ, გამოგიგზავნით ასეთ კორესპონდენციებს ოპოზიციის წინააღმდეგ, ოღონდ ხალხს ნუ გაუმყლავნებთ ჩემს ვინაობას. დავამთავრე უნივერსიტეტი ფილოსოფიის განხრით.

პატივისცემით ბოდაკოვი.

II

ბატონო ბოდაკოვი

გამახსენდით, თქვენო მოწყალეებავ, როგორ არ უნდა გამახსენებოდით. თქვენც მახსოვხართ, თქვენი საცოლევ და მისი სანდომიანი დედაც, მახსოვს, რაღაც-რაღაცების მომზადება რომ ვასწავლე, რომალზე რომ ვუკრავდი მათთან ერთად, ძალიან კარგად მახსოვს. შენ ყველა მეცნიერებას დაუფლებიხარ, გეტყობა, მაგრამ ფილოსოფია მარტო იმისთვის კი არ გამოუგონებიათ, რომ სხვები ბრიყვებად გამოაჩინონ. რაც შეეხება ფეხსაცმელებს, ეს საქმე მიმოწერით ვერ მოგვარდება. როგორც თვითონ ამბობ, ებრაელისაგან მიიღეს ფეხსაცმელებიო. ცხადია, მიიღებდნენ, თუ ებრაელმა იცის, სადა ხ.ხრის აბრაამი ძირძურებს. მოხსენი შენაც თავი ქისას, ან ჯიბეზე გაიკარი ხელი. შენი წერილი წაგიკითხე თავიდან ბოლომდე და მიეხვდი, რაც გაბრკოლებს. წარმოების გაძლოლა ყველას კი არ შეუძლია — შენ ეს ფილოსოფია არ გეგონოს. თავად უნდა მიხვდე, ვისზეა დამოკიდებული, რომ შენგან, ე. ი. მამაშენისაგან ფეხსაცმელი მიიღონ, ხოლო რასაც დინასტიაზე ამბობ, მიდი, მისცხე, ახლა მოდაა ასეთი. იმასაც გეტყვი: სიტყვისაგან ცეცხლი არ გაჩნდება.

პატივისცემით თქვენი ბანიუ ბალკანელი.

დიდად პატივცემულ ბატონო ბანიუ!

მოგმართავთ თქვენ, რადგან ხალხის წარმომადგენელი ხართ, და გთხოვთ, ამიერიდან აღკვეთოთ მთელი პოლკის ტყე-ტყე სიარული და ძაღლებივით ყეფა, ბატონი ოფიცრების ნადირობა კურდღლებზე. ჩვენ აქ ყეფის სასწავლებლად კი არა, სამშობლოს დასაცავად გამოგვეგზავნეს. გაგვიწყდა ქანცი, აღარც მუხლი გვივარგა, ლამის ცრემლად დავიღვაროთ მშვივრები. გვაიძულებენ ვიყუფოთ, თანაც მაგრად, მეძებარი ძაღლივით, არადა გვხეტქავენ სიტყვაში. მო-

კვლით კი მხოლოდ ხუთი (5) კურდღელი მოკლეს. კიდევ კარგი, ჭარისკაცი არ დაჭრილა, თორემ იმასაც მოხვდებოდა — რატომ არ გაფრთხილდიო, ახლა შიკრიკად დამნიშნეს, ნიფხვებსაც მე ვურეცხავ ბიჭებს და კოფოზუნდაც მე ვყუნტივარ. ვაი სირცხვილო, გთხოვთ გამოსცეთ კანონი. მეტი რაღა მოგწეროთ. წერილი დახიეთ.

თქვენი მონა-მორჩილი ტრაპკო ტრაპკოვი, რიბონი.

ბატონო ტრაპკო

ტრაპკო-მეამბოხის შვილი ხომ არ ხარ შენა? ვიცნობდი მამაშენს. მეცა მსმენია, რომ გაიძულე კურდღლებს უყეფოთ ძაღლებივით, მარა ნათქვამია: მოთმინებთა შენითაო... რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავს. რაც აქამდე ლურჭებისაგან მოითმინეთ, ბულგარელებისაგანაც მოითმინეთ ერთი-ორი წელი... დიდი ამბავი! რაც შეეხება ნიფხვებს, შეუფერებელია მამაკაცისთვის, ეს სადედაკაცო საქმეა, მარა რას იზამ, რეცხე ნიფხვები, ოღონდ ცხვირი განზე გასწიე — ამას მოითხოვს პოლიტიკა. თავად იცი, რანაირი ხალხიცაა, ახამხამე თვალები და ითმინე. არ დაგავიწყდეს, მომიკითხე მამაშენი. მოთმინება, სხვა არაფერი, ამისთანა საქმეს მხოლოდ მოთმინებით უშველი და არა ალიაქოთით. ხომ იცი, მორჩილ თავს ხმალი ვერაფერს დააკლებს.

თქვენი კეთილსმსურველი ბანიუ ბალკანელი.

V

ჰვირფასო ძია ბანიუ!

მინდა წლეულს ჩვენი რაღა სასწავლებლად გავგზავნო საზღვარგარეთ. ფული რომ არ დამეხარჯოს, იქნებ მომიხერხო დიდკაცობასთან — მიმავლინონ რაიმე საკითხის შესასწავლად ან აგიტაციის ჩასატარებლად: მაგალითად, ბელგიის არმიისათვის ჩვენებური გლეხური მაუდის მიწოდების საკითხის გასარკვევად, ან შვეიცარიაში მთიელი მაკედონელი მწყემსების — კუცოვლახების ეთნოგრაფიის შესასწავლად, ანდა რაიმე ამის მსგავსისა, თუ მოინდომებენ, ათობით და ასობით მივლინებას მოიფიქრებენ, თანახმა ვარ სამი ნაპოლეონი მომცენ დღიურად. ველი პასუხს სასწრაფოდ.

შენი ერთგული თანამთაზრე და სახლიკაცი მასილი.

P. S. ამ მივლინებიდან შენაც გამოჩევი რაღაცას. თუ ჩემი განათლების თაობაზე გკითხონ რამე, უთხარი, თუმცა უდიპლომოა, ნაკითხი კაცია და უმაღლესი განათლების მქონე ხალხს არ ჩამოუვარდებათქო.

მე ამ წერილის პასუხს ვერსად მივაკვლიე ბაი განიუს იგივე უბის წიგნაკში, მაგრამ კონვერტში აღმოვაჩინე ტელეგრაფის შავი პირი:

სასწრაფო შერაგნა

ვასილ მონგოვი

გვიან მოგაგონდა, ვასილ, სხვა შენზე ნასწავლი უკვე მიუვლინებიათ ამ საქმეებზე.



VI

დიდად კატივცეფულო კია განიუ

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, მთელი სამომავლო გეგმები ერთბაშად ჩამეშალა. სამუდამოდ დავლუბე ჩემი კარიერა. გამომაგდეს სკოლიდან და სამწლიანი მონობისათვის გამწირეს ტუსაღთა ასეულში. ყოველივე ამის მიზეზი წყეული ბულგარული მართლწერაა: ბოლო ხანებში შემოიღეს ახალი მოდა, ისე წერენ უცხო სიტყვებსა და სახელებს, რანაირადაც თითქოს ისინი გამოითქმებიან: მინისტრის ნაცვლად იწერება მინისტირი, ანხამბლის ნაცვლად ანხამბილი, ბოკლის ნაცვლად ბოკილი, ვითომც ეს უფრო დამახასიათებელია ბულგარული ენისათვის, ვითომც ჩვენი ენის თვისება იყოს ავლანურთან მსგავსება. ჩვენ შევედავეთ სწავლულ მოძღვართ, მათ კი შეამბოხებდად გამოგვაცხადეს. კაცობრიობის მხსნელი იესო ქრისტეს შობის წინადღეს ჩვენ, ტყვე ტურისტები, ცხენოსანი ჟანდარმების ბადრაგის თანხლებით ქვეითად გავვიგდეს წინ, მშობლიური ბულგარეთის თოვლიან გზებზე და მივდივართ, მივაბოტებთ ვტაპიდან ეტაპამდე, გვძინავს პოლიციის უბნებში, სადაც გვხვდებიან ბოქაულები, მიგვაცილებენ ჟანდარმები და არ ვიცით, საით მივყავართ. ამბობენ, ბულგარული მართლწერის დასაძლევად სასარგებლოდ მიიჩნიეს ტუსაღთა ასეულეებში გაგვამწესონ სასწავლებლად. ვინ უწყის, იქნებ განახორციელონ კიდევ ეს სისულელე. ახლა თქვენს ქალაქში მოგვრეკეს და ამ წერილს სატუსაღოში ვწერ. მიყავით სიკეთე და მინახულეთ, წამოიყვანეთ თან ექიმი, რადგან დაღლილობის თუ გაციების გამოა, არ ვიცი, უკვე რამდენიმე დღეა სისხლს ვაღებინებ.

შენი ძმისწული სტოიკო.

P. S. გამიგონია, ბიძაჩემო, თურქებს თურმე წესად ჰქონიათ, დიდ დღესასწაულზე — შობასა და აღდგომას ახლობლების მოსანახულებლად თავდებით უშვებენ ქრისტიან ტუსაღებს, რომ იზეიმონ საღმრთო დღესასწაულები. მართალია, ბიძაჩემო?

VII

კვირფასო ძმისწული სტოიკო

ახია შენზე, ჩემო კარგო. მერე ვინ არის დამნაშავე? მიკვირს, უფრო მაგრად რომ არ მოგხვდათ. ყველაფერი ცხადია! ჩვენ აქ თხილს ვაქნატუნებთ თუ გვეყანასა ვმართაუთ? ეს რა თავაშვებულობაა! რას ჩმახავ თურქებზე, ჩვენზე

გულმოწყალენი არიანო. გულმოწყალენი კი არა, ბრიყვები არიან! იმათ რომ
 ჭკუა ჰქონოდათ, სამეფოს არავის დაანებებდნენ. თუ გინდა იცოდე, დადიანსაც
 მიხარია, რომ მაგრად მოგკიდეს ხელი! ასე ამოგალპობენ უბნებსა და ყაზარ-
 მებში, სანამ გონს არ მოეგებით და თავს არ დაანებებთ ცხვირის დაჭრევას. შენს
 წერილში ვერ გავიგე, რა მიზეზით ჩაგაყუდეს, იწერება რაღაც ზოგადი მოწყობი-
 ლზე, მაგრამ შენი არა მჯერა, თუმცა გრამატიკისა არაფერი გამეგება. ვინ
 იცის, რა საძაგლობა ჩაიდინეთ. მე დრო ვინ მომცა, უბან-უბან სასიარულოდ.
 ვერც შეამბოხებთან კავშირის დაჭერით გავიტებ სახელს დიდკაცობასთან.
 რამდენჯერ დაგარიგე — მორჩილ თავს ხმალი ვერაფერს დააკლებს-მეთქი! არ
 გამიგონე და ხომ მოიტებე კისერი. რასაც დათეს, იმას მოიმკი.

შენი კეთილისმყოფელი ბანიუ ბალკანელი.





თარგმნა შპა ხუციშვილმა

წერილები

ალარც სიზმრები, ალარც სინამდვილა

შელამებისას ყველანი ცაცხვის ძირში ვისხედით და ჩაის ვსევამდით. იასამნების იქით. ხრამიდან ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით მოიწევდა ბურუსი.

გვესმოდა, როგორ ლესაუდნენ ვაჭრისაგან იჯარით აღებული მდელის მისათიბად გამოსული, მეზობლად მცხოვრები გლეხები ცელებს. ჩვეულებისამებრ, არც ღრიალებენ, არც ავსიტყვაობენ. ცელმა გაიშხუილა ბალახზე ოციოდე მთიბაუი მაინც იქნება.

უცებ ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო და ძალდაუტანებლად აღავსო ძლიერმა, ვერცხლივით წკრიალა ხმამ ხრამი, ჭალა და ბაღი. იასამნების იქით, ბურუსში ვერაფერს გაარჩევ; მაგრამ ხმით მივხვდი, გრიგორი ხრიპუნოვი მღეროდა; არახოდეს მიფიქრია, რომ ამ მომცრო ტანის ფაბრიკელს, მუდამ აქოთებულ გრიგორს ასეთი ძლიერი ხმა თუ ჰქონდა.

გლეხებმა სიმღერა აიტაცეს. ჩვენ კი კიდეც უფრო უმჯობესად ვგერძენით თავი.

უცნობი ტექსტია, სიტყვებსაც ვერ ვარჩევ; სიმღერა კი თანდათან ძლიერდება. მეზობელ გლეხებს ასე საამოდ ჯერ არ უმღერიათ. ეკლებზე ვხივარ, ფულში მშრალი ბურთი მაქვს გაჩრილი. ტირილი მინდება, წამოვბტი და ბაღის ბოლოსკენ ვაკიქეცა.

სწორედ ამის შემდეგ წარიმართა გველაფერი უკუღმართად. იმ გლეხებმა, რომლებიც მღეროდნენ, მასკოვოდან სიფილისი ჩამოიტანეს და მთელ სოფელში გააურთილეს. ვაჭარი, კის მდელისაკ თიბაუდნენ, დათვრა და ცეცხლი წაუკიდა თავის საბძლებს. დიაკვანმა მოამრავლა უკანონო ბავშვები. ფედოტის ქონში ჭერი მთლიანად ჩამოწვა. მაგრამ ფედოტი სულაც არ ჩქარობს მის შეკეთებას. ჩვენთან გახშირდა მოხუცების საიქიოს წასვლა. ახალგაზრდებს კი თანდათან შეეპარათ თმაში ჭადარა. ბიძახეში სისულელეებს ყბედობს. მეც მყორე დილით ბუბერი იასამნის მოსაჭრელად გავეშურე.

იასამანი ახიოდე წლისა იქნებოდა. ყვავილი სეჩხერი და მოცისფრო ჰქონდა. ღერი კი რის ვაივაგლახით იკიდებდა ცულის პირს. სულ აქვებზე მის იქით არყის ხის ჭალაა. ჭალაც აქვებზე, ჭალის უკან კი ხრამია. ხრამიდან საკუთარი სახლის გარდა ვერაფერს ვხედავ; სახლი ყოველგვარი ქარისა და ქარაშოტისა.

თვის მისაწვდომი გახდა. თუ ძირს გამოვუთხრი ჩაინგრევა და ქვეშ მომიყოლებს ყველანი შეცვლილები ვართ. არ შეცვლილა მხოლოდ „პოლიტიკური“. რემელიც ყოველდღე ამ გზაზე დაეხეტებოდა. ფეხებში ედებოდა ყველას თავის ველოსიპედით არალეგალურად. ურიადნიკო ქვე-ქვე, ჭაობ-ჭაობ მგზავრობდა ფეხით „პოლიტიკური“ კი მაღლა-მაღლა გზაზე ხანდახან. როცა ურიადნიკო სწრაფად შეუმჩნევლად ძვრებოდა ბუჩქებში. თავის ხარბენ ბილიც ურიადნიკო გან დასველებული ქათამივით, ველოსიპედზე შემომჯდარი „პოლიტიკური“ მთიდან არწივივით ეშვებოდა. მისი შარვლის ტოტებზე და ველოსიპედის სატერფულზე შეამჩნევდით აქა-იქ გაჩხერილ ძურწა ბაღახს. ძაღლები სულ მთლად მისავათდნენ. მხოლოდ კუდებს პრიხავდნენ მტვრის კორიანტელში.

მაშ ასე, ჩვენ ყველამ ცუდად დავამთავრეთ: „სწრაფად შევიცვალეთ, თვალის დახამხამებაში. უარესობისაკენ.“ როგორც ვკაფრობილებდა დიაკვანი.

მაგრამ „პოლიტიკური“. ხომ რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის „პოლიტიკურად“ და „არალეგალურად“ დარჩება. ასეთია მისი ჯიშის. თუმცაღა მე ცხოვრების საფუძვლად ყოველთვის სამყარო მიმაჩნდა. რომელიც ნებით თუ უნებლივით თვითონვე დაიშალა.

მთელი ცხოვრება ბედნიერებას ველოდი. როგორც ღია, თოვლით დაფარულ ბაქანზე საათობით დგანან ადამიანები და უცდიან მატარებლის მოსვლას. თუთრად გადაპენტილი არემარე თვალს სჭრით. მაგრამ მაინც იცდიან. სანამ მისახვევში არ გამოანათებს მატარებლის შუქფარება.

და აი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა გრძელი და ვიწრო მატარებელი. მაგრამ აღარავის უხარია. ყველა დაიღალა ცივა სიცივე ისე გასჯდომიათ მუდარბილში, რომ აღბათ თბილ ვაგონშიც კი კვლარ გალღვებთან.

დაქანცული სული სამარის პირას ჩამოიჯდა. ისეე გაზაფხულია, ისეე ყვავის ფერდობზე ნუში. იქვე ჩაივლიან მაგდალინა თასით, პეტრე გასაღებებით, ხალომეა თავზე შედგმული ლანგრიტ; მისი ოქროთი მოხირბული ღურჯი სამოსი ისეთი განიერია და მძიმე, რომ გადატანას ფეხის მიშველებითლა ახერხებს.

— სული ჩემო. სად არის შენი სხეული?

— ჩემი სხეული კვლავ დათარეშობს დედამიწაზე, ცდილობს შეინარჩუნოს სული, თუმცა დიდი ხანია დაჰკარგა იგი.

გაბოროტებულმა ეშმაკმა სულს დასასჯელად ყველაზე საშინელი ტანჯვა გამოუგონა და იგი რუსეთში გაავზავნა. სული მორჩილად დასთანხმდა. დანარჩენმა ეშმაკებმა ტაშისკვრით გამოხატეს მოწონება უფროსი ეშმაკის ასეთ არაჩვეულებრივ გამოგონებაზე.

სული იტანჯება მუიცე საუკუნის რუსეთში.

გაზაფხულის ლილიჭრელო, მხოლოდ ბებერი ნაძვების ქვეშ თუ მოჩანს ძირებში მიყინული თოვლი სურნელოვანი ჰაერა. ნაძვებს შორის დიდი ყურე წარმოიქმნა რომელშიც დილა ირეკლება.

ტყის იქით უნაპირო სივრცეა. ვაკეზე გლეხების უხარმაზარი ჯგუფი მოჩანს. ერთი ქალამანს ისწორებს. მეორე გამლღვალი თოვლით აბანს პირს. მესამე პერანგის სახელოებს იკაპიწებს. მაღლა ცნობივლულად ეშვებოდა.

დიდი, სახელდახელოდ შეკოწიწებულ სამჭვდლოდან ბილი ამოდის. გლეხები მიათრევენ ახლად გამოჭედილ გუთნებსა და ჭარცებს.

სოფლის იქით კი ბორცვებზე გოლიათები შემდგარან: თვალისმომჭრელად ელავს მათი ჯაჭვის პერანგები; მეტი არაფერი ჩანს, ერთი მათგანა წინ გამოი-
მართა, ხელის გაშვერით რაღაც ანიშნა დანარჩენებს.

უცებ გლეხების ჯგუფი გოლიათის ხელით ნაჩვენები შორისაკენ / დაიძრა.
მხრებზე ორთითები აქვთ მოვლებული; ზოგს — უცნაური ქველვებური, მახვილი.

გლეხები წინ მიიწევენ. მიტოპავენ თოვლჭყაპისაგან წარმოქმნილ უკუბეჭებში
და მთელ ტყეში ისმის მათი ქალამნების ტყაპატყუპი.

ახლა სიწყნარეა. მღუმარებაა. თვალებს ვხუჭავ და ჩემ თვალწინ გაიელვებ-
ბენ ნაცნობი და უცნობი სახეები. ეს ხილვანი გულს მიმძიმებს და სული მეხუ-
თება. დახუჭულ ქუთუთოებში ვხედავ, როგორ დაცურავენ ფერად-ფერადი ლაქები.

თვალებს ვახელ — კვლავ ლამფის შუქი და სავარძელში ლამფის წინ ის
ზის; მისი სახის ზედა ნაწილი კვლავ ჩრდილშია მოქცეული. მხოლოდ ოდნავ
გაპობილ ბაგეებს ვხედავ, ოდნავ მოხუჭული ქუთუთოების ქვეშ გამომშვირალი მუ-
დამ მთვრალი თვალები.

ერთხელ ის ყველაზე წყნარ და ყველაზე სუფთა ქუჩაზე დასეირნობდა და
ცდილობდა თავის სულს გაქცეოდა. სული კი ჯიუტად მისდევდა კვალდაკვალ,
თუმცაღა უჭირდა ფეხი აეწყო მისი ახალგაზრდული ნაბიჯებისათვის.

უცებ მაღალი სახლის სახურავზე, ზამთრის ნაცრისფერ ბინდში ქალის სა-
ზე გამოეცხადა. ქალმა მას ხელი გაუწოდა და უთხრა:

— დიდი ხანია მოვისწრაფი შენკენ ცის წყნარი და წმინდა ქვეყნებიდან.
ქალაქის მწვავე სუნიანი კვამლი ჭუჭყიან ქურქში მახვევს. მკლავებს სატელეგრა-
ფო ხაზები მიბოჭავენ. ნუ მარქმევ სხვადასხვა სახელს — ერთი სახელი მაქვს.
ნუ მეძებ, რადგან შენ გვერდით ვარ.

მის სევდიან ჩივილს პასუხი არ მოჰყოლია. მხოლოდ შადრევანი აშხუფებდა
წყლის ჭავლს; ბროლის ლარნაკში ჩაწყობილი გრძელი ბალახები კი სურნელ-
ბას აფრქვევენ.

მთელი ღამე შავი მდინარის პირას დაეხეტებოდა. დილით კი ეკლესიასთან
მივიდა. თოვლიან მინდორზე, ტაძრის კარიბჭეს დამრეცად, ჩაქჩაქით შემოუარა
მთვლემარე სამცხენამ. გვერდებზე მტევნებივით ეკიდნენ ექვსი მთვრალი ოფიცე-
რი და ქალები. აშკარა იყო, ბედს არაუინ უჩიოდა, საფიქრალიც არაფერი იყო.

კაცმა გადაწყვიტა მის გაღვიძებამდე დაბრუნებულიყო სახლში.

— ყოველ საღამოს გარეშემო ეუვლი ბაღს. ბაღის ბოლოს ცირცელსა და კე-
ნელს შორის მზე განსაკუთრებით აცხუნებს შუადღისას. მაგრამ საღამოზნობით
ამ ადგილზე რამდენჯერმე დაეინახე...

— რა?

— მუხლებზე დაცემული და ჩემკენ ზურგშექცეული კაცი მიწას თხრის.
მერე ხელები პირთან მიაქვს და ვრუ ხმით ჩასძახებს ხოლმე ორმოში: „თქვენ
ეი, დაჩქარეთ“.

— მერე?

— მერე უკვე აღარც ვუყურებ და აღარც ვუსმენ. ისე აუტანლად საშინელია
ეს ყველაფერი, რომ უკანმოუხედავად, ყურებზე ხელაფარებული მივრბივარ.

— ეგ ხომ მებაღეა.

ერთხელ კიდევაც უპასუხეს, ხმები ერთმანეთში ირეოდა; „ყოველთვის მო-
ვასწრებთ. მაშინ კი აუჩქარებლად წამოდგა და ჩემკენ ზურგშექცეული, კუ-
ხისაკენ გაცოცდა.

— მერე რა არის ამაში უჩვეულო? მებაღე მუშებს ესაუბრებოდა.

— ეჰ, არ იცით თქვენ, არ იცით.



1921 წლის მარტის 19.

ლეონიდ ანდრეევის ხსოვნას

რატომ დავაპირე დამეწერა მოგონება განსვენებულ ლეონიდ ნიკოლოზის
ძე ანდრეევზე? მოვიგონებ კი რაიმეს ისეთს, წასაკითხად რომ ღირდეს?

გვიმუშავია ოდესმე ერთად? — არასოდეს. ხშირად ვხვდებოდით? — არა,
ძალზე იშვიათად. გვისაუბრია რაიმე მნიშვნელოვანზე? — ერთხელ კი, მაგრამ
სასაუბრო თემა ძალზე ნაკლებად შეგვეხებოდა ორივეს და შეიძლება ითქვას,
ტრაგიკომიკურად, უფრო სწორად, ვოლგევიღურად დასრულდა, ასე რომ, არცა
ღირს მოსაგონებლად.

მიყვარდა ლეონიდ ნიკოლოზის ძე? — არ ვიცი, ვიყავი მისი ტალანტის მხუ-
რვალე თაყვანისმცემელი? — დანამდვილებით ვერ გიპასუხებთ.

მიუხედავად ამისა, მინდა შემოგთავაზოთ ერთი გრძელი და ჩემის აზრით
მნიშვნელოვანი მოგონება განსვენებულზე: „გრძელი“ — იმიტომ, რომ ათეული
წლების განმავლობაში ერთმანეთისათვის „ნაცნობები“ ან „უცნობები“ ვიყავით;
მნიშვნელოვანი, რამეთუ დაკავშირებულია წყაროებთან, რომელიც ასაზრდოებდა
ჩვენს ცხოვრებას.

ჩემი მოგონებები თითქმის სრულიად მოკლებულია ფაქტობრივ შინაარსს.
მაგრამ ლეონიდ ანდრეევთან დაკავშირებული ვიყავი ერთგვარად და იშვიათი
შეხვედრების დროს ამის თაობაზე ერთმანეთთან დასანანი ენაბრკვილობითა და
უპერგილობით ვაღიარებდით, რასაც ჩვენი გრძნობები ანელებდა და შინაგანად
გვაუცხოებდა ერთმანეთისაგან.

ამიტომაც ყველაფერი, რაც მასზე შემიძლია მოგიხროთ, არცთუ ისე მზი-
არული მოსასმენი იქნება. იქნება მოთხრობა, ასეთ მოთხრობებს არცთუ ისე
იშვიათად ვისმენთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც რაღაც იცოდნენ ერთმანეთზე
თ ა ვ ი ა ნ თ თ ვ ი ს, და ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულად განხორციელება
კი მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა, არ შეეძლოთ, ან არ სურდათ, ამის თაობაზე
ასე თამამად იმიტომ ვაცხადებ, რომ მხოლოდ მე არ მაწევს დანაშაული სულიერი
მარტოობისა, არამედ ბევრ ჩვენთაგანს — ჩვენ ყველანი მარტოსულნი ვიყავით.

ორ რევოლუციას შორის რუსი მხატვრების მიერ განვლილი წლების ისტო-
რია არსებითად მ ა რ ტ ო ს უ ლ ა ლ ტ ა ც ე ბ უ ლ თ ა ისტორიაა; სწორედ ესაა
ის უკეთესი, რამაც იარსება და შედეგი მოგვიტანა.

შემედავებიან, რომ იმ წლებში არსებობდა ლიტერატურული წრეები, იყო
ჟურნალები და გამომცემლობები, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდნენ ერთი მი-
მართულების მიმდევარი ადამიანები, შეიქმნა მთელი რიგი სკოლები. ეს ყველა-
ფერი არსებობდა, უფრო სწორად, ჩანდა, რომ არსებობდა, მაგრამ იგი ოდნავაც
არ მაკმაყოფილებს, იმიტომ რომ შედეგს ვერ ვხედავ. პირიქით, პეტერბურგში
გატარებულმა უკანასკნელმა ორმა წელმა განმიმტკიცა რწმენა, რომ შესანიშ-
ნავი რუსული ჟურნალები, „სტაროე გოდი“ და „აპოლონი“ რაღაც გაჟერი წა-

მოწყობებია. ბეჭდვითი ხელოვნების ამ ნიმუშების გადაფურცელისას ტანში ურუ-
ანტელი მივლის, უფრო და უფრო დაჟინებით ვუმეორებ ჩემს თავს კითხვას, რო-
გორ ვერ იგრძნეს მისმა ხელმძღვანელებმა რანი ვავხდებოდით და რად გადავიქ-
ცოდით სამი-ოთხი წლის შემდეგ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ადამიანებმაც იცოდნენ განსაზღვრულ ალტა-
ცება; იცოდა იგი ლ. ანდრეევმაც. მაგრამ ლ. ანდრეევის წარმოდგენა „სტაროე
გოდის“ რედაქტორთან ერთად შეუძლებელია; მათი ერთად წარმოდგენა შეიძ-
ლებოდა მხოლოდ კარიკატურაში. ვაცვილებით მეტი სიახლოვე ჰქონდა ზოგიერთ
სიმბოლისტს, სახელდობრ, ანდრეი ბელის და მე, რის თაობაზეც არაერთხელ უთ-
ქვამს ჩემთვის. და, მიუხედავად ამ სიახლოვისა, ვერაფრით განვამტკიცეთ ურ-
თიერთობა.

ჩემი ურთიერთობა ლ. ანდრეევთან დაიწყო ვაცვილებით დიდი ხნით ადრე,
ვიდრე პირადად ვაეცნობდი. ვაცნობით არაფერი შემმატებია. მახსოვს ის თავ-
ზარდამცემი შთაბეჭდილება, „ვასილი ფავეისკის“ ცხოვრების წაკითხვის შემ-
დეგ რომ დამრჩა შემოდგომის ერთ წვიმიან დამეს ჩემს მამაპაპისეულ სახლში.
ახლა ეს მშობლიური ადგილები, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გა-
ვატარე, აღარაა. შესაძლოა მხოლოდ ბებერი ცაცხეებიღა შრიალებენ, თუ მათაც
არ გააძრეს ტყავი. და რომ იქ უწესრიგობაა, რომ ვველგან უწესრიგობაა, რომ
მოახლოვდა კატასტროფა, რომ სასწაული ცხვირწინაა. — კარგა ხანია ვიცოდი.
ვიცოდი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დაწყებამდე და აი, ჩემს ცოდნას უც-
ებ გამოეხმაურა „ვასილი ფავეისკის ცხოვრება“. შემდეგ „წითელი სიცილი“,
განსაკუთრებით ნათლად კი პატარა მოთხრობა „ქურდი“. ამ მოთხრობაზე მე და-
ვწერე რეცენზია, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „უოპროსი ჟიზნი“, რეცენ-
ზია ხელში ჩაუვარდა ლეონიდ ანდრეევს და, როგორც მითხრეს, მოსწონებოდა
ანდრეევ ვგრძნობდი მოეწონებოდა, არა იმიტომ, რომ იგი საქებარი იყო, იმიტომ
რომ მე გამოვეხმაურე მას. უფრო სწორად, მას კი არა, იმ ქაოსს, რომელიც მუ-
დამ კვალდაკვალ დასდევდა და ამის გამო გაღიზიანებულს შეეძლო ხანდახან
თუთიყუშისა და ოთახის ფინიასავით ჭეშმარიტი ქაოსის დემონსტრირება. ისე
რომ მის გარშემომყოფ ყველა მეტისმეტად თავდაჭერილ ადამიანს (ინტელიგენ-
ცია ხომ მეტისმეტად თავდაჭერილი გახლდათ იმ დროისათვის, რადგან არ უხ-
დებოდათ კუნძების დაპობა და წყლით საუსე ვედროების ათრევა მეშვიდე სარ-
თულზე) საბოლოოდ გაუქრა რწმენა ამ ჭეშმარიტი ქაოსისადმი.

ამრიგად, გამოვეხმაურეთ ერთმანეთს. და მოხდა ისე რომ პირადად ვაც-
ნობის დროს ლეონიდ ანდრეევმა უკვე იცოდა ვინმე ალექსანდრ ბლოკის არსებო-
ბა, რომელთანაც სადღაც, რაგორღაც და რატომღაც საჭიროა შეხვედრა და ის
სულაც არ აღმოჩნდება უცხო.

ის-ის იყო დავასრულე უნივერსიტეტის სრული კურსი და ქვეყანას მოვეუ-
ვლინე ლიტერატორად, რომელიც სხვებივით სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწ-
ყობილი დადიოდა და თხოულობდა ავანსს ხან აქ, ხან იქ. სწორედ ერთ ასეთ ად-
გილზე, ზუსტად არა მახსოვს სად, ვაციცანი ლეონიდ ანდრეევი. ვერავითარი ჩე-
მთვის ნაცნობი ქაოსი ვერ აღმოვაჩინე მასში, ჩემ წინ მხოლოდ ძალზე ცნობი-
ლი მწერალი იდგა. ცნობილ მწერლებთან შეხვედრისას რატომღაც სირცხვილის
გრძნობა მიპყრობდა ხოლმე. ანდრეევსაც ვერ გადავწყვიტა, რით დაეწყო საუბა-
რი. მალე მან სახლში მიმიწვია; ვესტუმრე; ანდრეევი კამენოოსტროვსკის ქუჩა-
ზე ცხოვრობდა. ვიცოდი, რომ იმ სახლის ოთახებში მოძრავი ტიხარი ჯყო ვა-
კეთებული.

მაგონდება 1906 წლის შემოდგომის გვიანი დამე. კოკისპირული წვიმა. კუ-
თხის დიდი ოთახი. ფარანი და ამ ფარნის სარკმელი მიმართულია კუნძულებისა
და ფინეთის მხარეს, მიუახლოვდები სარკმელს, — და ჯაჭვივით გაელვება
კამენოოსტროვსკას ფანრები ნესტიანი შორეთის ფონზე

ოთახში უამრავი ადამიანია, თითქმის ყველა მწერალი; უმეტესობა კინობილ-
რაზე საუბრობენ. არავინ უწყის; იგრძნობა განცალკევება ერთმანეთისგან.
გორც ფანჯრის იქით, ისე მათ შორის, ჩახრამული ადგილი შავდება, ყველაზე
განცალკევებული, ყველაზე განმარტოებულია — ლ. ნ. ანდრეევი; და რაც უფრო
საყვარელია, რაც უფრო თავაზიანია, როგორც მასპინძელი. მით უფრო მარტოა.
აი სულ ის შთაბეჭდილება, რომელიც მე დამრჩა იმ შეხვედრიდან. ამ შთაბეჭ-
დილებას კიდევ უფრო აღრმავებს სახუმარო ფორმით შედგენილი მოსაწვევი
ბარათი; ასე ხუმრობა ძალზე მოსაწონია, იგი ცნობილი ადამიანის უშუალობაზე
მეტყველებს და ყველას ღიმილს ჰგვრის. მაგრამ არავინ მოჰყვება მხიარულებას

იმ დამეს ნესტიან შორეთში ჯაჭვივით გაჭიმულ ფანრების შუქზე ლ. ანდრე-
ევი ძალზე ღამაზად გამოიყურებოდა. რადგან, როგორც მახსოვს, უშუალოდ და
მორცხვად იქცეოდა და არ მოუხდენია თავისი ქაოსის დემონსტრირება საშინე-
ლი ოთახის ფინიათი, რომელიც სწორედ იმიტომაცაა საშინელი, რომ, როცა
დაინახავ, არ შეგეშინდება, დაუნახავად კი გრძნობ, რომ სადღაც აქაა.

1907 წელს კი სეზონის მეორე ნახევარში კომისარევესკაიას თეატრმა
„ადამიანის ცხოვრება“, ნაწარმოები, რომელმაც ძალზე ღრმად ჩაგვაფიქრა ანდ-
რევი ბელი და მე. ამასთან დაკავშირებით მახსოვს არა ლეონიდ ანდრეევი, ცნო-
ბილი ადამიანი გამოწყობილი განსაკუთრებული თარგის ქურთუკში, არამედ
ის ატმოსფერო, ის პაერი, რომლითაც სუნთქავდა მწერალი. მსახიობებმა შესძ-
ლეს ეს ყველაფერი ისე გადაეტანათ სცენაზე, რომ მოგვიანებით ამ პიესის ასე
ოსტატურად დადგმა ვერ შეძლო თვით სამხატვრო თეატრმაც კი. იყო კომისარ-
ევესკაიას დასის მსახიობებსა და რეჟისორში რაღაც ანდრეევისათვის დამახა-
სიათებელი და მშობლიური, თვით საკმაოდ სუსტმა მსახიობებმაც კი მოახერხეს
გაუღვიძებინათ და ამოუტივტივებინათ ის ქაოსი, რომელიც ასე განუშორებლად
დაჰყვებოდა მას.

„ადამიანის ცხოვრებაში“, როგორც ანდრეევის მთელ რიგ ნაწარმოებებში,
დასმულია აზირობული კითხვა, რომელსაც ძალზე ხშირად გვთავაზობენ ბავშ-
ვები. რაც არ უნდა ჰკითხო ბავშვს, ყოველთვის საპირისპირო კითხვას გაძლევს.
„რატომ?“ ღიღებმა არ იციან, რა უპასუხონ, და არც უნდა აღიარონ, რომ არ
ძალუძთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. უბრალოდ „სულელური კითხვაა“, „ბავ-
შური კითხვა“, აი ის, რაც პირადად მე ლ. ანდრეევის შემოქმედებაში ყველაზე
ძვირადღირებულად შეჩვენება; იგი ყოველთვის უსვამდა თავის თავს ამ კითხვას
და მართალიც გახლდათ, იმიტომ რომ ახლა სწორედ ამის თაობაზე კითხვას სვამს
ცივილიზაციის დიდი ბავშვი — რუსეთი, და ამის შესახებ პასუხის გაცემა, ისე
რომ ამ პასუხს კვლავ არ მოჰყვეს ნახევრადგულგრილი, ნახევრადკაპრიზული
„რატომ?“, — არავის შეუძლია.

ლეონიდ ანდრეევი ამის თაობაზე გვეკითხებოდა სულის სიღრმიდან. უკან-
დაუხივლად და შეუგნებლად შეგნებულად იგი უფრო მეტად მსჯელობდა და
თვითონვე შეეძლო ამის თაობაზე ყველაზე უკეთ გაეცა პასუხი. მაგრამ იყო მას-
ში ეს ძვირფასი, ხელუხლებელი, ქაოსური, მღვრიე სიღრმე, რომლიდანაც ვი-
დაც იქ მყოფი, კითხულობდა „რატომ? რატომ? რატომ?“ და თავს ურტყამდა

ვეება, მოღური ავეჯით გაწყობილ უკვე მობეზრებულ დარბაზის კედლებს. ხა-
დაც ცხოვრობდა ცნობილი მწერალი ლეონიდ ანდრეევი.

ვფიქრობ, „ადამიანის ცხოვრება“ ამ აზრით ყელაზე ავტობიოგრაფიული
პიესაა. მე შესაძლებლობა მომეცა მეყურებიანა ამ პიესისათვის სცენიდან, რისთ-
ვისაც უნდა ვუმაღლოდ მეიერჰოლდის რეჟისორულ ხრიკებს. არასოდეს დამა-
ვიწყდება მაყურებლის მიერ მიღებული პირველი სურათისა და გამომწვეული თა-
ვზარდამცემი შთაბეჭდილება. სცენის შუაგულში იდგა დივანი, ზედ შესკუპებული
მოხუცებით, და თეჯირი, წინ კი მრგვალი მაგიდა მისგან ჭერზე არეკლილი, ვა-
წრო მრგვალი ლაქით იყო განათებული. მსახიობების გვერდით, ჩრდილში შეფა-
რებული, ვადევნებდი თვალს აქა-იქ გაელვებულ მაყურებელთა ჭოგრიტების მი-
ნებს. „ადამიანის ცხოვრება“ მიდიოდა ჩემ თვალწინ. გულსაკლავად გაჰქიოდა
მშობიარე ქალი, ნერვიულად სცემდა ბოლთას თეთრხალათიანი ექიმი პაპაროსით
ხელში, და, რაც მთავარია, გვერდით იდგა ოთხკუთხა ზურგიანი „ვინმე რუხ ტა-
ნსაცმელში გამოწყობილი კაცი“, რომელიც მქრქალი შუქის სვეტიდან მთელი
თეატრის გასაგონად ყვიროდა საკუთარ სიტყვებს.

ეს სიტყვები ბევრს ეჩვენებოდა და ეჩვენება უხამსობად; მახსოვს როგორ
მობეზრდა ამ სიტყვების წარმოთქმა თვით ამ როლის შესანიშნავად შემსრულე-
ბელ მსახიობს, აწ გარდაცვლილ კ. ე. ბრავინს, მაგრამ არის რაღაც ისეთი ამ სი-
ტყვებში, რომელიც მე საშინლად მალეღვებს:

„უყურეთ და უსმინეთ, გასართობად და საცინლად მოსულნო. აი, თქვენ თვა-
ლწინ გაივლის ადამიანის მთელი ცხოვრება თავისი ბნელი დასაწყისითა და ბნე-
ლი დასასრულით, აქამდე არარსებული, ფარულად შენახული დროის უსაზღვ-
რობაში, წარმოუდგენელი, შეუგრძნობელი, შეუცნობელი ყველასათვის...“

„უსაზღვრო სიერცვების სუსხიანი ქარი უძალოდ დაჰქრის და დაძრწის;
ირბევა ალი; იქაურობა სანთლების შუქითაა გაკაშკაშებული. მაგრამ ქრება ცვი-
ლი, შთაინთქმება ცეცხლით. მაგრამ ქრება ცვილი...“

„...და თქვენ, გასართობად და საცინლად მოსულნო, თქვენ სასიკვდილოდ
განწირულნო, უყურეთ და უსმინეთ: აი შორეული და აჩრდილისებური ექოთა
გაივლის თქვენ წინაშე მწუხარებითა და სიხარულით აღსავსე, სწრაფმავალი
ცხოვრება ადამიანისა“.

ანდრეი ბელი იმას, რითიც გაჟღენთილია ეს პიესა, „მოქვითქვითე სასოწარ-
კვეთილებას“ უწოდებს. ეს მართალია; ლეონიდ ანდრეევს არაერთხელ აღმოხდა
გულიდან მოქვითქვითე სასოწარკვეთილების ბგერები. და ამის გამო ზოგიერ-
თი ჩვენთაგანი უსაზღვროდ ემაღლიერება მწერალს.

მახსოვს აგრეთე პიესა „მოთხრობა იუდაზე“, რომელმაც ასევე თავზარდა-
მცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შემდგომში უკვე აღარ მიაოცებდა მისი
ნაწარმოებები, მაგრამ დანამდვილებით ვხვდებოდი, რის თაობაზე მიგვანიშნებ-
და ლეონიდ ანდრეევი, ლეონიდ ანდრეევმაც კარგად იცოდა, რის გამო შეგვეძ-
ლო მასთან ყოფნა: „რისთვის“, — ეამბობ. და რას ნიშნავს ეს სიტყვები — არ ვა-
ცი, მანაც არ იცოდა. ერთი წლის შემდეგ კი ანდრეევი მწერდა: „რამდენჯერმე
დავაპირე თქვენთან მოსვლა, როგორ მიხდოდა თქვენი ნახვა. ვერ მოვახერხე
ვერა და ვერა... რატომ გვიხდება მე და თქვენ ბედთან ჭიდილი?“ — მიუხედავად ამ
წერილისა, ჩვენ ვერ შევხვდით.

გაეიდა კიდევ ერთი წელი და ანდრეევმა თითქოსდა მოძებნა რეალური მიზე-

ზი ჩვენი შეხვედრისათვის (ეს იყო ჩემი პიესა „ბედის სიმღერა“. რომელიც მას არ მოსწონდა). მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდა. წერილზე პასუხი არ დაიხმობებოდა, არ მინდოდა რაიმე სწყვნოდა ჩემკან, მაგრამ გამინაწყენდა. ეს უკვე 1909 წელს იყო; რეაქციის ღრუბლებმა თანდათან დაფარეს მთელი პარიზი/მე იტალიაში გავემგზავრე და იმდენად აღფრთოვანებული დაერჩი ამ ქვეყნის ბელოვნებით, რომ გავექეცი თანამედროვე ლიტერატურასა და ლიტერატორებს გამოჩნდა სხვა კიდევ ბევრი მიზეზი, რის გამოც შევწყვიტე შეხვედრები და ვიწვევდი ჩემს „აღფრთოვანებებს“.

ამასობაში ლეონიდ ანდრეევიც შეიცვალა, მასაც ბევრი მიზეზი ჰქონდა ხელი ჩაექნია ყველაფერზე და, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის იგი უკვე სახელგანთქმული მწერალი იყო ხშირად აკრიტიკებდნენ, რასაც, სამწუხაროდ ძალზე დიდ ყურადღებას უთმობდა.

1911 წელს ანდრეევმა კვლავ გამიხსენა. მიზეზი ჩემი ერთ-ერთი ლექსი იყო. „საჭიროა თუ არა ამის მოწერა, არ ვიცი, შეიძლება არცაა საჭირო“ გამომიგზავნა „საშკა ჟეგულევი“, როგორც მახსოვს, სანაცვლოდ ჩემი წიგნები გავუგზავნე; ეს ამბავიც ამით დასრულდა. აღარ მახსოვს ვხვდებოდით თუ არა შემდგომში, და თუ ვხვდებოდით, ძალზედ უმნიშვნელო თემებზე ვსაუბრობდით.

1916 წლის მიწურულს შვებულებმა ყოფნის დროს პეტერბურგში ჩავედა. და სწორედ იქ მივიღე წერილი, სადაც ლეონიდ ნიკოლოზის ძე მთავაზობდა მოსწონილობა მიმეღო გაზეთ „რუსსკაია ვოლიას“ სარედაქციო მუშაობაში, თვითონ კი რედაქტირებას უკეთებდა ლიტერატურულ და თეატრალურ განყოფილებას. ამ წერილით მატყობინებდა, რომ, მართალია, გაზეთს „ბანკის მოხელეთა და გერმანოფილთა“ საკუთრებად მოიხსენიებენ, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. უარი შევუთვალე, რადგან სხვებისაგან ვიცოდი, რომ გაზეთი პროტოპოპოვის დაარსებული იყო. ლეონიდ ანდრეევი ძალზედ შეურაცხყოფილი დარჩა და მომწერა კიდევ ამის თაობაზე. ამასობაში ჩემი შვებულებაც მიიწერა და ისევ გავემგზავრე, პასუხი არ გამიგზავნია. ასე დამთავრდა ჩვენი ნაცნობობა — ამჯერად სამუდამოდ.

ამასთან შედარებით, რაც ვიცოდით ჩვენ ერთმანეთზე — სადღაც გულის სიდრმეში, ყველა შეხვედრა და წერილი; და, მით უმეტეს, რა საუბრებიც ვქმნიდა იუდაიზმის, პროტოპოპოვის, გერმანოფილების თაობაზე, სისულელეა, თუმცა ლეონიდ ნიკოლოზის ძე ცოცხალი რომ ყოფილიყო და შეხვედრით ერთმანეთს, კვლავ ვერ მოვძებნიდით საერთო თემას სასაუბროდ, კომუნიზმისა ან მახოვაიას ქუჩაზე აცვენილი ქვაფენილის გარდა.

ჩვენ ვხვდებოდით და ხმას ვუწვედნდით ერთმანეთს პირადი ნაცნობობის გარეშე. — ხშირად „ქაოსში“. იშვიათად „მარტოსულ აღტაცებულებში“. კარგად ვიცი, რომ ნამდვილი ლეონიდ ანდრეევი, რომელიც ცხოვრობდა მწერალ ლეონიდ ნიკოლოზის ძეში, იყო უსახლფროდ მარტოსული; არცთუ ისე აღიარებული და სახით მუდამ შავად მომზირალი ფანჯრებისაკენ მიბრუნებული. საიდანაც შემოდგომის წვიმიან ღამეში გაჰყურებდა ფინეთისა და კუნძულების მხარეს, რაც ორივეს გვხიბლავდა. სწორედ ამ შავად მომზირალი ფანჯრიდან მივიდა მასთან უკანასკნელი შავნაღბიანი სტუმარი — სიკვდილი.

ფერები და სიტყვები

თანამედროვე ლიტერატურის სასკოლო განმარტებებზე რომ ვფიქრობ, წარმომიდგება დიდ ველზე ჩამოვდებულნი, საბურველივით გაფენილი მძიმე ცის კამარა, აქა-იქ შემორჩენილი გამხმარი, ხეებით, ძალაგამოცლებული კრწახნის ცის წმინდა ნაჭერს, უნებურად ფორმას უცვლიან და არღვევენ კრწახნის უკვე წარმოსდგებიან მთელი თავისი სიმწირით, უსიცოცხლო სიშიშვლით.

დიდ ველზე შორიშორ ჩარგული ხეები, რომელთა უძრავლესობა სულ მალად გამხმარია — ასე წარმომიდგება სასკოლო ცნებები — მხატვრული კრიტიკის აღჭურვილობა: ხანდახან მათზე ხელოვნურად ამყნობენ ახალ ტოტებს. მაგრამ არაფერი გააცოცხლებს სის ხრწნად სხეულს.

ამ გაქვავებულ კერძთა შორის ყველაზე პირველი მიმართულება ახლა ზედმეტად გადატვირთულია „სიმბოლიზმის“ გაგებით. მას უვლიდნენ, ანოციფრებდნენ. მაგრამ იგი მაინც სასაცილოა, წელთა სიმრავლით ტოტებდამსხვრეული, გამოფულუროებული და გამოშრალი. და, რაც მთავარია, მან ცის კამარა გაარღვია და გაგლიჯა. კრიტიკა ძალზე ბევრს ლაპარაკობს სიმბოლიზმის „სკოლეების“ თაობაზე, გამეტებით აკრავს მხატვარს იარლიყს: „სიმბოლისტი“; კრიტიკა გარს უვლის მხატვარს და არგებს სამოსელს; ხანდახან კი, თუმცა უძველესი დროიდან მისატყვებელი, არაკულტურული საქმითაა დაკავებული: თუ მხატვარს სამოსელი ვერ ერგება, იგი აჭრის ფეხებს, ხელებს ან თავს — რაც ყველაზე უფრო ცუდია.

ჩემობს რა თაოსნობას, კრიტიკას სურს დაეწიოს შემოქმედებას. მაგრამ იგი თავისი არსით — შემოქმედების პოლუსის საპირისპიროა. უკეთეს შემთხვევაში იგი ახერხებს ხელი სტაციოს პოეტს ფრაკში და სირბილის დროს ჯიბეში ჩასჩაროს „სიმბოლისტის“ იარლიყი.

ასე ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ ხანდახან პირიქით ხდებოდა: მხატვარი თვითონ ხელგამლილი ხელემა კრიტიკას და აღფრთოვანებული შესძახებს: „მინდა სიმბოლისტი ვიყო“. და აქ იგი თვითონ შეცდომით ხვდება იმ ჩარჩოებში, სადაც შემდგომში უნდა მოთავსებულიყო მისი ფოტოგრაფია.

რატომღაც ყველაზე ხშირად ასე სიტყვის ხელოვანს ემართება. მარჯვე კრიტიკა იშვიათად ახერხებს მოდრიკოს ფერმწერი. მე ვფიქრობ, ასე იმიტომ ხდება, რომ მწერლებთან მიღებულია დიდი ადამიანების ყველა თვისებების ფლობა; ეს თვისებები კი სულაც არ არის მხოლოდ დადებითი; ჯანსაღი მსჯელობების, მოზომილი სკეპტიციზმის, „ტაქტისა“ და სისტემის გრძნობების გვერდით — გვხვდება დაღლილობა, შეზღუდულობა, უბრალოება. დიდი ადამიანები ჩვეულებრივ არც უბრალონი არიან და არც ჭკუამეტები.

რაც შეეხება ფერმწერებს, მათზე „საზოგადოებრივ“ ურთიერთობაში დიდი ხანია ხელი ჩაიქნიეს. მათგან უკვე აღარ ითხოვენ „თანამედროვეობის მოთხოვნებზე გულშემატკივრობას“. და საერთოდ ითხოვენ ისე ცოტას, რომ ფერმწერები ხშირად ივიწყებენ „საერთო განვითარების“ აუცილებლობას და გარდაიჭმებიან მღვბავებად და ხატმწერებად.

სამაგიეროდ, მათგან ყველაზე უკეთესები ჭკვიანურად იყენებენ მარტოობას. ფერებისა და ხაზების ხელოვნება საშუალებას გაძლევს, ყოველთვის გახსოვ-

1. რა თქმა უნდა, მე ვლაპარაკობ არა რელიგიურ და ფილოსოფიურ სიმბოლიზმზე, არამედ თავისუფლად მოსაქმე კრიტიკის მოურიდეებელ ტერმინზე. (ა. ბ.).

დეს რეალურ ბუნებასთან სიახლოვე და არასოდეს მოგცემს სქემაში ჩაძირვას; საშუალებას, საიდანაც მწერალი ვეღარ დააღწევს თავს. ფერწერა გასწავლის დაკვირვებასა და დანახვას (ეს ორი მოქმედება მათივე განსხვავებულობის გამო იშიათად თუ დაემთხვევიან). ამის გამო ფერწერა ცოცხლად და ხელშეუხებლად ინახავს იმ გრძნობას, რომლითაც გამოირჩევიან ბავშვები.

სიტყვიერი შთაბეჭდილებები ბავშვებისათვის უფრო უცხოა, ვიდრე მხატვრული ბრივი. ბავშვებს სიამოვნებთ ყველაფრის დახატვა, რისი დახატვაც შეძლებს, რისკარ შეიძლება — ის არცაა საჭიროა. ბავშვთა ცნობიერებაში სიტყვა ემორჩილება ნახატს და თამაშობს მეორეხარისხიან როლს.

აღერსიანი და ნათელი ფერი მხატვარს უნარჩუნებს ბავშვურ აღქმას დიდა მწერლები კი „ხარბად უფროთხილდებიან სულში დარჩენილ გრძნობებს“. რაკი სურთ, გაუფროთხილდნენ ძვირადღირებულ დროს, შეცვალებს ხელი ნახატი სწრაფი სიტყვებით; მაგრამ — დაბრმავდნენ დაჩლოუნდნენ, მაყურებელთა აღქმასთან მიმართებაში. ამბობენ სიტყვები მეტია, ვიდრე ფერები, მაგრამ ეს შეიძლება საკმარისია მომხიბვლელი მწერლისათვის, პოეტისათვის კი მხოლოდ ისეთი სიტყვები, რომლებიც შეესაბამება ფერებს, ეს ხომ განსაკვიფრებლად აჭრელებული გამომხატველი და პარმონიული ლექსიკონია.

ყველაფერი შეიძლება დახატო — ჰაერი, კუნძული, ლერწამი და ცა. ყველა ცნება კონკრეტულია და იგი საკმარისია უეცრად გაელეებული პირველქმნილი იდეის გამოსახატად. იდეის განვითარებისათვის კი მომავალში შეიძლება გამოჩნდეს უფრო დახვეწილი საშუალებები, ვიდრე მზა სიტყვები.

მწერლის სული წამხდარია. აი დაინახა მან ბიოკლინის ნახატი „ტყის მღვპარება“. მარტორქაზე მჯდარი გოგონა ხეებს შორის იყურება სადღაც შორს კრიტიკოსისა და მწერლისათვის — გოგონასა და მარტორქის მხერა უცილობლად „სიმბოლურია“. მათზე შეიძლება ვთქვათ ბევრი ჭკვიანური და ლამაზი სიტყვა. შეიძლება ეს დიდი ლიტერატურული დამსახურებაა, მაგრამ გამოუსწორებელი დანაშაულია ფერწერის წინაშე: ეს ნიშნავს შეიტანო ფერთა და ხაზითათვის უფალ თამაშში შენი უხეში დასხეულებული გაგება; დაუშვათ ზორბა ბიკო შევიდეს ბავშვების ოთახში, ერთს თამამად წაუღიტინოს; მეორეს ძარღვიანი ხელი ჩამოართყვას ფუნჩულა ლოყაზე, მესამეს კუბიკების დაწყობაში მიეხმაროს, უყურებ და ხედავ, გააღარიბა მოთელი თამაში და უკვე გაბუტული და გაქსუებული ბავშვები კუთხეში ატუხულან.

მწერლის სული უცაბედად დაილია აბსტრაქციებს შორის, მოიწყინა სიტყვათა ლაბორატორიაში. ამასთან მისი ჩამქრალი მზერის წინაშე უსასრულოდ ხდებოდა ფერადოვანი ცისარტყელის შუქტება და განა მწერლისათვის გამოსავალი არაა მაყურებელთა შთაბეჭდილებების აღქმა დაკვირვების ცოდნა? სინათლისა და ფერის მოქმედება განთავისუფლებულია. იგი ამხუბუქებს სულს წარმოაჩენს მშვენიერ აზრს. ამგვარად თავშეკავებული და აღზრდილი ევროპელი, მოხვედრილი ქვეყანაში, სადაც არემარე თავისუფლად ჰყვავის და შიშველი ველურები ცეკვავენ მხეზე — აუცილებლად უნდა გამოცოცხლდეს და შინაგანად უნდა წაიცეკვოს, თუ ის ჯერ მთლად არ არის სულგაღებული. ზემოთ წარმოთქმული არ ამცირებს მწერლობას. პირიქით, უფრო ნათლად წარმო-

1. არაზუსტი ციტატა მ. ი. ლერმონტოვის ლექსიდან „ფიქრი“.
 2. მე ვფიქრობ, რომ მთელ რუსულ პოეზიაში ძალზე შესამჩნევია მისწრაფება განყენებულისაგან განდგომისა და კონკრეტულთან და ხორცშესხმულთან კავშირის დამყარებისა. ცოცხალი ყვავილის სურნელების შთაბეჭდი სენი.

ჩნდება საწინააღმდეგო: ფერწერა ხალისით უწვდის ხელს ლიტერატურას და მხატვრები წერენ წიგნებს (როსეტი, გოგენი)¹, მაგრამ ლიტერატორები ჩვეულებრივ იბღინებებიან ფერწერის წინაშე და არ ხატავენ. იტყვიან, რომ ფერწერა უნდა ისწავლოთ: მაგრამ ზოგჯერ უკეთესია დახატო რამდენიმე ზუჭუჭიანი ბავშვი, ვიდრე დაწერო ძალზე ტყვადი ნაშრომი: მეორეც—შეიგრძნო რაღაც განთავისუფლება ხატვით, მაგალითად, პუშკინი, როცა გამუდმებით ხატავდა ქალის მომხიბლავ პროფილს. მას ხომ არ უსწავლია ხატვა თუმცა ის ბავშვი იყო.

მშვენიერია მხატვრის თავისებური, მკვეთრადცვალებადი სტილი. ისინი მოგვმართავენ სიტყვებით, როგორც ბავშვები; ბოროტად არ იყენებენ სიტყვებს მოკლედ ამბობენ სათქმელს. უპირატესობას ანიჭებენ კონკრეტულ ცნებებს, ფერებითა და ხაზებით გამოხატულთ (ხშირად წინადადების საფუძვლები — არსებითი სახელი და ზმნა — ერთმანეთს ემთხვევა. პირველი ფერს, მეორე ხაზს). ამიტომაც მათ შეუძლიათ უბრალოდ და ბავშვურად გადმოსცენ სათქმელი. ამიტომაცაა ეს ძველი საჩივრები სიახლით აღსავსე, რომლებსაც მწერალი ინახავს სულში. მან უნდა ეძებოს მათი სიტყვიერი გამომსახველობა, და აი, ის მათ ეძებს და უკვე ივიწყებს ყველაზე კეთილშობილურ ტკივილს, და ის უკვე იწყებს ლპობას მის სულში, უმისოდაც დატვირთული, როგორც თავის დროზე მოუწყვეტავი ნაზი ყვავილი.

ფერწერა ასწავლის ბავშვებს. იგი ასწავლის სიცილს ძალზე ღრმააზრიან კრიტიკაზე. იგი ასწავლის უბრალოდ შეიცნონ წითელი, მწვანე, თეთრი.

აი, გზისპირზე აგებული უბრალო რუსული ეკლესია. არაფერია მის არქიტექტურულ განლაგებაზე უფრო მარტივი და მუდმივი, სიტყვებით აღჭურვილ წარმოდგენას წარუდგება ისტორიის, რელიგიის, ყველა მძიმე მოვლენის ურიცხვი ფენა, რომელსაც გაუძლო რუსულმა ეკლესიამ გასაუღელ გზაზე. პოეტის წარმოდგენა ეძებს საკვებს, ყველგან აგროვებს თაფლს, ლექსში ასახავს არა პირველადვე თვალში მოხვედრილ ეკლესიას.

მაგრამ შე არ მინდა ვიყო ამაოდ დამაშურალი, ხავერდის მოუხეშავ ქურქში გახვეული ფუტკარი. ეს პირველად თვალში მოხვედრილი ეკლესია იყოს მთლიანად ჩემი და ერთადერთი, როგორც მეორე და მესამე. მაშინ მოვალე ვარ ვიცოდე, როგორ ვუმზირო მას და მზერით მიფერებისა და მიაღერებისას დაეხატო თუმცა სხვებისთვის გაუგებრად. მაგრამ ჩემეულად, რათა შემდეგ ამოვიცნო ნახატში ტაძარი და ჩემი საკუთარი თავიც: აი ეს, მარცხენა კარიბჭვა, ეს კი ჯვარია ფაქიზი ჯაჭვითა და ნამგალა მთვარეთი; ეს კი ის ბორცვია, რომელზეც მე ვიჯექი და ვჯღაბნიდი.

მხოლოდ ბუნების ხშირად მზერისას, ნებდები რა თავისუფლად აღსაქმელ და ნათელ სივრცეს. შეიძლება თავიდან მოიცილო გაურკვეველი და დაუჯერებელი აზრების სიტყვათა ლპობის შიმშეულობა. ფერწერას არ ეშინია სიტყვების იგი ამბობს: „მე ბუნება ვარ“, მწერალი კი დაღვრემილი სახით უხალისოდ იტყვის: „მე უნდა გადავასხვაფერო მკვდარი მატერია“.

მაგრამ ეს არ შეუფერება სინამდვილეს. უპირველეს ყოვლისა ყველაზე მკვდარია ფორმულის უხალისობა და განყენებულობა, რაც მთავარია, ცოცხალი და სხვადასხვა ჯიშის არსებებით დასახლებული ბუნება შურს ძიობს მისი ფერებისა და შორეთების უგულვებელყოფებზე — არა სიმბოლოებითა და მისტი-

1. ინგლისელი პოეტი და მხატვარი დ. როსეტი წერდა ლექსებს, რომლებშითაც განმარტავდა თავისი ნახატების აზრს, და თვითონვე ურთავდა ილუსტრაციებს თავისივე ლექსებს. პ. გოგენმა დაწერა წიგნი „ნოა-ნოა. მოგზაურობა ტაიტიზე“ (1900).

კურობით, არამედ თავის უბრალოებებში გამოხატული საოცრებებით. ვისთვისაც
 ჯერ უცნობია ტყეებში, მინდვრებში და ჭაობებში დასახლებული სხვა არსებები
 (ასეთი გაუთვითცნობიერებლები კი ვიცო ბევრი არიან) მან უნდა ისწავლოს
 დაკვირება.

როცა ისწავლიან — თვითონვე ყოველგვარი ცულის ხმარების გარეშე დაე-
 ცემიან მოჭრილი ხეები. მაშინ ზეცა აღარ იქნება გარღვეული, ხელე-კრიშტოვ-
 სის ძიების ღრმადმოაზროვნე სათამაშოებს ბავშვები ყველაზე შორეულ კუთხე-
 ში მიაგდებენ, უფრო მაღლაც: — ღუმელზე.

1905 წ.

ირონია

ჩვენი საუკუნის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე ფხიზელი ბავშვებიც კი დას-
 ნჯუღდნენ სხეულისა და სულის ექიმებისათვის უცნობი დაავადებით. დაავადება
 წააგავს სულთ ავადმყოფობას და „შეიძლება“ „ირონია“ ვუწოდოთ. იგი მუდამ
 ნდება ქანცისგამწვევ სიცილში, რომელიც იწყება გამჭირდავი პროვოკატორუ-
 ლი ღიმილით და სრულდება გაშმაგებითა და შეურაცხყოფით.

მე ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან სიცილით დაიხრჩონ,
ონტოლოგიური დასაბუთების ჩვენი გაგების ამ აბსტრაქტული დოკუმენტირების დასასრულს მის კიდევ ერთ ფორმულირებას მოვიტანოთ. ის ეკუთვნის დეკარტს. დეკარტე ღმერთის არსებობის იმ თავის ცნობილ დასაბუთებაში, რომელიც ჩვეულებრივ ონტოლოგიურ დასაბუთების კლასიკურ ფორმად მიიჩნევა, მხოლოდ იმეორებს ანსელმის (ზემოთმოყვანილ) ძირითად, საყოველთაოდ ცნობილ მსჯელობას, ოღონდ მასში იგი ღმერთის, როგორც „უდიადესი არსების“ ანსელმისეულ ცნებას „უხარულყოფილესი არსების“ ცნებით ცვლის, რაც არსებითად არ შეეღობს საქმეს, არამედ აღბათ, უფრო ანელებს დასაბუთების დამაჭერებლობას. მაგრამ დეკარტეს ღმერთის არსებობის კიდევ ერთი დასაბუთება აქვს, რომელსაც „ანტროპოლოგიურს“ უძახიან ზოლმე. მისი სრული საბით გამოტანა აქ არ გვჭირდება. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვჭირდება, რომ მის ამ დასაბუთების აზრთაწყობაში არის ისეთი აზრიც, რომელიც ნამდვილი ონტოლოგიური დასაბუთების არსებით მომენტსაც წარმოგვიჩენს. სახელდობრ, ჩვენი „მეს“ უპიკველობიდან „cogito ergo sum-ში“ რომ შეიჩინევა, დეკარტე ღმერთის უპიკველობაზე გადადის, იმ მსჯელობის მოშველიებით, რომელიც გვიჩვენებს, რომ უსასრულო სასრულზე უწინარესია. უსასრულო სუბსტანციაში, — ამბობს დეკარტი. — უფრო მეტია ყოფნა, უფრო მეტია დადებითი რეალობა, ვიდრე სასრულში და „მაშასადამე უსასრულოს ე. ი. ღმერთის აღქმაც ერთგვარად უფრო პირველადია ჩემში, ვიდრე სასრულის ანუ ჩემივე თავის აღქმა“. უსასრულოს ცნება სასრულის ცნებაზე უწინარესი უკვე იმიტომ არის, რომ თვითონ უმცირესობის, როგორც ასეთის ცნება სწორედ

უსასრულო უმცირესობის ტოლმნიშვნელოვანია, მაშინ როდესაც სასრული ყოფიერების ცნება ამ წოგადი ცნების შემოღებით მიიღება და იმიტომ მასთან შედარებით წარმოებულა, ამ თანაფარდობის გაუგებრობა წმინდა წყლის სიტყვიერი გარემოებებით არის გაირობებულა: ჩვენ უნდა „უსასრულო“ „სასრულს“ უარყოფითა მიღებული და ამ უსასრულიდან წარმოებულა გვეჩვენება; ხინამდვილეში კი ე. ი. არა ფსიქოლოგიურად, არამედ ლოგიკურად, თავისი საზრისის მიხედვით, საქმე პირიქითაა. უსასრულო ყოფიერების აღმნიშვნელი ნამდვილი საზრისის ადეკვატური ცნება „სასრულის“ უარყოფით მიღებულ აღქმას კი არ უნდა დაეფუძვნოს, არამედ ამ ყოფიერების „ყოველისმომცველი სასრულის“ აღქმას. ეს ჩვეულებრივ მხედველობიდან გამორჩებათ ზოლმე, რადგან უსასრულობაში მხოლოდ ჩვენი ცნობიერების განუხადვრელი წინსვლის, გინდა გაფართოების, უნარი იგულისხმება, მაგრამ ეს უნარი ან მისი შესატყვისი პოტენციური უსასრულობა, შეაკრად უნდა განირჩეს ღმერთის, ჩვენს მიერ შეცნობილი. აქტუალური უსასრულობისაგან, როგორც მის მიმართ წარმოებულა; მისი უსასრულობა სწორედ ჩვენი ადამიანური ცნობიერების ნაკლულოვნების ნიშანია, მაგრამ ვაცნობიერებ რა ჩემს თავს შემოსაზღვრულად, ამით იგრძნობ ვწვდები ღმერთის იმ აქტუალური უსასრულობის არსებობას, რომელიც მე მაკლდა და არ შეიძლება ამის წინააღმდეგ ითქვას, რომ ადამიანურ ცნობიერებას, რაკი ის შემოსაზღვრულია, უსასრულობის წვდომა ან გარემოცვა არ შეუძლიაო. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ნათლად შევაცნოთ უსასრულო არსების უინაბრისის მთელი სიხადვე, დავინახოთ უწვდომელი, რაც მასშია და ამ აზრით ჩვენი იდეა მის შესახებ ბუნდოვანია, მაგრამ უსასრულობის არსებობას, მყოფობას მაინც ვხედავთ და ამ აზრით ცნება მის შესახებ სრულიად ნათელი და თვითცხადია. შეიძლება ნათელი წარმოდგენა იქონიო სამკუთხედზე, მისი უწვდომელი გეომეტრიული თვისების გამოშხატეული მათემატიკური თეორემების მთელ ერთობლიობას კი არ იცნობდე.

ამ მსჯელობიდან ირკვევა, რომ დეკარტე, არსებითად, თავის „Cogito, ergo sum-ს“ ჩვენს მიერ შემოთ განვითარებული მიმართულებით ახსოვრებს ე. ი. ცვლის მას ფორმულით „Cogito, ergo est ens infinitum“. ჩვენ „მეს“, როგორც შემოსაზღვრული არსების, თვითცხადობა ლოგიკურად სულაც არ არის პირველადი თვითცხადობა; პირველადი პირიქით, უსასრულობის, ანდა რაც იგივეა, ყოფ-

ნის, როგორც ასეთის, თვითცხადობაა, მაშინ როცა ჩვენი შემოსაზღვრული „მე“ ახლა მხოლოდ ამ პირველდორედულ-უხასრულო უოფიერების ნიადაგზე მოიპოვება, მისი შეზღუდვის შეშვეობით, ცნობილი „Cogito, ergo sum“ პირველდორედულა დოგმატური კემპარატივა კი არ უოფილა, არამედ მხოლოდ პირველი უნიკლოგიური მდებარეობა უხასრულო უოფიერების ანუ ლმერტის პირველდორედულ თვითცხადობის გასარკვევად ეს უკანახკნელი დასკვნა დეკარტეს ბოლომდე არ პქონდა გაცნობიერებული — სხვანაირად ის იძულებული შეიქნებოდა ხელი აეღო მთელ თავის კლასიკურ წუობაზე. მთელი ახალი ფილოსოფიისეული ინდივიდუალიზმის, ახალი ისტორიის გუნება-განუობილებას და მხოფთგაგების კვაკუთხედად რომ იქცა, მხოლოდ მალბრანშმა შექმნა, ხწორედ დეკარტის ამ აზრთა წუობაზე დაურდნობით, სისტემა, რომელშიც ლმერტის, როგორც უხასრულო არსების პირველდორედულ უოფიერება ჩვენთვის აზრის, ჩვენი შემცნების და თვითშეშეგნების თვითცხადი და დოგმატური პირველსაფუძველია. მაგრამ დეკარტესთანაც ვხვდებით იდეებს, რომელიც, არსებითად, ემთხვევა მალბრანშის ამ მხოფთმხედველობას. „თუ მივაქცევთ უურადლებას უხაზღვრო და თვალშეუდგამ მადმოსილებას რომელიც ლმერტის იდეაშია — ამბობს ის Primae respocione-ში, მას უოველივით ამდენად აღმატებულად შევიცნობთ, რომ ნათლად დავინახავთ, ამ უოფიერების მიწეზე არაფერ სხვაში რომ არ შეიძლება იყოს, თუ არა თვითონ ამ იდეაში“. და ხწორედ ამიტომ არის ლმერტი თავისი უოფნის საფუძველი.

111

ონტოლოგიური დასაბუთების ამ გაგებშიდში, რომელიც ისტორიულადაც მის შემსაქმედრა იდეებს ემთხვევა (თუ უარს ვუტყვით მის მხ. ცხიან ფორმულირებებზე, რომლებშიც, ჩვენდა გასაოცრად, სახელი უტყლაზე, მეტად მოიხვეჭეს) ის გამომდინარეობს, რომ ონტოლოგიური დასაბუთება — როგორც დემოთ-ტიველიძემ, სხვა არაფერია, თუ არა ამბოლუტურის, როგორც ასეთის თანოცხადობის აღმარება. ის არ არის „დასაბუთება“ ჩვეულებრივად ააზრით ე. ი. არ არის დასკვნა; პირიქით, ეს არის ვაშმარობის უშუალო მიზნება. ხწორედ ამიტომ ის არ არის განუენებული, ვინების ერთდაგვარი უოუორობის ნაყოფი, ინტელექტუალიზმის, სქოლასტიკის და რაციონალიზმის ფილოსოფიის პროდუქტი. არამედ პირიქით, ის არის რომელიც პირველად და უშუალო მიხტმარობი ინტუიციის გამობატულება,

უხრლო ფორმულირება განუენებული, საგნობრივი ცოდნისაგან განხვევებული ინტელექტული ცოდნის თავისებულება. ონტოლოგიური დასაბუთების მთელი მნიშვნელობა არ არის, რომ ჩვენ იდეების დასაბუთების შემთხვევათ ლმერტის არსებობის უნიკლოგიური ვაუკვანოს, არამედ ხწორედ, უნიკლოგიური მდებარეობის არის ის არის, რომ „ლმერტის შესახებ“ ჩვენ დიხავ არანაპირი, თვითონ ლმერტისაგან განცალკევებული, იდეა ან ცნება, ლმერტის რეალობას რომ დაუპირისპირდება, არ შეიძლება გაგვანდეს. უველა სხვა საგნის შესახებ შეიძლება გვქონდეს იდეები, რომლებიც ონტოლოგიურად რაღაც სხვანი არიან, ვინეშ თვითონ საგნებზე და მხოლოდ „გამობატავენ“ მის „შინაარსს“. ლმერტი კი მხოლოდ მაშინ უიცით, როცა ის თვითონ, თავისი რეალობით ვიცხადდება. ლმერტის ჩვენი იდეა არ არის — როგორც ეს სხვა შემთხვევაშია ხოლმე — ლმერტის შესახებ ჩვენი იდეა, ის არის უხრლოდ, თვითონ ლმერტისვე სუფავა, შეუფოება ჩვენს ცნობიერებაში, მისი (ლმერტის) თვითაღმოჩენა, მისი გამოცხადება. საგნობრივი ცოდნა უოველივის განუენებულია, ვინების უცხო და გარეგანი რეალობისადმი მიმართული მისი შწერა მას „იდეის“ შემწევობით ამჩნევს და აქედან აღმოცენდება ჩვენი ჩვეულებრივი ცნება უოფიერებისა, როგორც საგნობრივი იდეის მიმართ გარეგანი უოფიერებისა. მაგრამ საგნობრივი ცოდნის საფუძველში სხვაგვარი ცოდნა ძევს — ცოდნა ცოდნა, რომელშიც არ არის გაყოფა სუბიექტისა და ობიექტის, იდეისა და საგნის შორის. ამ ცოდნა ცოდნაში „ჩვენ“ კი არ ვწუდებით რეალობას გარეთ ხედვით, არამედ რეალობა თვითონ ცხადდება ჩვენში და ჩვენთვის, თითქმის თვითონვე დაპარკობს თავის თავზე თავისი სუფავის შემწევობით. ამგვარად და მხოლოდ ამგვარად ვვძლევთ ჩვენ ლმერტის რეალობა, ლმერტის უოველივარი ხილვა არის თვითონ ლმერტის ჩვენში შეოფობა და თვითონ ლმერტის თითქოსდა ჩვენში აქტუალუცია.



ახე შევაფქვით ჩვენი ნააზრვის დასაწყისში მონაშნულ პრობლემას. ეს ვახლავთ ონტოლოგიურად დასაბუთების ცოდნა რელიგიურ რწმენასთან ურთიერთობის საკითხი. პირწმუნე ადამიანის ჩვეულებრივი და საცხებით ნაშარბლიან მისაზრებებით ეს რწმენა არის ერთდერთი, რაც ლმერტის არსებობას გვიდასტურებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ონტოლოგიური დასაბუთება არ არის რაციონალურ საწყისებზე დაფუძნებული, დასკვნით გაშუალებული და არც განუენებული არის არანაირ უოუორობას არ შე

იყავს, პირველად, ეს მხოლოდ უშუალო მისტიკური ხილვის რაციონალურ ანგარიშგებას წამოადგენს და, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ახლოა რელიგიური რწმენის ცოცხალ ბუნებასთან, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. ამით ის არსებითად და პრინციპულად განსხვავდება ღმერთის არსებობის „დასაბუთებათა“ ჩვეულებრივი ნიშნებისაგან. მაგრამ აქ გარნილ ექვთა საფუძვლით გასაქარწყლებლად, უპირიანი კიდევ ორი საკითხი განვიხილოთ: 1. რა მიმართებაშია ის, რაც ონტოლოგიური დასაბუთებისას „ღმერთში“ იგულისხმება, რელიგიური რწმენის ღმერთთან? 2. რა მიმართებაშია რელიგიური რწმენის ხულიერ არსებობასთან იმ ინტუციური აქტის ბუნება, რომელ აქტშიც ონტოლოგიური დასაბუთება ღმერთის თვითცხადობას ხედავს?

ძირითადი ექვი პირველი საკითხის მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ ონტოლოგიური დასაბუთებით მხოლოდ აბსოლუტურის არსებობა ანუ აბსოლუტური არსებობა დასტურდება, მაგრამ არამც და არამც რელიგიურა რწმენის ცოცხალი ღმერთის მყოფობა — პასკალის სიტყვებით რომ ვთქვათ, დასტურდება მხოლოდ „ფილოსოფოსების ღმერთის“, მაგრამ არა „აბრაამის, ისააკის და იაკობის ღმერთის“ არსებობა. ეს შემოდავება ძირითადად შარტონისა და ჩვენ გულახდილად უნდა ვადიაროთ მისი ძალა. აქ ერთადერთი საკითხი რჩება გასარკვევი. რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ეს ორი ცნება? ისინი რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, მაშინ ონტოლოგიური დასაბუთება, როგორც ღმერთის არსებობის დასაბუთება, ყოველგვარ ძალას დაკარგავდა და თავის მიზანს ვერ მიაღწევდა. ხინამდვილეში კი განსხვავებას შთა შორის — რომელიც პასკალმა რადიკალური მისტიკური განათების თუ ხილვის შედეგად პირველ დაპირისპირებად აღიქვა — არა აქვს ასეთი დამპირისპირების ხასიათი. „ფილოსოფოსების ღმერთისა“ და „აბრაამის, ისააკის და იაკობის ღმერთის“ შორის არსებითი განსხვავება კონკრეტულობის ხარისხის თვალსაზრისით არსებობს, მაგრამ ნიშანთვისებათა შეუთავსებლობაზე დაფუძნებული დაპირისპირება შთა შორის არ არის. შარტონაც, როგორცა ღმერთის ატრიბუტები, რომლებიც ონტოლოგიურა დასაბუთებით იგულისხმება და რომელთა თვალსაზრისითაც ის განმარტავს? ღმერთი, როგორც აბსოლუტური ყოფნა ანდა ყოველისმომცველი ერთიანობა, აღნიშნავს — როგორც ეს უკვე ამ დასაბუთების მოყვანილ ნიშნებიდან ჩანს — ქვეშარტად მყოფს ანდა პირველარსებულს, ერთიანს, შარადს და ყველგან-

მყოფ საწყისს, — ატრიბუტებს, რომლებიც რელიგიური რწმენის ღმერთის ცნებასაც გააჩნია. ღმერთი ნიშნავს აგრეთვე კონკრეტების შუქს, ხაწყისს, რომლის ძალთაც აზრი და შეცნობა არის შესაძლებელი. (შდრ. მაინცდამაინც შემოთმოყვანილი მსჯელობა — ვინტისი — იგი სწორედ ამ გზით მივიღოთ — სიტყვა-სიტყვების ლოგოსის ფილოსოფიურ დაფუძნებამდე — და აქვე ქვემოთ მოყვანილი აზრები ნეტარ ავგუსტინესი) შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ აბსოლუტური დასაბამი ანუ ყოფნა (როგორც ეს თითქოს მისი სახელის ეტიმოლოგიურ ნიშნებსაც ეტყობა) პიროვნულ, ცოცხალ ღმერთისაგან განსხვავებით, უპირიანობა — რაღაც უპიროვნო „იბნია“ და არა პიროვნული „მე“ ან „შენ“ — მასზე მიმართული ადამიანური ცნობიერებისათვის). მაგრამ ეს ასე არაა. უპირველესად ყოველისა, ღმერთის იდეის უპირიანობა აბსოლუტურობა, ანდა ღმერთის, როგორც აბსოლუტურობის იდეა, უკვე წმინდა ლოგიკურად გამოიყვანება, რომ ის ორიდან პირიპირი კატეგორიაში ჩატეოს, ის ყველა არსებულს უკლებლივ მოიცავს. უპიროვნო ის არის, რაც პიროვნულს უპირისპირდება, ამ სახით ის ყოფიერების ნაწილის თვისებაა და აბსოლუტური ან ყოველისმომცველი ყოფიერების მნიშვნელობას ვერ დაიჩემებს. ყველაზე უშალ, მაშასადამე, ღმერთის ცნება ონტოლოგიურ დასაბუთებაში ამ განსხვავებაზე მალდა დგას და მის მიმართ თითქოს ნეიტრალურია. მაგრამ საკითხი ამით არ ამოწურება: რაკი ონტოლოგიურ დასაბუთებაში ღმერთისაკენ მიმავალი გზა ჩვენი ცნობიერების ხილვებზე, შინაგან გამოცდილებაზე გადის, უფლებამოსილები ვართ ვთქვათ, რომ ღმერთის, ამ დასაბუთების შერეულობის ხილვები. იდეა პიროვნული ყოფიერების დასაბამთან უფროა ახლოს, ვიდრე უპიროვნო, შარტონალურ, ბუნებრივ სამყაროსთან. ცხადია, ონტოლოგიური დასაბუთების ღმერთი არ არის პიროვნება, თუ ეს ცნება ადამიანის მიმართ გამოყენებული პიროვნების იბნია. არამედ ამ შხრივ ის სწორედ იმას გულისხმობს, რაც რელიგიური რწმენით საბუთდება: 1. ღმერთის მიმართ ნებისმიერი იმ კატეგორიის ადამიანობის გამოყენების შეუძლებლობას, რომელიც ძალაშია ქმნილებათა სამყაროსადში — რაც შთელი „უარყოფითი დვთისმეტყველების“ ძირითადი აზრია, რომელიც, როგორც ცნობილია, ორიგენის და დიონისე არეოპაგელის დროიდან ქრისტიანულ დვთისმეტყველების ურყევი საფუძველი გახლავთ. 2. ღმერთისთვის შეუღლადულობის მომენტის შეუფერებლობას. ასეთი შეუღლადულობა ადამიანური პიროვნების ნიშანთვისებაა. ამ აზრით უადრებად საგულისხმოა ნეტარი

ავგუსტინეს სიტყვები: „ნუ ეძებ ღმერთს გა-
რეთ — კეშმარტება შენა ცხოვრობს, ჩადრ-
მადი შენს თავში და იქ, სადაც შენს თავს
შეზღუდულს ჰპოვებ, შენი თავის საზღვრებს
გადადი“. ღმერთი პირად, შინაგან გამოცდი-
ლებაში მუდავნდება, როგორც პიროვნული ცხო-
ვრების წყარო და საფუძვლი — ოღონდ იმ
პირობით თუ შეს, როგორც ერთი ადამიანის,
ინდივიდუალური ცნობიერების, შეზღუდულ
ფარგლებს გარეთ გაგაღო.

ცოცხალი, პიროვნული ღმერთის რწმენის
ონტოლოგიურ დასაბუთებასთან შეთავსებადო-
ლის შეტყვევლ ნიშნად გვევლინება (ღმერთის
მისტიკურ-შერაცხონადღურ და არა რაციონა-
ლიზირებული გავების პირობით) ნეტარი ავ-
გუსტინეს ის განაზრებანი, რომლებშიც ონ-
ტოლოგიური დასაბუთება შედგანდება, როგორც
გნა რწმენისაკენ. ცნობილია, რომ ნეტარი ავ-
გუსტინე ღმერთის რწმენაწადე მიდის იმ გზით,
რომლითაც მოგვიანებით დეკარტი გვიტოპო-
ნდა ღმერთის არსებობას — ხაზელდობრ თვით-
ცნობიერების, თვითცნობის გამოკვევის შეშ-
ვეობით; სწორედ ავგუსტინეა და არა დეკარტი
„Cogito, ergo sum“-ის შემოქმედი, რაქ
თავის დროზე უკვე აღნიშნა იანსენისტმა
Arnauld-მა, ხოლო უახლოეს ლიტერატურაში—
დილთაიმ მის Einleitung in die Geisteswis-
senschaften-ში (1888 გვ. 122. და შემდეგ).
„არის თუ არა ბაერში ან წყალში სახიცოცხლო
ძალა, ამაზე ადამიანები შეიძლება კოჭმანობდ-
ნენ მაგრამ ვინ შეეკვდება, რომ ის ცოცხლობს,
იხსენებს, გებულობს, სწადრა, ფიქრობს, იცის
და სჯის? თუკი კოჭმანობს, მაშასადამე, ცოც-
ხლობს, მაშასადამე იხსენებს, თუ რატომ
ეკვობს, ხვდობს, რომ არაფერი იცის, გჭრბს,
არაფერი შეუშოწმებლად არ უნდა ვალიარო“.
„უოველგვარი ხატების ან წარმოდგენების მო-
შველიების ვარდზე. ჩემთვის აბსოლუტურად
ცხადია, რომ — ვარ, რომ შე ეს ვიცი, რომ მიყ-
ვარს. ამ კეშმარტების მიმართ სულაც არაა
საშიში აკადემიკოსების (ე. ი. სკეპტიკოსების)
არგუმენტები, რომლებიც ამბობენ: ვოქვათ,
არასწორად სჯი, მაშინ? თუკი არასწორად ვსჯი,
ხომ მაინც ვარსებობ, რადგან ვინც არ არსე-
ბობს, ვერც ვანსჯის... მაგრამ თუ ჩემი მყოფო-
ბა იქედან გამომდინარეობს, რომ შე არასწორად
ვსჯი, იმაში როგორღა შევადებო, რომ ვარ,
როცა ჩემთვის ჩემი არსებობა თვითონ იმ
ფაქტით არის უბეჭედი, რომ შე არასწორად
ვსჯი?“ მაგრამ ავგუსტინე დეკარტეს საპირის-
პიროდ იმთავითვე ხვდება, რომ პირადი თვით-
ცნობიერების ეს თვითცნობა სხვა უფრო პირ-
ველძირეული თვითცნობადანა წარმრებული.
ჩემი უოფიერება და ჩემი ცოდნა ამ უოფიერე-

ბის შესახებ — ორი მომენტი, რომლებითაც
ჩემი თვითშეგნება აიწყობა — ცხადია, წინას-
წარ გულისხმობს, ერთის მხრივ, თვითონ უო-
ფიერებას, მეორეს მხრივ თვითონ ცოდნას ანუ
შეშმარტებას. პირველძირეული უოფიერება,
უოფიერება თავის თავად, არის ღმერთი: ვაფი-
ლაფერ დახარჩენს ნაწარმოები უოფიერებას,
ისინი უოფიერებას ღმერთისაგან დებულობენ,
მაშასადამე, ისინი მხოლოდ ნახესობის სახით
არსებობენ. უველა დანარჩენი (მათ შორის ჩემი
„შეც“) „თუშეცა კი პრის ვინაიდან შენგან გა-
მოდის, მაგრამ ამახთან ერთად არც არის, ვი-
ნაიდან არ არის ის, რაც შენა ხარ.“ ღმერთმა
თვითონვე განბარტა თავი ძველადტქმისეულ
გამოცხადებაში, როდესაც ბრძანა: „მე ვარ
ღმერთი მყოფი, რომელიც ვარ“ (გამ. 8, 14)
და სწორედ შეშმარტად არსებულის ეს არ-
სებობა და არა „ჩემი მყოფობა“ არის პირველ-
ძირეული უბეჭედილობა. ასევე უბეჭედი თვი-
თონ შეშმარტების არსებობა: „უოველი კაცი,
რომელიც ხვდება, რომ ეკვობს, რადაც კეშმა-
რიტს აღიარებს და დარწმუნებულია, რომ ის
ხვდება... მაშასადამე, უოველი, ვინც ' ეკვობს,
არსებობს თუ არა კეშმარტებაო, რადაც კეშმა-
რიტის შქონეა, ხოლო რადაცა კეშმარტი სხვა
რამით ვერ იქნება ასეთი, თუ არა კეშმარტი-
ბის ძალით“. სწორედ ამ გზით, იმ კეშმარტი
მყოფობის თვითცნობის დანახვის გზით,
რომელიც ამასთან „შინაგანი ნათელი“ და
„შეშმარტების უცვალეხელი ნათელია“, მონ-
და ავგუსტინეს რელიგიური მოქცევა, უცაბედი
გამოაშეარაება და ხილვა ადამიანის სულში
ღმერთის აშეარა და მარადი მყოფობისა, რის
შესახებაც ასე დრამატულად მოგვითმრობს
მისი „აღსარების“ შეშედე წიგნი: „და ვთქვი
ჩემს გუნებაში: ნუთუ კეშმარტება არააა,
მხოლოდ იმითომ, რომ ის არც სახრულ და
არც უსახრულ სივრცეში არ განეფინება? და
შენ შორიდან მარტვი: დიახ, ის არის. შე ვარ
მყოფი და შე მესმა, მესმა გულით და უოველგვარი
ეჭვები გამეფანტა. უმაღ ღმის სისოცხლადში
შევეხვდებოდეო, ვიდრე შეშმარტების
არსებობაში“. ასეთია შეშეგონებითი, გუ-
ლითადი რელიგიური ინტუიცია. ავგუსტინეს
რომ ცოცხალი ღმერთი აღმოჩენინა; იგი ონ-
ტოლოგიური დასაბუთების შემოთგადმოცემულ
არსებას ემთხვევა. აბსოლუტური, ინტუიცოუ-
რად, შინაგანი გამოცდილებით წვდომადი უო-
ფიერება — როგორც უოფნის და ცოდნის ერ-
თიანობა — ონტოლოგიური დასაბუთების სა-
ძირკველში ჩადებული ეს ცნება, უოფიერების
იმ იდუმალ გულისგულს ემთხვევა, რომელიც
ცოცხალ, პირად რელიგიურ გამოცდილებაში
შეღავნდება, როგორც ღმერთი.

საკითხს აქვს ერთი მხარეც, რომელშიც თა-
 ვისუფლებად შეიძლება ექვს ადგილმას. ინტო-
 ლოგიურ დასაბუთებას მნიშვნელობაში აშკარად
 ღმერთის დახმაც ინტოლოგიური ცნება,
 ღმერთის იდეის ინტოლოგიურა მომენტი აქვს.
 ღმერთი მასში უმცირეს (და ცოდნის) პირ-
 ველნაფუძველია, მაგრამ ეს დასაბუთება, რო-
 გორც მანს, მთლიანად გვერდს უვლის ღმერთის
 ცნების ადსამოლოგიურ მომენტს — მის
 უმცირესადამთილობას. ღმერთს, როგორც სი-
 კეთის პირველწყაროს. უფრო მეტიც: ღმერ-
 თის, როგორც უმცირესადმთლიანი უოფიერების
 პირველსაფუძვლის, როგორც უოფიერება არსე-
 ბულის პირველფრთხიანობის იდეა, ღმერთს
 უმცირესადმთლიანი ხამუაროული რეალობის წყაროდ
 აჩვენებს და მათ შორის ბორბობის წყაროდაც.
 არ არის საჭირო მივანუბნოთ ანდა მივჩქმა-
 ლოთ: ხიძნელე, რომელზეც ეს ექვს მიუთი-
 თებს. ინტოლოგიური დასაბუთების ეს რედაქ-
 ცია, რომელიც (როგორც დეკარტესთან) ღმერ-
 თის როგორც „უსრულყოფილესი არსების“
 ცნებიდან ამოდის, საქმეს არ შეეღობ, რადგან
 არც ცნების გამოურკვეველ გაიგივებაზე —
 ინტოლოგიური სრულყოფილების (ინტოლოგი-
 ურს სიმდიდრის უხანსრულობის, მარადიულო-
 ვის) და აქსიოლოგიური სრულყოფილების გა-
 იგივებაზეა დაფუძნებული. ხიძნელე, რომელ-
 თანაც აქა გვაქვს საქმე, საბოლოო ანგარიშით,
 ბორბობის ანუ თამოღობის პრობლემის სა-
 ურსო. ხიძნელეა და რაციონალურად ხუდაც
 არ გადაიკრება. ღმერთის არსებობის დასაბუ-
 თების ან ღმერთის არსებობაში დარწმუნების
 ამა თუ იმ ხერხისაგან სრულიად დამოუკიდებ-
 ლად, რელიგიური ცნობიერება საბედისწერო
 ანტიმთიის წინაშე დგას: როგორ შეთანხმოს
 ღმერთის უმცირესადმთიერება (ღმერთის, რო-
 გორც პირველსაფუძვლის ანდა უოფიერგარი
 უოფობის შემოქმედის იდეა) მის უოფიერება-
 ბიერებასთან. რელიგიური აზრის ინტორიაში
 მანქვეშიდან და გნობტიციშიდან მოყოლე-
 ბეული და უახლოესი მიმდინარეობებით დამ-
 თავრებული (მაგალითად ქრისტიან) ცდა არ და-
 უვლათ ანტიმთიის ერთ-ერთი წევრის უარ-
 უოფის გზით ამ ვორდის კვანძის გადასჭრე-
 ლად, ანუ ღმერთის უოფიერებას ბარქვე
 მის უმცირესადმთიერების უარსაყოფად. რე-
 ლიგიური ცნობიერება ქრისტიანული ეკლესი-
 აში, წმინდა რელიგიურ საფუძველზე დაურდო-
 ბში ფუფუნად და გადაკრით უარყოფს ამ გამარ-
 ტებულ გადაწყვეტილებას. ცხადია, რელიგი-
 ურს ცნობიერება მით უმეტეს ვერ აგუბს
 ხამინააღმდეგო გამოსავალს — რელიგიურ
 ამორალიზმს, ღმერთის უოფიერებას
 ცნობიერებას მისი უოფიერებას ბარქვე;

ამ უფრო აშვით აზრთაწყობას, მაგალითად,
 სინოზის პანთეიზში ვაწყობით. ეკლესი-
 ას ტრადიცია — რომელიც განსაკუთრებულ
 თვალსაზრისით ხწორედ ანტიმთიის ეკ-
 ლესიის მამებმა განამტკიცეს, ამ რაციონალი-
 ტურ გამოუბრალოებლად, ტრადიციის ხაი-
 რისააროდ დაბეჭდული უმცირესადმთი-
 ხაბოლოო ანგარიშით, უოფიერების უკანს-
 ნელ, ჩვენთვის რაციონალურ შთაუწყვედომელ ს-
 ლრმეებში უოფიერება უოფიერებასაბიერე-
 ბას ემთხვევა ანუ მოფნა (შეკმარობი, საბოლოო
 მსტიკური აზრით და განხვავებით ემპირიული
 არსებობისაგან) და საბიერება ერთმანეთს ემ-
 თხვევა; ხხვავარად რომ ვთქვათ, ბორბობას,
 რომელიც ემპირიულად რეალობია, კეშმარობი
 ინტოლოგიური ძირები უოფიერებაში არა აქვს
 და „არარა“, მირაუი, ცთუნებაა. ხაიდან შეიძ-
 ლებოდა საერთოდ გარენილყო წმინდა უოფი-
 ერების პირველდაწყებითი ბატონობისა და
 არსებობისა, ამგვარი არ არსებობა, რომე-
 ლიც არ არის უბრალო არარა, რადგან შეუძ-
 ლია ემპირიულად არამარტო ვარსებებს, არა-
 შედ უზარმაზარი ძალაც იქონიოს და თითქმის
 ლაიმორჩილოს კიდევ შექმნილი რეალობა
 („ქვეუანა ბორბობისა დანთქმული“) ხწორედ
 ამაშია თეოდეციის რაციონალურად საერთოდ
 გადაუწყვეტადი პრობლემა. ეს მხოლოდ რეა-
 ციონალური რელიგიურ-მისტიკური გამოცდილ-
 ების გზით შეიძლება. ამ გადაწყვეტილების აზ-
 რი, უოფიერ შემთხვევაში, ახა, რომ არსებუ-
 ლის უღრმეს პირველსაფუძველში მოფნა და
 სიკეთე ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენი განაზრე-
 ბისათვის ეს სრულიად საკმარისია, ეს არა
 მარტო აზრ მოწმობს, რომ ღმერთის ცნება ინ-
 ტოლოგიურ დასაბუთებაში არ ეწინააღმდეგე-
 ბა ღმერთის რელიგიურ, კერძოდ ქრისტიანულ
 იდეას, არამედ — და ეს უფრო არსებითა — იმა-
 ხაც, რომ ინტოლოგიური დასაბუთების გზა-
 პირველძირეულ, აბსოლუტურულ უოფნაზე ცნო-
 ბიერების თვალის მიპრობა — რელიგიურა გა-
 მოცდილების გზას ეხადება და მას იმავე მიწ-
 ნისაკენ მივყავართ, ხაითაც ამ უკანასკნელს: უო-
 ფიერების უკანასკნელი ხიღრმეების მისტიკურ
 განცდაში გაქარწყლების, უოფნასა და საბიერე-
 ბას შორის არსებულ ამ დუალიზმის გაქრობი-
 ხაკენ, რომელიც გადაუღებავია რაციონალურა
 ცნობიერებისათვის. ბოლო ის, რომ „ინტოლო-
 გიურ დასაბუთებას“, როგორც შერაცონალურა
 ინტუიციის რაციონალურ ანგარიშებას, არ შე-
 უძლია ამოწმობს ამ ინტუიციის მთელი ხის-
 ვსე და მხოლოდ მის გამარტოებულ სქემად
 რჩება — იმთავითვე ნათელია უოფიერ კაცი-
 თვის, ვხსაც შეგნებული აქვს რელიგიური გან-
 ცდის რეაციონალურობა და ერთნაირად შე-

საწყნარებელია სიტყვებსა და ცნებებში გამოხატული ყოველნაირი დვთისშეტყველებისათვის. ახლა მივუბრუნდეთ მეორე კითხვას — რა როლშიდგენიან მათი მნიშვნელობა ონტოლოგიური დასაბუთება — უბრალოდ, თითქოსდა ლოგიკურად გარდაუვალი ცოდნის რომ გვაძლევს — რელიგიური რწმენის აქტის, როგორც ღმერთის თავისუფალი, არაფრით აძულებული იმ აღიარების ხასიათის, რომლის დირებულებაც სწორედ ისაა, რომ აქ რაციონალურად არაუგველია და არადასაბუთებადი რამ რწმენის საფუძველზე შტაკოდება. მშორად ეს თანაფარდობა ისე იაზრება, რომ რწმენასა და ცოდნას შორის, არსებითად გადაუღებადი უფსკრული იგულისხმება და მათ რწმენის საგანი იქნება ვერ იქნება ცოდნის საგანი, და ასევე პირიქით. ახლანდელი გონებრივი ცოდნის საერთოდ პრინციპიალურად უარყოფს ღმერთის არსებობის „დასაბუთების“ არა მარტო ყოველგვარ ცდას, არამედ რწმენის, როგორც თავისუფალი, არააძულებული წინეობრივი აქტის თავისებურების უზრუნველყოფის მიზნით, ღმერთის უბრალოდ არსებობის შტაკოდებას ყოველგვარ მცდელობასაც, იმ ფაქტზე შიშით, რომ თვით წმინდანებსაც კი, როცა ეკვები მოსძალებოდათ, ღმერთის მყოფობის უბრალოდ აღმოჩენით კი არ უჭობნიათ მათ თავს, არამედ ნებელობას საარაკო ძალისხმევით, ასკეტური ზმირობებით, რითაც — უკველგვარო გონებრივი თვალსაჩინოების ხაბირისპირად — აღადგენდნენ ღმერთის თავიანთ რწმენას.

რომ ღმერთის არსებობის „შტაკოდებაში“, სიტყვის ჩვეულებრივი აზრით, შტაკოდება, რომელთაც გამოიხატება, წინაშეაგდების დანახვითან ლოგიკური კავშირის გზით ღმერთის არსებობის ირამ ხაზუთამდე მიგვაყვართ — თავისი საგნის არაადექვატურია და არავითარი ნაშედეგი ძალა არ გააჩნიათ — ეს შემთხვევით სავითონ ვადიარეთ, როცა მივუთითებ, ონტოლოგიური დასაბუთების დირებულება სწორედ ისაა, რომ ის დასკვნა კი არა უშუალო თვალსაჩინოების ონტოლოგიური ჩიღვისადმი ცნობიერების მიმართება გახლავთ-შეთქი. ამ აზრით ონტოლოგიური დასაბუთება ჩვენთვის ღმერთის არსებობის ხაერთოდ მართამდმართი შესაძლო დასაბუთებაა. ვინაიდან და რადგან ყოველგვარად სწორი რაციონალური დასაბუთება საბოლოო ანგარიშით (რაციონალური და-

სკვნის უშუალო ონტოლოგიაზე დაუკანადობის ძალით) მისი სწორი კონსტრუირების შემთხვევაში თავის თავად მიგვაყვანს ონტოლოგიური დასაბუთებასთან, ამიტომ აქ ახლა დავგვიჩინოთ, მოკლედ მივუთითოთ ღმერთის არსებობის ემპირიული დასაბუთების უზრუნველობაზე. რას ხაზინაც არ უნდა იყოს ღმერთის არსებობის ემპირიული დასაბუთება და როგორც არ უნდა წარგმართოთ იგი, დასკვნას ღმერთის მყოფობის შესახებ ის საშუალოდ ყოფიერების რამელიმე ფაქტის ან თანაფარდობისაგან აკეთებს. მაგრამ ყოველ ახეთ დასაბუთებას ბორკეტის ან თუნდაც საშუაროს არასრულყოფილების ფაქტი აბათილებს. მარმონიის, სრულყოფილების, მაშინვეწონილობის და შეადამიანური სიბრძნის როგორი კვალიც არ უნდა შევნიშნოთ საშუაროში, ის ფაქტი, რომ ქვეყნად უვლადურა სრულყოფილია და მარმონიული მაინც არ არის და რომ საშუაროში შემთხვევითობა, უაზრობა, დისმარმონია და პორტა ბატონობს, დასაბუთებას ყოველგვარ დამარწმუნებლობის ძალას უკარგავს. ღმერთის მყოფობის ამდაგვარი დაფუძვნებისაკენ განსაკუთრებით ანტიკური ცნობიერება იყო მიდრეკილი, რამეთუ ის არაჩვეულებრივი სიმწვაით გრძობდა საშუაროს ესთეტურ სიდიადეს და მარმონიას (შეადარეთ ციცერონის „Somnium Scipionis-ში“ შემონახულ შეხანიშნავ ნაწყვეტს არისტოტელიდან) ფსიქოლოგიურად ეს იმით განისაზღვრებოდა, რომ ანტიკური ცნობიერება არასაკმარისად შეიგრძნობდა პიროვნების წინეობრივი მოთხოვნების აბსოლუტურობას. (მეორეს მხრივ, ანტიკური აზრი, როგორც ცნობილია, აღხაზეკოსშიურ ყოფაში ადამიანური ბედის გამოუვალე ტრაგიზმის პესიმიზმისტური შეგნებით). (კოპულარული ცნობები საამისო მონაცემებზე იხილეთ ნ. ს. არხენიევის წიგნი „ნაშედეგი ყოფიერებას წუურვილი“). ქრისტიანულმა ცნობიერებამ თითოეული ადამიანური პიროვნების და საბოლოო ანგარიშით, შესაძლო ხაერთოდ ყოველი ცოცხალი არსებას აბსოლუტური დირებულება დაამკვიდრა. მისთვის სოფლო მარმონია ვერ იქნება ღმერთის მყოფობის თავისთავად ცხადი მოწმე, რადგან ტრაგიზმის და უსამართლობის თვით ერთეული შემთხვევაც ის დებონანსია, რომელიც ერთბაშად არღვევს შთელ ამ მარმონიას. ერთი უდანაშაულო ბაეშუის ტანჯვის ცრემლი, ივან კარამაზოვის მარტებული და აუცილებელი შენიშვნის თანახმად, უფლებას არ გვაძლევს საშუარო „შევიწყნაროთ“, ანუ ის უკვე ღმერთის არსებობის „ემპირიული“ დასაბუთების უარყოფად გვევლინება. გრამინელი ფილოსოფოსის მაქს შელერის მართებული აზრით, ქვეყნად ერთი ტანჯული არსების

1 ამ თანაფარდობის დაფუძვნება, რაც ლოგიკის საერთო პრინციპებს განუკუთვნება, ძალიან შორის წაგვიყვანდა; ეს მოვიმიჯმედე ჩემს წიგნი „ყოფნის საგანი“, თავი V (გვ. 181—208) და დამატება, გვ. 437—443.

ყოფნაჲ კი — თუნდ ის დათრგუნული და
 ტყვედით წელმოწყვეტილი ადაშიანი იყოს —
 მთელ სამყაროულ ჰარმონიას გადახრანს,
 როგორც უკუშედეგი. ადამიანს ხულისთვის
 რომ სამყაროს აგებულების შეცნობიდან დაშ-
 რისკენ მიმავალი მხოლოდ ეს არიბი გზა იყოს
 გაკვალული, მაშინ უდავოა ერთადერთ უფ-
 ლესამოსილ მიმოთვლად მხოლოდ ათეიზმი და-
 რებოდა. — „არც ისე სანუგეშო სისტემა, —
 თუ ახალგაზრდა პუშკინის სიტყვებით ვიტყ-
 ვით, — როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ ხოლ-
 მე, მაგრამ, საუბედუროდ, უველაზე მეტად სა-
 რწმუნო.“ და პირწმინდად შეცნირულ თვალ-
 საზრისზე კდგარი ლაპლასიც სულაც არ იყო
 შტუტინი. როცა თავის ცნობილ ქახუბს ამ-
 ლედა ნაპოლეონს კითხვაზე: რატომ არ იბ-
 ხენიებ ღმერთს, როცა პლანეტარული სისტე-
 მის წარმოშობის შესახებ მსჯელობ: „Sire,
 je n'avais pas besion be cette hypotese.“
 მაგრამ ხულ სხვაგვარად უნდა შევაფასოთ
 ის ჩვეულებრივი თვალსაზრისი, რომელიც გა-
 დაულაბავ წინააღმდეგობას. გულისხმობს
 რწმენას და ღმერთის არსებობის თვითცხა-
 დობის ინტუიციურ გეგვას შორის. სიტყვა
 „რწმენა“ ორნაირად შეიძლება გავიგოთ და
 მისი ეს ორი საზრისი ბაფიოდ უნდა გვარ-
 ჩიოთ ერთმეორისაგან. „რწმენა“ ჩვეულებრივ
 (არარელიგიური) აზრით შეიძლება ნიშნავდეს
 სუბიექტურ დაქვრებულობას მისი გამართლ-
 ების არარსებობის (ანუ მის გეშმარტებაში
 დარწმუნების შესაძლებლობის ობიექტური სა-
 ვუ ვლის არარსებობის) შემთხვევაში. ამ აზ-
 რით შეიძლება მტროდეს, რომ, მაგალითად,
 „ეს შურ წამოწმებული სამწელო საქმე გა-
 შიბავა, რომ შე მოვიგებ დატარებს, რომ სი-
 ბერძნულ ვიცოცხლებ და ა. შ. მაგრამ რწმენა
 ხულ სხვა რამესაც შეიძლება ნიშნავდეს: ერ-
 თდაგვარ უმეწელობას, ჩვეულებრივი, რაციო-
 ნალურა გზით რომ ვერ საბუთდება; მაგრამ უშ-
 ვალოდ იბილება განსაკუთრებულ სუფიერ გა-
 მოცდილებაში. ამ აზრით შე „რწმენა“ ნეშე შეგო-
 ბრის, მწამს, რომ ადამიანი, რომელსაც უშუადა-
 დ, ინტუიციურად აღვიქვამ, როგორც პატიო-
 ხან ადამიანს, უპატიოსნოდ ვერ მოიქცევა და ა. შ.
 სავსებით ცხადია, რომ რელიგიურა რწმენა გავ-
 ბულ უნდა იქნეს. როგორც რწმენა მეორე აზრ-
 თის ხარისხ საქმეთა მამბილებელ არაბილულ-
 თა, უშუალო დარწმუნება იმაში, რაც ჩვეულებ-
 რულია გზით. ე. ი. გრძნობადი გამოცდილებით ანუ
 რკვალანალურა აზრით შეუძლებელია დადას-
 ტურდეს. და ამასთან დაკავშირებით უპირიანი
 აღინიშნოს, რომ ონტოლოგიური დასაბუთება,
 არის რა აბსოლუტურის უშუალო ბედა, ის
 გზა ვახლავთ, რომელსაც სწორედ უწენაენი

კოდნის გაცხადებასთან ე. ი. კოდნის და რწმენის
 ურთიერთდამთხვევასთან მივუვართ. ამ დასა-
 ბუთების უმეწელობა იმ ჩვეულებრივ ურთი-
 ერთობაზე ამალლების უნარს გულსხმობს,
 რომელიც შემეცნებელსა და შემეცნების სა-
 განს შორის არსობს და განატონებულა ჩვენს
 ცნობიერბაში. ეს უმეწელობა ჩვენთვის ჩვე-
 ული, გრძნობადი გამოცდილებით ხელმისაწე-
 ღოში, საგნობრივი სინამდვილის ნაცვლად,
 რომლის მიშართაც ამ დასაბუთების გამოყენება
 არ შეიძლება („ახალი ტალერი“), აბსოლუტური
 რეალობის დანახვას ანუ იმ აბსოლუტური ცო-
 დნის განხორციელებასაც გულისხმობს, რომელ-
 შიეც რეალობა, როგორც შემოთ მივუთითეო,
 გარედან კი არ გვეძლევა იდეის შეშვიობით,
 არამედ უშუალოდ გვიშედავენდება.
 სწორედ ამიტომ ონტოლოგიური დასაბუთე-
 ბით დადასტურებული ღმერთის შუოფობის თ-
 ვისთავადობა არა მარტო შეთავსებადია
 თავისუფლებასთან, რწმენის აქტიურულ წნეო-
 ბრივ გმირობასთან, არამედ წინახწარვე სწო-
 რედ ასეთ თავისუფალ ნებელობით აქტს გუ-
 ლისხმობს. თავისუფლება აქ იმ ნებელობით
 დაძაბულობას განეკუთვნება, რომლითაც ჩვენი
 უურადლება შიბნიტებან უნდა მიეშართოთ,
 იმ სულიერო რეალობისაკენ, ჩვენში რომ
 მულავენდება და საზნობრივი სინამდვილის
 ჩვეულებრივ, თითქოსდა მიანოზურ ზემოქმე-
 დებას ზურგი ვაქციოთ, — იმ შემოქმედებას,
 რომელიც ვვიღვიპებს რწმენას, რომ ერთად
 ერთი „სამდვილა“ რეალობა გარეშე გრძნობა-
 დი სამყაროს რეალობაა. რომ დავინახოთ ხუ-
 ლიერო რეალობა და პირველადი უოფნა, რა-
 შედნაც ონტოლოგიური დასაბუთება. ესება,
 საქაროა პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ,
 „სულის თვალი ჩვენბრუნოთ“ ეს ჩაბრუნება
 არის ხავსებით თავისუფალი აქტი; ხაით მივშარ-
 თავთ ჩვენს უურადლებას, რას შიუვადებთ გუ-
 ლისყურს — ეს შთლიანად ჩვენზე და ჩვენი
 არსების შორალურ ძალებზეა დამოკიდებული.
 რაჟი გარეგანი გრძნობადი სამყარო ჩვეულებ-
 რივ თავისკენ აყრობს და ბოკავს ჩვენს უურ-
 რადლებას არა მარტო თავისი ჩვეულებრივობით
 და გარკვეულობით, არამედ, უპირველეს უოფ-
 ლისა, ცთუნებებით, რომლითაც ეს ჩვენს ნე-
 ბას ატყვევებს, ამიტომ თვალის ასეთი „ჩაბ-
 რუნება“. გარეგანიდან შინაგანისაკენ, გრძნო-
 ხადიდან ზეგრძნობადისაკენ, უოფიერების ზე-
 დაპირიდან მის უპარბკნელ ხილრშეშედ, სწორედ
 ნებისყოფის შორალურ დაძაბულობას შიით-
 ხოვს და ერთგვარი გმირობაა. უურადლებას
 წარშმართველი ნებისყოფის უოველი მოდუნე-
 ბინას, აბსოლუტური ასეც იოლად ქრება ჩვე-
 ნი ცნობიერებშიდან, ჩვენს სუბიექტურ ნააზრ-

ვად გვეჩვენებს და ინტელექტუალური დასაბუთება. ინტელექტუალურად ვეღარ შეგვიძლება ჩვენზე. მაგრამ თუკი ჩვენი გონებრივი ან სულიერი თავალი ამ სიღრმისკენაა მიპყრობილი, მაშინ იმის წინააღმდეგ, რასაც ის შეაჩვენებს, თვით-ცნადა ხდება. ინტელექტუალური დასაბუთების უმჯობესობა თავისი ხასიათით მთლიანად ემთხვევა, ამრიგად, რელიგიური რწმენის უმჯობესობის ხასიათს. კეშმარიტების შემჩნევის ფსიქოლოგიური სიძნელე არივთ მათგანში ერთხელ მოპოვებული კეშმარიტების საზრისისადა, ოგნივტურ თვალსაჩინოებასთან შედარებული. რელიგიური რწმენას, რომელიც თავისი ობიექტის ამ წინაგან თვალსაჩინოებას მოკლებული იქნებოდა. ვერც მისთვის დამახასიათებელი ურუბობის, სიმტკიცის თვისება ექნებოდა და ვერც ის უზარმაზარი ძალა ცნობიერებაზე ბატონობისა, რომელიც მას გააჩნია.

მაგრამ არსებობენ უფრო ზოგადი მოხაზრებებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ „ინტელექტუალური დასაბუთების“ გზა არა მარტო არ ეწინააღმდეგება რელიგიური რწმენის გზას, არამედ პირიქით. სწორედ რელიგიური რწმენის გზას, არამედ სულიერი თავისებურებებზე დაფუძნებული. ურწმუნობის ჩვეული შემოღობვა, — რომლის წინაშეც ხანდახან უძლიერი აღმოჩნდება ხოლმე მორწმუნე ცნობიერება, რომელსაც თავისი ბუნება ვერ ამოუცვლია, — აქ იმაზე დაიფუძნება, რომ რელიგიური რწმენის ობიექტები. რომლებიც ადამიანური ცნობიერების ტრანსცენდენტური, და, როგორც ასეთები, ამ ცნობიერებისათვის მიუწვდომელი არიან და გამოცდილებისეულ შემოწმებას არ ექვემდებარებიან. ურწმუნობას ყოველთვის ავლენია, რომ რელიგიური რწმენაში, გერმანული გამოთქმა რომ ვინმაროთ „Der Wunsch ist der Vater des Gedankens“ — რომ ადამიანებს სწამთ იმის რეალობა, რაც მათ ხურთ მჭონდეთ, როგორც რეალობა. გრანოვსკისა და გერტენს შორის სულიის უკვდავების შეხახებ ცნობილ დავაში, გერტენმა გრანოვსკის სიტყვებზე, რომ მას არ შეუძლია ცხოვროს უკვდავების რწმენის გარეშე, უპასუხა: „მარტოა რომ კარგი იქნებოდა. ქვეყანა ისე იყოს მოწყობილი, როგორც ლაპარში: უველათერი, რაც დავექირდება, იმყოფთშივე ხელთა გვექონდეს“. ჩვენ ვხედავთ — გერტენი ვერ ატყობს და, არხებითად, კანტის არგუმენტს „ინერტებს“ ანთ ტალერის“ შეხახებზე მარტოა რომ კარგი იქნებოდა ანთ ანთ ტალერის შეხახებ უკველთვის მის რეალობას ემთხვეოდეს! რელიგიური რწმენის ობიექტისადმი გამოყენებისას ამ განაზრების წინამძღვარი: ვარაუდი, რომ ურწმუნობის სტრუქტურა, რომელიც რელიგიური ცნობიერებას წარმოუდგება,

პრინციპიალურად ემთხვევა გარეშე — საცნობარო ურწმუნობის სტრუქტურას, რომელიც გრძნობად ხედვას წარმოუდგება და ჩვენი გრძნობადი სურვილების და ძიებების საგანს შეადგენს. რივე შემთხვევაში — ანთა წინააღმდეგ ვარაუდი — ერთი სურვილი უნდა, ხოლო სასურველის რეალობა — არა. სხვა და სრულიად დამოუკიდებელია მისი სასურველობის ფაქტისაგან და ურწმუნო დარწმუნებულა. რომ მორწმუნე მხოლოდ სიმამაცი-სა და ინტელექტუალური პაციონების არ არსებობის გამო ამტკიცებს იმის რეალურ არსებობას, რისი ფლობაც მას წაღია.

ამ ცოცხალი ცოდნის ბუნების გამოსაცნობად, რომელიც რელიგიური რწმენის არხებას აუღიბებს და რწმენის კეშმარიტად გონივრული გამართულობისათვის უაღრესად უპირანთა შევრგნოთ. რომ ეს წინამძღვარი (ხშირად თვითონ მორწმუნეს უსიტყვოდ რომ იწუნარებს) მცდარია. ცოცხალს ცოდნაში, და მათსადაში, რელიგიურ ცნობიერებაში ობიექტსა და სუბიექტს შორის ურთიერთობის სტრუქტურა ნამდვილად სრულიად სხვადასხვაა, ვადრე საცნობრივ ცოდნაში. სახელობარ მასში თვით სულიერი ცხოვრება ემთხვევა იმის რეალობას, რასაც თვითონ ობიექტი შეადგენს, ვინაიდან ის არის გამოცხადება, თვითონ ამ ობიექტის რეალობის თვითგამდგენება. ხელს, თუ ის ღმერთის რწმენით ანთია, არ შეიძლება გზა-ძვალნი პიზნეს. რადგან თვით მისი ეს ნათება, როგორც წმინდა სუბიექტური პროცესი, კი არ უპირისპირდება მის ობიექტს (რომელიც შესაძლოა ილუზიაც აღმოჩენილიყო) არამედ ას გახლავთ ღმერთის თვითაღმობიანა ადამიანის სულში. და თვით უბრალო სურვილი და ძიებაც კი, თუ მას სწორად ამოვიცნობთ. ემთხვევა სასურველის და საძიებლის რეალურ არსებობას. ვინაიდან ის ხერხოდ ვერ მოიპყრებოდა, მისი ობიექტი რომ არ არხებულყო, ის რომ იმ რეალობის ძალთა წაშობი არ ურწმუნყო, რომელიც აქ ეძებენ და რომელიც სურთ. ღმერთი ტრანსცენდენტურია ადამიანის გრძნობადსადაგროს და შექმნილი არხების მიმართ, მაგრამ ის არ არის სულიერი ცხოვრების ტრანსცენდენტური, რადგან სულიერი ცხოვრება თვითონვეა სწორედ ღმერთის თვითაღმობიანა ადამიანში. „იმით ვიცნობთ, რომ მასში ვპყვიდრობთ, ხოლო ის — ჩვენში, რომ თავიი სულიისაგან მოვცვა ჩვენ“. ამაში მდგომარეობს თვითონ არსი მისტიკური გამოცდილებისა, ან რაც იგივეა — ცოცხალი ცოდნისა, რომელიც ურწმუნობის რელიგიური ცოდნის პირველი საფუძველი გახლავთ. ჩვენს აზრებს

და ღმერთის შესახებ ცნებებში შეიძლება უხეშად შევცდეთ, მაგრამ ხულიერ ბაშოცდი-
ლებაში, ხულის ცოცხალ წვაში შეცდომას
ადგილი არა აქვს. ღმერთის ეს ცოცხალი იდეა
ღმერთის რეალობას ემთხვევა და ისე არ გა-
ნეშორება მას, როგორც „ახი ტაღერის“ იდეა

განეშორება ჩემს გიბეში მათ არსებობას. ხწო-
რედ ხულიერი გამოცდილების ამ თავსებებურე-
ბის გაშუქებაშია „ონტოლოგიური დასაბუთე-
ბის“ დედაარსი, ის ახლა არაფერია, თუ არა
რელიგიური გამოცდილების სპეციფიკური სა-
რწმუნოების რაციონალიზაციის ნაშთი.

გ. ბ. ლ. ი. მ. მ. მ.



თომას მანი

გერმანულიდან

თარგმნა ნანა გობოლაშვილმა

იოსები და ძმანი მისნი

გობოლაშვილი

სწორად შევითხებიან, კა-
ცმა რომ თქვას, რატომ
მოკიდეთ ხელი ესოდენ გამორჩეულსა და თა-
ნადროულობას დაშორებულ მახალას, რამ გა-
იძულათ იოსებ დეკაბრელზე არსებული ბიბ-
ლიური დეკანდის ხაფუძველზე შეგვექმნათ
ეპიკურად მონუმენტური რომანების ციკლი.
რომელსაც ამდენი წლის შრომა შეალიეთო-
ვინც ამ შევითხვას დაძინებას, მას ალბათ
ვერც ჩემი პახუბი დააკმაყოფილებს, როდ-
ესაც შეიტყობს, რომ უურადდება ამ ხაქმის გა-
რეგნულ. ასე ვთქვათ, ანგდოტურ მხარეზე
მინდა შევაჩერო და იმის თაობაზე მოგითხ-
როთ, ერთ ხალაშობ, მიუხედავად უოფინისას, —
მას შემდეგ კი არ უკვე თხოთმეტი წელი გავი-
და. — როგორ წამძლია სულია და როგორ
გადავშალე საგვარეულო ბიბლია, მინდოდა
ხელახლა გადამეკითხა ეს დეკანდა. საკმარისია
თქვას, რომ აღფრთოვანებული დავრჩი; აღარ
დამიხანებია, მაშინვე ნიადაგის მოხინჯვას შე-
ვუდექი და შესაძლებლობების აწონ-დაწონა

დავიწყო ვიფიქრე, რა იქნება, ეს წარშტაცი
ამბავი კაცმა ხელახლა გადმოსცეს და ამბა-
თვის მის ხელთ არსებული უველა თანამედროვე
ლიტერატურული საშუალება მოიშველიოს,
იდეური არსენალიდან დაწეებულთ, თბრო-
ბის ტექნიკით დაშთავრებულ-მეტქი? ეს გო-
ნებისმიერი ექსპერიმენტი თითქმის იმთავით-
ვე დაუწყავშირე ცნობილ ტრადიციას: გავის-
ხენე გოეთე და, ნახელდობრ, ის ადგილი მისი
შემუარებიდან „პოეზია და სიმართლე“, სადაც
პოეტი გვიუვება, როგორ განუვრცია ბავშუო-
ბაში იოსების ამბავი და შეუქმნია იმპროვიზო-
რებული ქოთხრობა, რომელიც ამბანავისთვის
უკარნახია და ჩაუწერიინებია, მაგრამ გოეთემ თა-
ვისი მოთხრობა ცეცხლს მისცა თურმე, რად-
გან, მისი თქმით, იგი „ხაჯრისს მოკლებული“
უოფილა. სამოცი წლის გოეთე ცდილობს ახ-
სნას, თუ რატომ მოკიდა ხელი მოწარდისათ-
ვის ამ აშკარად ნაადრევ ამოცანას და ამბობს:
„რამხელა ხიბლი იშალება ამ ხალა მოთხრო-
ბაში; მაგრამ შეტისმეტად შეკვეცილს ვერვე-

ჩნდა სურვილი ბიბლიის გადაკითხვისა და მისი ცხოვრებაში ნებისმიერი პერიოდი თავისი მადრეკილებით, მოთხოვნებითა და გემოვნებით გამოიჩინება, და, აღმათ მისთვის დამახასიათებელი უჩვეულო თავისებურებებსა და უპირატესობებსაც უნდა გამოავლენს ზოლში. როგორც ჩანს, კანონწმინდისა ისიც, რომ ადამიანი გარკვეულ ასაკში ვეღარ ატანს გემოს წმინდა ინდივიდუალურსა თუ კერძო მოვლენებს, აღარ იწიდავს ცალკეული კონკრეტული შემთხვევები, მისთვის უცხო ზღვება უოველივე „ბიურგერული“, ამ სიტყვის უველაზე ფართო გაგებით. ნაცვლად ამისა, წინა პლანზე გამოინაცვლებს დაინტერესება ტიპური, მარადსაკაცობრიო, მარადგანმეორებადი, დროის მიღმა არსებული მოვლენებით, ერთი სიტყვით, მითოსური ამბებით. ტიპური ზღვ უოველთვის უკვე მრავლად მოიცავს მითოსურს, იმ თვალსაზრისით, რომ ტიპური, ისევე როგორც უოველგვარი მითოსი, ესაა თავდაპირველი ნიშნები, თავდაპირველი ფორმა ცხოვრებისა, იგი წარმოადგენს დროის მიღმა არსებულ სქემას, ძველთაგანვე დადგენილ ფორმულას, რომელშიც თვითგაცნობიერებული ცხოვრება ილტვის, კვლავ შეიძინოს მისთვის ოდესღაც წინასწარ განჩინებული თვისებები. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ის დრო, როდესაც ეპიკოსი მხატვარი ტიპურისა და მითოსურის თვალსაზრისით იწყებს ხაგნების გვრეტას, მნიშვნელოვან სამანს ქმნის მთხრობელის ცხოვრებაში. ეს ნაბიჯი განახლებიერებს მის მხატვრულ თვითშეგნებას, მოაქვს მისთვის შემეცნებისა და ქმედების ის ახალი სიხარული, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვეულებებისამებრ უფრო გვიანდელი ასაკის წილხვედრს შეადგენს; რადგან, თუკი კაცობრიობის ცხოვრებაში მითოსური ადრეულსა და პრიმიტიულ საფეხურს წარმოადგენს, ცალკეული ინდივიდების ცხოვრებაში უფრო გვიან დგება ეს მანა.

შემოთ დამცდა სიტყვა „კაცობრიობა“. სუბარსი იყო ტიპურისა და მითოსურის დროისმიღმა მყოფ კატეგორიებზე, და ამანთან დაკავშირებით იგი თავისთავად ამოტივტივდა გონებაში. ჩემსა შინაგანი შზადყოფნა, რათა იოსების ლეგენდის მსგავსი მასალა საკუთარ შემოქმედებით ინტერესებთან თანხმეირებაში აღმექვა, იმხანად ჩემს გემოვნებაში მომხდარმა ძვრებმა განაპირობა. სწორედ იმ დროს განვუდექი უველაფერს ბიურგერულს, უოფითხა და უოველდღიურს, და მითოსისკენ ვიბრუნე პირი. ამ შზადყოფნას ისიც განაპირობებდა, რომ განწყობილი ვიყავი შემეგრძნო და შეაზროვნა ზოგადსაკაცობრიო პლანში, ანდა ვიტყვოდი: მსურდა შემეგრძნო და შეაზროვნა როგორც კაცობრიობის პაწაწინა ნაწილს. ახეთი წინასწარგანწყობა, თავის მხრივ, შედეგი

განლდათ არა მხოლოდ პირადად ჩემთვის მოზომილი დროისა და ცხოვრების ხანგრძლივობისა, ეს იყო შედეგი დროისა, ამ სიტყვის უფრო ფართო და საუკველთაო აზრით, შედეგი ჩვენი დროებასა, ეპოქის მხატვრული ძვრებისა, პირადი ცხოვრების განვითარების კირვეული თამაშისა, რომელშიც ჩვენ წინაშე მთელი ხიგრძე-სიგანით დაუენეს აღამაინისა და მუშაინის პარობლემა, და, ჩვენს სინდისს ახეთი მძიმე ტვირთის წიდეგა დააკისრეს, როგორც აღმათ არც ერთ წინა თაობას არ მყდრებია წილი. „ქადოსნური მთა“ „იოსების“ წინამორბედი იყო და წარმოადგენდა მცდელობას, ერთობლივად გადაშენებდა უველა პარობლემის, ევროპის რომ აღელვებდა ახალი ხაუკუნის გაჩიურაფზე. ეს ნაწარმოები უკვე შეიძლება მიევიჩნოს ამ მორადურს შეშფოთების პირშილდ, აბორგენტულა და შეძრწუნებულ სინდისს გამოძიხილიდ. სიზმრების უსიკოლოგია ერთ ურთახსაღებ მოვლენას აღნიშნავს: შესაძლოა ესა თუ ის გარეგნული ბიძგი სიზმრის გამოწვევ მიზეზად იქცეს. ასე მაგალითად, მძინარე კაცი გასროლის მძას რომ გაიგონებს, მის გონებაში მიხეზ-შედეგობრივი კავშირები თავდაყირა ამოტრიალდება. იგი ამ ბიძგს დახაბუთებას შემდეგში ხანგრძლივსა და არეულ-დარეულ სიზმრებში ეძებს, სროლით (და გამოდვიძებით) რომ მთავრდება, მაშინ, როდესაც მთელი სიზმრის მოტივირების ამოსავალ წერტილს ნერვიული შოკის მდგომარეობა წარმოადგენს. ესე ზდება ქადოსნური მთის შესახებ შექმნილ რომანშიც. ნაწარმოების შიდა კრონოლოგიაის მიხედვით 1914 წელს დაწვებული ომის კუქა-ქუბილის გამოძიხილი წიგნის ბოლოს გახსმანებს, სინამდვილეში კი ეს მხა წიგნის შექმნის წინ გაიხმა და წარმოადგენდა ბიძგს, რომელმაც გამოიწვია მთელი მისი ოცნებები და სიზმრები. ეს იყო გაშენადგურებელი კუქა-ქუბილი, რომელმაც გამოაფხიშლა და გარდაქმნა საშყარი. მან დაახრულა მთელი ეპოქა, ეს ჩვენი აღმზადელი ბიურგერული ეპოქა, როდესაც მშვენიერს წერ კიდევ გაჩნდა თავისთავად ღირებულება. — თვალთ აგვიხილა და გვაშენო, რომ ამიერიდან ვეღარ შევძლებდით ძველებურად ცხოვრებასა და შემოქმედებით ხაქმიანობას. მანს კახტორპი, ეს სიმპატური, გულუბრყვილო უმწველიკაცი, რომელსაც თავს დაატვდა ხაყვდისიციციბლის, ხნეულებისა და განქტრების, აფხახტულებისა და შორბილების მთელი აღმზადელობითი დილექტიკა, ხულისა არ უოფიდა დროის თემაზე შექმნილი რომანის ვმირი. ეს შეიძლება მხოლოდ ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს ახე, რომანს კუქა-ქუბილი ვმირი homo Dei იყოს ესაა აღამიანი, რომ

* ლუთაებრივი აღამიანი (ლ.ა.).

მელიც ჩელიგური აღტინებით ეძიებს საყუ-
თარ თავს, ხერხ გაარკვიოს, საიდან მოვიდა
და საით მიდის, რას წარმოადგენს თავად და
რა შეადგენს მის დანიშნულებას, რა ადგილი
ქვათა სამყაროში; ამ ადამიანს სწუხრობა ჩას-
წვდეს საკუთარი უკულის საიდუმლოს, გამოიყ-
ნოს მის წინაშე მდგარი მარადიული გამოცა-
ნა: — „რა არის ადამიანი?“

მაგრამ ასეთ შექში მოსების შესახებ რომა-
ნის ფორმით აღორძინებული ლეგენდაც აღარ
მოგვეჩვენება განზრახ უჩვეულო ნაწარმოებად,
რომელიც სცილდება საუკველთაოდ გავრცე-
ლებულ თვალსაზრისს და ცდილობს გვერდი
აუაროს თანამედროვეობას, ახლა მასში შევიც-
ნობთ ადამიანთ შთაგონებულ ნაწარმოებს,
რომელიც ვერ თავსდება ინდივიდუალურის
ჩაჩივებაში და ზოგად საკაცობრიო საკითხებ-
საც მოიცავს იგი შეფერულია იუმორით, დიას,
თავის ბშიერებაში შერბილებულა იუმორით;
ამხაც ვიტყვით: ეს გახლავთ პოემა კაცობრი-
ობაზე, რომელსაც ერადება მთელა ხშით
თქვას თავისი სათქმელი.

რა თქმა უნდა, ასეთი დახასიათება უკვე მთა-
ზე შეტყველებს, რომ ამ წიგნისათვის მიზნე-
ული გააზრება მითოსისა თავისი იდეალური არ-
სიოთე განხვავდება მისა გამოყენების არც თუ
უცნობი, თანამედროვე კაცობრიულ და ან-
ტიუმიანური ბერბებისაგან. — უველას მიშენი-
ურად მოგვეჩვენება, რა ეწოდებათ ამ ბერბებს
პოლიტიკის ენაზე. ჩვენს დროში ხომ სიტყვა
„მითოსი“ უკეთურ სიტყვად იქცა. საკმარისაა
გავიხსენოთ ხათაური, რომლისთაც აღტურვა თა-
ვისი ავხედითი სახელმძღვანელო ბერმანული
ფაშინშის ნაფიცმა „ფილოსოფოსმა“, მიტლე-
რის იდეურმა მოძღვარმა როზენბერგმა. უკა-
ნასკნელა მთელს წლებს მანძილზე მი-
თოსი ასე ხშირად იღვა ბნელეთის მოცატულ
კონტრევოლუციონერთა სამსახურში და ისე
მარტვედ ებმარებოდა მათ თავიანთს ბინძური
მიზნების აღსრულებაში, რომ „იოსების“
მხგავს მითოლოგიურ რომანს გამოსვლისთანა-
ვე არ შეიძლება არ აღვირა ეჭვები: ვაი
თუ მისი ავტორიც სხვებთან ერთად ამ მღვრიე
ნაკადში დაკურავსო. მაგრამ ეს ეჭვი უმად
გაიფანტა, როგორც კი შეითბველები რომანს
ჩაუყვირდნენ და აღმოაჩინეს, რომ მითოსმა
მასში ფუნქციება შეიცვალა, თანაც იმდენად
უკიდურესად, რომ წიგნის გამოსვლაამდე ასეთ
რამეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომანს იგივე
ხედი ეწია: რაც ხშირის დროს ბელში ნა-
დავლად მოგდებულ იარაღს ეწვევა ბოლშე:
მას შემოატრიალებენ და მტერს დაუმიზნებენ.
ამ ნაწარმოებში ფაშინშის მითოსი ბელიდან გა-
აგდებიან, რამეთუ რომანი მთლიანად. — ენის
თვით უველაზე უმცირეს უჩრედებაამდეც კი —
ქვეანდის იდეითა გამსჭვადული, და, თუ

შთამომავლობა მასში მნიშვნელოვან რასზე და-
ინახავს, ეს სწორედ მითოსის ჭეშანჯაცაა აქ-
ნება...



დაწუება საერთოდ უკველთვის საუკრად
ქერს ბოლშე: ხაიდან არ უნდა უტრილო მა-
ხალას, რამდენი შრომა უნდა გასწიოს მისთვის
დრო უნდა დახარჯო, რომ შეეჩვეოთ მისთვის და
გაითავისო იგი, ვიდრე აგრძნობ, რომ დაუფუ-
ლე მას, შეითვისე მისი ენა და თავად შეგიძ-
ლია ამ ენაზე ალაპარაკდე. ბოლოს ჩემი იმდრო-
ინდელი ჩანაფიქრი ერთობ ახლებური და უჩ-
ვეულო იყო, იხე რომ, ამჟერად კარგაზანს ამ
ანდაზის კატას ვგავდი, დრუნჩის ლოკვა-
ლოკვით გარს რომ უვლის ცხელი რძით სავსე
ლაშბაქს, საჭირო იყო კონტაქტის დამყარება
იდეალ, მითიურ, პირველქმნილ სამყაროსთან,
ბოლოს „კონტაქტის დამყარება“ ბელოვანისა-
თვის ერთობ რთულია და ინტიმური პროცესი
გაბლავთ: იგი გულისხმობს მასალის წვდომას,
მასში გაღმობას და საკუთარი თავის თავდავი-
წყებით გაიგივებას მასთან. ამ წვდომის შედე-
გად იხადება ის, რასაც „ტელს“ უწოდებენ,
და რაც მუდამ გულისხმობს ბელოვანის პირ-
ვნების განუმეორებლობასა და მის ხრულ შე-
რწყმას ასაწერ საგანთან.

თუ რაოდენ ავანტიურისტულად შეხაზებოდა
მითოლოგიური რომანის ჩემული წამოწყება,
ეს უკვე მისი შესავლიდანაც ჩანს. ამ შესავლით
იწყება იოსების შესახებ რომანთა ციკლის პი-
რველი ტომი „ამბავნი იაკობისნი“, იგი წარმო-
ადგენს მთელი ტიტრალიგიის ანტროპოზო-
ფიურ პროლოგს და „ჭოჭოხეთს შთასვლა“
ეწოდება. ეს ფანტასტიური ესზე მოგვაგონებს
გულდაგულ მზადებას ამ სახითათო ექსპედიცი-
აში გასამგზავრებლად, წარსულის ხილრმეებმა
და უკველთვე არსებულის დედასაწყისთა წვ-
დომა რომ დაუსახავს მიზნად, პროლოგმა სა-
მოცდაობთა გვერდი მოიცვა. ამიტომ შეიძლე-
ბოდა შევებუარი შიშს, — და აქი არც უშეა-
ხობა იყო — მთელი ნაწარმოების პროპორცი-
ული მოცულობის გამო, მათ უფრო მას შერე-
რაც გადაეწუპობი, რომ აქ მხოლოდ იოსების
ცხოვრების აღწერით ფონს ვერ გავიდოდი, თე-
მა მოითხოვდა ნაწარმოებში ზოგადად ჩამერ-
თო ლეგენდის მთელი წინაისტორია, იოსების
მაშა-პაპათა ამბები ვიდრე ამბრამამდე, და
უფრო ღრმად ჩაწვდომოდი შესაქმის ხანას. რო-
მანის ნაწილმა „ამბავნი იაკობისნი“ მთელი
სქელი ტომი შეადგინა. ნაწარმოებში ზუსტად
არ ვიცავდი ბუნებრივ პრონოლოგიას: ხან მო-
მავლის ამბებს გადმოვანაცვლებდი ბოლშე წინ,
ხანაც წარსულს ვუბრუნდებოდი: ვევებოდი
იოსების ცხოვრებას და, ჩემდაუნებურად, ვი-
ზინდებოდი ამ ადამიანებთან ურთიერთობის
სახლათ, რომლებმაც ქერ წესიერად არც კი

იციან, რანი არიან, ანდა, საკუთარ თავზე უფრო თავშედახლად და მოკრძალებით მსჯელობენ. მაგრამ სამაგიეროდ მათი მსჯელობა უფრო ღრმა და კრეშმარიტია. ვიდრე თანამედროვე ინტელიგენცია. ეს ადამიანები არ ეყრდნობიან თავის შესაგვან ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილებას, არა აქვთ გადგმული ფესვები წარსულში, მაგრამ იმავდროულად მის ნაწილს შეადგენენ, საკუთარ თავს მასთან აიგივებენ და წარსულის ნაკვალევზე მიაბიჭებენ, წარსულისა, კვლავ რომ ცოცხლდება მათში „Novarum rerum cupida“ — ბელოვანზე უკეთ არავინ ამართლებს ამ გამოჩინაობას, ძველი და გაცვეთილი მანავით არავის აბეჭრებს თავს. მხოლოდ იგი ელტვის ესოდენ მოუთმენლად ახალს, თუმცა ამავე დროს მანავით არავის ბოჭავს ტრადიციები. გამბედაობა შებოქილობის წილ, ტრადიციის შევსება ამაღლებებელი სიხილით, — აი რაში ზედავს ბელოვანი თავის მიზანსა და უპირველეს ამოცანას: და, შეგნება იმისა, რომ „ეს ჩერ არავის გაუკეთებია“, მარადუამს წარმოადგენს მისი შემოქმედებითი მცდელობის მამოძრავებელ ძალას. არაფრის გამკეთებელი არ ვიყავი, ბელსაც კი ვერ მოვკიდებდი ვერავითარ საქმეს, ჩემს წამოწყებებს ეს ამაფორიაქებელი აზრი რომ არ ახდევებოდა ამჭერად კი მის კეთილშეოფელ თანადგომას უფრო შეტად შევიგრძნობდი, ვიდრე ოდესმე. „მზავნი იაკობისნი“, ხოლო შემდეგ „კაბუჯი იოსებნი“ თავიდან ბოლომდე ჩერ კიდევ ბერმანიაში შეიქმნა. შესამეტრმს „იოსები ეგვიპტეში“ კუწოდე და მასზე მუშაობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც ჩემი გარე ცხოვრების წესმა მკვეთრა ცვლილებები განიცადა: იმზანად სამოგზაუროდ ვიყავი წახსულა, მაგრამ სამშობლოსში დაბრუნება აღარ შეწერა. უბერად გამომეცალა ფიქტვეშ უოველგვარი მარტრიალური საყრდენი, რომანის დანარჩენი, უველაზე მოზრდილი ნაწილის დახრფლება უკვე სამშობლოდან განდევნილს მწვედა წილად. ჩემს უფროს ქალიშვილს გამბედაობა ეყო, გადატრიალების შემდეგ ერთბელ კიდევ ჩასულიყო მიუნხენში, შეპარულიყო ჩვენს სახლში, რომლის კონფისკაციაც უკვე მოესწროთ, და რომანის ბელნაწერი ჩემთვის საფრანგეთში ჩამოეტანა. პირველ ხანებში დაბნეულობამ შემიპყრო, აქ უველაფერი ახალი იყო და თავს მშობლიურ ნიადავს მოწყვეტილად ვგრძნობდა, მაგრამ, გონს რომ მოვებე, თანდათანობით განვაახლე რომანზე მუშაობა, ხოლო შინა გაგრძელება და დახრფლება შეეცარიაში, ციურების ტბაზე მომიხდა. მერე ის იყო, ეს სტუმართმოყვარე კვეყანა მთელი ხუთი წლის მანძილზე გავიზადე თავშესაფრად.

სწორედ აქ გადამეშალა თვალწინ ნილოსის უძველესი სამეფოს მაღალი კულტურა. ჩერ

კიდევ სიკვამულის წლებში რომ ვეტირდობდი ეგვიპტურ კულტურას იმზანად უკვე ვაცნობდი იმე რომ, აქვენი წარმოადგენდა ამ ახლებში შეჩვენი გიმნაზიის საფულო რეჟიმის მასწავლებელზე უკეთ ვერკვეოდა. ერთბელ მანი გავეთილზე თორმეტი წლები ვმუშაობდი „ქვეყანა“ და თუ იცით, რას ეძახდნენ „ქვეყანა“ მშობლები თავიანთ წმინდა ბარსო ერთი ხუთი შექონდა, შექანსუმა და იმზანად გამოიძახა. „წმინდა ბარსბანი ერქვა-მეთქი“ მიუკუგე. მანწავლებელმა გამომიცხადა, არასწორად მასუბობო და თან შემომწყურა: „ვიდრე გიორგევი, შენი დაგემართა და არაფერი კი არ გცოდნია, იმ ბარსბანი“ კი არა, „ახისი“ ქვეყანო“, მაგრამ მე უცოდი, რომ „ახისი“ იმ ნამდვილი ეგვიპტური სახელის დასთინური თუ ბერძნულ-გარბანტი იყო მხოლოდ. კემეს ხალხი მას „ხაისი“ ეძახდა, ამაში მე უკეთ ვერკვეოდი, ვიდრე ჩვენს ბელკრულს მასწავლებელი, მაგრამ ჩემმა დისკაპლინის მოყვარულმა ბანიათმა ნება არ მომცა, მისთვის ეს შეცდომა განმეშარტა, მაშინ კი გაერუმდე, მაგრამ მერე მთელი ცხოვრება ვერ მოყვანულე ეს უმშო კაპიტულაცია ეალბი ავტორიტეტის წინაშე. ამერიკელი მოსწავლე აგრერიგანდე არავის ჩაჩრევენებდა ბურთს პირში.

რომანზე „იოსები ეგვიპტეში“ მუშაობასა და დროს მახსენდებოდა ხოლმე ეს პატარა სიუმაწვილიხდროინდელი შემთხვევა. წამოწარმოებს, რაქმელსაც ხორცი უნდა შევასტა, ჩვეულებრივ დრმად უნდა ქქონდეს გადგმული ფიქტები ჩემს ცხოვრებაში. იდუმალი ძაფებთ უნდა იყოს გაბმული მახსა და ჩემი ხავშეობის უველაზე ადრეული ხანის ოცნებებს შორის: აი მხოლოდ მაშინ შემიძლია ვირწმუნო, რომ მასზე რადაც შინაგანი უფლება გამახჩია და კონონიერ საფუძველი აქვს ჩემს სურვილს, ხელა მოვკიდო ამ ნაწარმოების წერას, თუ რაიმე მახალას ოფიინებურად ექოდები და არ გაჯანია მასზე საგნის სიყვარულითა და ცოდნის წყალობით ნაკურთხი დიდი ხნის უფლება, ანუ მგონია, საქმეს არახერიოშულად და დილეტანტურად ეკიდები-მეთქი.

„იოსების“ შესამე წიგნა თავისა ეროტრული შინაარსით უფრო ჩამოგავს რომანს, ვიდრე ხხვა ნაწილები; მთლიანად ნაწარმოები კი, გარემოებებისდა ძალით, ერთობ დასცილდა რომანზე საუოველითად გავრცელებულ წარმოდგენებს. ეს ლიტერატურული ვანტი დღენიადაც ძალზე არამდგრადი და ცვალებადი იყო. ჩვენს დროში კი საქმე, ვგონებ, აქამდე მსვიადა, რომ მალე რომანად ჩაითვლება. რაც გნებავთ უველაფერი გარდათავად რომანისა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, შესაძლებელია, ეს უოველთვის ასეც იყო, რაც შეეხება „იოსებს ეგვიპტეში“, შეითხველი

* ვსსსკ სიახლე სწუერთა შეამზობე (ლავი).

დაინახავს, რომ რომანის ერთი და ნაწარმოე-
 ხიდან გამოდინარე უველაფერა, მთელი მისი
 ფსიქოლოგიურობის მიუხედავად. ასევე მთო-
 სის სტილიზების ბერბითაა გადმოცემული: ეფ-
 რძოდ, ეს ებება ზღაპრულ სამოსელში ვახვეულ
 სატირას, სექსუალური პრობლემების გადაჭრას
 რომ ემსახურება და შეფარვითაა მოცემული
 ორი კონდრისკაცის სახეში: ერთი მათგანი უხ-
 ქესია, მანკამ გულუფთხი; მეორე კი, დუდუ
 რომ ჰქვია სახელად, ბოროტი, თუმცა კაცური
 ღირებით შემკული პაწია მამოია. ამ ნაწილში
 იუმორისტულადაა ასახული სქესობრივი სფე-
 რის კავშირი პირველქმნილ ბოროტებასთან;
 ამ სცენების მიზანია, უფრო დამაჩრებელი გა-
 ხადონ იონების „უბიწობა“, ახსნან ბიბლიურ
 პირველწყაროში გადმოცემული, ჩემთვის აგ-
 რერიგად გაუგებარა წინააღმდეგობა, რომელ-
 ხაც გადააწუდება მისი ბედუკუღმართი ქალ-
 ხატონის ვნებება.

მესამე რომანი იონებზე გერმანიასთან გამო-
 თხოვების უამს დანიერა, მეოთხე კი — ეფ-
 რძასთან განშორებისას. „მარჩენალი იონები“
 მთელი ტეტრალოგიის დამამთავრებელ ნაწილს
 წარმოადგენს, ორიათას გვერდზე მეტს მოიცავს
 და თავიდან ბოლომდე ამერიკის ცის ქვეშ,
 უშეტესწილად კი კალიფორნიის ნათელი ცის
 ქვეშ იწერებოდა. ასე რომ მოგვაგონებს ეფ-
 ვიპტის ცის კაბადონს.

